

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
პუბლიცისტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი

GORI STATE TEACHING UNIVERSITY
FACULTY OF HUMANITIES
CENTRE OF HISTORY AND ARCHAEOLOGY

შრომათა კრებული

COLLECTION OF THE WORKS

№17

2019

ჩ(უაქ) 902(479.22)(066)
ა-846

რედაქტორი: ელდარ მამისთვალიშვილი

რედაქტორია:

მეუფე ანდრია (გვაზავა)

ზაზა ალექსიძე

ბუბა კუდავა

ლია მელიქიშვილი

გიორგი სოსიაშვილი

ნოდარ შენგელია

როინ გავრელიშვილი

დავით ყოლბაია

პრემიურა: თამარ გოგოლაძე

პრინტი ურული უზრუნველყოფა: გიორგი ყაზიშვილი

Editor: Eldar Mamistvalishvili

Editorial Board:

Metropolitan Andrea (Gvazava)

Zaza Alekisdze

Buba Kudava

Lia Melikishvili

Giorgi Sosiashvili

Nodar Shengelia

Roin Kavrelishvili

David Kolbaia

Reviewer: Tamar Gogoladze

Computer Services provided by Giorgi Kazishvili

ISSN 1512-4657

შინაარსი სტატიები
CONTENTS Articles

დავით აღმაშენებელი
David the Builder

თამარ გოგოლაძე – „მოთხოვობანი საქართველოს წარსული-
დან“ (დავით აღმაშენებელი) 11

Tamar Gogoladze – HISTORIES FROM THE PAST OF
GEORGIA (DAVID THE BUILDER)

ელდარ თავბერიძე – ილია ჭავჭავაძე დავით IV აღმაშენებ-
ლის შესახებ 20

Eldar Tavberidze – ILIA CHAVCHAVADZE ABOUT DAVID
IV THE BUILDER

ციალა მესხია, ირმა სორდია – დავით აღმაშენებლის სახე
ქართულ პოეზიაში (ვაჟა ეგრისელი) 33

Tsiala Meskhia, Irma Sordia – IMAGE (PORTRAIT) OF
DAVID IV THE BUILDER IN GEORGIAN POETRY (VAZHA
EGRISELI)

მაია პატარიძე – დავით აღმაშენებლის კიდევ ერთი ვერცხ-
ლის მონეტა სტეფანწმინდის მუზეუმიდან 49

Maia Pataridze – DAVID THE BUILDER'S ONE MORE
SILVER COIN FROM STEPHANTSMINDA MUSEUM

საქართველოს ისტორია History of Georgia

- ნანული აზიკური** – თუშების ასეული რუსეთ-თურქეთის ომში (ჩოლოქის ბრძოლა, 1854 წ.) 65
Nanuli Azikuri – THE HUNDRED OF TUSHETIANS IN THE RUSSIAN-TURKISH WAR (WAR OF CHOLOKI, 1854)
- იოსებ ალიმბარაშვილი** – გორის მაზრის სახაზინო და საბატონო სოფლების 1804 წლის კამერალური აღწერა 80
Ioseb Alimbarashvili – 1804 GORI DISTRICT REGISTER OF TREASURY AND NOBLES` VILLAGES
- მიხეილ ბახტაძე** – გაერთიანებული საქართველოს მეფეთა ქართული ტიტულატურა XI საუკუნეში 107
Mikheil Bakhtadze – THE LIST OF GEORGIAN KINGS OF UNIFIED GEORGIA IN THE XI CENTURY (BAGRAT III - GEORGE II)
- ლათავრა ბუკია** – თელო სახოკიას „ქართული პარტია“
აფხაზეთში 129
Latavra Bukia – TEDO SAKHOKIA'S “GEORGIAN PARTY” IN ABKHAZIA
- გურამ გაბუნია, ლია გაბუნია** – ქუთაისი - ქალაქი, სადაც „ღმერთები ღმერთობდნენ და მეფენი მეფობდნენ...“ 151
Guram Gabunia, Lia Gabunia – KUTAISI - “LARGE KUTATSI, WHERE GODS ARE GODS AND KINGS ARE KINGS”
- ირმა ქეტხოველი** – განათლების კულტურა საქართველოში და XXI საუკუნე 167
Irma Ketskhoveli – EDUCATION CULTURE IN GEORGIAN AND XXI CENTURY

ელდარ მამისთვალიშვილი – სულხან-საბა ორბელიანის დიპ-
ლომატიური მისია რომში

179

Eldar Mamistvalishvili – SULKHAN-SABA ORBELIANI IN
ROME

თამარ მესხი – ანტიოქიის პატრიარქი მაკარიოს III (1647-
1672) ვითარცა ვახტანგ V-ის ელჩი მოსკოვში

185

Tamar Meskhi – PATRIARCH OF ANTIOCH MAKARIOS THE
III AS AN ENVOY OF THE KING VAKHTANG THE V IN
MOSCOW

მურად მთვარელიძე – ვახტანგ მეექესის დარბაზობანი და
ორი პოეტი (დავით გურამიშვილი, ოტია ფავლენიშვილი)

219

Murad Mtvarelidze – VAKHTANG VI'S PUBLIC RECEPTIONS
AND THE TWO POETS (DAVIT GURAMISHVILI, OTIA
PAVLENISHVILI)

მანანა მიჩიტაშვილი – სახლოუბუცეს ციცაშვილთა სამოხე-
ლეო სახელოს საკითხისათვის

228

Manana Michitashvili – FOR THE ISSUE OF THE OFFICIAL
POST OF CHIEF STEWARD TAKEN BY THE TSITSISHVILIS

ელდარ ნადირაძე – აშოტ კისკასის ვინაობისათვის

257

Eldar Nadiradze – CONCERNING THE ISSUE OF ORIGIN OF
ASHOT KISKASI

პაველ ოლშევსკი – საქართველოს დემოკრატიული რესპუბ-
ლიკა პირველი მსოფლიო ომის შემდგომი საფრანგეთის პო-
ლიტიკაში

270

Pawel Olszewski – THE DEMOCRATIC REPUBLIC OF GEOR-
GIA IN POLITICS OF FRANCE AFTER WORLD WAR I

ზურაბ ოქროპირიძე – ნერესე II (დიდი) ერისმთავარი – ეროვნული გმირი და წმინდა მოწამეთა აღმზრდელ-მოძღვარი (ქართული აგიოგრაფიული ძეგლების მიხედვით) 305

Zurab Okropiridze – NERSE II (GREAT)HEAD OF THE NATIONAL OF KARTLI- NATIONAL HERO AND TEACHER OF THE HOLY MARTYRS (ACCORDING TO GEORGIAN HAGIOGRAPHIC MONUMENTS)

მურმან პაპაშვილი – ქართულ-რომაული ეკლესიების „გაყრის“ დროისა და უნის პროცესის ახლებური ინტერპრეტაცია 321

Murman Papashvili – NEW INTERPRETATION OF THE TIME OF THE GEORGIAN-ROMAN CHURCHES "DIVORCE" AND UNITY PROCESS

გორგი სოსიაშვილი – პეტრიწონის მონასტერი და სოფელი ერგნეთი 352

Giorgi Sosiashvili – PETRITSONI MONASTERY AND VILLAGE ERNETI

ნათელა ფოჭხაძე – ადგილის სახელწოდება // ტოპონიმი კულტითი/კოლხითი ანუ კოლხეთი 2000 წელს ლურსმული დამწერლობით შესრულებულ ტექსტებში 1940-იან წლებში აღმოჩენილ არქივში 372

Natela Popkhadze – SPECIFIC IMPORTANCE OF THE CUNEIFORM TEXTS MADE IN 2000 BCE MENTIONING THE AREA CALLED KOLKHETI

კახაბერ ქებულაძე – საბჭოთა ოკუპაცია და პირველი საბჭოთა არჩევნები ქუთაისის მაზრაში (1922 წლის თებერვალი)

Kakhaber Kebuladze – SOVIET OCCUPATION AND THE FIRST SOVIET ELECTION IN KUTAISI MAZRA (IN FEBRUARY, 1922) 390

კახაბერ გალიჩავა – კოსოვოსა და საქართველოს კონფლი-
ქტურ რეგიონებს შორის: შედარებითი ისტორიული ანალიზი
1920-1940-იან წლებში 403

**Kakhaber Kalichava – BETWEEN KOSOVO AND GEORGIAN
BREAKAWAY REGIONS: COMPARATIVE HISTORICAL
ANALYSIS OF 1920-1940S**

ეკატერინე ძმანაშვილი – არაბული სახელწოდების ქართველი
მოხელეები შუა საუკუნეებში – ამირა 430

**Ekaterine Dzmanashvili – GEORGIAN OFFICIALS OF ARA-
BIC NAME IN THE MIDDLE AGES – AMIRA**

ვლადიმერ წვერავა – თეთრი (ნიკოლოზის) ხიდი ქუთაისში 448
Vladimer Tsverava – WHITE (NIKOLOZ) BRIDGE IN KUTAISI

დავით ჯავახიშვილი – თამარ ბაგრატიონი-ორბელიანისა
(1747-1786) 461

**David Javakhishvili – THE PRINCESS TAMAR BAGRATIONI-
ORBELIANI (1747-1786)**

ნიკო ჯავახიშვილი – იმერთა და კახთა მეფე არჩილის რიგი-
თობის დადგენისათვის 482

**Niko Javakhishvili – FOR FIXING OF THE RANK NUMBER
FOR THE KING OF IMERETI AND KAKHETI – ARCHIL**

ოთარ ჯანელიძე – რუსეთის დამფუძნებელი კრება და ქართ-
ული პოლიტიკური სპექტრი 496

**Otar Janelidze – RUSSIAN CONSTITUENT ASSEMBLY AND
GEORGIAN POLITICAL SPECTRUM**

მამუკა ჯოლბორძი – დავით დადიანის მოღვაწეობის ისტო-
რიიდან

533

Mamuka Jolbordi – FROM THE HISTORY OF THE WORK OF
DAVIT DADIANI

**მსოფლიო ისტორია
World History**

თამარ ანთაძე – ვარლამ ჩერქეზიშვილი ნაპოლეონ მესამის
შესახებ

547

Tamar Antadze – VARLAM CHERKEZISHVILI ABOUT
NAPOLEON III

გურამ კუტალია – ლუთერი ქართულ ისტორიოგრაფიაში 562
Guram Kutalia – LUTHER IN GEORGIAN HISTORIOGRAPHY

მერაბ კალანდაძე – დიმიტრი უზნაძე ფრანგ განმანათლებ-
ლებზე

574

Merab Kalandadze – DIMITRI UZNADZE ON FRENCH
ENLIGHTENERS

**ეკლესიის ისტორია
Church History**

ეთერ ბოკელავაძე – საქართველოს მართლმადიდებელი ეკლე-
სიის ბრძოლა ავტოკეფალიისა და საპატრიარქო ღირსების
საერთაშორისო აღიარებისათვის და კონსტანტინეპოლის სა-
პატრიარქოს პოზიცია (XX საუკუნის 60-80-იანი წწ.)

608

Eter Bokelavadze – THE STRUGGLE OF THE GEORGIAN
ORTHODOX CHURCH FOR INTERNATIONAL RECOGNITI-
ON OF THE AUTOCEPHALY AND THE PATRIARCHAL TIT-
LE AND POSITION OF CONSTANTINOPLE PATRIARCHATE
(60-80S OF THE 20TH CENTURY)

- თამილა კოშორიძე** – ზედაჯვრის საკითხისთვის სოფ. დირბსა
და სოფ. ახალციხეში 629
- Tamila Koshoridze** – ZEDAJVRI'S ISSUES IN VILLAGES
DIRBI AND AKHALTSIKHE
- თამაზ ლაცაბიძე** – ნიკოლოზ ჩხეიძე - ქართლის მთავარეპის-
კოპოსი 642
- Tamaz Latsabidze** – NIKOLOZ CHKHEIDZE – THE ARCH-
BISHOP OF KARTLI
- ნიკოლოზ ჟერეტი** – დმანისის სიონის სამხრეთ მინაშენის
წარწერა (უცნობი ტექსტი, შინაარსი და თარიღი) 654
- Nikoloz Zhgenti** – THE INSCRIPTION OF THE SOUTH SIDE
CHAPEL OF DMANISI CATHEDRAL
- მაია შაორშაძე** – მიტროპოლიტ ნიკოლოზ ჩოლოფაშვილის
მოღვაწეობა სამებელის, რუსთველის და ამბა-ალავერდელის
საეპისკოპოსო კათედრებზე (1675-1720-იანი წლები) 672
- Maia Shaorshadze** – ACTIVITY OF THE BISHOP NIKOLOZ
CHOLOKASHVILI ON THE ARCHBISHOP'S SEATS OF SAM-
EBA, RUSTAVI AND AMBA OF ALAVERDI (IN 1675-1720)
- წყაროთმცოდნეობა**
Source Study
- ქთევან გიგაშვილი, გიორგი გოცირიძე** – ძალაუფლებისა და
საზოგადოების ურთიერთმიმართების კონტექსტი გრიგოლ
ორბელიანის წერილების მიხედვით 680
- Ketevan Gigashvili, George Gotsiridze** – CONTEXT OF
INTERRELATION OF POWER AND SOCIETY ACCORDING
TO GRIGOL ORBELIANI'S LETTERS

გიორგი გოცირიძე – XIX–XX საუკუნეების ქართველ მეცნიერ-ისტორიკოსთა პირადი წერილების მეცნიერული შესწავლის მნიშვნელობისათვის 698

George Gotsiridze – ON IMPORTANCE OF THE SCIENTIFIC STUDY OF THE 19TH-20TH CC. GEORGIAN SCIENTIST-HISTORIAN'S EPISTOLARY LEGACY

მარიამ მარჯანიშვილი – უნივერსიტეტის იუბილე ჟურნალ „კავკასიონის“ ფურცლებზე 712

Mariam Marjanishvili – UNIVERSITY JUBILEE ON “KAVKASIONI” PAGES

ნესტან სულავა – წმ. არსენ იყალთოელის ეპიტაფია („ვის ნაჭარმაგევს მეფენი“...) და ილია ჭავჭავაძის „დავით აღმაშენებელი“ 724

Nestan Sulava – EPITAPH OF SAINT ARSEN IKALTOELI (WHEN IN VENERABLE AGE...) AND ILIA TCHAVTCHAVADZE ABOUT DAVIT THE BUILDER

თამარ გოგოლაძე

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

„მოთხობანი საქართველოს წარსულიდან“ (დავით აღმაშენებელი)

ქართველი ერის ისტორიული წარსული, განსაკუთრებით ცხოვრება გამოჩენილი ქართველი მეფეებისა, პრესის განვითარებასთან ერთად (XIX საუკუნიდან) ხშირად იქცევა სამეცნიერო თუ მხატვრული ტექსტის შექმნის საფუძვლად. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა დავით აღმაშენებლის პიროვნება.

ჯერ კიდევ თავის ისტორიულ ნარკვეში (1801-1831 წ.წ.) 1837 წელს ქართველი რომანტიკოსი პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე, რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ I გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა, რომ მისი მიზანი იყო „ზოგად ნარკვევში აღვწერო თქვენი ხელქვეთი ქართველი ხალხის ცხოვრება, განვმარტო მისი წარსული და ამჟამინდელი მდგომარეობა... სხვა სახელმწიფოთა მსგავსად, საქართველოსაც ჰქონდა დიდება, ჰყავდა გმირები, მგოსნები და მწერლები“¹. აქედან გამომდინარე, „ქართლის ცხოვრებაზე დაყრდნობით ალექსანდრე ჭავჭავაძე ისტორიული თანმიმდევრობით ჰყვება მტრის შემოსევების, მათთან გამკლავების ამბებსაც. და პირველს, ქართველთა მეფეთა შორის, იხსენებს დავით აღმაშენებელს: „1089 წელს – საქართველოს მეფემ დავითმა, აღმაშენებლად წოდებულმა, აღადგინა საქართველოს ძველი საზ-

¹ ალ. ჭავჭავაძე, თხზულებები, „მერანი“, თბილისი, 1986, გვ. 205-206.

ღვრები. ამ დროს იწყება და 1223 გრძელდება ოქროს ხანა, რომელიც სახელგანთქმული თამარის მეფობასაც მოიცავს“.¹

1846 წელს ერეკლე II ასულის, თეკლა ბატონიშვილის, გარდაცვალების გამო პოეტი ალექსანდრე ორბელიანი ქმნის დრამას „დავით აღმაშენებელი ანუ უანასკნელი უამი საქართველოსი“, რომელიც წიგნად გამოსცა ზაქარია ჭიჭინაძემ 1891 წელს.

გრიგოლ ორბელიანის პოემა „სადლეგრძელოში“ მოხსენიებული დავით აღმაშენებელი, მხოლოდ საბოლოო ვარიანტში (1870 წ.) გამოჩნდა:

„დავით ჰეთევი: „იყავ ქალაქი!“ და აღმოცენდნენ ქალაქი!

განპვლე უდაბნო ოხერი, სავსედ დაბებით შეჰქმენი!

დაჰკარ წერაქვი, — და აღჩნდნენ ტაძარნი, ტურფად ნაშენი!

მუნ შენთან ღმერთსა ჰმადლობენ გალობით შენი ივერნი“².

თვით დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისა“ და მისი ცხოვრების აღწერანი ცალკე წიგნებად გამოდის 1865 წლიდან. 1880 წელს ხოტენოვი ვლადიმერისა და ოქონები სერგოს კრებულში შედის ლექსები საქართველოს ისტორიიდან, გამოჩენილ მეფეებსა და თვით დავით აღმაშენებელზე. ხოლო დავით აღმაშენებლის ცხოვრების აღწერა პირველად „მწყემსის“ რედაქტორს დავით ლამბაშიძეს ეკუთვნის და გამოცემულია ქუთაისში.

1892 წელს გ. ი. ხელაძის „სტამბაში, თბილისში, იბეჭდება „საქართველოს მეფე დავით აღმაშენებელი“. საყურად-

¹ იქვე, გვ. 207.

² გრ. ორბელიანი „თხზულებათა სრული კრებული“, „საბჭოთა მწერალი“, თბილისი, 1959, გვ. 192.

ღებოა, რომ 1894 წელს ნიკო წიზანიშვილი (ნ. ურბნელის ფსევდონიმით) აქვეყნებს მონოგრაფიას „მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დრო“.

1899 წელს ე.კ. ფსევდონიმით გამოდის „წმიდა დავით III აღმაშენებელი მეფე ქართველთა (1089-1125).“

ეს ვრცელი ჩამონათვალი დავით აღმაშენებლის ცხოვრება-მოღვაწეობისადმი მიძღვნილი თხზულებებისა დაგვჭირდა ძირითადი თემისათვის, როგორ და რატომ შეიტანა იაკობ გოგებაშვილმა თავის „ბუნების კარში“ განყოფილება „მოთხრობანი. საქართველოს წარსულიდან“, რომელშიც ცალკე თავი ეძღვნება დავით აღმაშენებელს, მის ცხოვრებასა და საგმირო საქმეთ. თავის ბოლოს კი ერთვის ნაწყვეტი გრ. ორბელიანის „სადღეგრძელოდან“ არა როგორც მონაკვეთს, არამედ „ლექსის“ ქვესათაურის ქვეშ წარმოდგენილს. სავარაუდოდ ეს ნაწყვეტი 1891-1891 წლებში გამოქვეყნებულ-გამოცემული პოემისა „სადღეგრძელო“ სავალდებულოდ მიუწნევია იაკობ გოგებაშვილს „ბუნების კარისათვის“, ხოლო, რაც შეეხება თავად მიზანს ისტორიული ამბების სახელმძღვანელოში შეტანისა, ავტორი ასე განმარტავს 1899 წლის გამოცემის წინასიტყვაობაში: „ჩვენი წიგნი რომ მარტო გონების გამდიდრებას მისდევდეს, ეს დიდი ნაკლულოვანება იქნებოდა, რადგან პატიოსანის, კეთილშობილის გრძნობების აღზრდა მოზარდი თაობის გულში კიდევ უფრო საჭირო და ძვირფასია, ვიდრე გონების გამდიდრება სხვადასხვა ცოდნითა...“

„აი რისთვის მივეცით ჩვენი წიგნის ყოველ განყოფილებაში დიდი ადგილი ეთიკურს, ალტრუისტულს ელემენტს, აღმზრდელობით შინაარსსა. მეტადრე გეოგრაფიულს, ისტორიულს და ქრესტომატიულს განყოფილებებში“.¹ ეს წინასი-

¹ ი. გოგებაშვილი, რჩეული თხზულებანი, ტ. IV, „განათლება“, თბილისი, 1990, გვ. 508;

ტყვაობა „ბუნების კარის“ X გამოცემას უძღვის წინ და, ბუნებრივია, ამისთვის წინა პერიოდი დავით ალმაშენებლის შესახებ არსებული გამოცემებისა საკმაოდ ვრცელია. ი. გოგებაშვილი აქ გამოკვეთს სწორედ სახელმძღვანელოს მნიშვნელობას, რომელიც „მტკიცედ უნდა იდგეს ეროვნულს ნიადაგზედ და ასწავლიდეს არა მარტო ქართულს მეტყველებას, არამედ აწმდგომსა და წარსულს სამშობლოსას“.¹

რას ემყარებოდა ი. გოგებაშვილის „დავით ალმაშენებელი“? სავარაუდოდ და აუცილებლადაც „ქართლის ცხოვრებას“, რაც შედარების გარეშეც აშკარაა, რამდენადაც საქართველოს წარსულიდან მოხმობილი „თავდადებული ქართველი ეჯიბი. ქართველთა მეფე გლეხის ქოხში სტუმრად“. ეს ამბავი ამოღებულია „ქართლის ცხოვრებიდან“ იაკობ გოგებაშვილის მიერ (1912).

თუმცა წყარო წინ უძვეს იაკობ გოგებაშვილს, იგი ცდილობს სწორედ პედაგოგიურად გამართული მიაწოდოს მოზარდს. ამიტომ მოთხოვობას დავით ალმაშენებელზე იწყებს იმ შთაბეჭდილებით ქვეყანაში შექმნილი მძიმე პოლიტიკური მდგომარეობის გამო, რასაც ბავშვობიდანვე შესწრებია მომავალი მეფე: „დავითი მეფობდა საქართველოში მეთერთმეტე საუკუნეში. თავისი ბავშვობის დროს დავითი გახდა მოწამე და მხილველი საქართველოს საშინელის უბედურებისა“²

ავტორი ყურადღებას ამახვილებს დავითის აღზრდაზე და იმ ფაქტსაც ააშკარავებს, რომელშიც ხალხი აიძულებსო მის დაუდევარ მეფეს დაუთმოს ტახტი ჭკვიან შვილს. არის კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი მოთხოვობიდან ამცნოს მოზარდ მკითხველს, რომ დავითის გამეფებამდე, გლეხს შეეძლო მხოლოდ მღვდლობამდე მიეღწია საეკლესიო იერარქიაში

¹ ოქვე, გვ. 506.

² ი. გოგებაშვილი, „ბუნების კარი“, თბილისი, 1912, გვ. 564.

და სწორედ დავითმა გაათავისუფლა ყმობისგან გლეხური წარმოშობის მღვდლები და „მიანიჭა დამოუკიდებლობა და უფლება ეპისკოპოზად კურთხევისა“¹ ყურადღება მახვილდება დავითის ზრუნვაზე ქართველთა განათლებისათვის და თავად მის წიგნიერებაზეც.

და ბოლოს დავით აღმაშენებლის იდეალიც, რომ მეფე ყველას ხიბლავდა კაცთმოყვარეობით, უყვარდა ხალხი და თავისი თავი თითქმის დავიწყებული ჰქონდა, ამავე დროს უყვარდა ღვთისმსახურება „ამის გამო დავითი ქართველმა ხალხმა და ეკკლესიამ წმიდათა თანა შერიცხეს...“²

გოგებაშვილის სწრაფვაა აჩვენოს მოზარდ მკითხველს როგორი იყო ისტორიული პიროვნება და, საერთოდ, როგორი უნდა იყოს მეფე. ბუნებრივია, საქართველოში იმ დროისათვის უნდა ცნობილი ყოფილიყო დავით აღმაშენებლის ფრესკაც, მაგრამ ავტორმა ცნობილ ქსილოგრაფის, გრიგოლ ტატიშვილს, შეუკვეთა მისი პორტრეტი, რომელსაც ოვალური ფორმა აქვს, დავითის მარცხენა ხელი სატევარის თავის-თვის მოუკიდია, რომელიც ერთგვარად ჯვარსაც მიაგავს. სახე ტრაგიკულია, გამოხედვა მტკიცე და შეუვალი. იქვეა გრ. ტატიშვილის გვარის ფაქსიმილის ნაწილიც - „ტ“.

დავით აღმაშენებელზე ქადაგება აღუვლენია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ლეონიდეს (1860-1821). 1914 წელს პირველად დაბეჭდილა მისი „სიტყვანი და მოძღვრებანი ქ. ფოთში“.

ლეონიდის ქადაგებანი იყო მარტივი, უბრალო ენით „არ გამოირჩევა მრავალფეროვნებითა და ინფორმაციული ტე-ვადობით“, მაგრამ იგრძნობა ერთგვარი რომანტიკული განწყობაც, ძველი საქართველოს გადაეალებაც. „ლეონიდე კარგი

¹ იქვე, გვ. 566.

² იქვე, გვ. 568.

მცოდნე ყოფილა საღმრთო წერილისა, საეკლესიო ისტორიისა, ღვთისმსახურებისა, საგალობლებისა. მას უხვად მოჰყავს ციტატები ძველი სასულიერო ლიტერატურისაგან, ხანდახან კი პერიფრაზს აკეთებს“.¹

ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მოწაფეთადმი წაკითხულ ქადაგებაში „წმიდა დავით აღმაშენებლის დღეს“, ლეონიდე ჯერ ატარებს საღმრთო წირვას და სავედროებელ პარაკლისს დავით აღმაშენებელზე და, დასაწყისშივე მიმართავს რა მოზარდებს, აღნიშნავს: „უეჭველია, გაგონილი გექნებათ ოქვენი აღმზრდელებისგან და გეცოდინებათ, რომ ხსენებული წმინდანი იყო მეფე საქართველოს. იგი ცხოვრობდა შორეულს დროს, – რვაასი წლით უწინარეს ჩვენსა. ადვილი და სასუბუქო როდია, სულიერო შვილებო, სავსებით, ცხოველად და ნათლად გათვალისწინება იმ სატირალი მდგომარეობისა, იმ განადგურებისა და მიწასთან გასწორებისა, რომელშიც იმყოფებოდა ჩვენი სამშობლო დავით აღმაშენებლის ტახტზე ასვლის დროს“.²

კათოლიკოსი ცდილობს თავი არ შეაწყინოს მსმენელს დავით აღმაშენებლის ცხოვრების აღწერით, მხოლოდ ყურადღებას ამახვილებს მის ღვაწლზე ქვეყნის წინაშე, აქვე გამოკვეთს იმ ფაქტსაც, რომ მტრის მიერ დავით მეფისათვის გამიზნული ისარი მოხვდა მაცხოვრის ოქროს ხატს და მეფე გადარჩა.

კათოლიკოსი ლეონიდე მოსწავლეთ მიანიშნებს იმაზე, რომ „თქვენ დაკავშირებულნი ხართ წმ. დავით აღმაშენებელთან იმ მეცნიერების მხრით, რომელსაც თქვენ იძენთ ამ სასწავლებელში, თქვენ გაახლოვებთ დაგითის წმინდა სულთან შესწავლა და შეთვისება ღვთის სიტყვისა, რომლითაც იწვრ-

¹ საეკლესიო კალენდარი, 1990, გვ. 120.

² იქვე, გვ. 179.

თიდა სსენებული წმიდა გონებას. ყოველ მარჯვე წამს და რომელ სწავლასაც ჰსიტვლიდა ყოველ სწავლაზედ უძვირფასესად“¹

აშკარაა კათოლიკოს-პატრიარქის ქადაგების მიზანია აჩვენოს მოზარდს, თუ როგორ შეიძლება იქცე ჭეშმარიტ მორწმუნედ, საიდან აიღო მაგალითი და როგორ შეძლო წიგნის საშუალებით გაცნობიერდე, იყო ბეჯითი და მიზანსწრაფული.

ამდენად, თითქმის XIX საუკუნის ქართულმა მწერლობამ, პედაგოგიურმა და სასულიერო წოდების წარმომადგენლებმა თავისი ტექსტებით (თუმცა მათი წყარო ხშირ შემთხვევაში იყო „ქართლის ცხოვრება“) სწორედ მეფე დავით აღმაშენებლის, წმინდანის იდეალით დაუსახეს მომავალ თაობებს ერთგვარი მაგალითი ერისთვის თავდადებული ადამიანისა, რაც მიიღწევა ღვთის რწმენით, ქვეყნის ხსნაზე ფიქრით, ღარიბ-გაჭირვებულებზე ზრუნვითა და, რაც აუცილებელია, წიგნიერებით. სწორედ ეს გახდა საფუძველი XX საუკუნეში მისი პოპულარობის გაზრდისაც.

დამოწმებანი:

1. ალექსანდრე ჭავჭავაძე, თხზულებები, „მერანი“, თბილისი, 1986;
2. გრიგოლ ორბელიანი, თხზულებათა სრული კრებული, „საბჭოთა მწერალი“, თბილისი, 1959;
3. ახალი ქართული ლიტერატურა (XIX ს.), ქრესტომათია, ტ. I, თსუ, 1979;
4. o. გოგებაშვილი, რჩეული თხზულებანი, ტ. IV, „განათლება“, თბილისი, 1990;

¹ იქვე, გვ. 181

5. ქართული წიგნი, ბიბლიოგრაფია, წ. I, „წიგნის პალატა“, თბილისი, 1941;
6. ი. გოგებაშვილი, „საგანძურო“, „განათლება“, თბილისი, 1982;
7. ი. გოგებაშვილი, „ბუნების კარი“, 1912;
8. საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1990.

Tamar Gogoladze

Gori State Teaching University

**HISTORIES FROM THE PAST OF GEORGIA
(DAVID THE BUILDER)
RESUME**

The historical past of the Georgian nation, particularly the history of outstanding Georgian Kings, the history of David the Builder, who is known as the Saint of the Georgian often becomes the basis of the development of the scientific or artistic text. Earlier poets highlighted the facts (Al. Chavchavadze, Gr. Orbeliani, Al. Oberbeliani,) and in the 60-90s (D. Ghambashidze, Niko Khizanashvili, etc.) are describing the lives of popular kings scientifically.

Iakob Gogebashvili in the for th part of "The Bunebis Kari" (1912)mentions certain "episodic stories from Georgian past life, including historical poems depicting major historic figures". It aims to show the pupils the most important historical moments, "historical corpses", their bravery, self-esteem, care for nation's education and well-being. King David the Builder, who is known for his great deeds, is described in an easy, perceptible way for pupils I. Gogebashvili also inserts

the extract form “The Sadghegrdzelo” (The Toast) by Gr. Orbeliani - "David the Builder's Contribution" (a poem).

The preaching served in "St. David the Builder's Day" are published in the collection of sermons of the Catholicos-Patriarchate Leonido Okropiri (1914, Poti) which is more or less following the text published in “The Bunebis Kari”. The above article is also dedicated to these issues.

ელდარ თავბერიძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ილია ჭავჭავაძე დავით IV აღმაშენებლის შესახებ

1888 წელს გაზეთ „ივერიაში“ (№133) დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის წერილი „დავით აღმაშენებელი“, რომელიც ლე-გენდარული ქართველი მეფის მოსახსნიებელი დღისათვის, 26 იანვრისთვისაა სპეციალურად შეთხზული. წერილის პირველ ნაწილში ავტორი ზოგად თეორიულ დასკვნებსა და შეხედულებებს გვთავაზობს ერის ისტორიის ცოდნისა და ხსოვნის აუცილებლობის შესახებ, გამორჩეულ პიროვნებათა როლისა და მნიშვნელობის საკითხზე ერის სასიცოცხლო პრობლემების გადაწყვეტის საქმეში. დიდი ილიას აზრით, ერმა შეუძლებელია ისტორიის გარეშე იარსებოს, წარსულის ცხოველმყოფელი ხიბლი და მადლი მარად თანამგზავრად უნდა გასდევდეს ერის აწმონისა თუ მომავალს. ასეთი აზრი მწერალს არაერთგზის განუვითარებია თავის მხატვრულ ნააზრევში. „დავით აღმაშენებელზე“ საუბარს კი ასე იწყებს: „არ ვიცით სხვა როგორ ჰყიქრობს და ჩვენ კი ასე გვვონია, რომ ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი თავის საუბედუროდ თავის ისტორიას ივიწყებს“¹.

ზემოთ მოტანილ სიტყვებში, ილიას შემოქმედებაში არაერთგზის გამუდავნებული შეხედულებაც ადვილად შეიძლება ამოიცნოს მკითხველმა - ენის წახდენა ერის დაცემის და კვდომის ტოლფასია, - „რა ენა წახდეს, ერი დაეცეს“, ხოლო ერი საბოლოოდ მაშინ კვდება, როცა იგი თავის ის-

¹ ი. ჭავჭავაძე, რჩეული, ტ. IV. თბ., 1987, გვ. 153.

ტორიას ივიწყებს. ასეთ დიალექტიკურ მთლიანობაში განიხილავდა წიწამურის ტრაგედიის გმირი ერთმანეთთან მყარად გადაჯაჭვულ და ერთმანეთით აბსოლუტურად განპირობებულ სამ ფენომენს - ერს, მის ენას და ისტორიას.

იღვა ჭავჭავაძის აზრით, ისტორიადავიწყებული ერი ისევე არ შეიძლება ერად იხსენიებოდეს, როგორც ის მაწანწალა ბოგანა კაცად, „ვისაც აღარ ახსოვს ვინ არის, საიდან მოდის და სად მიდის“¹. იგია მთხრობელი მისი თუ, „რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შესაძლოა ვიყვნეთ კვლავა-დაც“². ჯერ ერთი, ასეთი სხარტი და ყოვლისმომცველი განმარტება ისტორიისა ძნელად შეიძლება სადმე ნახოს კაცმა და, მეორეც, მასში გენიოსისათვის ნიშანდობლივი სწორუპოვრობითაა კონცენტრირებული ისტორიის შესასწავლი, ერთმანეთისაგან განსხვავებული სამი დროითი მყოფობა - წარსული, აწმყო და მომავალი. იღვა აზრით, ისტორია მომავალსაც საზღვრავს, „რად შესაძლოა ვიყვნეთ კვლავადაც“, სწორედ ერის წარსულში დაგროვებული და იმ უამისათვის არსებული სასიცოცხლო ენერგიითაა განპირობებული. ერის შენახვის, გადარჩენისა თუ სამომავლო აყვავება-გაფურჩქვნის პოტენცია და შესაძლებლობა მის წარსულსა და აწმყოშია ჩადებულ-ჩაკირული. „ისტორია თავის გულისფიცარზედ იჭდება მარტო სულისა და გულის მოძრაობას ერისას და ამ დაჭდევითა, როგორც სარკე, გვიჩვენებს იმ ღონესა და საგზალს, რომელიც მომადლებული აქვს ამა თუ იმ ერსა დღე-გრძელობისა და გაძლიერებისათვის“². ეს აზრი პოეტურად ასე გაგვიძნილა იღვა ჭავჭავაძემ: „აწმყო შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა“. აქაც დიალექტიკური მთლიანობაა განსხვავებულ დროით კატეგორიებს შორის -

¹ იქვე.

² ი. ჭავჭავაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 153.

წარსულის გულის - ფიცრის ნაჭდევი, ღონე და საგზალი აწმყოს გადაეცემა ერის დღეგრძელობისა და გაძლიერებისათვის, აწმყოსი კი - მომავალს. მაგრამ ისტორია, ილიას სიტყვების პერიფრაზი რომ გავაკეთოთ, - თავის გულისფიცარზედ ერის სულისა და გულის მოძრაობას იჭდევს მხოლოდ და არა უმოქმედობას და ინერტულობას. აქაც პარალელი შეიძლება მოვძებნოთ დიდი მწერლის არაერთ ნაწარმოებთან, სადაც იგი მარადიული მოძრაობისა და განახლების აზრს გვიზიარებს.

ილია ჭავჭავაძე ჩვენთვის საინტერესო წერილში გვეუბნება, რომ ჭეშმარიტი ერისკაცი და მამულიშვილი, „უკეთესი და უდიდესნი მოქმედნი ერისა“ ამა თუ იმ ისტორიულ სიტუაციაში ერის გულისნადების, სურვილის, წადილისა და ინტერესების მყაფიო გამოქტყველნი და გამახორციელებელნი არიან. ისინი თავისი საქმიანობით „თითქო ჰქმნიან ისტორიას“. ესეც საინტერესო აზრია. სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებულია აზრი (რომლის საფუძველსაც ილიას გამონათქვამები იძლევა - ე. თ.) იმის შესახებ, რომ ილიას ისტორიის შემოქმედად ხალხი მიაჩნდა და არა ცალკეული პიროვნებანი. ილია ხომ აშკარად მიუთითებდა ჩვენი ისტორიის ნაკლზე იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენ მეფეების ისტორია გვაქვს „საქმე ხალხია და ხალხი კი არსად სჩანს“¹. „თითქო ჰქმნიან ისტორიას“ კვლავ ადასტურებს ილიას შეხედულებას ხალხისა და პიროვნების როლის შესახებ. „თითქო“, სწორედ იმას უნდა ნიშნავდეს, რომ პიროვნებას, მეფესა თუ მეფეთ-მეფეს, მართალია ერთ-ერთი გადამწყვეტი ფუნქცია აკისრია ისტორიის განვითარებაში, მაგრამ არა საბოლოოდ ერთადერთი და გადამწყვეტი. წერილის ავტორი გვეუბნება, რომ ერმა არ უნდა დაივიწყოს თავისი ჭეშმარიტი შვი-

¹ იქვე, გვ. 151.

ლი, მისი გულისა და სულის მოძრაობის განმახორციელებელი. თუ ერს „მტვერსავით ასაგველად არ გადუდვია თავი“.¹ გამორჩეულ ისტორიულ პირთა დავიწყება საკუთარი ვინაობის დავიწყებაცაა, უკუგდებაცაა, რადგან თითოეული ადამიანის მეობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი - წინაპარია. ილიას აზრით, გამორჩეული ისტორიული პიროვნებანი ჭეშმარიტი საწყაოა იმისა, თუ რა სიმაღლეს შეუძლია ერმა მიაღწიოს ამა თუ იმ ისტორიულ ვითარებაში.

ილია ჭავჭავაძე იმასაც გვიდასტურებს, რომ ერის ჭეშმარიტ შვილთა არღავიწყება და გახსენება სამომავლო ფარხმალსაც ჭედავს, მათი საქმენი დღესაც ცოცხლობენ და მათ ნიადაგზე უკეთესობისაკენ სწრაფვის სურვილები იბადებიან, რომლებიც სამომავლოდ კიდევ უფრო უნდა გაღრმავდეს და განვითარდეს: „თუ გუშინ იყვნენ ჩემის სისხლისა და ხორცის დიდებული სახელოვანნი კაცნი, რა მიზეზია, რომ ზვალაც არ გამოჩნდებიან, თუ გარემოების იგივეობას ვიგულის-ხმებთ“¹. ე. ი. გმირებს დრო და ვითარება წარმოშობთ და ისინი კი თავისთავად სამომავლო ჭაპანს ეწევიან. ილია ჭეშმარიტი გმირების არდავიწყება - გახსენებით აწმყოს გაკეთილმობილების იდეას გვთავაზობს, რადგან უკეთესი წარსულის გახსენება შედარებით მწირ და უგემურ ამჟამინდელ ყოფას უკეთესობისაკენ უქაღავებს.

ილია ჭავჭავაძის აზრით, ძევლი დროის გმირებში ერი „თავის სულსა და გონებას პოულობს, თავის მწვრთნელსა, თავის ღონეს და შესაძლებლობას, თავის ხატსა და მაგალითს“.

სანამ უშუალოდ დავით აღმაშენებელზე დაიწყებდეს თხრობას, ილიას სენეკას ცნობილი სიტყვები მოჰყავს: „ჩვენ-თვის ადამიანებისათვის საჭიროა, ამბობს ბრძენი სენეკა,

¹ ი. ჭავჭავაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 152.

იმისთანა კაცი, რომ მის მიხედვით და მაგალითით შევიძლოთ საკუთარის ხასიათის გაწვრთნა და განმტკიცებაო, ოპ, რა ბედნიერია იგი, რომელიც არამც თუ ჩვენთან ყოფნით გვწვრთნის ჩვენ, არამედ მარტო თავის სახელის ხსენებითაცაო¹. ილიას სწორებ ასეთ პიროვნებად მიაჩნდა დავით აღმაშენებელი, რომელმაც თავისი დიდი ღვაწლითა და ამაგით სამუდამოდ დაიმკვიდრა უკვდავი გმირის სახელი ქართველის გულში.

საქართველოს ისტორიაში წოდება - აღმაშენებელი ერთადერთს - დავით IV-ს ხვდა წილად. ამის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი წერს: „ხოლო მეფესა დავითს ამისთვის ეწოდა აღმაშენებელი, რამეთუ ოდეს იქმნა მეფედ, იყო ქვეყანა ესე სრულად ოხერი; ამან განავსნა და აღაშენნა, რომელ არღარა ეტეოდა ამით, რამეთუ იყო მოშიში და მოყუარე ღვთისა, გლახაკთა, ქურივთა და ობოლთა მოწყალე სნეულთა თვითმსახური, ეკლესიათა, ქსენონთა მაშენებელი ...“ და სხვ².

აქ ერთი წინადადებით დახასიათებულია ქვეყნის მძიმე მდგომარეობა და ასევე მოკლედაა ნათქვამი დავითის წვლილზე ქვეყნის აღმავლობასა და აღმშენებლობით საქმიანობაზე. მართლაც, XI საუკუნის 80-იანი წლების ეკონომიკურად დაქვეითებულ და პოლიტიკურად დასუსტებული საქართველოს მოევლინა პიროვნება, „რომელმაც მოახერხა დაქსაქსული მოსახლეობის მობილიზება, მომზღვრი მტრის დამარცხება და ქვეყნის აღმავლობის გზაზე დაყენება“³.

¹ იქვე.

² ვ. ბატონიშვილი, აღწერა სამეცნისა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება. ტ. IV, თბ., 1973, გვ. 163.

³ რ. მეტრეველი, დავით IV აღმაშენებელი. თბ., 1990, გვ. 9.

ილია ჭავჭავაძის წერილი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ ლეგენდარული მეფის მოსახსენიებელი დღის, 26 იანვრისთვისაა სპეციალურად დაწერილი. მართლაც საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ დავით აღმაშენებელი წმინდანად შერაცხა და მისი ხსენების დღედ 26 იანვარი დააწესა¹. მწერალი განსაკუთრებით უსვამს ხაზს იმ ფაქტს, რომ ქართული ეკლესია ყოველთვის პატრონობდა თავის ერს და ყოველი წლის 26 იანვარს ქებასა და დიდებას უძღვნიდა დავით მეფეს. ქრისტიანობა ილიას მიაჩნდა პიროვნების სრულყოფისა და სულის მხსნელ რელიგიად. ჩვენთვის საინტერესო წერილში კი გვეუბნება, რომ ქართული ეკლესია ქართველსა და საქართველოსთვის წამებულ გმირებს არ ივიწყებდა და ლოცვა-კურთხევით მოიხსენიებდა მათ ყოველთვის. მწერლის აზრით, დავით აღმაშენებელმა ერთად მოუყარა თავი ქართველებს, აოხრებული ქვეყანა ააშენა, მტერი გაუფრთხო და გაუფანტა. „დღეს თუ ჩვენ ჩვენს ბინაზედ ვართ, - ეს იქნება მისი ღვაწლი“. ილიას ამ სიტყვებში ჩადებულია ყველა ის საქმიანობა, რომელსაც მთელი თავისი მეფობის მანძილზე ეწეოდა დავით აღმაშენებელი. მასში იგულისხმება დავით მეფის ბრძოლა დიდგვაროვან ფეოდალებთან და კახეთ-ჰერეთის შემომტკიცება. გარდაქმნები ეკლესიაში, ჭყონდიდელ-მწივნობართუხუცესის თანამდებობის დაწესება, ლაშქრის რეორგანიზაცია, დიდგორის ბრძოლა და თბილისის შემოერთება, სოფლის მეურნეობის აღდგენა-აღორძინება, ქალაქებში ვაჭრობისა და ხელოსნობის გამოცოცხლება და სხვ.

ილია ჭავჭავაძე თვლის, რომ დავით IV აღმაშენებელი არა მარტო თავისი მეფობითაა გამორჩეული სხვათაგან, არა მედ იმითაც, რომ იგი იყო საოცრად დიდბუნებოვანი კაცი,

¹ რ. მეტრეველი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 9.

„თავგადადებული მოყვარე თავის ეროვნებისა და მართლმადიდებელის სარწმუნოებისა“. დიდი მწერლის ეს სიტყვები საოცრად თანხვდება აღმაშენებლის მეფობისა და საქმიანობის ყოველგვარ წვრილმან საკითხსაც კი. განა მართლმადიდებელი სარწმუნოების თავგადადებულ მოყვარედ არ შეიძლება მივიჩიოთ გელათის აღმშენებელი და „გალობანი სინანული-სანის“ ავტორი, რომლის მეცხრე გალობაში იგი წერს: „უში რაი წვლილთა და ხმელთა აღმოფშვნათავ წარმოდგეს, ზარი მეფობისავ წარხდეს და დიდებავ დაშრტეს, შეუბანი უქმ იქმნებ, ყუავილოვნებავ დაჭრეს, სხუამან მიიღოს სკიპტრავ, სხვასა შეუდგენ სპანი, მაშინ შემიწყალე მსაჯულო ჩემო“¹.

როგორც ვხედავთ ლეგენდარული მეფე ქართველთა შეწყალებასა და მფარველობას შესთხოვდა ღმერთს მაშინ, როცა სხვა გახდებოდა მეფე და ქვეყანაც მისი საგამგებლო შეიქმნებოდა.

ილია დავით აღმაშენებლის დიდბუნებოვანობის დასტურად დ. ბაქრაძის წიგნიდან ციტატასაც მოიხმობს. ასე მაგალითად, წერილში დავით აღმაშენებლის სომხებთან დამოკიდებულების საილუსტრაციოდ ვარდან დიდის სიტყვებია მოყვანილი: „დავითს არავითარი სიძულვილი არა ჰქონდა სომხების წირვა-ლოცვისა და ეკლესიისა, იგი ხშირად იდრეკდა თაგს ჩვენს ხელქვეშ და ითხოვდა ჩვენს ლოცვა-კურთხევას“².

სწორედ ასეთი სანდო ცნობები მოაქვს ილია ჭავჭავაძეს დ. ბაქრაძის ნაშრომიდან, რათა კიდევ ერთხელ ცხადყოს დიდბუნებოვნება და მისი შემწენარებლური დამოკიდებულება სომხეთისა და სომხური ეკლესიისადმი.

¹ ქართული პოეზია, ტ. I, თბ., 1979, გვ. 172.

² ი. ჭავჭავაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 155.

მწერალი განსაკუთრებით უსვამდა ხაზს იმ ვითარებას, რომ დავით აღმაშენებელი ჯერ კიდევ XII საუკუნეში იძლეოდა საოცარი მიმტევებლობისა და შემწყნარებლობის მაგალითს, მაშინ, როცა XIX საუკუნეშიც კი ასეთი ზნეობრივი პრინციპები გასაკვირველია და იშვიათი. ყოველივე აქედან იმ დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ ზნეობრივი კათარზისი „ძლევად საკვირველის“ ეპოქის დამახასიათებელი მოვლენა იყო. დავით აღმაშენებლის დასახასიათებლად ილიას წერილ-ში მათე ედესელის სიტყვები მოყავს: „დავით იყო წმინდა, კეთილმსახური, საგსე ქველმოქმედებით და მართლმსაჯული, დავითის გარშემო იქრიბებოდა დანარჩენი სომეხთა ნათესავი, რომელთავის მან დააფუძნა საქართველოში ქალაქი გორი, სადაც მრავალი ეკლესია და მონასტერი ააშენა. მიაგო ჩვენს ნათესავს ყოველგვარი ნუგეშის ცემა და შვება“¹. მართლაც, დავით აღმაშენებელი ყოველმხრივ უწყობდა ხელს საქართველოში მცხოვრებ სომხებს, „რათა ამ უკანასკნელთ ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა მიეღოთ. შემთხვევით არ იყო, რომ საქართველოს მეფემ ძველი ციხე-გორი აღადგინა, დააარსა ქალაქი და შიგ სომხები ჩაასახლა“².

დავით აღმაშენებელმა ყოველნაირად შეუწყო ხელი სომხური ეკლესიის აღორძინების საქმეს. „მეფის პოლიტიკა გამორიცხავდა სომხური მოსახლეობის ქართულ ქრისტიანობა-ში გადასაყვანად რაიმე სახელმწიფოებრივი აქტის გატარებას“³.

¹ იქვე.

² დ. გვრიტიშვილი, გორის ისტორია, თბ., 1954, გვ. 54.

³ ბ. ლომინაძე, სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა VIII-XII საუკუნეების საქართველოში, კრებული საქართველო რესთაველის ხანაში. თბ., 1966, გვ. 90.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ილია ჭავჭავაძემ და-
ვით აღმაშენებლის თვისებათა წარმოჩნის დროს არნახული
ხერხი იხმარა, სხვა ხალხებისათვის სამაგალითო ხერხი;
ქართველთა სათაყვანებელი მეფე არაქართული წყაროებით
დახსასათა, მაგრამ როცა უცხოური და ქართული წყაროები
დავით IV-ის შესახებ თითქმის იდენტურ ცნობებს გვაწვდი-
ან, აյ დავითის დიდბუნებოვნება და მიმტევებლობა აშკარად
იგრძნობა.

XII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოში სა-
ხელმწიფო ხელისუფლება თავის რელიგიურ პოლიტიკაში
ატარებდა სარწმუნოებათა თავისუფლების – რჯულშემწყნა-
რებლობის პრინციპს, რაც იმ პერიოდისათვის მეტად უჩვეუ-
ლო მოვლენა იყო. „ქართველი ისტორიკოსები (მემატიანები)
სამეფო ხელისუფლების რჯულშემწყნარებლური (ტოლერან-
ტული) პოლიტიკის შესახებ ძალზედ ძუნწ ცნობებს გვაძლე-
ვენ ... ალბათ იმდენად ჩვეულებრივი იყო იმ ეპოქის საქართ-
ველოსათვის რჯულშემწყნარებლური ტენდენციები, რომ სა-
განგებოდ ამ საკითხის გაშუქება აუცილებლობას არ წარმო-
ადგენდა ქართველ მემატიანეთათვის. სამაგიეროდ, თითქმის
ყველა უცხოელი ისტორიკოსი, რომელიც ამ პერიოდის საქა-
რთველოს შეხხო არ დარჩენილა გულგრილი ქართველ მეფე-
თა ტოლერანტულობისადმი და საგანგებო მინიშნებებით მოგ-
ვცეს იგი“¹

ილია ჭავჭავაძის აზრით, დავით აღმაშენებლის დიდბუ-
ნებოვნების მადლი მაპმადიან ხალხებსაც მოეფინათ. ესეც
საკვირველი ფაქტია, რადგან მაპმადიანი ისტორიკოსი იმის
ნაცვლად, რომ წინააღმდეგობას უწევდეს ქართველ მეფეს,
მისადმი მოწიწებითა და პატივისცემითაა გამსჭვალული. ამის
დასტურად ილიას არაბი ისტორიკოსის ალ-ფარიკის სიტყვე-

¹ რ. მეტრეველი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 218.

ბი მოპყავს: „დავითს სთხოვეს მუსულმანებმა, რომ ქრისტიანეთ არა ჰქონოდათ ნება მუსულმანებთან ერთად შესვლისა აბანოში და აღეკრძალნა გიაურებისათვის მათი ავად ხსენება. დავითმა ყოველივე ეს თხოვნა აუსრულა... დავითი უფრო მეტს პატივსა სცემდა მუსულმანთა, ვიდრე მთავარნი მუსულმანთანი“¹.

მწერალი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდა იმ გარემოებაზე, რომ დავით აღმაშენებელი დიდბუნებოვნებას იჩენდა მაშინ, როცა იგი გაძლიერებული, განმტკიცებული, უძლეველი მეფე იყო. ასე, რომ მისთვის ფაქტიურად შეუძლებელი არ არსებობდა და ამ დროს იჩენდა დავით აღმაშენებელი დიდ მიმტკიცებლობას და შემწენარებლობას.

ქართულ ისტორიოგრაფიაში კარგად არის ცნობილი, რომ დამპყრობელთადმი პოლიტიკური მტრობა საქართველოში არ გადაზრდილა სარწმუნოებრივსა და ეროვნულ მტრობაში. რელიგიური ფანატიზმი ქართველი ხალხისათვის მიუღებელი იყო, მაგრამ მუსულმანური ქვეყნების კულტურისადმი პატივისცემა საქართველოში იმთავითვე იყო. აკად. ივ. ჯავახიშვილს საგანგებოდ მოჰყავს მუპამედ ალ-პამავის ცნობა იმის შესახებ, რომ დავით აღმაშენებელი ისლამის დიდი მცოდნე იყო და განჯის ყადის ზშირად იმაზეც კი ეკამათებოდა, თუ ყურანი როგორ და საიდან წარმოსდგაო².

ისმის კითხვა, თუ რამ განაპირობა საქართველოს სამეფო ხელისუფლების ასეთი რჯულშემწენარებლური პოლიტიკა³: ამ საკითხთან დაკავშირებით მოვუსმინოთ აკად. როინ მეტრეველს: „ამ ფაქტის დავით აღმაშენებლის, ან სხვა მეფეების სუბიექტური სურვილის შედეგად მიჩნევა არასწო-

¹ ი. ჭავჭავაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 156.

² ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია II, თბ., 1966, გვ.

რი იქნება. სამეფო ხელისუფლების რჯულშემწყნარებლური პოლიტიკა როგორც მუსულმანების, ასევე გრიგორიანებისა და ებრაელი მოსახლეობის მიმართ გარკვეული აუცილებლობით იყო ნაკარნახევი. სახელმწიფოს სიძლიერისთვის სხვა კომპონენტებთან ერთად საჭირო იყო ცხოველი ვაჭრობის განვითარება, ამისათვის ბუნებრივია, მძლავრი სავაჭრო ფენის არსებობის აუცილებლობა შეიქმნა. ვაჭრები საქართველოში ძირითადად სომხები, მუსლიმანები და ებრაელები იყვნენ და, რა თქმა უნდა, მათი შეუწყნარებლობა სხვა რჯულზე ყოფნის გამო ქვეყნისათვის გაუმართლებლად უსარგებლო იქნებოდა¹. ვფიქრობთ, მეცნიერის ეს მოსაზრება დასმულ კითხვას ამომწურავ პასუხს სცემს.

იღია ჭავჭავაძე თავის პუბლიცისტურ წერილს „დავით აღმაშენებელი“ შემდეგი სიტყვებით ამთავრებს: „კაცს ორი სახელი უნდა ჰქონდესო - ამბობს ჩვენი ერი, - ერთი აქ და-სარჩენი. მეორე თან წასაყოლიო. ეს ანდერძი ქართველისა ისე არავის შეუსრულებია, როგორც დავით მეფესა. აქ აღმაშენებლის სახელი დარჩა, როგორც მეფეს, და იქ, როგორც დიდუნებოვანმა კაცმა წაიყოლა სახელი წმინდანისა, დიდების გირგვინით შემკობილი“².

ამრიგად, წინამდებარე ნაშრომში მიზნად დავისახეთ გაგვეანალიზებინა იღია ჭავჭავაძის შეხედულება საქართველოს ისტორიის ისეთი გამორჩეული პიროვნების შესახებ, როგორიცაა „ძლევად საკვირველის“ შემოქმედი დავით აღმაშენებელი, რადგან ვფიქრობთ, რომ ამ ისტორიული პიროვნების იღიასეული შეფასება მისივე ეროვნული მსოფლმხედველობის კონკრეტულ გამოძახილად შეიძლება მივიჩნიოთ.

¹ რ. მეტრეველი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 221

² ი. ჭავჭავაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 156

დამოწმებანი:

1. ვ. ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება. ტ. IV, თბ., 1973.
2. დ. გვრიტიშვილი, გორის ისტორია, თბ., 1954.
3. ბ. ლომინაძე, სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა VIII-XII საუკუნეების საქართველოში, კრებული საქართველო რუსთაველის ხანაში. თბ., 1966.
4. რ. მეტრეველი, დავით IV აღმაშენებელი. თბ., 1990.
5. ქართული პოეზია, ტ. I, თბ., 1979.
6. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია II, თბ., 1966.
7. ი. ჭავჭავაძე, რჩეული, ტ. IV. თბ., 1987.

Eldar Tavberidze
Akaki Tsereteli State University
**ILIA CHAVCHAVADZE ABOUT
DAVID IV THE BUILDER
RESUME**

In 1888 Ilia Chavchavadze's letter "David the Builder" was printed in the newspaper "Iveria" (N133). This letter was specially published for the legendary Georgian King's Day 26 January. In the first part of the letter he tells us general theoretical conclusions and opinions about the necessity of the knowledge and memory of the nation's history. Ilia thinks that the nation can not be existed without history, the charm and grace of the past, must follow the present or follow the present or future of the nation,

In the letter Ilia Chavchavadze tells, that the true layman and patriot have a clear vision of the hearts, wishes and interest of the nation in any situation. That person is considered by the author David the builder, who aquired the name of the immortal hero forever in the heart of Georgian by his great contribution and eternity. Ilia thinks thad David the builder gathered Georgians together, built the ruined country and scared the enemy. “Today if we are in our houses – it will be his contribution”. Ilia’s these words include all the activities that are done by David the builder during his reign. It involves King David’s fight against the noble feudal and joining of Kakheti-Hereti, changes in the churches, establishment of the different positions, battle of Didgori and joining of Tbilisi, revival of agricultural farm and so on.

Ilia Chavchavadze considers that David IV the builder was famous not only fot his reign, he also was a very good-natured man, who loved his nation and the Orthodox faith so much too.

In this work we aimed to analyze the views of Ilia Chavchavadze about the famous person of the history of Georgia, such as the create of “The ancient marveling stories”, Davdt IV the builder, as we think Ilia’s estimation about this historical person can be regarded as a concrete expression of his national ideology.

**ციალა მესხია, ირმა სორდია
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**დავით აღმაშენებლის სახე ქართულ პოეზიაში
(ვაჟა ეგრისელი)**

„ძკითხველს საშუალება ეძლევა თვალი გადაავლოს
ჭეშმარიტ პოეტისეულ მსვლელობას ამ უკიდეგანო მზისქვე-
შეთში და დარწმუნდეს იმაში, რომ შემოქმედს გრძნეული
ხილვები თავის ათასოფეროვან პანოზე ოდენ სილამაზისათვის
კი არ გამოუხმია, არამედ და, უპირველეს ყოვლისა, ჩვენს
საწალმართო ფიქრთაღსაძრელად და ამქვეყნად წინაპართა
კვალზე მოსული ქართველისათვის თავის მამულიშვილური
ვალის შესახსენებლად“.¹

ვაჟა ეგრისელის პოეტური ჰანგების სათავე სამშობლო
ქვეყნის თავდავიწყებული სიყვარულია. სამშობლო, მისი გმი-
რული წარსული, წინაპრის ხმალი და სატევარი არის მისთ-
ვის უწმინდესი და უმაღლესი მცნება. პოეტი წარსულის
მზიან ბილიკებს მისდევს და გულიდან მომსკდარი სტრიქო-
ნებით გამოხატავს თაყვანისცემას და ერთგულებას, რამეთუ:
„მივსდევ წარსულის მზიან ბილიკებს, ლოცვებში განვლო
ჟამმა რამდენმა, ქორონიკონებს ვინდა დაითვლის... და ქართვ-
ლის ცაზე კვლავ მელანდება: იესოს კვართი, შურდული და
ქნარი დავითის“ - ამბობს პოეტი და მამულის სასახელო
წარსულისადმი თავის სიყვარულს ყოველთვის ამაღლებული

¹ მიშველამე რ., „ქართველი და უცხოელი ავტორები ვაჟა ეგრი-
სელზე“, თბ., 1999, გვ. 110–111.

განცდითა და მაღალი შთაბეჭდილებებით გამოხატავს. იგი დაატარებს საქართველოსა და ლომგული წინაპრებისადმი ღრმა მაღლიერების გრძნობას და მთელი რუდუნებით ცდილობს წარმოაჩინოს საქართველოს წარსული. სულმნათი წინაპრების ღრმადდასამახსოვრებელი სახეებით, მათი გმირული საქმეების სამზეოზე გამოტანით მომავლის კონტურებს წარმოაჩინს. საქართველოს ისტორიული წარსული ასაზრდოებს პოეტის სულსა და გულს, მთელ მის ცნობიერებას.

პოეტი იმაშიც გვაჯერებს, რომ ქვეყნის სავალი გზა ია-ვარდით არაა მოფენილი, სისხლი, რომელიც უხვად დაუღვრია ჩვენს წინაპრებს, კვლავაც დაიღვრება, რომ: „ვით ვაჟას, მეც ის „კაი ყმად“ მითქვამს, ვინც ცბიერ დროუამს არასდროს მონებს, არც მაცდურ დღეებს ქცეულებს გზირად. აწმყოში ვხედავ: მომავლის პოეტს, ქართლის წარსულში მოწყენით მზირალს“.

მხატვრული შედარებების, ეპითეტების, ზოგჯერ ჰიპერბოლების მეტად მოხდენილი შეზავებული გამოყენებით პოეტი ადვილად დასამახსოვრებელ და ამაღლებულ სახეებს ქმნის.

პოეტს სიამეს ჰგვრის წინაპრის ხმლისა და სატევრის გახსენება. რომელიც აღმრავს ქართული მიწის, მშობლიური ცის დაცვის უკიდეგანო სურვილს. გულწრფელი სიყვარული სამშობლოსადმი, წინაპართა ნაკვალევისადმი ერთგულება პოეტის წარმოსახვაში ერთმანეთთანაა შერწყმული და ამ მთლიანობის უზადო და ამაღლებული სიყვარული ჩანს შემდეგ სტრიქონებში: „ჩემს მამულს როცა გაუჭირდება, წამსვე უამურ ფიქრს წამისევენ - ათას ბრძოლაში დამენათევარი. კედელს რომ ჰკიდია, და რომ ვერ ისვენებს - წინაპრის ხმალი და სატევარი“.

საქართველოს ისტორიის ფურცლები სავსეა დიადი გა-
მარჯვებებითა და შემზარავი დამარცხებებით. მატიანემ შემო-
გვინახა თავგანწირვისა და თავგამოდების განუმეორებელი მა-
გალითები. გვყავლენ მამულის ერთგული ლომგმირი ვაჟკა-
ცები... სისხლით იწერებოდა საქართველოს ისტორია. პოეტი-
სათვის საქართველოს ცრემლიანი ისტორია - გმირული სუ-
ლისა და მარადიული უკვდავების ზეიმია: „ფარ-ხმალთა ური-
ალი... ცეცხლი და ომები... და გადაყივილი და გადაძახილი -
მომხდეურთ რომ სიკვდილით გარს უვლიდა. ოფლს იწმენდ -
გადახდილ ბრძოლებით დაღლილი, ამ წუთას მოხვედი თით-
ქოსდა წარსულიდან“.

ვაჟა ეგრისელი მონუსხულია სასიქადულო წინაპრის,
სხივნათელი მეფის დავით აღმაშენებლის პიროვნებით. პოე-
ტისათვის დავით აღმაშენებელი საქართველოს ძლიერებისა
და აყვავების სიმბოლოა. პოეტის მიზანია წარმოაჩინოს დავი-
თის დროინდელი საქართველო და შეუფარდოს დღევანდე-
ლობა თავისი ტკივილებითა და განცდებით. ჩვენს პირველ
წიგნში მივანიშნებდით: „თვალებში ქართლის წარსულს ჩავ-
ცქერი, მესმის ყიუინა, გმინვა, გნიასი. ვით საზღაურის მტრი-
სთვის მიგება. სიკვდილ-სიცოცხლის პარმონიაში - ხმალი
საბრძოლო ელვასაგით მიიღოიკება. დიღგორის ველზე სისხ-
ლთა მნთხეველი, ქართველები კვლავ დგანან პირველნი და
საქართველო - მათი წმინდა საკურთხეველი - სავსეა თავით
შესაწირველით. დაღლილი მთები დგანან უძრავად, დამით
ტანჯული მოლოდინი წამებს დაითვლის, და აპ! ბნელში,
ქართლის მტერთა შესამუსრავად, მოდის სიკვდილი! - მეფე
დავითი“.

„დავით აღმაშენებლისადმი მიძლვნილი ეს სტრიქონები
იმის ჭეშმარიტი ილუსტრაციაა, რომ ეგრისელი წერს არა
მარტო ჩვენი ერის, არმედ ყველა დროისა და ყველა ეპოქის

ადამიანებისათვის. ზემოთ მოტანილ სტრიქონებში პოეტმა მოგვცა პიროვნებისა და ისტორიის ახლებური დანახვა“.¹

პოეტი ქართული ზნეობრივი პრინციპების თავგამოდებული ქომაგია და ეთაყვანება დიდებული მეფის აჩრდილს. მთელი სიმძაფრით ეძლევა სურვილი დიდი მეფის ხილვისა, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ხედავს ფართო, დევურ კვალს საწუთოროს ზედაპირზე რომ დაუტოვებდა. დიდი და სწორუპოვარი იყო დავით მეფე, რომლის სასახელო და საარაკო საქმეები დღეს ლეგენდად შემოინახა თაობებმა: „როგორც თქმულება, როგორც ლეგენდა, ათასწლეულთა გზაზე მიგორავს - დავითის მზე და „ძლევა“ დიდგორის“.

პატრიოტული და ესთეტიკური განწყობილება პოეტის სულმი პიკს აღწევს, პოეტს ხიბლავს მეფის მაღალი სული, მისი ნათელჭვრეტა ქვეყნის უკეთესი მერმისისა, შეუდრევებული ხასიათი და უკიდურესი თავგანწირვა: „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე - დავითმა მტერს რომ უმტკრია კარი. მისი სახელი მიტომ ზარავდათ... მას, სულ ხელთ ეპყრა მშობლიური მთოვარის ფარი, ეზურა - ქართვლის ვარსკვლავების ჯაჭვ-მუზარადი“.

დავით აღმაშენებელი ერთ-ერთი სწორუპოვარი, კოლორიტული ფიგურა და ღირსეული წინაპარია. არ დარჩენილა არც ერთი მწერალი, მეცნიერი, პოეტი თუ ხელოვანი, რომელსაც ხოტბა არ შექსხას მისთვის და უტეხილესი ჰანგებით არ ედიდებინოს ხალხისათვის თავგანწირული ლომდარი მეფე. ვაუა ეგრისელი ერთ-ერთი ყველაზე თავგამოდებული მეხოტბეა ქართველი ერის სათაყვანებელი მეფისა. ის პოეტის სულის ნაწილია, მისი ემანაცია, მეტიც, გასულიერება ქართველი ინტელიგენციის სულიერი ძალმოსილებისა.

¹ მესხია ც., „სასწაული და ფანტაზია“, ობ., 2001, გვ. 105.

ცნობილი მეცნერი და საზოგადო მოღვაწე აკაკი ბაქრაძე წერდა: „საქართველოს ისტორიაში არსებობს ასწლიანი პერიოდი, რომელსაც სრულიად სამართლიანად ვუწოდებთ „ოქროს ხანას“. ეს პერიოდი დავითის საძირკველია, მისი აშენებულია. ეს ეპოქა არა მარტო ჩვენი წარსულის სინამდვილეა, არამედ ჩვენი მომავლის ოცნება. ამიტომ დავით აღმაშენებული ჩვენთვის ის ორიენტირია, რითაც საქართველომ უნდა იაროს“.

სულმანათი ივანე ჯავახიშვილი აღფრთოვანებით ბრძანებს: „ქართველმა ერმა და ისტორიამ უკვდავყო დიდებული მეფე დავითის, საქართველოს გამაერთიანებლის და აღმაშენებლის, მისი პოლიტიკურისა და ეკონომიკურის ძლიერების შემქმნელის, სოციალურ სამართლიანობისათვის მებრძოლის სათაყვანებელი სახელი. ქართველი ხალხი დავით აღმაშენებლის სამარადისო ხსოვნას თავის გულის სიღრმეში ატარებს და შეჰქარის მას, ვითარცა სრულიად საქართველოს ერთობისა და ძლიერების სიმბოლოს“.¹

გკითხულობთ ვაჟა ეგრისელის იმ ლექსებს, რომლებიც დავით აღმაშენებლისადმია მიძღვნილი და თითქოს ცხადად ვხედავთ საუკუნეთა წყვდიადიდან სამშობლოს სიყვარულისა და ზემაღლი მმართველის სახეს, ქვეყნის წინაშე სასახლოდ ვალმოხდილი მეფე ქართველმა ერმა წმინდანად რომ შერაცხა.

დავით აღმაშენებლის დროს საქართველოს პოლიტიკური, კულტურულ-ეკონომიკური მდგომარეობა განვითარების ისეთ დონეს აღწევს, რომ თავისი დროის მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფოები ანგარიშს უწევენ და მასთან საერთო ენას ეძებენ და როგორც ბატონი რევაზ მიშველაძე ბრძანებს:

¹ ჯავახიშვილი ივ., „ქართველი ერის ისტორია“, წიგ. II, 1949, გვ. 175.

„საქართველოს საბოლოოდ გაერთიანება ერთხელისუფლებიანობის და ერთსარწმუნეობრივი მონარქიის პრინციპებით, თბილისის განთავისუფლება თურქ-სელჩუკთა ოთხასწლოვანი ბატონობისაგან, რეგულარული არმიის ჩამოყალიბება და მისი განმტკიცება ოთხმოცი ათასი ყივჩაღის ჩამოსახლებით, რუის-ურბნისის კრება და საერო თუ საეკლესიო მმართველობის გრანდიოზული რეფორმები, არა მარტო მეცენატობა ქართული აღორძინებული კულტურისა, არამედ თავისი კალმითაც („კალობანი სინანულისანი“) აქტიური მონაწილეობა მიიღო მშობლიური ლიტერატურის განვითარებაში“.¹

დავით აღმაშენებელმა სიცოცხლის ბოლომდე უერთგულა საქართველოს და ქართველობას, მან ხომ უპირველეს ყოვლისა ღვთის რჯული შეასრულა, ღმერთის კანონი მოიძია და საუკუნეების ჟანგი და მტვერი ჩამოაცილა და ადამიანის მოვალეობის ერთ, მთლიან მარადიულ სათავეში ხელთ იპყრა ერის სული, გული და გონება და ღვთის წესისამებრ წარმართა ივი.

დავით მეფე ქართველთა შთაგონების წყაროდ იქცა. მას მიუძღვნეს პოეტური თხზულებები არსენ ბერმა და არსენ იყალთოელმა (XII ს.) გრიგოლ ორბელიანმა (XIX ს.) დიდმა ქართველმა პროზაიკოსმა კ. გამსახურდიამ დავით მეფის ცხოვრება და მოღვაწეობა აღწერა ისტორიულ რომანში „დავით აღმაშენებელი“. პოეტური შთაგონებით დაწერა ანა კალანდაძემ „ფეხი დამადგით, გულზე დამადგით, ფეხი ყოველმან“.

ქართველთა ალექსანდრე მაკედონელი უწოდა დავითის ისტორიკოსმა აღმაშენებელს, ვეფხისებური სიფიცხე, მმართველობის უინი და სიბრძნე, განზრახვათა მრავალფეროვნება

¹ მიშველამე რ., ქართული ლიტ. ისტორია, თბილისი, 1998, გვ. 253.

და სიღრმე აახლოვებდა ქართველ მეფეს სახელოვან მხედარ-თმთავართან. „ქრისტეს მცნებათა აღსრულებას მიუძღვნა და-ვითმა საკუთარი ცხოვრება და ღირსეულად ზიდა სულიერი სათნოების სიმძიმე“.¹

გასაჭირის უამს ესაჭიროება სწორედ ერსაც და თითო-ეულ ადამიანსაც შეუპოვარი, თავდადებული გმირი, რომელიც მორალურად და ფიზიკურად აღიმართება სიმტკიცის კედ-ლად.

ასეთი გმირი იყო დავით მეფე!...

დღეს, როცა საქართველო გაყიდულია, გაიყიდა სამაჩა-ბლო, აფხაზეთი, შიდა ქართლი და ერი სავალალო განსა-ცდელშია, პოეტი გამოხატავს სინანულს მომხდარის გამო. პოეტი აღშფოთებულია ღალატით და თანამემამულებს შთაა-გონებს, იარონ დავით აღმაშენებლის მიერ გაკვალული გზით. საოცრად დიდი ოსტატობით გადმოგვცემს პოეტი ქართველ მამულიშვილთა გულისთქმას: „აი, ახლა, გვინდა მეფევ, ელ-ვარება შენი შუბის. ახლა უნდა კვლავ შეჰყარო, ერი, ბერი, რუის-ურბნისს. აფხაზეთით გამოჰქროდე შენი შავრა ჰუნეთი და მოხვიდე მეოცეში, შენი დიდი მეთორმეტე - ოქროს საუ-კუნეთი“.

აქ პოეტის სულისა და გონების სიბრძნით აღსავსე, სა-ოცრად გამჭვირვალე, საოცრად კეთილშობილი, წმინდა გრძ-ნობა და თაყვანისცემაა დავით აღმაშენებლისადმი. ნატრობს და ოცნებობს მეთორმეტე საუკუნის ოქროს ნათელით გაბრწყინდეს ჩვენი მამული. „იყო დრო, როცა ზაფი „ზანილით“ უვალი გზით და ბილიკებით მტერს რომ შეფსკვნიდა. და აწ მოხუცი, და აწ ხნიერი, ღამით გადმოდის ის გელათის საყ-

¹ „თავდადებული მამულიშვილები“ ასოციაცია ინფორმ. კულტურა, თბ., 1991, გვ. 41-45.

დრის ფსკერიდან და მიდის დიდგორს, და ბრძოლის ველს ათვალიერებს“.

სამშობლო ქვეყნის სიყვარული აღძრავს პოეტში ტკი-ვილის განცდას. ამ ტკივილითა და სიყვარულითაა გაჯერებული ვაჟა უგრისელის პოეზია. თავისი პოეტური ნიჭის წყალობით ცდილობს გააღვივოს ეროვნული გრძნობა და მისი გულიც სულ სხვადასხვაფრად ასხივებს ამ სიყვარულს, რამეთუ პოეტმა უხილავი ხელშესახები გახადა, მის ყველა ლექსში სასწაულებრივი მახვილგონიერება შემოგვანათებს: „დღეს საქართველო კიდით-კიდამდე, მტერთა ოცნებას - მოჰვავს ახდენილს - ჩამოსწოლია შავი ფერი ცის. რა ქნას დავითმა! დიდგორი აქვს გადასახდელი, აფხაზეთისთვის ჯერაც ვერ იცლის!!!“

ასეთი პოეტური აზრით და მოქალაქოებრივი შეგნებით ნერგავს პოეტი რწმენას მკითხველში. ვერ დაითრგუნა ერი, რომლის დიდების კარიბჭეზე უცემოდა გმირთა თაობა და მოდიოდა ახალი, მოდიოდნენ თავდადებულნი და აღმაშენებელნი, სვიმონნი და სოლომონნი, დიდი მოურავნი და პატარა კახნი, მარიამ ბატონიშვილნი და მაია წყეთელნი, თამარნი და ქეთევანნი. იწვოდნენ, მაგრამ რჩებოდა სამშობლო, რწმენა, შთამომავლობა, ის, რასაც ეწირებოდნენ.

„დაგით მეფე სადიდებელია ჩვენგან არა მარტო სახელოვან მეფობითა, არამედ დიდბუნებოვან კაცობითაც. იგი თავდადებული მოყვარე თავის ეროვნებისა და მართლმადიდებლის სარწმუნეობისა, დიდი პატივისმცემელი სხვის ეროვნებისაც და სარწმუნეობისა. შემძლებელ მბრძანებლად შეიქმნა სხვადასხვა ქვეყნის და სხვადასხვა სარწმუნეობის ერისა, ამისთანა სხვა ერის ღირსების თაყვანისმცემელი იმ დროში, როცა კაცი კაცს შესაჭმელად არა ჰშოგავდა, ამისთანა კაცობრყვარული პატივისცემა სხვის ეროვნებისა, სხვის სარ-

წმუნოებისა, ნუთუ საკვირველი და საოცარი მაგალითი არ არის მეთორმეტე საუკუნის კაცისაგან“.¹

დავით აღმაშენებლის სიმტკიცე და შეუპოვრება - ერის დიდება და ღირსებაა. ამ დიდებას პოეტური ნათლის გვირგვინი დაადგა ვაუა ეგრისელმა. ვინც მის ლექსებს წაიკითხავს, მიხვდება, რომ ეს ლექსები უანგარო გულითა და მღელვარებითაა შექმნილი. ამ აზრით დავით აღმაშენებლის სახელი აღწევს ყველგან, როგორც მარად უქრობი სხივი.

ჩვენი ეპოქა ძიების, თავისუფლებისაკენ ტიტანური სწრაფვის ეპოქაა. წარსულის სურათების პოეტური გააზრება ვაუა ეგრისელისათვის უმთავრესი საკითხი გახლავთ. „ჩემი სამშობლოს მაღალ დირესთან - ქედები თოვლის სანთლებს ანთებენ... და მე ვმაღლდები, ვით მაცხოვარი. როცა წკვარამში დამენათევი - ჩემს ღია სარკმელს მოადგება დილის ნათელი“.

ამ ფინალურ პწკარებში სამშობლო მიწის მგზნებარე სიყვარულია, ქართველი ერის მღელვარე სულია და ნათელი მომავლისადმი დიადი რწმენა. პოეტი სავსეა სინათლითა და სიცოცხლით. მშობლიური მიწის ზამთარი თუ გაზაფხული, შემოდგომა თუ ზაფხული, მისი დარი თუ ავდარი აცოცხლებს პოეტს. ის მართალი და გულწრფელია ყველგან და ყველაფერში. მისი პოეზია მარადიულობის პასპორტია. მისი სახელი სიკეთისა და სიწმინდის სიმბოლოა, რომელიც გვასწავლის ამაღლებულის სიყვარულს, სამშობლო ქვეყნისადმი უანგარო ერთგულებას და მთელი არსებით გვმოძღვრავს მშობლიურის დასაცავად. მამაპაპურის მოსაფრთხილებლად... „რომ მიმოყრილან ველ-მინდვრად, ქართლის ცას მხარი უმშ-

¹ ჭავჭავაძე ი., დავით აღმაშენებელი, საქართველოს ისტორიულ საგვარეულოთა შთამომავლების, თავად-აზნაურთა და მათ თანამდგომთა საკრებულო, თბ., 2008, გვ. 7.

ვენონ, ოქროა, განა მთებია. სამშობლოვ! ჩემო სიცოცხლევ!
ერთი დღე რაა, უშენოდ, ისიც ნუ გამოწებია“!

ვაჟა ეგრისელის მიმართება დავით აღმაშენებლისადმი
სუფთაა, ამაღლებული და შთამბეჭდავი. პოეტს ამოძრავებს
დღიდი მიზანი, მოუხმოს იმ საუკეთესო სურვილებს, ხალხის
სულში რომ არის დავანებული.

აკი დავით აღმაშენებლის ცხოვრებამ გაიარა მხოლოდ
მაღალი მიზნების სამსახურში, მისი მოქმედების ნორმები
უნაკლო და სანიმუშოა, მისგან მონიშნული კანონებისა და
ფორმების წყალობით დაემკვიდრა მისი ერის ცხოვრების
ნორმად: „იყო ყოველთაგან საკრძალავ და სარიდო“.¹

პოეტის მიერ დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილმა
ლექსებმა გააძლიერა ძველთაგან წარმოქმნილი თაყვანისცემა
დავით მეფისადმი, რომელიც იყო „მესიის მახვილი“, ქვეყნის
გამათავისუფლებელი და გამაერთიანებელი, მრავალმხრივი
რეფორმატორი და უბრძნესი სჯულმდებელი, უბრწყინვალესი
მხედართმთავარი და უმამაცესი მეომარი, „მაშქერებელი და
მაძგერებელი ცხენთა და აბჯართა“, სამოცი ძლევამოსილი
ბრძოლის კავალერი, გონებავრცელი პოლიტიკოსი და შორს-
მხედველი დიპლომატი. დიდსულოვანი შემწყნარებელი მოყვა-
სთა ყოველთა - ყოველთა ერთა და ყოველთა სჯულთა, „მე-
ფე აფხაზთა, რანთა, კახთა და სომხთა, შირვანშაპ და შა-
პინშაპ და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთის თვითმ-
ყოფლობით მპყრობელი“. კავკასიელ ხალხთა ერთიანი სახე-
ლმწიფოს დამაარსებელი, უგანათლებულესი მწიგნობარი, პო-
ეტი და ფილოსოფოსი“. ²

ეს მეფე დაბადებული ხალხის წინამდლოლად, მიუხედა-
ვად იმისა, რასაც თავისი სინდისის წინაშე განიცდიდა, იმ

¹ ღვინჯილია ჯ., „სული აღმაშენებელი“, თსუ, 1986, გვ. 124.

² სანიკიძე ლ., „დედა ისტორია“, თსუ. თბ., 1986, გვ. 393.

ქართველთა ჭეშმარიტი წინამორბედია, ვინც ღრმა რწმუნას-
თან და მსოფლიო ჭმუნვასთან ერთად, სარწმუნოებრივ ცალ-
მხრივობაზე ამაღლებულ სულს ატარებდა, - იმ ქართველთა,
ვის წრეში და ვისთვისაც შემდეგ დაიწერა „ვეფხისტყა-
ოსანი“, ამ უკვდავ ქმნილებას წინ უსწრებდა დავითის „გა-
ლობანი სინანულისანი“. ¹

„საგალობელში უკვდავი პოეტური ფორმით გამოხატუ-
ლია ზოგადსაკაცობრიო ტკივილები. ეს ტკივილები განცდი-
ლია, როგორც საკუთარი და ვედრება ხსნისათვის არის ვედ-
რება ერთის - ყველასათვის ყველას ცოდვების თავსმდების“.²

ვაჟა ეგრისელი განადიდებს დავით აღმაშენებლის პი-
როვნებას, არ ღალატობს ისტორიულ სიმართლეს. პოლიტი-
კური ვნებებით ანთებული პოეტი მთელი რუდუნებით ჭვრ-
ეტს ძევის სულიერ სამყაროს და გულმხურვალე აღსარებად
ყლერს მისი მონოლოგი თავისი სითბოთი, ზნეობრივი სიწ-
მინდით, მრავალნაირი ინტონაციებით გადაწნული მისი სიტყ-
ვა ბრძოლის მომწოდებელ ნაღარასავით გაისძის. ხან წკრია-
ლებს, როგორც ხმალზე დაკრული ხმალი. პოეტი თითქოს
დიდგორის ბრძოლის ველზე დავით მეფესთან, ომის შუა-
ცეცხლში გააფთრებული „დავითფერულით“ იგერიებს მა-
მულს შემოსუელ მტერს. ასე მაღლა, მაღლა რეფრენივით
მზის სათავისაკენ ისტრაფვის პოეტის მგზნებარე ხმა და
ლექსის ფინალში იდეურ-ფსიქოლოგიურ მწვერვალს აღწევს:
„წყალნი წავლენ და წამოვლენ და დარჩებან ქვიშანი. აღმო-
სავლეთით მყინვარი - გიზის ბაზილის ნიშანი! ჩრდილოეთით
და სამხრეთით, მთებით ხარ გამოკეტილი, გადაჭრილი გაქვს

¹ კაპაბაძე მ., „ვინ იყო იოანე ზუცესი“, ლიტერატურული გაზეთი,
N15, 1970.

² კაპაბაძე მ., „ვინ იყო იოანე ზუცესი“, ლიტერატურული გაზეთი,
N15, 1970.

ვენები, სისხლისგან ხარ დაწრეტილი. ნიკოფისიას და დარუ-ბანდს ტირიხარ... მაგრამ ვერ ტირი... თუმც დავით მეფის აჩრდილი - თავს გადგას ნათლის სვეტივით“.

პოეტი ესწრაფვის მისი ბუნებისათვის ძვირფასს, რაც მიესადაგება ცხოვრების ჭეშმარიტებისა და ხელოვნების სიმართლის ძიებას. დავით აღმაშენებელში ხიბლავს პიროვნების კეთილშობილება, შეუდრეველობა, სიქელე და ჭეშმარიტებისათვის უკიდურესი თავგანწირვა, მშობლიური ხალხის მაღალი სული, მტრის წინააღმდეგ ამხედრებული მისი ნათლჭვრეტა ქვეყნის უკეთესი მერმისისა. ამიტომაც ვერ აუტანია საკუთარ მიწაწყალიდან გამოდევნილი ქართველების ბედი და გულისშემძვრელად, მაგრამ კოლხი წინაპრებისადმი დამახასიათებელი სიამაყითა და სითამამით ამბობს: „კოლხო, ქართულ მიწის მკვიდრო, ახლა, უამმა რომ გაგრიყა, ნეტავი რა იქნებოდა, როგორც მაშინ, დავითის დროს, კვლავ დიდ-გორში მომკვდარიყაგ“.

ვაჟა ეგრისელის პოეტური თვალი მთელი არსებით მისდევს აღმაშენებლის გაკვალულ გზას. მეფეზე ფიქრი პოეტში სასწაულებრივ ძალას ასხივებს და მისთვის უწმინდეს იდეალად იქცა ღირსეული წინაპრის მიერ გადადგმული პოლიტიკური ნაბიჯების ისტორიული გააზრება. პოეტმა მეფის სიმაღლეს გაუსწორა თვალი და იშვიათი სისრულით წარმოგვიდგინა აღმაშენებლის ფენომენი, რომლის პროგრამაში ერის ცხოვრების მიმართულება იყო მოცემული.

ვაჟა ეგრისელი დავით მეფის საგმირო და საარაკო საქმეებს დასტრიალებს. მისი პიროვნება პოეტისათვის სალოცავი ხატია, რომლისადმი კრძალვა და პატივისცემა მუდამ თავისებური შინაარსით აღიქმება. ...“აი, ეს დიდებული მეფე - რა დიდებულ კაცურ კაცის სახესაც მოგვივლენს თვალწინ და რა თავმოსაწონებელს საბუთს გვაძლევს ხელთა! აი,

ამისთანა კაცის ხსენებაა გამოცოცხლებელი ერისა და ამისთანა კაცის არხსოვნა მომაკვდინებელ ცოდვად უნდა ჩაეთვალოს ერსა, რომელმაც იგი ჰქონდა და თავის ძუძუთი გამოზარდა. ჩვენმა დამცველმა ეკლესიამ ეს კარგად იცოდა და ამიტომაც 26 იანვარი დაგვინიშნა, რომ წელიწადში ერთხელ მაინც გავიხსენოთ ეს ქართველისათვის თავმოსაწონებელი დიდებული კაცი.

კაცს ორი სახელი უნდა ჰქონდეს, - ამბობს ჩვენი ერი - ერთი აქ დასარჩენი, მეორე თან წასაყოლიო. ეს ანდერძი ქართველისა ისე არავის შეუსრულებია, როგორც დავით მეფესა. აქ აღმაშენებლის სახელი დარჩა როგორც მეფეს და იქ, როგორც დიდბუნოვანმა კაცმა, წაიყოლა სახელი წმინდანისა, დიდების გვირგვინით შემკობილი¹.

უნათლესი და უბრძნესი მეფის სახე ასე შთამბეჭდავად დაგვიხატა პოეტმა: „ვითარცა ქამს დიდთურქობის, კვლავ ატყდება კიდით-კიდე - ვარსკვლავების ზარის რეკვა. მოვა ქარი, ვით დავითი, და ღრუბლების უშქარ ურდოს, ქართლის ციდან გადარეკავს“.

დიახ, დავით აღმაშენებლის დროს ქვეყანა აღორძინდა. ერი ერთიანად გამოფხიზლდა და, როგორც ჯანსულ ღვინჯილია წერს: „აქ სხვაა უფრო მნიშვნელოვანი - ერის სულის გამუდმებული წვრთნა, მოწესრიგება, დიდი საქმეებისაკენ წარმართვა და წაყვანა მხოლოდ ასეთ შეუვალ კანონებს და ფორმებს ხელეწიფება, რომელსაც დავითი იყენებდა“² ...

¹ ჭავჭავაძე ი. დავით აღმაშენებელი, საქართველოს ისტორიულ საგვარეულოთა შთამომავლების, თავად-აზნაურთა და მათ თანამდგომთა საკრებულო, თბ. 2008, გვ. 8.

² ღვინჯილია ჯ. სული აღმაშენებელი, თსუ, 1989, გვ. 390-393.

პოეტი ვაჟა ეგრისელი შთამომავლებისათვის ხელმისაწვდომს ხდის დავით აღმაშენებლის პიროვნების საგულისხმო დეტალებს. საცნაურს ხდის მეფის გონებასა და სიბრძნეს. პოეტური სიბრძნე შორსმჭვრეტელისა და ნათელმხილველის ზღვარს აღწევს და ძალუმად განგვაცდევინებს ეროვნული ენერგიით დამუხტული „ესე დიდი საქმენი“-ს ძლევამოსილებას: „ბევრი არასდროს კვოფილვართ, ახლა დავრჩით სულ ცოტანი. ჩვენ ვინც ვიყავით? დაზედეთ ლოდს - დავით მეფის ბეჭებით, გელათის ბჭესთან მოტანილს“.

პოეტი ქართველ ხალხში შეურყევლად ამტკიცებს რწმენას, რომ დავით აღმაშენებლის გაეკალულ გზაზე მარადიულად იკაშკაშებს მომავალი ცხოვრების უქრობი ჩირალდანი, რის წყალობითაც თაობები გაივლიან და „ვარსკვლავების ზარების რეკვით“ აუწყებენ ქვეყნიერებას ერის თავისუფლებასა და ბედნიერებას.

დამოწმებანი:

1. მიშველაძე რ., „ქართველი და უცხოელი ავტორები ვაჟა ეგრისელზე“, თბ., 1999.
2. მესხია ც., „სასწაული და ფანტაზია“, თბ., 2001.
3. ჯავახიშვილი ივ., „ქართველი ერის ისტორია“, წიგ. II, 1949.
4. მიშველაძე რ., ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1998.
5. „თავდადებული მამულიშვილები“ ასოციაცია ინფორმ. კულტურა, თბ., 1991.
6. ჭავჭავაძე ი., დავით აღმაშენებელი, საქართველოს ისტორიულ საგვარეულოთა შთამომავლების, თავად-აზნაურთა და მათ თანამდგომთა საქრებულო, თბ., 2008.
7. ღვინჯილია ჯ., „სული აღმაშენებელი“, თსუ, 1986.

8. სანიკიძე ლ., „დედა ისტორია“, თსუ, თბ., 1986.
9. კაკაბაძე მ., „ვინ იყო იოანე ხუცესი“, ლიტერატურული გაზეთი, N15, 1970.
10. კაკაბაძე მ., „ვინ იყო იოანე ხუცესი“, ლიტერატურული გაზეთი, N15, 1970.
11. ჭავჭავაძე ი., დავით აღმაშენებელი, საქართველოს ისტორიულ საგვარუელოთა შთამომავლების, თავად-აზნაურთა და მათ თანამდგომთა საკრებულო, თბ. 2008.
12. ღვინჯილია ჯ., სული აღმაშენებელი, თსუ, 1989.
13. ეგრისელი ვ., „იქმენ ნათელი“, გამომცემლობა „მოლოდინი“, 1993.
14. ეგრისელი ვ., „პოლხური ფსალმუნები“, I-V ტ. გამომცემლობა „უნივერსალი“, 2002–2008 წწ.

Tsiala Meskhia, Irma Sordia

Sokhumi State University

**IMAGE (PORTRAIT) OF DAVID IV THE BUILDER IN
GEORGIAN POETRY
(VAZHA EGRISELI)
RESUME**

The 11 th – 12 th centuries were a period of sweeping upsurge in the development of Georgian culture. Having been successfully united by king David IV the Builder (Aghmashenebeli) Georgia then came to the fore as one of the most powerful states in the entire Near East and spread her influence over a number of other countries in the area.

The political power of feudal Georgia wielded in the 11 th – 12 th centuries and her influence in the Near East had been

conditioned by a high level of the Kingdom's culture which was original and evidently national in form.

We have studied the problem of reflection of this epoch in the poetry of the well – known Georgian author Vazha Egriseli. We underline aspects of specific nature of Georgian culture which creatively absorbed the best achievements of contemporary cultures traditions of old standing as well as humanistic movement in Georgia.

Vazha Egriseli's poetry dedicated to David IV the Builder is an important sample of modern Georgian literature.

მაია პატარიძე
საქართველოს ეროვნული მუზეუმი

**დავით აღმაშენებლის კიდევ ერთი ვერცხლის მონეტა
სტეფანწმინდის მუზეუმიდან**

დავით IV აღმაშენებლის ვერცხლის მონეტები, რომლებიც ბიზანტიურტიტულიანი ქართული მონეტების ჯგუფს მიეკუთვნება, საქართველოს მეცნიერებათა სამსახურის მუზეუმიდან დაკავშირებული არტეფაქტებიდან, მხოლოდ ნუმიზმატიკური მასალა შემორჩა ჩვენს ქვეყანას, აქედან გამომდინარე, მათი მნიშვნელობა ძალზე დიდია ამ პერიოდის საქართველოს ისტორიის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ასპექტების შესასწავლად. ხსენებული სამონეტო ჯგუფის კვლევა XX საუკუნის დასაწყისიდან იღებს სათავეს, მაგრამ, სამწუხაროდ, მათი მონოგრაფიულად გამოცემა, დღემდე არ მომხდარა. რაც შეეხება ცალკეულ პუბლიკაციებს, მათი რიცხვი საკმაოდ ბევრია.¹

¹ Пахомов Е. А., Монеты Грузии. Тбилиси. 1970; ლომოური თ., ფული შოთა რუსთაველის ეპოქაში. ივ. ჯავახიშვილი (რედ.) შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა. თბილისი 1938; გაპანაძე დ., ქართული ნუმიზმატიკა. თბილისი, 1969; Карапанадзе Г., Новый тип монеты Давида Строителя. - ВВ, т. VIII, 1956, с. 338-339; Lang D. M. Notes on Caucasian numismatics. - N.Ch., vol. XVII, London 1957; Кебуладзе Р. В. Клад из села Цихесулури. Нумизматический сборник. Редактор В. А. Леквинадзе. (ред.) Тбилиси 1977; Шамба С. М. Монетное обращение на территории Абхазии (V в. до н.э. – XIII в.н. э.), 1987, Тбилиси; ქებულაძე რ. დავით აღმაშენებლის ბიზანტიურტიტულიანი ვერ-

მიუხედავად იმისა, რომ ბიბლიოგრაფია, საკმაოდ დიდია და მრავალფეროვანი,¹ შეიძლება ითქვას, რომ საკითხი ბოლომდე შესწავლილად ვერ ჩაითვლება, ამის ერთ-ერთი

ცხლის მონეტები, – სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე - XXXIX. 1987. თბილისი; დუნდუა თ., X-XII სს. ქართული მონეტები და საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი. – თბილისის უნივერსიტეტის შრომები. ისტორია. №310. 1992 გვ. 18-28. გაბაშვილი მ., „ქართული ქრისტიანული და ისლამური სამყაროს ურთიერთობა ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით (X-XIII სს.)“, ლოგოსი, IV, 2007, 375-381; დუნდუა გ., დუნდუა თ., ქართული ნუმიზმატიკა I ნაწილი, 2006, გვ. 193-196; დუნდუა თ. სევასტოსქი და მართლმადიდებელი სიმახია. დავით აღმაშენებელი და თეოდორე გაბრასი. 2003. თბილისი. თავაძე ლ., „სევასტოსის ტიტული შუა საუკუნეების ქართულ პოლიტიკურ რეალობაში“, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები II, თ. დუნდუა, მ. ჩხარტიშვილი, ა. ბოშიშვილი. (რედ), თბილისი. 2011. სილოგავა ვ., სამეგრელო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა. თბილისი 2006; პატარიძე მ., „დავით აღმაშენებლის ვერცხლის მონეტა მესტიის მუზეუმიდან“, საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე, II (47-B), 2011. გვ. 276-284; პატარიძე მ. სვანეთის ნუმიზმატიკური განძების სპეციფიკა. საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი. შრომები VIII. (რედ-ები: თ. დუნდუა, ა. ბოშიშვილი), თბილისი, 2013-2014, გვ. 184-208; Tedo Dundua, “Review of Georgian Coins with Byzantine Iconography”, Quaderni ticinesi di numismatica e antichità classiche Vol. XXIX (2000): 387-396; Paghava, Patsia, “A New Variety of a No-Cross Type Silver Coins of Davit IV of Georgia”; Paghava, Spanderashvili, “Georgian Byzantine Type Coins of Giorgi II and Davit IV: New Specimens”; Paghava, “The First Arabic Coinage of Georgian Monarchs: Rediscovering the Species of Davit IV the Builder (1089-1125), King of Kings and Sword of Messiah”; Paghava, “Silver Coinage of David IV the Builder with no Byzantine Title (Attribution, Dating, Significance)”; Акопян, “К чтению легенд на двух уникальных грузинских монетах”; Тедо Дундуа, Грузинские Монеты X-XII вв. как Исторический Источник, Тбилиси, 2011.

¹ აქვე დავსმენთ, რომ შესაძლოა ბიბლიოგრაფია არასრულად არის წარმოდგენილი და გაცილებით მეტა ამ თემის ირგვლივ არსებული პუბლიკაციები.

მიზეზი დავით აღმაშენებლის ვერცხლის მონეტების უკიდურესი სიმცირეა. ამ ფონზე თითოეულ ეგზემპლარს დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ნუმიზმატიკური მეცნიერებისთვის და ზოგადად ისტორიისათვის. სწორედ ამიტომაც დავისახეთ მიზნად ახალი ეგზემპლარის ატრიბუცია და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა.

დავით აღმაშენებლის მონეტები ზედწერილების მიხედვით ორ ტიპად იყოფა. პირველს მიეკუთვნება მონეტები წარწერით: “ქრისტე, ადიდე დავით აფხაზთა მეფე და სევასტოსი” (ტაბ. I., სურ. 1.), ხოლო მეორეს – მონეტები, რომელთა ცენტრში გამოსახულია ჯვარი და ირგვლივ წარწერა: “ქრისტე ადიდე დავით მეფე და სევასტოსი” (ტაბ. I., სურ. 2.) ტიპების ამგვარი ნუმერაცია შემოიღო დავით კაპანაძე¹ და რეზო ქებულაძე².

ვიძლევით ორივე ტიპის ზუსტ აღწერილობას:

I ტიპი

მონეტის აღწერილობა: 1. ინვენტ. № 22445, წ: - 0,73 გ, ზ: 25/26 მმ, (სურ. 1.)³

Av. მარჯვნივ მიმართული ვლაქერნის ღმრთისმშობლის გამოსახულება. მარცხნივ წარწერა წაშლილია და არ იკითხება, მარჯვნივ – QU, ე.ი. qeo‡, ანუ ღმრთისა (“დედა ღმრთისა”).

Rv. მონეტის კიდეებზე განლაგებულია დაქარაგმებული ასომთავრული ზედწერილი:

¹ კაპანაძე დ., ქართული ნუმიზმატიკა, თბილისი, 1969, გვ. 67.

² ქებულაძე რ., დავით აღმაშენებლის ბიზანტიურტიტულიანი ვერცხლის მონეტები, – სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე – XXXIX, თბილისი, 1987, გვ. 48.

³ ქებულაძე რ., დავით აღმაშენებლის ბიზანტიურტიტულიანი ვერცხლის მონეტები, – სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე – XXXIX, თბილისი, 1987, გვ. 47, სურ. 1.

... ԾԳ ՇՓԽՌԾ Ճ

(յիրուսէթյ) (աղօնց) դ(պօ)տ այս(ա)նտ(ա) թ(զզ)

ԱԵԲՐԺՐԺ:

ԾՇ ՏՂՆՏ ՔՏ Շ (ոռքա)

Ճ Տ ՏԵՎ(Ա)ՏՄ(Ծ)ՏՈ

մոնշտա ցակարելունա.

II ტիգո

մոնշտա աղբյուրունա 2. ոնցենք. №22444, ՞: -
0,56Ճ, ՞: - 23/24Ճ, (Խոր. 2)¹

Av. զլայշերնուն ճմրտունմինելուն ցամուսակշուլլեա Իշլ-
չեցուտ, քորդաքոր, տազուն որուզը միսարյե წարկուպուլո ծերմեն-
լու წարվյերուտ, րոմելուց առ օկոտեցեա, մաշրամ նեզա մոնշ-
տուն (№22443) մոնշտա, շնուր ոցուս: MR || QU, շ. ո.
M-thr qeo: – “Հցա ճմրտունա”.

Rv. ԱԵԲՐԺՐԺ Քոլմիկլազունո ջարարո, րոմլուն մկլա-
ցեա Շեվսեծուլուն ջարուլագ ցանլացելուլո եշտ-եշտո Իշր-
ժուլուտ. մուն ցարմեմո, Իշրժուլուզան წրեմո համելու կարտու-
լո ասոմտաշրուլո րյուլույցուրո წարվյերա. ամ մոնշտանո օկո-
տեցեա:

† ՇԾՇ ԾԳ ՓՊ Շ Շ (ոռքա)

Ճանարիեն ամ կուգուն ճանարիեն մոնշտենո արևեծուլո
წարվյերենուն շրտույրտշեյշերենուն Շելցեցա մուլցեա Ցելիստո:

† ՇԾՇ ԾԳ ՓՊ Շ Շ (ոռքա)

„յ(րուսի)յ, ա(ծո)լյ դ(պօ)տ թ (յ)զյ ճ ս(շաս)ժ(ուն) ո“

Յուրա և այլ մոնշտուն աղբյուրամց ցածազունուց,
սանդուրեսուն կուց երտեղը ցածազունու տալու սայարուց-

¹ յելուլամյ Ռ., ճազուտ աղմաժենենուն ծոթանիւրութունուլուն զերպ-
ելուն մոնշտենո, – սոմոն չանաժուն սակելուն սայարուցուն սակելու-
թունու մաժենուն մումիւնուն – XXXIX, տօնունուն, 1987, ցը. 48, Խոր. 5

ლოს ეროვნულ მუზეუმში დაცულ დავით აღმაშენებლის ვერცხლის საფასეებს. ს. ჯანაშიას სახელობის მუზეუმის ნუმიზ-მატიკურ ფონდში ამ მეფის მიერ მოჭრილი მონეტის ხუთი, ხოლო საქართველოს ეროვნული მუზეუმის სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში ერთი ეგზემპლარია დაცული.¹ სვანეთის მუზეუმში დაცულია აგრეთვე კვირიკესა და ივლიტას ეკლესიიდან (ლაგურგადან) ჩამოტანილი ფრაგმენტი, რომელიც, ჩვენი ვარაუდით, ასევე დავით აღმაშენებელს მიეკუთვნება.²

ს. ჯანაშიას მუზეუმში დაცული მონეტებიდან სამი ცალი საინვენტარო ნომრებით – 22443, 22444, 22445 ნაპოვნია 1871 წელს სოხუმის მიდამოებში და მუზეუმს შემოსწირა გენერალმა გეიმანმა³, ხოლო №22446 აღმოჩენილია ზემო სვანეთში, კალას თემში, კვირიკესა და ივლიტეს ეკლესიის საგანძუროში და ჩამოტანილ იქნა მუზეუმში 1949 წელს დიმიტრი ჩუბინაშვილის ექსპედიციის მიერ. რაც შეეხება ქართულ ფონდში დაცულ №2853 მონეტას, მისი აღმოჩენის ადგილი უცნობია.

ამ მონეტათაგან სვანეთის მუზეუმის ორივე ეგზემპლარი, განძების ფონდის №22446 და ქართული ფონდის

¹ პატარიძე მ. „დავით აღმაშენებლის ვერცხლის მონეტა მესტიის მუზეუმიდან“, საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოაბე, II (47-B), 2011. გვ. 276-284.

² პატარიძე მ., სვანეთის ნუმიზმატიკური განძების სპეციფიკა. საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი. შრომები VIII. (რედ-ება: თ. ლუნდუა, ა. ბოშიშვილი). თბილისი, 2013-2014, გვ. 184-208.

³ ქებულაძე რ., დავით აღმაშენებლის ბაზანტიურტიტულიანი ვერცხლის მონეტები, – სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოაბე, – XXXIX, თბილისი, 1987, გვ. 47.

№2853 მონეტა პირველი ტიპია, ხოლო დანარჩენი №№: 22443; 22444; 22445; II ტიპს მიეკუთვნება¹.

2016 წლის 14 აპრილს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს და საქართველოს ეროვნული მუზეუმის ექსპერტებთან ერთად სამუშაო მივლინებით ვიმყოფებოდით სტეფანწმინდის ისტორიულ მუზეუმში.

სტეფანწმინდის მუზეუმის ნუმიზმატიკურ ძეგლებზე მუშაობისას ჩვენი ყურადღება მიიქცა ვერცხლის მონეტამ, რომლის შესახებ საინვენტარო წიგნში (დავთარში) შემდეგი ცნობაა დაცული²:

რიგითი - №128, ჩაწერის თარიღი 14.11. 1998, ინვენტარის № 1667 (2104), საგნის აღწერილობა – ფული (მონეტა) ნაკლული, მოტეხილი აქვს კიდე და გახვრეტილია. ნაპოვნია გაიბოტენის ციხეში. ნივთის რაოდენობა – 1ც. შემგროვებელი – სტეფანე ალიბეგაშვილი. მასალა – (?). ზომა d=2,5, შენიშვნა - ნაკლული.

როგორც ჩანაწერიდან ირკვევა, ნივთი განსაზღვრული არ არის.

მონეტის აღწერილობა: ივენტარის №1667 (2104) წონა – 1,61; ზომა – 24/25. ვერცხლი. (ტაბ. I. სურ. 3)

Av. ვლაქერნის ომრთისმშობლის გამოსახულება (ორანჟის პოზით) ხელებაპყრობილი, წელზევით, პირდაპირ, თავის ორივე მხარეს წარხოცილი ბერძნული ასოები, რომლებიდან გამოსახულების მარჯვენა მხარეს განირჩევა მხოლოდ -

¹ ქებულაძე რ., დავთთ აღმაშენებლის ბიზანტიურტიტულიანი ვერცხლის მონეტები, – სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე – XXXIX, თბილისი, 1987, გვ. 47.

² დავთარში არსებულ ცნობებს სტილის დაცვით გთავაზობთ. მ. პატარიძე.

„MR“ ე. ი. M-thr ანუ ქართულად - „დედა“. გამოსახულების მიხედვით თუ ვისჯელებთ იკითხება „დედა ღმრთისა“.

Rv. ცენტრში ტოლმკლავიანი ჯვარი, რომლის მკლავები შევსებულია ჯვრულად განლაგებული ხუთ-ხუთი წერტილით. ის გარშემო, წერტილოვან წრეში ჩასმული ქართული ასომთავრული რელიეფური წარწერა. იკითხება:

† ზ Փ ი ზ

ქ ე ა დ ფ ე დ

როგორც ვხედავთ გრაფების საკმაოდ მცირე რაოდენობის ამოკითხვაა შესაძლებელი, მაგრამ ამ ტიპის მსგავსი სხვა მონეტებზე არსებული წარწერების ურთიერთშეჯერების შედეგად იკითხება: † ზ ბ დ Փ ი ზ ს ე ც (იოტა)

„ქ(რისტ)ე, ა(დი)დ(ე) (დავით) (მე)ფე დ(ა) (სევასტოსი)“

მონეტა, როგორც ჩანს, გახვრეტილი იყო და წლების განმავლობაში არასასურველი გარემო პირობების გამო გასკდა.

დეტალური შესწავლის შედეგად, მიუხედავად იმისა, რომ მეფის სახელი არ იკითხება, ჩვენთვის აშკარა გახდა, რომ დავით IV აღმაშენებლის მონეტაა. დეტალი, რომელმაც ემიტენტის დასახელების საშუალება მოგვცა, მონეტის რევერსზე არსებული ჯვარია. რომელიც ბიზანტიურტულოვანი ქართული მონეტებიდან მხოლოდ დავით აღმაშენებლის მონეტაზე გვხვდება.

აღნიშნული საფასის პირველადი პუბლიკაცია სტეფან-წმინდის მუზეუმის გზამკვლევში მოხდა.¹

ნაშრომში წერია: “რევოლუციამდელი პერიოდის ისტორიის განყოფილებაში არსებული ორი საგამოფენო ვიტრინა

¹ წიკლაური ლ. ალექსანდრე ყაზბეგის სახ. მხარეთმცოდნეობის მუზეუმის გზამკვლევი. თბილისი, 1971. გვ. 13.

აქვს დათმობილი ნუმიზმატიკას” შემდეგ ჩამოთვლილია მონეტები და მათ შორის – “დავითის (1089-1125 წწ.) მონეტა”¹. ნივთის დეტალური აღწერილობა ხსენებულ წიგნში არ მომხდარა. როგორც ჩანს, გზამქვლევი შეუმჩნეველი დარჩა ქართველი ნუმიზმატებისთვის, რის გამოც ეს მნიშვნელოვანი მონეტა ვერ ჩაერთო სამეცნიერო ბრუნვაში.

როგორც უკვე აღინიშნა, მონეტა გაიბოტენის ციხიდან გადმოიტანეს მუზეუმში.

გაიბოტენი - სტეფანწმინდის მუნიციპალიტეტის, სიონის საკრებულოს ისტორიული სოფელია, სადაც მდებარებოს: კვირაცხოვლის ეკლესია, კვირელვთისშვილის ნიში, კოშკი, მთავარანგელოზის ხატი, ნიშთანა, საცხოვრებელი კომპლექსი კოშკით. ეს სოფელი პირველად XV საუკუნეების საბუთებშია მოხსენიებული, ციხე-კოშკებიც და ეკლესიაც და სალოცავი ხატი - “ნიშთანაც” გვიან შუა საუკუნეებს მიეკუთვნება. აქედან გამომდინარე, მონეტა თანადროულად ვერ მოხვდებოდა. შესაძლოა ის ოჯახში ინახებოდა და, როგორც ძლვენი, შეწირეს სალოცავს. საკულტო ძეგლებისთვის მონეტების შეწირვის ტრადიცია საკმაოდ გავრცელებული იყო საქართველოს ყველა კუთხეში, განსაკუთრებით მთაში. ამ მხრივ არც ხევია გამონაკლისი².

საქართველოს სხვადასხვა მუზეუმებში დაცული დაგითის მონეტების წარმომავლობას თუ დავაკვირდებით, გამოდის, რომ უმეტესობა საეკლესიო კუთვნილებას წარმოადგენ-

¹ წიკლაური ლ. ალექსანდრე ყაზბეგის სახ. მხარეთმცოდნეობის მუზეუმის გზამქვლევი. თბილისი, 1971. გვ. 13.

² პატარიძე მ., სვანეთში აღმოჩნილი ნუმიზმატიკური მასალის პოლიტიკურ-ეკონომიკური და ეთნოლოგიურ-კონფესიური ასპექტები (ძვ.წ.V – ახ.წ. XVIII სს.) დისერტაცია ზელნაწერის უფლებით. თბილისი 2017, გვ. 160.

და. როგორც უკვე აღვნიშნეთ №22446 აღმოჩენილია ზემო სვანეთში, კალას თემში, კვირიკესა და ივლიტეს ეპლესის საგანძუროში და ჩამოტანილ იქნა მუზეუმში 1949 წელს დიმიტრი ჩუბინაშვილის ექსპედიციის მიერ. სვანეთის მუზეუმის ფონდში დაცული ფრაგმენტი იმავე საგანძურილან არის. 2012 წელს ის სვანეთის მუზეუმის იმდროინდელი დირექტორის, რუსუდან ქოჩიანის მიერ იქნა გადატანილი მუზეუმში. რაც შეეხება მუზეუმის ექსპოზიციაზე გამოფენილ მონეტას, მიუხედავად იმისა, რომ ნივთის წარმომავლობის შესახებ ზუსტი ცნობები არ გვაქვს, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ისიც საეკლესიო საგანძურილან არის, რადგან სვანეთის მუზეუმის ნუმიზმატიკური მასალის უმეტესი ნაწილი ეკლესიებიდან შევიდა. სტეფანწმინდის მუზეუმის ცალი, ასევე სალოცავში, ეგრევდ წოდებულ ხატში აღმოჩნდა.

სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ დავითის რვა საფასილან ოთხი ცალი საეკლესიო წარმომავლობისაა, დანარჩენი სამი – სოხუმში. რა ვითარებაში აღმოჩნდა, უცნობია და ერთიც №2853 – უპასპორტოა. ვფიქრობთ, ამ გარემოებას თავისი ახსნა უნდა ჰქონდეს. ჰიპოტეტურად შეიძლება განვიხილოთ შემდეგი ვერსია.

სავარაუდოდ, ამ ტიპის მონეტები საქმაოდ მცირე რაოდნობით მოიჭრა. ეს მოსაზრება სერიოზულ კვლევას საჭიროებს, რისი პრეტენზიაც ჩვენ დღეს ვერ გვექნება, საკითხის გადაწყვეტა, ვფიქრობთ, მხოლოდ ინტერდისციპლინარულ კვლევას შეუძლია. ამ ეტაპზე ჩვენ მხოლოდ ვარაუდის გამოთქმის საშუალება გვაქვს. ვფიქრობთ, გენიალურმა მმართველმა, ზუსტად განსაზღვრა არსებული ბაზრის მოთხოვნა და მცირე რაოდნობის ემისიით ქვეყნას თავიდან აარიდა ინფლაცია. მოჭრილი ფულს მხოლოდ რეგალიური დანიშნულება ჰქონდათ. მაგალითად, როდესაც დავით IV იღებს „მე-

ფე აფხაზთა“-ს წოდებას, ჭრის I ტიპს, რომელზეც საკუთარ ტიტულატურას აფიქსირებს, ხოლო შემდგომ, როდესაც ის აყვათ სევასტოსის ხარისხში ამ ფაქტს აღასტურებს II ტიპის მონეტაზე. ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს, რომ ის აქტიურად არ იყო გაშეგული მიმოქცევაში. ამ მოსაზრების ოპონირება¹ შესაძლებელია, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დავითის ვერცხლის მონეტებს ხანგრძლივი დაგროვების განძებში ვიხილავთ. ჯერ-ჯერობით არ აღმოჩენილა სამონეტო კომპლექსი, სადაც ამ მეფის მიერ მოჭრილი თუნდაც ერთი მონეტა იქნებოდა დაფიქსირებული.

გარდა იმისა, რომ მცირე რაოდენობით იჭრებოდა, ფაქტურით ეს მონეტები საკმაოდ სუსტია, თხელია და ადვილად ზიანდება, რის გამოც ვერ მოაღწია ჩვენამდე დიდმა რაოდენობამ, სამაგიეროდ შემორჩა ეკლესია-სალოცავებში, სადაც დავით აღმაშენებლის მონეტები, ხანგრძლივი დროის განმავლობაში ხელშეუხებელი იყო.

გარდა წარმომავლობისა, სტეფანწმინდის მონეტა ყურადღებას იქცევს თავისი მეტროლოგიური მონაცემებით. განსაკუთრებით თვალშისაცემია წონა – (1,60 გრ.) დღემდე არ-სებული დავითის მონეტების წონითი რემედიუმი 0,51 გრ.-დან 0,81 გრ.-მდეა. ამ მონეტების უკიდურესი სიმცირის გამო ფაქტობრივად შეუძლებელია ზუსტად ვიცოდეთ დაღგრილი წონითი სტანდარტი, რომლის მიხედვითაც ეს მონეტები იჭრებოდა. თუმცა, როცა შვიდი მონეტიდან არც ერთი ამ წონის არ არის, გვაფიქრებინებს, რომ საქმე გვაქვს სხვა, ორმაგ ნომინალთან. ზუსტად რა ნომინალია, ამის თქმა საკმაოდ

¹ ფარავა ი., სპანდერაშვილი რ., XI-XII საუკუნის ბიზანტიური ყაიდის ქართული მონეტები: მიმოქცევის ზასიათი. საისტორიო კრებული, ტომი 5, 2015, გვ. 300.

როულია დავით აღმაშენებლის ვერცხლის მონეტების სიმცი-
რის გძმო.

ამრიგად, სამეცნიერო ბრუნვაში შემოდის სტეფანწმინ-
დის მუზეუმში დაცულ დავით IV (1089-1125 წწ.) აღმაშე-
ნებლის მონეტა, რომელმაც პირველ რიგში, გაზარდა ამ
უდიდესი მეფის დღემდე არსებული ვერცხლის მონეტების
რაოდენობა. ასევე მისმა მეტროლოგიურმა მონაცემებმა კიდევ
ერთხელ დაგვაფიქრა ამ მონეტების წონით სტანდარტზე. სა-
ფასის აღმოჩენის ეთნოლოგიურმა კონტექსტმა სხვადასხვა
ვარაუდების დაშვების სამუალება მოგვცა, რომელთა სისწო-
რეს მომავალში აღმოჩენილი, კარგად დაცული ეგზემპლარები
და ახალი კვლევები დაადასტურებენ.

დამოწმებანი:

1. ლომოური თ., ფული შოთა რუსთაველის ეპოქაში. ივ. ჯა-
ვახიშვილი (რედ.) შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური
კულტურა. თბილისი, 1938.
2. კაპანაძე დ., ქართული ნუმიზმატიკა. თბილისი, 1969.
3. წიკლაური ლ. ალექსანდრე ყაზბეგის სახ. მხარეთმცოდნე-
ობის მუზეუმის გზამკვლევი. თბილისი, 1971.
4. ქებულაძე რ., დავით აღმაშენებლის ბიზანტიურტიტული-
ანი ვერცხლის მონეტები, — სიმონ ჯანაშიას სახელობის სა-
ქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე — XXXIX.
1987. თბილისი;
5. დუნდუა თ., X-XII სს. ქართული მონეტები და საქართვე-
ლოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი. — თბილისის უნივერსი-
ტეტის შრომები. ისტორია. №310. 1992 გვ. 18-28.
6. გაბაშვილი მ., „ქართული ქრისტიანული და ისლამური
სამყაროს ურთიერთობა ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით
(X-XIII სს.)“, ლოგოსი IV, 2007, 375-381;

7. დუნდუა გ., დუნდუა თ., ქართული ნუმიზმატიკა I ნაწილი, 2006, გვ. 193-196;
8. დუნდუა თ. სევასტოსები და მართლმადიდებელი სიმახია. დავით აღმაშენებელი და ოქონორე გაბრასი. თბილისი, 2003.
9. თავაძე ლ., „სევასტოსის ტიტული შეუ საუკუნეების ქართულ პოლიტიკურ რეალობაში“, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები II, თბილისი. 2011.
10. სილოგავა ვ., სამეგრელო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა. თბილისი, 2006;
11. პატარიძე მ., „დავით აღმაშენებლის ვერცხლის მონეტა მესტიის მუზეუმიდან“, საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე, II (47-B), 2011. გვ. 276-284;
12. პატარიძე მ., სვანეთის ნუმიზმატიკური განძების სპეციფიკა. საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი. შრომები VIII. თბილისი, 2013-2014: გვ. 184-208.
13. ფალავა ი., სპანდერაშვილი რ., XI-XII საუკუნის ბიზანტიური ყაიდის ქართული მონეტები: მიმოქცევის ხასიათი. საისტორიო კრებული, ტომი 5, თბილისი, 2015, გვ. 286-305.
14. Каранадзе Г., Новый тип монеты Давида Строителя. - ВВ, т. VIII, 1956, с. 338-339.
15. Пахомов Е. А., Монеты Грузии. Тбилиси. 1970.
16. Кебуладзе Р. В., Клад из села Цихесулури. Нумизматический сборник. Редактор В. А. Леквинадзе. (ред.) Тбилиси, 1977;
17. Шамба С. М., Монетное обращение на территории Абхазии (V в. до н.э. – XIII в.н. э.), 1987 Тбилиси;
18. Тедо Дундуа, Грузинские Монеты X-XII вв. как Исторический Источник (Тбилиси, 2011);
- Lang D. M. Notes on Caucasian numismatics. - N.Ch., vol. XVII, London, 1957;

19. Tedo Dundua, “Review of Georgian Coins with Byzantine Iconography”, *Quaderni ticinesi di numismatica e antichità classiche* Vol. XXIX, 2000, 387-396;
20. პატარიძე მ., სვანეთში აღმოჩენილი ნუმიზმატიკური მასალის პოლიტიკურ-ეკონომიკური და ეთნოლოგიურ-კონფესიური ასპექტები (ძვ.წ. V – ახ.წ. XVIII სს.), სადოქტორო დისერტაცია ხელნაწერის უფლებით. თბილისი, 2017.

Maia Pataridze

National Museum of Georgia

**DAVID THE BUILDER'S ONE MORE SILVER COIN
FROM STEPHANTSMINDA MUSEUM
RESUME**

Silver coins of David the Builder belonging to the group of Georgian coins with Byzantine titles are of quite rarity. Notable those only numismatic materials connected personally to this famous King's artifacts are available. Accordingly, they are of great importance in studying political, economical and cultural aspects of XIIth century's Georgia. In 2016 we – I and the experts from National Agency of Georgian Cultural Heritage Defense and Georgian National Museum – were in Stephantsminda Historical Museum with scientific mission.

While working at Stephantsminda Museum our attention was drawn to the silver coin which by our definition belongs to David IV (1089-1025). The coin was transferred in Stephantsminda Municipality from the village Gaiboneti's chapel. If we look at the origins of David's coins in various museums of Georgia we can see that majority of them were in church ownership. Arguably it has its own explanation.

Probably this kind of coins was minted into small quantities. By our opinion genius governor has exactly defined market demands and by small number of emission he avoided inflation process. Minted coins has only regal mission. For example, getting the title of “king of Abkhazians” David IV has minted coins with this title, afterwards when he has got Sevastos title this fact was validated by emission of another tip of coins.

Despite the fact that these coins were minted in small number, they also were quite thin and easily damageable. This is why only small number of them is available today. Except its origins Stephantsminda coin is interesting by its metrological characteristics. Because of the very small number of these coins we couldn’t definitely be sure about estimated weight standard, according which these coins were minted. Taking into consideration the fact that no one of seven existed coins are of the given weight, we can argue that there is the case of double nominal.

Finally we can say that coin of David IV in Stephantsminda Museum increases the number of silver coins minted by this great king available today. At the same time, its metrological characteristics made us to think once more about the weight standards of this group of coins. At the same time the ethnological context of it make us able to have various assumptions assurance of which could be confirmed by new, well preserved coins found in the future.

ტაბულა I



სურ. 1



სურ. 2



სურ. 3

ტაბულის აღწერილობა

სურ. 1. დავით აღმაშენებელი. ვერცხლი. ინვენტ. №22445
(საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნუმიზმატიკური განძე-
ბის ფონდი)

სურ. 2. დავით აღმაშენებელი. ვერცხლი. ინვენტ. №22444
(საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნუმიზმატიკური განძე-
ბის ფონდი)

სურ. 3. დავით აღმაშენებელი. ვერცხლი. ინვენტ. №1667
(2104) სტეფანწმინდის ისტორიული მუზეუმი.

ნანული აზიგური
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თუშების ასეული რუსეთ-თურქეთის ომში
(ჩოლოქის ბრძოლა, 1854 წ.)

1854 წლის რუსეთ-თურქეთის ომში მონაწილეობდა ქართველ მოხალისეთა ასეულები, მათ შორის, თუშთა ასეულიც. ცნობილია, რომ ეს ომი ნაწილია იმ კონფლიქტებისა, რომელიც XIX საუკუნის განმავლობაში დროდადრო წარმოიქმნებოდა ამ ორი მოსაზღვრე იმპერიის მიმდებარე ტერიტორიების ხელახალი გადანაწილებისათვის. ეს ომი წარმოებდა ყირიმსა და ამიერკავკასიაში თურქეთის იმპერიის მიერ XIX საუკუნის პირველ ნახევარში დათმობილი პოზიციების დასაბრუნებლად.

რუსეთ-თურქეთის ომში, როგორც ცნობილია, დიდი როლი ითამაშა ქართული მილიციის როგორც ცხენოსანმა, ისე ქვეითმა ნაწილებმა. ის შედგებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხის მოხალისეთა ასეულებისაგან. ისინი ომში მიღიოდნენ იმ შეგნებით, რომ იბრძგიან მტერთა ხელყოფისაგან საქართველოს მიწა-წყლის დასაცავად და წარსულში თურქეთისაგან მიტაცებული მიწების დასაბრუნებლად.

რუსული რეგულარული ჯარის გარდა, ამ ომში ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილის სარდლობით მონაწილეობდა გაერთიანებული ქართული ლაშქარი: გურიის ექვსი ქვეითი რაზმი, იმერეთის მილიციის ექვსი ქვეითი და ხუთი ცხენოსანი ასეული, რომლის ერთ-ერთ ასეულს მეთაურობდა იმერეთის მეფე სოლომონ I-ის თანამედროვე, 75 წლის ქაიხოს-

რო მიქელაძე. მან, „საბრძოლოდ ამხედრებულმა, სახალხოდ გამოაცხადა, რომ იგი მტრის საბოლოოდ დამარცხებამდე და უკანასკნელ გასროლამდე თავდადებით იბრძოლებდა”.¹ მისი ასეული მხოლოდ თავად მიქელაძეებისგან შედგებოდა. თვით ქაიხოსრო გმირული სიკვდილით დაეცა ბრძოლის ველზე.

აღმოსავლეთ საქართველოს ლაშქარს ამ ბრძოლაში სარდლობდა ვაჟკაცური შემართების, სიმამაცისა და გულადობისათვის „დროშა-გიორგიდ” წოდებული, თავადი გიორგი ჯანდიერი. მისი დამხმარე იყო თავადი ციციანოვი, ინსტრუქტორი კი - ნიუეგოროდის დრაგუნთა პოლკის პორუჩიკი თავადი ივანე გივის ძე ამილახვარი. ეს იყო სახელოვანი წარსულის ახალგაზრდა ოფიცერი, რომელიც შემდეგ გენერალი და კავკასიის კორპუსის მეთაური გახდა.²

„დროშა-გიორგის” – გიორგი ჯანდიერის პირველ ასეულს შეადგენდნენ ლიახვის ხეობის მაცხოვრებლები წითელი ქუდებითა და წითელი ნიშნებით. მათ თავკაცობდა თავადი გიორგი მაჩაბელი. მეორე ასეული სიღნაღის მაზრის თეთრ-ფაფახებიანი და თეთრნიშნიანი კახელებისაგან შედგებოდა. მათ ხელმძღვანელობდა ახალგაზრდა თავადი ზაქარია ანდრონიკაშვილი, რომელიც ამ ბრძოლაში დაეცა. მის აღსასრულს მეტად შთამბეჭდავად აღწერს რაფიელ ერისთავი.³

მესამე ასეულს შეადგენდნენ თელავის მაზრის მაცხოვრებლები, ოქროსფერ-მოყვითალო ნიშნებით გამორჩეულებს თავკაცობდა თავადი ნიკო ჭავჭავაძე.

¹ ორჯონიგიძე ე., ყირიმის ომი და სამთავროების გაუქმება საქართველოში. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. 5. თბ., 1970. გვ. 205.

² Потто В. Памяти старых кавказцев. Тиф., 1897. с. 106.

³ Эристов Р. Рассказы наших милиционеров// газ. „Кавказ.“ 1854. № 95.

მეოთხე ასეულში გაერთიანებულნი იყვნენ თბილისისა და გორის მაზრის მაცხოვრებლები. მათ ცისფერი ნიშნები ჰქონდათ და ხელმძღვანელობდა თავადი დავით ვახვახიშვილი.

მეხუთე ასეული თუშ-ფშავ-ხევსურებისაგან შედგებოდა.¹ ისინი შავი ფერის ნაბდის ქუდებითა და შავი ნიშნებით გამოირჩეოდნენ. მათ ხელმძღვანელობდა შტაბს კაპიტანი ივანე ელიზბარიძე, რომელსაც, თანამედროვეთა ცნობით, სხეულზე თავის წლოვანებაზე მეტი ნაჭრილობევი ჰქონდა.²

მეექვსე ასეულს, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს თავად-აზნაურებისაგან შედგებოდა და მწვანე ფერის ნიშნებით გამოირჩეოდნენ, ხელმძღვანელობდა თავადი გორგი ერისთავი.³

ქართულმა ლაშქარმა საგანგებო წვრთნა, სამხედრო სწავლება გაიარა ივანე გივის ძე ამილაზვრის ხელმძღვანელობით.⁴

ბრძოლაში ქართველთა ლაშქარს საბრძოლო შავი დროშით ხელში წინ უძლოდა გოლიათური აღნაგობის ბოდბისხეველი მამასახლისი ზაქარია ნატროშვილი, მეტ-სახელად „გოგრი”. ვ. პოტტოს ჩანაწერის მიხედვით, „ეს იყო ასაკო-

¹ ვ. პოტტო მეხუთე ასეულში მხოლოდ თუშებს მოიხსენიებს. ისტორიიდან და გადმოცემებიდან ცნობილია, რომ ამ ასეულში, თუშების გარდა, ფშავლები და ხევსურებიც იყვნენ. თუმცა იქვე სქოლიოში მოჰყვას ცნობა ფშავლების მონაწილეობის შესახებაც: „პატრიოტიზმი თუშებისა და ფშაველებისა ისე დიდია, რომ ერთი ფშაველი ხარანკული (ალბათ ხარანაული - ნ.ა.) თავისი ხარჯით 30 მხედარს ინახავს. იმ დროს ფშავში ქონებრივად დაწინაურებული მეცხვარეები ხარანაულებიც იყვნენ.

² Потто В. Памяти старых кавказцев. Тиф., 1897. с. 108.

³ Потто В. Памяти старых кавказцев . Тиф., 1897. с 107-108.

⁴ იქვე. გვ. 106-107.

ვანი გოლიათი და როცა ის აბჯარასხმული, ზელში შავი ფერის საბრძოლო დროშით, თეთრ ცხენზე ამზედრებული დაქროდა, საოცრად მიაგავდა გიორგი ძლევამოსილს”.¹ დროშის ერთ მხარეს მაცხოვარი იყო გამოსახული, მეორე მხარეს კი – წმიდა გიორგი. პქონდა წარწერები ქართულად და რუსულად.

1854 წლის 4 ივნისს მდინარე ჩოლოქთან მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა და იგი რუსეთის რეგულარული არმიისა და ქართველთა ლაშქრის ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. ისტორიაში ეს დღე ჩოლოქის ბრძოლის სახელითაა შესული².

რუსეთ-თურქეთის ომის დროს, 1854 წლის 4 ივნისს, მდინარე ჩოლოქთან გამართულ ბრძოლაში მონაწილე ქართული ლაშქრისა და თუშების ასეულის გმირული შემართება აღწერა გენერალ-ლეიტენანტმა ვ. პოტტომ და მას თავის წიგნში ერთი თავიც კი მიუძღვნა – «Грузинская дружина на Чолоке».³ 1915 წელს გამოცემულ ბროშურაში „ომი და ქართველები” დ. ჭიათბრიშვილმა მისი ჩანაწერები თითქმის სიტყვასიტყვით გაიმეორა.⁴ მანამდე გაზეთ „Кавказ“-ში დროდადრო ქვეყნდებოდა ინფორმაციები, ცნობები და სტატიები, „რომლებიც თვალსაჩინოდ ადასტურებდნენ ომის დროს მთელი ქართველი ხალხის საბრძოლო აღმავლობას”.⁵ თანამედროვეთაგან ჩოლოქის ბრძოლაზე ცნობები და ჩანაწერები გა-

¹ იქვე. გვ. 112.

² ნარსია გ. ჩოლოქის ბრძოლა. 1854. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 11. ობ., 1987. გვ. 146-147.

³ Потто В., Памяти старых кавказцев . Тиф., 1897. с .105-117.

⁴ Чиабров Д.В. Война и грузины. Пет., 1915. с . 51-59.

⁵ ბურჭულაძე ე., ყირიმის ომი და საქართველო. ობ., 1960. გვ. 464, 536.

მოაქვეყნეს დადაევ-მაგარსკიმ¹ და რაფიელ ერისთავმა,² ასევე გაზეთი „კავკაზ“-ი ბეჭდავდა სარედაქციო ცნობებს.³

როგორც ცნობილია, თუშთა ასეულმა დიდად გამოიჩინა თავი მდინარე ჩოლოქთან გამართულ ბრძოლაში (1854 წ. 4 ივნისი). ამ ასეულის თავდადება ამ ბრძოლაში მომავალ თაობას ლექსად შემოუნახა „სამეგრელოს ჯარის“ ექიმმა, სილნაღელმა გრიგოლ შაბურიშვილმა.⁴ ექიმი ამ ლექსს თუშთა ასეულის საბრძოლო შემართებით აღტაცებული წერს. ლექსი თვითმხილველის გამოთქმულია და, ამდენად, სანდო და საინტერესოა მისი შინაარსი. მოგვიანებით თუშთა ასეულის შესახებ ცნობები ისტორიკოსთა შრომებსა⁵ და საგაზე-თო სტატიებშიც ჩნდება.⁶

¹ Дадаев-Магарский. Рассказы наших милиционеров//газ. „Кавказ“. 1854. №№ 93, 94.

² Эристов Р. Рассказы наших милиционеров//газ. „Кавказ“. 1854. №№ 94, 95.

³ Письмо из Кахети//газ. „Кавказ“. 1854. № 84; От редактора газеты «Кавказ», г. Сигнах, 18-го октября, 1854 г.

⁴ შაბურიშვილი გ., თუშთაგან გურიას მოსვლა და რჩევა, ვითარ იომონ თხმალთან, მათებრ ლექსად თქმული მენგრელთ ჯარის ექიმის გრიგოლ შაბუროვისაგან//газ. „Кавказ“. 1854, № 77.

⁵ ბურჭულაძე ე., ყრიმის ომი და საქართველო. თბ., 1960. გვ. 467; მეგრელიძე შ. საქართველო აღმოსავლეთის ომებში. თბ., 1974. გვ. 23.

⁶ სიდამონიძე ვ., თუშთა ლაშქრის საბრძოლო წარსულიდან/ გაზ. „სამგორი“. 1966. N3; სიდამონიძე ვ. მმა მმისთვის// გაზ. „სოფლის ცხოვრება“. 1972. N23; ელანიძე ვ. თუშთა ასეულის ერთი სურათის ისტორიისათვის// გაზ. „ახალი შირაქი“. 1974. N 148.

თუშთა ასეულის ბრძოლა ისტორიკოსმა ვ. ელანიძემ შეაფასა თავის მონოგრაფიაში,¹ ხოლო საგაზეთო სტატია უძღვნეს აკად. ო. ღუდუშაურმა და პროფ. კ. ჭრელაშვილმა.² ასე რომ, ჩოლოქის ბრძოლაში მონაწილე თუშთა ასეულის შესახებ ცნობებს გვაწვდის როგორც საისტორიო წყაროები, ისე ჩემ მიერ თუშეთში საველე სამუშაოების დროს ჩაწერილი გადმოცემები, სადაც მოთხრობილია სწორედ ჩოლოქის ბრძოლისა და მასში მონაწილე თუშების შესახებ.³

საინტერესო იქნება ერთსა და იმავე ბრძოლის შესახებ ამ ორი სახის მონაცემთა ურთიერთშედარება და იმის გარკვევა, თუ რა დაფიქსირდა საისტორიო წყაროებში და რა შემოინახა ხალხის მეხსიერებამ გადმოცემათა სახით. ჩემი წერილის მიზანიც სწორედ ესაა. თუმცა, მათი ურთიერთშეჯერებისას აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული, რომ ამა თუ იმ მოვლენის ამსახავ ხალხურ მასალას ახასიათებს და გამოარჩევს მოჭარბებული სუბიექტივიზმი, მოვლენისა და მასში მონაწილე პირების ჰიპერბოლიზაცია. ეს ბუნებრივიცაა, როცა საქმე ეხება ამა თუ იმ კუთხესა და მის წარმომადგენელს. გადმოცემის „ავტორის“ სურვილია, ამ გზით უფრო ღირსეულად წარმოაჩინოს თავისი კუთხე, თანამომებ და მათი საგმირო ამბების თხრობით ხელი შეუწყოს ახალი თაობის აღზრდას ეროვნული სულისკვეთებით.

თუშეთში ჩემ მიერ ჩაწერილი მასალის მიხედვით, მმების – გურულების დასახმარებლად თუშები მიღიან. და მართლაც, იმ დროისათვის მთელი გურია ბრძოლის ველად

¹ ელანიძე ვ., თუშეთის ისტორიის საკითხები. თბ., 1988. გვ. 317-320.

² ღუდუშაური ო., ჭრელაშვილი კ. გმირთა უკვდავება//გაზ. „ბახტონი“, 1985. №41

³ ნ. აზიკური, საველე დღიურები.

იყო გადაქცეული: „1854 წლის გაზაფხულზე მოქმედი კორპუსის სარდლობამ შეუძლებლად ჩათვალა გურიის სასაზღვრო ზოლის დაცვის უზრუნველყოფა და გაათავისუფლა მდ. სუფსის მარცხენა სანაპირო რეგულა რული ჯარის ნაწილებისაგან. ისინი განლაგებული იქნენ სუფსის მარჯვენა მხარეს აკეთის გაჭიმულ ქედებზე. ამიერიდან გურიის ნახევარზე მეტი და მთელი საზღვრების დაცვა მხოლოდ მიღიცას და-აწვა კისრად. მაგრამ საკუთარი ბედის ანაბრად მიტოვებულმა გურიის მოსახლეობამ არ მოიხარა ქედი მტრის წინაშე. თურქებმა ვერ შეძლეს გაერლვიათ ადგილობრივი მიღიცას მიერ აღმართული თავდაცვის მტკიცე კედელი”...¹ ინფორმაციის ორივე წყარო - ხალხურიც და საისტორიოც ერთნაირად ასახავს იმ დროს არსებულ ვითარებას - „მმებს-გურულებს” დახმარება სჭირდებოდათ და მათ, მართლაც, სავარაუდოდ, თუშები დახმარნენ.

ჩემ მიერ თუშეთში ჩაწერილ გადმოცემათა მიხედვით, ბრძოლის ველზე გასული თუშები, თავდაპირველად, დაიბნენ, რამეთუ „მოწინააღმდეგე“ მეომრები საუბრით, ჩაცმითა და გარეგნობით გურულების მსგავსნი იყნენ და იკითხეს, თუ ვის უნდა შებრძოლებდნენ. პასუხი ასეთი იყო: „წითელნიფხვიანებს დაპკარით“. როგორც ჩანს, გადმოცემაში ამ მონაკვეთთან დაკავშირებით ზოგი რამ მართლაც მთხრობელთა ფანტაზიის ნაყოფია. საბრძოლო მოქმედებების დაწყებამდე ასეულები უცილობლად გაივლიდნენ წვრთნას, მიიღებდნენ საჭირო ინფორმაციას მტრის შესახებ, ასევე ტაქტიკური და სტრატეგიული ხასიათის მითითებებს. ასე რომ, ყოვლად წარმოუდგენელია მეომრებს არ სცოდნოდათ, ვის უნდა შებრძოლებოდნენ. მართლაც, საისტორიო წყაროდან ირკვევა, რომ

¹ ბურჭულაძე ე., დასახ. ნაშრომი, გვ. 462.

მეომრები წინასწარ გააფრთხილეს „მოწინააღმდეგის რიგებში შეიძლება ყოფილიყვნენ ჩვენი მოსაზღვრე მცხოვრებლები – აჭარელები და ქობულეთელები, რომლებიც კარგად ლაპარაკობენ ქართულად, სახის ტიპითა და ტანსაცმლითაც გურულებს ჰგვანან და ისინი გურულებად არ მიიღო”¹.

თუშური ხალხური გადმოცემის თანახმად, თუშები ჩოლოქის ბრძოლაში პირველები ჩაერთვნენ; ბრძოლებს შორის შესვენებისას სპორტული შეჯიბრებები მოეწყო და თუშებმა ყველა გააოცეს თავიანთი ფიზიკური მომზადებითა და სპორტული სიჩაუქით. ჩვენი ჩანაწერის მიხედვით, ამ შეჯიბრების ერთი დეტალი ასეთია – გურულსა და თუშ მეომარს შორის აღმართზე შეჯიბრება გამართულა. გურულმა ფინიშს რომ მიაღწია, თუში უკვე ჩამომჯდარიყო და ქალამნის თასმებს ისწორებდა. ჩოლოქის ბრძოლის თანამედროვეთა ჩანაწერებში ასეთი ინფორმაცია კი არაა. ჯერ ერთი, ბრძოლებს შორის შესვენება იქ ვერ იქნებოდა – შეტაკება დაიწყო და დამთავრდა. თუმცა, ადვილი შესაძლებელია, ასეთი შეჯიბრებები ასეულების ვარჯიშის დროს ტარდებოდა. როგორც ვიცით, აღმოსავლეთ საქართველოდან ჩასულ ასეულებს საგანგებო წვრთნა ჩაუტარდათ. სპორტული თამაშები, წყაროთა მიხედვით, ბრძოლის დამთავრებისა და ასეულების კახეთში დაბრუნების შემდეგ ქ. სიღნაღში მოეწყო. აქაც თავი ისახელეს თუშებმა. ორი მათგანი ორ-ორ საუკენ (1 საუკენ ტოლია 2 მეტრისა და 13 სმ-ის) სიგრძეზე გადახტა.² როგორც ვხედავთ, ცნობა მეომართა თამაშების შესახებ სხვა დროშია გა-

¹ Эристов Р. Рассказы наших милиционеров//газ. „ Кавказ“. 1854. № 94.

² Письмо из Кахети, От редактора газеты «Кавказ», г. Сигнах, 1854, 18 თებერვალი// газ.“Кавказ“. 1854 г. N 84.

დატანილი. რაც შეეხება თუშების მიერ სხვებზე უწინარესად ბრძოლის დაწყებას, ეს ინფორმაცია მხოლოდ გადმოცემამ შემოინახა. რა თქმა უნდა, ესეც ხალხის შეთხული უნდა იყოს, რათა თუში მეომრების სიმამაცეს უფრო მეტად გაუსვას ხაზი. მოვლენათა ემოციური გაზვაადება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხმირად ახლავს ამ სახის გადმოცემებს. როგორც ჩანს, თუშთა ასეულს ამისი სურვილი მართლაც ჰქონია, რაც გ. შაბურიშვილის ლექსშიც აისახა: „შორით მოვსულვართ რიგია პირველთ ვაცნობოთ ძალია”... ან – „ვითხოვთ პირველად მივიდეთ, ეს არის ჩვენი თხოვანი”.¹

თუშთა გამორჩეულობის დასტურად ბრძოლაში მათი უწინარესად შესვლა ხალხმა ჩანს, მდენად ირწმუნა, რომ გადმოცემაში ერთგან კიდევ მეორდება: თუშთა ლაშქარი გამარჯვების შემდევ პირველები შემოდიან თბილისში; ქალაქის შესასვლელში მათ აჩერებენ, რადგან წესისამებრ ჯერ რეგულარული ჯარი უნდა შესულიყო დედაქალაქში, მაგრამ, ხალხური გადმოცემის თანახმად, არც აქ თმობენ თუშები და ფრაზით, მაშინ სად იყო რეგულარული ჯარი, როცა ჩვენ ბრძოლაში პირველები ჩავებითო, გზას აგრძელებენ და ქალაქში პირველები შედიან. ეს ცნობა კი წყაროებში არაა. წყაროდან ვიგებთ, რომ თუშთა ასეულს ქალაქის მისადგომებთან სერიოზული პრობლემები შეუქმნია თბილისში დაბრუნებული უფროსობისთვის. თუშებს, როგორც მეხუთე ასეულს, არ სდომებიათ თბილისში შემავალი ჯარის ბოლოში მიღევნება, რათა ისინი შედალებად არ ჩაეთვალათ. მაშინ ივანე ამილახვარმა განუმარტა თურმე მათ, რომ ბოლოში მდგომთ უფრო დაუწყებენ ყურებას, რადგან ყველაფერს საუკეთესოს ადამია-

¹ შაბურიშვილი გ., თუშთაგან გურიას მოსგლა....// გაზ.“კავკაზ“. 1854. № 77.

ნი, როგორც წესი, ბოლოსთვის იტოვებსო. ეს აზრი იმდენად მოსწონებით თუშებს, რომ მათ უკვე აღარ უნდოდათ თავად-აზნაურთა მექქსე ასეულის წინ ევლოთ და ითხოვდნენ გა-მარჯვებული ჯარის შველელობის ბოლოში დგომას.¹

გადმოცემის მიხედვითვე, თუშები ქალაქში შემოდიან, როგორც უკვე აღვნიშნე, პირველები და მათ ხელში მარჯვე-ნებასხმული შუბები უჭირავთ, ზოგს კი ზიშტზე მოკლული მტრის თავიც აქვს წამოცმული. წყაროებში კი აღნიშნულია, რომ თუშებს ბრძოლის ველზე მოკლული მოწინააღმდეგის ხელის მოჭრა აუკრძალეს. თანამედროვეთა ჩანაწერებში ჩოლოქის ბრძოლის მონაწილის მონათხრობი ერთი ეპიზოდიცაა ჩართული: „ერთმა მეომარმა თქვა - თხუთმეტი, მივიხედე და ვხედავ, ახალგაზრდა თუში მშვიდად აჭრის თურქს მარჯვნას”. ამბის გადმომცემი აგრძელებს: „თუშს, მთიელთა წესის მიხედვით, უნდოდა ეჩვენებინა, თუ რამდენად დიდი სიმამაცე გამოიჩინა მან. მე დიდი გაჭირვებით დავარწმუნე ის, რომ ასეთ ბრძოლაში მსგავსი რამის გაკეთება არ შეიძლება, ხომ შეიძლება არც დაგიჯერონ, ეგონოთ, რომ სხვის მოკლულს მოაჭრი მარჯვენა. ამის შემდეგდა გადმოყარა თუშმა ხურჯინიდან თავისი ტროფეები”.² გადმოცემის მიხედვით კი, ისინი მტრისთვის მარჯვენის მოჭრის მთაში გავრცელებულ ტრადიციას არ დალატოსენ და მარჯვენებით „ხელდამშვენებულები” ბრუნდებიან შენისაკენ. მტრისთვის მარჯვენის მოუჭრელობა იმდენად წარმოუდგენელია, რომ ზეპირმა გადმოცემამ ეს შეთხული ამბავი შემოინახა, გაამ-

¹ Потто В. Памяти старых кавказцев. Тиф., 1897. с. 114.

² Эристов Р. Рассказы наших милиционеров//газ.“Кавказ”. 1854. № 94.

ბაფრა და გაუგონარი დეტალიც ჩართო — ხიშტზე წამოცმული თავი.

გადმოცემის მიხედვით, თუშები ტყვეებს არ იყვანდნენ, მათ ტყვედ აყვანა წესად არ ჰქონდათ. ამასთან დაკავშირებით წყაროებში ერთი საინტერესო დეტალიც იქცავს ყურადღებას: როცა ჯანდიერს მოახსენეს, რომ თუშები ყველას ულეტენ და ტყვეები არ აპყავთ, მან თქვა: მე მათ ავუკრძალე, ვინც ჩაბარდებოდა, მათი ულეტა. თუშებმა კი თავიანთი საქციელი ასე ახსნეს: ჩვენს ბანაკამდე ყოველი ტყვის მისაყვანად საჭირო იქნება ორი მეომარი მაინც, თუ ჩვენ ამ საქმით დავკავდებით, დიდი ნაწილი თურქებისა გაქცევასა და დამალვას მოასწრებს. „თუშებმა მხოლოდ დაჟინებული გაფრთხილების შემდეგ დაიწყეს ტყვეების აყვანა“.¹ ეს ძვირად დაუკავდა თურმე ერთ თუშ მეომარს. ტყვე რომ მიჰყავდათ, მან ითხოვა, თოფი დაეტოვებინათ მისთვის — დავეყრდნობი, ნუ წამართმევთ, ულონოდ ვარო. ჯანდიერი მის შორიახლოს მოდიოდა. ტყვის განზრახვას მიხვდა თუში. იგი ჯანდიერს გადაეფარა და მოკვდა, თურქიც მაშინვე მოკლეს.

გადმოცემის მიხედვით, ბრძოლის დამთავრების შემდეგ თუშებმა ნახეს, რომ თუშთა ასეულს ერთი მეომარი აკლია. ისინი მაშინვე შეუდგნენ მის ძებნას. მიუხედავად უფროსობის ბრძანებისა, ისინი ვერ დაიმორჩილეს, ტყეს შეერივნენ და იპოვეს თავისი თანამოძმე. ამ დეტალთან დაკავშირებით პოტ-ტოსთან ვკითხულობთ: „როცა ჯარი ოზურგეთში ბრუნდებოდა, ამბავი მოვიდა, რომ თუშთა ასეული ტყეში დარჩა ,არ უნდათ ფეხი მოიცვალონ, რადგან მათ დაკარგეს ერთი თუში და მას ეძებენო. არავითარმა შეგონებამ არ გაჭრა. წადით, —

¹ Эристов Р. Рассказы наших милиционеров // газ.“Кавказ“. 1854. № 94.

ამბობდნენ ისინი (თუშები – ნ.ა.), ჩვენ თვითონ გამოვიგნებთ გზას, იქნებ დაიჭრა და ტყვედ ჩავარდაო. არა, - უპასუხეს თუშებმა, - ჩვენიანი არ შეიძლება ტყვედ ჩავარდეს, ის აღ-ბათ მოკლულია. თუშებმა გადაჩრიკეს მთელი ტყე და ბო-ლოს იპოვეს მისი გვამი. მთელი ასეული ხარობდა, რადგან თანამებრძოლის დაკარგული სხეული მათვის დიდი სირც-ხვილი იქნებოდა.¹

გადმოცემის თანახმად, ორი თანამებრძოლის ცხედარი მეომრებმა თუშეთში წაასვენეს. წყაროების მიხედვით კი, მათ ამისი დიდი სურვილი ჰქონდათ, მაგრამ ბევრი დავისა და კამათის შემდეგ დათანხმდნენ, დაეკრძალათ ისინი სხვა მებრ-ძოლებთან ერთად შემოქმედის მონასტრის ეზოში. გადმოცე-მის ერთი ვარიანტის მიხედვით, თუშები დათანხმდნენ, რომ ისინი ადგილობრივ დაეკრძალათ, მხოლოდ იმ პირობით, თუ მათაც იქ მიუჩენდნენ განსასვენებელს, სადაც სამხედრო ელიტის წარმომადგენლებს. წყაროების მიხედვით, თავადთა საფლავები ტაძარშია, უბრალო მოლაშქრეების კი – ტაძრის ეზოში. შემოქმედის მონასტრის მფლობელმა თავადმა დიმიტ-რი გურიელმა დაკრძალვის დღეს დიდებული ქელები გადაი-ხადა.² თუშებს წესად არ ჰქონდათ თავისი მიცვალებულის სხვაგან დატოვება. როგორც ჩანს, ისინი ჭირისუფლებმა თუ-შეთში გადაასვენეს.

გადმოცემაში იმის ხაზგასმა, რომ მეომრები ლამაზად და საუკეთესოდ შეიმოსნენ, ემთხვევა წყაროთა მონაცემებს: საღამოს, როცა გაიგეს, რომ ხვალ ბრძოლაში ერთვებიან, „საუკეთესო სამოსი ჩაიცვეს, ხმლებს ლესავენ და მღერიან,

¹ Потто В. Памяти старых кавказцев. Тиф., 1897. с. 114.

² Потто В. Памяти старых кавказцев. Тиф., 1897. с. 114.

არც კი ფიქრობენ იმაზე, რომ შემდეგ საღამოს ზოგიერთი მათგანი ვეღარ იძლერებდა".¹

გადმოცემასა თუ წყაროებში ეს საინტერესო დეტალი უცილობლად გაჩნდებოდა, რადგან აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში საველოდ, სამეკობროდ და ბრძოლაში წამსვლელნი საუკეთესოდ იმოსხოდნენ, რადგან არსებობდა ხალხური რწმენა: მიცვალებულს რასაც ჩააცმევენ სამარეში, იმქვეყნადაც მასვე ატარებდა. ჩოლოქის ბრძოლის შესახებ არსებულ ამ გადმოცემაშიც კარგად აისახა ეს რწმენა. ბრძოლაში შესულმა კაცმა არ იცის, იქიდან გამოსვლა როგორი იქნება და, ყოველ შემთხვევაში, მარადიული გზისთვის მზად არის. მოგვიანებით, ხალხური რწმენა, ქრისტიანობის გავლენით შეიცვალა. ქრისტიანული რწმენით, სულს იმქვეყნად აღარაფერი სჭირდება, ის სხეულიდან ცად მიდის. ამის კვალად, ჩნდება ძველი რწმენის საწინააღმდეგო ეჭვი, რაც კარგად აისახა ფოლკლორში:

„რად უნდა მოშავეთეთა სამკლავე, საფუხარია?

მეც ჩამყვა სამარეშია, მაგრამ ვერ მოვიხმარია,

დანგრეულიყო საფლავი, ჩამოდიოდა წყალია,

ბევრ ვაჟსა ჩამოეშალნა აშურმიანი მხარნია,

ბევრ ქალსაც ჩამოეშალნა რვად-რვად ნაწნავნი თმანია".²

ამ ლექსში მთლიანად უარყოფილია იმქვეყნიური ცხოვრება და ხაზგასმულია მისი ამაოება, რწმენა ეჭვეჭვეშაა დაყენებული.

ჩოლოქის ბრძოლის თანამედროვეთა ჩანაწერებში ბევრი საგულისხმო დეტალია ხაზგასმული. ისინი საინტერესო ცნობებს შეიცავენ და იმ დროის შესაბამის სურათს გვიხატა-

¹ Эристов Р. Рассказы наших милиционеров// газ.“Кавказ”. 1854, № 94.

² ქოტეტიშვილი ვ., ხალხური პოეზია. თბ., 1961. გვ. 291.

ვენ. მაგალითად, საყურადღებოა ცნობა იმის შესახებ, რომ მეომართა მიერ მოკლული თუშების სამოსში მონეტებს ძებნა-შეგროვება თუშს აკვირვებს. როცა მას შესთავაზეს იგივე გაეკეთებინა, მისი პასუხი ასეთი იყო: „მე რუსული მონეტებიც საქმაოდ მაქვს, წავალ სახლში და იქ მიძელის ჩემი 5 – 6000 სული ცხვარი, რაღად მინდა მე შენი თურქული მონეტები, ჩვენთან მათზე შეხედვაც არ უნდათ.¹ ამგვარი პასუხი ბუნებრივი გამოძახილია იმ დროისა, როცა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში სიმდიდრისა და ქონების ძირითადი საზომი ჯერ კიდევ საქონელი (ცხვარი და ცხენი) იყო. ამიტომ გაიხსენა თუშმა თავისი მრავალრიცხვანი ფარა, „სულდგმული“ (საქონლის ეპითეტია) უფრო ძვირფასია მისთვის, ქონება და სიმდიდრე ისაა და არა ფული. სწორედ ამიტომ ის ვერ დარჩა გულგრილი ბრძოლის ველზე უპატრონოდ დარჩენილი თურქთა ცხენებისადმი, ამიტომ გამორეკა ბრძოლის ველიდან მათი ცხენები. სწორედ ესაა ლოგიკური და მოსა ლოდნელი. თუმცა ეს სიხარბით არ გაუკეთებია, რადგან ცხენები იქვე გურულებს გადასცა.²

როგორც გაირკვა, გადმოცემებისა და წყაროთა მონაცემები არსებითად თანმხვედრია. თუმცა, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, გადმოცემებში ძირითადი ამბები ცოტა გაზვიადებულია, შელამაზებული მცირე დამატებებით, რათა მონათხრობი შთამბეჭდავი იყოს, მსმენელზე უფრო მეტად მოახდინოს ზემოქმედება, გამოკვეთოს თუშების ღირსება-სიამაყის გრძნობა. გმირთა არდავიწყებასა და მომავალი თაობისათვის მათს თავგადასავალთა გადაცემას სავალდებულოდაც თვლიდნენ

¹ Дадаев-Магарский. Рассказы наших милиционеров /// газ. „Кавказ“. 1854. № 93.

² Дадаев-Магарский. Рассказы наших милиционеров // газ. „Кавказ“. 1854. № 93.

თუშები. ამას ხალხური რწმენა განაპირობებდა, რომ ამბების თან წაღება დიდ ცოდვად ითვლებოდა, ამასთან, გმირულად აღსრულებული მარადისობას უერთდებოდა, რამეთუ, ითვლებოდა, რომ სახელოვანი კაცი იმ რწმენით კვდება, რომ მას აუცილებლად გაიხსენებენ. ეს სურდათ თუშების ასეულის გმირებსაც.. მათი ეს სურვილი კარგად გამოხატა თავის ლექსში „მეგრულთ ჯარის ექიმმა“ გრიგოლ შაბურიშვილმა – „სახელი დაგვრჩეს გურიას, თუშებმა ქმნესო შხნეობა“.¹

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ გადმოცემებში მოთხრობილი ამბები, მცირე გამონაკლისის გარდა (რის მიზეზბზეც უკვე იყო საუბარი), ძირითადად ემთხვევა ისტორიულ წყაროთა (მათ შორის, ჩოლოქის ბრძოლის მონაწილეთა თუ თანამედროვეთა) ინფორმაციას. მათმა შედარებამ გამიმყარა შეხედულება, რომ გადმოცემები უმთავრესად მაინც საიმედო წყაროდ შეიძლება ჩაითვალოს ისტორიული მოვლენათა აღსადგენად.

Nanuli Azikuri

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**THE HUNDRED OF TUSHETIANS IN THE RUSSIAN-TURKISH WAR (WAR OF CHOLOKI, 1854)
RESUME**

The work is devoted to the involvement of Georgian volunteers in the Russian-Turkish war of 1854, including the hundred of Tushetians. The stories about the Tusheti tribune involved in this war are compared with historical sources.

¹ შაბურიშვილი გ., თუშთაგან გურიას მოსვლა..., //გაz." Кавказ". 1854. №77.

თოსები ალიმბარაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

გორის მაზრის სახაზინო და საბატონო სოფლების
1804 წლის კამერალური აღწერა

1956 წლის 10 აგვისტოს ცნობილმა მეცნიერმა სარგის კაკაბაძემ გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს, სხვა მნიშვნელოვან ისტორიულ საბუთებთან ერთად, გადასცა გორის მაზრის სახაზინო და საბატონო სოფლების 1804 წლის კამერალური აღწერა¹.

აღწერა სამი ნაწილისაგან შედგება. ნაბეჭდია A-4-ის ფორმატის ფურცელზე. შიგადაშიგ მელნით შეტანილია შესწორებები, შენიშვნები და დადასტურებულია ხელმოწერით დედანთან სისწორის შესახებ თვით სარგის კაკაბაძის მიერ.

აღწერის პირველი ნაწილში თავმოყრილია გორის მაზრის სახაზინო და საბატონო სოფლების 1804 წლის აღწერის მასალები და მოცავს 157 გვერდს. მეორე ნაწილი გორის კომენდატის მაიორ რეიხის მიერ შედგენილი ქალაქის სხვადასხვა ხელობის მქონე მოქალაქეთა სია, რაოდენობისა და ხელობათა მიხედვით (15 გვერდი), ხოლო მესამე ნაწილი ყოფილი ქსნის საერისთავოს მოსახლეობის აღწერაა იმავე 1804 წლისა და შედგება 152 გვერდისაგან.

ფორმატისა და შინაარსიდან გამომდინარე, ამჟამად მკითხველს მხოლოდ აღწერის პირველ ნაწილს ვთავაზობთ.

¹ გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, (შემდეგში გსიემ), 7486.

აღწერას თანდართული აქვს სარგის კაკაბაძის ვრცელი ანალიზი და იოსებ მეგრელიძის რეცენზია აღწერის განსაკუთრებული მნიშვნელობისა და მისი გამოქვეყნების აუცილებლობის შესახებ.

როგორც ცნობილია, 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით ყოფილი ქართლ-კახეთის სამეფოში დროებითი მმართველობა გაუქმდა. ახალი დებულების თანახმად, აღმოსავლეთ საქართველო ზუთ მაზრად დაიყო: თბილის-ლორეს, გორისა და დუშეთის (ქართლში), თელავის და სიღნაღის (კახეთში).

ზემოთ ჩამოთვლილი მაზრებიდან, მოსახლეობის რაოდენობითა და ფართობით გორის მაზრა ყველას აღემატებოდა¹. მისმა ტერიტორიამ 5280 კვარსი² შეადგინა³.

დღის წესრიგში მაშინვე დადგა საქართველოს მოსახლეობის შესახებ ცნობების შეგროვება დემოგრაფიული, ფისკალური და სამხედრო მიზნებისათვის⁴.

გორის მაზრის აღწერა მთავარმართებელ პავლე ციციანოვის დავალებით 1803 წლის 2 აპრილს დაუწყია მაზრის კაპიტან-ისპრავნიკ იანცოვს და დაუსრულებია წელიწადსა და

¹ სხვა ტერიტორიების გარდა, იმ დროისათვის გორის მაზრაში, „ნარას უჩასტეკის“ სახელით, შედიოდა დვალეთის ისტორიული მხარეც, რომელიც რუსულმა ხელისუფლებამ 1859 წელს ჩამოაცილა და ოერგის ოლქს გადასცა 3581 კვადრატული კილომეტრი ფართობის ოდენობით (როლანდ თომეზიშვილი. დჯლუფი და დვალები, თბ., 2016, გვ. 10-11).

² კვარსი – რუს. [Верстъ] – ძვ. რუსული საზომი სისტემა, უდრის 1,06 კმ-ს; იმარებოდა მეტრული სისტემის შემოღებამდე.

³ Обозрения Российской владении за Кавказом, ч. II, отд. 7, Горийский уезд. Описание произведено Николаем Флоровским, СПБ 1836, გვ. 39.

⁴ კონსტანტინე ანთაძე, საქართველოს მოსახლეობა XIX საუკუნეში (ისტორიულ-დემოგრაფიული გამოკვლევა), თბ., 1973, გვ. 27.

ოთხ თვეში 1804 წლის 4 ივნისს. თუმცა, მაზრის სრულ-ყოფილი აღწერა მას ვერ მოუხერხებია, რადგან ოსებით და-სახლებულ სოფლებში (იგულისხმება ლიახვისა და ქსნის ზემო წელის მთიანი სოფლები, სადაც მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ოსები იყვნენ) მოსახლეობას მოხელეები არ შეუშებია, და, როგორც ციციანოვისადმი წარდგენილ რაპორ-ტში მიუთითებს, თვით იანცოვიც კი დაუჭრიათ¹. გარდა ამისა, აღწერა მოიცავდა მხოლოდ გადამხდელ მოსახლეობას, მამაკაცებისაგან განსხვავებით, სიებში მდედრობითი სქესის მხოლოდ რაოდენობას აღნუსხავდნენ სახელებისა და გვარე-ბის გარეშე. აღწერა არ ეხებოდა პრივილეგირებულ წოდე-ბებს და უცხო ქვეყნის ქვეშვრდომებს.

აღწერის მასალებსა და ინფორმაციის სისტორეზე პა-სუხისმგებელნი იყვნენ ადგილობრივი მოხელეები.

აღწერა მთლიანობაში დასრულდა 1805 წლისათვის და შეკრებილი სტატისტიკური მასალის საფუძველზე 1806 წელს სახაზინო ექსპედიციისათვის გენერალური უწყება შე-დგა გადამხდელი მოსახლეობის რიცხოვნობის შესახებ, რომ-ლის მიხედვით, სულ აღმოსავლეთ საქართველოს აღწერილ რეგიონებში (აღწერა არ შეხებია მთიულეთს, თუშეთს, ფშავ-ხევსურეთს) აღირიცხა 153, 6 ათასი. ხოლო გორის მაზრა-ში 33, 4 ათასი გადამხდელი².

აღწერა მოიცავს იმდროინდელი გორის მაზრის 189 სოფლის შესახებ მასალებს და აღწერილია მდ. მტკვრის, ფრონის, ლიახვის, თემის, ლეჩურის, ძამას, ბირულას, ჩხე-რიმელას და ა. შ. მონაპირე სოფლები.

¹ გსიემ, 7486, გვ. 3.

² საქართველოს ეროვნული საისტორიო არქივი, ფ. 254, ს. 58, ფ. 1-78.

აღწერის მონაცემებით, მაზრის 189 სოფელში აღრიცხული საბატონო და სახაზინო გლეხთა რაოდენობა შეადგენს 3823 კომლს (24561 სულს). აქედან 13855 მამაკაცია, ქალი – 10706. ანუ, გენდერული ბალანსი მამაკაცების სასარგებლოდა 56% - 44%-ზე, რაც იმ პერიოდისათვის დამახსასიათებელ მოვლენას წარმოადგენს. თუმცა, აღნიშნული მონაცემი საკითხის ცნობილ მკვლევარს ბატონ ვახტანგ ჯაოშვილს საეჭვოდ მიაჩნია, იგი თვლის, რომ აღწერის მონაცემებში რამდენადმე გადიდებულია მამაკაცთა ხვედრითი წონა, რადგან არ ხდებოდა ქალების სრული აღრიცხვა, განსაკუთრებით მომთაბარე მუსულმანურ მოსახლეობაში¹.

აღწერაში აღრიცხულია სოფელთა გეოგრაფიული თანმიმდევრობა და მარშრუტი. იწყება საამილახვროს ცენტრის – ქვემოჭალის აღწერით, შემდეგ მთლიანად გამოტოვებულია მდ. რეხულის ხეობის სოფლები, გადადის პატარა ლიახვის ხეობაში და გრძელდება ბროწლეთის, ქორდისა და არბოს მიმართულებით (ბროწლეთი, დიცი, ქორდი, არგვიცი, ფრისი, ერედვი, სარაბუკი, ვანათი, პატარა წერეთი, სნეკვი, ბელოთი, აწრისხევი, ცხინვალი).

ცხინვალიდან აღმწერები პირდაპირ გადადიან რუისსა და მის მეზობელ (ამჟამად გამქრალ) სოფელ თვალათუბანში, შემდეგ აღწერა გრძელდება დასავლეთით და აღწერილია დღევანდელი ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, მდინარეების: ძირულას, ჩხერიმელას და რიკოთულას მონაპირე სოფლები: სნეკვი, ხეფიჯვარი, გრიგალათი, ნადაბური, ვერტყვილა, ციციქური, გეღსამანია და ჩრდილი.

მიუხედავად იმისა, რომ 1804 წლისათვის იმერეთი ჯერ კიდევ დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულს წარმოად-

¹ ვახტანგ ჯაოშვილი, საქართველოს მოსახლეობა, თბ., 1996, გვ. 46.

გენდა, როგორც ვხედავთ, სსენებული სოფლები მოხელეებს მაინც აღუწერიათ. მართლაც, თუ „საქართველოს გუბერნიის“ 1801 წელს გამოცემულ რუკას გადავხედავთ, გორის მაზრაში შედიოდა არა მარტო იმერეთის ნაწილი, არამედ მისი ჩრდილოეთი საზღვარი მიუყვებოდა კავკასიონის ქედს და „ნარას უჩასტყის“ სახელით, მასში შედიოდა დვალეთის ისტორიული მხარეც, რომელიც რუსულმა ხელისუფლებამ 1859 წელს ჩამოაცილა და თერგის ოლქს გადასცა 3581 კვადრატული კილომეტრი ფართობის ოდენობით¹. მიუხედავად იმისა, რომ მოცემული დროისათვის სსენებული ტერიტორია ხელისუფლების კონტროლს ქვეშ შედიოდა, მდ. დიდი და პატარა ლიახვის ზემო წელის სოფლების აღწერა მოხელეებს ვერ მოუხერხებიათ, როგორც ზემოთ აღინიშნა, ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგობის გამო.

ზემო იმერეთიდან აღმწერები ქარელსა და ხაშურში გადმოდიან, ხოლო იქიდან ფრონეს ხეობის სოფლებს აღწერენ (ალი, ფცა, აბისი, აბანო, ბრეძა, ატოცი, წირეთი², თიღვა, ძაღინა, ახალშენი, ხუნდისუბანი, ტყეისი³, სუნისი, კნოლევი,

¹ როლანდ თოფჩიშვილი. დვალეთი და დვალები, თბ., 2016, გვ. 10-11

² წირეთი ჯერ კიდევ სერგი მაკალათიას ფრონის ხეობაში მოგზაურობისას წარმოადგენდა ნასოფლარს (იხ: სერგი მაკალათია, ფრონის ხეობა, გვ. 40). იოანე ბაგრატიონს წირეთი დასახელებული აქვს მდ. ფცისწყალზე ავღევსა და ბრეძას შორის (იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, გვ. 43). სსენებული სოფელი დატინილი აქვს ივ. ჯავახიშვილსაც 1923 წელს გამოცემულ რუკაზე (იხ: იხ: საქართველოს ისტორიული რუკა, გამოცემული შინაგან საქმითა სახალხო კომისარიატის მიერ ივ. ჯავახიშვილის რედაქტორობით, შედგენილი ტოპოგრაფ კავშირის მიერ, თბილისი, 1923 წ.).

³ ტყეისი, ივივე ტყეისუბანი იხსენიება „რუისის სამწყსოს დავთარში“ ოქთასთან ერთად (იხ: თაყაიშვილი ექვთიძე. რუისის სამწყსოს დავთარი 1715. ს. ძაგლათიას სახ. კორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძუ-

ავლევი, ცერონისი, საღოლაშენი, არადეთი). შემდეგ შედარებით სამხრეთით და აღმოსავლეთით ინაცვლებენ და აღწერენ ბებისს, ურბნისსა და სასირეტს.

ამ 50 სოფლის აღწერით მთავრდება აღწერის პირველი ნაწილი, რომლის ბოლოს დაჯამბულია მოსახლეობის კომლობრივი და სულთა რაოდენობრივი მაჩვენებლები სქესის მიხედვით.

აღწერის მეორე ნაწილი გრძელდება დიდი ლიახვის ხეობის შუა წელზე მდებარე სოფლების აღწერით ჩრდილოეთიდან – სამხრეთით (ქერე, კულბითი, ზარდიანთკარი, ხაიშილაური¹, მერეთი, ქსუისი, ტყვიავი, მარანა, კარალეთი, დიდი და პატარა გარეჯვარი, თორტიზა, ზემო და ქვემო რეხა). შემდეგ ინაცვლებს მდინარის მარჯვენა ნაპირზე და მიემართება ჩრდილო-დასავლეთით (ვარიანი, შინდისი, ფხვენისი), ისევ გადმოდის ლიახვის მარცხენა ნაპირზე აღმოსავლეთის მიმართულებით (ძევერა, შერთული, მეღვრეკისი, სკუნეთი, ტირძნისი, ბროწლეთი, სობისი, ბერშუეთი, კირბალი, ჩამარტი², მეჯვრისხევი).

მეჯვრისხევის შემდეგ მდ. პატარა ლიახვსა და მეჯუდას შორის მდებარე რამდენიმე მთიანი, ოსებით დასახლებუ-

ზუმის გამოცემა, ვორი, 2015, გვ. 40), ასევე 1781 წლის ერთ დავთარში თიღვასა და წირეთს შორის (თაბუაშვილი აბოლონ, ქლაუ ცხინვალისა და მასი მიმდებარე სოფლების აღწერის დავთრები, გვ. 78)

¹ ოსებ მეგრელიძეს აღწერისას, ხაშილაური უპვე მერეთის ერთ-ერთ უბანს წარმოადგენდა კარბის მიმართულებით (იხ: ოსებ მეგრელიძე, სიძველები ლიახვის ხეობაში, წიგნი მეორე, თბ., 1997, გვ. 23.)

² ტობონიმი „ჩაბარტის რუ“ 1803 წელს მოხსენიებულია მეჯვრის-ხეული მოსავლის დაღის ნუსხაში „ტერტერასშვილის მამულში“ (იხ: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. HD, საბ. 806).

ლი სოფელია აღწერილი (ღრომი, არდისი, ასატური¹, აბალისი, ვარტყაპი, ვალდა, სხლები², წოლდევი³, კოლოტები⁴, ზონგარი და სხვ). აწრისხევსა და უკულმასოფელს მორის ისევ მეჯვრისხევის აღწერა მეორდება, ოღონდ მასში მოსახლეობის რიცხოვნობა განსხვავებულია. საქმე უნდა გვქონდეს დიდი და პატარა მეჯვრისხევის⁵ აღწერასთან, ხოლო კოლოტებსა და ზონგარს შორის მითითებულია ატენის აღწერა.

ეჭვი გვეპარება ხსენებულ სოფელში ტანას ხეობის სოფელი ატენი მოიაზრებოდეს. ჯერ ერთი, გეოგრაფიული თანმიმდევრობით, №80-დან - 90-ის ჩათვლით, პატარა ლიახვის, მეჯუდასა და ქსნის ხეობების ზემო წელის სოფლებია აღწერილი და ატენი კონტექსტიდან ამოვარდნილია. მეორე - დედაქალაქიდან დაშორება ატენამდე აღწერილ 4 სოფელში (ვარტყაპი, ვალდა, სხლები, კოლოტები) მერყეობს 88-დან 100 ვერსამდე, თუთ ატენისა კი - 98 ვერსი. ტანის ხეობაში მდებარე ატენის მეზობელ სოფელ ხიდისთავს (№162) დედაქალაქამდე მანძილად მითითებული აქვს 60 ვერსი. შეუძლებელია ხიდისთავსა და ატენის შორის მანძილში აღმწერებს 28 ვერსის ცდომილება დაეშვათ. მესამე, მოსახლეობის

¹ ქსნის საერისთავოს აღწერისას, ისროლის ხევის სოფლებში, იოანე ბატონიშვილის მითითებული აქვს „ქ. აშატური - მოსახლენი” (იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, გვ. 37).

² სხლები, ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, მდებარეობდა „ფარის შესართავს ზეთ” (ვახუშტი ბატონიშვილი, გვ. 372).

³ წოლდს ვახუშტი ბატონიშვილი ასახელებს ძდ. რეზულას ხეობაში, ბერშუეთ-კირბალის ჩრდილოეთით (ვახუშტი ბატონიშვილი, გვ. 365). წოლდევი დაფიქსირებულია ივ. ჯავახიშვილის რედაქციით 1923 წელს გამოქვეყნებულ რუკაზე.

⁴ ვფიქრობთ, საუბარი უნდა იყოს სოფელ ქოლოთზე.

⁵ იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერაში”, დაფიქსირებულია „ზემო” და „ქვემო” მეჯვრისხევი (იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, გვ. 37).

საქმიანობიდან გამომდინარე, ატენელები ეწევიან მესაქონლეობას და გადასახადსაც შინაური პირულებით იხადიან, რაც, ზოგადად, მთის მოსახლეობისათვისაა დამახასიათებელი. გორის მიმდებარე სოფელი ატენი კი მთელ ქართლში მევენახეობისა და ღვინის ხარისხით გამორჩეული ადგილი იყო, რაც, ნაკლებად შესაძლებელია, აღმწერებს მხედველობიდან გამორჩენოდათ. მეოთხე - ატენის ხეობა გამუდმებული ლეკიანობისაგან 1804 წლისათვის თითქმის დაცლილი იყო მოსახლეობისაგან და მისი ხელახლი დასახლება 1817-1821 წლებში მოხდა ერმოლოვის დავალებით გიორგი ერისთავის მიერ, იმ პირობით, რომ აქ თავის საკუთარ 50 კომლ გლეხს ჩამოასახლებდა ქსნისა და არაგვის ხეობიდან და სოფელს დაცავდა¹ და მეხუთე - 1817 წლის 8 მარტს, იმავე ერმოლოვის მიერ რუსეთის იმპერიის ფინანსთა მინისტრისადმი გაგზავნილი წერილის მიხედვით, ტანას ხეობა სიგრძით სულ 15 ვერსს შეადგენდა, ხოლო სიგანით 1/4 ვერსს. თვით ატენში ერთი სახაზინო ვენახი იყო, რომელიც 100 თუნგ ღვინოს იძლეოდა, ასევე რამდენიმე ცარიელი სავენახე ადგილი, სახაზინო და ადგილობრივი მებატონების მფლობელობაში². როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაშიც ატენის დახასიათება ერთმანეთს არ ემთხვევა.

აღსანიშვნავია, რომ ატენი წოლდევსა და კოლოტებს შორისაა მოხსენიებული კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტებშიც. სოფლის მოსახლეობა 19 კომლია (129 სული), აქედან 18 კომლი (123 სული) ქართველია და 1 კომლი (6 სული) ოსი. მისდევენ მესაქონლეობას, თესენ ხორბალს, შვრიას, ქერს. ზაფხულში დადიან „ქართლში სამუშა-

¹ იხ: „Кавказский календарь”, Тифл., 1846, გვ. 47-48; სერგი მაკლათია, ატენის ხეობა, თბ., 1957, გვ. 8.

² Акты... т. VI, ч. II, გვ. 750, დოკ. 1099.

ოდ[“]. ღალას იხდიან კომლზე 1 თხასა და 1 ბატქანს წლიურად, მოსახლეობა ღარიბია¹ და სხვ.

საკითხის საბოლოო გარკვევაში გვეხმარება ცნობილი გერმანელი მეცნიერი და მოგზაური იოპან გიულდენშტედტი. იგი განმარტავს, რომ „სხლებს გარშემო, მეჯუდაზე მდებარეობა 4 ოსური სოფელი: ასატური, არდისი, ბერზიათკარი, ტბა და ქართული სოფლები: დათვიანთკარი, წოლდევი, აჭენი (ხაზვასმა ჩვენია - ი. ა.), ჯავახკარი, ისროლი და სხვ².

ვნახოთ სად მიუთითებს გიულდენშტედტი „სხლებს“. 1771 წლის 1 ივლისს იგი გასულა ლარგვისიდან, მდ. ჭურთას ზევით მიემართება და 3 საათის შემდეგ მიდის ოსურ სოფელ ცქუნეთში. ცქუნეთიდან 1 საათში კვლავ „აღმა“ მიდის და 1,5 საათის შემდეგ ადის „მთის წვერზე“, რომელზეც ჯერ კიდევ თოვლი დევს. იქედან სამხრეთით ჩანს მდ. მეჯუდის სათავე. ხსენებული ადგილიდან იგი კვლავ „ზეით“ მიემართება ოსურ სოფელ სხლებამდე, სადაც გაუთევია კიდეც ღამე³.

როგორც ვხედავთ, გერმანელი მეცნიერი ატენის ზუსტ ლოკალიზაციას გვაწვდის, რაც აღწერილი სოფლის ტანას ხეობის ატენთან იდენტიფიკაციას გამორიცხავს.

ზემონათქვამი წინააღმდეგობების გამო, ჩამონათვალი ოსური სოფლების აღწერა დიდი ხარვეზებითაა წარმოდგენილი: დაუზუსტებელია მიწის რაოდენობა, გადასახადების სახეები და სხვ. როგორც ჩანს, ამას აღმწერებიც მიმხვდარან

¹ Акты... т. II, გვ. 75, დოკ. 121.

² გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლეული დაუროვნებული ქართული ტექსტი, თბ., 1962, გვ. 98-99.

³ გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, გვ. 97.

და უკან გამობრუნებულან. ჩვენი აზრით, ამასვე უნდა გულისხმობდეს იანცოვის მოხსენებითი ბარათი.

მეჯვრისხევის შემდეგ აღწერილია ისტორიული „გვერდისძისრის“ სოფლები: აძვი, ჯარიაშენი, ახრისი, იკორთა, ქვეში, ფლავისმანი, ფლავი, საცხენეთი, ჭარები, ახალუბანი. შემდეგ ისევ იცვლის მიმართულებას და გადადის ფრონეს ხეობაში (ბრეთი, წვერი, დირბი, ძვიღლმეთი, დვანი, ავნევი, ნული, ყორნისი), ხოლო იქიდან - დიდი ლაზვის შუა წელზე მდებარე სოფლებში (ქურთა, კეზვი, სვერი, ქემერტი, ძარწემი, ხეითი, საბაწმინდა, დგვრისი, კუსირეთი, ტბეთი), მოემართება მდინარის მიმართულებით სამხრეთ-აღმოსავლეთით (ზემო და ქვემო ნიქოზი, ზემო და ქვემო ხვითი, ყელქცეული, საქაშეთი, ლელისთავი, არაშენდა, ახალდაბა, თედოწმინდა), გადადის მეჯუდის მონაპირე სოფლებში (ბერბუკი, სვენეთი, ხელობანი, გვარხითი, ქიწისი, არცევი, სათემო) და მთავრდება ახალსოფლით. რატომლაც, სათემოსა და ახალსოფელს შორის მოთავსებულია მდ. მტკვრისა და ლიახვის შესართავთან მდებარე სოფელი ტინისხიდი.

აღწერის შემდეგი მიმართულება სამთავისიდან იწყება, გრძელდება მდ. თემმისპირა სოფლებით: ახალქალაქი-ერთაწმინდით და მიუყვება მტკვრის მარჯვენა სანაპიროს დასავლეთით (სასირეთი, ზემო და ქვემო ხანდაკი, ხოვლე, გრაკალი, დოესი, ხიდისთავი, სკრა, სამწევრისი), გაივლის იტრიას, სურამს, ცხრამუხას და ნიჩბისით მთავრდება. ამ შემთხვევაში აღმწერები კიდევ ერთხელ გადადიან ლიხს იქით და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფელია აღწერილი (ვახანი, ზედუბანი, გდეისი, მოლითი, ნებოძირი).

აღსანიშნავია, რომ აღწერაში ცალკეა მოცემული სურამის ციხის აღწერა საკმაოდ მრავალრიცხოვანი მოსახლეობით (129 კომლი, 400 მამაკაცი, 135 ქალი, სულ 535 სული).

181-დან-189 ნომრებით მოცემული სოფლების თანმიმდევრობა ლოგიკას არ ექვემდებარება (კავთისხევი, საკორინთლო, კარბი, ზინდისი¹, გვერდისუბანი, ტეზერი, ბეკამი, ზერტი, უფლისციხე). როგორც ჩანს, ისინი აღწერაში გამორჩენილი და შეძლევ ჩამატებული სოფლებია.

აღწერაში იხსენიებიან საკმაოდ ცნობილნი და გავლენიანი პირები: გენერალ-მაიორი კონსტანტინე ბაგრატიონი, ერასტი, გრიგოლ, ოთარ, ივანე ბარბიმ, ნინია (ნიკოლოზ) ამილახვერები, თეიმურაზ, ნინია, რევაზ, როსტომ, ფავლენიშვილები, როსტომ, ელიაზარ ფალავანდიშვილები, ბეცია, ერასტი, ზაზა, იოსაფ გელევანიშვილები, მიხეილ, რევაზ ერისთავები, იასე, ზაზა, ლუარსაბ მაჩაბლები, ომან, აღათანგ ხერხეულიძეები, ამილბარ, გრიგოლ, ნიკოლოზ, ევსტათი, ივანე, დიმიტრი, ქაიხოსრო ციციშვილები, ევგენი აბაშიძე, ვახტანგ ორბელიანი და სხვები.

აღწერის მიხედვით, მაზრაში ყველაზე მეტი ყმები ჰყავთ ამილახვრებს - 245 კომლი, რომლებიც, ძირითადად, კონცენტრირებულნი არიან მათ რეზიდენციაში, სოფ. ქვემოჭალაში. ციციშვილებს ყველაზე მეტი ყმა ჰყავთ ქარელში, თუმანიშვილებს - ხელთუბანში, ბერბუკსა და ახალდაბაში, ფავლენიშვილებს - ნიქოზსა და ხვითში და სხვ.

აღწერის მიხედვით, ყმათა ვალდებულება მემამულეთა მიმართ, ძირითადად, გამოიხატება ბეგარით და ღალით. ბეგარა კვირაში ორ დღეს ფიზიკური შრომაა (კომლზე 1 კაცი). ღალის სახით, გლეხები მებატონის სასარგებლოდ იხდიან პურის მოსავლის 1/6 და წელიწადში ოთხჯერ დიდ უქმებზე კომლზე ერთ ქათაშს. ზოგგან (ცხინვალში, ატოცში, ავნევში, შერთულში, მოხისში, ხოვლეში და სხვ.) საგა-

¹ ზინდისი „რუისის სამწყსოს დავთარში“ მოხსენიებულია ჩუმათელეთსა და იტრიას შორის (იხ: რუისის სამწყსოს დავთარი, გვ. 71).

დასახადო ვალდებულებები გამოხატულია ფულადი ფორმითაც. საეკლესიო გლეხთა ვალდებულებაში ასევე შედის ცვალისა და საკმეველის დამზადება.

გადასახადების ნორმები ხშირად დადგენილი არ არის და დამოკიდებულია გლეხების გადახდისუნარისნობასა და მოსავლიან, ან მოუსავლიან წელზე. არაერთგან გვხვდება ჩანაწერი: „იხდიან მოყვანილი მოსავლის რაოდენობიდან გამომდინარე”, „მებატონის სურვილის მიხედვით” და ა. შ.

მოსახლეობის ძირითადი საქმიანობაა მიწათმოქმედება, მევნეახეობა და მესაქონლეობა. შიგადამიგ მისდევენ მეფუტკრეობას, თევზჭერას, წვრილმან და ხე-ტყით ვაჭრობას, რომელსაც მდ. მტკვრის საშუალებით აცურებენ და თბილისში ჰყიდიან. ცხინვალსა და ატოცში აქვთ სამღებროები, სავაჭრო ჯიხურები. დასახლებული პუნქტების უმრავლესობაშია წყლის წისქვილი, მათ შორის, ორი და სამთვლიანიც.

აღწერიდან გამომდინარე, ქართლში მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა იმერეთთან შედარებით უკეთესია. მაგ., იტრიის აღწერისას მითითებულია, რომ მოსახლეობა ძალზე ღარიბია, ხოლო ნებოძირელები ქართლში დაიარებიან სამსახურის საძიებლად.

მართალია, 1804 წლის აღწერაში ყმათა ვინაობა დასახლებული არ არის, მაგრამ ქრონოლოგიური სიახლოვის ქართულ აღწერებში, ზოგიერთი მათგანის ვინაობის დადგენა შესაძლებელი ხდება. მაგ., 1804 წლის აღწერაში სოფ. მერეთში აზნაურ გოგია ფურცელაძის ყმათა რაოდენობაში მითითებულია 28 კომლი ქართველი. 1781 წლის ცხინვალის მხარის მოსახლეობის აღწერის დავთარში ამავე სოფელში მითითებული არიან ფურცელაძე გოგიას ყმები: გლახა, ნინია, სვიმონა ტიელიძეები, პეტრია, ღვთისია, გოგია გიორგიშვი-

ლები, პაპუნა ბერიკა და დათუა მახარაშვილები, ბერი და გლახა ელიაშვილები¹ და სხვ.

იგივე სიტუაცია გვაქვს ერედვში. 1804 წლის აღწერის მიხედვით, სოფელში გლახა ფავლენიშვილს ჰყავს 4 კომლი ყმა². 1781 წლის დავთრით დგინდება, თუ ვინ არიან ისინი: „ქ. ფავლენიშვილის გლახას ყმა საბანაძე ტეტია, ამისი ძმა დავითა, კომლი ა, თავი ბ;

ქ. აქავ. ამისი ყმა ბორცვაძე კაცა, ამისი ძმა გლახა, კომლი ა, თავი ბ;

ქ. აქავ. ამისივ ყმა კვირიკაშვილი ნინია კომლი ა, თავი ა;

ქ. აქავ. ამისივ ყმა წიზაბავრელი ივანე, ამისი ძმა იესე, კომლი ა, თავი ბ”³ და სხვ.

აღწერაში რამდენიმე სოფელია, რომელიც დღეისათვის აღარ არსებობს. ასეთებია ტყისი, ჩამარტი, თვალათუბანი, ლელისთავი. დგვრისი დღეს უკვე ცხინვალის შემადგენელი ნაწილია, ისევე, როგორც ჩამარტი - მეჯვრისხევის.

ტყისი სერგი მაკალათიას მოტანილი აქვს, როგორც „ტყისუბანი”. თუმცა, იქვე აღნიშნავს, რომ წსენებული სოფელი ამჟამად ზნაურად⁴ იწოდება⁵.

თვალათუბანი მოხსენიებულია „დასტურლამალში” მოცემულ „ურბნისის რუს გარიგებაში”, სადაც მოსახლეობის ვალდებულებებზეა საუბარი: „ურბნისის რუ საქაშეთამდი ში-

¹ თაბუაშვილი აპოლონ. ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების აღწერის დავთრები (XVIII საუკუნის II ნახევარი), თბ., 2013, გვ. 98.

² გსიებ, 7486, გვ. 8.

³ თაბუაშვილი აპოლონ. ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების აღწერის დავთრები, გვ. 85.

⁴ ივულისხმება ყორნისი.

⁵ სერგი მაკალათია, ფრონის წეობა, თბ., 1963, გვ. 40.

ნდელთ უნდა გამოიღონ: იქიდამ - საქაშნელთ და ოკალათ-უბნელთ გამოიღონ შირშაბინის საყდრამდი ...მას აქეთ ვარიანელთ, სასირელთ და არაშენდელთ რუისის თავამდი გამოიღონ”¹. ტექსტიდან გამომდინარე, ოკალათუბანი საქაშეთსა და სასირეთს შორის მდებარეობდა², იოანე ბატონიშვილს თვალ-ათუბანი მოსახლე სოფლების კატეგორიაში გაჰყავს³. ხსენებული სოფელი XIX ს. ბოლოს მოხსენიებულია რუსეთის იმპერიის პირველ საყოველთაო აღწერაში⁴ და დატანილია ივ. ჯავახიშვილის რედაქტორობით 1923 წელს გამოცემულ საქართველოს რუკაზეც⁵.

ლელისთავი იოანე ბატონიშვილს ფხვენისსა და ვარიანს შორის აქვს მოხსენიებული⁶.

აღწერაში ასევე დასახელებულია რამდენიმე დასახლებული პუნქტი, რომლის ლოკალიზაცია დღეისათვის ვერ ხერხდება: სკუნეთი (მეღვრეკისსა და ტირძისს შორის), უკულმასოფელი (ბაგებსა და მეჯვრისხევს შორის), ასევე ოსური სოფლები: ასატური, ვარტყალი, კოლოტუბი.

¹ დასტურლამალი, ქართული სამართლის მეგლები, ტექსტი გამოსცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონი და საბიულენტი დაურთო ი. სურვულაძემ, თბ., 1970, გვ. 531, მუხლი 17.

² იხ: ოსებ ალიმბარაშვილი. შიდა ქართლის ქალაქ-სოფლების გასარწყავების საკითხი, აკადემიკოს თეოფანე დავითაშვილის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციის მასალები, შრომათა კრებული, ახალი სერია № 3(82), თბ., 2011, გვ. 370, რუკა.

³ იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, გვ. 41.

⁴ *Свод статистических данных о населении Закавказского края извлечённых из посемейных списков 1886 г. Тифлисъ 1893, გვ. 65.*

⁵ საქართველოს ისტორიული რუკა, ივ. ჯავახიშვილის რედ., თბ., 1923 წ.

⁶ იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, გვ. 41.

აღწერა სულ მოიცავს 7 გრაფას. პირველი გრაფაში მოცემულია სოფლის დასახელება საგუბერნიო ქალაქიდან (თბილისიდან) დაშორება, მებატონეთა ვინაობა და მათ დაქვემდებარებაში მყოფი გლეხების რაოდენობა ეთნიკური მაჩვენებლის მიხედვით. მეორე გრაფა ასახავს კომლთა რაოდენობას, ხოლო მესამე და მეოთხე – სულთა რაოდენობას სქესის (მამაკაცი, ქალი) მიხედვით. მეხუთე გრაფაში მიწის რაოდენობა, ხარისხი (სახნავი, სათიბი, ვენახი) და საკუთრების ფორმაა (სახაზინო, საბატონო, საეკლესიო) დაკონკრეტებული. მეექვსეში – მოყვანილი მოსავლის რაოდენობა, სახე, სოფლის ტერიტორიაზე არსებული წისქვილებისა და ტყების სიმძლავრები და ხარისხის მიხვენებლებია მოცემული (მაგ: წისქვილის შემთხვევაში - ერთოვლიანი, ორთოვლიანი, ტყეების – სამშენებლო, საწვავი და ა. შ.). ბოლო გრაფა სოფლის მოსახლეობის ეკონომიკურ მდგომარეობას, საქმიანობას და გადასახადებს აკონკრეტებს.

აღწერაში გადასახადები ნაჩვენებია დღიური¹ ნორმით. რაც შეხება წონისა და მოცულობის ერთეულებს, გამოყენებულია კოდი² და კოკა³.

აღწერიდან ცხადი ხდება, რომ ჯერ კიდევ სისტემატური ადგილი აქვს ლეგქისა და ოსების მარბიელ

¹ როგორც წესი, „დღიურში” აღმოსავლეთ საქართველოში იგულისხმებოდა მიწის ის ფართობი, რასაც გუთნეული ერთ დღეში მოხნავდა, მაგრამ „დღიურის” სიდიდეს განაპირობებდა სმუშაო დღის ხანგრძლივობა, გამწევი ძალა და ნიადაგის ხარისხი. XIX საუკუნეში „დღიური მიწა” 0,39-დან - 0,5 ჰექტარამდე მერყეობდა.

² კოდი - მარცვლეულის საწყაო. XVIII საუკუნეში აღმოსავლეთ საქართველოში კოდი 30-34 კილოგრამამდე მერყეობდა, XIX საუკუნეში კოდის სიდიდე 50 კილოგრამამდე გაიზარდა.

³ კოკა - სითხის საწყაო. XVIII საუკუნიდან აღმოსავლეთ საქრთველოში „სწორ” კოკად ითვლებოდა 4 ჩაფი, ანუ 30-34 ლიტრა.

თავდასხმებს. ისინი იტაცებენ ბავშვებს, მოსავალს, პი-რუტყვს, ხოლო, რაც ვერ მიაქვთ, ანადგურებენ¹.

ადგილი აქვს მოსახლეობის მიგრაციას ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. მაგ., ვანათში პირდაპირაა მითითებული: „ახ-ლადჩამოსახლებული ოსები” (Прибытиих осетинцев), ანალო-გიური ვითარებაა ფრისში², ხოლო რაოდენობაში დაფიქსირებულია 8 კომლი (30 სული)³, ქარელში ოსების ეს კატეგო-რია (ჩამოსახლებულები) რამდენიმეგან ფიქსირდება⁴ და სხვ.

რამდენადმე პირობითია ეთნიკურობის გრაფა. ქართვე-ლების, სომხების, ოსების, რუსების გარდა, ცალ-ცალკეა მი-თითებული: იმერელი, ჯავახეთელი, კათოლიკე, უიდი.

აღწერა საინტერესოა რელიგიური თვალსაზრისითაც. მასში განმარტებულია, თუ რომელი მონასტრის მფლობელო-ბაში არიან ამა თუ იმ სოფლის საეკლესიო ყმები. დაკონკრე-ტებულნი არიან იმდროინდელი მაღალი იერარქიის საეკლე-სიო პირები: სამთავროს მონასტრის მიტროპოლიტი იუსტინე მროველი, სამთავრისის მიტროპოლიტი გერვასი, ურბნისის მონასტრის არქიეპისკოპოსი ისომი თუხარელი და არქიდია-კონი იუსტინე, რუსის არქიეპი სოლომონი, არქიმანდრიტე-ბი: დოსითეონი, ნეოფიტე, დიმიტრი და სხვები.

აღსანიშნავია ერთი ფაქტორიც. იკორთაში საეკლესიო გლეხების კატეგორიაში მითითებულნი არიან ეთნიკური სომ-ხები⁵. ზემო რეხაში სამთავროს მონასტრის საეკლესიო აზნა-ურის ანანიაშვილის კუთვნილი გლეხები ასევე სომხები არი-

¹ გსიემ, 7486, აღწერა, გვ. 10, 22, 45-46, 48, 86, 88, 90, 91, 127, 136 და სხვ.

² გსიემ, 7486, აღწერა, გვ. 8.

³ გსიემ, 7486, აღწერა, გვ. 10.

⁴ გსიემ, 7486, აღწერა, გვ. 23.

⁵ გსიემ, 7486, აღწერა, გვ. 79.

ან¹, იგივე ვითარება გვაქვს საღოლაშენში, სადაც ულუმბოს მონასტრის ყმებში სომხები ჩანან². სავარაუდოდ, სამივე შემთხვევაში მართლმადიდებელი აღმსარებლობის სომხებზე უნდა იყოს საუბარი.

მიუხედავად იმისა, რომ აღწერა, როგორც წესი, მშრალი სტატისტიკაა, ეპოქის სოციალური და პოლიტიკური მაჯისცემა მაინც იგრძნობა. მაგ., სოფ. ატოცის აღწერისას ნათქვამია, რომ მიწა ნაყოფიერი და დიდი რაოდენობითაა, მაგრამ ადგილობრივი მღვდლის მემკვიდრე მოსახლეობას მისი დამუშავების უფლებას არ აძლევს. ქარელში მითითებულია, რომ მიწა საემარისი, მაგრამ მოუვლელი და დაუსახლებელია, რადგან, სადაც ბაღ-ვენახები იყო, ლეკებისაგან მთლიანად გაპარტახებულია და ვერავინ ბედავს ხელახლა დასახლებას. ერევში ერასტი გედევანიშვილის საყმოში განმარტებულია, რომ მებატონის მიმართ ვალდებულებები აღარ გააჩნიათ, რადგან იგი დიდი ხნის წინათ გაიქცა თურქებთან. მართლაც, ხელისუფლებამ ერასტი გედევანიშვილისა და მისი ძმების გლეხები, მათი ქონებით 1801 წელს ბეცია გედევანიშვილს გადასცა³ და ა. შ.

აღწერაში გვარები და სახელები მითითებულია რუსული ფორმით: ამილაზვროვი, ერისთოვი, მაჩაბელოვი, თუმანოვი, ლავილოვი, გრიგორი, მატევი, ევსტაფი და ა. შ. რასაც, აღწერის ქართულ ნაწილში ქართული ფორმით (ამილაზვარი, ერისთავი, ყანჩაველი, გრიგოლი, მათე, ესტატე) ვცვლით, ხოლო რუსულში ვტოვებთ უცვლელად.

აღწერას ზემოთქმულის გარდა, კიდევ მთელი რიგი ხარვეზებიც ახლავს თან, მაგ., არაერთი სოფლის სახელი

¹ გსიემ, 7486, აღწერა, გვ. 57.

² გსიემ, 7486, აღწერა, გვ. 41.

³ Акты... т. I, გვ. 303, დოკ. 368.

დამახინჯებულია, სავარაუდოდ, აღმწერი მოხელეების ქართული ენის არცოდნის გამო, ტირმინისი დაფიქსირებულია „ტარმინისად”, სვენეთი - „სვინეთად”, კეხვი - „კეფად” და სხვ. ოუმცა, გვხვდება ისეთი სოფლებიც, რომლებიც აღწერაში სწორად არის მითითებული, მაგრამ ს. კაკაბაძის მიერ ნაბეჭდი პირის ჩამონათვალში არასწორად. მაგ., დიდი და პატარა გარეჯვარი აღწერაში მოხსენიებულია სწორად, მაგრამ ს. კაკაბაძის მიერ გადაბეჭდილ პირში გარეჯვრის ნაცვლად დაფიქსირებულია დიდი და პატარა გორიჯვარი¹. ამას გარდა, სოფლების ჩამონათვალში გამორჩენილია დიცი, და, შესაბამისად, ნუმერაციაც აღრიცხულია. ოუმცა, იკორთა-ქეში აღწერაში მოხსენიებულია ერთ სოფლად, ხოლო ს. კაკაბაძის ჩამონათვალში ცალ-ცალკე, ამიტომ ჩამონათვალი სოფლების რაოდენობა ერთმანეთს ემთხვევა.

როგორც ითქვა, თითოეულ სოფელს და დასახლებულ პუნქტს მითითებული აქვს მანძილი (დაშორება) საგუბერნიო ქალაქ თბილისიდან, მაგრამ აქაც გაპარულია შეცდომები. მაგ., სოფ. ახალდაბას, რომელიც მდ. ლიახვის ქვემო წელზე, მის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს და არაშენდასა და თედორწმინდას შორისაა მოქცეული (აღწერაც ანალოგიურად მისდევს), ცენტრიდან მანძილი მითითებული აქვს 30 ვერსი. შესაბამისად, არაშენდას - 83, ხოლო თედორწმინდას 78 ვერსი. ვფიქრობთ, ახალდაბის შემთხვევაში მითითებული უნდა იყოს 80 ვერსი, მაგრამ გარეგნული მსგავსების გამო, აღმწერებს აერიათ და „8”-ის ნაცვლად „3” დააფიქსირეს.

¹ სხვათა შორის, მსგავსი შეცდომაა გაბარული 1818 წლის გორის მაზრის საბატონო გლეხთა კამერალურ აღწერაში, ოლონდ, 1804 წლისა-გან განსხვავებით, იქ აღწერის დედანშიც გარეჯვრის ნაცვლად, გორიჯვარია მითითებული (იხ: გსიგ, 8150, გვ. 110-120).

ანალოგიური შემთხვევა გვაქვს სოფ. „კოლოტების” აღწერისას, სადაც ცენტრიდან მანძილი 20 ვერსია მითითებულია. აღწერაში იგი მდ. პატარა ლიახვსა და მეჯუდას ხეობებს შორის მოქცეული მთიანი ოსური სოფლების: ახალისას, ვილდას, წოლდევის შემდეგაა აღწერილი, რომელთა დაშორება თბილისიდან 80-დან - 100 ვერსამდე მერყეობს. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაშიც 20-ის ნაცვლად, 80 ვერსი უნდა იყოს მითითებული.

შეცდომებია დაჯამებებშიც. მაგ., სოფ. კარალეთში მითითებულია მუხრანბატონების მფლობელობაში მყოფი 35 კომლი, თავად დიმიტრი ციციშვილისა და გორელი ვაჭრის ალაპანვის თითო-თითო კომლი (=37). ჯამში კი 97 კმლია დაფიქსირებული.

ვფიქრობთ, ზემოხსენებული შეცდომები გადამწერის, ან მბეჭდავის მიერაა დაშვებული, თორემ ნაკლებად მოსალოდნელია, მსგავსი ხარვეზები სარგის კაკაბაძეს მოსვლოდა. მართლაც, აღწერის არაერთ ადგილას, გაუმართავი, ან ალოგიკური ტექსტის შემთხვევებში, მელნით კაკაბაძის მიერ ჩამატებულია ძახილის, ან კითხვითი ნიშნები.

სტილისტურ ხარვეზებს ვასწორებთ და შენიშვნებს ვურთავთ აღწერის ტექსტის მხოლოდ ქართულ ვარიანტს, ხოლო რუსულს ვტოვებთ უცვლელად, რათა მკითხველს სრული წარმოადგენა შეექმნას დოკუმენტზე.

მიუხედავად ზემოთქმული ხარვეზებისა, 1804 წლის აღწერას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. აღნიშნული ღონისძიება რუსული ხელისუფლების მიერ ჩატარებული პირველი ოფიციალური ღონისძიებაა XIX საუკუნის დასაწყისში ქართლში მოსახლეობის რიცხოვნობის, ეთნიკური და სოციალური შემადგენლობის, ეკონომიკური და დემოგრაფიული ვითარების დადგენის შესახებ.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ზემოხსენებული 189 სოფლიდან, დღეისათვის 50 ოკუპირებულია, ოფიციალური ცნობები (მით უფრო, რუსული ხელისუფლების მიერ) ორი საუკუნის წინანდელი შიდა ქართლის მოსახლეობის ეთნიკური, სოციალური შემადგენლობისა და განსახლების შესახებ, არა მარტო მნიშვნელოვანი, არამედ აქტუალურიცაა.

დამოწმებანი:

წყაროები:

ბაგრატიონი იოანე, „ქართლ-კახეთის აღწერა“, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საბიუბლები დაურთეს თინა ენუქიძემ და გურამ ბერიშვილმა, თბ., 1986.

ბატონიშვილი ვახუშტი. „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ხ. გუბჩიშვილის მიერ, თბ., 1973.

გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევები დაურთო გ. გელაშვილმა, თბ., 1962

გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, გსიემ 7486, ფ. 1-157; გსიემ 8150, გვ. 110-120. გსიემ, 8177, გვ. 235.

დასტურლამალი, ქართული სამართლის მეგლები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონი და საბიუბლები დაურთო ი. სურგულაძემ. თბ., 1970.

დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ტ. II, ბატონიშვრი ურთიერთობა (XV-XIX სს.) ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1953.

დუმბაძე მამია. რუსული მმართველობის დამყარება ქართლ-კახეთში, წიგნში: საქართველოს ისტორიის ნარჩვენები, ტ. IV, თბ., 1973.

თაბუაშვილი აპოლონ. ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმღებარე სოფლების აღწერის დავთრები (XVIII საუკუნის II ნახევარი), თბ., 2013.

თაყაიშვილი ექვთიმე. რუსის სამწყსოს დავთარი 1715. ს. მაკალათიას სახ. გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის გამოცემა, გორი 2015.

საქართველოს ეროვნული საისტორიო არქივი, ფ. 254, ს. 58, ფ. 3-74; ფ. 1448, საბ. 4255.

საქართველოს ისტორიული რუკა, გამოცემული შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ ივ. ჯავახიშვილის რედაქტორობით, შედგენილი ტოპოგრაფ ეპული ბარამიძის მიერ, თბილისი, 1923 წ.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. НД, საბ. 8061.

Акты Собранные Кавказскою Археографическою Коммисиою, т. I, Тифл., 1866.

Акты... т. II. Тифл., 1868.

Акты... т. V, Тифл., 1873.

Акты... т. VI. Тифл., 1875.

Кавказский календарь, Тифл., 1846.

Свод статистических данных о населении Закавказского края извлечённых из посемейных списков 1886 г. Тифлис 1893.

Обозрения Российских владений за Кавказом, , ч. II, отд. 7, Горийский уезд. Описание произведено Николаем Флоровским, СПБ 1836.

ლიტერატურა:

ალიმბარაშვილი იოსებ, შიდა ქართლის ქალაქ-სოფლების გასარწყავების საკითხი, აკადემიკოს თეოფანე დავითაძის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციის მასალები, შრომათა კრებული, ახალი სერია №3(82), თბ., 2011.

ანთაძე კონსტანტინე, საქართველოს მოსახლეობა XIX საუკუნეში (ისტორიულ-დემოგრაფიული გამოკვლევა), თბ., 1973.

ბერძენიშვილი დევი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიდან (ქვემო ქართლი), I, თბ., 1979.

თოფჩიშვილი როლანდ, დვალეთი და დვალები, თბ., 2016.

მაკალათია სერგი, ატენის ხეობა, თბ., 1957.

მაკალათია სერგი, ფრონის ხეობა, თბ., 1963.

მეგრელიძე იოსებ, სიძველეები ლიახვის ხეობაში, თბ., 1984.

მეგრელიძე იოსებ, სიძველეები ლიახვის ხეობაში, წიგნი მეორე, თბ., 1997.

ორჯონიკიძე ეთერ, რუსული მმართველობის დამყარება საქართველოში (XIX ს-ის პირველი ნახევარი), თბ., 1992.

სოსიაშვილი გიორგი, სამაჩაბლოს ისტორია, თბ., 2005.

ჯაოშვილი ვახტანგ, საქართველოს მოსახლეობა, თბ., 1996.

Джанашия Симон. Об одном примере искажения исторической правды (по поводу книги Н. Токарского «Архитектура древней Армении»), в. сб. «Некоторые вопросы истории Грузии в армянской историографии», Тб., 2009.

Ioseb Alimbarashvili

Gori State Teaching University

**1804 GORI DISTRICT REGISTER OF TREASURY AND
NOBLES` VILLAGES
RESUME**

In the current paper the register of Gori District Treasury and Nobles` villages, conducted by the Russian government in 1804, is discussed and analyzed.

On April 2, 1803, on assignment of Governor-General Pavel Tsitsianov, the Gori District register was entrusted to the District Captain (Kapitan-Isparvnik) Yantsov, who finished it in a year and four months, on July 4, 1804. However, he was not able to give the complete register, because, the population of the villages inhabited by the Ossetians (Liakhvi and mountainous villages of Upper Ksani, where the majority of the population is Ossetians, are meant) did not let the officials in the villages, and, as it was stated in the report to Tsitsianov, they wounded even Yantsov. Besides this, the register comprised only payable population. Unlike men, women were listed without names and surnames, only their quantity was given. The register did not touch upon privileged titles and subjects of foreign countries.

The register had been finished by 1805, and on the basis of the collected statistical materials, in 1806, general regulations for the treasury expedition was made to register the payable population, according to which, in the registered regions of Eastern Georgia there were 153,6 thousand people (the register was not conducted in the following regions: Mtuleti, Tusheti and Pshav-Khevsureti). There were 33,4 thousand of payable population in Gori District.

The register comprises the information about 189 villages of Gori District of the past time, and also, the neighboring villages of the rivers Mtkvari, Froni, Liakhvi, Tedzmi, Lekhura, Dzama, Dzirula, Chkherimela etc. are described.

Quite famous and the most influential people are mentioned in the register: General – Mayor Konstantine Bagrationi, Erasti, Grigol, Otar, Ivane Bardzim, the Amilakhvari: Ninja (Nikoloz), the Pavlenishvili: Teimuraz, Ninja, Revaz and Rostom, the Palavandishvili: Rostom, Elazar, the Gedevanishvili: Betsia, Erasti, Zaza and Iosap, the Eristavi: Mikheil and Revaz, the Machabeli: Iase, Zaza and Luarsab, the Kherkeulidze: Oman and Agatang, the Tsitsishvili: Amilbar, Grigol, Nikoloz, Evstati, Ivane, Dimitri and Kaikhosro, Evgeni Abashidze, Vakhtang Orbeliani and others.

The register comprises 7 columns. The first column gives information about the name of the village, how far it is from provincial city (Tbilisi), identity of noblemen and the number of serfs, their subordinates according to their ethnic groups. The second column shows the number of households, the third and the fourth show the number of people according to their gender (male or female). The fifth column gives information about the owned land quantity, quality (arable, mow or vineyard) and specific form of ownership (treasury, nobility or ecclesiastical). The sixth column shows the quantity of the harvest, its kind, capacity of mills and forest in the village premises and its qualitative index (e.g. in the case of the mill – one-wheeled or two-wheeled, in the case of forests – construction timber or wood fuel etc.). The last column specifies the population's economic situation, business and taxes.

The taxes are shown by daily rate. Regarding the units of weight and volume, the appropriate units of measurement Kodi and Koka were used.

As seen from the register the attacks of Lekis and Ossetians have a systematic character. They kidnap children, crop and cattle, and in case they cannot take it, they exterminate it.

People also migrate from the North to South. For example, there was a direct instruction in the village of Vanati: "Newly settled Ossetians". The similar situation is in Prisi, where 8 households (30 people) are traced. Such category of Ossetians (newly-settled) is traced in some places in Kareli.

The ethnic column is rather relative. Apart from Georgians, Armenians, Ossetians and Russians, Imereli, Javakheti, Catholics and Jews are mentioned separately.

The register is interesting from the religious point of view as well. It gives the information about which monastery the ecclesiastical serfs of this or that village belonged to. The positions of clergymen of high hierarchy are also specified: Samtavro Monastery Metropolitan Iustine Roveli, Samtavisi Metropolitan Gervasi, Archbishop of Urbnisi Monastery Isomi Tukhareli and Archdeacon Iustine, Bishop of Ruisi Solomon, Archimandrite: Dositeosi, Neopite, Dimitri and others.

The register has a number of mistakes, e.g. the names of many villages are distorted due to the fact, that officials did not know the Georgian language well. Tirdznisi is mentioned as "Tardznisi", Sveneti – "Svineti", Kekhvi as "Kepa" and others. However, we come across the villages that are registered correctly, but in the published version of S. Kakabadze there are mistakes. For example, Didi (Big) and Patara (Small) Garejvari are given correctly in the register, while in the published version of S. Kakabadze Didi and Patara Gorijvari

are mentioned instead of Garejvari. Besides, in the list of villages, the village of Ditsi is omitted, consequently, the numbering is also mixed. Though, the village Ikorta-Kveshi is mentioned as one village in the register, while S. Kakabadze gives it separately, that's why the number of villages in the list coincides with each other.

As it was said, each village and locality mentions a distance from the provincial town of Tbilisi. We also have some mistakes here. For example, the village of Akhaldaba, which is located in the lower part of the river Liakhvi, on its right bank, between the villages of Arashenda and Tedotsminda (the similar information is given in the register), the distance from the center is 30 verst. Accordingly, Arashenda will be 83 verst, and Tedotsminda - 78 verst. We think that in case of Akhaldaba it must be 80 verst, and because of similarity the registerers made a mistake, and instead of "8", they wrote "3".

The similar case is with the description of the village Kolotebi, where the distance from the center is mentioned to be 20 verst. The mentioned village does not exist anymore, it is impossible to find its localization, but in the register, it is placed between the Ossetian villages: Akhalisa, Vilda and Tsoldevi, between the gorges of the river Patara (Small) Liakhvi and Mejuda. The distance between these villages and Tbilisi is about 80 – 100 verst. We believe, instead of 20 verst there must have been 80 verst.

We think that the above-mentioned mistakes were made either by the scribe or the publisher, because Sargis Kakabadze is less likely to have these mistakes. Indeed, Sargis Kakabadze, using the ink, was editing faulty sentences by adding either exclamation or question marks.

The stylistic mistakes were corrected and the notes were attached only to the Georgian version, the Russian version was

left unchanged, in order for the reader to have a full picture of the document.

Despite the mistakes, the 1804 register is of great importance. It is the first official event conducted by the Russian government in the beginning of the XX century to find out the quantity of the population in Kartli, its ethnical, social, economic and demographic situation.

If we take into consideration the fact that currently, out of 189 villages 50 villages are occupied, two-centuries-old official information about the ethnical and social situation of Shida Kartli population and their resettlement is not only important but vital as well.

მიხეილ ბახტაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გაერთიანებული საქართველოს მეფეთა ქართული ტიტულატურა XI საუკუნეში

ქართველ მეფეთა ტიტულატურა დაფიქსირებულია ის-ტორიულ საბუთებში, ნუმიზმატიკურ და ეპიგრაფიკულ ძეგლებზე, ნარატიულ წყაროებში, სხვადასხვა სახის მინაწერებში და სხვ. ცხადია, ყველაზე სრულად დაცულია თავად მეფეთა მიერ გაცემულ სიგელებში. საქართველოს მეფეთა ქართული ტიტულატურის შესწავლისათვის ეს უმთავრესი წყაროა, გამომდინარე თუნდაც იქიდან, რომ სიგელი წარმოადგენდა ოფიციალურ იურიდიულ დოკუმენტს. სამწუხაროდ, სიგელების მეტად მცირე რაოდენობამ მოაღწია ჩვენამდე და ზოგიერთი მეფის მიერ გაცემული საბუთი საერთოდ არ მოგვეპოვება. ძალიან საინტერესოა ნუმიზმატიკური მასალა. აქ დაფიქსირებული ისეთი ტიტულატურა, რომელიც სიგელებში არ გვხვდება. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ მონეტების მცირე ზომების გამო მასზე განთავსებულ ზედწერილებში ძნელი იყო სრული ტიტულატურის ასახვა და მსგავსი რამ თითქმის არ გვხვდება. დაახლოებით ასეთივე ვითარება გვაქვს ეპიგრაფიკულ ძეგლებთან დაკავშირებითაც. ყველაზე ნაკლებად სანდოა ნარატიული წყაროები, რადგან მემატიანენი არც იყვნენ ვალდებული და არც მოიხსენიებდნენ მეფეებს სრული ოფიციალური ტიტულატურით. საინტერესოა უცხოურ წყაროებში დაცული ცნობები. თუმცა გასათვალისწინებე-

ლია, რომ ამ შემთხვევაში დაფიქსირებულია მიმართვის ის ფორმა, რომლითაც სხვა ქვეყნის მმართველები მომართავდნენ საქართველოს მეფეებს და ამას ზოგჯერ მეტად მცირე რამ აკავშირებს ოფიციალურ ქართულ ტიტულატურასთან.

საქართველოს მეფეთა ტიტულატურის შექმნა ბაგრატ III-ის დროიდან იწყება. ივ. ჯავახიშვილის წერდა, „სახელმწიფოს სათავეში იღვა მეფე, რომელიც ბაგრატ III-ის დროიდან იწოდებოდა მეფეთამეფედ. ხელმწიფის სრული სახელწოდება დროთა განმავლობაში უფრო და უფრო ვრცელი ხდებოდა. იგი არეკლავდა საქართველოს თანდათანობით პოლიტიკურ ზრდას და სახელმწიფო საზღვრების გაფართოების ისტორიას. ამიტომ თავისი მეფობის დასაწყისში ბაგრატ III იწოდებოდა მხოლოდ „მეფე აფხაზთა და ქართველთა“, ხოლო უფრო გვიან ... „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა!“ თითქმის იგივე მოსაზრებას გამოთქვამდა შ. მესხია, „მეფეთა წოდებანი, ერთის მხრივ, წარმოგვიღგენენ იმას თუ როგორ განთავისუფლდნენ ისინი ბიზანტიური ტიტულებისგან და კიდევ მეტი, როგორ დაუპირისპირდნენ ისინი ბიზანტიის იმპერატორებს, ხოლო მეორეს მხრივ ამ წოდებათა გამრავლებას, ზრდას შესაბამისად იმ ცვლილებებისა, რასაც საქართველოს სახელმწიფოებრივი საზღვრები განიცდიდა. ქართველ მეფეთა ტიტულატურის ევოლუციაში ასახული იყო აგრეთვე საქართველოს სამეფოს საერთაშორისო გავლენის თანდათანობითი ზრდაც“¹. ჯ. სტეფნაძე აღნიშნავს, „საქართველოს მეფეები მხოლოდ იმ ქვეყნის მეფობას ითვისებდნენ, რომელსაც უშუალოდ იერთებდნენ. ყმადნაფიც

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნ. 2 თბ., 1965, გვ. 398.

² შ. მესხია, საშინაო და საგარეო პოლიტიკური კითარება რესთაველის ეპოქაში. მნათობი, №9, 1966, გვ. 94.

ხალხთა სახელები ტიტულატურაში არ შედიოდა. საქართველოს მეფეთა ტიტულატურაში არ შედიოდა აგრეთვე უმნიშვნელო პოლიტიკური ერთეულის (მაგ. ტავუშის და მაწნაბერდის, წანარიის და სხვ.) მეფობაც¹. მ. თოდუა შენიშნავდა, „ხშირად მეფის მიერ მოხსენიებული ტიტული გადაჭარბებულია (ახალ ვითარებას აღარ ასახავს ან პრეტენზიულია) რის გამო, ბუნებრივია, მას ყველა ასე არ მიმართავდეს.²“ ეს უკანასკნელი მოსაზრება ნაკლებად ეხება XI-XII და უფრო მოგვიანო პერიოდისთვის არის აქტუალური.

ტიტულატურასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელი თანამოსაყდრეობის საკითხიც. ივ. სურგულაძე მართებულად წერდა: „პრატიკულად ორმეფობის ინსტიტუტი თითქმის განუწყვეტლივ არსებობდა გიორგი II-ის დროიდან დავით ნარინამდე. გიორგი II-მ თანამოსაყდრედ გაიხადა დავით აღმაშენებელი, დავითმა - დემეტრე, დემეტრემ გიორგი III, გიორგი III-მ - თამარ მეფე, თამარმა - ლაშა-გიორგი, რუსულანმა - დავით ნარინი³. აღვნიშნავთ, რომ მსგავსი ფაქტები შემდგომშიც იყო. დავით ნარინი და ვახტანგ II, ალექსანდრე დიდი და ვახტანგ III. ვ. სილოგავა აღნიშნავდა: „თანამოსაყდრეობა ჯერ კიდევ არ ნიშნავდა, რომ იგი აუცილებლად მეფედ ყოფილიყო დასახელებული.⁴“

¹ ჯ. სტეფნაძე, XI-XII საუკუნეების საქართველოს მეფეთა ტიტულების გაგებისთვის. კრებული ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან. თბ., 1976, გვ. 163.

² მ. თოდუა, ქართულ-სპარსული ეტიუდები თბ., 1979, გვ. 34.

³ ივ. სურგულაძე, სახელმწიფიფისა და სამრთლის საკითხები „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით. თბ., 1977, გვ. 73.

⁴ ვ. სილოგავა, ბაგრატიონთა სამეფო სახლის ერთი სააღაპე წარწერა-დადგენილება. თსუ შრომები 2005, №359 გვ. 206.

მეტად საინტერესო მოსაზრება გამოთქვეს რ. მეტრეველმა და ჯ. სამუშამ, რომ „ერთმანეთისაგან უნდა განირჩეს თანამოსაყდრე და თანამეფე“¹. ჩვენი აზრით, სამწუხაროდ ქართული წყაროები არ იძლევა იმის საშუალებას, რომ დაწვრილებით ვისაუბროთ თანამოსაყდრისა და თანამეფის უფლებრივ განსხვავებაზე. თუ მეტრეველი-სამუშავს მოსაზრებას გავიზიარებთ, უნდა ვივარაუდოთ, რომ თანამოსაყდრეს უფრო ნაკლები უფლებები და შედარებით დაბალი სტატუსი უნდა ჰქონდა, ვიდრე „მეფე მამას“, ხოლო თანამეფობის შემთხვევაში ორივე მეფეს ერთნაირი უფლებები და სტატუსი გააჩნდა. ასეთ შემთხვევაში ისიც უნდა გაირკვეს, თუ როდის გვაქვს საქმე თანამოსაყდრეობასთან და როდის – თანამეფობასთან. მაგ., როდესაც დავით სოსლანის გარდაცვალების შემდეგ გიორგი IV ტახტზე აიყვანეს, ის თანამოსაყდრე იყო თუ თანამეფე? მსგავსი ვითარებაა დავით VI-სა და ვახტანგ II-სთან დაკავშირებითაც. კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ თანამოსაყდრისა და თანამეფის საკითხი მეტად საინტერესო, მაგრამ მისი განხილვა ჩვენი ამჟამინდელი კონკრეტული კვლევის სფეროს ცილდება.

ჩვენი მიზანი განვიხილოთ, თუ როგორი იყო საქართველოს მეფეთა ტიტულატურა XI საუკუნეში.

ბაგრატ III

პირველი ტიტული რომელიც მიიღო ბაგრატ III-მ იყო „მეფე აფხაზთა“ 978 წელს და ამაზე არც არავინ დავობს. ამ ტიტულით მოიხსენიება მეფე: ბედიის ბარძიმის წარწერაში, „მეოს ეყავ წინაშე ძისა შენისა ბაგრატ აფხაზთა მეფესა

¹ რ. მეტრეველი, ჯ. სამუშავს, მეფეთ მეფე გიორგი II, თბ., 2003, გვ. 61.

და დედასა მათსა გურანდუხტ დედოფალსა;¹ ბრეთის საწინამძღვრე ჯვარი - „ადიდე ბაგრატ აფხაზთა მეფე ძეი მეფეთმეფისა გურგენისა“² ცაგერის ხატის - „ძლიერი და უძლეველი ბაგრატ აფხაზთა მეფე და ყოვლისა აღმოსავლეთისა კურაპალატი³“ ასევე ჯავახეთში სოფელ მაჭიტას წარწერაში: „ადიდე ბაგრატ კურაპალატი ... აფხაზთა მეფე და ძე მისი...“⁴. ანალოგური ტიტულითაა მეფე მოხსენიებული მონეტაზეც, რომელიც სავრაუდოდ 980 წელს უნდა იყოს მოჭრილი - „ქრისტე ადიდე ბაგრატ აფხაზთა მეფე.“⁵

ქართული ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს ბაგრატის მიერ „ქართველთა მეფის“ ტიტულის მიღების საკითხი. მეცნიერთა ნაწილი ოვლის, რომ ბაგრატ III-მ ქართველთა მეფის ტიტული დავით კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ, 1001 წელს მიიღო⁶. სხვანი კი დავით კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ „ქართველთა მეფის“ ტიტულის მფლობელად გურგენს მიიჩნევენ და ბაგრატ III-ის მიერ „ქართველთა მეფის“ ტიტულის მიღებას 1008 წლით ათარიღებენ. თავის დროზე ივ. ჯავახიშვილმა გამოთქვა მო-

¹ ვ. სილოგავა, სამუგრელო აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა თბ., 2006, გვ. 313.

² Г. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство Тб., 1959, გვ. 71.

³ Г. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство Тб., 1959, გვ. 189.

⁴ ჯავახეთის ეპიგრაფიკული კორპუსი თბ., 2012, გვ. 93.

⁵ ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი II ნაწილი. თბ., 2014, გვ. 155.

⁶ მ. ლორთქიფანიძე, ქართული მონარქიის შექმნა შუა საუკუნეებში, საქართველოს ისტორია ტ. II თბ. 2012 გვ. 258; ვ. სილოგავა, ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები. ტ.2 დასავლეთ საქართველოს წარწერები ნაკვ. 1, თბ., 1980, გვ. 53.

საზრება, რომ ბაგრატ III-მ „ქართველთა მეფის“ ტიტული მხოლოდ 1008 წელს, მამის გურგენის გარდაცვალების შემდეგ მიიღო¹. პ. ინგოროვა გურგენს ქართველთა მეფეთა მეფეს უწოდებდა². ნ. ასათიანის აზრით, 1008 წლამდე ქართველთა მეფე გურგენი იყო. „1008 წელს ბაგრატის მამა გურგენ მეფე გარდაცვალა ... ამის შემდეგ ბაგრატი იწოდებოდა „აფხაზთა და ქართველთა“ მეფედ³. შ. ბადრიძეს მიაჩნდა, რომ „ქართველთა მეფე 958-994 წწ. იყო ბაგრატ რეგურენი, ხოლო მას შემდეგ სახელმწიფოს სიუზერენად 994-1008 წწ. მმართველობდა მისი ძე გურგენი“⁴. ქ. ნადირაძე ეთანხმება მოსაზრებას გურგენის მიერ 994-1008 წლებში „ქართველთა მეფის“ ტიტულის ფლობის შესახებ⁵. ლ. თავაძე იზიარებს თვალსაზრისს, რომ ქართველთა მეფის ტიტული ბაგრატ III-მ 1008 წელს, მამის გურგენის გარდაცვალების შემდეგ მიიღო. „გურგენის გარდაცვალების შემდეგ ბაგრატი ოფიციალურად იწოდა „აფხაზთა და ქართველთა მეფედ და კურაპალატად“, ხოლო გურგენის სიკვდილამდე ის თავს „აფხაზთა მეფედ და ქართველთა კურაპალატად“ თვლიდა. ამით ხაზი ესმებოდა იმას, რომ „ქართველთა მეფე“ სწორედ გურგენი იყო.⁶

¹ ივ. ჯავახიშვილი „ქართველი ერის ისტორია“, თხზ. ტ. II, თბ., 1983, გვ. 131.

² პ. ინგოროვა გიორგი მერჩულე თბ., 1954, გვ. 106.

³ ნ. ასათიანი, საქართველოს ისტორია, თბ., 1999, გვ. 150.

⁴ შ. ბადრიძე ქართველთა სამეფოს“ პოლიტიკური სტრუქტურის ისტორიიდან, „თსუ შრომები“, 1965, ტ. 113. გვ. 226.

⁵ ქ. ნადირაძე, „ქართველთა“ მეფეები. საქართველოს მეფეები თბ., 2007, გვ. 111.

⁶ ლ. თავაძე, „ბიზანტიური საიმპერიო ტიტულატურა საქართველოში“ (დისერტაცია ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსამართებლად), გვ. 103.

ჩვენ იმ მოსაზრებას ვეთანხმებით, რომ გურგენ მეფეთ-მეფე არასდროს „ქართველთა მეფის“ ტიტულს არ ფლობდა. ამას ადასტურებს რამდენიმე ეპიგრაფიკული ძეგლი.

ბაგრატის ტაძრის 1001-1008 წლების წარწერა - „მე-უფეო, მფლობელო ყოველთა სუფეგათაო უმეტესად ადიდე ძლიერი ბაგრატ კურაპალატი, აფხაზთა და ქართველთა მეფი“ თანა მამით, დედით, დედოფლით და ძით მათით, ამინ“¹. წარწერის შინაარსიდან ნათლად ჩანს, წარწერის შექმნის დროს ბაგრატის მამა, გურგენი ცოცხალია. მიუხედავად ამისა „ქართველთა მეფის“ ტიტულით ბაგრატია მოხსენიებული. გმოღის, რომ ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში ბაგრატი უკვე იყო ქართველთა მეფე. ცხადია, ბაგრატ III-ს „ქართველთა მეფის“ ტიტული გურგენის გარდაცვალების შემდეგ არ მიუღია.

ყველაზე მნიშვნელოვანია ხცისის წარწერა - „სახელითა ღმრთისათა მე გლახაქმან ანანია ვიწყე შენებად წმიდასა ამას ეკლესიასა საყოფელსა წმიდავსა ნათლისმცემლისასა სალოცველად აღიდენ ღმერთმან ძლიერისა ბაგრატ აფხაზთა და ქართველთა მეფისა და კურაპალატისა და ძისა მათისა გიორგი უფლისწულისას და მეფისა ჩუენისა და სახსრად ცოდვილისა სულისა ჩემისათუის და მოსახსენებლად სულისა მშობელთა და მამათა ჩემთათვის ქორონიკონ იყო სკბ“². წარწერა შესრულებულია 1002 წელს და მასში ბაგრატი მოიხსენიება აფხაზთა და ქართველთა მეფედ. აშკარაა, ბაგრატ III-მ „ქართველთა მეფის“ ტიტული ჯერ კიდევ მამის

¹ ვ. სილოგავა, ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები. ტ.2 დასავლეთ საქართველოს წარწერები ნაკვ. 1, ობ., 1980, გვ. 54.

² საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 5, ობ., 1990, გვ. 461.

სიცოცხლეში მიიღო, დავით კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ 1001 წელს.

ქართულ ისტორიოგრაფიაში სხვადასხვა მოსაზრებაა იმასთან დაკავშირებით, თუ როდის შემოიერთა ბაგრატ III-მ კახეთი და ჰერეთი. მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ ეს 1008-1010 წლებში მოხდა¹. თ. პაპუაშვილის აზრით, 1009 წელს გამეფებული კვირიკე III ბაგრატმა დაატყვევა 1011 წელს². ჯ. სტეფნაძე თვლიდა, რომ ბაგრატ მეფე 1008 წელს იღებს ქართველთა მეფის ტიტულს, ხოლო 1008-1010 წლებში იგი ხდება „კახთა და რანთა მეფე.³“ თ. პაპუაშვილი თვლიდა, რომ „ჰერეთის დაპყრობის შემდეგ, როგორც ამას ნიკორწმინდის ტაძრის წარწერა მოწმობს, ბაგრატ III იხსენიება ასეთი ტიტულატურით: „ბაგრატ აფხაზთა და რანთა მეფე და ქართველთა კურაპალატი“. ხოლო მას შემდეგ, რაც ბაგრატ III კახეთიც შემოიერთა, მის ტიტულატურას შეემატა ახალი კომპონენტი „კახთა“. სახელდობრ კაცხის წარწერის მიხედვით მისი ტიტულატურა ასეთი სახით გამოიყურება: „ბაგრატ აფხაზთა და ქართველთა მეფეი, ტაოდსა და რანთა, კახთა და ყოვლისა აღმოსავალისა დიდი კურაპალატი“⁴.

დაახლოებით ანალოგიური მოსაზრება ქონდა გ. გაბუნიას: „1008 წელი - ჰერეთის სამეფოს შემოირთების შემდეგ ბაგრატ მესამეს შეემატა ახალი ტიტული: „მეფე რანთა“, ანუ „მეფე ჰერთა.“ 1010 წელი - კახეთის ძლიერი სამეფოს

¹ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 3, თბ., 1973, გვ. 161.

² თ. პაპუაშვილი, რანთა და კახთა სამეფო. თბ., 1982, გვ. 218.

³ ჯ. სტეფნაძე, XI-XII საუკუნეების საქართველოს მეფეთა ტიტულების გაგებისთვის. კრებული ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან. თბ., 1976, გვ. 157.

⁴ თ. პაპუაშვილი, რანთა და კახთა სამეფო თბ., 1982, გვ. 206.

დამორჩილების შედეგად ბაგრატ III-ის ტიტულატურას ემატება კიდევ ერთი ახალი ერთეული: „მეფე კახთა“ ... საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს საზღვრები ნიკოფისიდან ყაბალამდე ვრცელდებოდა. ბაგრატ მესამე დიდი ამიერიდან იწოდებოდა, როგორც - „მეფე აფხაზთა და ქართველთა, ტაოვსა, რანთა (ჰერთა) და კახთა, ქართველთა და ყოვლისა აღმოსავლეთისა დიდი კურაპალატი¹.“ განსხვავებული მოსაზრება აქვს მ. ლორთქიფანიძეს, „1010 წელს კახეთისა და ჰერთის შემოერთების შედეგ, მის ტიტულატურას ემატება „მეფე რანთა (ე.ი. ჰერთა) და კახთა“ და ამ ეტაპზე საქართველოს მეფის ტიტულატურა ასე გაიმართა: „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, კურაპალატი².“

ნ. ბერძენიშვილს მიაჩნდა, რომ ბაგრატ მეფემ კვირიკე შეიპყო 1011 წელს³.

ჯ. სამუშაის აზრით, 1003 წელს ბაგრატმა კახეთი მოარბა (იზიარებს ვ. სილოგავას მოსაზრებას), მაგრამ „რეალური შედეგით ეს ლაშქრობა არ დასრულებულა.“ 1008 წელს მეფე იყავებს ჰერეთს, რომლის ტახტიც უმემკვიდრეოდ არის დარჩენილი. კახეთში კი ამ დროს იმიტომ ლაშქრობს, რომ ეს სამეფო გაენეიტრალებინა. კახეთ-ჰერეთის საბოლოო შემოერთების მესამე ეტაპი კი 1009-1011 წლებში ხდება. „ბოჭორმის ციხესიმაგრემ რამდენიმეთვიან ალყას, ბოლოს და ბოლოს, ვერ გაუძლო და დაეცა. კვირიკე კახთა მეფე იძულებული გახდა ბაგრატ III-ს ჩაბარებოდა. „აფხაზთა და ქართველთა“ და აწ უკეკ „რანთა და კახთა“ მეფემ კახე-

¹ გ. გაბუნია, საქართველო X საუკუნის ბოლო მეოთხედსა და XI საუკუნის დასაწყისში. ქუთაისი, 1997, გვ. 120.

² მ. ლორთქიფანიძე, მეფე ბაგრატ მესამე. თბ., 2002, გვ. 56.

³ ნ. ბერძენიშვილი, მცხეთის საბუთი XI საუკუნის. საქართველოს ისტორიის საკითხები ტ. IV თბ., 1967, გვ. 235, 245.

თის ქორეპისკოპოსი თან წაიყვანა.^{1“} მკვლევარი საგანგებოდ არ შეხებია ბაგრატ III-ის ტიტულატურის საკითხს, თუმცა მეფესთან მიმართებით ორჯერ იყენებს შემდეგ ტიტულს - „მეფე აფხაზთა და ქართველთა, რანთა და კახთა.^{2“}

საინტერესოა ორი ეპიგრაფიკული წარწერა: ნიკორწ-მინდის - „ადიდე სიმართლით და დღეგრძელობით შენ მიერ გვირგვინოსანი ბაგრატ აფხაზთა და რანთა მეფე და ქართველთა კურაპალატი^{3“} და კაცის - „ბაგრატ აფხაზთა და ქართველთა მეფე, ტაომა და რანთა, კახთა და ყოვლისა აღმოსავალისა დიდი კურაპალატი.^{4“}

ნიკორწმინდის წარწერაზე დაყრდნობით, ცხადია, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბაგრატ მეფემ ჯერ მიიღო „რანთა“ მეფის ტიტული და შემძეგ „კახთა“ მეფის, როგორც ამას თ. პაპუაშვილი და გ. გაბუნია თვლიან. თუმცა აქ პასუხი უნდა გაეცეს კითხვას, ნიკორწმინდის წარწერაში მეფე მოიხსენება სრული ტიტულატურით თუ არა? ეპიგრაფიკულ წარწერებში ძალიან ხშირად მეფეები არ მოიხსენიებოდნენ სრული ტიტულატურით. უფრო მეტიც, არის შემთხვევები როდესაც მეფე ყოველგვარი ტიტულის გარეშე მოიხსენიება. ნიკორწმინდის წარწერაში ბაგრატი არ მოიხსენიება „ქართველთა მეფის“ ტიტულით (ქართველთა კურაპალატი, ცხადია, სულ სხვა ტიტულია და ქართველთა მეფესთან კავშირი არ აქვს), მაშინ, როდესაც ის ამ ტიტულს 1001 წლიდან

¹ ჯ. სამუშაა, ბაგრატ III. თბ., 2012, გვ. 105-110.

² ჯ. სამუშაა, ბაგრატ III. თბ., 2012, გვ. 136, 139.

³ ვ. სილოგავა, ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები. ტ. 2, დასავლეთ საქართველოს წარწერები ნაკვ. 1, თბ., 1980, გვ. 55.

⁴ ვ. სილოგავა, ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები. ტ. 2, დასავლეთ საქართველოს წარწერები ნაკვ. 1, თბ., 1980, გვ. 56.

ფლობდა. ასე რომ, შესაძლოა ამავე პერიოდში „კახთა მეფის“ ტიტულსაც ფლობდა. ბაგრატ III-ის მიერ კახეთისა და ჰერეთის სამეფოების დამორჩილება იმდენად ახლოსაა ერთმანეთთან ქრონოლოგიურად, რომ, შესაძლოა, გაერთიანებული საქართველოს პირველმა მეფემ ტიტულები - „მეფე რანთა“ და „მეფე კახთა“ ერთდროულად მიიღო. მეორეს მხრივ, სავსებით დასაშვებია, რომ ბაგრატ III-ს „რანთა“ და „კახთა“ მეფის ტიტულები ცალ-ცალკე მიეღო, ამ სამეფოების დაქვემდებარებასთან ერთად.

მალიან მნიშვნელოვანია კაცხის წარწერა სადაც დაფიქსირებული ტიტული „მეფე ტაოვასა“. მსგავსი ტიტული არ გვხვდება არცერთი შემდგომი მეფის ტიტულატურაში. შესაძლოა ეს ტიტული საერთო ტიტულატურიდან ამოვარდა ბაგრატ III-ის ძის, გიორგი I-ის, დროს, ბიზანტიასთან განცდილი მარცხის შემდეგ დადებული ზავის გამო ანუ როდესაც ფაქტობრივად ვცანით ტაოს მიწების დაკარგვა. თუმცა ვფიქრობთ, რომ თავად „მეფე ტაოვას“ შეტანა საერთო ტიტულატურაში პროპაგანდისტული ნაბიჯი უნდა ყოფილიყო ბაგრატ მეფის მხრიდან. ამით ალბათ ხაზი გაესვა, რომ, მართალია, ბიზანტიის იმპერატორმა დაიტოვა დავით კურაპალატის მიწები, მაგრამ საქართველოს მეფე არ ცნობდა ამას და მაინც აცხადებდა პრეტენზიას ამ ტერიტორიებზე. როდის გაჩნდა ბაგრატ მეფის ტიტულატურაში - „ტაოვას“, ამის ზუსტი განსაზღვრა რთულია. სავარაუდოდ ეს უნდა მომხდარიყო ბაგრატი III-ის მიერ „ქართველთა მეფის“ ტიტულის მიღების შემდეგ „რანთა და კახთა მეფის“ ტიტულის მიღებამდე. კიდევ ერთხელ გავიმუორებთ, რომ ტიტულატურაში - „ტაოვას“ შეტანა აშკარად პროპაგანდისტული ნაბიჯი იყო, მაგრამ იქნებ ამის უკან უფრო მეტი რამ იდგა? შეიძლება ჰიპოთეტურად ვივარაუდოთ, რომ შესაძლოა ბაგრატ III ტაოს

მიწების დასაბრუნებლად ემზადებოდა. როგორც ცნობილია, ბაგრატ მეფე ტაოში, ფანასკერტის ციხეში გარდაიცვალა - „გარდაიცვალა შემკობილი მკცითა შუენიერითა, ქრონიკონსა ორას ოცდათოთხმეტსა, თუესა მაისსა შვდსა, დღესა პარას-კევსა. და იყო დღეთა მიცვალებისა მისისათა ტაოს და წარმოილო გუამი მისი ზჰადმან ერის-თავთ-ერის-თავმან, და და-მარხა ბედიას“¹; „მოვლო ბაგრატ ყოველი სამეფო თვისი, აფ-ხაზეთი, ჰერეთი და კახეთი, მოვიდა და დაიზამთრა წევთა ტაოსათა. და მო-რა-იწია ზაფხული, მოვიდა მას-ვე ციხესა ფანასკერტისასა წელსა მესამესა. და მუნ შინა გარდაიცვალა ესე ბაგრატ ქრონიკონსა სლდ, თუესა მაისსა ზ, დღესა პარასკევსა“². ეგებ მისი იქ ყოფნაც არ იყო შემთხვევითი და ბიზანტიის იმპერიის მოსაზღვრე „ქუეყანაში“ საგანგებოდ იმ-ყოფებოდა. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, არც ისაა გამორიცხული რომ გიორგი I-ის ბრძოლა ბიზანტიის წინააღმდეგ სწორედაც მამის მიერ დაწყებული საქმის გაგრ-ძელება იყო.

ჩვენ ვეთანხმებით მოსაზრებას, რომ გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის ბაგრატ III-ის სრული ქარ-თული ტიტული უნდა ყოფილიყო „მეფე აფხაზთა და ქართ-ველთა, ტაოდა და რანთა, კახთა.“

გიორგი I

გიორგი მეფის ტახტზე ასვლისთანავე „განუდგა ამას ქუეყანა ჰერეთ-კახეთისა, და ლადორობითა აზნაურთათა შეპყ-რობილ იქმნეს ერისთავნი, მათ ქუეყნით კუალადვე ეუფლ-

¹ ქართლის ცხოვრება, თბ., 2008, გვ. 371.

² ქართლის ცხოვრება, თბ., 2008, გვ. 371.

ნეს მათნი უფალნი, რომელთა პირველ აქუნდა იგი“¹. ჯ. სტეფნაძე წერდა: „გიორგი I-მა დაკარგა კახეთ-ჰერეთი და ამიტომ ეს აისახა მის ტიტულატურაშიც და მხოლოდა „აფხაზთა და ქართველთა მეფის“ ტიტული უნდა ეტარებინა.²“

სამწუხაროდ გიორგი I-ს შესახებ მეტად მცირე წყაროები გვაქვს და მათში არ ფიქსირდება მეფის რეალური ტიტულატურა. ტონთიოს წარწერა - „ადიდე გიორგი მეფე და შვილი მათნი³“. კაცხის წარწერა - „წმიდაო სამებაო შეიწყალე დიდებული გიორგი მეფე“⁴. ერთ-ერთი ხელნაწერის მინაწერი - „ევთვიმე ქართველი მთარგმნელი მიცვალა 1028 წელს, მეფობასა ბაგრატისას, მეფისა გიორგის შვილისა⁵“. სიმონ მესვეტის ხატი სვანეთიდან - „სადიდებლად მეფეთა, გიორგი მეფისა და შვილთა მათთა, სალოცავად ბაგრატ კურაპალატისა.⁶“

ზემოთ მოტანილი წყაროები ტიტულატურის მხრივ ბევრ არაფერს იძლევა. ისევე, როგორც მისი ვაჟის ბაგრატ IV-ის მიერ ოპიზართა და მიჯნაძორელთადმი ბოძებულ სი-

¹ ქართლის ცხოვრება, თბ., 2008, გვ. 371.

² ჯ. სტეფნაძე, XI-XII საუკუნეების საქართველოს მეფეთა ტიტულების გაგებისთვის. კრებული ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან. თბ., 1976, გვ. 158.

³ ჯავახეთის ეპიგრაფიკული კორპუსი, თბ., 2012, გვ. 127.

⁴ ვ. სილოგავა, ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები. ტ. 2 დასავლეთ საქართველოს წარწერები, ნაკვ. 1, თბ., 1980, გვ. 57.

⁵ თ. უორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი. წიგნი I, ტფ., 1892, გვ. 163.

⁶ Г. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство, Тб., 1959, გვ. 303.

გელი, სადაც გიორგი I მოიხსენიება მხოლოდ მეფობით - „მამისა ჩემისა გიორგი მეფისა“¹. არც თვალსაზრისი, რომ გიორგი მეფე ფლობდა კურაპალატის ტიტულს, არაფერს გვაძლევს მის ქართულ ტიტულატურასთან დაკავშირებით².

გვრჩება მხოლოდ ვარაუდის გამოთქმის საშუალება. რა-დგან კახეთ-ჰერეთი გახდა დამოუკიდებელი სამეფო, კვირიკე დიდით სათავეში, ლოგიკურია, რომ გიორგი მეფეს დაეკარგა „რანთა და კახთა მეფის“ ტიტული. თუმცა გამორიცხული არაა, რომ მაინც დაიტოვა. საკითხი შეიძლება ესე დავაყენოთ, აღიარა თუ არა გიორგი I-მა კახეთ-ჰერეთის დაკარგვა? თუ ტიტულატურას შეინარჩუნებდა ეს იქნებოდა განცხადება, რომ არ ცნობდა კვირიკე დიდს და კვლავ აცხადებდა პრეტენზიას ამ მხარეებზე. დაზუსტებით ვერაფერს ვიტყვით წყაროთა უქონლობის გამო. თუმცა შეიძლება ირიბი გზით გარკვეული დასკვნების გაკეთება.

როდესაც ბაგრატ III-მ დაიკავა კახეთ-ჰერეთი მან აიღო ბოჭორმის ციხე, დაატყვევა იქ მყოფი კვირიკე, მომავალი მეფე კახეთ-ჰერეთისა და „წარმოიყვანა კპრიკე და დაიჭირა თვისსა კარსა ზედა“³. ამიტომ, უნდა ვივარაუდოთ, რომ 1014 წელს, როდესაც ბაგრატ მეფე გარდაიცვლა, კვირიკე ქუთაისში იყო. როგორ აღმოჩნდა ის ქუთაისიდან კახეთ-ჰერეთში? დაქმარენ და გააპარეს, თუ გიორგი I-მა გაათავისუფლა? ჯ. სამუშია თვლის, რომ „გიორგი I-ის გამფების შემდეგ, აშკარად ამ უკანასკნელთან შეთანხმებით, კვირიკე

¹ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, თბ., 1984, გვ. 32-33.

² ლ. თავაძე, „ბიზანტიური საიმპერიო ტიტულატურა საქართველოში“, გვ. 103.

³ ქართლის ცხოვრება, თბ., 2008, გვ. 272.

კახეთში დაბრუნდა და თავისი უფლებები აღადგინა.¹“ ჩვენ ვეთანხმებით მკვლევარის ამ მოსაზრებას. ცხადია, ძნელი დასადგენია თუ რა კონკრეტული პირობით თუ პირობებით გაათავისუფლა გიორგი მეფემ კვირიკე. შესაძლოა ამ პირობის შედეგი იყო, რომ კვირიკე დიდმა შირიმნის ბრძოლის შემდეგ ჯარი მიაშველა აფხაზთა და ქართველთა მეფეს.

უფრო სავარაუდოა, რომ გიორგი I არ ფლობდა „რანთა და კახთა“ მეფის ტიტულს. მით უმეტეს, რომ ამ ტიტულით მოიხსენიებოდა კახეთ-ჰერეთის მეფე კვირიკი III დიდი. როდესაც ბაგრატ IV-ის მცირეწლოვანების დროს შედგა კოალიცია განძის ამირა ფადლონის წინააღმდეგ, „მატიანე ქართლისაის“ ცნობით მასში მონაწილეობდა, „დიდი კვირიკე, რანთა და კახთა მეფე“². თ. პაპუაშვილის აზრით, ამ უკანასკნელმა ეს ტიტული 1020 წელს მიიღო³. კვირიკე დიდი „რანთა და კახთა“ მეფედ ოწოდება სულ ახლახანს კახეთში, კალაურში აღმოჩენილი საფლავის ეპიტაფიაშიც. რანთა და კახთა მფლობელად იწოდება აღსართან II-ც, „... მოვიდა მახარობელი ახსართან [ქორ] ეპისკოპოსისაი (?) და რან[თა] და კახ[თა] მფლობელი, ციხისთვობასა [ერისთავის]ა გიორგისა, ხელითა გიორგი ვარდან [ის] (?) ... ძენი (?) ...“⁴. ეს ორივე ცნობა ადასტურებს, რომ კახეთ-ჰერეთის მეფეები: კვირიკე დიდი და აღსართან ატარებდნენ „რანთა და კახთა მეფის“ ტიტულს. ამიტომ ნაკლებად სავარაუდო გვვინია იგივე ტიტულების არსებობა ქუთაისის ტახტზე მსხდომ მეფეთა ტიტულატურაში. გასათვალისწინებელია, რომ ტიტუ-

¹ ჯ. სამუშაა, ბაგრატ III, თბ., 2012, გვ. 110-111.

² ქართლის ცხოვრება, თბ., 2008, გვ. 280.

³ თ. პაპუაშვილი, რანთა და კახთა სამეფო. თბ., 1982, გვ. 218.

⁴ თ. ბარნაველი, კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები თბ., 1961, გვ. 94.

ლი - „მეფე რანთა და კახთა“ არ გვხვდება არც ბაგრატ IV-ის და არც გიორგი II-ის ტიტულატურაში.

ჩვენი აზრით, გიორგი I-ის ქართული ტიტული უნდა ყოფილიყო: „მეფე აფხაზთა და ქართველთა“.

ბაგრატ IV

შიო მღვიმის მონასტრისადმი ბოძებულ სიგელში ქართულის კათოლიკოსი ბაგრატ IV-ს იხსენიებს ერთადერთი ქართული ტიტულით - „აფხაზთა მეფე“ – „ესე ვითა, ადიდენ ღმერთმან, ძლიერსა ბაგრატ აფხაზთა მეფესა და ყოვლისა აღმოსავლეთისა ნოველისიმოსისა დაუწერია“¹. ბაგრატ IV არ არის მოხსენიებული ტიტულით, „მეფე ქართველთა“, რომელსაც ნამდვილად ფლობს ამ დროს. ეს კიდევ ერთი მაგალითია იმისა, რომ ოფიციალურ დოკუმენტშიც შესაძლოა მეფე არ მოიხსენიებოდეს სრული ტიტულატურით.

მონეტებზე ბაგრატ IV მოიხსენიება შემდეგნაირად: 1055 წლის მონეტა - „ქრისტე, ადიდე ბაგრატ აფხაზთა მეფე; ნოველისიმოსი.²“ 1068/69 წლების - „ქრისტე, ადიდე ბაგრატ აფხაზთა მეფე და სევასტოსი“³. როგორც ვხედავთ, მონეტებზე მეფე არ არის მოხსენიებული სრული ტიტულატურით. თუმცა აშკარაა, რომ ბაგრატი ფლობდა ქართველთა მეფის ტიტულსაც. მსგავსი შემთხვევა სხვა მეფეების მონეტებზეც გვაქვს.

¹ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I. თბ., 1984, გვ. 37.

² ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი III ნაწილი. თბ., 2015, გვ. 10.

³ ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი III ნაწილი. თბ., 2015, გვ. 12.

თ. უორდანიას თავის ქრონიკებში მოტანილი აქვს ერთ-ერთი ხელნაწერის მინაწერი, რომელშიც ბაგრატ IV ყოველ-გვარი ტიტულის გარეშეა მოხსენიებული - „ევთვიმე ქართველი მთარგმნელი მიიცვალა 1028 წელს, მეფობასა ბაგრატის-სა, მეფისა გიორგის შვილისა.“¹ ასეთივე შემთხვევაა დაფიქ-სირებული ზედა ომოგვის წარწერაში - „ადიდე ბაგრატ და მარიამ დედოფალი“².

მხოლოდ ბიზანტიური ტიტულატურით მოიხსენიება მე-ფე ბაგრატ IV სავანის 1046 ეპიგრაფიკულ წარწერაში: „აე-შენა მეფობასა ბაგრატ კურაპალატისასა“³. ფოკას წარ-წერაში, „ადიდე ბაგრატ კურაპალატი“⁴ ასევე ერთ-ერთი ხელნაწერის ანდერძში - „დაიწერა სვეტისა ზედა ჭყონდიდი-სასა, ადიდენ ღმერთმან, მეფობასა ბაგრატ კურაპალატისასა ინდიგტიუნსა დ, ქრისტიანუნსა სნა ხელითა იოვანე მესუეტი-სათა.“⁵

მხოლოდ მეფედ იწოდება კუმურდოს წარწერაში - „ადიდენ ღმერთმან ბაგრატ მეფე და დედაი მათი მარიამ დე-დოფალი“.⁶

მეფეთა მეფედ იწოდება ბაგრატი ატენის სიონის წარ-წერაში, „მირიანის ყმამან თარხონის ძემან, ატენის ციხისთა-

¹ თ. უორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტო-რიისა შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი. წიგნი I, ტფ., 1892, გვ. 163.

² ჯავახეთის ეპიგრაფიკული კორპუსი, თბ., 2012, გვ. 54.

³ ვ. სილოგავა, ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები. ტ. 2, დასავლეთ საქართველოს წარწერები ნაკვ. 1, თბ., 1980, გვ. 58.

⁴ ჯავახეთის ეპიგრაფიკული კორპუსი თბ., 2012, გვ. 117.

⁵ ვ. სილოგავა, სამეგრელო აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა, თბ., 2006, გვ. 27.

⁶ ჯავახეთის ეპიგრაფიკული კორპუსი, თბ., 2012, გვ. 85.

ვმან, ავაგე ატენს სახლნი და ქოლბაგი მას ჟამს ოდეს, ადი-დენ ღმერთმან, ძლიერმან მეფეთა მეფემან ბაგრატ უბრძანეს მიწასა მათსა მირიანს პატრონს ჩემსა ... უკუნისამდე ძლირი მეფეთა მეფე ბაგრატ სევასტოსი და ძე მათი გიორგი კურა-პალატი¹“

მხოლოდ მეფედ და კურაპალატად იწოდება ბაგრატ IV მარტვილის საწინამძღვრე ჯვრის წარწერაში, „ბაგრატ მეფი-სა და კურაპალატისა.²“

„აფხაზთა და ქართველთა მეფედ“ იწოდება ბაგრატ IV ღულალისის 1060 წლის წარწერაში: „ადიდე ბაგრატ აფ-ხაზთა და ქართველთა მეფე სევასტოსი და ძე მათი გიორგი კურაპალატი ... ქორონიკონი იყო სპ.³“ ასეთივე ტიტულით მოიხსენიება ბაგრატ IV კიდევ ერთი ხელნაწერის მინაწერში - „სადიდებლად და სალოცველად ღვთივ დაცულისა და ძლიერისა აფხაზთა და ქართველთა მეფისა ბაგრატისათვის და ძისა მათისა გიორგი კურაპალატისათვის ... ქორონიკონსა სპვ.⁴“

ჯ. სტეფნაძე წერდა, რომ ბაგრატ IV-მ გარკვეულ წარმატებებს მიაღწია საქართველოს გაერთიანების გზაზე და მათ შორის ასახელებდა კახეთ-ჰერეთის სამეფოს შემოერთებას, რაც აისახა ტიტულატურაშიც. მეცნიერი ეყრდნობოდა

¹ თ. უორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტო-რიისა შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი. წიგნი I, ტფ., 1892, გვ. 206.

² Г. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство Тб. 1959, გვ. 62.

³ ჯავახეთის ეპიგრაფიკული კორპუსი, თბ., 2012, გვ. 126.

⁴ თ. უორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტო-რიისა შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი. წიგნი I, ტფ., 1892, გვ. 210.

კაცხის წარწერას, სადაც ბაგრატ მეფე იწოდება „მეფედ აფხაზთა და ქართველთა ... და რანთა და კახთა და ყოვლისა აღმოსავლეთის დიდ კურაპალატად.¹“ წარწერაში ნამდვილად მოიხსენიება ბაგრატი, მაგრამ რომელი? ბაგრატ III თუ ბაგრატ IV? ვ. სილოგავა თვლიდა, რომ ბაგრატ III², საგარაუდოდ, ასევე ფიქრობს გ.გაბუნია³. ჩვენც ვვარაუდობთ, რომ აქ ბაგრატ III არის მოხსენიებული. ბაგრატ IV იბრძოდა კახეთ-ჰერეთის შემოსაერთებლად, გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწია, მაგარამ ამ მხარეების შემოერთება ვერ შეძლო. სამწუხაროდ, ვერ გავარკვიეთ, რა წყაროს ეყრდნობოდა, ანდა რას გულისხმობდა ჯ. სტეფნაძე როდესაც საუბრობდა ბაგრატი IV-ის მიერ კახეთ-ჰერეთის შემოერთებაზე.

ჩვენი აზრით, ბაგრატი IV-ის ქართული ტიტული უნდა ყოფილიყო: „მეფე აფხაზთა და ქართველთა“

გიორგი II

1073 წლის საბუთში გიორგი II იწოდება აფხაზთა და ქართველთა მეფედ. „მე, გიორგი ბაგრატუნიანმან, ნებითა ომრთისაითა აფხაზთა და ქართველთა მეფემან, ძემან სულ-კურთხეულისა მეფისა ბაგრატისმან დავწერე და მოვახსენე სიგელი ესე უდაბნოსა მღუმისასა“⁴. იმავე სიგელში დავით

¹ ჯ. სტეფნაძე, XI-XII საუკუნეების საქართველოს მეფეთა ტიტულების გაგებისთვის. კრებული ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, თბ., 1976, გვ. 159.

² ვ. სილოგავა, ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები. ტ. 2, დასავლეთ საქართველოს წარწერები ნაკვ. 1, თბ., 1980, გვ. 56.

³ გ. გაბუნია, საქართველო X საუკუნის ბოლო მეოთხედსა და XI საუკუნის დასაწყისში. ქუთაისი, 1997, გვ. 120.

⁴ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, თბ., 1984, გვ. 46.

უფლისწული უკვე იხსენიება კურაპალატად, რაც იმაზე მიუ-
თითებს, რომ დავითს დაბადებისთანავე უბოძეს ეს ბიზანტი-
ური ტიტული. „სალოცველად მეფობისა ჩემისა და ძისა ჩე-
მისა დავით კურაპალატისა“.

საინტერესოა გიორგი II-ის ტიტულატურა, რომელიც
მონეტების ზედწერილებშია დაფიქსირებული. 1073 წლის
მონეტა - „ქრისტე, ადიდე გიორგი აფხაზთა და ქართველთა
მეფე და ნოველისმოსი.¹“ 1074 წლის - „ქრისტე, ადიდე
გიორგი აფხაზთა და ქართველთა მეფე და სევასტოსი.²“
1075-1089 წლების - „ქრისტე, ადიდე გიორგი აფხაზთა და
ქართველთა მეფე და კესაროსი.³“ მამისგან განსხვავებით
მეფე გიორგი II მონეტების ზედწერილში ორივე ქართული
ტიტულით არის მოხსენიებული.

თ. ჟორდანიას თავის „ქრონიკებში“ მოტანილი აქვს
დავით-გარჯში დაცული ტყავის წიგნის წარწერა შესრულე-
ბულია 1085 წელს - „ესე წიგნი საწინასწარმეტყველო დი-
დებულისა ლავრისა შატბერდისათვის, სალოცველად ღვთივ-
გვირგვინოსანთა მეფეთა ჩუენთა გიორგი მეფეთა მეფისა და
კესაროსისა და ძისა მათისა დავით მეფისა სევასტოსისა ...
ქორონიკონ ტ და ე.⁴“

პალეოგრაფიულად XI საუკუნისაა ლიხნის ფრესკული
წარწერა, რომელშიც საგარაუდოდ გიორგი II მოიხსენიება,

¹ ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი, III ნაწილი, თბ., 2015, გვ. 13.

² ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი III ნაწილი, თბ., 2015, გვ. 14.

³ ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი III ნაწილი, თბ., 2015, გვ. 16.

⁴ თ. ჟორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტო-
რიისა შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი. წიგნი I,
ტფ., 1892, გვ. 232.

„კეთილად მსახურისა და მადიდებლისა და ღმრთაებისა შენისა გიორგი კურაპალატისანი“¹.

დღეს არსებული წყაროების მიხედვით გამოდის რომ გიორგი II იწოდებოდა მხოლოდ „მეფე აფხაზთა და ქართველთა.“ ამ მხრივ ჯ. სტეფნაძის მოსახრება მართებულია².

Mikheil Bakhtadze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**THE LIST OF GEORGIAN KINGS OF UNIFIED
GEORGIA IN THE XI CENTURY
(BAGRAT III - GEORGE II)**

RESUME

Drawing up The List of Georgian Kings titles begins with Bagrat III. The first title granted to Bagrat was "The King of Abkhazia" in 978. Another Bagrat's Title "The King of The Kartvels" has become a matter of dispute in Georgian Historiography. There is a belief that Bagrat III got his title "The King of the Kartvels" after the death of David Kuropalates in 1001, when his father was still alive. In 1008-1010 he became "The King of Kakheti and Hereti". According to Katskhi writings title "The King of Tao" was also bestowed upon him. No other of the following Kings had this title. This title was dropped out of The List of titles during reign of

¹ ვ. სილოგავა, სამეგრელო აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა, თბ., 2006, გვ. 204.

² ჯ. სტეფნაძე, XI-XII საუკუნეების საქართველოს მეფეთა ტიტულების გაგებისთვის. კრებული ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, თბ., 1976, გვ. 160.

Bagrat's III son George I, after losing to The Byzantine Empire and signing a peace treaty, which, in fact, meant losing Tao. But I think that adding title "The King of Tao" in The List of titles was a propaganda manoeuvre of Bagrat III. Probably, despite The Byzantine Emperor's ownership of David Kuropalates' lands, The King of Georgia refused to admit this fact and still declared this lands as his own. But, maybe there was a little more to it than that? Supposedly Bagrat III was preparing to reclaim Tao lands. We agree that the full title of The King of United Georgia Bagrat III should have been "The King of Abkhazia, The Kartvels, Tao, Kakheti and Hereti".

Unfortunately there isn't enough information about George I and his List of titles. We can only conjecture. Because The Kingdom of Kakheti-Hereti became independent, it's obvious that George I lost his title "The King of Kakheti-Hereti". George I title must have been "The King of Abkhazia and The Kartvels".

Same title - "The King of Abkhazia and The Kartvels" must have been bestowed upon Bagrat IV and George II.

ლატავრა ბუკია
საქართველოს საპატრიარქოს ანდრია
პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტი

თედო სახოკიას „ქართული პარტია“ აფხაზეთში

XIX საუკუნის მიწურულს თედო სახოკია შეურიგებელ პრინციპულ და აქტიურ ბრძოლას იწყებს აფხაზეთში. სამეცნიერო და საარქივო მასალების, საგაზეთო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეებისადმი მიწერილი წერილების საფუძველზე მიმოვინილავთ თედო სახოკიას როლს „ქართულ პარტიაში“.

1898-1900 წლებში თედო სახოკია საცხოვრებლად სოხუმში გადადის. მისი ცხოვრების ამ პერიოდის შესახებ სოლომონ ცაიშვილის მოგონებიდან ვგებულობთ: „აქ ის აქტიურად ჩაება იმ გააფთრებულ ბრძოლაში, რომელსაც ადგილობრივი ქართველები აწარმოებდნენ ცარიზმის პოლიტიკის, – კოლონიზაციისა და რუსიფიკაციის – წინააღმდეგ. საყოველთაოდ ცნობილია, რომ „ცარიზმმა განაპირა მხარების საუკეთესო ადგილებში განზრახ დაასახლა კოლონიზატორული ელემენტები, რათა ადგილობრივი ნაციონალური მასები ცუდ რაიონებში გაეძვებინა და ამით ნაციონალური შუღლი გაეღვივებინა“, (სტალინი, ტ. I. 338). როგორც მრავალი დოკუმენტით დასტურდება, თვითმმკყრობელობას გადაწყვეტილი ჰქონდა საქართველოდან სავსებით მოეგლიჯა ეს ულამაზესი კუთხე, რომ დიდი ბრძოლა არ გადაეხადათ ისეთ გავლენიან ქართველ მოღვაწეებს, როგორებიც იყვნენ: ილია

ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე, იაკობ გოგებაშვილი, ვასილ პეტრიაშვილი, ალექსანდრე ხახანაშვილი, და მათ გვერდით თედო სახოკია და სხვები”.¹

თედო სახოკია აფხაზეთში სათავეში უდგება „ქართული პარტიის” სახელით ცნობილ პოლიტიკურ მოძრაობას. თავად ამბობს: „1898-1900 წლები სოხუმში გავატარე. ეს წლები ჩემს სიცოცხლეში ითვლება იმ ხანად, როცა მართლაც რომ ცა ქუდად არ მიმჩნდა და დედამიწა ქალამნად, თავი სრულებით არ მეზოგებოდა და მთელის ახალგაზრდული აღფრთოვანებით და თავდავიწყებით ვებრძოდი რუსის იმპერიალიზმის მიერ ჩვენის ქვეყნისა და ქართველ ხალხის გამარუსებელ პოლიტიკის გატარების საქმეს”.²

თედო სახოკიამ ადგილობრივი სოხუმელი მოღვაწეების: ანთიმოზ ჯულელის, ივანე გეგიას, გრიგოლ კანდელაკის, აკაკი ჩხერიძელის და სხვათა დახმარებით აფხაზეთში გააჩადა სარევოლუციო მუშაობა. თედო სახოკია ნათლად ხედავდა, რომ რუსეთის იმპერიული ხელისუფლება ბიუროკრატიული მანქანის წყალობით განუხრელად ავიწროებდა ქართველ და, საკუთრივ მეგრელ – მოსახლეობას აფხაზეთში და ყოველ ზომას მიმართავდა ამ მხარეში მცხოვრები მეგრელი მოსახლეობის საქართველოს ამ ნაწილიდან გასაძევებლად.

რუსეთის ბიუროკრატიული ხელისუფლების აღვილობრივი წარმომადგენლები წყალობის თვალით უფერებდნენ აფხაზთა ტომის ხალხს, ვინაიდან ეს უკანასკნელები უფრო რუსეთისკენ იხრებოდნენ, ვიდრე ქართველებისა და მეგრელე-

¹ სოლომონ ცაიშვილი. უხუცესი მწერალი და საზოგადო მოღვაწე. – „ლიტერატურული აღმანახი”, 1954, №7, გვ. 238.

² თედო სახოკია. ავტობიოგრაფია. – იხ.: თედო სახოკია კრებული. თბილისი, 1969, გვ. 223.

ბისკენ, რაც მრავალ გაუგებრობას ბადებდა აფხაზ და ქართველ (მეგრელ) მოსახლეობას შორის.

თედო სახოკიას ფხიზელ თვალს ეს არანორმალური მდგომარეობა შეუმჩნეველი არ დარჩენია, ამიტომ მან და მისმა ადგილობრივმა მოღვაწეებმა აფხაზეთის მთელ ტერი-ტორიაზე გააჩაღეს რევოლუციური მოძრაობა.

თედო სახოკიას შესახებ მოგონებანი, ზელნაწერის სა-ნით, ინახება გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში, რომელიც ეკუთვნის ალექსანდრე მი-ქაბერიძეს, ავტორს მოგონებანი ჯერ კიდევ თედო სახოკიას სიცოცხლის წლებში 1942 წელს დაუწერია. მოგვყავს ამო-ნარიდები ამ მოგონებიდან: „თედო სახოკია აფხაზეთის სხვა-დასხვა კუთხეში ხალხის წინაშე გამოდიოდა, როგორც მგზ-ნებარე ტრიბუნი და ორატორი და ცხადად, აშკარად მოუწო-დებდა მთავრობის წინააღმდეგ დარაზმულიყვნენ და მათი ესა თუ ის განკარგულება უშიშრად უარესოთ, არ შეესრულები-ნათ, მთავრობისათვის აშკარა ბოიკოტი გამოეცხადებინათ.

თედო სახოკია თამამად, სრულიად მოურიდებლად უმტ-კიცებდა ხალხს, რომ მან თავისი მომავალი თვითონვე უნდა გამოჰქიდოს, თვითონ მოუაროს და უპატრონოს თავის მიწა-წყალს. რუსეთის აღვირახსნილ ბატონობას საქართველოში და მათ შორის, მის განუყრელ ნაწილში, აფხაზეთში, ბოლო უნდა მოეღოს. ხალხმა მთავრობას ზურგი უნდა შეაქციოს, არცერთი მისი ბრძანება, განკარგულება ცხოვრებაში არ გაა-ტაროს: – რუსეთის მთავრობის აღსასრული უკვე ნათლად მოჩანს ცის ტატნობზე, რუსეთის მთავრობა უნდა დაემზოს

და ყოველ ეჭვს გარეშეა, იგი კიდევაც სულ მოკლე ხანში დაეცემა – აცხადებდა ორატორი”¹.

სანამ თედო სახოკიას „ქართული პარტიის” საქმიანობაში მონაწილეობაზე ვისაუბრებდეთ, მანამდე მოკლედ მიმოვიზილავთ ისტორიულ რეალობას, რისთვისაც გამოვიყენებთ მისსავე ხელნაწერ მოგონებას „ძველი სოხუმი”, რომელიც დაცულია კორნელი კავკაციის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თედო სახოკიას ფონდში. მოგონებაში თედო სახოკიას მოთხრობილი აქვს ისტორია, ამ მხარეში ქრისტიანობის გავრცელებიდან ვიდრე მის თანადროულ პერიოდამდე, გადმოცემული აქვს 1876 წლის რუსეთ-ოსმალეთის ომის პერიპეტიები და იმდროინდელი ისტორიული სინამდვილე, თუ როგორ დაიცალა სოხუმი მოსახლეობისაგან, როგორ შეაფარა თავი ხალხმა ახლობლებს, აფხაზების ნაწილი როგორ გადაიხვეწა ოსმალეთში, ხოლო ნაწილი კი ტყვედ წაიყვანეს. ასევე მოთხრობილი აქვს, სოხუმის ხელა-ხალი აღდგენა-განახლების ისტორია.

თედო სახოკია აგრძელებს თხრობას და აღნიშნავს, „სოხუმში გარუსების პოლიტიკა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. სოხუმის პატრონობა ჩაბარებული პქონდა ძველებური დროის სოხუმის „გოროდიჩს”. მოსამართლე, გამომძიებელი, პოლიციის ბოქაულიც კი რუსი იყო. საქმეს ვერ შველოდა დავით მაჭავარიანი, რომელსაც მოსახლეობის სულიერ მდგომარეობაზე ზრუნვა პქონდა დაკისრებული. სწავლა-განათლებას ემსახურებოდა მთიელთა ორკლასიანი სასწავლებელი. აფხაზთა შვილები სწავლობდნენ რუსულად, იყო ორკლასიანი პროგიმნაზია. ფუნქციონირებდა ხაზინა, ფოსტა, ტელეგრაფი. მთავ-

¹ ალექსანდრე მიქაბერიძე, თედო სახოკია. – გოორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი. თედო სახოკიას პირადი ფონდი, ხელნაწერი №19868/302.

რობის მთავარ მიზანს კი მოსახლეობის გარუსება შეადგენდა: „გარუსება, ქართულის არგავონება, მოსახლეობის არჩარევა სკოლის პედაგოგიკაში ნორმალურად მიაჩნდათ”.¹

თედო სახოკია ასევე გვაცნობს ცნობილი მოღვაწის ან-თომოზ ჯულელის ბიოგრაფიულ მონაცემებს: „იგი 1883 წელს ჩამოვიდა სოხუმში. ის იყო ერთადერთი პიროვნება, რომელსაც მოსდიოდა გაზეთი „ივერია”, თუმცა საკმაო დაგ-ვიანებით, მაგრამ მაინც. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ქართული ლაპარაკიც კი მისგან გაიგონეს აქაურებმა, მისგან-ვე შეიტყვეს, რომ ქართულ ენაზე წიგნები არსებობდა – გა-იგონეს ისიც, რომ მეგრელებს, როგორც ქართველებს, ქარ-თული როგორც „დედა-ენა”, უნდა ესწავლათ. ყოველივე ამას იგი აკეთებდა „თითქოსდა გარეგნულად მშვიდი და მთავ-რობის უწყინარ ქვეშევრდომის სახით”, 1889 წლამდე ქარ-თულად მოლაპარაკე ხალხიც მოემატა”.² თედო სახოკიამ ასე არაჯანსაღ საზოგადოებრივ ვითარებაში დაიწყო მოღვა-წეობა სოხუმში.

წერილებისა და კორესპოდენციების გამოაქვეყნება ჯერ კიდევ 1889 წლიდან დაიწყო გაზეთ „ივერიაში”. წერდა საქართველოს ისტორიულ, ეთნოგრაფიულ, ლიტერატურულ თუ სხვა ხასიათის მოვლენებზე, ე.ი. ყველაფერზე, რაც ერის სულიერი ტკივილისა და მატერიალური ცხოვრების ამსა-ხველი იყო.

1895 წლიდან კი თედო სახოკია კარგად გააზრებულ პროპაგანდას ეწევა ქართულ პრესაში, კერძოდ, უკრაინალ „მოამბეში”, გაზეთებში: „ცნობის ფურცელი”, Новое обоз-рение”, „Кавказ”, ა. შ.

¹ კორნელი კეპელიძის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. თედო სახოკიას ფონდი №213.

² იქვე. №213.

1898 წლიდან კი თედო სახოკიამ, როგორც ქართული ჟურნალ-გაზეთების, ასევე იმპერიის მასშტაბითაც გამომავალ საინფორმაციო საშუალებებშიც დაიწყო აფხაზეთის შესახებ მასალების გამოქვეყნება. გაზეთში „Петербургские ведомости“ და ა. შ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თედო სახოკია აფხაზეთის მკვიდრი იყო და მჭიდრო კავშირი ჰქონდა აფხაზეთის მოსახლეობასთან, ხშირად ჩადიოდა სოხუმში, ხანგრძლივად ცხოვრობდა იქ და ადგილობრივ სახელმწიფო საქმეებში მონაწილეობას იღებდა.

ამავე პერიოდში მეფის მთავრობამ გააძლიერა აფხაზეთში კოლონიური პოლიტიკა: აფხაზეთის თავისუფალ მიწა-წყალზე ასახლებდა გერმანელებს, ესტონელებს, რუსებს, ბერძნებს, პარალელურად ავიწროებდა აფხაზებს და ქართველებს. რუსეთის კოლონიური პოლიტიკის მიზანი აფხაზეთის ჩამოცილება საქართველოდან და მისი ასიმილაცია იყო.

ამ მიზნის შემადგენელ ნაწილს შეადგენდა ის, რომ აფხაზეთიდან იდევნებოდა ქართული ენა, დევნილი იყო საქართველოს ეკლესიაც, ქართული კულტურა. აფხაზები მოსწყდნენ ქართულ სამყაროს, რაც გამოიხატა შემდეგში:

„1. დემოგრაფიული ვითარების შეცვლა აფხაზეთში: უცხოტომელთა ჩამოსახლებოს კვალობაზე განუხრელად მცირდებოდა ქართული მოსახლეობის ხვედრითი წილი; 2. ეკლესიიდან განიდევნა ქართული ენა; 3. საეკლესიო-სამრევლო და საერო სკოლებში აიკრძალა ქართული ენის სწავლება; 4. ყოველმხრივ ავიწროებდნენ ქართულ მოსახლეობას.

კოლონიურმა ხელისუფლებამ კონკრეტული ნაბიჯები გადადგა აფხაზების გარუსებისა და მათი ასიმილაციისათვის, კერძოდ:

1. რუსეთის ეკლესიის უწმინდესი სინოდის 1898 წლის 3 სექტემბრის ბრძანებულებით, აფხაზეთის იმ ეკლესიებში, რომელთა მრევლს აფხაზები შეადგენენ, ღვთისმსახურება საეკლესიო-სლავურ ენაზე უნდა აღესრულებინათ; 2. საქართველო – იმერეთის სინოდალური კანტორის 1898 წლის 17 მარტის ბრძანებულებით, აფხაზეთსა და სამურზაყანოს სკოლებში აკრძალა ქართული ენის სწავლება, ღვთისმსახურების საეკლესიო-სლავურ ენაზე აღსრულებისა და სკოლებში ქართული ენის სწავლების აკრძალვის განხორციელებაზე, სასულიერო და ადმინისტრაციულმა ხელისუფლებამ უმკაცრესი კონტროლი დააწესა; 3. სოხუმში უპირატესად აფხაზი ბავშვებისათვის გაიხსნა საქალაქო სკოლა, რომელშიც სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა; 4. ქართველებისათვის შეიზღუდა სოხუმის ოკრუგის სასოფლო თემების მუდმივ მაცხოვრებლად ჩაწერა; 5. აფხაზეთში დაიწყო რუსი კოლონისტების მასობრივი ჩამოსახლება;¹

რუსიფიკატორული პოლიტიკის მიზნებისა და შედეგებიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ XX საუკუნის დასაწყისში აფხაზეთში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ქართველი და რუსი სასულიერო პირები. პირველი ძალა იბრძოდა, აფხაზეთის ერთიან ქართულ სივრცეში ინტეგრაციისათვის, ხოლო მეორე – აფხაზეთის ეკლესიის რუსეთის ეკლესიაში შერწყმისათვის, მხარის გარუსებისათვის.

თედო სახოკია აფხაზეთში რუსიფიკატორული პოლიტიკის მთავარი მოწინააღმდეგე იყო. ქართველ სამღვდელოებასა და ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენელთა შორის დაპირისპირებამ აფხაზეთში XIX-XX საუკუნეებში

¹ აპოლონ სილაგაძე, ვახტანგ გურული. საქართველოს განუყოფლობის ისტორიიდან ნარკვეთი II. თედო სახოკიას ქართული პარტია აფხაზეთში (1895-1904). თბილისი, 1999, გვ. 9-11.

თავის აპოგეას მიაღწია, რუსმა ეგზარქოსებმა და სასულიერო უწყების ჩინოვნიკებმა ქართული ეპლესია და საკლესიო ქონება საშემოსავლო საქმედ აქციეს.

თედო სახოკია 1895 წელს გამოცემულ ჟურნალ „მოამბეში“ აფხაზეთში ქრისტიანული სარწმუნოების ძღვო-მარეობის შესახებ ამბობს: „დაუდგენიათ, მიზეზი აფხაზეთში ქრისტიანობის დაქვეითებისა ქართული ენა არისო, ან ეგ ქართული ენა მკვიდრთ არ ესმითო, ენა, რომლითაც წმინდა მამანი აფხაზ მოძღვრებს უქადაგებდნენ... აღდგომა დღეს სახარება ყველა (სლავურ, ბერძნულ, ლათინურ) ენაზე წაუკითხავთ, — ქართული კი არავის მოპგონებია“.¹ განაწყენებულ ქართველებს უკვე ფულის შეგროვება დაუწყიათ საკუთარი ეკლესის ასაშენებლად, და გულისტყივილით დასძენს, ბიჭვინთის, ფსირცხის და დრანდის უძველეს მონასტრებში ოსმალეთის ქვეშევრდომი რუსი ბერ-მონაზვნების დამკვიდრების შესახებ:... „სასაცილოდ არ ყოფნით, ქართულად წირვალოცვა რომ უხსენო, განა „ბურსუმანულ“ (ე.ი. ქართულ) ენაზე ღვთის დიდება შეიძლება“.²

კიდევ უფრო გაბედული და მბაფრი წერილი გამოაქვეყნა თედო სახოკიამ 1900 წელს 14 ივლისს გაზეთში „Петербургские ведомости“ სათაურით „Из Сухума“. კორესპონდენციის მიზანი იყო მთელი ქვეყნიერებისათვის ემცნო შემდეგი: 1. აფხაზეთის ქართული მოსახლეობა მოკლებულია წირვალოცვის ჩატარების უფლებას ქართულ ენაზე; 2. აფხაზეთში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობას ქართველები

¹ თედო სახოკია. აფხაზეთი აფხაზეთ-სამურზაყანოს სამღვდელოება, ქართული ენა სკოლებსა და ეკლესიაში. — ჟურნალი „მოამბე“, 1895, №11, განკ. II, გვ. 114-125.

² კორნელი კეკელიძის სახელობის ზელნაწერთა ეროვნული ცენტრი. თედო სახოკიას ფონდი. №213.

შეადგენდნენ, ეკლესიიდან და სკოლებიდან განდევნილია ქართული ენა.

პეტერბურგში აღნიშნულ წერილს დიდი გამოხმაურება მოჰყოლია, როგორც საზოგადოებაში, ასევე სამთავრობო წრეებში. წერილი პილიტიკური, მამხილებელი ხასიათისა იყო. თედო სახოკიაშ სააშკარაოზე გამოიტანა აფხაზეთში რუსული სამღვდელოების რუსიფიკატორული მიზნები. წერილის ავტორი რუს სამღვდელოებას ადანაშაულებდა. იმპერიის ბრძანებულებითა და სინოდის 1898 წლის 3 სექტემბრის გადაწყვეტილებით, სოხუმის საეპისკოპოსოს მიეთითა, „ღვთისმსახურების შესრულება მეგრელ მოსახლეობაში სრულდებოდეს – გასაგებ – ქართულ ენაზე. გაზეთ „Петербургские ведомости“-ის №177 1900 წლის 14 ივლისი – თედო სახოკია აღნიშნავდა, რომ ეს მითითება მხოლოდ სამ სამრევლოში სრულდებოდა, დანარჩენი 55-ათასიანი მეგრული მოსახლეობის 39 სამრევლოში სოხუმის ეპისკოპოსი არსენიც აღრინდელი გადაწყვეტილების (რუსულ ენაზე ღვთისმსახურების ჩატარება) მომხრე დარჩა. სოხუმის 6-ათასიანი მოსახლეობის 3/5 ქართველები (მეგრელები, გურულები, იმერლები) არიან – წერდა თედო სახოკია. მაგრამ ღვთისმსახურების მშობლიურ ენაზე მოსმენის საშუალება არა აქვთ. წერილში აღნიშნული იყო აგრეთვე ის, რომ 1900 წლის 14 იანვარს გადახდილი გიორგი წერეთლის პანაშვიდზე, ტაძრის ხანდაზმულ წინამდლოლ დავით მაჭავარიანისათვის პასუხი მოუთხოვიათ. აგრეთვე შერვაშიბის ქვრივს სპეციალური ნებართვა დასჭირდა, რათა გარდაცვლილი მეუღლისათვის პანაშვიდი ქართულ ენაზე გადაეხადა. წერილში გაკრიტიკებულია ეპარქიის ხელმძღვანელი; მას სოფელ ლინდავაში მცხოვრები ლუთერანი ესტონელებისათვის, რომლებსაც მართლმადიდებლობის მიღების სურვილი გამოუთქვამთ და ეპისკოპოსისათ-

ვის მოსახლეობის მიერ შერჩეული ესტონურ-რუსული ენების მცოდნე მღვდლის დანიშვნის თხოვნით მიუმართავთ 1896 წელს, უარყოფითი პასუხი გაუცია.

წერილში თედო სახოკია უბრუნდება სოფელ ღუმურიშის მღვდლისა და ბლალოჩინ, ქართული ენის ღევნით ცნობილ ივანე ქავერაძის – საკითხს მას საკუთარი მრევლი დაპირისპირებია, მოუთხოვიათ, მისი გადაყენება. სოფლის ამ გადაწყვეტილებას ხელს აწერდა 169 ადამიანი. შემდგომში გამოძიებისას უანდარმერიამ ამ წერილს მიაგნო თედო სახოკიასთან, მიუხედავად ამისა, მღვდელი თანამდებობიდან არ გაუნთავისუფლებიათ. ქუთაისის გუბერნატორი და სოხუმის ეპისკოპოსი მას იცავდნენ, როგორც „ინტრიგებისა და პარტიულობის მსხვერპლს“.¹

თედო სახოკიას კორესპონდენცია, რომელიც თავისი არ-სით მიმართული იყო კავკასიის კოლონიური ხელისუფლების, საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის წინააღმდეგ, დაიბეჭდა რუსეთის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან და პოლიტიკურ გაზეთში. თედო სახოკიამ კორესპონდენციის შედეგისას პოლიტიკური ალლო და წინდახედულობა გამოიჩინა. ტექსტი კამუფლირებული იყო და წინა პლანზე ისეთ საკითხებს წამოსწევდა, რომლებიც თითქოს არ განეკუთვნებოდნენ ანტისახლმწიფოებრივს, ანტიიმპერიულს, პირიქით – კორესპონდენციის ავტორს, ერთი შეხედვით, გულიც არ შესტკიოდა ადგილობრივი ადმინისტრაციისა და მაღალი თანამდებობის რუსი საეკლესიო პირების მართლმადიდებლობის განმტკიცებისათვის აფხაზეთში. ამ და სხვა ამბების შესახებ

¹ თედო სახოკია. სოხუმისა და სოხუმის ოლქის სხვადასხვა სოფლებში მოსახლეობისათვის გასაგებ ენაზე წირვა-ლოცვის აკრძალვის შესახებ. – გაზ. „Петербургские ведомости“, 1900, №177.

ასეთი კრიტიკული მასალები კავკასიის რუსული ხელისუფლის განსჯის და შეშფოთების საგანი ხდებოდა.

განსაკუთრებით აქტიური იყო თედო სახოკიას „ქართული პარტიის“ ქართველი ინტელიგენტთა ჯგუფი, რომელიც ამ მხარის მოსახლეობის დაცვას ისახავდა მიზნად. თედო სახოკიას გვერდით ამ ჯგუფის აქტიური წევრები იყვნენ: ანთომოზ ივანეს ძე ჯუღელი, სპირიდონ ლევანის ძე ნორაკიძე, ივანე კონსტანტინეს ძე გეგია, ფარნა ნიკოლოზის ძე დავითაია. ცალკე აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ პარტიის წევრები იყვნენ სასულიერო პირები დეკანოზი დავით მაჭავარიანი, მღვდელი ავესტნტი სახოკია, მღვდელი ივანე ჩხენკელი. ქართულ პარტიაში დაიწყო თავისი მოღვაწეობა ცნობილმა პოლიტიკურმა ფიგურამ შემდეგში საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს თავმჯდომარემ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველმა საგარეო საქმეთა მინისტრმა — აკაკი ივანეს ძე ჩხენკელმა. (მღვდლის, ივანე ჩხენკელის, შვილი).

თედო სახოკიას „ქართული პარტიის“ წევრი იყო ან მას მხურვალედ უჭერდა მხარს საქართველოს სამი მომავალი კათოლიკოს-პატრიარქი: ეპისკოპოსი კირიონი (შემდეგში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II), ქუთაისის ეპისკოპოსი ლონგინოზ ოქროპირიძე (შემდეგში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდი) და ბესარიონ ხელაია (შემდეგში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი). ეს არ იყო არც უმნიშვნელო, არც შემთხვევითი ფაქტი. სამივე საეკლესიო მოღვაწე ცოტა მოგვიანებით საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ბრძოლის უშუალო ხელმძღვანელი გახდა. მნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ თედო სახოკიას ქართული პარტიის წევრებისათვის მოღვაწეობის მიზანს არა მარტო აფხაზეთში ქართული ეკლესიის

შენარჩუნება შეადგენდა, არამედ უფრო მეტი – საქართველოს ეკლესის დამოუკიდებლობის აღდგენა”.¹

მთავრობა და მისი აგენტები სამურზაყანოსა და საკუთრივ აფხაზეთში მცხოვრებ ქართველებს (მეგრელებს) ქართველებად არ თვლიდნენ.

მთავრობისათვის ამ „ქართული პარტიის” საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიმწოდებელნი იყვნენ: სოხუმის ეპისკოპოსი არსენი, სოხუმის ეპარქიის სამრევლო სკოლების ზე-დამხედველი იასტრებოვი, ბლალოჩინი მარლანია, სოფელ ოქუმის მღვდელი ივანე ქავუარაძე. ისინი უანდარმერიის აგენტები იყვნენ და რუსიფიკატორულ პოლიტიკას, სხვებზე მეტად აქტიურად ემსახურებოდნენ.

თედო სახოკიასა და მისი ჯგუფის წევრებს შორის კავშირი ძირითად მიწერ-მოწერით ხდებოდა და, რა თქმაუნდა, ამ მიწერ-მოწერას კოორდინაციას უწევდა თედო სახოკია. საზოგადოებრივად აქტიური საკითხების თაობაზე, დანარჩენები მასთან იყვნენ წერილობით დაკავშირებულნი. უანდარმერიის მიერ ამ კავშირების ირგვლივ მოკვლევის შედეგებმა მათვის სასურველი ვერანაირი შედეგი ვერ დააფიქსირა, მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფის წევრები უარყოფდნენ რაიმე ეროვნული ხასიათის პარტიის ან ჯგუფის არსებობას, მაგრამ ყველანი ამ შეხვედრების მონაწილეებად თედო სახოკიასა და ანთიმოზ ჯუღელს ასახელებდნენ. დაკითხვისას თედო სახიკიამ განაცხადა, რომ ის პრესის საშუალებით ცდილობდა, „რათა ქართული ენა, როგორც მშობლიური ისწავლებოდეს სოხუმის მოსახლეობაში, რადგან სცნობს, რომ ამ გზით ის ხელს შეუწყობს რუსული ენის უადვილესად შეს-

¹ ვახტანგ გურული, აპოლონ სილაგაძე. საქართველოს განუყოფლობისათვის ბრძოლის ისტორიიდან, ნარკვეთი II. თედო სახოკიას ქართული პარტია აფხაზეთში (1895-1904). თბილისი, 1999, გვ. 16-17.

წავლას, მეორე, რომ დვთისმსახურება სოხუმის ოლქის მეგრელ მოსახლეობაში წარმოებდეს ქართულ ენაზე¹".

ამ საქმის გამოძიება დაიწყო ქუთაისის გუბერნატორმა, ცნობილმა გენერალმა რექციონერმა გერშელმანმა, რომელმაც 1900 წლის 28 ივლისს, 3 აგვისტოსა და 2 სექტემბერს მოხსენებები შეადგინა. რუსულმა ბიუროკრატიამ საკითხის შესწავლასა და საბრალებო დასკვნის მსგავსი საკმაოდ ვრცელი დოკუმენტის შედგენას ოთხი წელიწადი მოანდომა. ამ დოკუმენტში აღწერილია თედო სახოკიას მოღვაწეობა, აფხაზეთში შექმნილი „ქართული პარტიის”, მისი წევრების საქმიანობა, ბრძოლა აფხაზეთის რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ, მათი საქმიანობის ისტორია.

თედო სახოკიას საქმის გახსნამდე მთავრობა მისი სოხუმიდან გაძევებით დაკმაყოფილდა. როგორც ცნობილია, თედო სახოკიამ მეგობრების დახმარებით, მათი ფინანსური ხელშეწყობით საზღვარგარეთ გამგზავრება მოახერხა. მთავრობის მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ თედო სახოკიას სოხუმიდან წასვლის შემდეგ „ქართული პარტიის” წევრთა საქმიანობა აფხაზეთ-სამურზაფანოში შენელებულა, თუმცა ეს ჯგუფი არსებობას განაგრძობდა, ხოლო 1903 წელს დროებით დაბრუნებულ თედო სახოკიასთან კვლავ განახლდა წევრთა შეხვედრები.

ქუთაისის გუბერნიის უანდარმთა სამმართველოს უფროსმა გამოძიებისათვის 1900 წელს საიდუმლო კითხვარი შეადგინა (სულ 12 კითხვა). ამ კითხვარს ის აცნობს სოხუმის ეპისკოპოს არსებს და სთხოვს პასუხის გაცემას, კითხვაც და პასუხიც მკაფიოდ წარმოაჩენს რუსული ადმინისტრა-

¹ ტ. ხუნდაძე. თედო სახოკია (მასალა ბიოგრაფიისათვის). — იხ.: თედო სახოკია. კრებული. თბილისი, 1969, გვ. 67.

ციის ნამდვილ სახეს, აფხაზეთში შექმნილ აუტანელ სიტუაციას, აშკარად ასაბუთებს თედო სახოკიას ბრალეულობას.

აი, ეს მუხლები, რომლებშიც საუბარია თედო სახოკიაზე: „3) ცდილობენ თუ არა აფხაზეთის გაქართველებას შემდეგი პირნი: თედო სახოკია, ანთმოზ ჯულელი. 4) გვერათ და უწყით, რომ სოხუმის მცხოვრები თედო სახოკია პრესაში და საზოგადოებაში კრიტიკას იწვევს და მასხრად იგდებს ყოველივე თქვენს განკარგულებას; 8) რადგანაც უტყუარი ცნობები მაქვს, რომ ნაცნობობა აქვთ არასაიმედო და წარმართ ხალხთან თედო სახოკიას [და სხვა შემჩნეულთ ლ.ბ.] ამიტომ გთხოვთ აღნიშნული პირნი დამიხასიათოთ ზნეობრივის მხრივ, თითოეული მათგანი კერძოდ და დაწვრილებით გამაცნოთ მათი მოღვაწეობის მხრივ; 9) მართალია თუ არა, კორესპონდენტი თედო სახოკია განგებ, წინდაწინვე განზრახულის მიზნით ამახინჯებდა ფაქტებს და ყალბ სტატისტიკურ ცნობებს ათავსებდა გაზეთებში მეგრელებისა და ქართველების შესახებ, რათა დაემტკიცებინა აუცილებელი საჭიროება ქართული ენის შემოღებისა სასწავლებელში; 12) მართლადიდებელ ეკლესიისათვის მავნებელი არის თუ არა მოღვაწეობა თედო სახოკიასა და ანთმოზ ჯულელისა;

საიდუმლო შეკითხვებზე, რომლებიც 12 მუხლისაგან შედგება და რომლებიც ქართველთა მოძრაობას შეეხება სოხუმის ოლქში, შემიძლიან შემდეგი გიპასუხოთ: მოვიყვანთ მხოლოდ იმ მუხლებს, რომლებიც თედო სახოკიას ბრალეულობას შეეხება: 3) რამე დადებითი საბუთები თედო სახოკიასი შემიძლია ვთქვა, რომ ის ავტორია გაზეთებში მოთავსებულ ყალბ ცნობებისა, მაშასადამე, იგი ყოფილა გამავრცელებელი და დამამკვირებელი ქართული ენისა და მოქალაქეობისა აფხაზეთში, 9) თედო სახოკია განგებ ყალბ ცნობებს ათავსებდა გაზეთებში ქართველთა და მეგრელთა სოხუმის

ოლქში მოსახლეობის შესახებ, რადგანაც მას, როგორც სო-ნუმის ოლქში მცხოვრებს, კარგად უნდა სცოდნოდა ნამდვი-ლი სტატისტიკური ცნობები, მაგრამ იგი წინად განზრახვით ამაზინჯებდა ყოველივე ცნობას. 12) მოქმედება თელო სახო-კიასი და ანთიმოზ ჯულელისა მაგნებლად უნდა ჩაითვალოს მართლმადიდებელ ეკლესიისათვის, რადგანაც გაქართველებუ-ლი მათგან ახალგაზრდობა მტრად გაუხდება რუსეთის ეკლე-სიას, რომელიც სულ სხვა მიზნით მოქმედებს აფხაზეთში.

მთავრობამ საქმეში ერთ-ერთ საბრალდებო მუხლად ილია ჭავჭავაძის სტუმრობაც შეიტანა, რომელიც მას სო-ნუმის საზოგადოებამ 1903 წელს 24 მაისს გაუმართა. ილია ჭავჭავაძის შესანიშნავი სიტყვა თითქმის სტენოგრაფიულად ჩაწერილია სახოკიას მიერ. „ბატონებო, პატივისცემით მოგე-სალმებით, ბედნიერი ვარ, რომ ვხედავ ჩვენს საერთო მშვენი-ერ სამშობლოს კალმით დახატულ გუთხეს და მის მოსახე-ლე მშვენიერ ხალხს მაღლობელი ვარ თვენი დახვედრისათ-ვის ჩემი პატივისცემისა და დღევრძელობისათვის!

თქვენ რომ გიყურებთ, გულს იმედი და სასოება ჩამესა-ხა. ვფიქრობ, რომ ჩვენი ქვეყანა წინ მიდის, მტერს ეგრე ადვილად ვერ დავეჩაგვრინებით. აქ რომაელთა ერთი თქმა მაგონდება. სინათლე აღმოსავლეთით გვევლინებაო. თქვენ რომ გიცქროთ, ეს თქმა ასე უნდა შეგცელო: სინათლე და-სავლეთიდან მოდის, საქართველოსთვის მაინც-მეთქი!

თქვენც მიხვედრილი ბრძანდებით, რომ დღევანდელის ცხოვრებაში სუფრის თავში ის ერთ დაჯდება, ვინც ირჯება, ვინც მუდამ შრომობს, ვინც ცდილობს ეკონომიკურად წელში გამაგრდეს – ვინც ამას არ ფიქრობს, ვინც სხვის შეპყუ-რებს, აცა, ეგე რამე გაჰვარდეს ხელიდან და მე ავიღოო, ის ხალხი ტყუილა ნუ ელის შორი მანძილი გაიაროს ცხოვრე-ბაში, ტყუილი იმედი ნუ აქვთ ცხოვრების ჭიდილში ფონს

გავიდეს; ასეთ ერს, ვიმეორებ, დარწმუნებული უნდა ვიყოთ საკაცობრიო ცხოვრების სუფრაზე ადგილი არ ექნება, გემრი-ელი ლუკმა ცხვირზეით ასცდება, ნასუფრალი თუ ზვდა, ღმერთს მადლი შესწიროს.

ყველასგან გათელილი, ყველასგან დაბრიყებული, ყვე-ლაფერში ჩამორჩენილი, ყველასგან ყბადაღებული ისაა, ვი-საც თავის მარჯვენის იმედი არა აქვს, ვინც თავისი ძალ-ღონით არ პლამის ლელოს გატანას ცხოვრების მოედაზე – თქვენი მოძმენი აღმოსავლეთ საქართველოს ქართველები, იმით ვართ შეასბრალისნი, რომ მეტად ტაატით მივდივართ ეკონომიური მოღონიერებისაკენ. იქ ყველანი ჩვენ გვჩაგრავს, თავზე გვასხდებიან. აქ, თქვენ რომ გიყურებთ, გული მინათ-დება, სასოებით მევსება, მთელი ქალაქი თვენს ხელშია; აქა-ურობის ბატონ-ბატრონი თქვენა ხართ, გეტყობათ, დღესა და ღამეს ასწორებთ, ცდილობთ, ერთხელ შეძენილს კიდევ მიუ-მატოთ, თქვენი ქონება ერთი-ორად აქციოთ, ფხიზლობთ ყუ-რი მახვილად გიჭირავთ, საიდან როგორ უკეთესად და სარ-ფიანად მოაგვაროთ თქვენი საქმე, ამისათვის თქვენთვის გამ-ჩენს შნო მიუცია და ამ შნოთი შნოიანად სარგებლობთ კი-დეცა.

მერწმუნეთ, თუ ქონებრივად ღონივრები იქნებით, ყოვე-ლივე სიკეთე ამქვეყნიური თავისით მოგადგებათ კარზე. თუ ეკონომიურად წელში გავიმართებით, ჩვენი სამშობლო, მამა-პაპათაგან ნაანდერძევი, შეგვრჩება, ვერავინ წაგვარომევს: თუ ვაჭრობას თანამედროვე, ცხოვრების ამ მთავარ ძარღვს ვუ-ერთგულებთ, ბურთი და მოედანი ჩვენია, ლელოს გატანაში ვერავინ შეგვეცილება, რომ მოგახსენეთ: საქართველოს სინა-თლე დასავლეთიდან მოდის-მეთქი, იმიტომ მოგახსენეთ, რომ დასავლეთ საქართველოს ქართველობამ აღმოსავლეთ საქარ-თველოს მოძმეებს მაგალითი უნდა უჩვენოს სიფხიზლის,

ცხოვრებაში ბრძოლის უნარის გამოჩენისა, უნდა ასწავლოთ, რომ იმათაც ამავე გზით იარონ, იმათაც თქვენ მოგბაძოთ, ერთობლივი, მამა-პაპათაგან ნაანდერძევი ტურფა და მდიდარი ქვეყანა შევინარჩუნოთ, სხვას მისი დაპატრონების მადა არ გავუღიძოთ, მოსულს ათასგვარ მტერსა და დუშმანს კრიჭა-ში ჩავუდგეთ, ხმალამოლებული დავუხვდეთ, ჩვენზე არ გავა-ცინოთ.

მაშ, გამარჯობათ, ბატონებო! ჩვენი ქვეყნის აღორძინების პირველო მერცხლებო! გაუმარჯოს თქვენს გამჭრიახხო-ბას, სიმკვირცხლეს! ჩვენი ხალხის, ამერ-იმერეთის, მთლად ჩვენი ხალხის სანუგეშოდ და წარსამატებლად!¹

ილიას გამოსვლას რომ იხსენებს, თედო სახოკია დას-ძენს: ყოველი სიტყვა ძვირვასი სტუმრისა ელექტრონის დენსავით უვლიდა სხეულში სმენად გადაქცეულს მაყურებ-ლებს, ყველანი ხარბად პირში შეჰყურებდნენ და ცდილობდ-ნენ ერთი სიტყვა არ გამოჰქარვოდათ. მათს ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა. საქართველოს სათაყვანო ადამიანს, მთელის ქართველობისათვის მზრუნველ ილია ჭავჭავაძეს თა-ვიანთს შორის ხედავდნენ, ყოველს განუმტკიცდებოდა სარწ-მუნოება, რომ ობლად არ იყვნენ მთენილნი, ჰყავდათ პატიო-სანი პატრონი, ძლიერი, შემმართებელი, რომლის წინშე ჩვე-ნი დაუძინებელი მეტრიც კი ქედს იხრიდა.

კარგა შებინებდულზე უმატეს სუფრას. ყოველნი მხია-რული და ბედნიერი დაიშალნენ მერე დიდხანს, დიდხანს ჰქონდათ სოხუმელთ ეს სადილი სალაპარაკოდ და სასიამოვ-ნო მოსაგონებლად.

მეორე დღეს გემში მთელმა ქალაქმა ჩააცილა ილია ჭავჭავაძე და მისი თანამგზავრნი, მათს პატივისმცემლთაგან

¹ კორნელი კეკელიძის სახელობის წელნაწერთა ეროვნული ცენტ-რი. თედო სახოკიას ფონდი. წელნაწერი, №196

და განსაკუთრებით მანდილოსანთაგან მოტანილი თაიგულებით და ყვავილებით. ეს გაცილება ერთ მთლიან ზეიმად იყო გადაქცეული.

თედო სახოკიას მოწინააღმდეგენი იმასაც აბრალებდნენ, რომ ის არაქართველის ეტლში არ ჯდებოდა. მღვდელი იგნე ქავეურაძე „Петербургские ведомости“-ში თედო სახოკიას მიერ იმავე გაზეთში მოთავსებული წერილის საპასუხოდ და ხელისუფლებასთან დასაბეჭდებლად წერდა: „გულწყელად ვურჩევ ბ-ნ თედო სახოკიას, გონს მოვიდეს .. და რუსულ ეტლში ჩაჯდომაზე უარის მთქმელს, არ აღუპვეთონ სიარული რუსულ ქალაქებში“.¹

საინტერესოა თედო სახოკიას წერილების სერია, სათაურით „მგზავრის შენიშვნები გაზეთ „ცნობის ფურცელის“ 2309, 2343, 2349, 2356, 2367, 2386, 2454 ნომრებში გამოქვენებული. სტატია მოგვითხრობს ავტორის მოგზაურობის შესახებ აფხაზეთში, სოხუმიდან გაგრამდე, მშობლიურ კუთხეში სადაც აღწერს მოგზაურობისას ნანახსა და განცდილს. წერილის ავტორი აღნიშნავს რომ „აფხაზი ბუნებით ნიჭიერია, მიხვედობილი, მაგრამ მარტო ბუნებრივი ნიჭი რას გახდება“; იგი თამამად აკრიტიკებს საეკლესიო-სამრევლო სკოლებს, რომლებიც ყველაფერს ემსახურებოდნენ, „თვინიერ მთავრის დანიშნულებისა – ყრმათა გონიერივი და ზნეობრივი გაწვრთნისა“. თედო სახოკია იმასაც დასძენს, რომ აფხაზეთში პედაგოგებად ჩამოჰყავდათ „ყოველი ლოთი, ყოველი გზა-დაკარგული“, რომლისგანაც ბავშვს, ყველაზე დიდი, „რუსულად ათამდე თვლა და ორიოდ საგინებელი სიტყვა შეეძლო ესწავლა“.

¹ ტ. ზუნდაძე. თედო სახოკია (მასალა ბიოგრაფიისათვის). — იხ.: თედო სახოკია. კრებული. თბილისი, 1969, გვ. 69.

მდგომარეობიდან გამოსავალს თედო სახოკია ქრისტიანობაში ხედავდა, მაგრამ სამღვდელოება, რომელიც, პირველ რიგში, სამწყსოს მოყვარული მოძღვრის მოვალეობას უნდა ასრულებდეს, სინამდვილეში კი მთელი მათი მოღვაწეობა ამ მხარეში მხოლოდ „მონათლულთა” სიების შეადგენდა და მუშაობისათვის ჯილდოს მიღება და დაწინაურებაა. არავინ ზრუნავს ახალმონათლულთა სარწმუნოებაში განმტკიცები-სათვის. აშკარაა, ეკლესიებსა და სკოლებში რუსული ენის შემოღებამ საგრძნობლად შეასესტა მართლმადიდებლური პო-ზიციები აფხაზურ მოსახლეობაში.¹

აფხაზეთში რუსიფიკატორული პოლიტიკის შედეგად არსებულ განათლების მდგომარეობას ეხება 1905 წლის 1 აპრილის გაზეთ „ცნობის ფურცლის 2786 გამოქვეყნებული წერილი. ქართველების გარუსებას სოხუმის მთიელთა სკოლა ემსახურებოდა, რაზეც თედო სახოკია მიუთითებდა: „სკოლის არსებობის 40 წლის მანძილზე მის არცერთ კურსდამთავრებულ აფხაზს უმაღლესი განათლება არ მიუღია. გარუსების პოლიტიკამ იმდენი მოასწრო, რომ ეს ხალხი სრულიად ჩა-მოაშორა - ქართველებს...”, „სავალალოდ, არ არსებობს შე-მაერთებელი ხიდი ქართველებსა და აფხაზებს შორის. არ არ-სებობს იმიტომ, რომ ქართული ენა აქაური სკოლებიდან განდევნილია და [აფხაზებს - ლ.ბ.] უჩიჩინებენ, ქართველები, (მეგრელები) თქვენი მტრები არიან, აქ თქვენს მიწებს იჩემე-ბენო და სხვა”.² სამურზაყნოელების მიმართაც ისეთივე გა-რუსების პოლიტიკა ხორციელდებოდა.

ყოველივე ზემოთ ნათქვამის მიხედვით, საგუბერნიო ად-მინისტრაციამ კავკასიის მთავარმართებლის წინაშე აღძრა

¹ ჯემალ გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა. თბილისი, 2005, გვ. 603-604.

² გაზ. „ცნობის ფურცლი”, 1905, №2786.

საიდუმლო შუამავლობა, გამოძიების შედეგად „ქართული პარტიის” ჯგუფის წევრებს გამოძიების მასალებიდან გამომდინარე, რომელიც 1895 წლიდან იწყებოდა, 1904 წლის მარტში, ხუთ-ხუთი წლით რუსეთში გადასახლება მოუსაჯა აღმინისტრაციული წესით ამ ჯგუფის შედეგ წევრებს: თედო სახოკიას, ანთიმოზ ჯულელს, ივანე გეგიას, ფარნა დავითაის, გრიგოლ კანდელაკს, ივანე ბურჭულაძეს, სპირიდონ ნორაკიძეს, „სისტემატიურად ეწევან მთავრობის საწინააღმდეგო პროპაგანდას ადგილობრივ მკიდრთა შორის, სოხუმის ოლქში მშვიდობის დამყარების მიზნით ეს ადამიანები გაძევებულ იქნან ამიერკავკასიიდან და ადმინისტრაციული წესით გადასახლებულ იქნან რუსეთის შიდა გუბერნიებში ხუთი წლის ვადით – „являющихся главными представителями грузинской пртии, противодействующей мероприятиям правительства по обрусению населения округа¹”. თედო სახოკია ამ სასჯელს „გადასახლებას” გადაურჩა, იგი საზღვარგარეთ, საფრანგეთში, იმყოფებოდა.

თედო სახოკიას „ქართული პარტიი”-ს საქმიანობაშ აფხაზეთში, გარკვეული როლი ითამაშა, ეროვნული იდეისა და ეროვნული ცნობიერების ამაღლების საქმეში, რუსული იმპერიალისტური პოლიტიკის მიმართ.

დამოწმებანი:

1. თედო სახოკია, კრებული, თბილისი, 1969.
2. ტრიფონ ხუნდაძე. თედო სახოკია (მასალა ბიოგრაფიისათვის). – იხ.: თედო სახოკია. კრებული. თბილისი, 1969.

¹ საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი. ფონდი 37, საქმე №2367, ფურცელი 262. – იხ.: ტ. ხუნდაძე. თედო სახოკია (მასალა ბიოგრაფიისათვის) თედო სახოკიასადმი მიძღვნილი კრებული. თბილისი, 1969, გვ. 69-70.

3. აპოლონ სილაგაძე, ვახტანგ გურული. საქართველოს განუყოფლობის ისტორიიდან ნარკვეთი II. თედო სახოკიას ქართული პარტია აფხაზეთში (1895-1904). თბილისი, 1999.
4. ჯემალ გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა. თბილისი, 2005.
5. სოლომონ ცაიშვილი. უხუცესი მწერალი და საზოგადო მოღვაწე. – „ლიტერატურული აღმანახი”, 1954, №7.
6. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი. ფონდი 37.
7. გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი. თედო სახოკიას პირადი ფონდი.
8. კორნელი კეკელიძის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. თედო სახოკიას ფონდი.
9. ჟურნალი „მოამბე”, 1895, №11, განy. II.
10. გაზეთი „Петербургские ведомости“, 1900, №177.
11. გაზეთი „ცნობის ფურცლი“, 1905, №2786.

Latavra Bukia

*St. Andrew the First-Called Georgian University of the
Patriarchate of Georgia*

**TEDO SAKHOKIA’S “GEORGIAN PARTY” IN
ABKHAZIA
RESUME**

Tedo Sakhokia worked in the ninety years of the XIX century and the first half of the XX century. He played big role as a historian for the development of national historiography. He was known for actively opposing the political regime.

The life of Tedo Sakhoki was in the service of the nation, Tedo Sakhokia fought against Russian imperialistic policy with his pen, word and social activities in Abkhazia.. He was against the ban of Georgian language in secular and religious fields as well as Georgian territory unity infringement.

He followed Georgias Political processes with interest and with the help of activists and the national figures like Ilia Chavchavadze Iakob Gogebashvili, Alexandre Saradjishvili and others, actively fought for territorial integrity and national idea. In this regard Tedo Sokhakia's "Georgian Party" activities in Abkhazia are a clear example of the loyalty and service of the country.

გურამ გაბუნია, ლია გაბუნია
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**ქუთაისი - ქალაქი, სადაც „ღმერთები ღმერთობდნენ და
მეფენი მეფობდნენ...“**

ძველი ცივილიზებული მსოფლიო, ანტიკური სამყაროს უდიდეს მოაზროვნე სოკრატეს (ძვ. წ. V ს.) აზრით, კოლხეთის სანაოსნო დედამდინარე „ვასისიდან (რიონი) ვიდრე პერაკლეს სვეტებამდე (გიბრალტარის სრუტე)“ ვრცელდებოდა. ეს იყო ის თავდაპირველი რევინი, რომელიც დროთა განმავლობაში ნელ-ნელა ფართოვდებოდა და რომლის გარშემო თანდათან ყალიბდებოდა ჯერ ანტიკური (ბერძნულ-რომაული), შემდეგ – ევროპული, ხოლო სულ უკანასკნელ საუკუნეებში – ახლანდელი დიდი ევროატლანტიკური ცივილიზებული სამყარო.

ძველი ბერძნები ევროპისა და აზიის გამყოფ ზაზს მდინარე ფასის-რიოზე ატარებდნენ. მსოფლიო კლასიკური მითოლოგიის უთვალსაჩინოეს ძეგლ „არგონავტიკის“ თანახმად, ამავე ფასისზე გაშენებული იყო უძველესი კოლხეთის დედაქალაქი აია-კუტაისა-კუტაისი. აქ იდგა პირველი ქართველი მეფე აიეტის გრანდიოზული სამეფო სასახლე, რომლის ოქროს დარბაზებიდან „პელიოსი (მზე) აღმოსვლას იწყებდა“. აქედან იყო მეფის ულამაზესი და გრძნული ასული მედეა და უფლისწული აფსირტე. აქვე, მის მახლობლად, ინახებოდა „ოქრომრავალი“ აია-კოლხეთის სამეფოსა და მისი დედაქალაქის ძლიერების, სიმდიდრისა და უუძველესი სიბრძნის სიმბოლო – ოქროს საწმისი...

ასეთი ზღაპრული შარაგანდედით შემოსილი დიდებით შემოდიდა უხუცესი ქართული ქალაქი ქუთაისი („ქუთათისი“) ისტორიაში, ღვთაება კლიოს საუფლოში. აიეტისა და მედეას „მზის ქალაქის“ საოცარი თავგადასავლის პირველი და ერთადერთი მოწმენი სწორედ უძველესი სამყაროს კლასიკური მითები და გადმოცემები არიან.

ყველაფერი ეს ხდებოდა არანაკლებ 3 500-ზე მეტი წლის წინათ, ძვ. წ. XIV-XIII საუკუნეებში!

ძველი აია-კოლხეთის, ანუ ისტორიული ლიხთ-იმერეთის (დასავლეთი საქართველო) დედაქალაქი ქუთაისი მეტად მოხერხებულ ადგილზე, ორი დიდი და უძველესი კულტურული სამყაროს შესაყარში, ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ ტრანსკავკასიურ მაგისტრალზე მდებარეობდა. მდინარე ფასის-რიონითა და შავი ზღვის ნავსადგურებით (პირველ ყოვლისა – ბაში და ფასისი-ფოთი) იგი ფართოდ იყო დაკავშირებული გარე სამყაროსთან.

ქალაქი ქუთაისი გაშენებულია ქვეყნის ყველაზე წყალუხვ მდინარე რიონზე. მდინარე ქალაქს ორ – დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილად ჰყოფს. ქუთაისის ცენტრი ზღვის დონიდან 150 მეტრ სიმაღლეზეა. ქალაქიდან კარგად ჩანს კლიოვან ჯავშნად აღმართული ზემლი (2 002 მ) და დიდი და მცირე კავკასიონის ულამაზესი მწვერვალები. ქუთაისიდან საქართველოს დედაქალაქ თბილისამდე 220 კილომეტრია. ამჟამად პირდაპირი ზაზით ქუთაისი შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროდან 85 კილომეტრითაა დაშორებული. ძველად, არგონავტების ეპოქაში, მდინარე ფასისის (რიონი) შესართავში ზღვის ფართო უბის არსებობის გამო, კოლხეთის დაბლობში მდებარე აია-კოლხეთის დედაქალაქი პონტოს (შავი ზღვა) აღმოსავლეთ სანაპიროსთან გაცილებით ახლოს მდებარეობდა...

მრავალფეროვანია ქუთაისისა და მისი მიდამოების ბუნებრივი პირობები. ქუთაისთან მდებარეობს მსოფლიოში ცნობილი კურორტი წყალტუბო და მისი სასწაულმოქმედი სამკურნალო წყაროები. ქუთაისის მიდამოები საგმაოდ მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით.

ქუთაისს ესაზღვრება მსოფლიოში ცნობილი სათაფლის ნაკრძალი, რომელიც ბუნების ერთ-ერთ ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს. აქ შემონახულია გადაშენებული გიგანტური ცხოველების – დინოზავრების – იშვიათი ნაკვალევი.

ქუთაისი განსაკუთრებული სტატუსის მქონე რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქია და 1995 წლის იანვარში შექმნილი იმერეთის მხარის ადმინისტრაციული ცენტრი. ქალაქის ტერიტორია დაახლოებით 70 კმ კმ ფართობს შეადგენს. 2002 წლის აღწერით, საქართველოს მეორე ქალაქში 186 ათასამდე მცხოვრებია (1991 წელს – 250 ათასი). მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას (97,5 %) ქართველები შეადგენდნენ. აქვე ცხოვრობენ, აგრეთვე, ქართველი ებრაელები, რუსები, სომხები, უკრაინელები, ბერძნები.

ქუთაისი („ქუთათისი“) საქართველოს უძველესი და უმნიშვნელოვანესი საქალაქო ცენტრი, მსოფლიოს ერთ-ერთი უხუცესი ქალაქია. მან საზოგადოებრივი განვითარების მეტად ხანგრძლივი და როგორი გზა განვლო. მისი ისტორიული წარსული ძალზე მდიდარია საინტერესო მოვლენებით.

ქუთაისი და მისი მიდამოები ადამიანის ერთ-ერთ უძველეს საცხოვრისს წარმოადგენს. ქუთაისი და მისი „ქვეყნა“ განსაკუთრებით დაწინაურდა გვიანბრინჯაო-ადრენკინის ხანაში (ძვ. წ. XV-VIII სს.). ამ დროს დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა და თვალსაჩინო წარმატებას მიაღწია „დიდმა კოლხურმა კულტურამ“. აღნიშნული ადრეკლასობრივი ცივილიზაციის არსებობა არქეოლოგიურად (ნა-

წილობრივ, ისტორიულად) დადასტურებული ფაქტია. ამ ერთგვაროვანი და მაღალგანვითარებული კულტურის „ცენტრად“ მდინარე რიონის აუზი, კერძოდ, „ქუთათისის ქვეყნა“ მიაჩნიათ.

ქველი ქუთათისის ისტორიის მეცნიერულ შესწავლას სათანადო წყაროების სიმცირე და ქალაქის ტერიტორიის არასაკმარისი არქეოლოგიური შესწავლა აბრკოლებს.

ყველაზე უძველეს, ძირითად და ვრცელ წყაროს, რომელშიც პირველადაა მოხსენიებული და აღწერილი აია-კოლხეთი და მისი დედაქალაქი ქუთათისი (აია-კუტაია-კუტაისი-ქუთათისი), წარმოადგენს მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული კლასიკური მითოლოგიის ისეთი ბრწყინვალე ძეგლი, როგორიცაა ისტორიული თქმულებები ოქროს საწმისისა და არგონავტების შესახებ. მისი ძირითადი ნაწილი დაცულია აპოლონიოს როდოსელის (ძვ. წ. III საუკუნის შუა ხანები) პოემაში „არგონავტიკა“.

ქველ ბერძენ და რომაელ ავტორთა აბსოლუტურ უმრავლესობას არგონავტთა ლაშქრობა კოლხეთში ისტორიულ ფაქტად მიაჩნდა! ცნობილი მეცნიერის, აკადემიკოს სიმონ ჭაუხებიშვილის მოსწრებული თქმით, „არგონავტიკის“ სახით ქართულ სახელმწიფო უნივერსიტეტისას და მის დედაქალაქს („დიდი ქალაქი კუტაისი“, ქველქართულად: „დიდი ქუთათისი“) მოეპოვება თავისი „მეტრიკული“ (ე. ი. „დაბადების“) მოწმობა“...

დაახლოებით 3 500 წელზე მეტი წენის წინათ (ძვ. წ. XIV-XIII საუკუნეები) ძლევამოსილმა არგონავტებმა, უფლისწულ იაზონის მეთაურობით, გადმოლახეს რა სამი ზღვის სივრცე და სრუტეები, პონტოს (შავი ზღვა) „ბოლოში“ მაშინ არსებული „ზღვის ყურის“ გავლით, მდინარე ფასისში შემოცურდნენ. აქ, ლეგენდარული აია-კოლხეთის (ისტორიული ეგრისი) უძველეს მიწაზე, „მდინარეთა ჩუენთა

მეუფე“ ფასისის ნაპირებთან, დასავლეთის „ღვთაებრივმა გმირებმა“ იხილეს ჭეშმარიტად „აღმოსავლური მზე“, ღვთაება ჰელიოსის საუფლო, მისი სახელოვანი ძის, კოლხეთის მეფე აიეტისა და შვილიშვილის, გრძნეულ მზეთუნახავ მედეას დილი კოლხური ქალაქი „კუტაისი“ და, საერთოდ, ბერძნეთათვის მანამდე უცნობი, კოლხურ ენაზე მეტყველი ხალხი და მაღალი ცივილიზაცია, მათი „ოქრომრავალი ქვეყანა“ და ჰელიოსიანთა საკვირველი „მზის ქალაქი“ – „დიდი კუტაისი“.

ქუთაისი ძველთაგანვე აზისისა და ევროპის, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ცივილიზებული სამყაროების შესაყარში მდებარე ქალაქად მიაჩნდათ. აია-კოლხეთისა და „აიეტის ქალაქის“ სახელები ძველ კულტურულ მსოფლიოში ისეთივე ზღაპრული შარავანდედით იყო შემოსილი და პქუხდა, როგორც ახალი დროის ევროპელთა შეგნებაში – ლეგენდად ქცეული უძველესი ინდოეთის, ჩინეთის, „ელდორადოს“ და ჭეშმარიტად ფანტასტიკური „ატლანტისის“ სახელები.

ძველი ელინები და რომაელები მოწინებით იხრიდნენ ქედს ყოველივე იმის წინაშე, რასაც კოლხეთი და კოლხური ეწოდებოდა... გადმოცემები აია-კოლხეთის შესახებ შესულია მსოფლიო კლასიკური მითოლოგის ოქროს ფონდში.

სამწუხაროდ, არგონავტთა დროინდელი „აიეტის ქალაქი“ მიკვლეული არ არის. მის აღმოჩენაზე ოცნებობდა თვით ლეგენდარული ჰეროის შლიმანი, რომელმაც XIX საუკუნეში ნამდვილი არქეოლოგიური სასწაულები მოახდინა ტროა-მიკენში. სამწუხაროდ, „არგონავტული არქეოლოგია“ ჯერაც ოცნების საგანია. მითიურ წყვდიადში ჩათვლემილი უძველესი აია-კოლხეთის ისტორიისა და კულტურის საუკუნეობრივი ძღვუმარება ჯერაც არ დარღვეულა. „დიდი კოლხური“ ცივილიზაციისა და „დიდი კუტაისის“ საიდუმლოებების ამოცნო-

ბა კვლავაც უმნიშვნელოვანეს ქართულ (და არა მარტო ქართულ) „გეოკულტურულ“ ამოცანად და პრობლემად რჩება!..

გასული საუკუნის მეორე ნახევარში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრებით, თანამედროვე ქუთაისის ტერიტორიაზე, მდ. რიონის მარჯვენა სანაპიროს გორაკ-ბორცვიან და დაბლობ ნაწილში, უკვე დადასტურებულია ძვ. წ. VIII-III (განსაკუთრებით, VI-V) საუკუნეების ქალაქური ჭიათის დიდი სამოსახლო ცენტრის არსებობა. მიება, სამწუხაროდ, მცირე მასშტაბებით, დღესაც გრძელდება...

ჩვენი აზრით, აპოლონიოს როდოსელთან მოხსენიებული „დიდი ქალაქი კუტაისი“ უფრო სამიებელია დღევანდელი ქუთაისის მარჯვენაპირეთის დაბლობ ნაწილში და მის მომიჯნავე ქუთაის-გეგუთ-პატრიკეთის „ხაზზე“, ანდა ქუთაის-გეგუთ-ბაშის „სამკუთხედში“, ანუ საკუთრივ „ქუთათისის სამოქალაქოს“ ტერტორიაზე.

აღსანიშნავია, რომ იაზონის მიერ გაკვალული მარშრუტი 1984 წლის მაის-ივლისში წარმატებით განვლეს და ქუთაისს ესტუმრნენ „ახალი დროის არგონავტებიც“, ცნობილი მეცნიერისა და ზღვაოსანის, ჭიმ სევერინის, ხელმძღვანელობით.

20 წლის შემდეგ, 2004 წლის ზაფხულში, ძველ არგონავტთა მარშრუტის მნიშვნელოვანი ნაწილი განვლეს „XXI საუკუნის ვიკინგებმაც“ (ნორმანები, ვარიაგები, „ვარანგი“)...

აიეტისა და მედეას ესოდენ სახელგასმენილი „მზის ქალაქისა“ და მისი „ოქრომრავალი“ (პირველ ყოვლისა, ოქროს საწმისის) ქვეყნის უკვალოდ გაქრობა უცილობლად დიდი დანაკარგი იქნებოდა ცივილიზებული კაცობრიობისათვის. ისინი კლასიკურმა ბერძნულმა მითოლოგიამ „შეიხიზნა“ და მისი წყალობით, როგორც განუყოფელი ტყუპისცალნი, ერთად მოევლინენ ქვეყნიერებას. ამიტომ მათი ერთმანეთისაგან

დაცილებაც შეუძლებელია. რაოდენ სასიამოვნო და საამაყოა, რომ ყველა ეს „ზღაპრული სიმდიდრე“, უპირველეს ყოვლი-სა, საქართველოს, ქართველი ხალხის, მისი უძველესი ისტორიის, კულტურისა და ცივილიზაციის განუყოფელი პუთვ-ნილებაა...

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასურველია, თვალსაწიერი მომავლისათვის სწორედ ქუთაისში („აიეტის ქალაქში“) საფუძველი ჩაეყაროს არგონავტიკის, უფრო სწორად, უძველესი აია-კოლხეთის ისტორიის, კულტურისა და ხელოვნების შემსწავლელ საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით ცენტრსა და მუზეუმს.

ქუთაისის საქალაქო ცხოვრებაში ახალი ეტაპი იწყება ახ. წ. IV საუკუნის დასაწყისიდან. ეს ის ხანაა, როდესაც საქართველოში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა.

VIII–X საუკუნეების ქუთაისი კვლავ დასავლეთ საქართველოს (ეგრის-აფხაზეთის) სახელმწიფოს დედაქალაქად იქცა. მისი პირველი მეფის, ლეონ II-ის, დროს ქალაქში უმნიშვნელოვანესი მშენებლობანი ჩატარდა. დაიწყო ქუთაისის ხელახლი აღზევება.

978 წელს ქუთაისში ბაგრატ III ბაგრატიონი გაერთიანებული საქართველოს მეფედ გამოაცხადეს. თითქმის 145 წლის მანძილზე (978/1001 – 1122) ქუთაისი წარმატებით უძლვებოდა ერთიანი ქართული სახელმწიფოს დედაქალაქის საპატიო მისიას; ამ პერიოდს ქუთაისის მრავალათასწლოვანი ისტორიაში ყველაზე სახელოვანი ფურცლები განეკუთვნება. ქუთაისი დიდი ქართველი მეფის – დავით აღმაშენებლის მშობლიური ქალაქია. მისი თაოსნობით, ქუთაისის მახლობლად დაარსდა გელათის სახელგასმენილი ხუროთმოძღვრული ანსამბლი – დიდი მონასტერი და სამეცნიერო აკადემია.

საქართველოს სახელმწიფოებრივი მთლიანობის აღდგენის ამ დიდი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენას, რომელიც 1000-ზე მეტი წლის წინათ მოხდა, საქართველოსა და კავკასიის ისტორიაში „დიადი ასწლეული“, ანუ „ოქროს ხანა“ (1122-1220) მოჰყვა.

XII-XIII საუკუნეებში გელათი-ქუთაისი (მცხეთა-თბილისთან ერთად), ე.ი. მართლმადიდებლურ-ქრისტიანული სრულიად საქართველო მთელი ქრისტიანული სამყაროს „მეორე იერუსალიმად“ (ისრაელი-პალესტინა), „სხუა ათენად“ (საბერძნეთი-ბიზანტია) და „ახალ რომად“ (რომის იმპერია) იქცა!

1122 წლის შემდგომ ქუთაისი ღირსეულად ასრულებდა საქართველოს მეორე სატახტო ქალაქის საპატიო ფუნქციას. მოგვიანებით, იგი ისტორიული იმერეთის სამეფოს (1462-1810) დედაქალაქად გვევლინება.

1810 წელს უკანასკნელმა ბაგრატოვანმა მეფე სოლომონ II-მ მხოლოდ შეუპოვარი ბრძოლების შემდეგ დატოვა მშობლიური ქალაქი, სადაც იმპერიალისტური რუსეთის ბატონობა დამყარდა. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მცირე ხნით აღდგენას (1918-1921), რუსეთის მხრიდან კვლავ ახალი ინტერვენცია და ანგქსია მოჰყვა...

ქუთაისი ქართული ცივილიზაციის უდიდეს ცენტრს წარმოადგენს. საყოველთაოდაა ცნობილი მისი ბუნებრივი, მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლები, მისი დიდი ეროვნული და კულტურული ტრადიციები.

ბაგრატის დიდი საკათედრო ტაძარი (დასრულდა 1003 წელს), გელათის სამონასტრო ანსამბლი და გეგუთის სამეფო სასახლე ქართული კლასიკური ხუროთმოძღვრების ხელთუქმნელი ძეგლებია. პირველი ორი ტაძარი (სვეტიცხოველთან ერთად) გაერთიანებული ერების კულტურის, განათლე-

ბისა და მეცნიერების ორგანიზაციაში (იუნესკო) მსოფლიო მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის საგანძურთა ნუსხაში შესულ ძეგლებად გამოაცხადა.

ქუთაისის თავისი მაღალი კულტურული და აღმინისტრუაციულ-ტერიტორიული პოზიციები ახალ საუკუნეებშიც არ დაუთმია. ამ მხრივ, განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო **XX საუკუნის პირველი ოცწლეული**.

ქუთაისის ძველ ისტორიულ უბნებს ნაწილობრივ დღესაც აქვს შენარჩუნებული შეუ საუკუნეების ქალაქის იერსახე, ქუთათური კოლორიტი. მოგვიანებით ქუთაისის ისტორიული ცენტრი „ქალაქ-მუზეუმად“ გამოცხადდა.

1995 წლის სექტემბერში აღინიშნა საქართველოს სახელმწიფოებრივი ერთიანობის აღდგენისა და მისი დედაქალაქად ქუთაისის აღზევების **1000 წლისთავი**. იუბილე თავისი მფარველობის ქვეშ აიყვანა იუნესკომ. ამჯერად ეს საკითხი ჯერ კიდევ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას იმის გამო, რომ ბაგრატის ტაძარმა ძველი იერსახე ვერ შეინარჩუნა. ისეთი ვად პატრიოტების გამო, ვინც მხოლოდ თავის თავზე ფიქრობდა და არა ბაგრატზე გელათზე და საქართველოზე!

იუბილარ ფასისპირა „მზის ქალაქში“, რესპუბლიკაში პირველად, აღიმართა დიდი ქართველი მეფის – დავით აღმაშენებლის ძეგლი.

მაღლიერმა ქართველმა ხალხმა, 2003 წლის სექტემბერში მოკრძალებით აღინიშნა ბაგრატის ტაძრის ათასი წლის იუბილე...

„დიდი ქუთათურების“ („დიდებული ქუთაისელები“), უფრო სწორად, ქუთაისთან მჭიდროდ დაკავშირებული ცნობილი ადამიანების, **არასრული ნუსხა ასეთია:**

ლეგენდარული „კუტაისელები“ – პირველი ქართველი მეფე აიეტი, მისი გრძნეული ასული მედეა და ვაჟი – აფსი-

რტე; გაერთიანებული საქართველოს დიდი მეფეები – ბაგ-რატ მესამე და დავით აღმაშენებელი; ლიხთ-იმერეთის მეფეები – ბაგრატ ალექსანდრეს ძე და ალექსანდრე მესამე, სო-ლომონ პირველი და უკანასენელი ქართველი მეფე სოლომონ მეორე; ძველი საქართველოს სხვა ცნობილი ადამიანები – იოანე მარუშის-ძე და გიორგი ჭყონდიდელი, გიორგი მწერალი (გიორგი მთაწმინდელის ბიძა) და იოანე ჰეტრიწი, არსენ იყალთოელი და იოანე შავთელი, ბესარიონ გაბაშვილი (ბესიკი) და სოლომონ ლიონიძე; მწერლები, პოეტები და საზოგა-დო მოღვაწენი – აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, დიმიტ-რი ყიფაინი, გიორგი წერეთელი, გიორგი შერგაშვილი, გაბრი-ელ ეპისკოპოსი (გერასიმე ქიქოძე), კირილე ლორთქიფაინიძე, მამია გურიელი, დავით მიქელაძე, კიტა აბაშიძე, სერგეი მეს-ხი, დავით კლდიაშვილი, ნიკო ლორთქიფაინიძე, გალაკტიონ ტაბიძე, კონსტანტინე გამსახურდია, გრიგოლ რობაქიძე; „ცი-სფერყანწელები“ – ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ვალე-რიან გაფრინდაშვილი, კოლაუ ნადირაძე; აგრეთვე, ლეო ქია-ჩელი, შალვა დადიანი, ვლადიმერ მაიაკოვსკი, სერგო კლდი-აშვილი, ლადო ასათიანი, ანა კალანდაძე; განათლების, კულ-ტურისა და ხელოვნების მოღვაწენი – გიორგი მაისურაძე, მელიტონ ბალანჩივაძე, ზაქარია ფალიაშვილი, ლადო მესხიშ-ვილი, კოტე მარჯანიშვილი, იაკობ ნიკოლაძე, დავით კაკაბა-ძე, კოტე მესხი, დიმიტრი ნაზარიშვილი, გიორგი მაიაშვილი (ზდანოვიჩი), იოსებ ოცხელი, სილოვან ზუნდაძე, აკაკი ხო-რავა, აკაკი ვასაძე, ვერიკო ანჯაფარიძე, უშანგი ჩხეიძე, ჯორჯ ბალანჩინი (ბალანჩივაძე), ფელიქს ვარლა (ვარლამიშ-ვილი), დები იშხნელები, მიტროფანე ლალიძე, ვასილ ამაშუ-კელი, პეტრე ჭაბუკიანი; მეცნიერები – ექვთიმე თაყაიშვილი, ნიკო მარი, გიორგი ახვლედიანი, დიმიტრი უზნაძე, ალექსან-დრე ჯანელიძე, ანდრია რაზმაძე, კორნელი კეკელიძე, აკაკი

შანიძე, სარგის კაკაბაძე, შალვა ნუცუბიძე, არნოლდ ჩიქობავა, სიმონ ყაუხეჩიშვილი, ანგია ბოჭორიშვილი, ლევან სანიკიძე.

ქუთაისში თავს იყრიდა დასავლეთ საქართველოს ელიტარული ნაწილი. ქალაქის ქუჩებს, მის განთქმულ „ბულვარსა“ და „ბაღისკიდეს“ ამშვენებლნენ ქართველი არისტოკრატის ისეთი ბრწყინვალე წარმომადგენლები, როგორებიც იყვნენ: ლორთქიფანიძეები და ლოლობერიძეები, ჩიჯავაძეები და ჩხეიძეები, ჭილაძეები და მიქელაძეები – ქვემო იმერეთიდან, აბაშიძეები, წერეთლები და მხეიძეები – ზემო იმერეთიდან, დადიანები, ჩიჩუები და ფალავები – სამეგრელოდან, გურიელები და ნაკაშიძეები – გურიიდან, წულუკიძეები და ჯაფარიძეები – რაჭიდან, ჩიქოვანები და ასათიანები – ლეჩხუმიდან, დადეშქელიანები, გელოვანები და გარდაფხაძეები – სვანეთიდან, შერვაშიძეები და ემხვარები – აფხაზეთიდან, ხიმშიაშვილები და თავდგირიძეები – აჭარიდან და ა. შ. ღმერთსაც ექნას ახალი ადამიანების გვარები მრავლად დამატებოდეს ამ არაჩვეულებრივი, ქვეყანაზე მზრუნველი ადამანების სიას!

მათი, ე.ი. ქართველი თავად-აზნაურების, საერთოდ, ეროვნული ინტელიგენციის, გენერალიტეტის, სამღვდელოებისა და გლეხების საუკეთესო ნაწილი XX საუკუნის 20-30-იანი წლების ბოლშევიკურ სისხლიან რეპრესიებს ემსხვერპლა...

მაგრამ მრავალჭირნანახი ქუთაისი, როგორც ძველი ელინები იტყოდნენ მის შესახებ, მაინც „მტკიცედ ღდგა“ და თავის პოზიციებს არ თმობდა. იგი ღმერთებთან მებრძოლ იაკობს ჰგავდა!..

წარმოუდგენელი სიძნელეებისა და სიღუბჭირის მიუხედავად, ინტელექტუალური ქუთაისის გადარჩენისათვის ბრძოლა გრძელდება. უძველესმა ქართულმა ქალაქმა უნდა დაიბ

რუნოს ახალი შინაარსით გამდიდრებული თავისი კუთვნილი, ბუნებრივი, ისტორიული ფუნქცია და სტრატეგია. ქუთაისმა უცილობლად უნდა იტვირთოს საერთო-ქართული „პასუხისმგებლობის“ მისეული წილი, რომელიც მას საოცრად კარგად ხელეწიობა. ახალალორძინებული და ახალაღზევებული ქალაქი ათმაგად დაუბრუნებს გაწეულ ამაგს დედასამშობლოს...

საჭიროა, ქუთაისში, სხვა გადაუდებელ ღონისძიებებთან ერთად, საერთაშორისო ტურიზმის განვითარებისათვის სერიოზული ზრუნვა. ეს სტრატეგიული მიმართულება დიდ ყურადღებასა და ძალისხმევას მოითხოვს.

უპირველეს ყოვლისა, დაამეტრულად უნდა შეიცვალოს დამოკიდებულება ყველაფერი იმისადმი, რასაც ქუთაისი, მისი დიდი ისტორიული და კულტურული ტრადიციები, მისი დღევანდელი თუ ხვალინდელი დღე ჰქვია. ყოველი ქართველის მამულიშვილობის ერთ-ერთ საზომად საქართველოს მეორე ქალაქისადმი, მისი დიდი ისტორიული წარსულისა და მომავალი ბედისადმი დამოკიდებულება მიგვაჩნია.

დამოწმებანი:

1. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. პირველი, თბ; 1955;
2. მ. ნიკოლეიშვილი - გაერთიანებული საქართველოს პირველი დედაქალაქი: გაზ. „ქუთაისი“, 162, 1989;
3. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. მეორე, თბ; პირველი, თბ; 1959;
4. საქართველოს ისტორიის ნარკვევები: ტომი პირველი თბ. 1970; ტ. მეორე. თბ. 1073; ტომი მესამე თბ., 1979;

5. ქუთაისი უძველესი დროიდან XIII საუკუნემდე (ავტორები: ო. ლორთქიფანიძე, ო. ლანჩავა, მ. ლორთქიფანიძე, ლ. მენაბდე, ვ. ბერიძე.) რედაქტორი, რ. მეტრეველი, თბილისი-ქუთაისი, 1994;
6. ქართული ენციკლოპედია - (ქსე, იხილეთ მის თორმეტ ტომეულში წარმოდგენილი ჩვენთვის საინტერესო სტატია-წერილები, ნარკვევები.
7. ილია ჭავჭავაძე-ერი და ისტორია: რჩეული ნაწერები ზუთ ტომადტომი მეოთხე, თბ. 1987. გვ. 5-187;
8. გურამ გაბუნია - ქუთაისის ისტორიული წარსულიდან: იხ. „ძველი და ახალი ქუთაისი“, თბ; 1973;
9. გურამ გაბუნია - ქუთაისი და „ქუთათისის ქვეყანა“ („შიდა ეგრისი“) - ქუთაისი, 1993;
10. გურამ გაბუნია - „ასე იწყებოდა დიდი საქართველო“, ბაგრატიდან დავითამდე და...), ქუთაისი, 1996;
11. მარიამ ლორთქიფანიძე - „ბაგრატ მესამე“; ქუთაისი; 1995;
12. მარიამ ლორთქიფანიძე - „ქუთაისის აღორძინება დასავალეთ საქართველოს დედაქალაქად (VII-VIII) საუკუნეები, ქუთაისის უნივერსიტეტის მოამბე, ქუთაისი, N4, 1995;
13. ოთარ ლორთქიფანიძე - არგონავტიკა და ძველი კოლხეთი, თბ., 1986;
14. როინ მეტრეველი - დავით მეოთხე აღმაშენებელი; თბ., 1990;
15. როინ მეტრეველი - სხვაობა - 600 წელი, მცირე გულანი, თბილისი- ქუთაისი, 1979, გვ. 150 185;
16. გიორგი მჭედლიძე - ბაგრატ მესამის საქართველო, ქუთაისი; 1996;
17. ლევან სანიკიძე - „ქუთაისი და წლები“, უერნალი - „საბჭოთა ხელოვნება“ თბილისი, 4; 1962;

18. ომარ ლანჩავა - „ქუთაისის არქეოლოგია“, ქუთაისი; 2015;
19. დ. ჩაკვეტაძე - ძეგლი უქმირიონზე, თბილისი, 1964;
20. ვ. ჩაკვეტაძე - ქუთაისის ისტორიიდან, თბილისი 1960.

Guram Gabunia, Lia Gabunia

Akaki Tsereteli State University

**KUTAISI - “LARGE KUTATISI, WHERE GODS ARE
GODS AND KINGS ARE KINGS”
RESUME**

Kutaisi is one of the world's oldest cities. It is the capital of the historic province Imereti and of the whole West Georgia. It is located on the midpoint of the river Rioni (Phasis). The city is 220 km far from Tbilisi, the capital city of Georgia, and a hundred km far from Poti, the nearest Black Sea port.

Natural conditions of Kutaisi are of various colours. Its surroundings are famous for primeval forest spas and health resort sites. Suffice it to say, here are the world famous Tskaltubo mineral waters with miraculous healing properties. From the northwest Kutaisi is bordered by Sataplia Reserve, where rare footprints of dinosaurs, large extinct reptiles, have survived.

Kutaisi is situated in a most favourable place, at the unique Euro-Asiatic Transcaucasian transport-transit main road. The river Rioni and the Black Sea ports have extensively connected Kutaisi to the outer world.

Modern Kutaisi is a city of the republican subordination and is the administration centre of the newly organized Imereti District. Its territory is 70 sq km with the population of 270

thousand, being the second largest city of Georgia. Vast majority of its inhabitants (91%) are ethnic Georgians; the rest are Russians, Jews, Ukrainians, Armenians and Greeks.

Kutaisi has gone through a rather long and complicated route of its social development. Its past is rich in interesting events.

Kutaisi and “the world of Kutatisi” became prominent in the late Bronze and early Iron Ages (XV-VIII cc. BC). This period coincides with the unusual flourishing of the “Great Colchis Culture” developed on the territory of West Georgia. The might of the Colchis Kingdom of about 3300 years ago was reflected in the Greek classic epic poem about the “Golden Fleece” and Argonauts.





ირმა კულტოველი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

განათლების კულტურა საქართველოში და XXI საუკუნე

ადამიანის პარმონიული განვითარება მთლიანად არის დამოკიდებული ქვეყანაში განათლების კულტურის პრინციპების სწორად წარმართვაში. ვინაიდან კულტურა ლათინურად დამუშავებას ნიშნავს, აქედან გამომდინარე, დამკვიდრდა გამოთქმები, რომლებიც დაუკავშირდა შრომის, ფიზიკურ კულტურას, მეტყველების, ქცევისა და აზროვნების კულტურას, პოლიტიკურ და სამართლებრივ კულტურას, სწავლებისა და განათლების კულტურას. ბოლო ღირებულება, რომელიც ესოდენ ღრმად შემოიჭრა ჩვენს ცხოვრებაში, დღემდე რჩება კვლევისა და ინტერესის სფეროდ.

თანამედროვე სკოლაშიც და უმაღლეს სასწავლებლებშიც გვეჩვენება, რომ ჩიხში შევიდა და მუდმივი ექსპერიმენტის მდგომარეობაში იმყოფება განათლების ესოდენ მნიშვნელოვანი პრობლემა, მაშინ, როდესაც სულ ცოტა ხნის წინათ, ასე თუ ისე, მოწესრიგებული იყო, თუმცა უნაკლო არაფერია. განახლებას ყველა სფერო მოიცავს, მითუმეტეს სწავლა-განათლება, რომელიც ქართველი კაცისთვის საერთოდ პრიორიტეტულად ითვლებოდა; ამ განწყობით ცხოვრობდა მოსახლეობა, ამ განწყობით იქმნებოდა სოციალური გარემო და თქვენ წარმოიდგინეთ, ამ განწყობით იქმნებოდა ოჯახებიც, მართალია, თავისი პრეტენზიებით, თქვენ წარმოიდგინეთ, გენდერული ბალანსითაც კი.

საქართველოში სწავლის კულტურა ყოველთვის ითვლებოდა აუცილებელ პირობად ადამიანის ჩამოყალიბების, განვითარებისა და პრესტიჟისათვის. თუმცა, სწავლება დროთა ვთარებაში ტრანსფორმაციასაც განიცდიდა, მაგრამ ეს მოვლენები არ იყო ძალდატანებითი და თავსმოხვეული, არა-მედ განწყობილებები და შემოთავაზებები მუდამ თანმიმდევრულ პროცესს წარმოადგენდა. ცნობილია, რომ კულტურული გარემო, რომელშიც საზოგადოება იმყოფება ყოველთვის ქმნის ისეთ მიკრო, თუ მაკრო სივრცეს, რომელიც მუდამშეამს არის დამოკიდებული გლობალური კულტურის მოწყობის საკითხებთან. სხვადასხვა ორგანიზაციები, ინსტიტუციონალური გეგმების და შემოთავაზებების მოდელები ძირითადად დამოკიდებულია იმ პროცესებთან, რომლებიც დაკავშირებულია საერთაშორისო პროექტებთან, მაგრამ აქ ჩვენ შევეკამათებით მოვლენებს და პერსპექტივებსაც, რომლებიც ძირითადად შეეხება დიდი სახელმწიფო ორგანიზაციების და მსოფლიო მოწესრიგების საკითხს, რომლებიც მიესადაგება ან ემსახურება უფრო გლობალურ პროექტებს განათლების სფეროში.

რას ვთავაზობთ ჩვენ მსოფლიოს?! ან სამყაროს?! რომელსაც მიუხედავად კომუნიკაციური შესაძლებლობებისა ჩვენ თითქოს ჩამოვრჩით ზემოთ ხსენებულ პროცესებს; ჩემი აზრით, პროექტები, რომლებიც იქმნება, შემოთავაზებულია გაგმებისა და ვარიანტების სახით, მისაღები, თუ განხორციელებული უნდა იყოს ისეთ ქვეყნებში, რომლებსაც გააჩნია სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობის თვალსაზრისით მყარი მდგომარეობა. ჩვენს სინამდვილეში კი ბოლომდე სახელმწიფო ორგანიზაციების არ გვაქვს ჩამოყალიბებული, არ გვაქვს შესაძლებლობა შევქმნათ ისეთი სოციალური გარემო. რომელიც განსაზღვრავს სწორ, ან შედარებით მისაღებ მიმართულებებს სწავლების კულტურაში, რათა ამ ეტაპზე მაინც

ჩამოყალიბდეს, ბოლოს და ბოლოს, ჩვენი ქვეყნისათვის შესაფერისი სწავლების მეთოდიკა, შესაფერისი აწმყოსათვის, და პერსპექტივით. გამოკვლევები, რომლებიც ტარდებოდა და შემდგომში ჩატარდება ამ მიმართულებით, იმედია, გადალახავს სიძნელეებს, რომლებიც მუდამ იქმნება სწავლების ჩამოყალიბების მეთოდიკის პროცესში, ხოლო, რაც შეეხება პედაგოგებს, ისინი ხშირად აღმოჩნდებიან ხოლმე, უხეშად რომ ვთქვათ, მსხვერპლის როლში, რომელნიც ზოგჯერ თავსმოხვეული ტრენინგების ხარჯზე დაბნეულნი არიან. ღირებულებები კი, რომელიც მათ გააჩნიათ, ახირებული დებულებების დამკვიდრების მცდელობით არის გამოხატული. ასეთ დროს იკარგება ის თვითმყოფადი კულტურის ელემენტებიც, რომლითაც ხშირად ვამაყობდით კიდეც. ჩვენი ქვეყანა არის დიდი აუდიტორია, რომელიც ბოლო წლებში ხშირად აღმოჩნდა უსასრულო გეგმებისა და ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ. ამას გრძნობს მოსწავლე, ამას გრძნობს სტუდენტი, მშობელი, საზოგადოება. რა მოეთხოვება თანამედროვე პედაგოგს ნებისმიერ სფეროში მისი აქტიური პედაგოგიური მოღვაწეობის პერიოდში? რა კრიტერიუმებით უნდა ისარგებლოს მან, ან როგორ ითანამშრომლოს სახელმწიფო პროგრამებთან, კონცეპტუალურ თუ თანასწორ სტრატეგიაში საერთაშორისო დონის სწავლების პრინციპების გათვალისწინებით?

აქვე მინდა გავიხსენო ცოტა რამ ჩვენი სწავლა-განათლების ცენტრების ისტორიიდან ძველ საქართველოში. 1799 წლის 10 მაისს ბატონიშვილმა ითანებ თავის მამას, გიორგი მეფეს მიართვა მოხსენება („წინადადება“) სახელმწიფოში სხვადასხვა აუცილებელი რეფორმის შესახებ, სადაც აღნიშნულია და გვაუწყებს იმას, რომ: „სამ ადგილს გაიმართოს სკოლა: ტფილისა, გორსა და თელავსა შინა. მიეჩინოთ მუნ მცოდნენი კაცნი, რათა ასწავლიდნენ სამეცნიეროსა სწავლას

და სამხედროსაცა, აგრეთვე ენებსა. ამის მოურნედ იყოს განათლებისა მთავარი და ესე აძლევდეს რიგსა და ჯამაგირთა ოსტატებსა. ამა სასწავლებლებში მიებარებოდნენ თავადაზნაურნი და პირველი მოქალაქეს შვილები. აგრეთვე იყოს ამაზედ შვილნი და მდაბალ ვაჭართა შვილები. აგრეთვე გლეხისაც, ვის როგორად შეესძლოსთ. სასწავლებლებსა მას შინა სწავლობდნენ ქართულსა, სომხურსა, თაორულსა, რუსულსა და, თუ შეიძლება, ბერძნულსა და ლათინურსაც. უკეთესი იქნების, ოსტატები ანუ მასწავლებლნი იყვნენ მეფის ხარჯით, ხოლო მოწაფენი თავით მშობელთ ხარჯითა, ვიდრე შემოსავალთ განვრცობამდე. ესე სახედვე სასულიერო სასწავლებლები იყოს განწესებით, და ამის მეურნეობა აქვნდეს კათალიკოსს სულიერს მთავარსს¹.

ეს ფაქტი მოვიყვანეთ იმისათვის, რომ ზოგჯერ გავიხსენოთ და არა მარტო საკუთარ თავს, სხვებსაც შევახსენოთ, რომ განათლების ცენტრებზე ჩვენში რამდენიმე საუკუნის და უფრო ადრეც ზრუნავდნენ სახელმწიფო მოხელეები და მოღვაწენი, რომელთაც ყოველთვის გული შესტკიოდათ თავისი მამულიშვილებისათვის და ა.შ. ეს მცირე გადახვევა იყო, მაგრამ ჩავთვალოთ შეხსენებად. სხვა ბევრი ისტორიული ფაქტის მოყვანა შორს წავიყვანდა.

ნებისმიერი სიახლე, რომელიც ინერგება ქვეყანაში, აღბათ თხოულობს ჩვენი მხრიდან უფრო მეტ დაკვირვებას და არა გაკვირვებას შემოთავაზებული გეგმებისა და პროექტების მიმართ. ჩვენს ქვეყანას ადრეც და დღესაც მცდელობა ბევრჯერ ჰქონდა და სურვილიც, რათა სწორად წარემართა თავის ქვეყანაში სწავლა-განათლების საქმე, რა თქმა უნდა, ნო-

¹ ხელმ: P2155 „სჯულდება“ იოანე ბაგრატიონისა, გამოცემა ივ. სურგულიძისა, გვ. 27, Проф. А. Цагарели, Сведения 1, С. XXXVIII.

ვატორული შემოთავაზებების გათვალისწინებით. ვინაიდან ყველამ კარგად ვიცით, რაოდენ ღირებულია სიახლე და ამავე დროს რაოდენ დამღუპველია ქვეყნისათვის სრულიად შეუფერებელი შემოთავაზებები ნებისმიერ სფეროში და მით უძეტეს განათლებაში¹.

ჩვენს ქვეყანას თითქმის ფორსმაჟორულ ვითარებაში უხდება ურთულესი საკითხების გადაჭრა, რომლებსაც სხვა ქვეწებმა ათეულობით წლები მოანდომეს. დასაფიქრებელია ის მარათონი, რომელმაც მთლიანად მოიცვა ჩვენი სწავლა-განათლების სისტემა. ამ დროს სრულიად ბუნებრივია, რომ უნდა გადაისინჯოს და განისაზღვროს განათლების ახალი პარადიგმაც, რომელიც მასწავლებლისა და მსმენელის შემოქმედებით თანამშრომლობას ითვალისწინებს, რომელიც დაფუძნებულია, უმთავრესად, ბიბლიურ უნივერსალურ პრინციპებზე – ვინაიდან ადამიანის მარადიული ლტოლვა უკეთესობის-კენ, აუცილებლობის ან უზენაესი სრულყოფილებისაკენ სწრაფვის პრინციპია. აღნიშნული კონცეფცია ემთხვევა კლასიკური განსაზღვრის თვალსაზრისს პიროვნების აღზრდის საქმეში თვითშემეცნება, ადამიანთა ურთიერთობის შემცნება და გარესამყაროს შემცნების მთლიანობა – „სავსე კაცის“ ილიასეული მოდელით. როგორია ამ დროს განათლების უნივერსალური მოდელი, შემოთავასებული სხვადასხვა ევროპული, თუ ამერიკული სწავლების კონცეპტუალური ვარიანტებით?

ჩემი აზრით, შემოთავაზებების ვარიანტთა ნუსხა, ალბათ, უსასრულოა, რომელზეც მუშაობენ სპეციალისტები და პროფესიულ დონეზე ცდილობენ შეიმუშაონ შესაფერისი

¹ ორმა კეცხოველი, „საქართველოში განათლების კულტურის საკითხისათვის“ – სწავლების და აღზრდის აქტუალური პრობლემები, შრ. ქუთაისი, 2013.

პროექტები და გეგმები; მაგრამ არსებობს კიდევ ინტელექტუალური სივრცე, რომელიც მუდმივად არის ინფორმირებული და უფრო მეტიც, დაინტერესებული იმით, რომ უფრო სხარტად, მობილურად და ჩვენი ქვეყნისათვის შესაფერისი კონცეფციით შევქმნათ და განვაგითაროთ სასკოლო და უმაღლესი სასწავლებლისთვის თანამედროვე ნუსხა-პროგრამა. ვინაიდან ჩვენ არ გვაქვს დროის უუფუნება, გასათვალისწინებელია ის იდეათა ბანკიც (იდეათა ბანკი, რომელიც უამრავ ქვეყნაში არსებობს) გამოყენებულ იქნას ჩვენ ქვეყნაშიც და ამაში ჩვენ ცუდს ვერაფერს ვხედავთ, მოვაშოროთ მოკრძალებულობისა და ზედმეტი თავმდაბლობის და სხვისი მსახურების უსასრულო კლიშე, რომელიც მრავალი წლის მანძილზე აფერხებდა ჩვენი აზროვნების სათანადო სიმაღლეზე თავისუფლად განვითარებას.

ამავე დროს მინდა მოვიშველიოთ ისიც, რომ ვინაიდან ადამიანია აზროვნება მეტაფორულია, ენაც მდიდარია მეტაფორებით, რომელიც სხვადასხვა კულტურებში სხვადასხვანაირად აისახება, გვამცნობს ამა თუ იმ ხალხის მიერ სამყაროს და გარემო სინამდვილის აღქმა-შემეცნების პროცესს, რომელშიც მუდამ ჩაქსოვილია როგორც ზოგადი, ისე ეროვნული თვისებები. ამ დროს ჩვენს ვალდებულებად მიგვაჩინია, ყურადღება მივაქციოთ იმას თუ მასწავლებელი ან ლექტორი როგორ დაეხმარება მოსწავლეს, ან სტუდენტს ყველაფერ იმაში, თუ როგორ შეძლებს გადასცეს ყველაფერი რაც ეხლა არის დე-ფაქტო და ამავე დროს ემყარება ქართულ კულტურას, სიღრმისეული სწავლების სეგმენტს; ამავე დროს ვგულისხმობ სწავლებასაც, რომელიც არ არის მხოლოდ ქართული კულტურის მახასიათებელი. მოვიშველიებ კლასიკური ლიტერატურიდან – „ორი ბატონის მსახურებით“ არის წარმოდგენილი სწავლება, რომელიც დღეს ასე გამოიყურება:

მოსწავლეს თუ სტუდენტს უჭირს განსაზღვროს, რომელ კულტურაზე გაამახვილოს ყურადღება, რომელი კულტურა არის მისთვის პრიორიტეტული. აქედან გამომდინარე, უნებლივით გადავედით ინტერკულტურული სწავლების მიმართულებაზე, ბუნებრივია, მეთოდებიც ამგვარად ჟღერს. მაშინ, როდესაც ჩვენს მოსწავლე-ახალგაზრდობას უკიუინებდით, რომ ყველაფერი საუკეთესო ქართული და მხოლოდ ქართულია, დღეს კი ამერიკულია, ან ბოლონიურია და ა.შ. ვფიქრობ, თავისებურად ჩიხში ვართ – ეს რეალობაა; რეალობა, რომელიც გადაწყვეტას მოითხოვს არა მარტო ერთი ადამიანის, მეცნიერის თუ პერსონალისათვის, არამედ ეს არის საკმაოდ კონცეპტუალური, და საკითხის შემუშავების მცდელობა ერთობლივი შემოთავაზებით ცალკეული უმაღლესი სასწავლებლების „გონის ბანკის“ მიერ, რომელიც, ჩემი აზრით, შეიძლება მოგვარდეს პირველ ეტაპზე მაინც; დღეს, ხვალ და საერთოდ, ექსტრემალური გადაწყვეტილებების მიღების დროა¹.

ჩვენ ხშირად მოგვიწოდებენ, რომ დემოკრატია ევროპაშია, ამერიკაში გაფურჩქვნილია და თავისუფალი და თუ ეს ასეა, მაშინ ასეთი სულსწრაფობით რატომ არის მათი დამოკიდებულება ჩვენს მიმართ, თითქმის დაუინებული ფორმით შემოთავაზებული; თუ პირიქით, ხდება, და ჩვენი მოღვაწენი თავის მოწონების მიზნით თავს გვახვევენ ან არქმევენ სახელს სხვათა მიერ შემოთავაზებულ პროექტებს. ასეთი მიღვომებით წლების მანძილზე მივიღეთ საკმაოდ ქაოტური სურათი, რომელიც დღეს დრამად წარმოგვიდგა,

რაში მდგომარეობს ჩვენი როლი? 21-ე საუკუნეა, ჩემი აზრით, ქართული განათლების კულტურა და ისტორია გვაძლების პროცესში, Journal of American Studies, თბ., 2006, გვ. 248-249.

¹ ლ. ჯონაძე, კულტურათა შეპირისპირება კონცეპტუალური სწავლების პროცესში, Journal of American Studies, თბ., 2006, გვ. 248-249.

ლევს იმის საშუალებას, რომ უფრო ჩამოვყალიბდეთ და ბოლოს და ბოლოს წარმოვადგინოთ ისეთი პრინციპით შედგენილი სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამა ან პროგრამები, რომელიც ხელს შეუწყობს რეფორმის შესრულება-განვითარებას და მოისვენებს ერიც და ბერიც.

ჩვენმა სახელმწიფომ უნდა აიღოს ვალდებულება განათლების გარკვეულ დონემდე; ვინაიდან სხვადასხვა ქვეყნა სხვადასხვა დონეს ირჩევს, საკუთარი პოლიტიკის შესაბამისად, ამიტომ უნდა ამაღლდეს სწავლებისა და პედაგოგიკის კვალიფიკაცია, რომელიც ახლო მომავალში სწორი მეთოდიკის შემუშავებით შეიძენს უფრო მაღალ პროფესიულ დონეს, სამწუხაროდ, განათლების მასიბრივ ხასიათს ეწირება აღზრდის მიზანიც და თავად აღზრდის ფენომენიც. მართალია, სწორედ განათლება და სწავლა ავითარებს პიროვნებაში ამათუ იმ საზოგადოებაში არსებობისათვის საჭირო უნარებს, ჩვევებსა და კომპეტენციებს, მაგრამ აღზრდის, პიროვნების ფორმირების პროცესის, მხოლოდ განათლებამდე დაყვანა აკნინებს აღზრდის ფენომენს, მის შინაარსსა და მნიშვნელობას; განათლება და სწავლა აღზრდის მხოლოდ გზას, საშუალებას წარმოადგენს, და მათი გაიგივება მხოლოდ აღზრდასთან დაუშვებელია. ბუნებრივად იბადება აზრი, რომ კაცობრიობა აღამიანში ხედავს როგორც ეპონომიკის შექმნელ რესურსს, თვითგადარჩენის ინსტიქტი კი არ აძლევს მას პიროვნების აღზრდის, მისი სრულყოფის პრობლემებზე ფიქრის საშუალებას. აღზრდის ფენომენი კაცობრიობისათვის ფუფუნებად იქცა და სახელმწიფო სტაბილურობასა და მართვის გარატად, მოქალაქეთა კანონმორჩილებასა და არსებული ვითარების შესაბამისად გაუდერებული ეთიკური ნორმების დაცვას სახავს. თანამედროვე მსოფლიოში ასეთ თემებად მოიაზრება მულტკულტურული განათლება, მშვიდობის განათლება, ეკო-

ლოგიური განათლება, ინკლუზიური განათლება და სხვ. მაშასადამე, კაცობრიობას არ (ან ვერ) აინტერესებს მოქალაქის ზნეობა, რომელიც თავად, საკუთარი იმპერატივით აწესრიგებს საზოგადოების მოთხოვნათა ამ ფენომენს. კაცობრიობა უფრო ზრუნავს მოქალაქეში გარედან შეიტანოს ხედვები ამ ფენომენზე და ეს ხედვები ინსტრუქტაჟის, კანონმორჩილების რანგში აიყვანოს, ვინაიდან, მასობრივი განათლების პირობებში იგი სხვა გზას ვერ ხედავს. არავინ იცის, ასეთი ვითარება, კაცობრიობის მომავალს რას უქადის.

საქართველო, როგორც უძველესი კულტურის მქონე ქვეყნა და მისი სივრცობრივი არეალი, ცხადია, განსაზღვრული იყო მისი მდებარეობით ევროპისა და აზიის მიჯნაზე. აქედან გამომდინარე, აღნიშნული მდგომარეობა კი, ეთნოფსიქლოგიურ კონტექსტში, თავისთავად აყალიბებდა და ავითარებდა იმ ტიპის ცნობიერებას, რომელსაც გარკვეული ეროვნული, ავთენტური კულტურული პროდუქტის შექმნა ვალებოდა. ცნობილია, რომ კულტურის შექმნისა და განვითარების ერთ-ერთ აუცილებელ პირობას, სწავლება და განათლება წარმოადგენს, რაც, თავის მხრივ, გულისხმობის მომავალი თაობისათვის არსებული ცოდნის (კულტურის) გადაცემას და ამ ცოდნის განვითარების უნარების ფორმირებას, სხვაგვარად რომ ვთქვათ, იმგვარი აზროვნების უნარის ჩამოყალიბებას, რომელიც პიროვნების მხრიდან ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში საჭიროების შესაბამის აღეკვატურ მოქმედებას განაპირობებს. მაშასადამე, საქართველოს სახელმწიფოს უძველესი დროიდან პქონდა გარკვეული მიმართულება, კურსი, მომავალი თაობის მომზადების პროცესში, რასაც ამჟამინდელი ტერმინოლოგით შეიძლება განათლების პოლიტიკა ეწოდოს¹.

¹ ქ. ჭკუასელი, ი. ჭკუასელი, პედაგოგიკის საფუძვლები, თბილისი, 2012.

დიმიტრი უზნაძემ მკაფიოდ ჩამოაყალიბა თავისი ხედვა საქართველოს განათლების სისტემის მოწყობის შესახებ. ამ ხედვის თანახმად, ქართველის, როგორც მცირერიცხოვანი ერის გადარჩენისა და განვითარების უმთავრესი პირობა სულიერი ცხოვრების გაფართოებას და გაღრმავებას წარმოადგენს. მოვიტანთ ამონარიდს ამ მოხსენებიდან: „სულიერი კულტურა ერთადერთი გზაა, რომელიც ცხოვრების ყოველმხრივი ეკონომიკის მიზანი და მიმართულებაა. აქედან დასკვნა: ზრუნვა ხალხის სწავლა-განათლებისა და აღზრდის შესახებ ერთადერთი საწინდარია ჩვენი ხალხის ეროვნული ინდივიდუალობის ფარგლებში მისი კულტურული წინსვლისა და წარმატების შესაძლებლობისა... საყოველთაო სავალდებულო და ერთიანი სკოლა – აი ის, რასაც ესწრაფვის და მოითხოვს ჩვენი სინამდვილისა და ჩვენი დროის თავისებურებათანათელი შეგნება“.

როგორც ვხედავთ, უზნაძე, ევროპაში განსწავლილი მეცნიერი, საქართველოს განვითარების მომავალს მხოლოდ საყოველთაო და სავალდებულო განათლებაში ხელავდა, რადგან, მისი აზრით, „მცირერიცხოვანი ერის თვისი სიმცირის საკომპენსაციო უპირატესობა“ მხოლოდ სწავლა-განათლებაში შეიძლება ვეძიოთ¹.

ჩვენი საზოგადოება ყოველთვის წარმოადგენდა არაბალადობრივ და კეთილი ნების გამომხატველ გარემოს. ყოველ შემთხვევაში, სწავლება და სწავლების კულტურის ატმოსფერო, გამორიცხავდა კონფლიქტს საზოგადოებასთან, კონფლიქტს სასწავლო პროგრამებისა და სწავლების პროცესთან; პირიქით, წარმოქმნიდა შესაძლებლობას იმისათვის, რომ ფსიქოლოგიური, პოლიტიკური და სხვა ზეწოლისგან განთავისუფლებული ყოფილიყო. საერთაშორისო კომისია, რომე-

¹ დიმიტრი უზნაძე, პედაგოგიური ობზელებანი, 2005.

ლიც 21-ე საუკუნეში შეიქმნა, თავის უმთავრეს პრინციპად მიიჩნევს სწავლებას, როგორც „ყოფნის კულტურას“¹, რომელიც მთლიანად იზიარებს ჰუმანურობის პრინციპს და მშვიდობიან თანაარსებობას მსოფლიო კულტურებთან.

დამოწმებანი:

1. ხელმ: P2155 „სჯულდება“ იოანე ბაგრატიონისა, გამოცემა ივ. სურგულაძისა, გვ. 27, Проф. А. Цагарели, Сведения 1, С. XXXVIII.
2. ირმა კეცხოველი, „საქართველოში განათლების კულტურის საკითხისათვის“ – სწავლების და აღზრდის აქტუალური პრობლემები, შრ. ქუთაისი, 2013.
3. ლ. ჯოხაძე, კულტურათა შეპირისპირება კონცეპტუალური სწავლების პროცესში, Journal of American Studies, თბ., 2006, გვ. 248-249.
4. ქ. ჭკუასელი, ი. ჭკუასელი, პედაგოგიკის საფუძვლები, თბილისი, 2012.
5. დიმიტრი უზნაძე, პედაგოგიური თხზულებანი, 2005.
6. Веттии АюРеврон «ТЕРПИМОСТ: На грани мира» Из ЮНЕСКО, 1997.

¹ Веттии АюРеврон «ТЕРПИМОСТ: На грани мира» Из ЮНЕСКО, 1997.

Irma Ketskhoveli

Georgian Technical University

**EDUCATION CULTURE IN GEORGIAN AND XXI
CENTURY
RESUME**

The process of Modern education is in difficult condition. Our aim in testimate not only values but at the same time existing problems of our country. Our object is to get specific offers for future study in primary schools and in higher education institutions. Education is always priority for Georgian culture. Due to present condition there are lots of complicated in our education system. As for us intellectual potential of our society should take paced in implementing consecutive reform to educational system of Georgia.

Any novelty that is being implemented in the country probably asks more attention from us and not surprising plans and projects. Our country has had efforts many times in the past and today to properly run education in the country and of course with providing for innovations. For all of us know how valuable is the novelty and at the same time how harmful is completely inappropriate offers for the country in any field and especially in education.

ელდარ მამისთვალიშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

სულხან-საბა ორბელიანის დიპლომატიური მისია რომელი

1714 წლის 17 ივლისს კარდინალი დე ლა ტრემუიაი საფრანგეთის მეფე ლუი XIV-ს ატყობინებდა, რომ სულხან-საბა რომელი ჩავიდა და პირველი, ვისაც ის ეწვია, იყო წერილის ავტორი – კარდინალი დე ლა ტრემუიაი. პაპმა პროპაგანდა ფიდეს კონგრეგაციის პრეფექტს კარდინალ საკრიპინტის და კარდინალ ალბანის დაავალა ელჩის მიღება, დაბინავება და პატივისცემით მოჰყოობა. 16 ივლისს სულხან-საბა პაპთან იყო აუდიენციაზე. მასთან ერთად იმყოფებოდა და თარჯიმნობდა ფრანგი მისიონერი და დიპლომატი ქან რიშარი. რიშარი აწესრიგებდა იმ მოხსენებით ბარათებს, რომლებიც უნდა წარედგინა პაპისთვის. პაპი იმ ქაღალდებს განსახილველად გადასცემდა პროპაგანდა ფიდეს კონგრეგაციას ან პაპის მიერ დანიშნულ განსაკუთრებულ კონგრეგაციას. კარდინალი დე ლა ტრემუიაის ვარაუდით, დასახელებული კონგრეგაციები სწრაფად განიხილავდნენ საბუთებს და სულხან-საბას მისცემდნენ საშუალებას მალე დაბრუნებულიყო თავის სამშობლოში, რაც ვატიკანს თავიდან ააცილებდა იმ ხარჯებს, რომლებიც უნდა გაეწიათ ქართველი ელჩის შესანახად¹.

აუდიენციის დროს პაპს აღუთქვამს სულხან-საბასთვის, რომ არ გაატანს არც ერთ იმ მისიონერს, რომლებსაც სურთ

¹ საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707 წლის მარტი – 1714 წლის დეკემბერი), I / შესავალი. თარგმანი და განმარტებები დაურთო ილია ტაბაღუამ, თბ., 1975, გვ. 314.

იყვნენ დამოუკიდებელნი და არ ცნონ სხვა იურისდიქცია. ისიც არის აღნიშნული, რომ თავადი სულხან-საბა სადარბაზოდ დადის კარდინალებთან¹. არის ერთი ანონიმური წერილი (1714 წ. ივნისი) რომელშიც გადმოცემულია სულხან-საბას საფრანგეთსა და რომში მოგზაურობის მიზნებსა და მათი განხორციელების გზების შესახებ. არ ჩანს, ვინ არის წერილის აღრესატი.

წერილში აღნიშნულია, რომ სულხან-საბამ საფრანგეთის მეფეს სთხოვა ორი წყალობა: მეფე ვახტანგისათვის დახმარება და 12 მისიონერის გაგზავნა სამეგრელოსა და აფხაზეთში. ლუი XIV ელჩს დაჰპირდა, რომ ის თანახმა იყო მისი ორივე მოთხოვნა დაეკმაყოფილებინა, მაგრამ საჭიროდ მიაჩნდა ყოველივე ამის შესახებ მის უწმინდესობა პაპს აცნობოს. მეფე სიამოვნებით გააკეთებს ყველაფერს, რასაც პაპი მიუთითებს.

პაპმა იმ ორ თხოვნაში, რომლებიც ქართველ ელჩს ჰქონდა, დაინახა ორი ერთმანეთისგან განსხვავებული რამ: ჯერ ერთი, საქართველოს მეფე ვახტანგის განთავისუფლება მთლიანად დამოკიდებულია ირანის შაპის კარზე. საფრანგეთის მეფემ მათთან სავაჭრო ურთიერთობის მოგვარებით შეიძლება მოაგვაროს ვახტანგის საკითხი. ამ საქმის წარმატებით დასრულებაში გარკვეული მნიშვნელობა ექნება ორანის ელჩის ჩასვლას საფრანგეთში და მასთან მოლაპარაკებას. რაც შეეხება 12 მისიონერის გაგზავნას და მათ რჩენას, მეფებმ და პაპმა ჩათვალეს, რომ ამას არავითარი საერთო არ ჰქონდა არც ირანის ელჩთან და არც ქართლის მეფის განთავისუფლებასთან: „1. იმიტომ, რომ სამეგრელოს არავითარი კავშირი არა აქვს ქართლთან, რომელსაც ჰყავს თავისი ცალკე მთავარი და რომელიც დამოკიდებულია სულთანზე. 2.

¹ იქვე.

სამეცნიეროს პატრიარქს, რომელმაც ითხოვა ეს მისიონერები, თვითონ სურს მხარი დაუჭიროს მათ, დაკავშირებულია რა ამ მხარის მთავართან და დიდებულებთან; და, რომ ამრიგად საჭიროა განხილული იქნას ეს საქმე, როგორც სრულიად განსაკუთრებული და განსხვავებული...⁴. წერილის ავტორი დეპონშარტრენს გაუფრთხილებია, რომ სასურველი იყო ირანის ელჩის არ სცოდნოდა სულხან-საბას საფრანგეთში ჩასვლის და საქართველოში კათოლიკური მისიის გაგზავნის შესახებ. „ეს ღირსეული მოხუცი დიდად დამწუხრდება, როცა შეიტყობს, რომ მას არამც თუ უგზავნიან მისიონერებს და როგორც ყოველიდან ჩანს მათ სრულიად არ გაგზავნიან, თუ მათი გაგზავნა აღმოჩნდა ელჩის ჩამოსვლაზე და მისი ელჩობის წარმატებაზე დამოკიდებული“.

შარლ რიშარი ზემოთმოხმობილ არგუმენტებს მისიონერების დასავლეთ საქართველოში გაგზავნასთან დკავშირებით აზუსტებს 1714 წლის 21 ოქტომბერს თავის ერთ-ერთ წერილში: „თითქვს სრულიად არა აუცილებელი ამისათვის დაკავლოთ ირანის ელჩის ჩამოსვლას, რაც ძლიერ გაურკვეველია, რადგან ამ საქმეს, როგორც მას იცნობს მისი უწმინდესობა და წმინდა კონვრეგაცია, არა აქვს არავიარი კავშირი საქართველოს მეფის გამოხსნასთან, რომელიც იმყოფება სეფარდითან. რამდენადაც სამეცნიელოს ყავს თავისი საკუთარი მთავარი, რომელიც დამოკიდებულია სულთანზე და რამდენადაც, პატრიარქს, რომელიც [ღებულობს] ამ მისიონერებს და დაკავშირებულია ამ მხარის ყველა დიდებულთან, სურს თვითონ შეუწყოს მათ ხელი, აღუთქვა რა მათ მისცეს საცხოვრებელი ბინა, ასევე მნიშვნელოვანია, რათა სეფიანების ელჩმა და იმათ, ვინც მის ამაღლაშია, არაფერი არ იცოდნენ ამ ბერის (სულხან-საბა ორბელიანი – ე.გ.) საფრანგეთში ჩამოსვლ-

¹ იქვე.

ის შესახებ. ასევე, მაშასადამე, სამუგრულოში მისიონერების მისიის შესახებ⁴.

წერილის ავტორს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ ის-ეთს არაფერს დაპირდნენ სულხან-საბას, რაც არ შესრულდება. ამ უკანასკნელს არ უნდა ჰქონებოდა საშუალება ყველგან მიეწერა, რომ მისმა უდიდებულესობამ მეფე ლუიმ მას აღუთქვა ყველაფერი, რაც სოხოვა². კიდევ ერთხელ ჩანს, საფრანგეთის და არა მხოლოდ მისი ხელისუფლება, რამდენად ითვალისწინებდა ირანისა და ოსმალეთის ინტერესებს და პრეტეზიებს და ფრთხილად ეკიდებოდა საქართველოს-თან ურთიერთობის დამყარების საკითხს.

1714 წლის 11 ან 17³ აგვისტოს პაპმა სულხან-საბას გაუმართა გამოსამშვიდობელი აუდიენცია. პაპმა ელჩს მიართვა სხვადასხვა საჩუქრები და გამოთქვა სურვილი, რომ საქა-

¹ მ. ქიქოძე ეკამათებოდა ვ. გაბაშვილს, რომელსაც მიაჩნდა, რომ ირანის „მოპამედ რეზა ხანის ელჩობამაც შეუშალა ხელი საბას დიპლო-მატიური მისიის წარმოებას საფრანგეთში“: (გაბაშვილი ვ., ქართული დი-პლომატის ისტორიიდან (საქართველო და ანტიოქიალური კოალიციები XVI-XVII სს.) // მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისა-თვის, ნაკვ. 31, თბ., 1954, გვ. 74). მისი აზრით, დასახელებულ ირანის ელჩობას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა ქართლის სამეფოსა და საფრანგეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებაში. (ქიქოძე მ., ვახტანგ VI-ის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა (პოლიტიკურ-ეკონო-მიკური და სოციალურ-კულტურული საქმიანობა), თბ., 1988, გვ. 28).

² იქვე, გვ. 305.

³ 11 აგვისტოა უან რიშარისათვის რომიდან გაგზავნილ წერილში. (საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707 წლის მარტი – 1714 წლის დეკემბერი), I 34). თვით საბა კი ამ მნიშვ-ნელოვან მომენტს თავისი მოგზაურობაში ათარიღებს 17 აგვისტოთი. (იქვე). საბა საგმაოდ დაწვრილებით გადმოგვცემს პაპთან ვიზიტის დეტა-ლებს. ვუიქრობ, გასაზარებელია საბას მიერ შემოთავაზებული 17 აგვის-ტო. იქვე.

როველოს მეფის წარმომადგენელი რომიდან გაემგზავროს ყოველმხრივ კმაყოფილი და შესაბამისი ბრძანებაც გასცა. „რაც გინდა მთხოვეო. მადლი გარდავინადე, – წერს საბა, – ჩემი სათხოვარი ყველა უთხოვრად აღმისრულდა-მეთქი. მომეხვია, მაკოცა. უეხს კაკოცა. გზის საქმეები დაგვარიგა. გამომისტუმრა. მიბანა: ასე მაღე არ გაგიშვებდო, მავრამ ვახტანგ მეფის უკითხავად წამოსულხარო, რომ დამეჭირე, იმას გულს დააკლდებაო, და წადი მისი საქმე მოიჭირვე”¹.

ზემოთ დამოწმებული 1714 წლის 17 აგვისტოს წერილიდან ვიგებთ, რომ სულხან-საბას, რომიდან საქართველოში გამგზავრების წინ, წერილის ავტორისთვის უთხოვია მიეწერა რიშარისათვის, რომ მან ყველაფერი იღონოს, რათა დაუყოვნებლივ გაემგზავროს ირანში და დააჩქაროს მისთვის ელჩისათვის საინტერესო საქმეები, ასევე დაუყოვნებლივ გამოაგზავნონ მასთან, რომში მისიონერები, რათა თვითონ ჩაიყვანოს ისინი საქართველოში².

თავდაპირველი გეგმის მიხედვით, სულხან-საბა პაპთან მოლაპარაკების შემდეგ საფრანგეთში უნდა დაბრუნებულიყო. მაგრამ გეგმა შეიცვალა, რადგან პარიზში ირანის ელჩის ელოდნენ და შეიძლებოდა სულხან-საბას და ირანის ელჩის ერთსა და იმავე დროს პარიზში ყოფნას საფრანგეთის მთავრობა უხერხულ მდგომარეობაში ჩაეყენებინა. ისიც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თუ არა შაპის ელჩის ჩასვლა საფრანგეთში, საფიქრალია, სულხან-საბას ელჩობა ვახტანგ მეფისა და ქართლის სამეფოსათვის რამე დადებითი შედეგით დასრულებულიყო.

¹ სულხან-საბა ორბელიანი. თხზულებანი, I, თბ., 1958, გვ. 203.

² საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707 წლის მარტი – 1714 წლის დეკემბერი), I, გვ. 341.

Eldar Mamistvalishvili
Gori State Teaching University
SULKHAN-SABA ORBELIANI IN ROME
RESUME

In July 1714, Sulkhan-Saba Orbeliani, the Ambassador of the Kartli King Vakhtang VI, upon the advice of the French King Louis XIV was sent to Rome to visit the Pope in order to negotiate together with the Pope the events, which they were going to hold, in order to free King Vakhtang VI from the captivity of the Shah of Iran.

By the order of the Pope, Sulkhan-Saba was accepted well in Rome. On July 16, he saw the Pope and reported the words of the French King.

It is revealed that the Georgian Ambassador had the same favour to ask both the Pope and the French King: to help King Vakhtang VI and take missionaries to Georgia.

In August 1714, Sulkhan-Saba left Rome. According to the original plan, after the negotiations with the Pope, Sulkhan-Saba should have returned to France. But the plan had changed, as the Ambassador of Iran was expected to arrive in France, and the French government could have appeared in an awkward position to see both Sulkhan-Saba and the Ambassador of Iran at one and the same time in France. We could also question the positive result of the Ambassador Sulkhan-Saba Orbeliani with reference to King Vakhtang VI and the Kingdom of Kartli-Kakheti if it were not for the arrival of the Ambassador of Shah in France.

თამარ მესხი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

ანტიოქიის პატრიარქი მაკარიოს III (1647-1672) ვითარცა ვაზტანგ V-ის ელჩი მოსკოვში

მაკარიოს III (ერისკაცობაში იოანე ალ-ზაიმი) დაიბადა ალექსანდრიული ლევიტელთა ოჯახში. იყო დაქორწინებული. შეეძინა შვილი პავლე. ანტიოქიის პატრიარქმა ექვთიმე III-მ (1634-1647) იოანე ალ-ზაიმი ჯერ იპოდიაკონად, შემდეგ დიაკონად და პრესბიტერად აკურთხა; ცოლის გარდაცვალების შემდეგ (1635 წ.) კი – ალექსოს მიტროპოლიტად, სახელით „მელეტიოს“.

პატრიარქმა ექვთიმემ მიტროპოლიტი მელეტიოსი მაშინვე კათოლიკოსად დანიშნა. ამასთან, ის სხვა ეპისკოპოსთა შორის გამოარჩია და მას ამიდისა (დიარბეკირი) და ანტიოქიის ექსარხოსის ტიტულიც უბოძა, იმ უფლებით, რომ ნებართვის გარეშე ეწირა ანტიოქიაში. 1647 წელს გარდაცვალა ანტიოქიის პატრიარქი ექვთიმე III. მისივე ანდერძით, 1647 წლის დეკემბერში საპატრიარქო ტახტზე აღსაყდრებულ იქნა ალექსოს მიტროპოლიტი მელეტიოსი, სახელით „მაკარიოს III“.

ანტიოქიის ეკლესიის ტახტზე ახლადაღსაყდრებულ მაკარიოს III-ს გასასტუმრებელი დახვდა დიდი ვალი,¹ რომ-

¹ მაკარიოსის ანტიოქიის საპატრიარქო ტახტზე 6000 გროში ვალი დახვდა. ამას დაემატა პატრიარქ ექვთიმეს დაკრძალვის ხარჯი. 4000 გროში გადაუხადა დამასკოს ფაშას, აღიარების სიგელის მისაღებად. ამას

ლის პროცენტებიც დღითიდღე იზრდებოდა. სახსრების მოსაბიებლად მაკარიოსმა ჯერ თავის ეპარქიებში დაიწყო მოგზაურობა, 1652 წელს კი შორეულ ქვეყნებს მიაშურა. 1654 წელს რუსეთს ჩააღწია. მისი იქ ყოფნა (1654-1656) დაემთხვა რუსეთის პატრიარქის, ნიკონის, მიერ საეკლესიო რეფორმების გატარების პერიოდს. მაკარიოს III ამ რეფორმების არა მხოლოდ თვითმხილველი, არამედ მონაწილეც გახდა. რუსეთის მეფემ, ალექსი მიხეილის ძემ, გაწეული სამსახური სათანადოდ დაუფასა მაკარიოსს და 1656 წელს დიდად და-საჩუქრებული გაისტუმრა. დამასკოში დაბრუნებულმა მაკარიოსმა გადაიხადა საპატრიარქოს ვალი და ყველა ის გადასახადიც, რაც ოსმალეთის სახელმწიფოს მიმართ ემართა.

1664 წლის აგვისტოს თვეში მაკარიოს III და მისი ვაჟი, არქიდიაკონი პავლე,¹ თბილისში ჩამოვიდნენ. იმავე წლის შემოდგომიდან ისინი დასავლეთ საქართველოში, წალენჯიხის მონასტერში დაბინავდნენ, რასაც მოწმობს მაკარიოსის მიერ არაბულ ენაზე დაწერილი თხზულება, რომლის პი-

დაემატა პროცენტებიც და ვალმა 13 000 გროშს მიაღწია. მაკარიოსი იძულებული გახდა, მევალებისათვის გირაოდ მიეცა ოთხი ძველი მიტრა, შესამოსელი და საეკლესიო ჭურჭელი, არхиdiaconon Павел Алепский, История Антиохийских Патриархов, იხ.: Путешествие Антиохийского патриарха Макария в Россию в половине XVII века, описанное его сыном, архидиаконом Павлом Алепским, Москва 1900, вып. 5 (прилож. I), с.196.

¹ მაკარიოს III-ს მოგზაურობებში ყოველთვის თან ახლდა მისი ვაჟი პავლე, რომელიც ხშირად პავლე ალექსოელად მოიხსენიება. მაკარიოსმა პავლე თავად აკურთხა ჯერ იძოდიაკონად (1641), შემდეგ კი – არქიდიაკონად (1648). მაკარიოსის მოგზაურობები პავლე არქიდიაკონმა აღწერა.

რობითი სათაურიცაა „ცნობები საქართველოს შესახებ“¹. მაკარიოს აღუწერია აგრეთვე 1665 წლის 29 მარტს საქართველოში მომხდარი მიწისძვრა.² სამწუხაროდ, ეს თხზულება ქართული ისტორიოგრაფიისათვის ცნობილი არ არის.

დასავლეთ საქართველოში მყოფი მაკარიოსი რუსეთის მეფემ, ალექსი მიხეილის ძემ, მოსკოვში მიიწვია, პატრიარქ ნიკონის გასასამართლებლად.³ ამით დაინტერესდა ქართლის

¹ მაკარი ანტიოქიელი, ცნობები საქართველოს შესახებ, არაბულიდან თარგმნა თ. მარგველაშვილმა, კრ. „არმაღანი“ (აღმოსავლური მწერლობის ნიმუშები), თბ., 1982, 88-122.

² Χρυσοστόμου Παπαδοπούλου, Ιστορία τῆς Ἐκκλησίας ሄντιοχείας, Θεσ/νίκη 2010, 1026.

³ მაკარიოსის მოსკოვში მიწვევის მიზეზი ის იყო, რომ მეფესა და პატრიარქ ნიკონს შორის ურთიერთობა უკიდურესად გამწვავდა. მეფემ ნიკონის გადაყენება განიზრახა, მაგრამ გავლენანი საეკლესიო წრეების მხრიდან დღი წინააღმდეგობას წააწყდა. მათი მტკიცებით, რუსეთის პატრიარქის გასამართლება მხოლოდ აღმოსავლეთის უძველესი ეკლესიების: კონსტანტინეპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიისა და იერუსალიმის პატრიარქებს შეეძლო. ამიტომ ალექსი მიხეილის ძე იძულებული გახდა მათვის მიემართა. მსოფლიო პატრიარქმა სასწრაფოდ მოიწვია ადგილობრივ ძლვდელმთაგართა კრება. კრებას ესწრებოდა კონსტანტინეპოლიში მყოფი იერუსალიმის პატრიარქი ნექტარიოსიც. კრების დადგენილების ტექსტები ხელმისაწერად გადაეგზავნათ ალექსანდრიის პატრიარქ პაისიოს და ანტიოქიის პატრიარქ მაკარიოსს. თუმცა, დოკუმენტი, რომელსაც ხელს აწერდა ოთხივე პატრიარქი, ნიკონის მომხრეთა დასაძლევად საკმარისი არ აღმოჩნდა. საჭირო გახდა მოსკოვში ჩაეყვანოთ ოვითონ პატრიარქები. ქართული და რუსული სამეცნიერო ლიტერატურის თანახმად, გართულებული საერთაშორისო ვითარების გამო, კონსტანტინეპოლისა და იერუსალიმის პატრიარქებმა მოსკოვში წასვლა ვერ შეძლეს (ნ. ასათიანი, მასალები XVII ს-ის საქართველოს ისტორიისათვის, თბ., 1973, 14). ბერძნული ლიტერატურის თანახმად კი, კონსტანტინეპოლისა და იერუსალიმის პატრიარქებმა მოსკოვში წასვლას თავი აარიდეს (Χρυσοστόμου Παπαδοπούλου, Ιστορία τῆς Ἐκκλησίας Ιεροσολύμων, Αθήνα,

მეფე ვახტანგ V (შაპ-ნავაზი). მან თბილისში შეაყოვნა რუსეთიდან გამოგზავნილი შიკრიკი (მელეტიოსი, ეროვნებით ბერძენი) და მაკარიოსის თბილისში ჩამოყვანა თავად იკისრა. მაკარიოსის მოწვევის წერილი გაუგზავნა აგრეთვე ქართლის კათოლიკოსმა ლომენტი III-მ (1660-1675). მგვლევართა აზრით, ვახტანგ V-ს სურდა, მაკარიოს III-ის საშუალებით, რუსეთთან ურთიერთობის დამყარება.

1665 წლის ნოემბერში მაკარიოსი და პავლე თბილისში ჩამოვიდნენ, მაგრამ მაკარიოსმა მოსკოვში გამგზავრებაზე უარი განაცხადა. მიზეზად ასახელებდა იმ გარემოებას, რომ მას შეგროვილი ჰქონდა შესაწირავი და არ შეეძლო მისი ვინმეს-თვის ანტიოქიაში გატანება. დიდი ყოფილის შემდეგ, მაკარიოსი შეთავაზებას მაინც დათანხმდა. იმავე წლის დეკემბრის თვეში მაკარიოს III და პავლე ალექსოლი, თანმხლებ პირებ-თან ერთად, კახეთში გადავიდნენ და იქიდან, თუშეთის გავლით, თერგში ჩავიდნენ, მაგრამ ზამთრის უგზოობის გამო უკან დაბრუნდნენ. 1666 წლის აპრილის ბოლოს მაკარიოს III, ოცდაათკაციანი ამაღლით, ისევ გაემგზავრა მოსკოვს, შემახას გავლით.¹

1666 წლის 2 ნოემბერს მაკარიოსი მოსკოვში ჩავიდა. 19 ნოემბერს მოსკოვში გაიხსნა საეკლესიო კრება, რომელ-მაც მოსკოვის პატრიარქი ნიკონი პატრიარქობიდან გადააყენა და ბელოზორის მონასტერში წარგზავნა უბრალო ბერად. მაკარიოსი და მისი თანმხლები პირები მოსკოვში 1668 წლის ივნისამდე დარჩნენ. უკან დაბრუნება მაკარიოსმა ისევ საქარ-

1910, 585-591). საბოლოოდ, მოსკოვში გაემგზავრნენ ალექსანდრიის პატრიარქი პაისიოსი, ანტიოქიის პატრიარქი მაკარიოს III და სინას მთის მთავარებისკობოსი ანანია.

¹ ნ. ასათიანი, მასალები XVII საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის, თბ., 1973, 10.

თველოს გავლით გადაწყვიტა. ამრიგად, 1669 წლის დასაწყისში მაკარიონი საქართველოში მეორედ ჩამოვიდა. ერთი თვის შემდეგ, 1669 წლის თებერვლის ბოლოს ან მარტის დასაწყისში, აქ გარდაიცვალა მისი შვილი, არქიდიაკონი პავლე¹ მაკარიონი საქართველოში დარჩა იმავე წლის ზაფხულის მიწურულამდე, შემდეგ კი ანტიოქიაში გაემგზავრა. 1672 წლის 12 ივნისს მაკარიონი გარდაიცვალა დამასკოში.

ძნელად თუ იაოვით XVII საუკუნის საქართველოს ისტორიისადმი მიძღვნილ გამოკვლევას, რომელშიც ყურადღება არ იყოს გამახვილებული მაკარიონ III-ის საქართველოში მოგზაურობების მიზანსა და ქართლის მეფის მიერ დაკისრებულ მისიაზე. მკვლევრები ერთსულოვნები არიან იმ საკითხში, რომ მაკარიონ III და პავლე აღეპოველი საქართველოში ფინანსური დახმარების მიღების მიზნით ჩამოვიდნენ. რაც შეეხება იმ საკითხს, თუ როგორ შეასრულა მაკარიონ III-გართლის მეფის მიერ დაკისრებული მისია მოსკოვში, განსხვავებული თვალსაზრისები გამოითქვა:

ერთ-ერთი თვალსაზრისის თანახმად, მაკარიონ III-გრუსეთის ხელმწიფეს გადასცა ვახტანგ V-ის თხოვნა, მაგრამ ამას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. რუსეთს იმ დროსა და იმ პირობებში არც შეეძლო და არც სურდა, აქტიურად ჩარევა საქართველოს საქმეებში, ვინაოდან გაცილებით დიდმნიშვნელოვანი საკითხები ჰქონდა გადასაჭრელი, ვიდრე

¹ ანტიოქიის პატრიარქის ათანასე III-ის (1686-1694, 1720-1724) თანახმად, პავლეს გარდაცვალების მიზეზი გახდა დამველებული წამლის მიღება, Αθανασίου Γ' ონთიოქეίას Պაτριარქου, Ιστορία των Πατριαρχών ონτιοχείας, «Bisarica Orthodoxa Romana», Bucuresti, 1930, 157-158. Χρυσοστόμου Παπαδοπούλου, Ιστορία της Εκκλησίας ონτιοχείας, 2010, 1024.

საქართველოს საკითხი იყო. რუსეთის წინაშე იდგა სამი ძირითადი პრობლემა. გადაუწყვეტელი უკრაინისა და ბელორუსის მიწების შემოერთების საკითხი. კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ბალტის ზღვის საკითხს და თურქეთთან და ყირიმთან ბრძოლის აუცილებლობას.¹

ეს თვალსაზრისი ეჭვებეშ დააყენა თამარ ტივაძის მიერ მოპოვებულმა რამდენიმე საინტერესო დოკუმენტმა, რომლებიც მოსკოვის უძველესი აქტების ცენტრალური სახელმწიფო არქივის № 110-ე ფონდშია დაცული. დოკუმენტები ეხება 1666 წელს, მაკარიოს III-სთან ერთად, საქართველოდან რუსეთში ქართველი აზნაურის, მათეს, გამგზავრებას და მის შემდგომ ბედ-იღბალს.²

როგორც თ. ტივაძე გადმოგვცემს, რუსეთში ნაპოვნი საბუთების მიხედვით, მათე თითქოს სამეგრელოს მთავრის ლევან II დადიანის კანონიერი მემკვიდრე იყო. ლევან დადიანის გარდაცვალების შემდეგ, იგი სამეგრელოდან გამოუშევებიათ და თავშესაფარი უპოვია თავის მამიდასთან – ქართლის დედოფალ მარიამთან. როდესაც ეს ამბავი გაუგია რუსეთიდან წარმოგზავნილ შიკრიქს, მელეტიონს, წინადადება მიუცია მათესთვის, მასთან ერთად წასულიყო მოსკოვში და რუსეთის მეფისთვის დახმარება ეთხოვა, სამეგრელოს მთავრის ტახტის დასაკავებლად. ამით დაინტერესებულა მარიამ დედოფალი, რომელსაც მელეტიონსისთვის ფიცით ჩაუბარებია თავისი „მმისწული“. მათესთვის კი რუსეთის მეფისთვის გადასაცემი

¹ დ. კაჭარავა, ვახტანგ V-ის საგარეო პოლიტიკის საკითხისათვის, კრ. ქართული სამეფო სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, I, თბ., 1970, 135.

² თ. ტივაძე, ერთი ეპიზოდი XVII საუკუნის 60-იანი წლების რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, კრ. ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, I, თბ., 1970, 98-122.

ბეჭდით დამოწმებული წერილი და ძვირფასი საჩუქარი გაუტანებია.

მაკარიოს III და მისი ამალა 1666 წლის 21 ივნისს ასტრახანში ჩავიდნენ. ადგილობრივმა ხელისუფლებამ ისინი დღი პატივით მიიღო, მაგრამ ასტრახანში მყოფმა ქართველებმა უარყვეს მათეს უფლისწულობა, რის გამოც მას არავითარი პატივი არ მიაგეს. მდგომარეობა არც მოსკოვში ჩასვლის შემდეგ შეიცვალა. მეფეს ქართული ენის მცოდნე თარჯიმნის უყოლობა მოუმიზეზებია და სამეგრელოს ტახტის მაძიებელი აუდიენციაზე არ მიუღია. თუმცა, საკვების გამოყვის დროს მათე სხვა აზნაურებისათვის გაუთანაბრებია.

მოსკოვის არქივში შემონახული ცნობების თანახმად, 1667 წლის აპრილში მათე და მისი მსახური ციმბირში გადაასახლეს და ზნამენსკის მამათა მონასტერში გამოკეტეს, სადაც, მისივე თქმით, 11 წლის განმავლობაში ყოველ დღე ხუთი კაცი დარაჯობდა. დოკუმენტებში საუბარია აგრეთვე იმ გაჭირვებაზე (შიმშილი, სიღარიბე, უსამართლობა), რაც მან და მისმა მსახურმა გადაიტანეს. რა ჰქონდა მათეს ბრალდებად წაყნებული, საბუთებიდან არ ჩანს. თავად მათე მეფის სახელზე გაგზავნილ წერილებში თავის გაუბედურებას აბრალებს ერეკლე ბატონიშვილს, მაკარიოს III-ს და პავლე ალექსონს. მიზეზად ასახელებს იმ გარემოებას, რომ ზემოაღნიშნულმა პირებმა გაიგეს, რომ მას თან ჰქონდა მარიამ დედოფლის მიერ რუსეთის მეფისთვის გადასაცემი საჩუქრები. ერეკლე ბატონიშვილმა მაკარიოსი და მისი ვაჟი ამ საჩუქრების დასაუფლებლად წააქეზა. მათ კი სამეგრელოს ტახტის მაძიებელი მეფესთან დააბეზღუს და ციმბირში გადაასახლებინეს.

გადასახლებაში მყოფი მათე განუწყვეტლივ წერდა წერილებს რუსეთის მეფეს და შეწყალებას სთხოვდა, მაგრამ

პასუხი არ ჩანდა. ამასობაში მოსკოვის სამეფო ტახტზე ახალი მეფე, თევდორე ალექსის ძე, ავიდა. მთავრობამ მათეს საქმის ხელახალი გამოძიება დაიწყო. 1678 წლის 16 ივნისს მათე მოსკოვში ჩაიყვანეს და გამოძიების დასრულებამდე სტრელეცთა პრიკაზში გაამწესეს. გარეგნული ხნის შემდეგ მთავრობამ შესაძლებლად სცნო მათეს სამშობლოში დაბრუნება. 1679 წლის ნოემბერში მათე, თავისი მხლებლებით (მასთან ერთად გადასახლებული მსახურით, ნაყიდი ყალმუხი ბიჭით და მოსკოვში მიკედლებული, ტყვეობიდან გამოქცეული მეგრელით) საქართველოს კენ გამოემგზავრა. იმავე წლის 17 დეკემბერს მათემ და მისმა მხლებლებმა ასტრახანს მიაღწიეს, მაგრამ მათემ სამშობლოში დაბრუნება მაინც ვერ შეძლო. ის ასტრახანში დაკავეს და ტობოლსკში გადაასახლეს. ისევ დაიწყო ძიება მისი ვინაობის დასადგენად. ბოლოს მაინც სიკვდილით დაუსჯიათ. დასჯის მიზეზი და წელი ჯერ-ჯერობით უცნობია.¹

თ. ტივაძე შეეცადა დაედგინა, მართლა იყო თუ არა მათე ლევან II დადიანის მემკვიდრე, მაგრამ ამის დამამტკიცებელი საბუთები ვერ მოიპოვა. გამოთქვა თვალსაზრისი, რომ მათე ან დადიანის უკანონო შვილი იყო, ან თვითმარქვია. მაგრამ არც ერთ შემთხვევაში მას არ შეეძლო მომხრეების გარეშე, დამოუკიდებლად ემოქმედა. მისიერ აზრით, მათე, დასავლეთ საქართველოში დაწყებული შინააშლილობის გამო, ქართლში ღვთისმოსავ მარიამ დედოფლთან შეფარებული პირი იყო. თ. ტივაძის აზრით, შესაძლოა, მარიამ დედოფლი მართლაც დაეხმარა მათეს რუსეთში წასვლაში, მაგრამ ეს დახმარება მხოლოდ და მხოლოდ მისი მაკარიოსის ამალაში ჩარიცხვისათვის რეკომენდაციის გაწევით უნდა შემოფარგლულიყო, რადგან მკვლევარს წარმოუდგენლად მიაჩნია, რომ

¹ თ. ტივაძე, ერთი ეპიზოდი..., 98-111.

მარიამ დედოფალს, შაპნავაზის დახმარებითა და ირანის შაპის დასტურით სამეგრელოს მთავრად დასმული საკუთარი ძმისწულის, ოსების ვაჟის – ლევან III-ის საწინააღმდეგოდ მათესთვის ხელი შეეწყო.¹ ამასთან, მოსკოვის არქივში დაცული დოკუმენტების შესწავლის შედეგად თ. ტივაძე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მათეს მიერ რუსეთის სამეფო კარისთვის მიწოდებული ცნობები საქართველოს ისტორიის შესახებ, სინამდვილეს შეესატყვისება და ქართული და უცხოური წყაროებით დასტურდება. რაც შეეხება ცნობებს, რომლებიც თავად მათეს ეხება (მარიამ დედოფლის მიერ რუსეთის მეფესთან წერილისა და საჩუქრის გაგზავნა, თამასუქების გატანება, ერეკლე ბატონიშვილის მიერ ამ ნივთების წართმევა, ან ის, რომ მათე ლევანის მემკვიდრე იყო და ა.შ.), სანამ დამატებითი მასალა არ აღმოჩნდება, სანდოდ ვერ იქნება მიჩნეული.²

მიუხედავად ასეთი დასკვნისა, თ. ტივაძე იმასაც აღნიშნავს, რომ არ არის გამორიცხული, ერეკლე ბატონიშვილს მართლაც მიუძღვდეს გარკვეული წვლილი მათეს გადასახლებაში, რადგან სწორედ ერეკლე ბატონიშვილმა გადასახლებინა 1670-1671 წლებში იმერეთის მეფის ბაგრატის ელჩი, იმ ბრალდებით, რომ ბაგრატის წარგზავნილი არ იყო.³

თ. ტივაძის მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტებსა და მათეს ბედ-იღბალზე საგანგებო ყურადღება გააძახვილა ნოდარ ასათიანმა. მისი აზრით, ერეკლე ეცდებოდა ხელი შეეშალა ქართლის სამეფო კარის მოსკოვთან დაკავშირების საქმისათვის და, მისი გავლენით, მაკარიოსმა და პავლე ალექსანდრე

¹ თ. ტივაძე, ერთი ეპიზოდი..., 112-122.

² თ. ტივაძე, ერთი ეპიზოდი..., 117.

³ თ. ტივაძე, ერთი ეპიზოდი XVII საუკუნის 60-იანი წლების..., 106.

შეიძლება ისეთი გულმოდვინება აღარ გამოიჩინეს ამ საქმის განხორციელებაში, რის იმედიც ქართლის პოლიტიკოსებს ჰქონდათ. მისივე აზრით, ამ საკითხის გარკვევა ახალი მასალის გამოვლინებას და სპეციალურ კვლევა-ძიებას მოითხოვს.¹

კვლევისას აღმოჩნდა, რომ ასეთი მასალა ჯერ კიდევ XIX საუკუნის 90-იან წლების მიწურულს გამოქვეყნებულა, მაგრამ იგი ქართველი მკვლევრების ყურადღების მიღმა დარჩა. ეს არის პავლე ალექოლის მიერ არაბულ ენაზე დაწერილი თხზულება, რომელშიც აღწერილია მაკარიოს ანტიოქიელის რუსეთში მოგზაურობა 1654-1656 წლებში. თხზულების რუსული თარგმანი 1896-1900 წლებში ხუთ წიგნად დაიბეჭდა მოსკოვში.²

ქართული სამეცნიერო ლიტერატურიდან ჩანს, რომ ხსენებული თხზულების არსებობა ქართველ მკვლევართათვის ცნობილია. ერთხმად აღნიშნავენ, რომ იგი უმნიშვნელოვანესი წყაროა XVII საუკუნის 50-იანი წლების რუსეთის, უკრაინის, აგრეთვე მოლდავეთ-ვლახეთის ისტორიის შესასწავლად; რომ, მამა-შვილი უშუალო მომსწრენი იყვნენ ისეთი დიდმნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენებისა, როგორიცაა: უკრაინელი ხალხის გამათავისუფლებელი მოძრაობა ბოგდან ხმელინიცის მეთაურობით, უკრაინის შეერთება რუსეთთან, რუსეთ-პოლონეთის ომი (1654-1656), ნიკონის საეკლესიო რეფორმა და ა.შ.³ სამწუხაროდ, მკვლევრები იმას არ აღნიშ-

¹ ნ. ასათიანი, მასალები XVII საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის, თბ., 1973, 62.

² Путешествие Антиохийского патриарха Макария в Россию в половине XVII века, описанное его сыном, архидиаконом Павлом Алепским, Москва, 1896- 1900.

³ ნ. ასათიანი, მასალები XVII საუკუნის..., 6-7, 10.

ნავენ, რომ ეს თხზულება საინტერესო ცნობებს შეიცავს XVII საუკუნის საქართველოზეც, რაც იმას გვაფიქრებინებს, რომ ისინი პავლე ალექოელის ამ თხზულების შესახებ რომელიდაც გამოკვლევის მიზედვით გვაწვდიან.

გარდა იმისა, რომ დასახელებულ თხზულებაში საქართველო არაერთხელ არის ნახსენები, ეძღვნება საგანგებო თავებიც: 1. „ცნობები საქართველოს, თეიმურაზ მეფისა და ელენე დედოფლის შესახებ“ (III გამოშვების VIII წიგნის VI თავი), 2. „დოდმარხვის დმრთისმსახურებანი. დარიბული საკვები. კრება მოსკოვში. პატრიარქ მაკარიოსის დმრთისმსახურება ქართველ დედოფლად ელენესთან“ (IX წიგნის XII თავი) და ა.შ.

პავლე ალექოელის რუსეთში მოგზაურობის წიგნის უგულვებელყოფა, იმ მარტივი მიზეზით აიხსნება, რომ მაკარიოს III და პავლე ალექოელი, ვიდრე რუსეთს ეწვეოდნენ (1654-1656), საქართველოში ნამყოფი არ იყვნენ. ამიტომ მკვლევრებმა ვერ წარმოიდგინეს, რომ ეს თხზულება ინფორმაციას საქართველოს შესახებაც შეიცავდა.

პავლე ალექოელის რუსეთში მოგზაურობის წიგნის მიხედვით, ერეკლე ბატონიშვილმა და მაკარიოს III-მ ერთმანეთი ჯერ კიდევ 1655 წლის გაზაფხულზე გაიცნეს მოსკოვში და ძალიან დაახლოვდნენ. პავლე შთამბეჭდავად აღწერს ელენე დედოფალთან მათ სტუმრობას: „ჩვენ მათთან დავდიოდით საჩუქრებით, რომლებსაც ჩვენი მუსუვე პატრიარქი გვატანდა. დედოფლალი ტახტრევანზე იჯდა; მისი კაბა, ავეჯი, ყველა მისი ძალიაში და ნოხიც კი, ქვეითების ჩვეულებისამებრ, შავი ფერის იყო. შვილი, სამეფო სამოსში გამოწყობილი, მის გვერდით იჯდა. ჩვენ რომ შევედით, წარმზავნის პატივისცემის ნიშნად, თავსაბურავი მოიხადა. შორიახლო იდვნენ ქალები, მსახურები და თარჯიმნები. ჩვენი მუსუვე პატრიარქის სა-

ხელს რომ ვახსენებდით, ისინი თაყვანისცემის ნიშნად თავს ძირაძე ხრისტენ, ჩვენ კი მათ თავს ვუხრიდით. მათ ხშირად ვხტუმრობდით იმის გამო, რომ ჩვენი მეუფე პატრიარქი ძალიან უყვარდათ, რადგან მის შესახებ იმ დროიდან სმენოდათ, როდესაც ის ჯერ კადევ აღეპოში იმყოფებოდა...“¹. „ყოველ ჯერზე, როდესაც კი იქ მივიღოდით, — განაგრძობს პავლე აღეპოელი, — მისი შვილი, რუსი დიდებულების ჩვეულებისამებრ, პირადად, საკუთარი ხელით მოგვართმევდა სასმელს სირჩით, რომელსაც ორივე ხელით მიართმევენ ხოლმე; თან თავს გვიხრიდა, რაზედაც ჩვენც ისევე ვპასუხობდით“².

პავლე აღეპოელი გვაუწყებს, რომ რუსეთის მეფეს ერეკლე ბატონიშვილი ძალიან უყვარდა. იქვე თავის მისადმი დამოკიდებულებასაც გვიმზელს: „და, როგორ შეიძლება ის არ გიყვარდეს? მისი თვალების ბრწყინვალება, რაც ჩვენ საკუთარი თვალით ვნახეთ, მის მეფეურ წარმომავლობას ამჟღავნება“².

შეგახსენებთ, ერეკლე ბატონიშვილი რუსეთს რომ გაემგზავრა (1652) ათი წლის იყო, მაკარიოს III-მ კი ის 1655 წლის გაზაფხულზე გაიცნო. ანუ, პავლე აღეპოელის თხზულებაში საუბარია 12-13 წლის ყმაწვილზე. როდესაც მაკარიოს III საქართველოდან რუსეთს გაემგზავრა და მოსკოვში მეორედ ჩავიდა (1666 წლის 2 ნოემბერს) ერეკლე ბატონიშვილი უკვე 22 წლის ჭაბუკი იყო, რომელიც თავგამოდებით იბრძოდა კახეთის ტახტის დასაპყრობად. მიზნის მისაღწევად, ცხადია, მაკარიოსისა და არქიდიაკონ პავლეს კეთილგანწყობასაც გამოიყენებდა.

¹ Путешествие Антиохийского патриарха Макария в Россию..., вып. III (Москва 1898), кн. VIII, гл. VI, с. 86- 87.

² Путешествие Антиохийского патриарха Макария в Россию, вып. III, кн. VIII, гл. VI, с. 87.

როგორც ჩანს, ერეკლე ბატონიშვილმა ადრევე გაიგო მაკარიოს III-ის რუსეთში მოსალოდნელი გამგზავრების ამბავიც და მარშრუტიც. ამაში წარმოუდგენელი არაფერია, რადგან პავლე ალექსოვილი რუსეთში მოგზაურობის წიგნში გვიამბობს, რომ მოსკოვში მათი პირველად ყოფნის დროს (1655 წ.) ისინი მოინახულა თეიმურაზ I-ის მიერ რუსეთში წარგზავნილმა ბერძნება ბერძა, რომელსაც შეუჩერებლი მგზავრობით, მანძილი საქართველოდან მოსკოვმდე ოთხმოც დღეში დაუფარავს.¹ როგორც უკვე ვთქვით, მაკარიოს III საქართველოდან მოსკოვისკენ გამგზავრებას ორჯერ შეეცადა. პირველი გამგზავრებისას (1665 წლის დეკემბერში), ზამთრის უგზობის გამო, თერგიდან უკან დაბრუნდა. ოთხი თვით თბილისში შეყოვნდა (1666 წლის აპრილის ბოლომდე), შემდეგ კი, შემახას გავლით, ისევ გაემგზავრა. ეს დრო სავსებით საკმარისი იქნებოდა სამისოდ, რომ ერეკლე ბატონიშვილის ერთგულ პირებს მისთვის მაკარიოსის მოსკოვში მოსალოდნელი გამგზავრების შესახებ შეეტყობინებინათ.

ასე იყო თუ ისე, 1666 წლის 21 ივნისს მაკარიოს III ასტრახანში ჩავიდა. პატრიარქის ოცდაათკაციან ამალაში, ჩვენ მიერ ხსენებული აზნაურ მათესა და მისი მსახურის გარდა, იმყოფებოდა ერეკლე ბატონიშვილთან მიმავალი თავადი ივანე, თავისი მსახურით. მკვლევრები (თ. ჭივაძე, ნ. ასათიანი) ამ ფაქტს აღნიშნავენ, მაგრამ არანაირ ინტერპრეტაციას არ გვთავაზობენ. ჩვენი აზრით, ერეკლე ბატონიშვილთან მიმავალი კაცი პატრიარქის ამალაში ვახტანგ V-ის თანხმობის გარეშე ვერ მოხვდებოდა. მეტიც; ვფიქრობთ, ივანეს საპატრიარქო ამალაში ჩართვა ვახტანგ V-ის სურვილით უნდა მომხდარიყო და, აი, რატომ:

¹ Путешествие Антиохийского патриарха Макария в Россию, вып. III, кн. VIII, гл. VI, с. 81.

მოგეხსენებათ, ერეკლე ბატონიშვილმა ვახტანგ V-ის წინააღმდეგ ორჯერ გაილაშქრა (1663 და 1664), კახეთის ტახტის დასაპყრობად, მაგრამ ორივეჯერ დამარცხდა.¹ ამას წინ უსწრებდა ვახტანგ V-ის იმერეთში ლაშქრობა, რის შედეგადც თავისი ვაჟი არჩილი 1661 წელს იმერეთის ტახტზე აიყვანა. სწორედ ამ ლაშქრობის დროს ვახტანგ V-მ სკანდის ციხეც აიღო და ერეკლე ბატონიშვილის პაპა, თეიმურაზ I, ხელში ჩაუვარდა. თეიმურაზისავე თხოვნით, ვახტანგმა ის ისპაპანს წარგზავნა. შახმა თეიმურაზი დიდი პატივით მიიღო, მაგრამ შემდეგ მაჰმადიანობის მიღება მოსთხოვა. თეიმურაზისაგან უარის მიღების შემდეგ, განრისხებულმა შახმა თეიმურაზს ბორკილები დაადო და გამოკეტა ასტრაბადის ციხეში, სადაც 1663 წელს, 74 წლის ასაკში, დაასრულა თავისი ტრაგიკული ცხოვრება.

ასეთი ურთიერთობების ფონზე, შეუძლებელია ვახტანგ V-ს იმაზე არ ეფიქრა, რომ მოსკოვში მყოფი ერეკლე ბატონიშვილი მისი ჩანაფიქრის განხორციელებას ხელს შეუშლიდა. ამიტომ, ვფიქრობთ, სწორედ ვახტანგმა ჩართო ანტიოქი-

¹ პირველი ლაშქრობა მოხდა 1661 წ., მეორე – 1664 წლის გაზაფხულზე. მეორე ლაშქრობის დროს დამარცხებული ერეკლე თოროდას ციხეში შეიკეტა. ვახტანგმა ციხეს შემოარტყა აღყა, რომელიც შვიდ თვეს გაგრძელდა. ციხეში იმყოფებოდა ერეკლეს დედა, ელენე დედოფალიც. მისი თხოვნით ვახტანგმა ერეკლეს გზა გაუსწნა და დედა-შვილი რუსეთში დაბრუნდა. ამ ლაშქრობების შესახებ გვამბობს როგორც ფარსადან გორგივანიძის ისტორია (გვ. 65), ასევე ვახტუშტი ბატონიშვილი (ქართლის ცხ., ტ. IV, თბ., 1973, 450-451). მართალია, მათ მონათხრობში მცირეოდები განსხვავდება დასტურდება, მაგრამ არა არსებითი მნიშვნელობისა. ამ შეტაკების შესახებ საუბრობენ აგრეთვე რუსი ელჩები: თ. მილოსლავსკი და თ. ნარბეკოვი, რომლებიც იმ დროს ირანში იმყოფებოდნენ, იხ.: თ. ტივაძე, XVII საუკუნის საქართველოს პოლიტიკური ისტორიიდან, მაცნე, ისტ. არქ. ეთნ. და ხელ. ისტ. სერია, № 4, 1971, 51.

ის პატრიარქის ამაღლაში თავადი ივანე,¹ რათა ერეკლე ბატონიშვილთან მოლაპარაკებები ეწარმოებინა და შემოერიგებინა.

იმის მიხედვით, თუ როგორ წარიმართა ისტორიული მოვლენები, ნათელია, რომ ერეკლემ ვახტანგ V-ის შეთავაზება არ მიიღო. ამიტომ, არ არის გამორიცხული, რომ აზნაურ მათესთვის პრობლემები მართლაც შეექმნა. მართალია, მაშინ, როდესაც მაკარიოს III-მ და მისმა ამაღლამ ასტრახანს ჩააღწია (1666 წლის 21 ივნისს), ვახტანგ V-სთან ბრძოლა-წაგებული ერეკლე უკვე მოსკოვში იმყოფებოდა,² მაგრამ ერთგული კაცების მეშვეობით ამას მაინც მოახერხებდა. დრამატული ეპიზოდები კი, როგორც მათეს წერილებიდან ჩანს, სწორედ მოსკოვში განვითარდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მათე თავისი გაუბედურების მიზეზად ასახელებს ერეკლე ბატონიშვილისა და მაკარიოსის მიერ იმ ძვირფასი საჩუქრების დაუფლების სურვილს, რომელიც მას მარიამ დედოფალმა რუსეთის მეფესთან გაატანა. რამდენად შეესაბამება სინამდვილეს მათეს მონათხრობი, ძნელი სათქმელია. თუმცა, ის კი ცხადია, რომ ერეკლე ბატონიშვილს უფრო დიდი მიზნები ამოძრავებდა – ვახტანგ V-ის ძალაუფლების დასუსტება და კახეთის ტახტის დაუფლება. რაც შეეხება მაკარიოსს, ამ მხრივ მისი დადანაშაულება უფრო აღვილია, რადგან მისი ვერცხლისმოყარეობის შესახებ არაერთი ცნობა არსებობს, მაგრამ ვინაიდან ამ კონკრეტული შემთხვევის დამადასტურებელი სხვა საბუთი არ

¹ არ არის გამორიცხული, ეს ის თავადი ივანე (ივანე გრიგოლის ძე) იყოს, რომელიც 1649 წელს თემურაზ I-მა რუსეთში ელჩად წარგზავნა, იხ.: ე. მამისთვალიშვილი, საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, II, თბ., 2011, 403-417.

² გ. პაიჭაძე, მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (1660-1685 წწ.), საისტორიო მოაშე, №22-23, 1970 160.

გაგვაჩნია, ამ საკითხზე საუბარს აღარ გავაგრძელებთ. შევე-ცდებით ის გავარკვიოთ, მაკარიოსს III-ისა და ერეკლე ბა-ტონიშვილის ძველი ნაცნობობა ხომ არ გახდა მიზეზი აზ-ნაურ მათეს გაწირვისა და ვახტანგ V-ის დავალების უგულ-ვებელყოფისა.

სამწუხაროდ, მაკარიოსი არც ერთგულებით გამოირჩეო-და. ამის დასტურია თუნდაც ის ფაქტი, რომ რუსეთის პატ-რიარქი ნიკონი, რომელსაც რეფორმების გატარებაში დაეხმა-რა, იმავე რეფორმების გამო, თვითონ გაასამართლა და ბე-ლაზორის მონასტერში უბრალო ბერად გაამწესა. ორივე შემ-თხევები მაკარიოს III რუსეთის მეფისგან დიდად დასაჩუქ-რებული დაბრუნდა.

ისიც ცნობილია, რომ მაკარიოს III-მ ჯერ კიდევ იმ დღოიდან, როდესაც ის ალეპოს მიტროპოლიტი იყო, მჭიდ-რო კავშირი დამყარა კათოლიკებთან. 1664 წელს პაპს მისწერა წერილი, რომლითაც მისი უპირატესობა აღიარა. ერთ-ერთ ადრინდელ წერილში კი რომის ეკლესიას „უგულა სხვა ეკლესიის თავი და მოძღვარი“ უწოდა. რომისთვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. მაკარიოსისაგან კათოლიკური მრწა-მისი აღიარება მოითხოვეს. ათენის მთავარებისკოპოსი ქრი-ზოსტომოსი გვაუწყებს, რომ ერთ-ერთი არასარწმუნო წყარ-ოს მიხედვით, მაკარიოსმა 1664 წლის ზაფხულს მრწამისი რომში ორ ეპისკოპოსს გაატანა, თავად კი საქართველოში გაემგზავრა.¹

ქრიზოსტომოსის მიერ დასახელებული „არასარწმუნო წყარო“ არც მთლად არასარწმუნო აღმოჩნდა. ამის დასტურ-ია ის, რომ დასაგლეთ საქართველოში ყოფნის დროს მაკარი-ოსის ქადაგებებით აღფრთოვანებულან იქ მყოფი კაპუცინები.

¹ Χρυσοστόμου Παπαδιοπούλου, Ιστορία τῆς Ἐκκλησίας ሸντιοχείας, 1030.

მაკარიოსის საქართველოში ყოფნის ამბავი რომის პაპისთვის უცნობებიათ. კაპუცინები აქებდნენ ანტიოქიის პატრიარქის საქართველოში მოღვაწეობას და იმასაც კი აღნიშნავდნენ, რომ თუ მან ერთ-ორ გზის ასე იქადაგა ჩვენს ეკლესიაში, მაშინ ყველა ქართველი ჩვენ შემოგვიერთდებაო.¹

მაკარიოსს რომ კათოლიკებთან განსაკუთრებული ურ-თიერთობა ჰქონდა, ამას მისი შვილი – პავლე ალექსოლიც აღნიშნავს: „ფრანგთა ქვეყნებში უყვართ ანტიოქიის პატრი-არქი და მისი დიდი ნძობა აქვთ, არა ისე, როგორც სხვების მიმართ; მის შეძლებ პატივს სცემენ აღუქსანდრიის პატრი-არქს; მაგრამ კონსტანტინეპოლისა და ოერუსალიმის პატრია-რქები სტულთ; პირველი – მისი ამჟამნდელი ურთიერთობის, მეორე კი – ოერუსალიმში ფრანგებთან დაპირისპირების გა-მო“².

ერთი სიტყვით, მაკარიოსი მართლმადიდებლებთან მარ-თლმადიდებელი იყო, კათოლიკებთან კი – კათოლიკე. მიუ-ხედავად ამისა, როგორც მთავარებისკოპოსი ქრიზოსტომოსი აღნიშნავს, „მაკარიოსს კათოლიკების მიმართ გარკვეული სიმბათიები მართლაც ჰქონდა, მაგრამ ბოლომდე მაინც მართ-ლმადიდებელ პატრიარქად დარჩა“. თუმცა, მისივე თქმით, მა-კარიოსის დიპლომატიამ მაინც უარყოფითი შედეგი გამოიიღო. „მართალია, მას სირიის მართლმადიდებელი სამწერლი რომის ეკლესიისათვის არ შეუერთებია, მაგრამ, სამწუხაროდ, ნიადა-

¹ ბ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტვ., 1902, 167.

² Путешествие Антиохийского патриарха Макария в Россию, Вып. II, (Москва 1897), с. 67.

ვი შეამზადა უნიის განსავითარებლად და დასაძკვიდრუბ-ლად“¹.

მაკარიოს III-ის მოღვაწეობის გაცნობის შემდეგ, ვფიქ-რობთ, ნათელი ხდება, რომ, თუ ვახტანგ V-ის პოლიტიკა მაკარიოსისათვის უფრო ხელსაყრელი აღმოჩნდებოდა, ურეკ-ლე ბატონიშვილთან ძველ ნაცნობობას ანგარიშს აღარ გაუ-წევდა.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: მაინც რა ამოძრავებდა მაკარიოს III-ს საქართველოს მიმართ, რა იყო მისი მიზანი?

ამ კითხვის პასუხი ნათლად ჩანს მაკარიოს III-ის თხზულებაში „ცნობები საქართველოს შესახებ“. თხზულება მცირე ზომისაა (სულ 34 გვერდია), შედგება სამი ნაწილი-საგან. პირველ ნაწილში მოთხოვობილი და ახსნილია „ქართ-ველი ხალხის მესის სჯულზე მოქცევის მიზეზი, როგორ იყვნენ ძველად ქართველები ანტიოქიის ჰატრიარქის მორჩი-ლებაში, მერე კი როგორ განუწესეს მათ კათოლიკოსი და დამოუკიდებელი გახდნენ“. ამას მოჰყვება: „ცნობები ქართვე-ლთა ქვეყნის შესახებ, მათი კარვი და ცუდი თვისებები“. ბო-ლოს კი საუბარია „ქართველთა კეთილ და სანაქებო თვისე-ბებზე, საამაყო საქმეებზე“².

ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს იმის განხილვა და ჩვე-ნება, თუ რამდენად შეესატყვისება მაკარიოსის მონათხობი ისტორიულ სინამდვილეს.³ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ

¹ Χρυσοστόμου Παπαδοπούλου, Ἰστορία τῆς Ἐκκλησίας Ἀντιοχείας, 1030.

² მაკარი ანტიოქიელი, ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 106-122.

³ ამ საკითხთან დაკავშირებით, საინტერესო მოსაზრებები აქვს გა-მოთქმული ე. მამისთვალიშვილს. იხ.: ე. მამისთვალიშვილი, საქართველოს

მაკარიოსი ძალ-ღონეს არ იშურებს იმის წარმოსაჩენად, რომ საქართველოს ეკლესია თდითგანვე ანტიოქიის საპატრიარქოზე იყო დამოკიდებული. გვიამბობს თუ როგორ მოგვნათლა ანტიოქიის პატრიარქმა ევსტატემ, როგორ აგვიშენა ეკლესიები, განგვიწესა ეპისკოპოსები, მღვდლები და დიაკონები. ქართველთა მეფემ კი ანტიოქიის პატრიარქს უწყალობა ათასი სოფელი, რომელთა ყოველწლიური შემოსავალი მირონს მოხმარდებოდა. ქართველები ანტიოქიის პატრიარქს ყოველწელს ათას დინარს უგზავნიდნენ. მისივე თქმით, „ახე გავრძელდა უკვიბტის მეფის აღ-ჰაერმ აღ-ლაპის ზეობამდე“ [996-1022]. ისტორიული მოვლენების გამო, ანტიოქიის პატრიარქმა იოანემ გადაწყვიტა წსენებული ათასი დინარი იერუსალიმის პატრიარქ ორესთოსს აეღო, „თუმცადა განგებდლობისა და განკარგულების უფლება [საქართველოს ეკლესიაზე] ანტიოქიის პატრიარქს რჩებოდა“!¹ მისივე მონათხრობის თანახმად, მას შემდეგ, რაც ანტიოქიაში მუსლიმები გაბატონდნენ, ქართველები გასაჭირში ჩაცვივდნენ, რადგან მათ ეპისკოპოსის ხელდასხმის უფლება არ ჰქონდათ. ანტიოქიის პატრიარქი იძულებული გახდა, მოეწვია კრება და ქართველებისათვის ეკურთხებინა კათოლიკოსი, რომელიც შეძლებდა ეპისკოპოსთა ხელდასხმას, მღვდელმსახურებისას კი ანტიოქიის პატრიარქს მოხსენიებდა. კრებამ ისიც დაადგინა, რომ „ყოველ წელს ანტიოქიის პატრიარქი ქართველებს გამოუვარენდა უკარქოსს მღვდელმთავართა და არქონგზთა დანაშაულებრივ საქმიანობათა გამოსაძიებლად და სოვლები-

და ანტიოქიის ეკლესიების ურთიერთობის ისტორიიდან, „ისტორიანი“, სამეცნიერო კრებული მიძღვნილი როინ მეტრეველის დაბადების 70 წლისთვისადმი, გამომც. „არტანუჯი“, თბ., 2009, 251-272.

¹ მაკარი ანტიოქიელი, ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 89.

დან შეწირულობის ასაკრეფად“.¹ მოგვიანებით ანტიოქიის პატრიარქმა ქართველებს მირონის კურთხევის ნებაც მისცა.¹

ამის შემდეგ მაკარიოსი გვიამბობს იმას, რაც, მისივე თქმით, საქუთარი თვალით უნახავს დასავლეთ საქართველოში. თხზულების ეს ნაწილი ოომ სინამდვილეს არ შეესაბამება და წინააღმდეგობებითაა სავსე, ამას ჯერ კიდევ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები კირიონ II² და კალისტრატე (ცინცაძე)³ აღნიშნავდნენ. ამიტომ, ამ შემთხვევაშიც, ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ იმ ცნობებზე, რომლებსაც საკვლევი საკითხისათვის აქვს მნიშვნელობა.

¹ იქვე, გვ. 90.

² კირიონ II თეოდორიდანისადმი გაგზავნილ წერილში წერს: „„ანტიოქიის პატრიარქის მიზაურობიდან სჩანს, რომ ის თამამად მოქმედებდა, თუმცა დასაქერებელი არ არის დასავლეთ საქართველოში და შენ კი არ ძირისულე ეს პირდაპირ გეთქვა. აღმოსავლეთ საქართველოში იყო ამ დროს კათოლიკოსად დომენტი II (1660-1676 წელი) – ბიბაშვილი ვახტანგ მეტეთისა, კაცი ღირსი და განწავლული, რომელიც არ აპარატულდა აღმოსავლეთ საქართველოში ცრუპანტელა მაკრის“ (წერილი დაცულია პ. კეპელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში) იხ.: ს. ვარდოსანიძე, ქართველი მღვდელმთავრები (XX-XXI საუკუნეები), თბ., 2010, 69.

³ „პატრიარქ მაკარის ეს ნაწარმოები ფრიად საინტერესოა და, თუ ვნებავთ, მნიშვნელოვნებიც კა ყველასთვის, ვისაც სურს XVII სა-საქართველოს ისტორიას გაუცნოს, თუმცა ამ მიზნებისთვის ფრთხილად უნდა გამოიყენოს, ვინათანა აյ არის ცნობები, რომლებიც: ა) ერთსა და იმავე საგანზე სრულიად ურთიერთსასინაღმდევო აზრს მოიცავს, ბ) სავსებით მცდარია, გ) პირდაპირ შეუსაბამოა, დ) მიზნად ისახავს აჩვენოს, რომ პატრიარქი მაკარიოსი განსაკუთრებული, გასოცარი, გამოჩენილი პიროვნებაა, აღემატება ყველას და ყველაფერს“, კალისტრატე ცინცაძე (თხზულებანი ორ წიგნად), წ. II, ისტორიული ცნობა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ (პასუხი ბ-ნ ვ. სამუილოვს), იხ.: მწიგნობრობა ქართული, 10, თბ., 2010, 43-44.

მაკარიოს III-ის თხზულების თანახმად, დასავლეთ საქართველოში გაბატონებული იყო უმეცრება, რის გამოც დარღვეული იყო საეკლესიო წესები: „მევრულთა ქვეყნის უამრავი დაიკვანი და ძღვდელი მოუნათლავია. მე ბევრი მათგანი მოვნათლუ. უმეტესობა ისე ბერდება, რომ ხეირიანად პირვერის გადაწერაც კი არ იცის. ეს იმიტომ ხდება, რომ ქართველი ეპისკოპოსები სრულებით არ მოძღვრავენ მათ“¹.

მაკარიოსი არ ინდობს არც აღმოსავლეთის მართლმადიდებელი ეკლესიების (კონსტანტინეპოლის, ალექსანდრიის, იერუსალიმის) მესვეურებს და წერს: „ასევე იქცვიან სხვა ქვეყნებიდან მოსული ჰატრიარქები, ძღვდელმთავრები და ძღვდლები. ისინი არაფერს ასწავლიან მრევლს და არ განუმარტავენ რწმენის საკითხებს; მხოლოდ ფულს ავროვებენ და ისე გაუცლებიან, რომ სასარგებლოს არაფერს ეუბნებიან“².

თვალი მაკარიოსი კი, როგორც აღნიშნავს, ძალ-ღონეს არ იშურებდა დარღვეული საეკლესიო წესებისა და ქრისტიანული ეთიკის ნორმების დასაცავად, გზასაცდენილი მრევლის ჭეშმარიტ გზაზე დასაყენებლად. სჯიდა მღვდლებსა და ეპისკოპოსებს. თხზულებიდან ისიც ჩანს, რომ მაკარიოსი მხოლოდ საეკლესიო საკითხებით არ იფარგლებოდა. ერთოდა დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ და საშინაო საქმეებში. იბრძოდა ტყვეთა სყიდვის წინააღმდეგ. ცდილობდა შეერიგებინა ლევან დადიანი და ბაგრატ იმერეთა მეფე და ა.შ. ყურადღებას იაყრობს ის გარემოება, რომ მაკარიოსი თავის ქმედებებში ძალიან თავისუფალია. მეტიც; თავს უფლებას აძ-

¹ მაკარი ანტიოქიელი, ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 103.

² მიქვე, გვ. 103.

ლევს და დასავლეთ საქართველოს პატრიარქს, სვიმონს, ბრიყვად მოიხსენიებს.¹

ერთი სიტყვით, წარმოდგენილი თხზულება ნათელი დასტურია იმისა, რომ მაკარიოს III დასავლეთ საქართველოს თავის კანონიერ სამღვაწეო სივრცედ მიიჩნევდა.

მაკარიოს III-ის საქართველოში მოღვაწეობის შეფასებისას, მიხეილ თამარაშვილი სრულიად მართებულად წერს: „მაკარიოსი თავის „ისტორიაში“ აზვიადებს იმ დარღვევებს და უწესრიგობას, რაც უნახავს და აულავძავს საქართველოში, შესაძლოა იმ მიზნით, რომ ამით საკუთარი მოციქულობის მნიშვნელობა დიდად წარმოსახოს“.² მ. თამარაშვილი იქვე ამის მიზეზსაც განგვიმარტავს: „ანტიოქიის პატრიარქები, როგორც ჩანს, ძლიერ ნანობდნენ, რომ საქართველოს ეკლესია გაუსხლდათ იურისდიქციის ფარგლებიდან და ყოველნაირად ცდილობდნენ, ისევ თავიანთი გავლენის ქვეშ მოექციათ..“.³ მისივე თქმით, „მაკარიოსი შეუცადა განვერცო თავისი იურისდიქცია მთელ საქართველოზე ცდუნებათა დათრ-

¹ „...ეს კვლავერი ქართველთა ბრიტი კათალიკონის რჩევით მოხდა“, მაკარი ანტიოქიელი, ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 118.

² მ. თამარაშვილი, ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბ., 1995, გვ. 455, შენ.3.

³ ანტიოქიის პატრიარქები, იმისათვის რომ თავიანთი განზრახვა აესრულებინათ, მოხერხებულად იყენებდნენ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებსა და შინაურ ამღილობას. ანტიოქიის პატრიარქებმა რამდენჯერმე შეიძლეს სამცხის მხარის ეპისკოპოსი კათოლიკოსისაგან გაენაპირებინათ. ამის დასტურია პატრიარქ დოროთეოს II-ის ან III-ის (1484-1523) მიერ არაბულად დაწერილი სიგელი, რომლითაც სამცხის მთავარ მზეჭაბუქს მიმართავს (ი. ჟორდანია, ქრონიკები, ტ. II, 316-317). პატრიარქი ხოტბას ასხამს მთავარსა და სამთავროს ყველა ეპისკოპოსს, საქართველოს მეფეს კი ორგულსა და უღვთოს უწოდებს, რათა მეფესა და მთავარს შორის არსებული უთანხმოება გააღრმავოს, მ. თამარაშვილი, ქართული ეკლესია დასაბამიდან..., გვ. 454.

გუნვისა და მთელი ხალხისა და სამღვდელოების დამოძღვრის გზით“¹

კვლევისას გაირკვა, რომ ამ მიზნის მისაღწევად მაკარიოს III-ს გაცილებით ადრე უღვაწია, ვიდრე საქართველოში ჩამოვიდოდა. პავლე ალექსანდრის რუსეთში მოგზაურობის წიგნს, დამატების სახით, ერთვის „ანტიოქიის პატრიარქების ისტორია“, რომელშიც მოკლედ მოგვითხრობს თითოეული პატრიარქის ღვაწლსა და დამსახურებას ანტიოქიის ეკლესიის წინაშე. მაკარიოს III-სთან დაკავშირებით, პავლე ალექსანდრი გვამცნობს, რომ 1641 წელს, როდესაც მაკარიოს III ჯერ კიდევ ალექსოს მიტროპოლიტი იყო და ცნობილი იყო სახელით მელეტიოსი, სამოც თანმხელებ ჰირთან ერთად, რომელთა შორისაც მღვდლები და დიაკვნებიც იყვნენ, იერუსალიმს გაემგზავრა, წმინდა ადგილების მოსალოცად. შეხვდა იერუსალიმის პატრიარქ თეოფანე III-ს (1608-1644 წწ.). მასთან ერთად იდლესასწაულა აღდგომა, რომელიც 10 აპრილს დაემთხვა. იქვე გაიცნო დასავლეთ საქართველოს კათოლიკოსი მაქსიმე (მაჭუტაძე; 1640-1657). განრღვეულის კვირიაკეს კი პატრიარქი თეოფანე, მელეტიოსი და კათოლიკოსი მაქსიმე ერთად გაემგზავრნენ დამასკოში. თეოფანეს კურთხევით, ალექსოს მიტროპოლიტმა სამარიტელის დღესასწაულზე მწუხრის ლოცვა აღავლინა და იქადაგა. იმავე დღეს იპოდიაკონად აკურთხა თავისი შვილი – პავლე. დამასკოში მღვდელმათავრები ერთმანეთს გამოემშვიდობნენ – მაქსიმე საქართველოში გამოემგზავრა, მელეტიოსი კი ალექსოში დაბრუნდა. როდესაც ალექსოს მიტროპოლიტი მელეტიოსი, მაკარიოს III-ის სახელით, ანტიოქიის საპატრიარქო ტახტზე ავიდა (1647 წლის დეკემბერი), თავის მოწაფეს, იეროდიაკონ გაბრიელს, რომელიც წარმოშობით ალექსოლი იყო, ხე-

¹ მ. თამარაშვილი, ქართული ეკლესია, გვ. 455.

ლი დაასხა მღვდლად და არქიმანდრიტის ხარისხშიც აღა-
მაღლა. ორ თვეში კი, 1648 წლის თებერვალში, თანმხლებ
პირებთან ერთად, საქართველოში წარმოგზავნა ექსარხოსად.¹

ამრიგად, მაკარიოს III-ს საქართველოში თავისი ექსარ-
ხოსი და რამდენიმე ბერი 1648 წლის თებერვლიდან ჰყავდა,
რაც იმას ნიშნავს, რომ ვიდრე თვითონ ჩამოვიდოდა (1664),
მთელი თექვსმეტი წლის განმავლობაში, მათი საშუალებით
იღებდა საქართველოდან შესაწირავსაც და ინფორმაციასაც.

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ მაკარიოს III-ის
წარმოგზავნილ სასულიერო პირთა მოღვაწეობის სფერო
შხოლოდ წირვა-ლოცვითა და შესაწირავის შეგროვებით არ
შემოიფარგლებოდა. უსათუოდ შეეცდებოდნენ, არა მხოლოდ
საქართველოს სამღვდელოების, არამედ სხვა მართლმადიდე-
ბელი ეკლესიების მესვეურთა აზროვნებაში დაუმკვიდრებინათ
ის თვალსაზრისი, რომ საქართველოს ეკლესია ანტიოქიის
ეკლესიის პირმშო და განუყოფელი ნაწილია, რასაც, ჩვენი
აზრით, მიაღწიეს კიდევაც.

ამის დასტურია თუნდაც იერუსალიმის პატრიარქ დო-
სითეოსის (1669-1707) ცნობა, რომ 1659 წელს დასავლეთ
საქართველოში ვიზიტად მყოფმა იერუსალიმის პატრიარქმა
პაისიოსმა (1645-1660), რომელმაც „გელათის მონასტერში
გამოიჩამორა“, უარი განაცხადა დასწრებოდა გელათის ეპის-
კოპოსის ხელდასხმას, რომელიც ქართლის საზღვართან მდე-
ბარე ერთ-ერთ ტაძარში უნდა შესრულებულიყო. გელათიდან
პაისიოსი რამდენიმე დღით ხობის მონასტერში გაემგზავრა,
იქიდან კი, 1659 წლის 22 მარტს, — გურიის მთავარ ქაი-

¹ Архиdiакон Павел Алепский, История Антиохийских Патриархов, ix.: Путешествие Антиохийского патриарха Макария в Россию, вып. V (Москва 1900), приложение I, с. 196.

ხოსროსთან, რომელმაც გულისტკივილით უამბო იმერეთის მეფესთან შეტაკებისა და თავისი მარცხის შესახებ.¹

არსებობს მოსაზრება, რომ პატრიარქ პაისიოსის ეს გა-დაწყვეტილება იმერეთისა და ქართლის მეფეებს შორის არ-სებული საომარი მდგომარეობით უნდა ყოფილიყო ნაკარნა-ხევი.² ჩვენი აზრით, აქ საქართველოს საშინაო საქმეები არა-ფერ შეუშია.³ ბოლოს და ბოლოს, სულ ცოტა ხნით ადრე მოხდა შეტაკება იმერეთის მეფესა და გურიის მთავარს შო-რის, მაგრამ პაისიოსი ქაიხოსროს მაინც ეწვია. ვფიქრობთ, პრობლემა უფრო საეკლესიო იყო. როგორც ვნახეთ, მაკარი-ოს დასავლეთი საქართველო თავის სამოღვაწეო სივრცედ მიაჩნდა და აღმოსავლეთის სხვა მართლმადიდებელი ეკლესი-ების წარმომადგენელთა იქ ჩასვლა სასტიკად აღიზიანებდა. ცხადია, იგივე განწყობით ხვდებოდნენ მათ მაკარიოსის მიერ წარგზავნილი ექსარხოსი და სხვა სასულიერო პირები. ტექ-სტიდან ნათლად არ ჩანს, პაისიოსი გელათის ეპისკოპოსის

¹ ამის შესახებ გვიამბობს იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოსი (1669-1707), რომელიც დიაკვნის ხარისხში მყოფი, პაისიოსის თან ახლდა საქართველოში მოგზაურობის დროს, Δοσιθέου, Πατριαρχου Ιεροσολύμων, Ἰστορία περὶ τῶν ἐν Ιεροσολύμοις Πατριαρχεύσαντων, βιβλ. IA'- IB', ἐκδ. Βασ. Ρηγοπούλου, Θες/νίκη 1983, παραγρ. ΙΙ'-ΙΔ, 127-129.

² ე. მამისთვალიშვილი, საქართველოს და იერუსალიმის ურთიერ-თობის ისტორიადან (XVI-XVII ს.), თბ., 2008, 89.

³ მართალია, დოსითეოსი ორიოდ სიტყვით ქართლსა და იმერეთს შორის არსებულ საომარ მდგომარეობასაც ახსენებს, მაგრამ ამის მიზეზ-საც იქვე განმარტავს: „ქართლში არ წავედით, რადგან იქაური მეფე მაჰ-მადიანია; პატრიარქს შეუშინდა, ხომები (რომელისაც მაშინ მეფე აღუქ-სანდრუ ებრძოლა) გზად არ ჩასაფრებოდნენ და ივი ხასრეთის შახის-ვის არ გადაუცათ ისპაპანში“, Δοσιθέου, Πατριαρχου Ιεροσολύμων, Ἰστορία, παραγρ. ΙΙ', 1983, 127-128.

ხელდასხმაში მონაწილეობის მისაღებად მიიწვიეს, თუ, უბრალოდ, ზეიმზე დასასწრებად. როგორც არ უნდა ყოფილიყო, უმაღლესი რანგის საეკლესიო პირს მეფე და დასავლეთ საქართველოს კათოლიკოსიც განსაკუთრებულ პატივს მიაგებდნენ, რაც უსათუოდ გააღიზანებდა ანტიოქიის ეპისარხოსს, რომელიც თავს დასავლეთ საქართველოს ბატონ-პატრონად თვლიდა. პაისიოსს, ისევე როგორც კონსტანტინეპოლის პატრიარქს, ანტიოქიის საპატრიარქოსთან არც თუ სახარბიელო ურთიერთობა ჰქონდა. ამის მიზეზი მაკარიოსის კათოლიკებთან და სომხებთან¹ მჭიდრო ურთიერთობა იყო. ვფიქრობთ, პაისიოსმა ანტიოქიის საპატრიარქოსთან ურთიერთობა აღარ გაამწვავა.

მოკლედ, მაკარიოს III დასავლეთ საქართველოზე სრულ კონტროლს ახორციელებდა. რა გასაკვირია, რომ მას თავისი იურისდიქციის გავრცელება მთელ საქართველოზე სდომოდა. ერთი შეხედვით, ვახტანგ V-ის პოლიტიკის გამარჯვება, რომლის მიზანიც საქართველოს გაერთიანება იყო, მაკარიოსს სანუკვარ ოცნებასთან აახლოვებდა. მისი განხორციელების შემთხვევაში, ბუნებრივია, მაკარიოსს, ვითარცა ვახტანგ V-ის ელჩს და რუსეთის ხელმწიფესთან დამაახლოებელს, სამოღვაწეო ასპარეზი ქართლშიც ეხსნებოდა, მაგრამ არსებობდა ამის საწინააღმდეგო გარემოებანიც, რომლებიც,

¹ მაკარიოსმა, სომებთა პატრიარქთან ერთად, ხელი შეუწყო დამასკოს ფაშას სურვილს, რომ აღეპოს ყოფილი მიტროპოლიტი ანდრია (რომელიც 1648 წ. მაკარიოსმა აკურთხა, მაგრამ მოგვიანებით, თავის სამწყსოსთან ერთად, კათოლიკების მხარეს გადავიდა), ირიელ კათოლიკეთა პატრიარქად დაედგინათ და მისი აღსაყდრების ოფიციალურ ცერემონიალსაც დაესწრო, ხისისტომის Παπაδოპიუსი, ოსთავია თუ ეკკლესίაς ሚნის 1028.

როგორც ჩანს, მაკარიოსის მოქნილმა გონებამ იმთავითვე განჭვრიტა:

აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოსი იყო დომენტი III, ფრიად განსწავლული და ენერგიული პიროვნება, რომელსაც მაკარიოსი დასავლეთ საქართველოს კათოლიკოსი-ვით ვერ დაიმორჩილებდა. გარდა ამისა, დომენტი III ვახტანგ V-ის ბიძაშვილი იყო და, რაც მთავარია, იგი მაკარიოსის მიმართ კეთილგანწყობილი არ იყო. აღნიშნულმა გარემოებებმა, როგორც ჩანს, მაკარიოსის იმის შიში გაუჩინა, რომ ვახტანგ V-ის პოლიტიკის გამარჯვების შემთხვევაში, შეიძლებოდა დასავლეთ საქართველოზეც დაეკარგა კონტროლი. უეჭველია, ამ შიშს მას კიდევ უფრო გაუმძაფრებდა ერეკლე ბატონიშვილი. ამასთან, ერეკლე ბატონიშვილი მაკარიოსის იმაშიც დააიმედებდა, რომ მისი გამარჯვების შემთხვევაში, აღმოსავლეთ საქართველოში ხელსაყრელ პირობებს შეუქმნიდა. ვფიქრობთ, ამიტომ აჰყვა მაკარიოსი ერეკლე ბატონიშვილის ზრახვებს, გაწირა აზნაური მათე და არათუ „ვულმოდ-ვინება არ გამოიჩინა“, ხელი შეუშალა ქართლის რუსეთთან დაახლოებას.

როდესაც ვამბობთ, მაკარიოს III-მ ხელი შეუშალა ქართლის რუსეთთან დაახლოებას, იმას არ ვკულისხმობთ, რომ მან რუსეთის მეფესთან ქართლის შესახებ საუბარს თავი აარიდა. პირიქით, მაკარიოსის დავალებით, არქიდიაკონმა პავლემ რუსეთის მეფეს მნიშვნელოვანი ცნობები მიაწოდა მთელი საქართველოს შესახებ. ამის დასტურია პავლე ალექსონის თხზულება, სათაურით: « Описание Грузии, представленное архидиаконом Павлом, сыном антиохийского патриарха Макария» (საქართველოს აღწერილობა, წარმოდგენილი ანტიოქიის პატრიარქ მაკარიოსის ძის, არქიდიაკონ პავლეს, მიერ), რომელიც რუსეთის საიდუმლო საქმეთა საგან-

გიოში (приказ тайных дел) аღმოჩნდა (ЦГАДА, фონდი №27, საქ. № 542).

პავლე აღებოელს „აღწერილობა“ 35 ხელნაწერ გვერდს მოიცავს. პირველივე გვერდიდან ირკვევა, რომ იგი პავლეს ბერძნულად დაუწერია. დედანი არ ჩანს, ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ რუსულმა თარგმანმა. რუსული ტექსტი, ვრცელი გამოკვლევითა და კომენტარებით, გამოაქვენა 6. ასათიანმა.¹ გამოკვლევის თანახმად, საიდუმლო საქმეთა საგანგიოს მოხელეებმა პავლე აღებოელს გადასცეს გარკვეული კითხვარი, რომელშიც მოცემული იყო ის კითხვები, რაც რუს პოლიტიკოსებს აინტერესებდა: საქართველოს საშინაო-პოლიტიკური მდგომარეობა (რა და რა პოლიტიკური ერთეულებისაგან შედგებოდა, ვინ დგას თითოეული სამეფო-სამთავროს სათავეში, რომელია მათი დედაქალაქები და სხვა); საერთო გეოგრაფიული დახასიათება (მდებარეობა, სიდიდე, საზღვრები); ცალკეული სამეფო-სამთავროების გეოგრაფიული დახასიათება (საზღვრები, მდინარეები, რელიეფის თავისებურება); რა და რა საეპისკოპოსებია თითოეულ სამთავროში და რა წმიდა ნაწილები ინახება იქ; ქვეწის ბუნებრივი სიმდიდრე, მაღნეული, რა მცენარეები ხარობენ და რა ცხოველებია იქ გავრცელებული. აგრეთვე, ცალკეული სამეფო-სამთავროს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობა, მათი ერთმანეთთან ურთიერთობა, დამოკიდებულება თურქეთთან და ირანთან. ცალკე საკითხადაა მოცემული კავკასიის მთიელთა მდგომარეობა: რა და რა ტომებისგა შედგებიან ისინი და როგორია მათი სარწმუნოება; ცალკეა გამოყოფილი ლეგთა საშამხლოს საკითხები და სხვა. 6. ასათიანის დაკვირვებით,

¹ 6. ასათიანი, მასალები მე-17 საუკუნის საქართველოს ისტორიი-სათვის“ (საქართველოს აღწერილობა შედგენილი პავლე აღებოელის მიერ), თბ., 1973.

პავლე ალექსონი „აღწერილობაში“ არ იფარგლებოდა მხოლოდ რუს პოლიტიკოსთა კითხვებზე პასუხის გაცემით. იგი საკუთარ მოსაზრებებსაც იძლევა და ერთგვარ შუამავლად გამოდის კავკასიის ხელისუფალთა და რუსეთის სამეფო კარს შორის. იგი დაუწენებით ამტკიცებს, რომ რუსეთის სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის აუცილებელია იმიერ კავკასიაში, თერგიდან საქართველოსკენ მიმავალ გზაზე, ძველი ციხე-სიმაგრეების აღდგენა და იქ ჯარების ჩაყენება, კავკასიის ხალხებში ქრისტიანობის აღდგენა-გავრცელება, თურქეთის გავლენის აღმოფხვრა და სხვა.¹

ეს, რაც ოფიციალურ ცნობებს შეეხება. პავლე ალექსონის რუსეთში მოგზაურობის წიგნში კი ვკითხულობთ: „როდესაც ჩვენ ადამითვან 7173 წელს საქართველოს კენციეთ, გვიამბოდნენ, რომ თუმცურაზ ხანის გენიალოგიური შტო მეუ და წინასწარმეტყველ დავთამდე აღწევს, რამეთუ, როგორც ამბობენ, დავითი, რომელიც ებრძოდა ბერძნთა ძევეს, ბასილი მაკედონელს, ერთ-ერთი მისი წინაპარი იყო. რაც შეეხება დანარჩენ ოთხ თავადს, რომლებიც საქართველოში იძყოფებიან, ისინი ძველ გვარს არ მიუკუთვნებიან, და, ვარდა ამისა, ეს უკანასკნელი თავიანთ შვილებსა და ქვეშევრდომებს უცხოელებზე ჰყოდიან. თუმცურაზ-ხანის შესახებ, ასეთი რამ არასოდეს თქმულა: პირიქთ, ის გამოისყიდის ხოლმე დატყვევებულ ქრისტიანებს.“²

¹ ნ. ასათიანი, მასალები..., 67-68; 70-79.

² Путешествие Антиохийского патриарха Макария в Россию, вып. III, кн. III, гл. VI, с. 85. როდესაც მაკარიოს III და პავლე ალექსონი რუსეთს პირველად ეწვიონტ, საქართველოში ნამყოფი არ იყენებ. მოხმობილი მონაცემი იმის დასტურია, რომ მოგვიანებით პავლეს რუსეთში პირველი მოგზაურობის ზელნაწერი რამდენადმე შეუცია.

ვფიქრობთ, ეს ერთი ამონარიდიც საკმარისია იმის წარმოსადგენად, თუ რა სახის ცნობებს მიაწვდიდა მაკარიოსი რუსეთის მეფეს პირადი საუბრების დროს.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ჩვენი საბოლოო დასკვნა ასეთია: მაკარიოს III-მ არა მხოლოდ „ვულმოდვინება არ ვამოიჩნა“, არამედ ხელი შეუშალა ქართლის რუსეთან დაახლოებას. ეს გააკეთა არა მხოლოდ ერეკლე ბატონიშვილის გავლენით, არამედ იმ ინტერესების გამო, რაც მას საქართველოს მიმართ გააჩნდა: მაკარიოს III-ს 1648 წლიდან ჰყავდა თავისი ექსარხოსი დასავლეთ საქართველოში. როგორც ჩანს, მას უნდოდა, აღმოსავლეთ საქართველოც ანტიოქიის საპატრიარქოს ოურისდიქციაში მოექცა.

P.S პავლე ალექოელის „მოგზაურობის“ რუსულ ენაზე მთარგმნელი, გიორგი (იური) მურკოსი, გვამცნობს, რომ პავლეს მაკარიოს III-ის რუსეთში მეორე მოგზაურობაც ვრცლად აღუწერია. „მოგზაურობათა“ გამოცემა გათვალისწინებული ყოფილა ცხრა ნაწილად. მათგან ხუთი გამოქვეყნდა (1896-1900), დანარჩენი ოთხი კი აღარ გამოქვეყნებულა. ამის მიზეზი შესაძლოა ის იყოს, რომ 1906 წელს გ. მურკოსი¹ სამშობლოში, დამსკოში, დაბრუნდა, ხუთი წლის შემდეგ კი იქვე გარდაიცვალა. ჯერჯერობით ვერ დავადგინთ, მოასწრო თუ არა გ. მურკოსმა თხზულების დარჩენილი ნაწილების თარგმნა. არაბული ხელნაწერები დაცულია მოს-

¹ გ. მურკოსი, წარმოშობით არაბი, გაიზარდა მართლმადიდებელ ქრისტიანთა ოჯახში. 1871 წ. რუსეთის იმპერიის მოქალაქე გახდა. განათლება მიიღო კერძო მსოფლიო საპატრიარქოს დაქვემდებარებაში მყოფ ხალგის სასწავლებელში, შემდეგ – სანკტ-პეტერბურგის სასულიერო სემინარიაში. დაამთავრა აგრეთვე პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი. მუშაობდა მოსკოვის ლაზარევის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში; იყო მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების წევრი.

კოვის საგარეო საქმეთა სამინისტროს მთავარ არქივში. შესაძლოა, რუსული თარგმანიც (თუ არსებობს) იქვე იყოს დაცული. იმედი გვაქვს, ქართველი არაბისტები და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა მკვლევრები ამ საკითხით უსათუოდ დაინტერესდებიან.

დამოწმებანი:

ასათიანი ნ., მასალები XVII საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის, (საქართველოს აღწერილობა შედგნილი პავლე ალექონელის მიერ), თბ., 1973.

დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I (ს. კაკაბაძის გამოცემა), თბ., 1921.

ვარდოსანიძე ს., ქართველი მღვდელმთავრები (XX-XXI საუკუნეები), თბ., 2010.

ვაზუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973.

თამარაშვილი მ., ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბ., 1995.

კალისტრატე ცინცაძე (თხზულებანი ორ წიგნად), წ. I, მწიგნობრობა ქართული, 9, თბ., 2010,

კალისტრატე ცინცაძე (თხზულებანი ორ წიგნად), წ. II, მწიგნობრობა ქართული, 10, თბ., 2010,

კაჭარავა დ., ვაზტანგ V-ის საგარეო პოლიტიკის საკითხისათვის, კრ. ქართული სამეფო სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, I, თბ., 1970, 123-150.

ლომინაძე ბ., მასალები დასავლეთ საქართველოს XVII-XVIII სს-თა ისტორიის ქრონილოგიისათვის, მასალები სა-

ქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1954, ნაკვ. 31, 98-121.

ლომინაძე ბ., ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან (სენიორიები), თბ., 1966.

მაკარი ანტიოქიელი, ცნობები საქართველოს შესახებ, არაბულიდან თარგმნა თინა მარგველაშვილმა, არმაღანი (აღმოსავლური მწერლობის ნიმუშები), თბ., 1982, 88-122.

მამისთვალიშვილი ე., საქართველოს და იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVII ს.), თბ., 2008.

მამისთვალიშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, ტ. II, თბ., 2011.

მამისთვალიშვილი ე., საქართველოს და ანტიოქიის ეპლეიბის ურთიერთობის ისტორიიდან, „ისტორიანი“, სამეცნიერო კრ. მიძღვნილი როინ მეტრეველის დაბადების 70 წლისთავისადმი, გამომც. „არტანუჯი“, თბ., 2009, 251-272.

პაიჭაძე გ., მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (1660-1685 წწ.), საისტორიო მოამბე, №22-23, 1970.

სოსელია ო., ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, თბ., 1973.

ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია (ს. კაბაბაძის გამოცემა), საისტორიო მოამბე, წ. II, 1925.

ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, წ. II, ტფ. 1897.

Каптерев Н., Сношения иерусалимского патриарха Досифея с русским правительством (1669-1707 гг.), С.-Петербург, 1896.

Каптерев Н., Характер отношений россии к православному востоку в XVI и XVII столетиях, Москва, 1885.

Путешествие Антиохийского патриарха Макария в Россию в половине XVII века (1628-1631), описанное его сыном, архидиаконом Павлом Алепским, Москва 1898-1900.

Αθανασίου Γ' Ἀντιοχείας Πατριάρχου, Ἰστορία τῶν Πατριαρχῶν Ἀντιοχείας, «Bisarica Orthodoxa Romana». Bucuresti, 1930.

Δοσιθέου, Περὶ τῶν ἐν Ἱεροσολύμοις πατριαρχεύσαντων, Βουκουρέστιον, 1715.

Δοσιθέου, Πατριάρχου Ἱεροσολύμων, Ἰστορία περὶ τῶν ἐν Ἱεροσολύμοις Πατριαρχεύσαντων, βιβλ. IA'-IB', ἐκδ. Βασ. Ρηγοπούλου, Θες/νίκη 1983.

Παπαδοπούλου Χρυσοστόμου (Ἄρχιεπισκόπου Ἀθηνῶν καὶ πάσης Ἑλλάδος), Ἰστορία τῆς Ἑκκλησίας Ἱεροσολύμων, ἐν Αθήναις, 1970.

Παπαδοπούλου Χρυσοστόμου (Άρχιεπισκόπου Ἀθηνῶν καὶ πάσης Ἑλλάδος), Ἰστορία τῆς Ἑκκλησίας, Ἀντιοχείας, Θεσ/νίκη 2010.

Tamar Meskhi

Ilia State University, Giorgi Tsereteli Institute for Oriental Studies

**PATRIARCH OF ANTIOCH MAKARIOS THE III AS AN
ENVOY OF THE KING VAKHTANG THE V IN MOSCOW
RESUME**

Patriarch of Antioch makarios the III and his son archidiakon Paulus visited Georgia twice (1664; 1669). During the first travelling they stayed in Georgia for a year and nine months (from July, 1664 till April, 1665).

The tsar of Russia Alexis Mikhailovich invited Makarios, who was in the Western Georgia at the time, to Moscow. The king of Kartli took interest in this invitation because he wanted to carry on negotiations and establish secret relations with Russia through Makarios.

Makarios the III went to Russia. He fulfilled a request of the king Alexis but how he fulfilled a mission imposed by the king of Kartli is another question, there are different opinions about it:

1. Makarios the III delivered the king Vakhtang's solicitation to the king of Russia but it had no real consequences because Russia at that time and in such conditions didn't want and didn't have an opportunity to interfere in the affairs of Georgia.

2. The Prince Erekle, who was in Moscow at the time, may have tried to hinder the relations between Russia and Kartli. Supposedly it was due to influence of Erekle upon Makarios the III that the latter didn't try so hard to complete his mission.

After the research it turned out that the second opinion is right; what's more, on the basis of the work of Paulus of Aleppo (which appears for the first time in Georgian scientific literature in this research) we may say that Makarios the III not only didn't try to help the king of Kartli but even hindered communication between Russia and Kartli. He acted so not only because of the influence of Prince Erekle but his intentions and interests towards Georgia: Makarios the III had appointed an exarch and several monks in Georgia from 1648 who collected donation for the patriarch of Antioch and gave him information about political and clerical affairs in Georgia. It appears that Makarios the III wished to bring Eastern Georgia into his jurisdiction.

მურად მთვარელიძე გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

**(ვახტანგ მექქისის დარბაზობანი და ორი პოეტი
(დავით გურამიშვილი, ოტია ფავლენიშვილი)**

მეთვრამეტე საუკუნის პირველი მეოთხედი სამართლიანად ითვლება საქართველოში კულტურისა და განათლების აღმავლობის ხანად და ის უკავშირდება გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის, დიდი პატრიოტისა და სწავლული მეფე-პოეტის ვახტანგ მექქისის სახელს.

ვახტანგის დაუღალავმა, განუზომელმა შრომაშ თავისი ნაყოფი გამოიღო. ქართველმა ერმა შეძლო მოკლე დროში სული მოეთქვა და კულტურის აღორძინებაზეც ეზრუნა, მაგრამ გარემოებათა გამო ამ საუკუნის ათიანი წლების ბოლოს ქართლის მდგომარეობა ისევ აირია და ვახტანგმა, წინამორბედ ხელისუფალთა მსგავსად (თეიმურაზი, არჩილი), თავისი პოლიტიკური კურსი რუსეთისაკენ მიმართა.

ამ ისტორიულმა მომენტმა ასახვა ჰპოვა ვახტანგის ორი თანამედროვე პოეტის დავით გურამიშვილისა და ოტია ფავლენიშვილის პოეზიაში.

ჩვენი ყურადღება მიიპყრო იმ გარემოებამ, რომ ეს ორი პოეტი განსხვავებულად ასახავს ვახტანგის მიერ ამ პოლიტიკური ნაბიჯის გადადგმისა და რუსეთში მეფის გამგზავრების ფაქტებს. ამ თვალსაზრისით გასარკვევია, როდის და სად მოხდა დარბაზობა (დარბაზობანი) ვახტანგ მექქისის კარზე და როგორი წარმომადგენლობით წარიმართა იგი.

დ. გურამიშვილთან მწვავედ დგას ქართლის ბედის საკითხი. აღმოსავლეთ საქართველო ორი დიდი და ძლიერი სახელმწიფოს - ირანისა და ოსმალეთის - პირისპირ მარტოა აღმოჩენილი. ვახტანგ მეექვსე საგონებელშია ჩავარდნილი. მეფე-პოეტი მომავლის გზებს ეძებს. ამ პერიოდში მასთან მოდიან რუსეთის იმპერატორის პეტრე პირველის ელჩები, რომელიც ქართლის მეფეს რუსეთთან კავშირის დადგებისაკენ მოუწოდებენ. ეს თვით ვახტანგის სურვილიცაა, მაგრამ მეფე გრძნობს, რომ ხალხი ადვილად ვერ შეურიგდება მის ნაბიჯს, მეფესა და ხალხს შორის კონფლიქტის ასაცილებლად საჭიროა საზოგადოებრივი აზრის მომზადება. ამის გამო ვახტანგი ჯერ თანამოაზრე ვეზირებს ეთათბირება („შეიქმნა წვევა ჩუმ-ჩუმად ვაზირთა თანგამზრახისა”), ხოლო შემდეგ დარბაზს შეყრის, რათა თავისი გადაწყვეტილება რუსეთთან დიპლომატიური კავშირის დამყარების შესახებ რეალობად აქციოს.

„დავითიანის” მიხედვით, ამ დროს ვახტანგი თბილისშია და ბუნებრივია, დარბაზობაც თბილისში მიმდინარეობს. ამის ნათელსაყოფად გამოდგება „დავითიანის” შემდეგი სტროფი:

მესამეს მწუხაზედ ნობათთა რა ცემა იწყეს დაფისა,
შევლეს ციხე და ქალაქი, კარები სეიდაბისა.¹

როგორც ცნობილია, სეიდაბადი ძველი თბილისის ერთერთი უბანი იყო. „ხოლო აწ უწოდებენ ოთხთავ ქალაქთა აწ ტფილის და განყოფით: კალას – ტფილისსა, ტფილისს-სეიდაბადს და ისნს- ავლაბარს, და გარეთ-უბანი არს ტფილისისა. მსახლობელი არიან ციხესა და სეიდაბადს სპარსნი მოჰმადიანნი”. (ვახუშტი)

¹ დავით გურამიშვილი, დავითიანი, გამოსაცემად მოამზადა ს. ცაიშვილმა, თბ., 1986, გვ. 47.

სადაო არაა, რომ გურამიშვილი დარბაზობის ადგილად თბილისს ასახელებს.

ოტია ფავლენიშვილის თანახმად კი, იმ დროს, როდე-საც ვახტანგი რუსეთში გამგზავრების საკითხებზე მსჯე-ლობს, ზემო ქართლის სოფელ ალში იმყოფება.

ალი ერთ-ერთი ძველი სოფელია ხაშურის მუნიციპალი-ტეტში. გამოჩენილი ფრანგი მოგზაური უან-შარდენი, რო-მელმაც საქართველოში 1672-1673 წლებში იმოგზაურა, თა-ვის წიგნში „მოგზაურობა საქართველოში” შენიშნავს, რომ ქართლში არის ოთხი ქალაქი: გორი, სურამი, ალი და ტფი-ლისი.

XVIII საუკუნეში ალი კვლავ დაწინაურდა და ზემო ქართლის ერთ-ერთ მთავარ ქალაქად იქცა.

ოტია ფავლენიშვილი პირდაპირ მიუთითებს დარბაზო-ბის ადგილს: „რითაც მოხდა წამოვიდნენ, შეიყარნენ ყველა ალებს”.

აკად. პ. კეკელიძეს მიაჩნდა, რომ ვახტანგმა თათბირი სოფელ ალევში (ახალგორის რაიონი) გამართა.¹

ამავე აზრისაა აზნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ვ. დონდუა: „საქართველოს საზღვრებიდან გასვლამდე ვახტანგ-მა თავის სახლობის კრება გამართა (სოფ. ალევს) რუსეთს გამგზავრების პირობების განსახილველად”².

ჩვენ ვერ გავიზიარებთ ამ მკვლევართა მოსაზრებას თათბირის სოფელ ალევში გამართვის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ სოფელი ალევი ქსნის ხეობაში მდებარეობს და ერთ-ერთ უძველეს სოფლად ითვლება, ამ შემთხვევაში ოტია

¹ პ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II; 1981, გვ. 535.

² ვ. დონდუა, საისტორიო ძიებანი, თბ., 1967, გვ. 168.

ფავლენიშვილის მიერ დასახელებულ გეოგრაფიულ სახელს მასთან საერთო არაფერი აქვს.

როგორც ისტორიული რეალიებიდან ირკვევა, ვახტანგ-მა თათბირი გამართა არა სოფელ ალევში, არამედ ალში. ამას, როგორც შევნიშნეთ, აღასტურებს ოტია ფავლენიშვილის პოემა.

პოეტის ამ ცნობას ამაგრებს „ქართლის ცხოვრების“ შემდეგი მონაკვეთი: „თურმე მოვიდა მუხრანს სპითა მოწყულად (საუბარია ბაქარზე) ლექთა, არამედ ვერლარა ეწია, რამეთუ გაესწრო ლექთა საგურამოს, უკუქცეული მოვიდა ალს მამისთანა... შემდგომად კუალად წინამძღლითვე მოვიდნენ ქრცხინვალს, მოსწვის და მოსტყუევნეს ოსმალთა და წარვიდნენ.“

...უამთა ამათ მოვიდნენ წარვლინებულნი რუსეთიდამ ნარაზიშვილი დავით და

ფრანგისტან და მოართვეს მეფესა წარსვლა რუსეთს.“¹

ვახტანგი ერთხანს მართლაც ცხინვალში იმყოფებოდა, მაგრამ იძულებული გახდა ზემო ქართლისათვის, კერძოდ კი, ალის ციხისათვის შეეფარებინა თავი. აქვე მიიღო მან რუსეთში გამგზავრების გადაწყვეტილება.

დავით გურამიშვილის თანახმად, დარბაზობაში მთელი ქართველი არისტოკრატია იღებს მონაწილეობას:

შეკრბენ ქართველთ ბატონ-ყმანი, ერთად თავი მოიყარეს,
დასხდნენ რიგით ივეზირეს, წინ წიგნები დაიყარეს,
ვინც ხედავდა ბოლოს საქმეს, იმათ არად განიხარეს,
თქვეს თუ: უფრო წავჩდებითო, მაგრამ ზოგთ კი განიკმარეს.
გამგმარველთა უპასუხეს: გეტყვით, ძმანო, ვერ გეთნებით,
ვერა ბძანეთ უგე რჩევა კაის ჭკუით, კაის მცნებით,

¹ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, IV, თბ., 1973, გვ. 506-507.

ქრისტიანის ხელმწიფისა ხელ-დებულნი შევიქმნებით,
ჩვენ მაგაზე რად წავხდებით, თუ არ უფრო გავკეთდებით!¹

დ. გურამიშვილი ერთმანეთს უპირისპირებს ორ განსხე-
ვაგებულ შეხედულებას საქართველოს მომავალი ბედის შესა-
ხებ. ერთ მხარესაა ვახტანგი, ხოლო მეორე მხარეს – მო-
დარბაზეთა დიდი ნაწილი, რომლებიც თავდაპირველად ჩურ-
ჩულით გამოხატავენ უკმაყოფილებას, ხოლო შემდეგ ხმამაღ-
ლა უცხადებენ მეფეს თავის უარყოფით დამოკიდებულებას ამ
საკითხის მიმართ.

დ. გურამიშვილი მტკივნეულად განიცდის საქართვე-
ლოს იმდროინდელ მდგომარეობას, მის მომავალს. თვით პოე-
ტი მოწინააღმდეგეთა მხარესაა, მისი პოზიცია თავიდანვე ნა-
თელია.

როგორც აღვნიშნეთ, ვიდრე დარბაზობა გაიმართება,
ვახტანგი ფარულად ეთაბირება თანამოაზრებს. გურამიშვი-
ლი ამ ფაქტის გამო შენიშნავს: „შეატყობოდათ განთიად ჩა-
ცმა არ სწადდათ თალხისა, ეგონათ სწორად ჭრიალი მრუ-
დის საწუთოს ჩალხისა.” ვფიქრობთ, საკუთარ მოსაზრება-
საც გამოხატავს პოეტი, როდესაც მოდარბაზებს ათქმევი-
ნებს: „ვინემ რუსნი გვიშველიან, მანამ ჩვენი გარდაგვხვდე-
ბის”.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის დაწყების საკითხ-
თან დაკავშირებით განხეთქილება ვახტანგ მეექვსის კარზე
მართლაც მომზდარა. 1721 წელს პეტრე დიდისადმი გაგზავ-
ნილ მოხსენებაში ვოლინსკი აღნიშნავდა, რომ ვახტანგი ხე-
დავს საქართველოში უთანხმოებას. ამას ართულებდა ის გა-
რემოებაც, რომ 1724 წლიდან, როდესაც ვახტანგის მდგომა-
რეობა უიმედო გახდა, მას თავისი დიდებულები ხშირად აგო-
ნებდნენ რუსთა აუგს. მეფე გულდაწყვეტილი წერდა: „ქართ-

¹ დ. გურამიშვილი, დავითანი, დასახ. გამოცემა, გვ. 48.

ველები დამცინიან, სანამ პეტრე მოვიდოდეს, პავლეს ტყავი გააძღვესო”.¹

გურამიშვილის მიერ დახატული სურათი რეალისტურია და ის სრულად ასახავს იმ წინააღმდეგობას, რასაც ვახტანგის წრეში იმ დროს ნამდვილად ჰქონია ადგილი.

ო. ფავლენიშვილი სხვაგვარად წარმოგვიდგენს დარბაზობის სცენას. როგორც უკვე ვთქვით, ფავლენიშვილის მიხედვით, ვახტანგ VI ამ დროს ზემო ქართლში იმყოფება და რუსეთის იმპერატორის ბარათსაც იქ იღებს. ამის გამო იგი სათათბიროდ უხმობს მხოლოდ თავისი ოჯახის წევრებს

შეუთვალა,, მმავ და შვილო, მომივიდა წიგნი ესა.

იქ უხმივართ თვით უძლევსა, სხივის მძლეველს,

მტერთა მრესა,

ეს არ უთხრათ მაგ ურჯულოთ, უნდობსა და იასრებსა, ეცადენით, მოაგვაროთ საქმე კარგი უამთა დღესა.

რითაც მოხდა წამოვიდნენ შეიყარნენ ყველა ალებს,

სამი მმა და ორი შვილი არჩევს საქმეს, წყნარს,

არ მალებს,

რა მივსწერო ხელმწიფებსა, მღთის მოყვარეს,

გულით სალებს,

შეკრეს, ხლება შეუთვალეს, ხვაშიადი მწვე და მალებს.²

ფავლენიშვილის პოემის მიხედვით, მოთათბირებმა შედარებით იოლად გადაწყვიტეს რუსეთში გამგზავრების საკითხი და აქ არავითარ წინააღმდეგობას არ ჰქონია ადგილი.

დარბაზობის ეპიზოდს უშუალოდ მოსდევს განჯის საკითხი. დავით გურამიშვილის მიხედვით, ვახტანგმა სწორედ დარბაზობის შემდეგ გაილაშქრა განჯაზე:

¹ ი. ტაბაღუა, საფრანგეთ-საქართველოს ურთიერთობა, თბ., 1972, გვ. 319.

² ლიტერატურული ძიებანი, IV, თბ., 1948, გვ. 190.

ბევრი ბევრს რასმე იტყონენ, მაგრამ ვინ მოუსმინებდა?

მეფე იყო და ბრძანებდა, იქმოდა, რასაც ინებდა!

შემოიყარა ლაშქარი, თვალს ვერვინ გარდაწვდინებდა,

წავიდა, განჯის მიდამოს სისხლის ღვართ მოადინებდა.¹

ო. ფავლენიშვილი არ ახსენებს განჯის საომარ ოპერა-ციას. მისი პოემის მიხედვით დარბაზობის ეპიზოდს უშუალოდ მოსდევს ვახტანგის რუსეთში გამგზავრება.

ბუნებრივია, ამ შემთხვევაში დაისმება კითხვა: ვის მხარესაა სიმართლე?

ვახტანგის თანამედროვე ისტორიკოსები ვახუშტი ბაგრატიონი და სეხნია ჩხეიძე არ ასახელებენ დარბაზობის ფაქტს. დავით გურამიშვილის დამოკიდებულება მართლის თქმისადმი კი უფლებას არ გვაძლევს, ეჭვი შევიტანოთ მის სისწორეში.

ვფიქრობ, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ გურამიშვილისა და ფავლენიშვილის მიერ აღწერილი დარბაზობების სცენები არ არის იდენტური არც განსახილველი საკითხების თვალსაზრისით, არც გეოგრაფიული ადგილითა და არც ქრონოლოგიით.

„დავითიანში“ აღწერილი დარბაზობა დაახლოებით 1722 წლის დასაწყისიდან ზაფხულამდე პერიოდში უნდა ვი-ვარაუდოთ. ეს ჩანს შემდეგი გარემოებიდან: როგორც ცნობილია, ვახტანგი განჯაში იდგა 1722 წლის აგვისტოდან ნოემბრის შუა რიცხვებამდე. დავით გურამიშვილის თანახმად კი, დარბაზობას პირდაპირ მოჰყვა განჯაში ლაშქრობა. ამ დროს ვახტანგი ჯერ ისევ თბილისში იყო.

რაც შეეხება ოტია ფავლენიშვილს, მის მიერ აღწერილ დარბაზობაში სრულიად სხვა მომენტთან გვაქვს საქმე.

¹ დ. გურამიშვილი, დავითიანი, დასახ. გამოცემა, გვ. 50.

დავით გურამიშვილი იხილავს რუსეთთან ურთიერთობის დაწყების საკითხს, უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, რუსეთის მოკავშირედ განჯის საომარ ოპერაციაში ჩაბმის საკითხს, ამ შემთხვევაში ვახტანგი რუსეთში გამგზავრებაზე კი არ ეთათბირება დარბაზს, არამედ განჯის საომარ ოპერაციაზე, რასაც შემდგომ რუსეთის დახმარება მოჰყვება. („წავიდე, განჯის მომთხრელთა დავდავა მუქაფის ნიშნები, რა გამოგრუნდე, კვლავ ვნახო რუსების შუბ-ფარ-შიმშები”).

რაც შეეხება ოტია ფავლენიშვილს, ის თავის პოემაში აღწერს თათბირს, რომელიც ვახტანგმა მოაწყო უშუალოდ რუსეთის სამეფო კარზე გამგზავრების საკითხთან დაკავშირებით და იგი 1724 წლისთვის უნდა ვივარაუდოთ.

აქედან დასკვნა: ამ ორ ნაწარმოებში აღწერილ დარბაზობებში ვახტანგის მოღვაწეობის ორი მომენტია აღწერილი: „დავითიანში” - რუსეთთან ურთიერთობის დაწყების პროცესი, რასაც ქართლის სამეფო კარზე აზრთა დიდი სხვადასხვაობა გამოუწვევია, ხოლო „ვახტანგიანში” - მეფე ვახტანგ მეექვსის რუსეთში გამგზავრება, რაც მეფეს და მისი ოჯახის წევრებს მშვიდ გარემოში გადაუწყვეტიათ.

Murad Mtvarelidze

Gori State Teaching University

**VAKHTANG VI'S PUBLIC RECEPTIONS
AND THE TWO POETS
(DAVIT GURAMISHVILI, OTIA PAVLENISHVILI)
RESUME**

One of the principal subjects of Davit Guramishvili's and Otia Pavlenishvili's works is connected with an attempt of Vakhtang VI of Kartli to establish diplomatic relations with the Russian Emperor – Peter the Great. Both poets describe the scenes of the receptions, but Davit Guramishvili's attitude towards these events is negative that is clearly revealed in his "Davitiani", although the attitude of Otia Pavlenishvili is strictly positive. It's worth mentioning that the public receptions described by these poets are not identical to each other: the first poet narrates how Vakhtang VI has been involved in military operations, whilst the other one reports about the voyage of the Georgian king to the Emperor's Court.

**მანანა მიჩიტაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი**

**სახლთუხუცეს ციციშვილთა სამოხელეო სახელოს
საკითხისათვის**

სამეფო კარის სახლთუხუცეს ციციშვილთა სამოხელეო სახელო პირდაპირ მიუთითებს საგვარეულოს სიახლოვეს სამეფო კართან, რომლებიც გადამწყვეტ როლს ასრულებდნენ ქართლის სამეფოს სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამ საკითხით დღემდე მკვლევარები არ დაინტერესებულან, მისი კვლევა კი მეტად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია. „ქელმწიფის სახლთუხუცესი“ სასახლის გამგე და სასახლის დაწესებულებათა მთავარი გამგებელი იყო, განაგებდა სახელწიფოს მთელ შემოსავალსა და გასაგალს, ითვლებოდა სახელმწიფო და სადარბაზისკარო თანამდებობად ამ სახელოს წარმოქმნა ძირითადად უკავშირდება ერთიანი საქართველოს დაშლას, მეფის ხელისუფლების დასუსტებას, მისი უფლებების „დამცრობას“, ქვეყნის კუთხეებს შორის სამეურნეო-ეკონომიკური კავშირების მოშლას. იმავდროულად ყველაზე შემოსავლიანი და მრავალფუნქციური სამოხელეო სახელო ჩანს „დასტურლამალაში“ დაცული სახლთუხუცესის სარგოს წიგნის მიხედვით. მას ექვემდებარებოდნენ სამეურნეო, საფინანსო ხასიათისა და დანიშნულების მოხელეები.

ვახუშტი ბატონიშვილი სახლთუხუცესის სახელოს საინტერესოდ განმარტავდა „აბრამადი ახუ სალთხუცესი, და ამისი ჭელისა იყო სამეფო შემოსავალი და გასაგალი; ამან უწყოდა წესნი და რიგნი სახლისა მეფისანი და თათბირობა

სამეფოსი, და სახასონი მეფისანი და ამას ქვეითნი კელისუ-ფალნი ამისი დასახელნი იყვნენ, არამედ უმეტეს უჯიბს ქუ-ემო ქუემორენი.¹ სახლთუხუცეს პქონდა, ადმინისტრაციული ფუნქციები მისი მონაწილეობით დგებოდა ყმა-მამულის წყა-ლობის წიგნი, საგვარეულო გაყრის განჩინებანი, სახელოს ბოძება, ჯამაგირის საბუთი და სხვ. მდივნის შედგენილ სა-ბუთებს ჯერ სახლთუხუცესი განიხილავდა, სამოხელეო ბეჭ-დით ამოწმებდა, შემდეგ წარუდგენდა მეფეს, რაც, თავის მხრივ, მიანიშნებს დიდ პასუხისმგებლობაზე სახელმწიფო სა-ბუთების შედგენასა და გაცემაში, აწარმოებდა კონტროლს ადგილებზე გადასახადების გაწერა-აკრეფას, სამეფო მიწების სამეურნეო და საფინანსო ზედამხედველობას, მონაწილეობდა ლაშქრობაში.

6. შენგელიას მოსაზრებით, „სახლთუხუცესის თანამდებო-ბა როული ისტორიული პროცესის შედეგად უნდა ყოფილი-ყო წარმოშობილი. სახელდობრ, მსახურთუხუცესის, მეჭურჭ-ლეთუხუცესისა და განმგეთუხუცესის განსაგებელთა შეერთე-ბის გზით.² მკვლევარმა ვ. გაბაშვილმა გამოთქვა მოსაზრება „ხომ არ მოღიოდა სალთუხუცესის ინსტიტუტი თანდათანო-ბით გადაგვარებულ და ბოლოს სრულად გაუქმებულ მწიგნო-ბართუხუცესის თანამდებობიდან“.³ ამ მოსაზრებას ადასტუ-რებს 1525 წლის შიომღვიმის სიგელში დაცული მეტად სა-ინტერესო ცნობა: „ღ“თივ: გუირგუინოსნისა : მეფისა დავითი-სა[სახ]ლის : უხუცესმან : დამწიგნობართამთავარმან : სოლადა-

¹ქართლის ცხოვრება IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყუეხჩიშვილის მიერ. თბ., 1973, გვ. 20.

² შენგელია ნ., სახლთუხუცესის თანამდებობა იმერეთის სამეფო-ში, ქუთაისის პედ. ინსტ. მრომები ტ. 1, 1940, გვ. 138-139.

³ გაბაშვილი ვ., დარბაზის რიგის მოხელენი დასტურლამალის მი-ხედვით, ენიმკის მოაბე XIII, 1942, გვ. 168.

სშვილმან : ივანე:ვიგულვე ... და შემოვწიორე.“¹ მათი ფუნქციები-დან გამომდინარე, ამ მოსაზრებას ეთანხმება ივ. სურგულაძე და მიაჩნდა სახლთუხუცესი გაერთიანებული ფეოდალური სა-ქართველოს თითქმის ყველა ვეზირის და სხვა მოხელის ფუნქციების გაერთიანების შედეგად წარმოშობილ თანამდებო-ბად. სამოხელეო სახელო, „სასახლის უხუცესი“, პირველად გვხვდება სასისხლო სიგელში ბაგრატ მეფისა ივანე თულას-ძისადმი, რომელსაც ს. კაკაბაძე 1446 წ. ათარიღებს და აფ-ხაზ-იმერეთის მეფედ წარმოგვიდგენს.² ქართლის სამეფოში კი სახლთუხუცესის თანამდებობა პირველად გვხვდება თ. ქორდანიას მიერ დათარიღებულ 1457-1460 წლის მცხეთის №167 შეწირულების სიგელში, დავით ქაჩიბაძისა სვეტიცხო-ველისადმი.³ აღნიშნული დათარიღება არ გაიზიარა ს. კაკაბა-ძემ, რომელიც ათარიღებს 1466-1472 წლებით.⁴ იგი დაწე-რილია „კელითა ფ“დ ცოდვილის სახლისუხუცესი ნიკოლო-ზისითა.“ ვ. გაბაშვილის მოსაზრებით სახლთუხუცესი ნიკო-ლოზი, სალაროს მოლარის დავით ქაჩიბაძის (ბარათაშვილ-ის) პირადი სახლთუხუცესი უნდა ყოფილიყო.⁵

¹ კაკაბაძე ს., ისტორიული საბუთები, წიგნი III, ტფ., 1913, გვ. 58.

² ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, შეადგინეს თ. ენუ-ქიძემ, დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ტ. III, თბ, 2014, გვ. 29-31.

³ ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერ-ლობისა. შევსებულია, ქრონოლოგიურად დალაგებული და ახსნილია თ. ქორდანიას მიერ. ტ. II. ტფ., 1897, გვ. 271.

⁴ ს. კაკაბაძე ისტორიული საბუთები, წიგნი III, ტფ., 1913, გვ. 38; შდრ. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. III, თბ, 2014, გვ. 161.

⁵ ვ. გაბაშვილი, დარბაზის რიგის მოხელენი დასტურლამალის მი-ხედვით, ენიმკის მოამბე XIII, 1942, გვ. 167.

1463 წ. ჩიხორის ბრძოლისას ბაგრატი, თავის სახლი-სუხუცესს, მის დასასჯელად იმერეთს გადასული მეფე გიორგი VIII-ს მხარდაჭერაში ადანაშაულებდა: „სახლით უხუცესს ჩხეტიძეს მეფე ბაგრატ გაუწყრა: და აბაშიძე და სრულა რაჭელნი მეფეს იახლენ და (ა)ქადამ. სახლით უხუცესი ჩხეტიძე მისის კერძით მოყვრით შეიყარა და მეფისა (გიორგის VIII-ის) და იმათი იმედეული იყო.“¹

ამდენად, დოკუმენტურ წყაროებში საკმარისი ცნობები მიგვაჩნია მტკიცებულებად, რათა ვივარაუდოთ XVს. 60-70-იან წლებში ქართლის სამეფო კარზე სახლისუხუცესის სახელოს არსებობის შესახებ, რომელიც მეჭურჭლეთუხუცეს ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის სახელოს უნდა შეერთებოდა. ტაოს ერისთავთ-ერისთავის, თაყა ფანასკერტელ-ციციშვილის ძის, ზაზას მეჭურჭლეთუხუცესის სახელოსა და მის ფუნქციაზე მიუთითებს XV ს. პირველი ნახევრით დათარიღებული ვაჩემორის კრებულის პირობის წიგნი.² საკვლევი თემის მეტად საინტერესო საბუთში ვკითხულობთ: „ქ: თქუენ : პატრონთა...მეჭურჭლეთა: უხუცეს: ერისთავთა: ერისთავსა : ფანასკერტელს: ზაზასა: და თქუენსა: მმასა: ციცის: კადრეთ: ესე : წიგნი: და პირი: მტკიცე მიზეზე შემოუღებელი : კადრე: დამოგაქსენეთ : ჩუენ : ვაჩიძორისა 37 მოძღვრმან : კანდელაკმან : და ერთ- სულობით : კრებულმან : მოვედით: კართა: ზედა ვიჩივლეთ ალავთაგან : ქუეყანასმოიკლეთ : და : შეგუიწყალეთ : თქუენა: სამლოცველოდ: და ალავისა: მოსლა: ამოგუიგდეთ ... საუკუნოდ: ზაზასათუის.“ დოკუმენტი ნათლად მიუთითებს,

¹ ქრონიკები და სხვა მასალა საქარველოს ისტორიისა და მწერლობისა. შევსებულია, ქრისტოლოგიურად დალაგებული და ახსნილია თ. ქორდანის მიერ. ტ. II. ტვ., 1897, გვ. 281.

² თაყაიშვილი ექ., არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისა და ჩარგალში, თბ., 1907, გვ. 62.

რომ ტაოს ერისთავს ჯერ კიდევ მეუე ალექსანდრე დიდის მიერ განსაგებლად და საპატრონოდ გადაცემული აქვთ ტაოს საერისთავო, რასაც ადასტურებს 1415 წ. ურჩი ათაბაგის და-მარცხების შესახებ ვახუშტი ბატონიშვილის ცნობა: „შევიდა სამცხეს და დაიპყრნა ყოველი ციხენი...და დასხნა ერისთავნი თვისნი.“ ხელმწიფის კარის გარიგების მიხედვით“ მეჭურჭ-ლეთუხუცესი დიდ ვაზირად ითვლებოდა“ ათაბაგობის დაწყე-ბამდე, მეოთხე ვაზირი ყოფილა. ივ. ჯავახიშვილის განმარ-ტებით, მეჭურჭლეთუხუცესი ვაზირთა უპირველესა და მწი-გნობართუხუცესს გარდა ყველა დანარჩენ ვაზირებს უდრიდა“ და ვარაუდობდა მეჭურჭლეთუხუცესს ვაზირობის გარდა სხვა ხელისუფლებაც უნდა ჰქონდა, თვით „საქვეყნოდ გამ-რიგის“, ისეთივე, როგორიც ჰქონდა ყვარყვარე (ივანე) ცი-ნისჯვარელ ჯაფელს (1191-1247) „პატივითა იყო მეჭურჭ-ლეთ უხუცესი და მთავარ ქვეყანასა სამცხისასა. სარგის ჯაფელი, სამცხის სპასალარი და მეჭურჭლეთ-უხუცესი“.¹

ჩვენი კვლევით სინის მთის სულთა მატიანის მოსახსე-ნებლის, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპების, საეკლე-სიო მუზეუმის №193 სვინაქსარის მინაწერის და გერგეტის სულთა მატიანის მოსახსენებელის შედარებითი ანალიზით, შესაძლებელი გახდა, ზაზა ფანასკერტელის მშობლების, თაყა ფანასკერტელისა და დედის „პროვინციის მეფის“ დემეტრეს ასულის, რუსუდანის იდენტიფიცირება. დემეტრემ ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეშივე, ალექსანდრე დიდისაგან (1412-1442 წწ.) მიიღო საუფლისწულოდ სამეფო „დომენის“ მნიშვნელო-ვანი ნაწილი - „მტკვრის გაღმა მხარის“ სრული ბატონ-პატ-

¹ ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვ. პირველი, თბ., 1928, გვ. 127.

რონობა. ნასყიდობისა და შეწირულების სიგელებში¹ იგი მეფედაც მოიხსენიება. 1452 წ. მამის გარდაცვალების შემდეგ ტახტის კანონიერი პრეტენდენტი კონსტანტინე დემეტრეს ძე, იმულებულია ბიძის, გიორგი VIII (1446-1465 წწ.) მალ-მომრეობისაგან დაიცვას საუფლისწულო მამული. მეფე გიორგის დატყვევებისთანავე 1465 წ. მისგან უკანონოდ მიტაცებული ქართლის ტახტის კანონიერი მფლობელი კონსტანტინე მეორე ხდება (1465-1505 წწ.) ჯვრის მონასტრის №252 აღაპი,² სომხური ჰიმატაკარანი იმავდროულად გვამცნობს, რომ „კონსტანტინეს შემდეგ გავიდა ერთი წელი დაჯდა ბაგრატ“.³ 1466-1467 წწ. ბაგრატ მეფის შეწირულების, მამულის წყალობის და სასისხლო სიგელები⁴ იმერეთიდან ქართლში შემოჭრილი ტახტის პრეტენდენტის აღექსანდრე დიდის ძმისწულის ბაგრატ VI-ის მეფობას ადასტურებენ. მათ მეფობაზე მიუთითებენ ხაზგასმით ევროპული წყაროებიც.⁵ ამ მძიმე განსაცდელის უამს, როცა ბაგრატის მხარეზე გადადის კონსტანტინეს ძმა, დავით ბატონიშვილი, გავლენიანი ამილა-ხვარი ამირინდო ზევდვინიძე კი ამჯობინებს ბაგრატს დაუ-

¹ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, შეადგინეს თ. ენუ-ქიძემ, დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ტ. III, თბ., 2014, გვ. 22.

² მეტრუველი ე., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, (XI-XII)თბ., 1962, გვ. 102, 170.

³ სომხეურ ხელნაწერთა XIV-XV საუკუნეების ანდერძების (ჰიმატაკარანების) ცნობები საქართველოს შესახებ, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები და შენიშვნები დაურთო ა. აბდალაძემ, თბ., 1978, გვ. 82-83.

⁴ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, შეადგინეს თ. ენუ-ქიძემ, დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ტ. III, თბ., 2014, გვ. 151, 155, 165.

⁵ XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ, იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ე. მამისთვალიშვილმა, თბ., 1981, გვ. 21, 54, 75-83.

მოყვრდეს, შიდაპოლიტიკურ დაპირისპირებას კიდევ დაემატა გიორგი VIII-ის გათავისუფლება ათაბაგის ტყველიდან. ქართლის სამეფო ტახტის დაკარგვის რეალური საფრთხე აიძულებდა რადიკალური ხასიათის ცვლილებები განეხორციელებინა. შემოიტკიცა და გააძლიერა ერთგული საგვარეულოები (ციციშვილები, ჯავახიშვილები, ბარათაშვილები) ყმა-მამულებით, სამოხელეო სახელობის წყალობით, შექმნა მეწინავე და მეფის სადროში.¹ ალექსანდრე დიდის სამეფო კარზე ფანასკერტელებთან ქორწინებებით გამყარებული ნათე-საობა და მრავალწლიანი ერთგულება საფუძველს აძლევდა კონსტანტინე მეორეს, თავის დისწულ ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილისთვის მიენდო სახლთუხუცესობა. ამაზე მიანიშნებს 1467 წ. ღოკუმენტით მეფისგან საგანგებოდ და მისთვის გამიზნულად ნაბოძები განუსაზღვრელი უფლებები, „გაღმა მხარეში“ სრულ შეუვალობაზე: „...მოასილი ამა თქვენთა მა-მულთა შიგა ვერსად შევიდეს და ვერცავინ რა საქმე დაიდოს“.² ე.ი. მეფის არცერთ მოხელეს არ გაებედა შესვლა და ჩარევა საგადასახადო, სასამართლო, სამხედრო და ადმინისტრაციულ საქმეებში.

XV ს. 60-70-იან წლების საციციანოს საზღვრების ლოკალიზაციის კვლევამ ცხადყო, რომ მის კონტროლს ექვემდებარებოდა არა მარტო საათაბაგოს საზღვრიდან მცხე-თამდე გადმომავალი მნიშვნელოვანი სატრანზიტო გზები, ციხე-სიმაგრეები, არამედ მეწინავე სადროში – თრიალეთ-ში, ქვემ ქართლსა და „ქართლის სომხითში“, განსაკუთრებით სტრატეგიული მდებარეობით გამორჩეული სოფლები. „დიდი ფანასკერტელის“ მიერ „მეორედ აღმშენებლობას“ ამ

¹ მიჩიტაშვილი მ., საციციანოს ისტორია, წიგნი I, თბ., 2016, გვ. 34.

² სცსსა, ფ. 1448, ს. 64.

მხარეში ადასტურებენ ეპიგრაფიკული წარწერებიც (ბარეთის, ლიპის, წერაქვის)¹.

1468 წ. ბაგრატ და კონსტანტინე მეფების წყალობის სიგელის ცნობით² ბაგრატი იძულებულია ანგარიში გაეწია კონსტანტინეს ერთგული ძალებისთვის, რომლებთანაც ქართლში შემოჭრილს პირველსავე ბრძოლაში მარცხი განუცდია, რასაც ადასტურებს ზევდგინისძეთა სიგელში დაცული ცნობა: „ბაგრატ მეფე ქართლში გადმოვიდა და ციციშვილის წინააღმდეგ გაილაშქრა.“³ ასეთივე ცნობაა დაცული ავშანდაძეთა ნატყუარ სასისხლო სიგელში.⁴ მათ შორის „თანხმობას და თანაბარუფლებიანობას“ განსაზღვრავდა „გაღმა მხარის“ მეფის სადროშოს და მეწინავე სადროშოს „სპანი მარადის“, რომლის სპასპეტი ზაზა ფანასკერტელია. შეიარაღებული ძალების მუდმივ საბრძოლო მზადყოფნაში ფაქტიურად გადაწყვიტა კონსტანტინეს II-ის გამარჯვება ათაბაგის ტყვეობიდან დაბრუნებულ ბიძასთან. გიორგი VIII-ემ შეძლო მხოლოდ (1466 წ.), ზავ-ჰელი ბაგრატის თანა და დაიპყრნა კერძონი კახეთისანი ... ვინავთვან კონსტანტინეს ეპყრა ტფილისი, მთიულ-მოწევენი, სომხითი და ლორე, ხოლო ბაგრატს ქართლი და კახნი ერჩოდენ ნებასა მისსა, განათუ მეფენი არა იბრ-

¹ ე. თაყაიშვილი, სომხით-საორბელოს ძეგლების წარწერები, სტალინის სახელმწიფო თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, ნაწ. მეორე, ტ. 43, თბ., 1951, გვ. 165; ბერძენიშვილი დ., ფანასკერტელთა ფეოდალური საგვარუულოს ისტორიადან, (წერაქვის უცნობ წარწერასთან დაკავშირებით), საქართველოს ისტორიული გეოგრაფის კრებული, ტ. I, თბ., 1960, გვ. 96-97.

² იქვე, გვ. 171.

³ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 5d—1242.

⁴ ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. შევსებულია, ქრონილოგიურად დალაგებული და ახსნილია თ. უორდანიას ძიერ. ტ. II. ტფ., 1897, გვ. 265.

ძოდენ, არამედ სპანი მარადის.“¹ ამ ცნობით შესაძლებელი ხდება კონსტანტინეს სამფლობელოს ლოკალიზება. ამასთან ვახუშტი ბატონიშვილი მეტად საყურადღებო ცნობას გვაწვდის, იმის თაობაზე, რომ მეფე კონსტანტინეს მცდელობა ჰქონია კახეთის ტერიტორიების შემოერთებისა: „მცდელობდა მეფე კონსტანტინე ჰერ-კახთა ერისთავთა თანა კუალად შეერთებისა და ერთმეფობასა, ამისთვის მიერთო მეფრთა მეფესა ბაგრატს და დაიპურა სრულიად კახეთი...“² ამ ცნობის სანდობაზე თავად მიგვანიშნებს ბატონიშვილი: „კახთა განდგომილება გიორგისა და კონსტანტინე მეფისა ქორონიკონთა და გუჯრებთა და მცირეთა ცხოვრებათაგან წარმოიჩინებისო.“³ კონსტანტინეს ძლიერებაზე მიანიშნებს უნგრეთის ელჩის მიერ 1471 წ. 12 აპრილს ვენეციიდან გაგზავნილ წერილში დაცული ცნობა მეფე კონსტანტინეს ელჩების ვენეციაზე ჩასვლასა და გაზაფხულზე 30000 მხედრით ოსმალების წინააღმდეგ უზუნ ჰასანის უზარმაზარ ძალებთან ერთად გამოსვლის შესახებ.⁴ ქართლ-კახეთის გაერთიანების პერსპექტიულმა გეგმამ, ლიხსაქეთა მფლობელობის დაკარგვის შიშმა გუშინდელი დაუძინებელი მტრები გააერთიანა მეფე კონსტანტინეს წინააღმდეგ. ბაგრატთან „შეხმატკბილებული“ მეფობა ამის შემდგომ დიდხანს ვეღარ გაგრძელდებოდა. მართლაც, ბაგრატის (1466-1478 წწ.) გავლენა საქმაოდ შესუსტებული ჩანს 1472 წ. იოთამ მაღლანიძისადმი ბოძებულ წყალობის

¹ ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა მირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1973, გვ. 384; კაქაბაძე ს., ისტორიული საბუთები, წ. III, ტფ., 1913, გვ. 21.

² იქვე, გვ. 567.

³ იქვე, გვ. 303.

⁴ მმისთვალიშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია I (XV-XVIIსს.), თბ., 2009, გვ. 71.

წიგნში,¹ კონსტანტინე თავს მეფეთ-მეფედ აცხადებს, თუმცა სამეფოში „ორიანობა“ კვლავ მოიხსენიება. მეფე კონსტანტინეს წარმოებულ საბრძოლო ეპიზოდებზე და მეტინავე საბრძოლოს სარდალ-სახლთუხუცეს, ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის დამსახურებაზე ქართულ და უცხოურ წყაროთა სიმწირის გამო ძნელია დამატებით საუბარი. თუმცა მის საბრძოლო ღვაწლზე უნდა მიანიშნებდეს, რომ 1477 წ. უზუნ ჰასანმა ქართლის სომხეთში შემოჭრისას ვერ შეძლო კონსტანტინეს სწრაფად დამარცხება. ბრძოლის გაგრძელების შემთხვევაში კი ღედაქალაქის აღება გაუძნელდებოდა, ამიტომ იძულებული გახდა ძალები მოულოდნელი მანევრირებით თბილისისკენ წარემართა. უზუნ ჰასანის კარზე კონსტანტინესთან მორიგება კი ბაგრატთან დაპირისპირების ვერაგული ჩანაფიქრის გარდა, ყაენს აიძულებდა კონსტანტინეს ძალები-სადმი ანგარიშის გაწევის აუცილებლობას.

წყაროები ზაზასმით მიუთითებენ 1483 წ. არადეთის ბრძოლაში ზაზა ფანასკერტელის ამირსპასალარობაზე „შეიყარნეს გაღმართელნი და გამოღმართელნი: ციციშვილები და უფროსად ზაზა ციციშვილი თაობდა“. პირველი მთავარსარდლობა ნამდვილად ვერ იქნებოდა, მაშინ, როცა ბარათაშვილთა სამოხელეო სახელო ალექსანდრე დიდის დროიდან მხოლოდ სალაროს მოლარეობა ჩანს და წესისამებრ სახლთუხუცეს ზაზა ციციშვილს ექვემდებარებოდა. ისტორიკოსი გ. ჯამბურია საბარათიანოს პირველ სარდლად საჩინო ბარათაშვილს მიიჩნევს მეფე სვიმონ I-ის დროს. რაც შეეხება ვახუშტი ბატონიშვილის მიერ მხოლოდ ბარათაშვილთა განდიდება, ციციშვილებისადმი ტენდენციური დამოკიდებულებით აიხსნება. ამ მიზეზების შესახებ ჩვენ კვლევებში სათანადოდ

¹ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, შეადგინეს თ. ენუქიძემ, დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ტ. III, თბ., 2014, გვ. 204-205.

მითითებული გვაქვს.¹ სავარაუდოდ „დიდი ფანასკერტელი“ ხალიბებ ბეგთაშის წინააღმდეგ 1487 წ. ბრძოლას შეეწირა, რადგან იაყებ-ყაენის შემდგომ ბრძოლებში მხოლოდ მისი მემკვიდრე ქაიხოსრო ციციშვილი მოიხსენიება.

საქართველოს ისტორიაში დამპყრობლებთან წინააღმდეგ თავგანწირული ბრძოლებით გამორჩეული მეფე სვიმონ I-ის სახლთუხუცესის სამოხელე სახელო ციციშვილთა საგვარეულოს დამსახურებასა და მეფის გვერდით საბრძოლო მზადყოფნაზე მიანიშნებს. დოკუმენტური წყაროებით, სახლთუხუცესი ციციშვილთა საგვარეულოდან სვიმონ I-ის კარზე „დიდი ფანასკერტელის“ შთამომავალი, ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილია. მის სარდალ-სახლთუხუცესის სახელოზე ცნობა დაცულია მცხეთის შეწირულების 1558 წლის სიგელში (№503), რომელმაც ჩვენამდე ორი პირის სახით მოაღწია.²

ჰასან რუმლუს ცნობით 1561 წ. ციხედიდთან ბრძოლაში ტყვედ ჩავარდნილი მსხვილი თავადი ზაზა-ბეგი „საქართველოს ერთი პატივცემულ ამირათაგანი“, რამდენიმე აზნაურთან ერთად შაპის კარზე გაგზავნეს.³ ისქანდერ მუნში მას „ჯავანა-ბეგად“ მოიხსენიებს.⁴ სვიმონ მეფის დაპატიმრების შემდეგ (1569-1578 წწ.) მისი მომხრეთა თავგანწირული ბრძოლების გამო, დაუთ-ხანის მმართველობა მხოლოდ თბი-

¹ მიჩიტაშვილი მ., საციცანოს ისტორია, წიგნი I, თბ., 2016, გვ. 110-114.

² სცსსა, ფ.1449 ს. 1546; ს. კაქაბაძე ისტორიული საბუთები, წიგნი III, ტფ., 1913, გვ. 65-66.

³ ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსული ტექსტი თარგმანითა და შესავლით გამოსცა ვლ. ფუთურიძემ, შენიშვნები დაურთო რ. კიქაძემ, თბ., 1966, გვ. 36.

⁴ ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ვლ. ფუთურიძემ, თბ., 1969, გვ. 23.

ლისსა და ქვემო ქართლზე ვრცელდებოდა. როგორც ჩანს ამ ბრძოლებში ციციშვილების ერთგულების და თავგანწირვის საპასუხო წყალობაა, რომ სამეფო კარის სახლთუხუცესი კვლავ ზაზა ციციშვილია, რასაც ადასტურებს 1573 წ. წყალობის წიგნი სვიმონ მეფისა გელონ ელიოზისძისადმი. მეფის ტყვეობის გამო საბუთს ხელს ურთავენ დედოფალი ნესტან-დარეჯანი, მეფის ძე ბატონიშვილი გიორგი და სვიმონის ძმა ბატონიშვილი ვახტანგი.¹

ციციშვილთა საგვარეულო XVII ს. 30-იანი წლებიდან საუკუნის ბოლომდე სამეფო კარის სახლთუხუცესის სამოხელეო სახელოს ფლობენ, რაც საგვარეულოს სიძლიერით, მეორეს მხრივ საგვარეულოს დიდი ნაწილის სპარსოფილური ორიენტაციით აიხსნება, რომლის საფუძველი ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობაშია საძიებელი. როსტომ მეფის კარზე ციცი ციციშვილის სახლთუხუცესობას ადასტურებს ქართულ-სპარსულ ორიენტაცია საბუთში დაცული 1634 წ. 27 ივნისის მამულის სითარხნის წიგნი, როსტომ მეფის მიერ მდივან-მწიგნობრის მერაბ ყორღანაშვილისადმი. სიგელის, ნასყიდობასა და თარხნობას ამტკიცებს „სახლის-ხუცესი“ ციცი. პირველწყაროს ქართულ ტექსტს დართული აქვს როსტომ მეფის გუმბათიანი ბეჭედი.² წყაროთა სიმწირის გამო დამატებით ცნობებზე საუბარი ძნელია, თუმცა არ გამოვრიცხავთ ფარსადან და ნოდარ ციციშვილის საგვარეულო

¹ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტომი შეადგინა და ქართული ტექსტები გამოსაცემად მოამზადა მ. სურგულაძემ, ტ. IV, თბ., 2016, გვ. 287.

² ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, ტექსტი დაადგინა, თარგმანი და შენიშვნები დაურთო, ვლ. ფუთურიძემ, თბ., 1955. გვ. 112-115.

შტოსთან ნათესაური კავშირის გამო პირველი მსხვერპლი გამხდარიყო.

მეფე თეიმურაზის და როსტომ ხანის პოლიტიკურმა და შიდაკლასობრივმა ბრძოლებმა, კიდევ უფრო გაამწვავა დაპირისპირება სხვადასხვა მხარეს მდგომ ციციშვილთა საგვარეულო შტოებს შორის. შაპის კარის ინტრიგებში გამოცდილი როსტომი შესანიშნავად ახერხებდა სიფრთხილესა და დაუნდობლობასთან ერთად თეიმურაზის ძლიერ და გავლენიან მომხრე ციციშვილთა შტოების გადაბირება-მოსყიდვას. თეიმურაზ I-ის დარბაზის წევრი ციციშვილი მანუჩარი 1606-1632 წწ. დათარიღებულ განჩინებაში აქტიურად მონაწილეობს.¹ ქართლში როსტომის გამეფების შემდეგ მალე მის მომხრეთა რიგებშია. სახლთუხუცესად იგი პირველად მოიხსენიება 1638 წ. განჩინებაში როსტომ მეფისა პაატა ელიზბარისშვილისა და გლურჯიძეების მამულის საქმეზე.² როსტომის კარზე დაწინაურებულ ციციშვილთა საგვარეულო შტოების, სარდალ პაპუნას და სახლთუხუცეს მანუჩარს (1638-1646 წწ.) შორის ჩამოვარდნილი სასისხლო დავა 1640 წ. თავად როსტომს განუსჯია და სამტროდ გადაკიდებული სახლისკაცები შეურიგებია.³ მოსისხლეები დამოვრებულან, მანუჩარის ქალიშვილი ანუკა ცოლად შეურთავს პაპუნას ვაჟს ზაზას.⁴ იგი სათანადოდ აფასებს ციციშვილთა საგვარეულოს შესაძლებლობას, როცა მის ერთგულ შტოებს შორის, მეტოქეობა და ბრძოლა საშიშ ხასიათს იღებს, ამჯობინებს თავად როს-

¹ ქართული სამართლის ქადაგები, ტ. IV, სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთოვ. ღ. დოლიძემ, თბ., 1972, გვ. 66-67.

² იქვე, გვ. 72-74.

³ იქვე, გვ. 76.

⁴ სცსსა, ფ. 1450, დავთ. 51, ს. 70.

ტომმა მოარიგოს მოწინააღმდეგები უმტკივნეულოდ, რომ მეფის ერთგულნი შენარჩუნებულ იქნას, იმის შიშით მათი განდგომით ოპოზიციური ძალები არ გაძლიერებულიყო. როსტომისაღმი მტრულად განწყობილი, მეფე თეიმურაზის მოკავშირე ზემო ციციშვილების საპასუხოდ, ქვემო ციციშვილები მაღალ სამოხელეო სახელოებით არიან წარმოდგენილი როსტომის კარზე. სახლთუხუცესის სახელოთი მანუჩარი უკანასკნელად გვხვდება 1646 წ. რამოდენიმე დოკუმენტურ წყაროში.¹ სავარაუდოდ მისი გარდაცვალების შემდგომ მისი ძმა, ყაია (1648-1658 წწ.), მემკვიდრეობით იღებს სახლთუხუცესობის თანამდებობას. მეფე როსტომის და მარიამის ბრძანებით ნაწყალობევი მატულის გაცვლა გოგიბაშვილებსა და ბარათაშვილებს შორის სახლთუხუცეს ციციშვილი ყაიას, მდივანბეგ ჯავახიშვილი როინის და თურმან თურმანიძის შუამავლობით მომხდარა.² სახლთუხუცესად 1656 წ. როსტომ მეფის გარდაწყვეტილების წიგნშიც მოიხსენიება.³ სახლთუხუცეს ყაიას და სარდლის პაპუნას შტოებს შორის ახალ სამამულო დავის შესახებ ცნობებს გვაძლევს საარქივო საბუთი.⁴ 1657 წ. სამამულო დავის გადაწყვეტისას იგი კათალიკოსის, ბატონი თბილელის გვერდით მოიხსენიება.⁵ ციციშ-

¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1972, გვ. 85, 691.

² სცსსა, ფ. 1450, დავთ. 8, ს. №28.

³ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1972, გვ. 99.

⁴ სცსსა, ფ. 1449, ს. 1055.

⁵ საქართველოს სიმველენი, წ. I, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა, რედაქტორი ექვთ. თაყაიშვილი, თბ., 1909, გვ. 113-114.

ვილი ყაია ამ თანამდებობაზე უკანასკნელად მოიხსენიება მეფე როსტომის გარდაცვალებამდე 1658 წ. როსტომის გარდაცვალების შემდეგ (1658 წ.)¹ ფარსადან გორგიჯანიძის ცნობით, ტახტის მემკვიდრის და დედოფალი მარიამის მდგომარეობის გასარკვევად ერთგულ სარდალს, დიდი ავტორიტეტისა და გავლენის მქონე დარბაისელს, პაპუნა ციციშვილს (1632-1664) ჩაფრად აგზავნიან ყაენის კარზე. სპარსოფილი პაპუნას დიპლომატიური მისა ყაენის კარზე წარმატებული აღმოჩნდა, თავად შაპ-აბას მეორის ფირმანით დიდი წყალობა დამსახურა.² ყაენმა დედოფალი შეიწყალა და ვახტანგსაც ქართლი დაუმტკიცა. სამეფო კარიდან შედეგმაც არ დააყოვნა და სარდალი პაპუნა სახლთუხუცესობის წყალობას დამსახურებულად იღებს (1659-1664 წწ.). ვასილ არჩილის ძე ციციშვილის შემოწირულ 1661 წელს გადაწერილ უძმ-გულანის №342 ტექსტის მიხედვით ქვემო ციციშვილები „სარდალ-პალატ-უხუცესებად“ იწოდებანა.

იდენტური სურათი გვაქვს მეფე თეიმურაზის მომხრე ზემო საციციანოს საგვარეულო შტოსთან. ნოდარ ციციშვილი XVII ს. ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე ქართლის სამეფოს იმდროინდელ პოლიტიკურ ცხოვრებაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა. ამ მხრივ საინტერესოა ჩვენს მიერ სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანილი მეფისა და ნოდარ ციციშვილის მრავალმხრივ საინტერესო ახლო ურთიერთობის ამსახველი დღემდე უცნობი საარქივო დოკუმენტი:

¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1972, გვ. 109.

² სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში, ტექსტები დაადგინა, თარგმანი და შენიშვნები დაურთო ვლ. ფუთურიძემ, წიგნი 1, ნაკვეთი I; თბ., 1961, გვ. 60-61.

„მეფემან : პატრონმან : თეიმურაზ : თანამეცხედრემან : ჩვენმან : დედოფლმანან : პატრონმან : ხვარაშან ... ჩუენსა : ერთგულსა და თავდადებულს : ჩვენისა : ნოდარს... ამაპირსა : ზედა: რომე : ჩუენ : ხუანთქართან : კარზედ: წავედით : და თქვენ : ჩუენი : ცოლი და შვლი : მოგაბარეთ და დედოფლის: სახლის უზუცობა გიბოძეთ აწ იპრანს ღ“ნ და იქიდალმა მშვიდობითა მოვედით ... ასრე გაგირიგოთ...“¹

ზაზა პაპუნას ძე ციციშვილი, ვახტანგ V-ის უახლოესი ნათესავი, მეფის ბიძაშვილის, დომენტი კათალიკოსის დის-წული გავლენით, ერთგულებითა და თავგანწირვით გამორჩეული სამეფო კარის სახლთუხუცესი და მეწინავე სადროშოს სარდალია, მამის გარდაცვალების შემდეგ (1665-1672 წწ.). ამ სახელოთი პირველად მოიხსენიება 1665 წელს მეფე შაპნავაზის მიერ ტფილისის სიონისადმი ბოძებულ სიგელში, №58 და ამოწმებს ბეჭდით.² გ. ჯამბურიას ცნობით, „სპასპეტი საბარათიანოსი“ ზაზა ციციშვილი მესამე პირი იყო საბარათიანოს სარდალი სხვა საგვარეულოდან.“³ დოკუმენტური და ნარატიული წყაროების მიხედვით აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობას ეწეოდა მამასთან ერთად. 1646 წლიდან ზაზა აქტიურად იბრძოდა კახეთისა და იმერეთის შემოერთებისათვის, ხოლო 1663-64წწ. ერეკლე ბატონიშვილის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში. პაპუნა ფავნელიშვილისა და ბაალურ მაჩაბლის მორიგების 1666წ. წიგნში მეფე შაპნავაზისა და სამეფო კარის დარბაისელთა გვერდით სახლთუხუცესის

¹ სცსსა, ფ. 1448, ს. 618.

² ისტორიული საბუთები, სარგის კაკაბაძე, წიგნი IV, თბ., 1913 გვ. 43.

³ გ. ჯამბურია ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955, გვ. 29.

სახელოთი მოიხსენიება.¹ 1670 წ. მონაწილეობს ბარათაშვილებისა და ვირშელიშვილების სასისხლო საქმის განჩინებაში.² სამამულო დავის გამო ბიძაშვილი ციცი³ იძულებულია იმერეთში გადავიდეს. ვახტანგ V სარგებლობს ფეოდალური სახლის შიგნით არსებული უთანხმოებით და წარმატებით იყენებს მას თავისი მიზნებისათვის. იმერეთის კარზე გადასულ, განაწყენებულ ციცი ციციშვილს ფარულად უკავშირდება იმერეთის დაკავების მხარდასჭერად. დოკუმენტიდან აშკარად ჩანს აგენტურული ქსელის შექმნა, იმერეთის სამეფო კარის წარჩინებულების გადმობირების მიზნით, სანაცვლოდ დიდ წყალობას ჰპირდებოდა.⁴ ამდენად, შაპნავაზი და ბატონიშვილი გიორგი შაპის მოჩვენებითი ქვეშევრდომობის მიუხედავად ხელს არ იღებდნენ ქვეყნის გაერთიანების იდეაზე, რაც შაპის შეუმჩნეველი არ რჩებოდა. შაპის საპასუხო ქმედებათ შეაფასეს ისპაპანის ტარულის, გამაპმადიანებული ალექსანდრე უფლისწულის გავლენის ზრდა ირანში. ტარულისა და სპასპეტის ნათესაური ურთიერთობის გააქტიურება, მათი სიახლოვე შაპის კართან, შაპ სულეიმანის (1666-1694 წწ.) მიერ ზაზა ციციშვილის მიწვევა 1671 წელს და შაპის ხალათის წყალობა სამეფოს სპასპეტისა და სახლოუზუცესი-

¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ღ. ღ. 125.

² იქვე, გვ. 125.
³ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.). ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ღ. ღ. 1337.

⁴ სცსსა, ფ. 1449, ს. 328.

სათვის,¹ მეფემ და ბატონიშვილმა გიორგიმ შაპისაგან ქართლის სამეფო ტახტის დაკარგვის ვერაგულ საფრთხედ მიიჩნიეს, ტახტის პრეტენდენტის სასარგებლოდ. ვახუშტისეული შეფასება „განდიღნა და იქცეოდა ამაყად“ შეფარული მცდელობაა, როგორმე გაამართლოს სარდალ-სახლთუხუცესის მკვლელობა გიორგი ბატონიშვილის მიერ. სახელოვანი, სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწის, სპასპეტ სახლთუხუცესის მოღვაწეობის, ყმა-მამულის მფლობელობის, მისი ცხოვრებისა და მკვლელობის შესახებ მხოლოდ ორიოდ დოკუმენტს მიღვაკვლიეთ, 1669 წელს ყმის ნასყიდობისა და ჩუქების წიგნებს.² საბუთების მიზანმიმართულად გაქრობის მიზეზი მოგვიანო პერიოდის, 1701-1703 წწ. ციციშვილების ყმა-მამულის საქმეზე განჩინებით და საარქივო საბუთით გახდა ცნობილი: „...როედსაც სარდალი ზაზა მოკლესო, მაშინ შანავაზ მეფემ ჩვენი ქონება აიკლო და სიგლები და მისი საპასუხო წიგნები მაშინ წაგვისდა...“³ აქვე ისმის ლოგიკური კითხვა, რამდენად უალტერნატივო, სწორად გათვლილი, ხელსაყრელი დრო იქნა შერჩეული კომპრომისული პოლიტიკიდან, ხისტი დაუმორჩილებლობა, სპარსოფილ მოხელეებზე შერისძიება და, იმავდროულად, შაპის ქვეშევრდომობიდან

¹ სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში, ტექსტები დაადგინა, თარგმანი და შენიშვნები დაურთოვ ვლ. ფუთურიძემ, წიგნი 1, ნაკვ. I2, თბ., 1962, გვ. 19-20, 40-42, 44-45.

² დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, II, ბატონიშვრი ურთიერთობა XV-XIX სს. ბერძნიშვილის რედაქციით, თბ., 1953, დოკ. 12, გვ. 9; დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან ბატონიშვრი ურთიერთობა (XV-XVIII სს.) ბერძნიშვილის რედაქციით, I თბ. 1940, დოკ. 66, გვ. 47.

³ ქართული სამართლის ქველები, ტ. IV, სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთოვ ი. დოლიძემ, თბ., 1972, გვ. 206-207; ფ.1450. დავთარი №51 საბ. №111.

ქვეყნის გამოხსნისათვის შიდა და გარე სამოკავშირეო ძალების კონსოლიდაციის პერსპექტიული გეგმა. ზაზას მკვლელობის შემდეგ მეფე შაჰნავაზი, როგორც ჩანს, ასრულებს მიცემულ პირობას. ციცი ციციშვილის ქართლში მამულის წყალობას და სახლთუხუცესობას ადასტურებს 1672 წ. დომენტი კათალიკოზის წყალობის წიგნი პაპუა მაღალაძისადმი ციცის ხელრთვით.¹ ციციშვილების გაყრის 1672-1673 წწ. განჩინებით კი სათავადოს მნიშვნელოვან სოფლებს იყოფენ ციცი, ქაიხოსრო და ფარსადან ციციშვილები.² 1674 წ. ტატიშვილების გაყრის საქმის განჩინებების მიხედვით სამეფო კარის სახლთუხუცესი ციციშვილი ციცი, გიორგი ბატონიშვილის სახლთუხუცეს, შიომ ზედგენიძეზე უწინ მოიხსენიება.³ 1676 წ. მეფე შაჰნავაზის შაჰის კარზე გამგზავრებამდე, ვახტანგ ორბელიშვილს მდივანბეგობის სახელოს ბოძების სიგელში, სახლთუხუცესად კვლავ მოიხსენიება ციცი,⁴ თუმცა მის დაწინაურებას ახალი დაპირისპირება მოჰყოლია საგვარეულოში: „...ციცი წამოვიდა ტფილისს აბანოდ და დახუდენ იშიშუტრუქის წიდს ზეთ ფარსადან, პაატა, ვახტანგ, ნოდარ და ამილაბარ ძმანი, მოჰყლეს ციცი და ივლტოდემ მამულსა თვისსა. განრისხებული მეფე მიუკლათ, არამედ

¹ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, საექლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.). ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და სამიებლები დაურთო ო. დოლიძემ, თბ., 1970, გვ. 570-572; სცსსა, ფ. 1449, საქმე 328.

² ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და სამიებლები დაურთო ო. დოლიძემ, თბ., 1972, გვ. 128-132.

³ იქვე, გვ. 132; იქვე, გვ. 134-136.

⁴ საქართველოს სიძველენი, ტ. II, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა, რედაქტორი ექვთ. თაყაიშვილი, თბ., 1909, გვ. 137.

გაესწირნენ იგინი. ხოლო აზნაურნი, შემზრახნი მათ თანა მოსწყველია და მისცა მამულნი ციცის, ძესავე ციცისასა.”¹

გიორგი XI-ებ (1677-1688 წწ.), სწორად ვერ გათვალა რა ირანის შესაძლებლობები და მოსალოდნელი საფრთხეები, დაუმორჩილებლობის საპასუხოდ შაჰმა ქართლის მეფედ ახლად გამაჰმადიანებული ერეკლე, ნაზარალი-ხანი (1688-1703 წწ.) დანიშნა. გიორგი იძულებული გახდა იმერეთში გადასულიყო. ერეკლე ნაზარალი-ხანის გამეფებისთანავე ციციშვილი ქაიხოსრო სამეფო კარის სახლთუხუცესია, (1688-1697 წწ.), რასაც ადასტურებს 1688 წ. განჩინება გიორგი მიქელაძისა და პაპუნა გოსტაშაბიშვილების საქმეზე.² გიორგი მეფის სახლთუხუცესი კი ამ პერიოდის დოკუმენტების მიხედვით ამილღაბარ (ამილღანბარ) ციციშვილია 1684-1695 წწ.³ ნარატიული წყაროებით გიორგის მომხრეების წინააღმდეგ საბრძოლველად ნაზარალიხანი ერთგულ მოხელეს ქაიხოსრო ციციშვილს, ლოპინას აგზავნის. 1691 წ. ქართლში გადმოსული მეფე გიორგი 4 წელი ებრძოდა ერეკლეს ქართლის ტახტისათვის. სახლთუხუცესის თანამდებობაზე ორივე მეფე თავის მომხრე ციციშვილებს ნიშნავს, რაც მათ შესაძლებობზე მიანიშნებს. მეფე გიორგის დუშეთში მოსვლისთანავე არაგვის ერისთავი და ციცი მმებითურთ გიორგი XI-ეს მიმხრობიან,

¹ ქართლის ცხოვრება IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1973, გვ. 458.

² ქართული სამართლის მეგლები, ტ. IV, სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1972, გვ. 152; ქართული სამართლის მეგლები, ტ. III, საქალენით საკანონმდებლო მეგლები (XI-XIX სს.). ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1970, გვ. 622.

³ სცისა, ფ. 1448, საქმე 5076; Sd-538; საქართველოს სიძველენი, ტ. II, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა, რედაქტორი ექვთ. თაყაიშვილი თბ., 1909, გვ. 139.

მხოლოდ: „ქაიხოსრო ლოპინაშ შეიკრიბნა სპანი თვისნი ... და მიეცება საბრძოლოდ ... ივლტოდა ქაიხოსრო და შევიდა ტფილის ერეკლეს თანა და მმისწულმან ქაიხოსროსამან ციციმ დაიპყრა საციციანო და მოერთო მეფესა. ხოლო შეკრებული მეფე ... მივიდა და დადგა კოუთორსა ზედა მეფე გიორგი.“¹ ამ ერთგულების საზღაურად მოგვიანებით 1693 წ. ნაზარალინანმა ქაიხოსროს უწყალობა ციცი ციციშვილისა და მისი ძმების მამული.²

„ორიანობა“ ტრაგიკული ფურცელია ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. განსხვავებული საგარეო პოლიტიკური ორინტაცია, მართალია, ხშირად ქვეყნის უსაფრთხოების ინტერესებით იყო ნაკარნაზევი, მაგრამ იმავდროულად გადაჭარბებული პირადი ამბიციები ძალაუფლების შენარჩუნებისათვის, განმათვისუფლებელი ბრძოლების პარალელურად ორ დაპირისპირებულ მხარედ გაყოფილ ქვეყანას საშიშროებას უქმნიდა. მოქნილ, ხშირად კი ზისტი პოლიტიკური თუ დიპლომატიური სვლების ლაბირინთებში გზაბნეული და ერთმანეთთან დაპირისპირებული ციციშვილთა საგვარეულო შტოები, „ორიანობის“ შიშა და გაურკვევლობაში მყოფნი, ხშირად ისევ შაპის „მფარველობას“ არჩევდნენ. 1694 წელს „ქუეგანმსედველ ექმნა გიორგი მეფესა ციცი ციციშვილი და აცნობებდა ყოველსავე ნაზარ-ალიზანს, რამეთუ იყო ლოპინა მის თანა. ამისთვის შეიპყრა გიორგი მეფემან ციცი, მოაშთო იგი და მისცა საციციანო ფარსადანს ნოდარის ძესა“³ საგარაუდოდ ციცის ღალატის მიზეზი მამისეული სახლთუხუცე-

¹ ქართლის ცხოვრება IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1973, გვ. 467.

² სცსსა, ფ. 1448, ს. 5019.

³ ქართლის ცხოვრება IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1973, გვ. 470.

სის თანამდებობის ჩამორთმევა უნდა გამხდარიყო, ნაზარალი-ნანთან ფარული მოკავშირეობით კი ცდილობდა საციციანოს წინამძღოლობაც არ დაეკარგა.

ერეკლე I ნაზარალი-ხანის სახლთუხუცესი ქაიხოსრო ციციშვილი მოიხსენიება 1692წ. დოკუმენტებში კათალიკოსიოანესა და სამეფო კარის დარბაისელთა შორის.¹ ნაზარალი-ხანის მხარდაჭერით 1695 წ. ქაიხოსრო ციციშვილმა ”გარდ-მოვლო მთა თორისა გუჯარეთსა ზედა და დასდგა გვეძი-ნეთს. ამისმან მცნობელმანმ მეფემან გიორგი წარავლინა ფარსადან ციციშვილი და ზურაბ ერისთავისშვილი, არამედ ვერარა ავნეს ქაიხოსროს და დაიპყრა საციციანო მან,”² რადგან ერეკლე ნაზარალი-ხანი საკუთარი ძალებით ვერ გა-უმკლავდა გიორგის, შაჰმა „იწყინა ძალად დაჭერა ქართლი-სა“ 1695 წ. ფირმანით გამოუსია ძლევამოსილი ჯარი, ქალ-ბალი ხან ზიად ოღლი ყაჯარის მთავარსარდლობით. სეხნია ჩხეიძეც ადასტურებს გორთან მეფისა და ქალბალი-ხანის გა-მოჩენას, „შეექმნა რჩევა მეფე გიორგის, რადგან ძმები ყაუნის კარზე ყვანდა-ო.“ მცხეთისადმი შეწირულების 1696 წ. სი-გელში მოწმეთა შორისაა სახლთუხუცესი ციციშვილი ქაი-ხოსრო.³ 1697 წ. ქაიხოსროს გარდაცვალების შემდეგ სახლ-თუხუცესობას მემკვიდრეობით იღებს მისი შვილი ედიშერი. ამას მოწმობს 1697 წ. 11 ნოემბრის, ნასყიდობის წიგნი, მი-ცემული მელიქ ავთანდილ მირიმანიძისა, მდივან გივი თუ-

¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ა. ლოლიძემ, თბ., 1972, გვ. 157.

² ქართლის ცხოვრება IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1973, გვ. 473.

³ ქრონიკები და სხვა მასალა საქარველოს ისტორიისა და მწერ-ლობისა. შევსებულია, ქრონილოგიურად დალაგებული და ახსნილია თ. უორდანიას მიერ. ტ. II. ტფ., 1897, გვ. 515.

მანიშვილისადმი.¹ სახლთუხუცესი ედიშერ ციციშვილი აქტიურად მონაწილეობს ერეკლე I-ის დავით გარეჯის და ციციშვილების, სამამულო დავის განჩინებებში, ასევე მაღალაძეებისადმი მამულის წყალობის შუამდგომლობასა² და საგვარეულო სახლის გაყრის საქმის განჩინებაში.³

ვახტანგ VI-ის ჯანიშინობის პერიოდში ციციშვილები კარგავენ ქვემო საციციანოს და სახლთუხუცესობას. ქართლის გამგებელ, ბაქარ ბატონიშვილს მეტი შორსმჭვრეტელობა და ალლო გამოუჩენია: „მიუღო რა ბაქარ სახლთუხუცესობა დათუნას, ქსნის ერისთავისა, და მისცა ედიშერს ძესა ქაიხოსრო ლოპინასასა.“⁴ 1717 წ. მამულის წყალობის წიგნის სპარსული ტექსტის მიხედვით სახლთუხუცესმა ედიშერ ციციშვილმა „...იტვირთა ბრწყინვალე თაჯის მოტანა ...[შაპისაგან]... მან დაიმსახურა მეფესთან დაახლოებულ პირთა დასში ჩაირიცხა ... ასეთი სამსახურის სანაცვლოდ ჩვენ გამოვარჩიეთ და განვადიდეთ ის ჩვენი კარისა და ქართლის ვექილობის და ციცისშვილის დიდებული საპატიო სახელის [ბოძებით].“⁵ პირველწყაროს მიხედვით სახლთუხუცესი ედიშერ ციციშვილი შაპის კარზე მოლაპარაკებას აწარმოებდა ვახტანგ VI-ის მიერ ქართლის გამგებლად დანიშნული გამაპმადიანებული

¹ ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, ტექსტი დაადგინა, თარგმანი და შენიშვნები დაურთოვ.ვ. ფუთურიძიძემ თბ., 1955, გვ. 386.

² ქართული სამართლის მეგლები, ტ. IV, სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და სამიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1972, გვ. 190, 200.

³ ოქვე, გვ. 206-207.

⁴ ქართლის ცხოვრება IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1973, გვ. 496.

⁵ ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, ტექსტი დაადგინა, თარგმანი და შენიშვნები დაურთოვ, ვლ. ფუთურიძიძემ, თბ., 1955, გვ. 428, 429.

ძმის, ანტიქართული პოლიტიკის გამტარებელი იესეს (ალი ფული-ხანის 1714-1716 წწ.) ნაცვლად, ბაქარ ბაზონიშვილის ქართლის გამგებლობაზე (1717-1719 წწ.) შესათანხმებლად. შაჰსაც ჭირდებოდა დიდი ავტორიტეტის მქონე მამა-შვილის ერთგულება, რადგან ოსმალეთის წაქეზებით გაძლიერდა ლეკების თავდასხმები ირანსა და მის ქვეშევრდომ ტერიტორიებზე. ამდენად, შაჰის კარის ინტრიგებში გამოცდილი სახლ-თუხუცესის მისია იმდენად წარმატებული აღმოჩნდა, რომ შაჰისაგან ქართლის ვექილობაც დაუშესახურებია. იგი მოსამართლე და გამრიგებელია 1717 წ. ვანთის წმინდა დავითის მამულების და ჯავახიშვილების მამულის განჩინებისას,¹ ასევე 1719 წ. ნასყიდობის წიგნის შედგენისას.² მეცე ვახტანგის ირანიდან დაბრუნებისთანავე 1719 წ. სპარსოფილობის გამო მიუღებელი აღმოჩნდა სახლ-თუხუცესი ედიშერ ცი-ციშვილი, რომელიც იძულებული გახდა კახეთის სამეფო კარისთვის შეეფარებინა თავი.

XVIII ს. 40-იანი წლებიდან საუკუნის ბოლომდე შეუვალობა, გავლენა და სამეფო კარის სახლ-თუხუცესობის სახელო დაკარგული აქვთ ციციშვილებს. საინტერესო ცნობას დედოფლის სახლ-თუხუცესის შესახებ კამერალური აღწერის დავთრებზე მუშაობის დროს მივაკვლიეთ.³ მოვიძიეთ 1759 წ. მეცე თეიმურაზ მეორის წყალობის სიგელის საარქივო საქმის ორიგინალი პირიც, სადაც ვკითხულობთ: „შეგიწყალეთ

¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1972, გვ. 231, 274-275.

² საქართველოს სიმელენი, ტ. II, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა, რედაქტორი ექვთ. თაყაიშვილი, თბ., 1909, გვ. 298.

³ სცესა, ფ. 213, საქმე 252 №82.

და გიბოძეთ...ერთგულსა და მრავალგვარად წესისაებრ თავ-დადებით ნამსახურს ... ზემო ციცისშვილს იოვანეს შვილს ზაქარიას ... მამაშენი იოვანე ჩვენი გაზრდილი იყო და მუდამ ჩვენს სამსახურში გაუყრელათ გვახლდა ... იოვანე მრავალ-ჯერ სახელოვნათ გამოვდოდა ... სურამს შეტბენით. იოვანე გულოვნად წინ მივდა ... ჩემს წინ მოკლეს და ამისათვს, რაც იმას ჩვენგან წყალობა სჭირდა არც ერთი მოგიშალეთ. დე-დოფლის სალთხუცობა და წინწყაროს მოურაობა ძველთაგან-ვე თქვენი სამკვიდრო საკელო იყო ... ეს ორივ მამიშენის ნა-ქონი სახელო იყო შენთვსვე წყალობა გვიქნია ...¹ დედოფალ თამარის გარდაცვალების შემდეგ (1746 წ. აპრილი) მეფე თემურაზმა მეორედ იქორწინა, საციციანოს სარდალ ქაი-ხოსრო ციციშვილის ქვრივზე ანახანუმზე. უმცროსი ვაჟი იოანე მეფისა და დედოფლის მზრუნველობით იზრდებოდა სასახლეში. დოკუმენტიდან ხაზგასმით ჩანს დედოფლის სახ-ლთუხუცესობა და წინწყაროს მოურაობა იოვანეს დამსახუ-რებულად მიუღია, გარდაცვალების შემდეგ კი მემკვიდრეო-ბით უწყალობეს მის შვილს, ზაქარია ციციშვილს.

ქართლ-კახეთის სამოხელეო მასალებში დაცულია 1803 წ. დოკუმენტი ნოდარიშვილი^{*} გიორგის,² დედოფლის სახლ-

¹ სცსა, ფ. 1448, ს. 506; ფ. 213, საქმე 252, № 82; ფ. 1449, საქმე № 2521.

* ფანას ქერტელ-ციციშვილთა საგვარეულოში, გვარის მამისშვილო-ბით წარმომავლობის არაერთი შემთხვევა გამოვლინდა საციციანოს ის-ტორიაზე მუშაობისას. ერთგვარ წესად შემორჩა გავლენით და სიძლი-ერთ, გამორჩეული, სამეფო კართან დაახლოვებული, ან სათავადოს ცო-ბილი სარდლის გვართა (სარდლისშვილი, ზაზაშვილი, პაპუნაშვილი, ნო-დარიშვილი და სხვ.) მამისშვილობით წარმომავლობა.

² შ. მესხია, მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყო-ბის ისტორიისათვის, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისა-თვის, თბ., 1948, გვ. 11, საბ. № 11.

თუხუცესის სახელოს შესახებ. საციციანოს სარდლის ციცი-შვილი გიორგის ასული მარიამი საქართველოს უკანასკნელი მეფის, გიორგი XII-ის თანამეცხედრეა 1782 წლიდან¹. სახლთუხუცესის სახელოთი იგი პირველად მოიხსენიება 1790 წელს. ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებამდე დადოფულის სახლთუხუცესის, გიორგი ციციშვილის და მისი სარგოს შესახებ საინტერესო ცნობები შემოგვინახა XVIII ს. ნარატიულმა წყაროებმა და საარქივო მასალებმა.²

დამოწმებანი:

ბერძენიშვილი დ., ფანასკერტელთა ფეოდალური საგვარეულოს ისტორიდან, (წერაქვის უცნობ წარწერასთან დაკავშირებით), საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, ტ. I, თბ., 1960;

გაბაშვილი ვ., დარბაზის რიგის მოხელენი დასტურლამალის მიხედვით, ენიმკის მოამბე XIII, თბ., 1942;

დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან ბატონიშვირი ურთიერთობა (XV-XVIII სს.) ბერძენიშვილის რედაქციით, I თბ., 1940;

დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, II, ბატონიშვირი ურთიერთობა XV-XIX სს. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1953;

თაყაიშვილი ექ., არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლ-თისა და ჩარგალში, თბ., 1907;

თაყაიშვილი ექ., სომხით-საორბელოს ძეგლების წარწერები, სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, ნაწ. მეორე, ტ. 43, თბ., 1951;

¹ სცსსა, ფ 1448 ს. 2108.

² სცსსა, ფ. 1448, ს. 4000; ფ. 1448, აღწ. 1, ს. 9098.

ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ. სპარ-სული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლითურთ გა-მოსცა ვლ. ფუთურიძემ, თბ., 1969;

კაგაბაძე ს., ისტორიული საბუთები, წიგნი III, ტფ., 1913;

კაგაბაძე ს., ისტორიული საბუთები, წიგნი IV, თბ., 1913;

მეტრეველი ე., მასალები იერუსალიმის ქართული კოლო-ნიის ისტორიისათვის, (XI-XII) თბ., 1962;

XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართვე-ლოს შესახებ, იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ე. მამისთვალიშვილმა, თბ., 1981;

მამისთვალიშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია I (XV-XVI სს.) თბ., 2009;

მესხია შ., მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის ისტორიისათვის, მასალები საქართველოსა და კავკა-სიის ისტორიისათვის, თბ., 1948;

მიჩიტაშვილი მ., საციციანოს ისტორია, წიგნი I, თბ., 2016;

საქართველოს სიძველენი, წ. I, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა, რედაქტორი ექვთ. თაყაიშვილი, თბ., 1909;

საქართველოს სიძველენი, წ. II, საქართველოს საისტო-რიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა, რედაქ-ტორი ექვთ. თაყაიშვილი, თბ., 1909;

სომხურ ხელნაწერთა XIV-XV საუკუნეების ანდერძების (ჰიმატაკარანების) ცნობები საქართველოს შესახებ, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები და შენიშვნე-ბი დაურთო ა. აბდალაძემ, თბ., 1978;

სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსა-ცავებში, ტექსტები დაადგინა, თარგმანი და შენიშვნები და-ურთო ვლ. ფუთურიძემ, წიგნი 1, ნაკვ. I, თბ., 1961;

სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთ-საცავებში, ტექსტები დაადგინა, თარგმანი და შენიშვნები დაურთო ვლ. ფუთურიძემ, წიგნი 1, ნაკვ. 12, თბ., 1962;

ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973;

ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, შეადგინეს თ. ენუქიძემ, დ. კლდიაშვილმა, პ. სურგულაძემ, ტ. III, თბ., 2014;

ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტომი შეადგინა და ქართული ტექსტები გამოსაცემად მოამზადა პ. სურგულაძემ, ტ. IV, თბ., 2016;

ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, ტექსტი დაადგინა, თარგმანი და შენიშვნები დაურთო, ვლ. ფუთურიძემ, თბ., 1955;

ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.). ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. ღოლიძემ, თბ., 1970;

ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. ღოლიძემ, თბ., 1972;

ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. შევსებულია, ქრონოლოგიურად დალაგებული და ახსნილია თ. უორდანის მიერ. ტ. II. ტფ., 1897;

შენგელია ნ., სახლთუხუცესის თანამდებობა იმერეთის სამეფოში, ქუთაისის პედ. ინსტ. შრომები ტ. 1, 1940;

ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვ. პირველი, თბ., 1928;

ჯამბურია გ., ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955;

პასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსული ტექსტი თარგმანითა და შესავლით გამოსცა ვლ. ფუთურიძემ, შენიშვნები დაურთო რ. კიკნაძემ, თბ., 1966.

Manana Michitashvili

Gori State Teaching University

**FOR THE ISSUE OF THE OFFICIAL POST OF CHIEF
STEWARD TAKEN BY THE TSITSISHVILIS
RESUME**

The paper studies the leaders of the chief steward post of the Royal court after collapse of the united Georgia. On the bases of different sources it became possible to identify the Tsitsishvilis taking the duties of chief steward and study their work for public good. Despite a limited number of the sources, alongside with the ties of relationship, the reason for which merit the Tsitsishvilis were appointed on this important post is determined.

The abovementioned issue, being still not studied, is important also from the point of defining the relationship of the Panaskertel-Tstsishvili family with the royal court as well as their role in social economic and political life of the country. The paper highlights that appointment of the chief steward in the royal court was direct indication that there was concord between the devoted reliable force of the King and political ideology.

ელდარ ნადირაძე
საქართველოს ეროვნული მუზეუმი;
ლების წყაროს, მაგრამ მისი მრავლისმეტყველი სიტყვები: „ესე ოთხნი (გრიგოლი, საბა, ქრისტეფორე, თეოდორე) საღ-მრთომან სიყვარულმან შეამტკიცა ერთ ზრახვად შეკრუბულ-ნი, ვითარცა სული ერთ...“¹ გვაფიქრებინებს, რომ ისინი „ერთ ზრახვად შეჰქრა“ ნერსეს სკოლაშ. მოგვინებით გრი-გოლს ქართლიდან ახალმა მეგობრებმაც ჩააკითხეს, რომელ-თაც ასევე აღნიშნული სკოლა უნდა გაევლოთ. ფართოდ გაშლილი აღმშენებლობის პარალელურად, ლოგიკურად გა-მოიყურება ნერსესავე აღზრდილი შვილიშვილის, აშოტის მი-ერ ქართლის საერთსმთავროს აქ გადმოტანა და შემდეგში მისი ტაო-კლარჯეთის ქართველთა სამეფოდ გადაქცევა. გ-მერჩულე შთამბეჭდავად გადმოგვცემს წმინდა მამისა და აშოტ დიდი კურაპალატის დაუცხრომელ ღვაწლს ამ კუთხის ასაღორძინებლად. აშოტის თქმით, გრიგოლ ხანძთელი ღმე-რთმა მოავლინა „შესაწევნელად მორწმუნეთა... ქრისტიანეთა სიქადულად, რათა მარადის იღვწოდეს ჩვენთვის წინაშე ქრისტესა...“² ტაო-კლარჯეთის ქართველთა სამეფოს დამფუ-ძნებლის მოწამეობრივი სიკვდილით შეძრწუნებულმა გრი-გოლმა კი მას „ეპლესიათა და ქრისტიანეთა ზღუდე... საკ-ვირველი ღმრთისმსახური ხელმწიფე“ უწოდა.³ სუმბატ და-ვითის ძის გადმოცემით, „ყრუმან ბაღდადელმან შემუსრნა ყოველნი ციხენი... მოაოხრნა შავშეთი და კლარჯეთი... აშო-ტმა კი „აღაშენა და განამრავლნა სოფლები ქუეყანათა მათ შინა...“⁴ ორივეს შეთანხმებულმა ქმედებებმა მკვიდრი ნიადაგი

¹ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, ქართული პროზა, წ. I, თბ., 1981, გვ. 220.

² იქვე, გვ. 235.

³ იქვე, გვ. 238.

⁴ „სუმბატ დავითის ძის ქრონიკა“, „ქართლის ცხოვრება“, ტ. I, თბ., 1955, გვ. 376. ტექსტი დადგნილია ყველა ძირითადი ზელნაწერის მიხედვით ს. ყაუხხჩიშვილის მიერ.

შეუქმნა საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიულ და საეკლე-
სიო მთლიანობას. რა თქმა უნდა, არ დაკნინდება მათი უდი-
დესი ღვაწლი თუ ვიტყვით, რომ ამ თავდადებული მოღვაწე-
ობის სულისჩამდგმელი ქართლის ერსიმთავარი იყო. ნერსეს,
მისგან დამოძღვრილი მამულიშვილებისა და მოწამების -
აბო თბილელის, გრიგოლ ხანძთელისა და აშოტ კურაპალა-
ტის სიბრძნემ, ზნეობრიობამ და თავგანწირვამ ეროვნული
ცნობიერებით გამსჭვალა იმუამინდელი და შემდგომი ეპოქე-
ბის ქართველობა. მათგან დანობებული ბრძოლის კოცონი მო-
მავალი თაობებისათვის ქვეყნის გაერთიანების გზაზე მანათო-
ბელ ვარსკვლავად იქცა.

აღნიშნული აგიოგრაფიული ძეგლები ჩვენი წარსულის
თითქმის ერთ მონაკვეთს ასახავენ. ცხადია, „აბოს წამები-
დან“ უფრო მეტს ვიგებთ ნერსეს მოღვაწეობის შესახებ,
ვიდრე მერჩულებს თხზულებიდან. ამ უკანასკნელში ავტორი
მხოლოდ ერთხელ, დასაწყისში ახსენებს ერისთავის სახელს.
ხანძთის მაშენებელი „სახლსა შინა სამეუფოსა დიდისა ნერ-
სე ერისთავისასა აღზრდილ იყო ხელითა კეთილად მსახური-
სა დედოფლისა - ნერსეს ცოლისათა, რომელსაცა ეშვილა,
რამეთუ იყოცა მმისშვილი მისი...“¹ ბუნებრივია, გ. მერჩულებ
სხვადასხვა წყაროებიდან, მათ შორის წინამორბედი მწერ-
ლის, ი. საბანისძის ნაწარმოებიდან ზუსტად იცოდა ნერსეს
მამულიშვილობის შესახებ. მერჩულე სასულიერო თხზულება-
ში მოერიდა ნერსეზე საუბრის განვრცობას. მან ბრწყინვალ-
ედ გაართვა თავი მთავარ მიზანს: განადიდა წმინდანის ღვაწ-
ლი, მისაბად მაგალითად დაგვისახა იგი. ნერსესთან, მეორე-
ულ პერსონაჟთან მიმართებაში კი ავტორმა აგიოგრაფიის
პრინციპით იმოქმედა: ცოტა თქვა და ბევრი იგულისხმა. ეს

¹ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, ქართული პროზა, წ.I, თბ., 1981, გვ. 216.

ძუნწი ცნობა არა მხოლოდ მომავალი წმინდა მამის ვინაობას აზუსტებს. ავტორისეული ფრაზა, რომ გრიგოლი ნერსეს ოჯახმა იშვილა, ნერსეს კარზევე აღიზარდა და განათლდა, დიდებულად წარმოაჩენს ერისმთავრის სახესაც. უფრო მეტ-ად რომ გამოკვეთოს მისი ღვაწლის სიღიადე, „მოქცევაი ქართლისაის“ მემატიანის მსგავსად, მწერალი ნერსეს „დი-დის“ ტიტულით მოიხსენიებს. ავტორმა ამით ტექსტის დასა-წყისშივე მიგვითითა: ნერსე ერისმთავარი დიდია იმიტომ, რომ ერისთვის სასიკეთო ეპოქალური მოვლენები მისი მოფი-ქრიებული გეგმით აღესრულებოდა.

ასეთი სამარადისო ძეგლი დაუდგა ქართულმა სასული-ერო მწერლობამ და დავიწყების ბურუსიდან გამოიხსნა VIII საუკუნის მეორე ნახევრის ქართლის ერისმთავარი ნერსე მეორე დიდი. იგი ჭეშმარიტად ეროვნული გმირია. სხვა რომ არაფერი, მას დიდ ღვაწლად ისიც ეყოფა, რომ მისი მეოხე-ბით ქართულმა სამოციქულო ეკლესიამ სამი უდიდესი წმინ-დანი შეიძინა. მათმა მოღვაწეობამ ნერსე ერისმთავრის საერ-თო პატრონაჟით შეუქცევადი ხასიათი მისცა ქვეყნის გაერ-თიანების პროცესს, ეროვნული სული გააღვივა უიმედობით შეპყრობილ ქართველ ხალხში. მასში დამპყობლისადმი მონუ-რი მორჩილების ნაცვლად, შეურიგებლობის სულისკვეთება დაამკიდრა. თუ X საუკუნის შეუწლებისათვის აგიოგრაფის სიტყვით რომ ვთქვათ, „ქართლად ფრიადი ქუეყანაი აღირიც-ხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა უამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების...“¹ ამაში უდიდესი იყო ნერსე ქართლის ერისმთავრის როლი. წმინდა აბოს, წმინდა გრიგოლისა და წმინდა აშოტ მეფის მოწამეობრივი გვირგვი-ნების ნათელი ასხივებს მათი მეურვისა და აღმშრდელის სა-ხესაც. ცხადად ჩანს ნერსე ერისმთავრის, ამ დიდი პიროვნე-

¹ იქვე, გვ. 280.

ბის ნაამაგარის მასშტაბურობა. დასასრულს, მოკრძალებით შევნიშნავთ: იქნებ მოვიდა დრო, საქართველოს მართლმადი-დებელი სამოციქულო ექლესიის წმინდა სინოდმა განიხილოს უფლისა და სამშობლოსათვის დამაშვრალი ნერსე დიდის კა-ნონიზაციის საკითხი. ამ აქტით მოხდება მისი სახელის სა-ბოლოო უკვდავყოფა, ჩვენი ერი კი შეიძენს დიდ მეოხს უფ-ლის წინაშე.

დამოწმებანი:

1. საბანისძე ი, ჰაბოს წამება, ქართული პროზა, წ.I, თბ., 1981.
2. მერჩულე გ., გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, ქართული პროზა, წ. I, თბ., 1981.
3. მატიანე ქართლისაი, ქართლის ცხოვრება, წ.I, თბ., 1955. ტექსტი დადგენილია ყველა მირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ.
4. მოქცევაი ქართლისაი, ქართლის ცხოვრება, წ.I, თბ., 1955. ტექსტი დადგენილია ყველა მირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ.
5. სუმბატ დავითის ძის ქრონიკა, ქართლის ცხოვრება, ტ.I, თბ., 1955, ტექსტი დადგენილია ყველა მირითადი ხელნაწე-რის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ.
6. ჭელიძე ვ., ქართლის ცხოვრების ქრონიკები, წ. III, თბ., 1976.
7. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წ III, თბ., 1965.
8. ინგოროვა პ., თხზულებათა კრებული, ტ. IV, თბ., 1978.
9. კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1980.

10. ბარამიძე რ., ნარკვევები ქართული მწერლობის ისტორიიდან, თბ., 1990.
11. სირაძე რ., ქართული აგიოგრაფია, თბ., 1987.
12. „საპატრიარქოს უწყებანი“, 2017 წ., N31.

Zurab Okropiridze

Gori Teaching State University

**NERSE II (GREAT)HEAD OF THE NATION OF
KARTLI- NATIONAL HERO AND TEACHER OF THE
HOLY MARTYRS
(ACCORDING TO GEORGIAN HAGIOGRAPHIC
MONUMENTS)
RESUME**

In the Georgian historical sources, Narse II head of the nation of Kartli is represented rarely. This issue is complemented by the monuments of Georgian theological writings."Abo's torture" (I. Sabanidze) and "Grigol Khandzeli's life" (G. Merchule) presents silhouette of the national hero.According to "Abo's torture", he stands in the center of rebuilding of country and fighting against the Arabs.The strength of the head of the nationpropelled Ismail young to Christianity, whose martyrological decease awakened Georgians.From these texts it becomes clear that the Kingdom palace of Nerses was a talented young man's education centre.With the help of his custodianship formed future saints – Grigol Khandzeli and Ashot the Great Kurapalat - the builders of Tao-Klarjeti and the founders of the Kingdom of Georgia. The merit of these saintsare equally spreads to their educator-mentor's image.

**მურმან პაპაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**ქართულ-რომაული ეკლესიების “გაყრის” დროისა და უნის
პროცესის ახლებური ინტერპრეტაცია**

სანამ შევეცდებით კონკრეტული ფაქტებითა და თეორიული გააზრებით პრობლემის გაანალიზებას, ვსვამთ კითხვას: თუ ქართული ეკლესის რომაულ-კათოლიკურ ეკლესიასთან დაშორება XIII საუკუნის 30-იანი წლებიდან დაიწყო, რამდენად მართებულია მანამდე ქართული ეკლესია კათოლიკე ეპლესიად მივიჩნიოთ? ამასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ ადრე ჩვენ ვწერდით: „საქართველო პაპის ტახტს მოგვიანებით ჩამოშორდა და ეს გამოყოფა თანდათანობით განხორციელდა. პირველი ცნობა ამის შესახებ 1240 წელს გვხვდება. ამგვარად, ამ დრომდე საქართველოს ეკლესია კათოლიკური იყო“¹. ცხადია, ამ დასკვნისას ამოვდიოდით იქიდან, რომ ნიკეა-კონსტანტინოპოლის მრწამსით ეკლესია იმთავითვე იყო „კათოლიკე სამოციქულო“, ანუ „საყოველთაო ეკლესია“: ე.ი. ეკლესია მოციქულთა დღოიდან იყო კათოლიკე, ხოლო ეპლესის ჭეშმარიტება, მართლმადიდებლობა მისივე კათოლიკობაა². აქედან გამომდინარე, ლათინური წესის კათოლიკეთა

¹ პაპაშვილი მ, საქართველო-რომის ურთიერთობა, თბ., 1995, გვ. 52.

² გაბრიელე ბრაგანტინი, კათოლიკე ეკლესია საქართველოში მეცამეტე საუკუნიდან არსებობს? „კათოლიკური მემკვიდრეობა საქართველოში“, 1, თბ., 2018, გვ. 23.

სამოციქულო ვიკარიუსი დასავლეთ საქართველოში გაბრიელება ბრაგანტინი დაასკვნის: „...საქართველოში ეკლესია თავისი დაარსების პირველი წამიდანვე იყო კათოლიკე ეკლესია. ეს ნიშნავს, რომ ის თანაზიარებაში იმყოფებოდა ნიკეის კრებაზე აღიარებულ ყველა სამოციქულო ეკლესიასთან, მათ შორის, რომის ეკლესიასთან“¹. ამ ლოგიკიდან გამომდინარე შეუძლებელია არ დაეთანხმო ავტორს, რომ „...მხოლოდ ლათინური წესით შეიძლება ითქვას, რომ ის დაიწყო მეცამეტე ან მეთოთხმეტე...საუკუნიდან“². ვეთანხმებით რა ძირითადად ამ დასკვნაში გ. ბრაგანტინს, გვინდა მასში ერთი დამატება შევიტანოთ. კერძოდ, მართალია, სქიზმამდელი ეკლესიები შესაბამისად კათოლიკური იყო, თუმცა ეს არ უნდა გავიგოთ ისე, რომ საქართველოს ეკლესია რომს ექვემდებარებოდა. როგორც დანარჩენი ეკლესიები, ქართული ეკლესიაც წმინდა ტახტთან ერთიანობაში იმყოფებოდა.

ჩვენი კვლევის ძირითადი საკითხი ვერ გაირკვევა თუ ამთავითვე არ ვუპასუხეთ სამ კითხვას: პირველი, შეგვიძლია თუ არა დავაზუსტოთ როდის მოხდა მცხეთისა და რომის ეკლესიას შორის გაყრა? მეორე, დიდი სქიზმის (1054) შემდეგ, როდის და რის საფუძველზე დაიწყო ქართული ეკლესიის ურთიერთობა რომაულ-კათოლიკურ ეკლესიასთან? მესამე, რა მიზნით აგზავნიდა წმინდა ტახტი მისიონერებს საქართველოში XIII საუკუნის 30-იანი წლიდან?

პირველ კითხვაზე ქართველ თუ უცხოელ მკვლევრებს ზედმიწევნით სწორი პასუხი არა აქვთ. მ. თამარაშვილის მოსაზრებით, ორ ეკლესიას შორის ერთიანობა დაირღვა 1230

¹ იქვე, გვ. 24.

² იქვე, გვ. 25.

წლის შემდეგ¹. მ. თარხნიშვილის მიხედვით, „საქართველო რომის ტახტს მოგვიანებით ჩამოშორდა და ეს გამოყოფა თანდათან განხორციელდა. პირველი ცნობა ამის შესახებ 1240 წელს გვხვდება“². რემონ უანენი მიიჩნევს, რომ 1233 წელს ქართველები რომისაგან ჯერ კიდევ არ არიან საბოლოოდ განდგომილნი³. თავის დროზე ჩვენ განვავრცეთ მ. თამარაშვილისა და მ. თარხნიშვილის მოსაზრებები და დამატებითი არგუმენტების მოშველიებით 1240 წელს დავუჭირეთ მხარი⁴. მკვლევარ მ. ჯავახიშვილის მიხედვით, „ქართული ეკლესია 1054 წელსვე გაეთიშა რომს“⁵, რომელსაც ამის დასამტკიცებლად თითქმის არგუმენტები არ გააჩნია და ეყრდნობა წყაროს არაზუსტ თარგმანს, რაზეც სათანადო ადგილას გვექნება საუბარი. 6. პაპუაშვილს მიაჩნია, რომ ევქარისტული კავშირი საქართველოსა და რომს შორის XIII საუკუნიდან გაწყდა⁶. ლ. პატარიძის აზრით, განხეთქილება

¹ თამარაშვილი მ., ისტორია ქათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფილისი, 1902, გვ. 13; Michel Tamarati, L'Eglise géorgienne des origines jusqu'à nos jours, Rome, 1910, p. 425; თამარაშვილი მ., ქართული ეპლესია დასაბამიდან დღემდე, თბ., 1995, გვ. 483.

² თარხნიშვილი მიქელ, წერილები, თამარ ჭუბურიძის გამოცემა, თბ., 1994, გვ. 148.

³ უანენი რემონ, საქართველო (კათოლიკური დვინისმეტყველების ენციკლოპედია, ტომი მეექსე, ნაწილი პირველი, პარიზი, 1924), ფრანგულიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბ., 1996, გვ. 75.

⁴ პაპაშვილი მ., საქართველო—რომის..., გვ. 52; 83-84.

⁵ ჯავახიშვილი მ., საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა რომის კათოლიკურ მკლესიასთან XI-XIV საუკუნეებში. სადისერტაციო ნაშრომი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1997, გვ. 105.

⁶ პაპუაშვილი ნ., რელიგიის კარიბჭე (რელიგიის ისტორიის შესავალი), თბ., 1996, გვ. 301.

რომსა და საქართველოს შორის 1234–1240 წლებს შორის მოხდა¹. ტ. მაჭარაშვილი განხეთქილების თარიღად 1230 წლის შემდგომ პერიოდს ასახელებს². სტეფან რაპი მიიჩნევს, რომ საქართველოს ეკლესია XIII საუკუნის პირველ ნახევარში შეუერთდა ბიზანტიური ეკლესიის სქიზმას³. თ. ბერძემ და მ. სანაძემ აღნიშნული მოვლენა 1318 წლით დაათარიღდა⁴, რასაც დამაჯერებელი არგუმენტები არ ახლავს. მკვლევარი გ. მაჭარაშვილი ეკლესიური ერთობის დარღვევას XI–XII საუკუნეთა მიჯნაზე მომხდარ მოვლენად განსაზღვრავს⁵, რაც საქმარისი არგუმენტებით განმტკიცებული არ არის. ასეთია ავტორთა ის წრე, რომელთაც აღმნიშნული პრობლემის გარშემო საკუთარი დათარიღებები შემოგვთავაზეს.

როგორც ვხედავთ განყოფის ზუსტ თარიღს ვერცერთი მკვლევარი ვერ ასახელებს. ეს შეუძლებელიცაა, რადგან ეკლესიათა გაყრა ეს ხანგრძლივი „პროცესი“, რომლის დროსაც ისევ ეძებდნენ გზებს ეკუმენური გზით გაერთიანებისაკენ. მოკლედ რომ ვთქვათ, „...ერთიანობის დაშლამ ვერ ჩაახშო

¹ პატარიძე ლ., 1054 წლის განხეთქილება და საქართველო. ჟურნ.: „დაალოგი“, 2005, №1(2), გვ.28-35.

² მაჭარაშვილი ტ., 1054 წლის საეკლესიო განხეთქილება და საქართველოს ეკლესია, კრებ.: „საისტორიო შტუდიები“, I, თბ., 2000, გვ. 139.

³ Stephan H Rapp, Georgian Christianity: The Blacwell companion to Eastern Christianity. Editor Ken Parry, Chiechester, 2010, p. 148.

⁴ ბერძემ თამაზ, სანაძე მანანა, საქართველოს ისტორია, I, თბ., 2003, გვ. 193.

⁵ მაჭარაშვილი ვ., დიდი სქიზმა და საქართველო, სადოქტორო დისერტაცია, თბ., 2014, გვ. 12.

ერთიანობისკენ სწრაფვა^{“1”}. ამის დასტური იყო ლიონისა (1274) და ფერარა-ფლორენციის (1438-1439) მსოფლიო საეპლესიო „უნიატური“ კრებები, სადაც შეეცადნენ სქიზმა გაესწორებინათ. ამასთანავე, ბიზანტიისაგან განსხვავებით, სალაც ურთიერთგანგვეთის კულმინაციად 1054 წელი მიიჩნევა, ჩვენს შემთხვევაში ასეთი რამ არ არსებობს. და, საერთოდ, „...არ გაგვჩნია ქართველი იერარქთა არც ერთი სინოდალური გადაწყვეტილება, რომლის ძალით მოხდა წმ. ტახტთან ერთობის დარღვევა^{“2”}. ცხადია, ასეთ შემთხვევაში გაყრის თარიღიც სადაცო არ იქნებოდა.

მოკლედ რომ ვთქათ, 1054 წლის სქიზმას არავითარი კავშირი არ ჰქონდა ქართულ ეკლესიასთან, რადგან ურთიერთანათემა ეხებოდა მხოლოდ კონსტანტინოპოლისა და რომის ეკლესიებს, ხოლო ქართული ეკლესია არც ერთს არ ექვემდებარებოდა. ამიტომ 1054 წლის საეკლესიო განხეთქილების შედეგები საქართველოში არ გავრცელებულა და იგი რომის სამოციქულო ტახტთან ერთიანობას ინარჩუნებდა. ამგვარად, შეუძლებელია ითქვას, რომ საქართველოში განყოფა ბიზანტიის განყოფის პარალელურად მოხდა.

ერთი სიტყვით, მთავარ კითხვაზე - თუ როდის მოხდა ქართული ეკლესიის რომის ეკლესიასთან გაყრა - პასუხი ვერ გაიცემა, თუ არ შევეხეთ ამ ორ ეკლესიას შორის ურთიერთობის დაწყების ძირითად ეტაპებს, რომელიც ასევე გასცემს პასუხს მეორე კითხვას. ამ ურთიერთობის მთელი ისტორიის გადმოცემის აუცილებლობა აქ არის. შევეხე-

¹ Albergo G. “L’œcuménisme au moyen âge”, Revue d’histoire ecclésiastique 71 (1976), p. 366; Aristeides Papadakis. Op. cit., p. 208.

² პაპაშვილი მ., 1274 წლის ლიონის კრება და საქართველო, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შრომათა კრებული №14, თბ., 2016, გვ. 258.

ბით მხოლოდ საკვანძო მომენტებს. გარკვეულია, რომ დასაბამიდან ქართული სამოციქულო ეკლესიის ურთიერთობა რომის სამოციქულო ეკლესიასთან ჯვაროსნულ ლაშქრობებამდე ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა¹. სწორედ I-V ჯვაროსნული ლაშქრობის დროს მოხდა წმინდა მიწაზე ქართველ ლათინთა უშუალო შეხვედრა და შემდეგ წმინდა ტახტის მიერ ქართულ სახელმწიფოსთან ურთიერთობის განვითარება. წმინდა მიწაზე არსებული ქართული მონასტრები ლათინთა საპატრიარქოს კანონიკურად დაემორჩილა, მაგრამ ამან გავლენა ვერ მოახდინა მათ თვითმყოფადობაზე. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ქართულ და ლათინურ ეკლესიებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება ჯერ კიდევ არ შეიმჩნეოდა ანდა არ ამჩნევდნენ². თუმცა წმინდა ტახტისათვის ნათელი იყო, რომ ქართული ეკლესია ბერძნულ წესებს მისდევდა³. თუ კონსტანტი-

¹ დაწვრ. იხ. პაპაშვილი მ., საქართველო-რომის..., გვ. 54-69

² მეტრეველი ე., იერუსალიმის ერთი ხელნაწერი (მეცნიერული აღწერის ცდა). წიგნში: ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, ნაკვეთი I, თბ., 2007, გვ. 135-136, 138; მეტრეველი ე., ჯვრის მონასტრის კადევ ერთი მოსახსენებელი ქართული ხელნაწერი ჯვაროსანთა მოსახსენებლით. ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთვისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 1997, გვ. 255-259; მენაბეჭ ლ., ძველი ქართული მწერლობის კერძი II, თბ., 1980, გვ. 94; წურწუმია მ., ჯვაროსანთა მოსახსენებლები იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ხელნაწერებში, ქართველოლოგია 6, თბ., 2010, გვ. 69-95; მამისთვალიშვილი ე., იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი. მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2014, გვ. 123-128; მამისთვალიშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, IV, თბ., 2014, გვ. 345-346.

³ თვარაძე ა. საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში, თბ., 2004, გვ. 139, 141, 142, 147; საქართველო და ჯვაროსნული აღმოსავლეთი უაკ დე ვიტრის ცნობების მიხედვით. წიგნს შესავალი, შენიშვნები და კომენტარები დაურთეს ანდრო გოგოლაძემ, თეა წითლანაძემ, თეა ქარჩავაშ და ნიკოლოზ სილაგაძემ, თბ., 2015, გვ. 106.

ნოპოლისა და რომის ეპისკოპოსებმა ერთმანეთი ამოიღეს დიპტიქიდან XI საუკუნეში, ქართულმა ეკლესიამ მას ზელი არ ახლო XVII საუკუნის დასაწყისამდე¹. მართალია, დიპტიქში პაპის სახელის მოხსენიება სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ საქართველოს ეკლესის რომის ეკლესიასთან გაერთიანებული იყო², მაგრამ იგი ნათლად ავლენდა რომის ეკლესისადმი პატივისცემასა და კეთილგანწყობას³. “სწორედ ეს მიჯნავდა საქართველოს ბიზანტიური ანტილათინიზმისაგან”⁴. ამ ფაქტორს, ჯვაროსნული ლაშქრობების დროს, როცა საქართველო ლათინთა ბუნებრივი მოკავშირეა⁵, ხოლო ბიზანტიელები “მოდალატებად” აღიქმებიან, შეუძლებელია პაპობაზე დიდი გავლენა არ მოეხდინა და ეს უკანასკნელი ქართული ეკლესის მიმართ სქიზმამდელი გრძნობებით არ განეწყო. ამ თვალთახედვით ვკითხულობთ ჩვენ რუსუდან დედოფლისადმი პაპ ჰონორიუს III-ის 1224 წლის 12 მაისის წერილიდან შემდეგ ადგილს: „შენი... ერთგულების სულისკვეთებით აღსავსე წერილი მამობრივი კეთილმოსურნეობით მივიღეთ... ამასთანავე, უფლის მიერ დიდად გავიხარეთ იმ პატივისცემით, რომლითაც შენ ხარ განწყობილი ჩვენდამი და რომის ეკლესისადმი - მთელი ქრისტიანობის დედისა და მასწავლებლისადმი...”⁶ - წერდა პაპი წერილის დასაწყისში. აქვე პაპი რელიგიურ კონტექსტში დიდ შეფასებას აძლევდა ქარ-

¹ ჯავახიშვილი მ., დასახ. ნაშრ., გვ. 46.

² თინიკაშვილი დ., დასახ. ნაშრ., გვ. 77.

³ იქვე.

⁴ იქვე.

⁵ ავალიშვილი ზ., ჯვაროსანთა დროიდან, ოთხი საისტორიო ნარკვევი, თბ., 1989.

⁶ ტაბაღუა ი. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XVI ს.), I, თბ., 1984, გვ. 180; მ.თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა..., გვ. 9.

თული ეკლესიას ქრისტიანობის განმტკიცებისა და დაცვის საქმეში: „შენი და შენი სამეფოს სხვა ქრისტიანებს გული-თაღი თვალით გიყურებთ და გვიყვარხართ რწმენისათვის, რომელიც თქვენ უფალ იესო ქრისტესადმი გაქვთ. მის მი-მართ თქვენი რწმენა მით უფრო მისაღებია, რამდენადაც თქვენ ამ რწმენას იცავთ ურჯულო ხალხთა გარემოცვაში. ამ ურჯულო ხალხთა შორის თქვენ ანათებთ, როგორც ლამპარი სიბნელეში და იტანჯებით ისე, როგორც შროშანი ეკლე-ბში.“¹. უფრო მეტიც, პაპ გრიგოლი IX-ის რუსუდან დედოფ-ლისადმი წერილში (1240 წლის 13 იანვარი) ქრისტიანი საქართველო მოაზრებულია ტერმინ „კათოლიკობის“ სქიზ-მამდელი, ანუ ძველი, „საყოველთაოს“ გაგებით და არა სქიზმის შემდვომ მიღებული კონფესიური დატვირთვის მნიშ-ვნელობით, რომელიც მიანიშნებდა რომის პაპისადმი ერთგულ ქრისტიანული ეკლესიის იმ ნაწილს, სადაც პაპის უზენაესო-ბას აღიარებდნენ. აი, რას გვაუწყებს წყარო: „თქვენს წერი-ლში მოცემულმა ცნობამ, რომ თათრები კათოლიკური ეკლე-სიის მტრები, თქვენს სამეფოს თავს დაესხნენ და თქვენ მძი-მე ზარალი მოგაყენეს, ჩვენი სიხარული შეამცირა და დაგვა-ნალვლიანა“². ამავე მნიშვნელობით წერდა პაპი აქვე: „თქვენ ვალად გდევთ, ჩვენი მწუხარება გაიზიაროთ, ვინაიდან ჩვენ ახლა სარწმუნოების მრავალრიცხოვანი მტრებისაგან დეგნას განვიცდით და გარდა სარკინოზებისა, რომლებიც კათოლიკუ-რი სარწმუნოების წინააღმდეგ ესპანეთსა და სირიაში იბრ-ძვიან, სხვებიც-ქრისტიანული სარწმუნოებიდან განდევნილნი, მთელი ძალებით უფლის ეკლესიას თავს ახვევენ ახალ დამ-

¹ ტაბაღუა ი. დასახ. ნაშრ., გვ. 180; მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა..., გვ. 10.

² ტაბაღუა ი. დასახ. ნაშრ., გვ. 188; თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკობისა..., გვ.15.

ღუპველ სექტას, ცდილობენ აღმოფხვრან ამ ქვეყნად მხსნელი და დამცველი სარწმუნოება¹. ჩვენი აზრით, ეს წყაროები ცხადყოფს, რომ ორივე პაპი ქართულ ეკლესიას სქიზმაძელი დამოკიდებულებიდან მიმართავდა. სხვა შემთხვევაში პაპები ტერმინ „კათოლიკეს“ სქიზმის შემდგომ შეძენილი მნიშვნელობით გამოიყენებდნენ.

ერთი სიტყვით, ორივე ეკლესიას ერთმანეთთან ურთიერთობაში წარსულის რამე პრობლემა არ აწვა მხრებზე. ეს ახლა, ჯვაროსნული ლაშქრობების დროს, იმ საერთო პოლიტიკურ ინტერესების პერიოდში, როცა ორივე მხარე ერთმანეთს მეტად საჭიროებდა, შეუძლებელია აღმოცენებულიყო რამე სირთულე და დავა დაეწყოთ ეკლესიათა განსხვავებებზე. ისე კი, რომებიც კარგად უწყოდნენ, რომ ქართული ეკლესია ბერძნული წეს-ჩვეულებების მიმდევარია. ბუნებრივია, საქართველოშიც კარგად აცნობიერებდნენ, რომ ლათინური ეკლესია ბერძნულისაგან განსხვავებულ ლიტურგიას ასრულებდა და იგი მასთან განყოფაშია. განსახილველ პერიოდზე არსებული არც ერთთი წყარო არ ადასტურებს, რომ დოგმატურ საკითხებზე მხარეები დაობდნენ.

მოკლედ რომ ვთქვათ, ამგვარმა დამოკიდებულებამ ორივე მხარის ურთიერთობას ახალი შინაარსი შესძინა. კერძოდ, საქართველოს მეფე გიორგი IV ლაშმამ პაპ პონორიუს III-ის მოწოდებით გადაწყვიტა, მიმხრობოდა მეხუთე ჯვაროსნულ (1217–1221) ლაშქრობას², მაგრამ დამიეტასთან (1219 წ.) ლათინთა დამარცხების შემდეგ განიზრახა მონაწილეობა მიეღო ჯვაროსანთა იმ ლაშქრობაში, რომელსაც უნგ-

¹ ტაბაღია ი. დასახ. ნაშრ., გვ. 188-189; თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკობისა..., გვ. 15.

² პაპაშვილი მ., საქართველო-რომის..., გვ. 77-79.

რეთის მეფე ანდრაშ II უხელმძღვანელებდა¹. ეს მიზნები განუხორციელებელი დარჩა. 1221 წელს გიორგი IV ლაშა სირია—პალესტინისკენ გასალაშქრებლად ემზადებოდა, მაგრამ მონღოლებთან ბრძოლაში მიღებული სასიკვდილო ჭრილობის გამო 1223 წელს გარდაიცვალა.

გიორგი IV ლაშას პოლიტიკა ჯვაროსნებთან ურთიერთობაში გააგრძელა მისმა დამ რუსუდან დედოფალმა (1223–1245). ოუ გიორგი—ლაშამ ვერ მოასწრო წერილობით ეპასუხა რომის პაპისათვის პელაგიოსის მოწოდების გამო, რუსუდანმა 1223 წლის, ალბათ, მეორე ნახევრის დასაწყისში² რომში საგანგებოდ გაგზავნა ანის ეპისკოპოსი დავითი, რომელსაც პაპთან მისი და მხედარომთავარ ივანე მხარგრძელის წერილები მიჰქონდა³. რუსუდან დედოფალი წმინდა მიწაზე

¹ Lajos Tardy, *Relations entre la Hongrie et la Géorgie au XIII-e-XVIII-e siècles*, “Bedi Kartlisa revue de kartvelologie”, Paris, 1968, vol. XXV, p. 76; მამისთვალიშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, IV, თბ., 2014, გვ. 354.

² რუსუდან დედოფლის წერილს პაპ პონორიუს III-სადმი თარიღი არ უზის. პაპის საპასუხო წერილი კი დათარიღებულია 1224 წლის 12 მაისით (ტაბაღუა ი. დასახ. ნაშრ., გვ. 180; თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკობისა..., გვ. 11). ოუ გვათვალისწინებთ იმას, რომ საქართველოდან რომამდე 4 თვეში წერილის გაგზავნა და უკან პასუხის მიღება მაშინდელი კომუნიკაციის პირობებში ყოვლად წარმოუდგენელი იყო, უნდა ვივარაუდოთ, რომ რუსუდანის წერილი დაწერა 1223 წლის პირველ ნახევრაში. მ. თამარაშვილის თანახმად, რუსუდანის წერილი „...დაწერილი უნდა იყოს არა უგვიანეს 1223 წლისა (მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა..., გვ.8). ფრანგი ისტორიკოსი უნ რიშარი მიჩნევს, რომ „...საქართველოს დედოფალმა რუსუდანმა, უეჭველად 1223 წლის ბოლოს მისწერა პაპს...“ (Jean Richard. *Histoire des Croisades*, 1996, p. 324)

³ თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფილისი, 1902, გვ. 8; Michel Tamarati, *L'Eglise géorgienne des origins jusqu'à nos jours*, Rome, 1910, p. 416; თამარაშვილი მ., ქართული

ჯვაროსნულ ლაშქრობაში საქართველოს მონაწილეობის მიმართ პაპს აღუთქვამდა მმის პოლიტიკური კურსის გაგრძელებას და აუწყებდა: „...ჩვენ მზად ვართ, მთელი ჩვენი ლაშქრით მოვიდეთ ქრისტიანების დასახმარებლად. პირადად მე ვაპირებ წმ. მიწებისათვის ოშმი მონაწილეობის მიღებას 40 ათასი მებრძოლით...“¹.

სანამ მოტანილი წყაროს ინფორმაციის საფუძველზე დავასკვნით, მოკლედ აღვნიშნავთ: როგორც ცნობილია, ბიზანტიაში ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა გააძლიერეს გაუგებრობები, ხაზი გაუსვა განსხვავებებს და დაადასტურა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის იდეოლოგიური გაყოფა². საკუთრივ “...ჯვაროსნული ლაშქრობის მთელი დასავლური კონცეფცია, როგორც რელიგიური იდეალი, არსებითად უცხო იყო ბიზანტიური გონებისათვის³. 1204 წლის ტრაგიკულმა მოვლენამ კი განსაკუთრებული იმპულსი შესძინა ჯვაროსნულ ლაშქრობას და საბოლოო გახადა განყოფა⁴. ამიერიდან ბიზანტიელებმა დასავლეთი მტრულ ბლოკად ჩათვალს⁵, თუმცა ეს „....არ უნდა მივიჩნიოთ იმად, რომ ბიზანტიელებმა

ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბ., 1995, გვ. 475; ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XVI ს.ს.), თბ., 1984, გვ. 177; პაპაშვილი მ., საქართველო-რომის ურთიერთობა, თბ., 1995, გვ. 79-80.

¹ ტაბაღუა ი. დასახ. ნაშრ., გვ.179; თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკოსა..., გვ. 7-8.

² Donald M. Nicol. “The Byzantine View of Western Europe”. M. Purcell's Papal Crusading Policy 1244-1291, Leideo, 1975, p. 329.

³ Ibid.

⁴ Aristeides Papadakis. Op. cit., p. 207.

⁵ Donald M. Nicol. Op.cit., 330.

საბოლოოდ უარი თქვეს ლათინებზე¹. წმინდა ტახტისადმი ბიზანტიულთა დამოკიდებულების ამ კონტექსტში, საქართველოში ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა პაპობასთან ერთიანობის გრძნობა მეტად განამტკიცა და ეს უფრო გასაგები უნდა იყოს იმის გათვალისწინებით, რომ სწორედ ამ დროს კონსტანტინოპოლი წარმოადგენდა ლათინთა იმპერიის დედაქალაქს. ცხდია, ასეთ ვითარებაში ბიზანტიის თვალებით არ შეხედავდა ქართული ეკლესია სქიზმას, არც პაპობას და არც ფილიოკეს. ლაკონურად რომ ვთქვათ, ბიზანტიის საპირისპიროდ², რუსულანის სამეფო კარი აღიარებდა აღმოსავლეთზე პაპის კანონიკურ პრიმატს და მას მიმჩნევდა ქრისტიანული სამყაროს ლიდერად. ამის ნათელი დადასტურება იყო V ჯვაროსნულ ლაშქრობაში მეფე გიორგი IV ლაშასა და რუსულან დედოფლის მხურვალე მონაწილეობის სურვილი.

ახლა ისევ ვუბრუნდებით რუსულან მეფის წერილს, რომელიც ჩვენი მიზნისათვის, საინტერესოა ერთი თვალსაზრისით: კერძოდ, მასში კარგად ჩანს, რომ ამ წერილის დაწერის დროს (1224 წელი) საქართველო რომთან ეკლესიურ კავშირს ინარჩუნებდა. ეს თვალნათელია პაპისადმი მიმართვის ფორმაში. „უწმინდეს პაპს, ყველა ქრისტიანის მამას და ძეუეს, წმიდა პეტრეს საყდარზე მჯდომარეს. ჩვენ ძაბალი რუსულან აფხაზთა დედოფლალი, თქვენი ერთგული მხევალი და ასული უძღვაბლესად გიკრავთ თავს და მოვესალმებით“ – წერს რუსულან მეფე³. აქედან მარტივად იკითხება

¹ Małgorzata Dąbrowska. Drugie oko Europy. Bizancjum w Średniowieczu chyomcon wydawnictwo, Wrocław, 2015, c. 49.

² Ibid., pp. 48-49.

³ თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფილისი, 1902, გვ. 7; Michel Tamarati, L'Eglise géorgienne des origins

ის, რომ საქართველოს მეფე რომის ეპისკოპოსს „ქრისტიანული სამყაროს მამად და მეუჯუდ“ მიზნევდა. ძნელია ამაში რუსულანის რამე პოლიტიკური მიზნით ნათქვამი აზრი იგულისხმებოდეს, რადგან ასეთი საჭიროება ამ წერილის დაწერის დროს საქართველოს არ ედგა. ამასთან დაგავშირებით სავსებით სწორად დაასკვნის მ. თამარაშვილი. ის წერს: „წერილიდან ცხადათ სხანს, რომ რუსულან პაპს აღიარებს მამად და ყველა ქრისტიანების მთავრად. ცხადზე უცხადესია, რომ საქართველოს ეკლესიასა და პაპს შორის მჭიდრო კავშირი და ერთობა არსებობდა¹. ამის არგუმენტად ავტორს მოჰყავს შემდეგი: „ამ დროს საქართველოს ეკლესია რომისაგან გაყრილი რომ ყოფილიყო, მაშინ რუსულან სრულიადაც არ მისწერდა პაპს ასეთის შინაარსის წერილს... ესრეთი წერილი და საქართველოს მომზადება პაპის ბრძანების აღსარელებლად სხვა არაფრით აიხსნება, თუ არა იმით, რომ იმ დროს კიდევ ყოფილა ერთობა. ხოლო იმ დროს, ვინც რომისაგან გაყრილი იყვნენ, არათუ პაპს ემორჩილებოდნენ, არამედ მის წინააღმდეგ ომობდნენ². ძნელია, არ დაეთანხმო ამ არგუმენტებს და უარყო ავტორის დასკვნა.

როგორც ცნობილია, 1225–1230 წლებში საქართველომ ჯალალ ად-დინის გამანადგურებელი შემოსევები განიცადა. ჯვაროსანთა მოკავშირე საქართველო თავად განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა. ასეთ ვითარებაში წმ. ტახტმა, როგორც ირკვევა, საქართველოში 1233 წელს ფრანცისკანელი მისიო-

јusqu'à nos jours, Rome, 1910, p.415; თამარაშვილი მ., ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბ., 1995, გვ. 474; ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XVI სს.), თბ., 1984, გვ. 176.

¹ თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა..., გვ. 8.

² იქვე.

ნერების გამოგზავნა გადაწყვიტა, რომლებიც 1217 წლიდან სირიასა და ეგვიპტეში მოღვაწეობდნენ¹. პაპ გრეგორიო IX-ის „ერთ-ერთი წერილიდან ჩანს, რომ საქართველოს შესახებ ცნობები მას მიუღია ფრანცისკანელი მისიონერის მორჩილი ძმა ჯაკომო და როსანოსაგან, რომელიც, როგორც პაპის ნუნციო, თავის ამხანაგებთან ერთად საქართველოში ყოფილა“². მართალია, ამ ცნობას თარიღი არ უზის, მაგრამ იგი 1232 წლის ახლო ხანებში უნდა იყოს შედგენილი. რა გვაძლევს ამის საფუძველს? პ. მარჩელინო და ჩივეცა თავის ისტორიაში 1232 წლის ამბების გადმოცემისას წერს: „ამ დროს, როცა გრეგორიო აგზავნდა თავის ლეგატებს გერმანიის ნიკეაში, რომში უცებ გამოჩნდა მინორიტი ჯაკომო და რუსანო, რომელიც აზის ყველაზე იდუმალი მხარიდან დაბრუნდა... ფრა ჯაკომო.. როგორც კარგი მოქადაგე, იმ მხარეებში მოღვაწეობდა და ითხოვდა ახალი მუშაკების გაგზავნას, რადგან სამკალი უხვი იყო. საქართველოს მეფე (რუსულანი-მ.პ.) ითხოვდა ღვთის ამ მოციქულების გამოგზავნას. ამის მოსმენით ცრემლმორეულმა და გახარებულმა პაპმა ბერი ჯაკომო გულში ჩაიკრა“³. ამავე წყაროში ასევე ვკითხულობთ: „ამის შემდეგ [პაპმა] ბრძანა, რომ მინორიტთა დიდ ჯგუფს მიენიჭოს საგანგებო რწმუნებები და პრივილეგიები აზის ამ მხარეში და თან აახლო სამოციქულო კურთხევის წერილები. გრეგორიო ეპისკოპოსი, ღვთის მონათა მონა, მინორიტთა ორდენის საყვარელ შვილებს, რომლებიც მიემგზავრებიან სა-

¹ P. Marcellino da Civezza, *Storia universal delle mission francescane*, Roma, 1857, p. 169-171.

² ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, III, თბ., 1987, გვ. 16.

³ P. Marcellino da Civezza. Op.cit., p. 215.

ქართველოში, სარაცინებთან და სხვა ურწმუნოებთან, ჯანმრთელობა და მოციქულებრივი კურთხევა!“¹.

თუ ამ წყაროს ვერწმუნებით, ჩანს, რომ ფრანცისკანელი მისიონერი ჯაკომო და როსანო 1232 წელს აღმოსავლეთიდან დაბრუნდა რომში. სწორედ მან მოახსენა პაპს, რომ რუსუდან მეფე მისიონერების გამოგზავნას ითხოვდა საქართველოში. როგორც ერთ-ერთი წყაროდან ირკვევა, ჯაკომო საქართველოში 1228 წელს იმყოფებოდა². ეს მისიონერი ამაზე უფრო ადრეც უნდა ჩამოსულიყო ჩვენს ქვეყნაში. ამის საფუძველს გვაძლევს შემდეგი ცნობა: 1221 წელს (და არა 1211 წელს, როგორც ო. ტაბაღუა წერს³ „...საქართველოში იმყოფებოდა უსაყვარლესი შვილი იაკობ დე რუსანო დომინიკელთა ორდენიდან, რომელიც თავის ჩანაწერებში მაღალ შეფასებას აძლევს ქართველებს“⁴. მარჩელინო ჩივეცას მიხედვით, ფრანცისკო ასიზელის „...მრავალ შვილთა შორის იყო რუსანო, რომელმაც ცალკეულ მიწებზე მოაბნია იესო ქრისტეს სიტყვები, შეაღწია თითოეულ ნაწილში და დატოვა თავისი გულუხვი ცხოვრება...“⁵.

მოხმობილ წყაროთა ცნობები გვაძლევს საშუალებას ვთქვათ, რომ ფრანცისკანელი მისიონერი ჯაკომო და რუსანო ორჯერ იმყოფებოდა საქართველოში, 1221 და 1228 წელს.

¹ იქვე.

² P.Girolamo Golubovich O.F.M., Biblioteca Bio-Bibliografia della Terra Santa e dell'Oriente Franciscano, t.I (XIII s.), Firenze, 1906, p. 113; ტაბაღუა ო., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, III..., გვ. 16.

³ ტაბაღუა ო., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XVI სს.), გვ. 74.

⁴ Wadingo Luca. Annales Minorum seu trium ordinum a S.Francisco institutorum, 1221-1237. T.III, 1931, p. 358-359.

⁵ P. Marcellino da Civezza. Op., cit., p. 214.

ის რომის ეკლესიისადმი ქართველთა დამოკიდებულებას „მაღალ შეფასებას“ აძლევდა. ამ უკანასკნელში უნდა ვიგულისხმოთ რუსუდან მეფის მიერ რომის პაპის, ვითარცა ქრისტიანული სამყაროს მეთაურის, უცილო აღიარება, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი. ქართველ მესვეურთა ასეთი დამოკიდებულება და განწყობა რომის პაპისადმი უშუალოდ გამომდინარეობდა ჯვაროსნული ლაშქრობების მიზნიდან: „ქრისტეს საფლავის გათავისუფლება და აღმოსავლეთის ეკლესიების ხსნა საშიში მტრებისაგან“¹. თუ აღნიშნულ ცნობებს სანდოდ მივიჩნევთ და ჩავთვლით, რომ ჯაკომო და რუსანო 1228 წელს საქართველოში იმყოფებოდა, სავარაუდებელია, რომ რუსუდან მეფემ მას გაატანა წერილი პაპ გრეგორი IX-სთან, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია. ჯაკომო და რუსანო 1232 წელს ჩავიდა რომში და, ალბათ, გადასცა პაპს საქართველოს მეფის წერილი, რომელმაც პონტიფექტს ცრემლები მოჰყვარა და განხარებულმა „ჯაკომო და რუსანო გულში ჩაიკრა“.

როგორც ვთქვით, რუსუდან მეფის წერილი პაპ გრიგორი IX-სადმი დღემდე უცნობია. სამაგიეროდ შემონახულია ადრესატის პასუხი. ხსენებული პაპი საქართველოს მეფეს 1234 წლის 16 აპრილს წერდა: „და, აი, ამ წერილის ოქვეთან მიმტანის, მიხორიტების ორდენის ბერის, საყვარელი შვილის იაკობ დე რუსანის საშუალებით გავიგეთ: შენ ვწამს, რომ დიდების ტახტი, რომელზედაც ბრძანდები, ყოვლისშემქმნელისაგან მიიღე. შენ ღირსეულად მივიღია ამ ორდენის ბერები; როგორც ჩვენ გვწამს, გაიგე და ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ ვინც დღეს იცავს პატრიარქოსთა უმართლო შეურაცხყოფისაგან, კათოლიკურ ეკლესიას შეამკიბს

¹ Fedalto Giorgio. Perchè le Crociate. Saggio interpretative, Bologna, 1980, p. 14.

კიდევ უფრო ცხადი მშვენიერებითა და სასწაულებრივი მოქმედებით. ისინი ხომ სიღარიბეს და უძვირებას სწირავდნენ თავს და მით უფრო მაღლდებოდნენ იმის მიერ, ვინც მორჩილებისათვის სათნოებას პატივს მიუზღავს. ამრიგად, იმისათვის, რომ მოგრიჭოს სამართლიანი წინასწარმეტყველის ჯილდო, როგორც მეფებ, იმ მეუფისათვის, რომელიც ცოცხლებსა და მკვდრებს ცეცხლით განსჯის, მოწყვალებით უნდა მიიღო უბრალო პირთა მოქმედება. თუ გონიერი ხარ, შენს კეთილგანწყობას და მოწყვალებას შეუფარდებ მათ საქმეებს, მათ სიძნელეებში შემწყვალებლობით დაეხმარება. ჩვენი მოციქულებრივი წერილით გთხოვთ, გარწმუნებთ და მივუთითებთ შენს მეფეურ ბრწყინვალებას უკვე ჩადენილი ცოდვების პატიებას; ჩვენთვის ახლობელი ხენებული მორჩილი ძმა და ამ ორდენის სხვა ბერები სიღარიბის უღელ ქვეშ მოხალისე ლეგატებად მიღიან ქრისტიან ხალხებთან, იმათთანაც, ვინც არ ცნო უფალი და მის ნეტარ სახელს ამაოდ არ მოიხსენიებს. მიღებთ კეთილგანწყობით და მოუქცევით მათ მოწყვალებით იმ დიდებული შემოქმედების გამო, ვინც თავი შემოვკწირა და შთამომავლობის განმხრწელი მონობისაგან გამოვისყიდა, შვილთა თავისუფლებისაკენ მოგვიწოდა. ვისი შემწეობითაც შენ სამუდამი დიდებას მემკვიდრეობით მიიღებ⁴.

მნილია პაპის ამ წერილიდან წავიკითხოთ, რომ ქართულ მართლმადიდებელი და რომაულ-კათოლიკური ეკლესია განყოფაში იყოფებიან. არც ის ჩანს, რომ რუსუდან მეფე პაპს ეკლესიათა გაერთიანებაზე წერდა. ეს ასე რომ ყოფილიყო, ადრესატი ამაზე უთუოდ უპასუხებდა საქართველოს

¹ ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XVI სს, გვ. 185; თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა..., გვ. 12-13; Michel Tamarati. Op., cit., p. 425; თამარაშვილი მ., ქართული ეპლესია, გვ. 484.

მეფეს თავის ამ წერილში. არც ის იკითხება, რომ საქართველოს მეფე პაპს დახმარებას სთხოვდა საგარეო მტრების წინააღმდეგ, რაც ასე რომ ყოფილიყო, უთოდ აისახებოდა პაპის პასუხში. ამავე წყაროდან გარკვევით ჩანს, რომ რუსულან მეფეს ჯაკომო და რუსნო, რომელიც, ალბათ, თავისი ინიციატივით ჩამოვიდა საქართველოში, კარგად მიუღია. ეს, როგორც ზემოთ ვთქვით, უნდა ყოფილიყო 1228 წელს. რაც მეტად საყურადღებოა, რუსულან მეფემ კარგად იცის, რომ მისიონერები საქმიანობას ერეტიკოსთა შორის ეწევიან. მხოლოდ ეს აზრი იკითხება წერილის შემდეგი ადგილიდან: „როგორც ჩვენ გვწამს, გაიგე და ყურადღება მიაქციე იმას, რომ ვინც დღეს იცავს პატრებს ერეტიკოსთა უმართლო შეურაცხყოფისაგან, კათოლიკურ ეკლესიას შეამკობს კიდევ უფრო ცხადი მშვენიერებითა და სასწაულებრივი მოქმედებით“. ახლა ისმება კითხვა: ვინ იგულისხმებან პაპის წერილში დასახელებულ ერეტიკოსებში? ცხადია, მასში ქართველები არ იგულისხმებიან. რატომ? იმიტომ რომ, თუ პაპს მიაჩნდა, (ალბათ,, კარგად იცოდა) ქართული ეკლესია ბერძნული სქიზმის მიმდევრია, მაშინ არა სიტყვა „ერეტიკოსები“, არამედ სქიზმატიკოსები უნდა გამოეყენებინა. უფრო სარწმუნოა „ერეტიკოსებში“ ირანსა და შუა აზიაში მცხოვრები ნესტორიანელები იგულისხმებიან, რომელთაც XIII საუკუნის 70-იან წლებში კათოლიკურმა მისიებმა „...საბოლოო დარტყმა მიაყენეს თავიანთი შეუწყნარებლობის გამო“¹. თუ ჩვენი აზრი სწორია, მაშინ აღნიშნული წყარო გვაძლევს ორი დასკვნის გაკეთების საშუალებას. პირველი, კათოლიკე მისიონერები საქართველოში იგზავნებოდნენ არა ქართველების კათოლიკობაზე მოსაქცევად, არამედ ერეტიკოსებს შორის საქადაგებ-

¹ Успенский Ф.И. История Византийской империи, Т. 5, М., 2005, с. 136.

ლად. ამ დასკვნაში ამოსავალია ის, რომ პაპის წერილში არ ჩანს, რომ მისიონერები საქართველოში იგზავნებოდნენ „სჯულის განსაწმენდად და მართალი სარწმუნოების განსამტკიცებლად“, რაც მისიონერთა მოვალეობა უნდა ყოფილიყო. სწორედ ეს გვაძლევს იმ არგუმენტს, რომ ვთქვათ: წმ. ტახტი საქართველოს და მის ეკლესიას, როგორც კონსტანტინოპოლისას, ერეტიკულად არ მიიჩნევდა, არამედ—ბერძნული სქიზმის მიმდევრად, რაც, ალბათ, იმით იყო გამოწვეული, რომ ქართული ეკლესია ბიზანტიასთან ერთად რომთან ღია კამათს არ ეწეოდა. ამიტომ ორ ეკლესიას შორის დაბაჟული ურთიერთობის საფუძველი არ არსებობდა; მეორე, საქართველოს მეფეს მისიონერებისადმი მხარდაჭერით შეძლო კათოლიკური ეკლესიის „...სასწაულებრივი მოქმედებით..“ შემკობა, ანუ რუსუდანს, ვითარცა „რომის ეკლესიის ერთგულს“, რომელიც მისიონერების გამოგზავნას ითხოვდა, საერთო მიზნით უნდა ემოქმედა. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, საქართველოს მეფეს საერთო ინტერესებში მისიონერული უფლებები ენიჭებოდა. ცხადია, ამის საფუძველს გრევორი IX-ს რუსუდან მეფის მიერ გამოჩენილი ინიციატივა აძლევდა. მოკლედ რომ ვთქვათ, ორივე მხარე ამ ეტაპზე ეკლესიათა შორის არსებულ განსხვავებებზე აქცენტს არ აკეთებდა. თუ არადა ჯაკომო და რუსანოსათვის, რომელიც საქართველოში ოჯერ მაინც იყო, ალბათ, ცხადი უნდა ყოფილიყო განსხვავებების არსებობა, უფრო სწორად ის, რომ ქართული ეკლესია სქიზმის მიმდევარი გახლდათ. ასეთი რამ რუსუდანისათვისაც დამალული ვერ იქნებოდა. ასეა თუ ისე, ორივე მხარე ეკლესიათა შორის არსებულ განსხვავებებზე ყურადღებას არ ამახვილებდა. ამის უმთავრესი მიზეზი იმაში უნდა ვეძიოთ, რომ ქართული ეკლესია რომთან ურთიერთობაში სქიზმადელ დამოკიდებულებას იჩენდა, ხოლო წმინდა ტახტი ქართ

ულ ეკლესიას სქიზმაში მონაწილედ არ მიიჩნევდა. რამდენადაც ეს საკითხი შემდგომ კვლევას საჭიროებს, ამჯერად მასზე არ შევჩერდებით.

ერთი სიტყვით, ჯაკომო და რუსანოს რომში ჩასვლის შემდეგ გადაწყდა, რომ საქართველოში დაეარსებინათ ფრანცისკანელთა მისიონი. 1233 წლის 11 აპრილის ბულით „Cum sit omnis” პაპმა გრიგორი IX ჯაკომო და რუსანოს თავის ამხანაგებთან ერთად საქართველოში გაგზავნა დაადგინა¹. ზუსტად ერთი წლის შემდეგ, იმავე რუსანოს მოჰკონდა პაპის წერილი რუსუდან მეფესთან, რომელიც დაწერილია 1234 წლის 16 აპრილს. ამდენად, ფრანცისკანელმა მისიონერებმა საქართველოში მოღვაწობა არა 1230² ან 1233³ წელს დაიწყეს, როგორც აქამდე იყო მიჩნეული ჩვენს ისტორიოგრაფიაში, არამედ 1234 წელს. თუ პაპის წერილის დათარიღებას საეჭვოდ არ გავხდით, მაშინ ცხადია, რომ რუსანოს რუსუდან მეფესთან მოჰკონდა პაპ გრიგორი IX-ის 1234 წლის 16 აპრილს დაწერილი წერილი და შესაბამისად ამ წელს იწყებენ ფრანცისკანელები მოღვაწობას საქართველოში.

ერთი სიტყვით, 1234 წლის მეორე ნახევარში საქართველოში ბინა დაიდეს ფრანცისკელმა მისიონერებმა. ზუსტად არ ვიცით, თუ რამდენი თანამოღვაწით ჩამოვიდა ჯაკომო და

¹ P.Girolamo Golubovich O.F.M., Biblioteca Bio-Bibliografia della Terra Santa e dell’Oriente Franciscano, t.I (XIII s.), Firenze, 1906, p. 299; ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, III, გვ. 16.

² Michel Tamarati. Op., cit., p. 424; თამარაშვილი მ., ქართული ეკლესია, გვ. 482.

³ ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, III.., გვ. 16; პაპაშვილი მ., ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ტოლერანტობა..., გვ. 100.

რუსანო საქართველოში. ერთ—ერთი წყაროს თანახმად, ჯაკო-
მო და რუსანო „...მოციქულთა მამამ (პაპი გრიგორი IX-მ—
ავტ.)... თავის ვენახში 11 მუშაქთან ერთად გაგზავნა..“¹. ამავე
პატრიქის მიეცათ პაპი გრიგორი IX-ის წერილი ინსტრუქცია,
რომელიც დაწერილია 1234 წლის 19 აპრილს. „დარწმუნე-
ბული ვართ, რომ ღირსეულად ასრულებთ თქვენს მოვალეო-
ბას, როგორც შეუდრევებული მუშაკები და იღწვით იმისათვის,
რომ უფლის ძირებიდან ამოძირკვროთ სარუცელა. ამიტომ დარ-
წმუნებული ვართ, რომ თქვენი მოღვაწეობა დად ნაყოფს გა-
მოიღებს. მზად ვართ, გიბოძოთ უფლება: დასახელებულ მი-
წებზე აზიაროთ ეკლესიადან განდევნილები. სულის ხსნის
საქმეშიც ნებას გრთავთ, ეკლესიის სათანადო წესების დაც-
ვით ისარგებლოთ საკითხების გადაჭრის პირადი უფლებით
იმათ მიმართ, ვინც ღათინებს ეკუთვნის და მოციქულებრივ
ტახტს ემორჩილება. აღსარების მოსმენისა და მხსნელი მო-
ნანიების შემდეგ მათაც უფლება ეძღვათ, თქვენი ორდენის
მორჩილ ძმებთან ერთად გონივრულად იმსჯელონ უმნიშვნე-
ლო ცოდვათა დარღვევის თაობაზე“².

მოკლედ რომ ვთქვათ, 1234 წელს საქართველოში ბინა
დაიდეს ფრანცისკანელმა მისიონერებმა. ერთი წლის შემდეგ (1235) საქართველო მონლოლებმა დაიპყრეს. ჩვენ არ ვიცით,
როგორი იყო ფრანცისკელი პატრიქის პირველი ნაბიჯები სა-
ქართველოში. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ რუსუ-
დან მევემ 1240 წლამდე ჯაკომო და რუსანო პაპთან გააგ-
ზავნა წერილით, საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, პატრიქიმა
წარმატებით დაიწყეს საქმიანობა საქართველოში. თვით სამი-

¹ P. Marcellino da Civezza. Op.,cit., p. 215.

² Archivio Segreto Vaticano. Registro Vativano, vol.17, f.VI;
ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XVI ს.), გვ. 83.

სიონერო მოღვაწეობას სათავეში ედგა ხსენებული პატრი, რომელიც პაპის ლეგატს წარმოადგენდა რუსუდანის სამეფო კარზე¹. მონღოლების მიერ საქართველოს დაპრობით მათ საქმიანობას დაბრკოლება არ მოჰყოლია. მონღოლთა ბატონობის ქვეშ მოქცეული საქართველო კი ახლა რომის პაპის სახით ერთადერთ მოკავშირეს ხედავდა. ამის საფუძველზე კათოლიკე მისიონერებს უფრო ფართოდ გაუდეს კარი საქართველოში². შეუძლებელია, ამას არ წარმოეჩინა, თუ რა დოქტრინალური და საწესჩეულებო განსხვავებები არსებობდა ორ ეკლესიას შორის. ამასთან დაკავშირებით სწორად დასკვნის მკვლევარი ტ. მაჭარაშვილი: „...ვფიქრობთ, რომ მისიონერთა ჩამოსვლამ, საქართველოს ეკლესიისათვის ცხადი გახადა ის დოგმატური სხვაობა, რაც 1054 წლის შემდეგ ნელ–ნელა შეტანილი იქნა რომის კათოლიკური ეკლესიის წესებში, ხოლო მიღებული და დამტკიცებული ლატერანის 1215 წლის საეკლესიო კრებაზე...“³. თუმცა არც ერთი წყარო არ ადასტურებს, რომ ამაზე მხარეები დაობდნენ. ამიტომ გვიჭირს დავეთანხმოთ პატივცემულ პროფ. ე. მამისონვალიშვილს მოსაზრებას, რომ „...ორ ეკლესიას შორის წინააღმდეგობის მიზეზი...“ დაკავშირებული იყო „...დოგმატურ საკითხებთან დავაზე, რომლებიც წინათ შეუმჩნეველი იყო⁴. უფრო მეტიც, თვით ლიონის კრების დროსაც არ ყოფილა კონსტანტინოპოლისა და რომს შორის დოგმატურ საკითხებზე მწვავე დავა და არც ფილიოკვე იყო სავალდებულო. ასე რომ, ამ კონკრე-

¹ პაპაშვილი მ., საქართველო–რომის..., გვ. 84.

² პაპაშვილი მ., ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ტოლერანტობა..., გვ. 100.

³ მაჭარაშვილი ტ., 1054 წლის საეკლესიო განხეთქილება..., გვ. 138.

⁴ მამისონვალიშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, IV..., გვ. 333.

ტულ ეტაპზე ორ ეკლესიას შორის დოგმატურ საკითხებზე
დავა არ შეიმჩნევა. ეს უფრო შეუძლებელი იქნებოდა ქარ-
თველთა მხრიდან მაშინ, როცა ბიზანტიაში უკვე ლათინთა
იმპერია არსებობდა.

როგორც ირკვევა, 1240 წლამდე რუსულან მეფემ პაპ
გრიგორი IX-ს წერილი გაუგზავნა, რომელიც ჯაკომო და
რუსანობ ჩაიტანა რომში¹. ეს რომ ასეა, ჩანს პაპის საპასუ-
ხო წერილიდან, რომელიც დაწერილია 1240 წლის 13 იან-
ვარს². საქართველოს მეფის წერილი პაპისადმი დღემდე უც-
ნობია, მაგრამ ადრესატის პასუხიდან ვიგებთ, თუ რას ით-
ხოვდა ქვეყნის მპყრობელი. პირველი, მონღოლების წინააღმ-
დებ სამხედრო დახმარების აღმოჩენას და მეორე, თავისი
ქვეშევრდომების კათოლიკურ ეკლესიასთან შეერთებას. პირ-
ველ სათხოვართან დაკავშირებით, პაპი დანანებით აღნიშნავ-
და, რომ მისი მხედრობა ვერ დაეხმარებოდა საქართველოს,
რადგან მათ შორის ძალმოცემული მუსლიმები იდგნენ და
ისინი მხედრობას არ გაატარებდნენ. აქვე დასახელებულია
სხვა მიზეზებიც; დასავლეთში ერეტიკოსების წინააღმდეგ
ბრძოლა, ფრიდრიხ II-სთან გამწვავებული ურთიერთობა და
ტერიტორიული სიშორე³. რაც შეეხება მეორე თხოვნას, რუ-
სულან მეფის მიერ ეკლესიათა შეერთების განზრახვას, პაპმა
მას „ლვთაებრივი შორსმჭვრეტელობის საუკეთესო ნიმუში

¹ პაპაშვილი მ., საქართველო—რომის..., გვ. 84.

² თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა..., გვ. 17; Michel Tamarati. Op., cit., p. 430; თამარაშვილი მ., ქართული ეკლესია..., გვ. 488; ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XVI სს.)..., გვ. 187.

³ თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა..., გვ. 15; Michel Tamarati. Op., cit., p. 427-428; ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქი-
ვებსა და წიგნსაცავებში (XIII-XVI სს.)..., გვ. 189.

უწოდა“.¹ ეს ბუნებრივი იყო ამ დროს დასავლეთში პაპობის მიერ კატართა ერესისა და ფრიდრიხ II-ის რეფორმატორული ნაკადის წინააღმდეგ ბრძოლის ფონზე. აკი სწორედ ამის გამო ვერ მალავდა პაპი სიხარულსა და აღფრთოვანებას. რაღან, როცა ეკროპაში „დამლუპევლი განხეთქილება მძინვარებდა“, მაშინ „უცნობი მეფეები (იგულიდსხმება ევროპისათვის უცნობი - მ.პ) და ხალხი, მისგან ესოდენ დაშორებულნი, მიმართავდნენ მას მის წმიდა წიაღში შესვლის შესახებ“. რადგან ეკლესიათა გაერთიანებას რუსუდანი ითხოვდა („...რომლის მიზეზი თქვენ ხართ“—ვკითხულობთ მასში) პაპი წერდა: „შეუერთდით მას და რომის ეკლესიას და სწუხდეთ, რომ აქამდე დაგიგვიანდათ“ (ხაზგასმა ჩვენია)². პაპის წერილიდან ეს ბოლო ადგილი პატ. მ. თამარაშვილს შეცდომით აქვს თარგმნილი. თუ არადა მის ზუსტ თარგმანს დიდი მნიშვნელობა აქვს. შემდეგში პროფ. ი. ტაბაღუამ ვატიკანის არქივიდან აღებული ამ წერილის ეს ადგილი ასე თარგმნა: „რაც შეეხება იმას, რომ თქვენ გვთავაზობთ და ითხოვთ—თქვენი სულიერი სახლი შეუერთოთ ჩვენს სახლს, ჩვენ ვაქებთ თქვენს დიდებულებას, რადგანაც ეს სურვილი უფრო ძლიერად და სათანადოდ მოგმესახურება თქვენს ხსნას და თქვენს მიმართ ჩვენს სიხარულს...“². როგორც ვხედავთ, ი. ტაბაღუას მიერ შესრულებულ თარგმანში საუბარი არ არის იმაზე, რომ რუსუდან მეფეს დააგვინდა რომის ეკლესიასთან შეერთება და ამის გამო უნდა სწუხდეს. ეს იმდენად მნიშვნელოვანია, რამდენადაც მკვლევრები ამაზე დაყრდნობით ასკვ-

¹ თამარაშვილი მ., ისტორია ქათოლიკობისა....გვ.16; Michel Tamarati.Op., cit., p. 429; თამარაშვილი მ., ქართული ეკლესია..., გვ. 487.

² ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XVI სს.)..., გვ. 189-190.

ნიან, რომ ქართული მართლმადიდებელი ეკლესია რომაულ კათოლიკურ ეკლესიას სქიზმისთანავე ჩამოსცილდა. ამ წერილის დედნის ასლი ჩვენც მოგვეპოვება¹. შედარებისას გამოირკვა, რომ ი. ტაბაღუას მიერ შესრულებული თარგმანი უმნიშვნელო სტილისტური წყობის გარდა აზრს ზუსტად გადმოგვცემს.

როგორც ვხედავთ, რუსუდან მეფემ რომის პაპს ეკლესიათა გაერთიანების წინადადებით მიმართა. მასში არ ჩანს, რომ ეს უნიის საფუძველზე უნდა მომზდარიყო. ვერც იმაზე ვიტყვით რაიმეს, თუ როგორ წარმოედგინა საქართველოს მეფეს ეკლესიათა გაერთიანება. უფრო უნდა ვიფიქროთ, რომ ამას რუსუდან მეფე და მისი კარი პირველი შვიდი საეკლესიო კრების საფუძველზე ისახავდა მიზნად. ერთი რამ ცხადი იყო: რომსა და თბილისში ეკლესიათა შორის დოგმატურ და საწეს-ჩვეულებო საკითხებზე განსხვავებები ახლა აშკარად უნდა შეემჩნიათ, მაგრამ ამაზე აქცენტს არ აკეთებდნენ. მისიონერებს საქართველოში უნიის პრინციპებით არ აგზავნიდნენ, რადგან ისინი აქ კათოლიკურ ეკლესიას აარსებენ, რომელიც ლათინურ ტიბიკონზე იდგა. ეს იმას ნიშნავს, რომ ქართული მართლმადიდებელი ეკლესია თავის დამოუკიდებლობაზე ხელს არ იღებდა. მიუხედავად ამისა, მისიონერთა მოღვაწეობას საქართველოში არანაირად ხელს არ უშლიდა.

ამის დასტურს ის წარმოადგენდა, რომ 1240 წელს საქართველოში ფრანცისკელებთან ერთად დომინიკელმა მისიონერებმაც დაიდეს ბინა². 1245–1258 წლებში საქართველოში გამოგზავნილ მისიონერთა ახალ ნაკადს უნდა ეზრუნა ეკლე-

¹ Archivio Segreto Vaticano. Registro Vaticano, vol.19, f.XL

² თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა..., გვ. 17; Michel Tamarati. Op., cit., p.430; თამარაშვილი მ., ქართული ეკლესია..., გვ. 488.

სიათა ერთიანობის მისაღწევად¹, მაგრამ უცნობია, თუ რა სახეს ურთიერთობები ყალიბდებოდა ამ მიმართულებით. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ დროგამოშვებით, მაგრამ მაინც აგზავნილნენ პაპები საქართველოში მისიონერებს, უნდა ვიგულისხმოთ, რომ მონღოლთა უღელ ქვეშ მოქცეული ქართველი პოლიტიკოსები და სასულიერო იერარქები პაპის სახით შესაძლებელ მოკავშირეს ხედავდნენ და ამ იმედით მისიონერთა საქმიანობას ხელსაყრელ პირობებს უქმნილნენ. რაც შეეხება ეკლესიათა გაერთიანების საქმეს, მასზე ქართველ საეკლესიო იერარქებს აღარ უზრუნიათ, „რადგან საქართველოს მმართველი წრეებისათვის რომის ეკლესიასთან შეერთების საკითხს უფრო პოლიტიკური მიზანი ჰქონდა, ვიდრე სარწმუნოებრივი“². მიუხედავად ამისა, ორ კონფესიას შორის ურთიერთობებს საქართველოში სპეციფიკური ხასიათი არ შეუძებია. დოქტრინალურ დონეზე კამათი არ გამართულა. სხვა შემთხვევაში განსხვავებულობის გამო კონფლიქტი გარდაუვალი იქნებოდა და იგი უშუალოდ ასახვას იპოვიდა მისიონერთა რელაციებსა ანდა პაპების საქართველოს მესვეურებისადმი მიწერილ წერილებში. ასეთი რამ ჯერჯერობით წყაროებით არ დასტურდება. თუ არადა ეს, გამორიცხული იყო კათოლიკე მისიონერებს თბილისში XIII საუკუნის 60-იან წლებში, „წმინდა მარტინის ქართული მონასტერი

¹ თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა..., გვ. 8; ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, III..., გვ. 17; პაპაშვილი მ., კათოლიკობა და ეკლესიათა უნის საკითხი საქართველოში (XIII-XV საუკუნის I ნახევარი), კრებ.: „საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან, ტ. III, თბ., 1996, გვ. 244-245.

² ჯავახიშვილი ი., ქართველი ერის ისტორია, ტ. III, თბ., 1966, გვ. 111.

რი“ და მის გარდა კიდევ ოთხი მონასტერი დაეკარსებინათ¹. ეს ფაქტი ცხადყოფს, რომ საქართველოში კათოლიკობამ სულ მცირე 31 წლის მანძილზე გარკვეულ წარმატებებს მიაღწია. ამაში უდავო დამსახურება ქართული ეკლესიის მესვეურთა პოზიტიურ ტოლერანტობასა და საქართველოში მართლმადიდებლობის მიმართ კათოლიკეთა კონფესიურ-კულტურულ ურთიერთობებს მიუძღვის.

მაგრამ ფაქტია, საქართველოსა და პაპობას შორის საქმე არ მისულა კრიზისამდე. ქართველებს არ სურდათ ელიარებინათ, რომ ქართული ეკლესია ბიზანტიის სქიზმაზე შეჩერდა. ამაზე წერილში არაა საუბარი და რომთან შეერთებით მას სურდა თუ შესაძლებელი იყო, სქიზმამდელი დროის საათების დაბრუნება.

ამდენად, შეეძლებელია ზუსტად ითქვას, თუ როდის მოხდა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის გაყრა რომაულ კათოლიკურ ეკლესიასთან. 1054 წლის დიდმა “სქიზმამ” დააფიქსირა მხოლოდ ქრისტიანული ეკლესიის აღმოსავლურად და დასავლურად დაყოფა, ხოლო ბიზანტიურ და ლათინურ ეკლესიებს შორის საბოლოო განხეთქილების პროცესი 1204 წელს ჯვაროსნების მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობით დასრულდა. ამ კონტექსტში ქართული ეკლესია, მართალია, არ აღიარებდა “ფილიოგეს”, არ ეძორჩილებოდა რომის ეკლესიას, მაგრამ ინარჩუნებდა მასთან ლოიალურ დამოკიდებულებას და, ბერძნების მსგავსად, არ კიცხავდა კათოლიკური ეკლესიის დოგმებსა და წეს-ჩვეულებებს. უფრო მეტიც, ჯვაროსნული ლაშქრობების დროს წმინდა მიწაზე ქართული მონასტრები ლათინთა საპატრიარქოს კანონიკურად დაემორჩილა, მაგრამ ამან გავლენა ვერ მოახდინა მათ თვით-

¹ ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XVI ს., გვ. 90; პაპაშვილი მ., საქართველო-რომის..., გვ. 86.

მყოფადობაზე. ეს კი იმაზე მეტყველებდა, რომ ორ ეკლესიას შორის არსებულ განსხვავებას არც ერთი მხარე არ იმჩნევდა. ამის მიზეზი იყო შემდეგი: პირველი, ქართველები ჯვარისნებს დახვდნენ სქიზმამდელი გრძნობებით და რაინდები მათ თვლიდნენ ქრისტიან ძმებად, რომლებიც საერთო მტრის წინააღმდეგ იბრძოდნენ. ჯვაროსანთა მხრიდან ეს დამოკიდებულება და განწყობა სტრატეგიულ მიზნებს ისახავდა: პირველი, საქართველოსთან კავშირში მოწინააღმდეგეთა დასუსტება საბოლოო გამარჯვებამდე; მეორე, არ არსებობდა ქართველ სასულიერო იერარქთა არც ერთი სინოდალური გადაწყვეტილება, რომლის ძალით მოხდა წმინდა ჭახტთან ერთობის დარღვევა.

საქართველოს პოლიტიკოსებთან პაპობის უშუალო კავშირს სათავე დაუდო V ჯვაროსნულმა ლაშქრობამ, რომელიც 1234 წლიდან რეგულარულ საეკლესიო ურთიერთობებში გადაიზარდა. კერძოდ, საქართველოში საქმიანობა დაიწყეს კათოლიკე მისიონერებმა. მართალია, ისინი არ ცდილობდნენ ქართულ ეკლესიაზე გამარჯვებას, მაგრამ ეს ფაქტი თავისთავად ავლენდა ორი ეკლესის განცალკევებას. მისიონერები არა მხოლოდ სახარებას, არამედ კათოლიკიზმის თვალთანედვით უნისაც ქადაგებდნენ. პაპობის მიერ შემოწმებული ეს პოლიტიკური გზა იმას გულისხმობდა, რომ ქართული ეკლესია უნიის საშუალებით შეძლებდა მხოლოდ მსოფლიო ეკლესიის ნაწილი გამხდარიყო. მთელი XIII საუკუნის მანძილზე ამაში გადამწყვეტ როლს საქართველოს მონარქები ასრულებდნენ. ისინი ხელმძღვანელობდნენ საკუთარი საეკლესიო პოლიტიკით და დაინტერესებულნი იყვნენ ეკლესიათა ერთიანობით მხოლოდ სქიზმამდელი მოქმედი პრაქტიკის შესაბამისად. ამასთან დაკავშირებით ორ ეკლესიას შორის არ მიმდინარეობდა საღვთისმეტყველო დავები. უნიის გარეშეც

ქართული სახელმწიფო და მისი ეკლესია აღიარებდა რომის კათოდინისა და პაპის ძალაუფლების განსაკუთრებულობას.

კიდევ ერთხელ გავიმეორებთ: ქართული ეკლესიის რომაულ-კათოლიკურ ეკლესიასთან ზუსტად “გაყრის” დათარიღება შეუძლებელია. ეს იყო პოლუესი, როცა საქართველოში საქმიანობა დაიწყო 1234 წლის შემდეგ, როცა საქართველოში სავარაუდოდ დასრულდა 1329 წელს, როცა თბილისში დაარსდა კათოლიკური ეკლესია¹ ლათინური იერარქიით.

Murman Papashvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**NEW INTERPRETATION OF THE TIME OF THE
GEORGIAN-ROMAN CHURCHES
"DIVORCE" AND UNITY PROCESS
RESUME**

The Great Schism of the Christian church in 1054 recorded only its division into the eastern and western churches, while the final split between the Byzantine and Latin churches ended with the conquest of Constantinople by the Crusaders in 1204. In this context, the Georgian Church did not admit the "Filioque", did not obey the Roman Church, but maintained loyalty to it and, unlike the Greeks, did not deny the doctrines and traditions of the Catholic Church. Moreover,

¹ დაწერ. იხ: მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა..., გვ. 28-39; გ. პაპაშვილი, ჯვაროსნული ლაშქრობის თეორიული პროექტები და საქართველო XIV საუკუნის პირველ ნახევარში, კრებ.: “გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი. შრომათა კრებული, №15“, თბ., 2018, გვ. 112-119.

the Georgian monasteries in the Holy Land obeyed the Latin Patriarchate during the Crusades, but they did not influence their identity. This made it clear that none of the two sides paid attention to the difference between the two churches. The following was the reason: First, the Georgians welcomed the crusaders as if the two churches had not been split and the knights perceived Christians as their brothers fighting against their common enemy. Such an attitude and mood on the part of the Crusaders pursued strategic goals: they wanted in an alliance with Georgia to weaken the opponents right up to a complete victory over them; Secondly, there was no synodal decision of Georgian clerical hierarchies, which would result in the violation of the Holy Throne unity.

The fifth campaign of the Crusaders laid the foundation for the direct connections of the Georgian politicians with the papacy, which from 1234 turned into regular ecclesiastical relations. In particular, the Catholic missionaries began to work in Georgia. It is true that they did not try to win over the Georgian Church, but this fact in itself revealed the separation of the two churches. The missionaries preached not only the gospel but also the unity of the church in terms of Catholicism. The political path that was examined by the papacy meant that the Georgian Church was able to become part of the world church only through the unity. Throughout the XIII century, the Georgian monarchs played a decisive role in this. They were guided by their own ecclesiastical policies and were interested in the unity of the churches only in accordance with the pre-Schism applicable practice. In this connection there were no theological disputes between the two churches. Even without the unity the Georgian state and its church recognized the exclusivity of the Roman chair and the papal authority.

It is impossible to accurately date the "divorce" of the Georgian church with the Roman Catholic Church. It was a process that allegedly began after 1234 and was supposedly completed in 1329, when the Latin Catholic Church was established in Tbilisi.

გიორგი სოსიაშვილი გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

პეტრიწონის მონასტერი და სოფელი ერგნეთი

დიდი ლიახვის ხეობაში, კერძოდ, სოფელ ერგნეთში, რომელიც ცხინვალთან ახლოს მდებარეობს, შუასაუკუნეებში თავისი მამული ჰქონდა ბულგარეთში არსებულ პეტრიწონის ქართველთა მონასტერს.* ცნობილია, რომ აღნიშნული მონასტერი, 1083 წელს, ბიზანტიის იმპერიაში მოღვაწე ტაოელმა დიდგვაროვანმა გრიგოლ ბაკურიანისმებ დააარსა. პეტრიწონში მან სამი ეკლესია ააგო. აქედან ყველაზე დიდი ტაძარი ღვთისმშობლის სახელობის იყო, ხოლო დანარჩენი ორი, შედარებით მცირე ზომის ტაძრები იოანე ნათლისმცემლის და წმინდა გიორგის სახელზე იყო აგებული.¹ პეტრიწონის მონასტერს გრიგოლ ბაკურიანისმებ ტიპიკონიც შეუდგინა. მო-

* ლიახვის ხეობაში უცხოეთში არსებული არაერთი ქართული მონასტერი ფლობდა მამულს. მათ შორის იერუსალიმის ჯვრის მონასტერი, ასევე სინას წმ. ეკატერინეს სახელობის მონასტერი. გ. სოსიაშვილი, იერუსალიმის ჯვრის მონასტრისა და სინას მთის მამულები ლიახვის ხეობაში, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი, შრომათა კრებული, №9, 2016, გვ. 181. პატარა ლიახვის ხეობაში თავისი მეტოქი და მამულები ჰქინდა ათონის ვატოპედის ბერძნულ მონასტერსაც. გ. სოსიაშვილი, ათონის ვატოპედის ბერძნული მონასტრის მეტოქი და მამულები პატარა ლიახვის ხეობაში, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, №2, 2017, გვ. 54.

¹ ა. შანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. IX, თბ., 1986, გვ. 17.

ნასტრის წესდების თანახმად ქართველთა სავანის დღესასწაულად ღვთისმშობლის მიძინების დღე ითვლებოდა. ტიპიკონში ვკითხულობთ: „და მიცვალებასა წმიდისა ღმრთისმშობელისასა, რომელ არს დღესასწაული წმიდისა ეკლესიისა ჩუენისავ, და თავის კუეთასა წმიდისა ოვანე ნათლისმცემელისასა და გიორგიწმიდობად ძმათა მონასტრისათა განეყოს თორმეტ-თორმეტი დრაკანი.“¹ პეტრიწონის მონასტერს, დამაპრსებელმა გრიგოლ ბაკურიანისმებრ, რომელიც საიმპერატორო კარზე დიდი გავლენით სარგებლობდა, დიდალი ქონება შეწირა.² მწირი ღოკუმენტების ფონზე გაგვიჭირდება იმის თქმა, თუ რა სახის ქონებას ფლობდა საქართველოში ბულგარეთში არსებული ქართული სასულიერო ცენტრი. უკანასკნელ პერიოდში ძალზე საყურადღებო ცნობები გამოაქვეყნა თ. მესხმა, საიდანაც ჩანს, რომ XIV საუკუნის დასაწყისში, პეტრიწონის მონასტერს თავისი მამულები პქონდა ჩვენს ქვეყანაშიც, მათ შორის დიდი ლიახვის ხეობაში არსებულ სოფელ ერგნეთში. ქართულ საისტორიო წყაროებში ერგნეთი არაერთხელ გვხვდება, თუმცა პეტრიწონთან მისი კავშირი, არც დოკუმენტებში ჩანს და არც ნარატიულ ძეგლებში. ერთ-ერთი ყველაზე ძველი სიგელი, რომელიც ერგნეთს ეხება, 1451 წლით თარიღდება. ამ ღოკუმენტიდან ირკვევა, რომ რამინ გაბელისმე-ამირეჯიბს სვეტიცხოვლისთვის რამდენიმე კომლი გლეხი შეუწირავს, მათ შორის ერგნეთში მცხოვრები ჯონასძე ორი ვენაზით: „და თქუნ, თანა-მოყუას-მერაბამესა წმიდათა მღვდელთმოძღუართასა, ქ(ართლი)სა კ(ათალი)კ(ო)ზსა და პატრიარქსა დ[ავი]თს, ჩუენ, გ[ა]ბელისმეთა, ამირეჯიბმან რამინ და თქუნისა საყდრისა ამილახორმან და ძმამან ჩემმან საჰამ[მ]ა, შემოვსწირეთ და მოგაწსენეთ კრცხი-

¹ იქვე, გვ. 123.

² ლ. შენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, გვ. 263.

ლოანს ერთი გლეხი ლალასძე მისითა მამულითა უკლებლად, ერთი გლეხი ერგნეთს-ჯოხჩავაძე მისითა ვენაჭითა, და ერთი ვენაჭი სხუავე შენი და ველი, მიწად სამისა დღისა.“¹ XVIII საუკუნის II ნახევრის დავთრების მიხედვით ერგნეთში ყმები ჰყავდათ მაჩაბლებს და ხერხეულიძებს.² 1789 წლის კათალიკოზის სახასო და სააზნაურიშვილო გლეხების დავთარში, მოხსენიებულია ეკლესის საკუთრებაში მყოფი ერგნეთში მცხოვრები ერთი კომლი გლეხი.³ როგორც აღვნიშნეთ, პეტრიწონის მონასტრის სოფელ ერგნეთთან კავშირის შესახებ, საინტერესო ცნობები გამოაქვეყნა თ. მესხმა. როგორც მისი ნაშრომიდან ჩანს, 1889 წელს ათენის ისტორიული და ეთნოგრაფიული საზოგადოების ბიულეტენის მესამე ნომერში დაიბეჭდა ვლასიოს სკორდელისის სტატია: შენიშვნები სტენიძაქის ბაჩკოვოს მონასტრის შესახებ.“ სტატიაში გამოქვეყნებულია ღმრთისმშობლის ხატის ქართული წარწერის ბერძნულებულოვანი თარგმანიც. ავტორის თქმით, ეს წარწერა მიწერილი ყოფილა პეტრიწონის მონასტრის ერთ-ერთ ხელნაწერზე, რომელიც 1827 წელს მის დიდ ბებიას გადმოუწერია. როგორც თ. მესხი წერს, მკვლევარს სკორდელისის მიერ პუბლიცირებული წარწერა თავდაპირველად ნ. ბერძნიშვილის (1949 წ.) და ა. შანიძის (1971 წ.) მიერ გამოქვეყნებული ღვთისმშობლის ხატის წარწერად მოუჩნდება, მაგრამ ეს ორი წარწერა სხვადასხვა აღმოჩნდა. სწორედ სკორდელისის მიერ გამოქვეყნებულ წარწერაში იხსენიება პეტრიწო-

¹ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, შეადგინეს თინათინ ენუქიმე, დარეჯან ქლდიაშვილმა და მზა სურგულაძემ, ტ. III, თბ., 2014, გვ. 53.

² ა. თაბუაშვილი, ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების აღწერის დავთრები, (XVIII საუკუნის II ნახევარი), გვ. 72, 86.

³ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 991.

ნის საკუთრებაში არსებული მამულები სოფელ ერგნეთში. ვლ. სკორდელისის მიერ გამოქვეყნებულ წარწერაში ვკითხულობთ: „აი, აღვნიშნავთ პეტრიწონის ღმრთისმშობლის ხატის ვერცხლის [პერანგზე] არსებულ წარწერებს, რომლებიც ქართულ ენაზე ამას ამბობენ.“ მარჯვენა მხარის წარწერა:

„1783 წლის 2 აგვისტო: † უფალო იესო ქრისტე, სულისა წმიდისა მიერ. ეს ხატი ყოვლადწმიდა [და] დიდებული ქალწულისა ჩვენისა ღმრთისმშობელისა, დედისა უფლისა, ეწოდება პეტრიძულ, ანუ პეტრიწონისა. ეს წმიდა ხატი დავხატეთ ორმა მმამ: ეგნატემ და ათანასემ, მადლითა ჩვენი და ჩვენი შვილების მორწმუნეობისა. ასევე, მისი წმიდა ეკლესიის სარჩოდ, შევწირეთ მას სამი სოფელი, რომლებიც მდებარეობს ციხეში, სახელად ქართლი; პირველ სოფელს ჰქვია კარალეთი, ფლობს ორ წისქვილსა და ერთ ვენახს. მეორე სოფელს ჰქვია ერგნეთი. მასაც აქვს ორი ვენახი. მესამე სოფელს ჰქვია ლილო; იგი მდებარეობს მთაზე. მასაც აქვს რამდენიმე ნაკვეთი. ამ სოფელში მდებარეობს ეკლესია პეტრიწონიტისას ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობლისა, რომლის წმიდა ხატს ქართულად ეწოდება პეტრიძულ“.

მარცხენა მხარის წარწერა:

„ეს ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელი დავხატეთ, როდესაც რომაელებთან მეფობდა დღეგრძელი ანდრონიკე მიხეილ პალეოლოგისა და მისი შვილები, საქართველოში კი მეფობდა მეფე კონსტანტინე და დიმიტრი, ბაგრატის დინასტიიდან. ქრისტესით 530 წელი, ინდიქტიონი 9, დეკემბრის თვის 12.. შენ ქალწულო და დედავ ღმრთისაო, შეგვეწიენ და შეგვინდენ შეცოდებანი დღესა მას განკითხვისა წინაშე საშინელისა საშსჯავროისა ჩვენ და ყოველნი კეთილმორწმუნე ქრი-

სტიანენი“.¹ აღნიშნულ წარწერებთან დაკავშირებით თ. მესხი წერს: „ამრიგად, სკორდელისის მიერ გამოქვეყნებულ ტექსტის მიხედვით, წარწერები განლაგებული ყოფილა ღმრთისმშობლის ხატის ვერცხლის პერანგის მარჯვენა და მარცხენა მხარეს. ხატის შემწირველებად მოიხსენიებიან მმები: ეგნატე და ათანასე. მათვე პეტრიწონის მონასტრისათვის ქართლის სამ სოფელში: კარალეთში, ერგნეთსა და ლილოში შეუწირავთ ვენაზები, მიწის ნაკვეთები და ორი წისქვილი. ლილოს ღმრთისმშობლის ეკლესია პეტრიწონის ღმრთისმშობლის სახელობის ყოფილა. იქ დასვენებულ ღმრთისმშობლის ხატს კი მოიხსენიებდნენ სახელწოდებით „პეტრიძულ“. პეტრიწონის ღმრთისმშობლის ხატის შექმნის დროდ დასახელებულია ის პერიოდი, როდესაც ბიზანტიაში მეფობდნენ ანდრონიკე, ძე მიხეილ პალეოლოგისა, და მისი შვილები. საქართველოში კი – მეფე კონსტანტინე და დიმიტრი ბაგრატიონები.² ეს წარწერა შეისწავლა ბერძენმა მკვლევარმა კ. აპოსტოლიდისმა. მან ხატი 1310 წლით დაათარილა.³ აღსანიშნავია, რომ პეტრიწონის მონასტერში არსებული ღვთისმშობლის ხატზე არსებული წარწერა გამოაქვეყნა ა. შანიძემ. აღნიშნული ხატი დათარილებულია 1311 წლით. წარწერაში ვკითხულობთ: „†მოიჰედა წმიდა ესე ხატი ყოვლად წმიდისა დედოფლისა ჩუენისა ღმრთისმშობლისა პეტრიწონს, ორთა ორციელად ძმათა მიერ ტაოელთა ეგნატის შვილთა მოძღურისა ათანასის და ოქროპირისა პერპერითა რკე (125) და წინაშე ხატისა

¹ თ. მესხი, პეტრიწონის მონასტრის მეტოქები საქართველოში, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის შრომათა კრებული, №14, 2016, გვ. 208-209.

² იქვე, გვ. 210.

³ იქვე.

საკანდლითა ვეცხლისაითა საბერძნეთს მეფობასა კეთილად მსახურთა მეფეთა ანდრონიკე, მიხაელ და ანდრონიკესსა პალეოლოგოს ძეთასა, ხოლო ქართლს კონსტანტინესსა და დიმიტრისსა ბაგრატონიანთასა, დასაბამითგანთა წელთა ბერძულად ხყით (6819), ხოლო ქართულად ხშიე (6915). წმიდაო ღმრთისმშობელო, შეიწირე მცირე ესე ძლუენი მათი და შეუნდვენ და მეოხ ეყავ მათ და მშობელთა მათთა დღესა მას დიდსა სასჯელისასა წინაშე ძისა შენისა და ღმრთისა ჩუენისა. ამინ, ამინ იყავნ, ამინ. ქორონიკონსა ფლა (531), ინდიკტიონსა თ (9). ქრისტე ღმერთო, შეიწყალენ სულნი მათნი, კაცთ მოყუარე ამინ“.¹ ა. შანიძემ უარყო პეტრიწონის მონასტერში 1310 წლით დათარიღებული ხატის არსებობა. ღ. პეტიტმა, როგორც თ. მესხი შენიშნავს, 1904 წელს ვლ. სკორდელისის გამოქვეყნებული წარწერა გადაბეჭდა და პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონის ბერძნული რედაქციის შესავალს დაურთო.² ა. შანიძემ ერთმანეთს შეადარა აღნიშნული წარწერა და მის მიერ ბულგარეთში პეტრიწონის მონასტრის ღვთისმშობლის ხატიდან გადმოწერილი წარწერა. მისი აზრით, სკორდელისის მიერ გამოქვეყნებულ წარწერაში რიგი არაზუსტობებია, მკვლევარი წერს: „ტექსტი მოყვანილია ახალ ბერძნულზე შესრულებული არაზუსტი თარგმანის მიხედვით, რომელიც გასულ საუკუნეში გაუკეთებია ვინმე მღვდელ ზაქარიას, რომელიც საქართველოდან ჩავიდა პეტრიწონში მოსალოცად. საკმარისია აღვინიშნოთ, რომ წარწერაში მოხსენიებული მამა და შვილი (ეგნატე და ათანასე) „თარგმანში“ დასახელებულია მმებად, ხოლო ეგნატეს მეორე

¹ ა. შანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი (ტიპიკონის ქართული რედაქცია), თბ., 1971, გვ. 207; თ. მესხი, დასახ. ნაშრომი, გვ. 211.

² თ. მესხი, დასახ. ნაშრომი, გვ. 212.

შვილი, ოქროპირი, საერთოდ არაა ნახსენები. ასევე არაა ნახსენები ანდრონიკე უმცროსი. გარდა ამისა, არ არის საუბარი შეკვეთის ღირებულებაზე. ორი ქართული წელთაღრიცხვიდან კი ნახსენებია მხოლოდ ერთი და ისიც შეცდომით. ასევე, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ მღვდელ ზაქარიას ნათავისარს, თითქოს წარწერაში იკითხებოდეს, რომ ტაოელმა ძმებმა პეტრიწონის მონასტერს საქართველოში შესწირეს სამი სოფელი: კარალეთი, ორი წისქვილით, ერგნეთი, ორი ვენახით, და ლილო, რამდენიმე მინდვრით. თითქოს, ამ უკანასკნელში მთაზე არსებობდა ეკლესია პეტრიწონის ღმრთისმშობლისა, ხატით „პეტრიძო“.¹ პეტრიწონის მონასტრისათვის სამ სოფელში ლილოში, კარალეთსა და ერგნეთში მამულების შეწირვა, ა. შანიძემ ხატის წარწერის ახალ ბერძნულზე მთარგმნელ მღვდელ ზაქარიას გამონაგონად მიიჩნია. თ. მესხი არ ეთანხმება ა. შანიძეს და წერს: „ადვილად შეიძლებოდა დავთანხმებოდი აპ. შანიძეს იმ საკითხში, რომ წელთაღრიცხვის სისტემათა ბერძნულ ენაზე გადატანისას მთარგმნელს ერთწლიანი ცდომილება მოუვიდა. ისიც ადვილი წარმოსადგენია, რომ მთარგმნელს ანდრონიკე იმპერატორის შვილიშვილის სახელი გამორჩა, რადგან მასაც ანდრონიკე ერქვა. მაგრამ, როგორდა გამორჩა 1311 წლის ხატის წარწერაში ნახსენები ათანასის ძმის, ოქროპირის, სახელი? ან, რატომ უნდა წარმოქმნა მამა-შვილი (ეგნატე და ათანასი) ძმებად? ამის თარგმნა ხომ რთული არ არის. ან კიდევ, თუკი ცნობა ხატისა და ვერცხლის საკანდელეს ღირებულებისა და შეწირვის შესახებ გამორჩა, როგორ ან რატომ ჩაამატა ცნობა პეტრიწონის მონასტრისთვის საქართველოში შეწირული მამულების შესახებ?² ჩვენი აზრით, მღვდელი ზაქარია

¹ ა. შანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში... გვ. 354-355.

² თ. მესხი, დასახ. ნაშრომი, გვ. 213-214.

ვერც გამოიგონებდა სოფლების შეწირვის ამბავს და ვერც ჩაამატებდა. ვერ გამოიგონებდა, იმ მიზეზით, რომ სამივე სოფლი ერთმანეთისგან ძალზე დაშორებულია და მათი ერთმანეთთან დაკავშირება არაბუნებრივად გვეჩვენება. ლილო თბილისთან ახლოს ძღვებარეობს, კარალეთი გორთან, ხოლო ერგნეთი კი ცხინვალთან. ეს სოფლები ზაქარია მღვდლის ფანტაზიით ხატის წარწერაში ვერ მოხვდებოდნენ. რაც შეეხება ინფორმაციის ჩამატებას, თ. მესხი ასეთ ვარაუდსაც უშვებს: „ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ვფიქრობ, მნელია იმის წარმოდგენა, რომ ცნობა პეტრიწონის მონასტრისადმი მამულების შეწირვის შესახებ მამა ზაქარიას გამონაგონი და ჩამატებული იყოს. მაგრამ, თუ ვინმე იმ ცნობას მაინც ჩამატებულად მიიჩნევს, მაშინ ისიც უნდა აღიაროს, რომ მამა ზაქარიამ გამონაგონი კი არა, ის ინფორმაცია ჩამატა, რასაც ალექსი მესხიშვილის ოჯახი ფლობდა. თუმცა, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე, მე მაინც იმ აზრის ვარ, რომ პეტრიწონის მონასტერში 1310 წელს შეწირული ღმრთისმშობლის ხატი ნამდვილად არსებობდა და მამა ზაქარიამ სწორედ მისი წარწერა თარგმნა.“¹ ზაქარია საეკლესიო მოღვაწე იყო, მის ოჯახში რომც არსებულიყო რაიმე სახის გადმოცემა (მნელი დასაჯერებელია, რომ XIV საუკუნეში პეტრიწონის მონასტრისადმი სოფლების შეწირვის ამბები ზაქარიას ოჯახში ზეპირსიტყვიერად ისე შემორჩენილიყო, რომ მოქმედ სასულიერო პირს წარწერაში ჩაემატებინა) ის ხატის წარწერაში თვითნებურად, დაუზუსტებლად, ამას ვერ ჩაწერდა. რაც შეეხება წარწერის ბერძნულ ენაზე თარგმნის სისწორეს, ზაქარია საკმაოდ განათლებული ადამიანი იყო, იგი სამი წელი (1788-1791) ანჩისხატის დეკანოზად მოღვაწეობდა. ზაქარია ალექსი დეკანოზის (მესხიშვილისა) ოჯახში აღიზარდა. სწო-

¹ თ. მესხი, დასახ. ნაშრომი, გვ. 219.

რედ მან დაუდო საფუძველი ალექსი-მესხიშვილების საგვარეულოს.¹ ვლ. სკორდელისმა, 1310 წლის ხატის წარწერის ბერძნულ თარგმანთან ერთად, ის მინაწერიც გამოაქვეყნა, რომელიც მღვდელ ზაქარიას მის მიერ შესრულებული თარგმანისთვის მიუწერია: „დღეთა მათ მაკარი ფილიპოსოლელის [მეუფებისა] მოვედი მე, მონა ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისა, გურჯისტანის ციხე-ქალაქ თბილისიდან, წმინდა მანდილის ეკლესიიდან, ძღვდელი ზაქარია, ჩემს შვილთან – პეტრეთან ერთად, წავიკითხე ქართული წარწერები, რომლებიც წერია ხატის კერცხლის [პერანგზე] და ისე წერია, როგორც ზემოთ ხედავ“.² შესაძლებელია, ზაქარიასეულ ბერძნულ თარგმანში გაპარულიყო რაიმე სახის უზუსტობა, მაგრამ შეწირული სოფლების სახელები იმავე სახით არის გადატანილი ხატზე არსებულ წარწერაში, როგორც დღემდეა შემორჩენილი. თ. მესხმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ 1311 წლის ხატზე დატანილ წარწერასა და 1310 წლის ხატის წარწერებს შორის განსხვავება იპოვა მ. თარხნიშვილმა. „კვლევისას აღმოჩნდა, რომ ამავე აზრის იყო მიხეილ თარხნიშვილი. მართალია, მას არცერთი ხატი არ უნახავს, მაგრამ, როგორც თავადვე აღნიშნავს, გრიგოლ ბაკურიანის-ძის ტიპიკონთან ერთად, მას ბულგარეთიდან კიდევ ორი ფოტოგრაფიული ფურცელი მიუღია. მკვლევარი მიხვდა, რომ იმ არც თუ ხარისხიან ორ ფოტოზე ღმრთისმშობლის ხატის წარწერა იყო აღბეჭდილი. მ. თარხნიშვილმა წაიკითხა წარწერა და 1311 წლით დაათარიღა. 1950 წელს კი ეს წარწერა, სათანადო გამოკვლევით, გამოაქვეყნა უურნალში „ბედი ქართლისა“. ხსენებულ გამოკვლევაში მ. თარხნიშვილი იმასაც აღნიშნავს, რომ მის მიერ წაკითხული ქართული წარ-

¹ თ. მესხი, დასახ. ნაშრომი, გვ. 217-219.

² თ. მესხი, გვ. 217.

წერა განსხვავდება იმ თარგმანისაგან, რომელიც ლ. პეტიტმა გამოაქვეყნა. იქვე ისიც აღნიშნა, რომ ბერნული თარგმანი სხვა ხატს ეკუთვნოდა. იმ სხვა ხატის შექმნის დროდ კი 1310 წელი განსაზღვრა¹. ვინ არიან ღვთისმშობლის ხატის შემწირველი ძმები-ეგნატე და ათანასე? რომლებმაც ხატთან ერთად ქართლში არსებული მამულები მათ შორის სოფელ ერგნეთის ორი ვენახი პეტრიწონის მონასტერს შეწირეს? როგორც ზემოთ წარმოდგენილი, სკორდელისის მიერ გამოქვეყნებული, წარწერა გვაუწყებს, ეგნატე და ათანასე მმები არიან. თუმცა წარწერიდან არ ჩანს, სად მოღვაწეობდნენ ისინი, რა საქმიანობას ეწეოდნენ. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ პეტრიწონის მონასტერს ისინი საკმაოდ დიდ ქონებას სწირავენ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ისინი სამეფო ხელისუფლებასთან დაახლოებული პირები არიან. რაკი შეწირული სოფლები ტერიტორიულად ერთმანეთისაგან საკმაოდ მოშორებით არის, არ არის გამორიცხული, რომ კარალეთი და ერგნეთი ერთ მმის, ხოლო ლილო მეორე მმის საკუთრება იყო. ვეთანხმებით თ. მესხის მოსაზრებას „ვფიქრობ, ისინი სამეფო კარზე ან დიდ აზნაურთა შორის უნდა ვეძებოთ.“² პეტრიწონის ქართველთა მონასტრის 1310-1311 ღვთისმშობლის ხატების წარწერებში მოხსენიებული ათანასე და ეგნატე სხვადასხვა პიროვნებები უნდა ყოფილიყვნენ. 1311 წლის ხატის წარწერაში მოხსენიებული ეგნატე, რომელსაც ორი შვილი ათანასე და ოქროპირი ჰყავდა, ტაოელია, სავარაუდოდ, ის დიდგავროვანია, ხოლო მისი ერთ-ერთი შვილი ათანასი, რომელიც ოქროპირის ხორციელი ძმაა, მოძღვარია.

¹ თ. მესხი, დასახ. ნაშრომი, გვ. 221; მ. თარხნიშვილი, ღვთისმშობლის ხატის წარწერა პეტრიწონის მონასტერში, უკრ. „ბედი ქართლისა“, პარიზი, 1950, 20-22.

² თ. მესხი, დასახ. ნაშრომი, გვ. 214.

1310 წლის ხატის წარწერაში კი ათანასე რომ მოძღვარია, არსად ჩანს. 1310 წლის წარწერის ათანასე რომ სასულიერო პირი ყოფილიყო შემწირველები ამას უსათუოდ ასახავდნენ. გარდა ამისა, 1310 წლის წარწერაში საინტერესოა ჩანაწერი: „ეს წმიდა ხატი დაგხატეთ ორმა ძმამ: ეგნატემ და ათანასემ, მადლითა ჩვენი და ჩვენი შვილების მორწმუნეობისა“¹ ჩვენი აზრით, მათ ამ დროს მცირეწლოვანი შვილები ჰყავდათ. ეგნატეს, ან ათანასეს, რომ პოლიტიკურ, ან სასულიერო ასპარეზზე გამოჩენილი შვილი ჰყოლოდათ, ამის შესახებ წარწერაში უსათუოდ აღნიშნული იქნებოდა. აქ არც ეგნატესა და ათანასეს მამის ვინაობაა ცნობილი. შესაძლოა ისინი პოლიტიკურ, ან სასულიერო ასპარეზზე ახალი გამოჩენილები იყვნენ და მამის მოხსენიება საჭიროდ არ ჩათვალეს, ისინი შესაძლოა მაღალი ფეოდალური იერარქები არ იყვნენ, სხვა შემთხვევაში, 1311 წლის წარწერის მსგავსად მამის ვინაობას, ან თავიანთ გვარს უსათუოოდ გვაუწყებდნენ. როგორც ჩანს, 1311 წლის წარწერაში მოხსენიებული ტაოელი ეგნატე ცნობილი პიროვნება იყო და ამიტომაც მიუთითეს მისმა შვილებმა. ტაოელი მოღვაწე ქართლის სოფლებში პეტრიწონის მონასტერს მამულებს ვერ უბოძებდა. 6. ბერძენიშვილი 1311 წლის ხატის წარწერით ცნობილ ათანასის და მის ღვიძლ ძმას ოქროპირს ტაოელ ქართველებად მიიჩნევდა.² თ. მესხი იზიარებს 6. ბერძენიშვილის შეხედულებას, რომ 1311 წლის წარწერაში მოხსენებული ათანასი პეტრიწონის მონასტერში მოღვაწე ბერი იყო. მკვლევარი წერს: „6. ბერძენიშვილის იმ თვალსაზრისის გაზიარება, რომ ათანასი პეტრიწონის მონასტერში მოღვაწე ბერი იყო, ნამდვილად შეიძლება. ისიც შეიძ

¹ იქვე, გვ. 209.

² 6. ბერძენიშვილი, ძლევად (გამარჯვება) რუმინეთ-ბულგარეთში მოგზაურობიდან, თბ., 1949, გვ. 33-34.

ლება დავუშვათ, რომ 1310 და 1311 წლის ხატების წარწერებში მოხსენიებული ათანასი ერთი და იგივე პირი იყოს. სავარაუდოდ, ის ხშირად ჩამოდიოდა საქართველოში, რათა პეტრიწონის მონასტრისთვის შეწირულობები შეეგროვებინა. ვინაიდან მან ორივე ხატის შეწირვაში მიიღო მონაწილეობა და ვინაიდან 1310 წლის ხატის წარწერაში ეგნატეს ძმად იყო მოხსენიებული (რაც შეიძლება გავიგოთ როგორც ქრისტესმიერი ძმა), სწორედ ამიტომ 1311 წლის ხატის წარწერაში ხაზგასმით აღინიშნა, რომ ოქროპირი მისი (ათანასის) „ხორციელი“ ძმა იყო.¹ წყაროებში გვხვდება შემთხვევები, როდესაც სულიერი ძმობა, სულიერი კაგშირი ხორციელზე მაღლა იდგა, მაგ., გიორგი მთაწმინდელის თხზულების მიხედვით იოანე ათონელი თორნიკეს თავის ხორციელ ძმას სულიერ ძმად იხსენიებდა. ლ. მენაბდეს განმარტებით: „მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ მათ შორის ხორციელი ძმობა არ იყო (იოანეს ვაჟი ექვთიმეც ხომ იხსენიებოდა მის სულიერ შვილად?!). ჩანს სულიერი ურთიერთობა უფრო საყურადღებო იყო და, -როგორც მნიშვნელოვანისა. – მისი წამოწევა ხდებოდა წინა პლანზე.“² თუმცა, მამა-შვილის ძმებად მოხსენიება, არ უნდა იყოს მართებული. რატომ არ იხსენიებს 1310 წლის ხატის წარწერა ოქროპირს? ჩვენი აზრით, ზემოთ ნახსენებ წარწერებში მოხსენიებული ათანასე, ისევე როგორც ეგნატე სხვადასხვა პიროვნებები იყვნენ. 1311 წლის წარწერაში მოხსენიებული ათანასე და ეგნატე ტაოელი დიდგვაროვნები იყვნენ და, შესაბამისად, შიდა ქართლის სოფლებს მონასტრებს ვერ შეწირავდნენ. პეტრიწონის მონასტრის საძვალეში დ. ლასკოვმა 1896 წელს მიაკვლია ფრესკას ქართული წარწერით: „წმინდაი გიორგი ქაშოეთისაი“.

¹ თ. მესხი, დასახ. ნაშრომი, გვ. 215.

² ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, გვ. 193.

ქაშოეთის სახელით საქართველოში რამდენიმე ტაძარი იყო ცნობილი და უმეტესობა წმინდა გიორგის სახელს ატარებდა. საყურადღებოა, რომ რევოლუციამდელ რუსულ რუკაზე ქაშოეთის მთების სახელწოდებით არაერთი ადგილია დატანილი მათ შორის სოფელ პატარა ლილოს თავზე. თ. მესხის აზრით, შესაძლებელია, რომ სწორედ ლილოს ეკლესიის გავლენით შექმნილიყო ეს ფრესკა პეტრიწონის მონასტერში. „წმიდა გიორგი ქაშოეთისა“, ლილოს წმ. გიორგის ეკლესიის გავლენით გაჩენილიყო. ან, ამ ეკლესიის მიერ გაღებული შეწირულობით მოეხატათ.¹ გარდა ამისა, მკვლევარი ყურადღებას აქცევს ერთ გარემოებას: „2001 წელს სოფელ დიდ ლილოში ერთ-ერთი ძველი ეკლესიის ნანგრევებზე ღმრთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესია ააგეს. რატომ არ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ის ნანგრევები სწორედ 1310 წლის ხატში მოხსენიებული „პეტრიწონიტისას“ ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ეკლესიისა იყოს.“² საბოლოოდ, თ. მესხი მიდის დასკვნამდე, რომ ორი ხატის ორ განსხვავებულ წარწერასთან გვაქვს საქმე. 1310 წლის წარწერაში „გამოგონილი და ჩამატებული არაფერია“³ 1310 წლით დათარიღებული ხატის არსებობაში შესაძლოა მართლაც გაჩენილიყო გარკვეული ეჭვი, მაგრამ წარწერის ბერძნულ თარგმანში არსებული სოფლების სახელწოდება ამ ეჭვს აქარწყლებს. ხატის არსებობის ვარაუდს ამყარებს, ისიც რომ სოფელ ერგნეთში ღღლებდეა შემორჩენილი ივერიის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი, რომელიც ე.წ. დოიჯაანთ უბანში (დოიჯაშვილებს ადგილობრივები რაჭიდან ჩამოსახლებულად თვლი-

¹ თ. მესხი, დასახ. ნაშრომი, გვ. 224.

² იქვე, გვ. 224

³ იქვე, გვ. 234.

ან)* ტაძარს ადრე გალავანიც ჰქონდა შემოვლებული. ამ ეკლესიის ადგილზე (როგორც ადგილობრივი მაცხოვრებლები გადმოგვცემენ, ეკლესიას მეორე სართულიც ჰქონდა, რომელიც ხის მასალით იყო შეკრული. ოუმცა ამის მტკიცება ძნელია, გადმოცემა ტაძრის მეორე სართულის შესახებ ჩაიწერა გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტმა ლიკა კასრაძემ). ეკლესიის ირგვლივ არის XIX საუკუნის საფლავის ქვები მხედრული წარწერებით. ტაძართან ახლოს ძველი აკლდამების თავსარქველებია, რაც, ჩვენი აზრით, დასავლეთის მხრიდან უნდა იყოს ამოტანილი, იმ ადგილებიდან, საღაც სარწყავი არხი გაიყვანეს). ა. ჩლაიძის თაოსნობით და დახმარებით, სოფელ ერგნეთის მკვიდრთა მონაწილეობით ივერიის ღვთისმშობლის ტაძარი აღდგა.**

* სოფელ ერგნეთში ორი ეკლესიაა. ერთი დოიჯაანთ უბაში (სოფელში დღემდე ცხოვრობს დოიჯაშვილების გვარი - გ. ს), ეკლესიას, როგორც დიდედაჩემი იტყოლდა გალავანიც ჰქონდა. ბოლშევკიების მოსვლის დროს ზარი ტირმინისის სკოლაში გადაიტანეს. ღვთიშობელში კოლმეურნების დროს ხორბლის საწყობი იყო. მეორე, მთავარანგელოზის ტაძარი კასრაანთშია (სოფელში დღესაც ცხოვრობენ კასრაძეები-გ.ს). სასუქების საწყობი ჰქონდათ. ერგნეთში მოღვაწეობდა მღვდელი ინიევი. რომელსაც სოფელში ორსართულიანი სახლი ჰქონდა აშენებული. დიაკვანი იყო აქაურ ალბორიშვილზე ზედსიძედ მოკიდებული დაგით კბაძიე, ფასანაურელი. მღვდელ-დიაკვანი ორივე ეკლესიაში მოღვაწეობდა. როგორც ბავშვობაში იტყოდნენ ხოლმე, ერგნეთში თავს იყრიდა სამღვდელოება. ერგნეთში აღდგომის მეორე დღეს დაწესებული იყო დღეობა – ღვთისმშობლობა. ტირიფონის არხი როდესაც გაჰყავდათ, არხი ეკლესიას ევახებოდა, კი ააცილეს მაგრამ სოფლის სასაფლაოს ნაწილზე გაიარა და ბავშვობაში მახსოვს დაზიანებული აკლდამებიდან გადმოყრილი ნეშტები. (გადმოცემა ჩავიწერეთ 1933 წელს დაბ. კონსტანტინე ჩლაიძისა-გან).

** უნდა ითქვას, რომ სარეაბილიტაციო სამუშაოებმა სიძველის კვალი ნაწილობრივ წაშალა. ბათქაშით დაიფარა და შეილესა ძველი ფე-

ნა. შესასელელში, შელესილი კედლიდან, ერთ ადგილზე ჩანს ძველი კედლის ნაშთი. სადაც ამოტვიფრულია მარაოს მსგავსი ორნამენტი. ასე-თივე გამოსახულება აქვს ერთ-ერთ საფლავის ქვასაც ტაძრის შუაგულ-ში. სადაც წარწერა არ იკითხება, თუმცა, ქვის ქვედა ნაწილზე, კუთხე-ში, მარაოსებრი ორნამენტი მაინც ჩანს. არ გამოვრიცხავთ, რომ ეს გამოსახულება ტაძრის რაიმე სიმბოლო ყოფილიყო. ტაძარში შემორჩენილია რამდნიმე საფლავი. როგორც ეპიტაფიებიდან ჩანს, ივერიის ღვთისმობ-ლის სახელობის ეკლესია ზერხეულიდების საძვალე იყო. ეპიტაფიები დაზიანებულია, თუმცა, ზოგიერთი მათგანი ნაწილობრივ მაინც იკითხება. ტაძრის ჩრდილოეთ კედელზე ივანე ზერხეულიდის და მისი მეულლის (სახელი არ იკითხება) ეპიტაფიებია: „ექ განისვენებს გვმით თავადის ივა-ნე ბეჭანის ძის ზერხეულიდის [და]კტოვე სახლი ოჯახი, გამოვთხოვე სოფელსა, (შემდევ ქვა დაზიანებულია და სტრიქონის დასაწყისი არ იკითხება) [...]ო სხვერპლად მივართვი უ(აქაც დაზიანებულია თეთრი მარმარილოს ფილა და წარწერა არ იკითხება) სა. მარად მყოფელსა...წული კი შენია. სულო... განგება მო... წელი...ის 4 სა.“ მის გვერდით, მარცხნა მხარეს ივანეს მეულლის ეპიტაფიაა, რომელიც შედა-რებით კარგად იკითხება:

„წუთისოფელმა უდროვოდ მამაშორა საყვარელს ქმარსა და შვი-ლებს. ბეჭანს, ალექსანდრეს, ბარბარეს, არ ვეძლურვი ბეჭს, რადგანაც მეღორისა საყვარელს ქმარ-შვილის ზელით მიწის დაყრა (ამ ადგილზე წარწერა დაზიანებულია) ...ეზე მდუღარე ცრემლის დაბნევა და... (ამ ადგილზე ქვა ატეხილია და წარწერა არ იკითხება) ..(ამ ადგილზე ერთი სიტყვა არ იკითხება)... ცრემლი ქმარ-შვილის ნუგეშად ჩამყვა საფლავში.“ აღნიშნულ ეპიტაფიაში მოხსენიებული ბარბარე ზერხეულიდი ამავე ტაძარში დაუკრძალავთ. ტაძრის შუაგულში მისი ეპიტაფია იკით-ხება:

„(ამ ადგილზე ქვა გადაცვეთილია და რამდენიმე შეკდრული გრა-ფემა არ იკითხება) ...ვენაობ წუთისოფელსა გარდაქცეულის მე მიწად ქმნილსა ერთი ძე დამრჩა ერთი ასული მიგლოვეთ მმანო ჩემონ ჩემერ(?) მიწანი თქუმენც შეგხდებათ დრონი და უამნა ლოდს ამას მდებარე კნეინა ბარბარე ზერხეულიდისა ჩენგ წელის (1853) მარტის (ამ ადგილზე ერთი გრაფემა არ იკითხება) მეორე გრაფემა სავარაუდოდ უნდა იყოს „ღ“ (4).

ტაძარში არის ასევე ზაქარია ზერხეულიდის მეულლის ეპიტაფია, თუმცა, ეპიტაფიაში არც მისი სახელი ჩანს და არც გარდაცვალების თა-

სავარაუდოდ, სწორედ პეტრიწონის მონასტრის ღვთისმშობლის მთავარი ტაძრის საპატივსაცემოდ და მეტოქად აშენდა ერთ დროს ერგნეთში ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი. ღვთისმშობლის ტაძრის დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ სოფლის დღეობად დაწესებულია ღვთისმშობლობა, რომელსაც აღდგომის მეორე დღეს აღნიშნავენ. საინტერესოა, რომ ღვთისმშობლის სახელობის დარბაზული ტაძარი არსებობს კარალეთშიც. ტაძარი ფეოდალური

რილი: „აქა შთაბინა შესაწ...ლი(ეს სიტყვა გაურკვევლად წერია) მტკვრი კახეთის თავადის ზალ ანდრონიკოვის ასულისა, თავადის ზაქარია ხერხეულიძის თან ფერცხალისა ელვისა ბედისა ლმობიერად დამტკვებელისა მეუღლისა მის და ოთხ (ამ ადგილზე ქვა გადაცემილია და არ იკითხება, უნდა იყოს სავარაუდოდ გრაფემა „ი“) შეიღთა (ამ ადგილზე წარწერა დაზიანებულია, სავარაუდოდ უნდა ეწეროს „მხილველთაგან“) შენდობის მქენისა წელსა (ამ ადგილზე წარწერა დაზიანებულია და თარიღი არ იკითხება) წარწერაში მოხსენიებული ზაქარია ხერხეულიძე სხვა წყაროებშიც გვხვდება. 1850 წლის ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა ნუსაში იხსენიება გენერალ-მაიორი ზაქარია სომონის ძე ხერხეულიძე, რომელსაც ჰყავდა მეუღლეულილია (რომელიც მის გვერდით არის დაგრძლეული), ვაჟიშვილი ნიკოლოზი; ქალიშვილები: ნადეჟდა, სოფიო, ალექსანდრა. (ქართლ-კახეთის თავადთა და აზნაურთა ოჯახები, ფოტოტიპიური გამოცემა ზურაბ ჭავჭავაძის რედაქციით, თბ., 2005, გვ. 244.). ტაძარში, სხვა საფლავებიც არის, მაგრამ ქვები იმდენად გადაცემილია, რომ წაკითხვა ვერ შევძლით. როგორც აღნიშნეთ, ერგნეთში გვაინფორმაციური პერიოდის დოკუმენტური წყაროების მიხედვით გლეხები ჰყავდათ ხერხეულიძებს და მაჩაბლებს. სოფლის დასაცლეთით, დიდი ლიახვის ნაპირზე, იქ სადაც დღეს ჭალაა, შემაღლებულ ადგილზე მაჩაბლების ნამოსახლარია. როგორც ჩანს, დიდი ლიახვის ხეობიდან მაჩაბლეთა ფეოდალური სახლის ერთი ნაწილი ერგნეთში დამკვიდრდა. გორის უნივერსიტეტის სტუდენტს ლიკა კასრაძეს ჩაუწერია გადმოცემა, რომლის მიხედვით მაჩაბლები ერგნეთში XV საუკუნეში ჩამოსახლებულან. ერგნეთში არსებული მაჩაბლების სახლი 1925 წელს ბოლშევკიებმა დაშალეს. იხ. გ. სოსიაშვილი, დიცის ისტორია, თბ., 2010, გვ. 53.

ხანით თარიღდება.¹ ერგნეთის მსგავსად კარალეთის მოსახლეობაც სოფლის დღედ (დღეობად) ღვთისმშობლობას აღნიშნავს, კარალეთში ღვთისმშობლობა აღინიშნება 26 სექტემბერს. ბოლშევიკური ხელისუფლების დამყარების შემდეგ შიდა ქართლის ტერიტორიაზე არსებულ ტაძრებს საყოფაცხოვრებო დანიშნულებით გამოყენების საფრთხე დაემუქრათ. (ცნობილია, რომ ეკლესიებში გახსნეს კლუბები, კულტურის სახლები, კოლმეურნეობების საწყობები და სხვ. ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ ადგილობრივი ძეგლების შესწავლა ს. ჯანაშიას დაევალა. ს. ჯანაშიამ მაზრის ხელმძღვანელობას სპეციალური წერილით მიმართა, სადაც მაზრის ტერიტორიაზე არსებული რამდენიმე ტაძრის, როგორც მაღალი ისტორიული მნიშვნელობის მქონე ძველი ქართული ხელოვნების ძეგლების, გამოყენება საყოფაცხოვრებო მიზნით დაუშვებლად მიიჩნია. ამ ნუსხაში ახალგაზრდა მეცნიერს შეტანილი ჰქონდა ტყვიავის თემში არსებული ერგნეთის ტაძარი. ს. ჯანაშიას წერილში კითხულობთ: „გორის მაზრის აღმასრულებელ კომიტეტს ს.ს.ს.რ. სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის კომიტეტის რწმუნებულის სიმონ ჯანაშიასაგან. თანახმად ზემოხსენებულ კომიტეტის თქვენდამი ა. წლის მაისის 17-ის მომართვისა №132/8595, მაქვს პატივი მოგახსენოთ უწყებისა და შესრულებისათვის შემდეგი: 1. თქვენდამი რწმუნებული მაზრის ქვემოხსენებული ეკლესიები: ტყვიავის თემში-ერგნეთისა, შინდისის თემში-ნიქოზისა, დირბის თემში-არადეთისა, ბრეთისა, საღოლაშენისა და წვერისა, გომის თემში-ვაყის გრიგორიანთა და ნაბახტევისა, რუისის თემში-რუისისა და ურბნისისა, საციხურის თემში-ატოცისა, ხიდისთავის თემში-ხიდისთავისა და ატენისა (დღიდ სიონი გრიგორიანთა და

¹ საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 5, თბ., 1990, გვ. 74.

მართლმადიდებელთა), ხოვლესი, ყარალაჯისა, მეტეხისა, ერთაწმინდისა და რკონისა, კავთისხევის თემში-ნიჩბისისა, ქვათახევის, წინარეხისა და ლავრისა, მეჯვრისხევის თემში-მეჯვრისხევისა, სურამის თემში იტრიისა, ქარელის თემში-სარკისა და ყინწვისისა, ხცისის თემში-წრომისა, ხაშურის თემში-ჭალისა და ქვემო ჭალის თემში-სამთავისისა, ქვემო ჭალის ღვთისმშობლის მიძინებისა და ქვემო ჭალისა ჯვარი-პატიოსნისა-წარმოადგენენ მაღალი ისტორიული მნიშვნელობის ძეგლებს ძველი ქართული ხელოვნებისა და მათი (ე.ი. შენობების) რამე გარეშე მიზნისათვის გამოყენება ყოვლად დაუშვებელია.¹ დოკუმენტში ნახსენები ერგნეთის ეკლესია, ჩენი აზრით, ეს უნდა ყოფილიყო ერგნეთის ივერიის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი, რომელიც როგორც აღვნიშნეთ, მაღალი ისტორიული მნიშვნელობის ძეგლს წარმოადგენდა. სამწუხაროდ საბჭოთა პერიოდში აღნიშნული ტაძარიც საწყობად იყო გადაკეთებული. ხოლო ბოლო დროს ტაძრის თვითნებურმა რესტავრაციამ (უნებურად) ძველი ქართული ხელოვნების ეს ძეგლი, მისი ორნამენტები ძალზე დააზიანა.

Giorgi Sosiashvili
Gori State Teaching University
**PETRITSONI MONASTERY AND VILLAGE ERNETI
RESUME**

Petritsoni Monastery, located in Bulgaria supposedly owned lands in Didi Liakhvi gorge. It is known that in 1083, Grigol Bakurianisdze (Gregory Pakourianos), a nobleman from

¹ გ. სოსიაშვილი, ნარკვევები შიდა ქართლის ისტორიიდან, თბ., 2011, გვ. 125.

Tao, who had significant influence throughout the Byzantine Empire, had built a Georgian monastery in Bulgaria, along with three churches. Among the churches, the biggest one was after Virgin Saint Mary and the remaining two were after, John the Baptist and after St. Giorgi. Based on the few documents at hand, it is hard to determine, what type of wealth did the Georgian monastery in Bulgaria owned. During the later period, T. Meskhi published interesting notes, where we encounter that Petritsoni monastery owned lands in Georgia, in particular, in villages located in Didi Liakhvi gorge, Ergneti, Karaleti and Lilo. As according to his research, in 1889 an article by Vlasiros Skordelis, in the 3rd bulletin of Historical and Ethnographic Society: notes of stenimach about the monastery in Bachkovo“. In the article, we encounter the Greek translation of the icon of the Virgin Mary. As according to the author, this inscription was on one of the writings on the Petritsoni monastery, which was later rewritten in 1827 by his grandmother. As T. Meskhi notes, the writing in the Skordelis article was first considered as the icon inscription of Virgin Mary by N. Berdzenishvili (1949) and later by A. Shanidze (1971), however later on this inscription had been considered as separate inscriptions. In Skordelis's article, we encounter village Ergneti, as a land owned by Petritsoni monastery. We read in Skordelis's article the following: „We note that there was an inscription on the silver chemise of the Virgin Saint Mary, which in Georgia has the following definition.“ Writing on the right side: „August 2, 1783: Lorde, Jesus Christ of Holy Spirit. This icon of the Virgin Saint Mary, mother of our Lorde, is called Petridzul, or of Petritsoni. This icon was done by two brothers, Egnate and Atanase, with the mercy of ours and our children. Also, we donated three villages to the monastery, which is located in a castle, called Kartli; the first village is

called Karaleti, it owns two mills and vineyard. The second village is called Ergneti, with two vineyards, and the third village is called Lilo, which is located on a hill and also has some lands. In this village there is church called Virgin Saint Maru church of Petritsonitisas, and the saint icon of the church is called Petridzul[“]. It could be the case that a Virgin Saint Mary church, located in Ergneti was built after the Petritsoni monastery. This is also attested in a tradition of the village in having a festival after Virgin Saint Mary, which is celebrated on the second day of Easter. It is interesting that similar hall-type church also exists in village Karaleti and dates back to later feudal period. Like the population in Ergneti, the residents of village Karaleti also celebrate the festival after Virgin Saint Mary, on 26th of September. During the Soviet regime, the churches in Shida Kartli were under grave danger, due to the fact that they were used as places for living. (It is known that the churches were used as clubs, cultural houses, collective warehouses and etc., S. Janashia had been given a task to research the local historical sites by the Bolshevik government. S. Janashia wrote a letter to the government, after a careful research of the cultural and histoical sites, stating that he deemed unacceptable using the historical sites as places for the population to reside. In the list of cultural sites, the young researcher also included Ergneti church, located in Tkviavi community. From our perspective, it should have been the Virgin Saint Mary church in Ergneti, which, as we mentioned earlier, was a historical site of great importance. It is unfortunate that during the Soviet occupation of Georgia, many churches had been used as ware-houses; whereas during the later period, after the restoration of this Georgian cultural site, its ornaments were gravely damaged.

ნათელა ფოფხაძე
საერო აკადემია ფაზისი

**ადგილის სახელწოდება //ტოპონიმი კულტიტი/კოლტიტი ანუ
კოლხეთი 2000 წელს ლურსმული დამწერლობით
შესრულებულ ტექსტებში 1940-იან წლებში
აღმოჩენილ არქივში**

შესავალი

ჩვენი მრავალათასწლოვანი სახელმწიფო ოთხი ათასი წლის წინათ წერილობით იხსენიებოდა არა დღევანდელი სახელწოდებით - საქართველო, არამედ, იხსენიებოდა სხვა სახელწოდებებით, რომელთაგან ჩვენთვის ყველაზე საპატიოა სახელწოდებები აია და კოლხეთი. უმთავრესად ამ სახელებით იცნობდა ჩვენს ძველთაძველ სახელმწიფოს ძველი სამყარო. აიას შესახებ პროფესორი მოსე ჯანაშვილი წერდა, რომ აია იყო ჩვენი სახელმწიფოს სახელი, თუმცა, იმავე დროს, ჩვენი სახელმწიფო აია-ს დედაქალაქსაც ეწოდებოდა აია. ასე ძველ დროშიც ხდებოდა ზოგიერთ სახელმწიფოში და ამჟამინდელ ზოგ სახელმწიფოშიც ხდება. ვოცნებობ ჩვენი სახელმწიფოს სახელწოდებად აიაკოლხეთის აღდგენაზე, რადგან ეს სახელწოდება უფრო ძველია, ვიდრე ამჟამინდელი სახელწოდებები: საქართველო, გეორგია, გურჯისტან, გრუზია, რომელნიც ძველთაძველ ტექსტებში და რუკებზე არ აისახა, რაც საერთაშორისო საზოგადოებების თანამშრომლებს ხელს უშლის ჩვენი ეთნოსისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი სწორი დადგენილებების ჩამოყალიბებაში. ამჟამად ქართულ-ქართველურ სამეცნიერო ლიტერატურაში ჩასართავად შემომაქვს პარიზში 1948 წელს დაბეჭდილი ლურსმულით

ნაწერი აქადური ნაწერების ცნობები კოლხეთზე, რომლებიც ახლახან მოვიძიე უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში. ეს ცნობები აქამდე არ ასახულა ქართულენოვან ან საქართველოს რესპუბლიკაში გამოქვეყნებულ შრომებში ან ჩემთვის ხელმისაწვდომ საქართველოში არსებული არქივების მასალებში, რამდენადაც შევძელი დამედგინა დარგის სპეციალისტებთან - პროფესორ-მასწავლებლებთან და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სათანადო დარგის სტუდენტებთან გასაუბრებით.

კვლევის მეთოდები

კვლევის დაგეგმვისას შეძლებისამებრ სრულად მოვიძიე, წავიკითხე, გავაანალიზე მთავარ თემასთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურა ქართულ, ინგლისურ, რუსულ, ფრანგულ, იტალიურ ენაზე. შევარჩიე კველაზე აუცილებელი ნაბეჭდი და საარქივო მასალა. თბილისში არ არსებული ზოგი ცნობა მოვიძიე უცხოელ მკვლევარებთან ინტერნეტის საშუალებით დაკავშირებისა და მათგან ღურსმულით ნაწერი ტექსტების ფოტოასლების, განმარტებებისა და დაზუსტებების მიღების საფუძველზე. დარგის სპეციალისტებთან სიღრმისეული გამოკითხვა ჩავატარე. მიღებული ჩემი დასკანები და ვარაუდები გავაცნი დარგის სპეციალისტების შეძლების დაგვარად ფართო წრეს თბილისში. გავითვალისწინე მათი მოსაზრებები ამ თემის მომზადებისას.

კვლევის მირითადი ნაწილი

მდინარე ევფრატს ძველად პურანუნუს უწოდებდნენ. მის შუა წელზე იყო ქალაქი, სახელად მარი. მისი მეფის, სახელად ზიმრი-ლიმის სასახლე მხოლოდ 1935 წელს გამომზეურდა პარიზელი არქეოლოგის - ანდრე პარროს ძალის ხემევით. აღმოაჩინა ამ მეფის არქივი. მისი ნაწილი იკვლიეს,

გადაწერეს ლურსმული დამწერლობითვე ა. პარომ და მისმა თანამშრომლებმა და გამოაქვეყნეს ტომებად. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექტორობისას პროფესორ გრიგოლ/კუპური გიორგაძეს ჰქონია მესამე ტომი და თავის სხვა წიგნებთან ერთად უსახსოვრა ლურსმული დამწერლობის კვლევის კაბინეტს; მდებარეობს უნივერსიტეტის მეცნიერებული კორპუსის პირველ სართულზე. ის წიგნი რამდენჯერმე გადავათვალიერე, მაგრამ ვერ წავიკითხე, თუ რა ეწერა ლურსმული დამწერლობით აღბეჭდილ, დანომრილ თიხის ფირფიტებზე.

2007 წელს წავიკითხე თბილისში მდებარე ე. წ. საჯარო ბიბლიოთეკაში გერმანიაში 1992 წელს გამოქვეყნებული ჟურნალი. ყურადღება მივაპყარი სიტყვა კულუხითუმ-ის მოხსენიებას ვოლფრამ ჰერბერტ ვან სოლდტის სტატიაში. წერილით ვთხოვე დამატებითი ცნობების მოწოდება. მაცნობა, რომ კულხითუმ იხსენიება ქალაქ მარი-ში აღმოჩენილ ლურსმულით ნაწერ სამ ტექსტში და მათი ნომრები დამისახელა. იმ ნომრებით მივაკვლიე ტექსტების ფოტოებს სწორედ იმ ერთადერთ ტომში, რომელიც ჰქონია გ. გიორგაძეს უნივერსიტეტის სენებულ ოთახში. გავარკვიე, რომ სამივე ტექსტში ნამდვილად წერია სიტყვა კულხითუმ და რომ ის არის ქვეყნა, ლურსმულით წერია სიტყვა ქი, სწორედ ქვეყნას ნიშნავდა იმ ძველ დროში და ახლაც ქვეყნას ნიშნავს ქართველურში, კერძოდ, მარგალურში/მეგრულში, ანუ შენარჩუნებულია მნიშვნელობა. საყოველთაოდ ცნობილია დარგის საეციალისტების წრეში და სტუდენტებს ასწავლიან, რომ ლურსმული დამწერლობით ბეგრა უ ითავსებდა როგორც ბეგრა უ-ს, ისე ბეგრა ო-ს თვისებას. ამდენად, მაქს საფუძველი ვივარაუდო, რომ სიტყვა შეგვიძლია წავიკითხოთ კოლხითუმ სახით. წერია როგორც ამ სახით, ასევე კულ-

ხითიმ/კოლხითიმ სახითაც. შემდგომში ჩამოშორდა სიტყვებს ბოლო ბერა მ და დარჩა კულხითი//კოლხითი. დარჩენილი სახით - კოლხითი - აშკარაა მსგავსება იმ სიტყვასთან, რომელიც ჩვენი ეთნოსის მიერ დაარსებული სამეფოს ერთ-ერთი სახელწოდებაა - კერძოდ, კოლხეთი. ვხედავთ, რომ ამჟამინდელ ჩვენს ყოფაში შევინარჩუნეთ ლურსმულით აღბეჭდილი ძველი სახელწოდება ძველი ფორმით - კოლხითი// კოლხეთი, მაგრამ მხოლოდ ძველი კოლხეთის ერთი მცირე ნაწილის აღსანიშნავად, რომელიც მდებარეობს კოლხეთის ზღვის (ასე იხსენიებდა მას სტრაბო/სტრაბონი პირველ საუკუნეში შედგენილ მსოფლიოს აღწერაში, რომელსაც გეოგრაფიკა უწოდა). კოლხეთის ზღვად// თალასსა კოლხიკედ ამჟამად ქალაქებთან: ნოვოროსიისკი, სოჭი, ცხუმი// სოხუმი, ბათუმი, ტრაპიზონი, სინოპი - მიმდებარე ზღვის სივრცეს მოიაზრებდა. აღსაღენია ამ ნაწილის ეს სახელწოდება – კოლხეთის//აიაკოლხეთის ზღვა. მოსაწონი არ არის მისი მოხსენიება შავ ზღვად. ზოგადად შავი არ არის, არამედ, გამჭვირვალეა და მოლურჯოა. ქარიშხალისას კი ყოველი ზღვა შავია და არა მარტო ეს ზღვა. ძვ. წ.-ით 2000-იან წლებში ელლინები// ჰელლენები არ არსებობდნენ და მათ ენაში ამიტომ ვერ აისახა ძველთაძველი სახელწოდება, სიტყვა კულხითუმ/კოლხითუმ ამ სახით.

ახლახან ხელახლა დავინტერესდი ამ თემით. ამჯერად მივწერე ლეიიდენის უნივერსიტეტის საპატიო პროფესორს ჯეპ სასსოონს და კალიფორნიის უნივერსიტეტის საპატიო პროფესორს ჯორჯო ბუჩჩელატტის. შევატყობინე, რომ თბილისში მხოლოდ მესამე ტომია, ვთხოვე მარის არქივის მეექვსე ტომში დაბეჭდილი ტექსტის ასლის გადაღება და გამოგზავნა, რომელშიც სიტყვა კულხითიმ იხსენიება. შემპირდნენ. პროფ. ჯ. ბუჩჩელატტი დიდად დაინტერესდა. მომწერა, რომ

აშშ-ის იმ ქალაქში, ბოსტონში, სადაც ცხოვრობს, არქივზ როიალზ დე მარი - სერიის მექქსე ტომი არ იყო და თავის თანაშემწეს დაავალა გამოეწერა აშშ-ის სხვა ქალაქიდან. ივ-ლისი იყო, უნივერსიტეტებში საქმიანობა შეწელებული იყო შეებულებების, არდადეგების გამო და ამიტომ თვე-ნახევარი გავიდა, ვიდრე მექქსე ტომს მიიღებდა სხვა ქალაქის ბიბლიოთეკიდან. გადაიღო ხსენებული თიხის ფირფიტის ლურს-მული დამწერლობით აღბეჭდილი ასლი და გამომიგზავნა ელ-წერილით. ჩემდა გასაკვირად, თვითონაც იმ დღეებში ჩამობრძანდა თბილისში მეუღლითურთ, რომელიც ამ დარგში გამოჩენილი, აღიარებული არქეოლოგია. ორიოდ დღე დაჰყვეს თბილისში. მოინახულეს ჩვენს რესპუბლიკაში მდებარე ქალაქ გორისა და ქალაქ კასპის შუა მდებარე არქეოლოგიური გათხრების ადგილი სახელწოდებით გრაკლიანი. იქ ორიოდე წლის წინათ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის არქეოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ვახტანგ ლიჩელმა სტუდენტებთან ერთად ჩაატარა გათხრები. გამოავლინეს ძველი წელთაღრიცხვით მეთვრამეტე-მეთურთმეტე საუკუნის არქეოლოგიური ნივთები: თიხის რამდენიმე ქოთანი, ღუმელი წმინდა პურის გამოსაცხობად, საკურთხეველი. რაც მთავარია, საკურთხეველთან გამოჩნდა წარწერა. მისი ამოკითხვა სცადა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცენტრის „აზროვნება, ლოგიკა, ენა“ ხელმძღვანელმა, ფაზისის ეროვნული აკადემიის აკადემიკოსმა, ბატონმა გია კვაშილავაშ და ამ საკითხზე ნაშრომი გამოაქვეყნა. ზემოხსენებული ოთხი თიხაზე ნაკვეთი ტექსტის გარდა კიდევ ყოფილა თიხაზე აღბეჭდილი სხვა ტექსტები, რომლებშიც კოლხითი იხსენიება, რაც კიდევ სხვა მკვლევარების სხვა პუბლიკაციებით შევიტყვე ინტერნეტის სისტემის მოშველიებით. ლურსმული დამწერლობით აღბეჭ-

დილი ზემოხსენებული ტექსტები, რომლებშიც გეოგრაფიული სახელი კოლხეთი იხსენიება, ვრცელია. ითარგმნა ფრანგულ და ინგლისურ ენაზე. ფრანგულენოვანი თარგმანების წიგნი დასკანირებული სახით გამომიგზავნა როფესორმა ჯეპ სას-სორნმა., რადგან თბილისში ბიბლიოთეკებში ვერ მოვიძიე. ჩემი თხოვნით ნაწყვეტები აქადური ლურსმული ტექსტები-დან, სადაც იხსენიება სიტყვები კულხითუმ და კულხითიმ, ფრანგულად თარგმნილი შესაბამისი მასალიდან თარგმნა ფრანგული ენის კარგად მცოდნე პიროვნებამ ანა გვალიამ. მისი თარგმანი შევუდარე დედან ლურსმულით ნაწერ ტექს-ტებსა და მათს ლათინურენოვან ტრანსლიტერაციას უკვე გამოქვეყნებულს ათწლეულების წინათ სხვა მკვლევარების მიერ. ანა გვალიას მიერ ქართულ ენაზე ფრანგულიდან თარგმნილი მასალა ძალიან მომწონს და ამიტომ ამ სტატი-აში ჩავრთე. ვაგრძელებ ამ თემაზე მუშაობას. ამ წერ-ილს/სტატიას სხვა ცნობებითაც გავამდიდრებ და შემდგომ-შიც უფრო ვრცელი სახით შემოგთავაზებთ.

კვლევის შედეგები

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსი-ტეტის მეხუთე შენობის 120-ე ოთახში შემონახულმა ზემოხ-სენებულმა ერთმა პარიზში დაბეჭდილმა წიგნმა, კერძოდ, ქა-ლაქ მარის მეფის არქივის მესამე ტომმა, რომელიც ჰქონია გ. გიორგაძეს უნივერსიტეტის ხსენებულ ოთახში, როგორც ვნახეთ, ძვირფასი ცნობები შემოგვინახა ქვეყანა კოლხეთის შესახებ. ამ ცნობების შესახებ თვითონ პროფ. გრიგოლ გი-ორგაძეს არაფერი გამოუქვეყნება, რამდენადაც შევძელი და-მედგინა მისი მაშინდელი სტუდენტების, მოწაფეების, ამჟა-მად, უკვე პროფესორების, გამოკითხვით. აქვე ვიტყვი, რომ მდინარე პურანუნუს ნაწილის, ახლანდელი სახელით თუ ვი-ტყვით, მდინარე ხაბურის მარჯვენა ნაპირზე არსებობს საყუ-

რადღებო არქეოლოგიური ძველთაძველი კერა, რომელსაც ძველი სახელით იხსენიებენ კახათ-ად, ახალი სახელით კი-თელ-ბრაქად. კახათი ყოფილა სამეფო ძველი წელთაღრიცხვით მეორე ათასწლეულში, ისე როგორც კოლხეთი და ქარდუ//ქარდუნია// კარდუნია. მეორე ათასწლეულში არსებული აყვავებული ვრცელი სამეფოს, სახელად, კარდუ//კარდუნიას შესახებ არქეოლოგიური მასალის გამოვლენის შედეგები ფრანგული და რუსულენოვანი სხვა მკვლევარების ნაშრომების საფუძველზე ქართველ მკვლევართაგან პირველად იკვლია ტფილისის უნივერსიტეტის საპატიო პროფესორმა მოსე გიორგის ძე ჯანაშვილმა. გამოაქვეყნა თავის წიგნში 1906 წელს ქართულ ენაზე. წიგნს უწოდა საქართველოს ისტორია უუძველესი დროიდან. ყდაზე მიაბეჭდა, რომ წიგნს ახლავს ოთხი რუკა. ამ წიგნის ერთ-ერთი ცალი, რომელიც პროფ. ივანე ჯავახიშვილს აჩუქა და ივანე ჯავახიშვილის არქივშია დაუნჯებული ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში თბილისში, მოსე ჯანაშვილის ხელით ფურცელზე არის დახატული რუკა, რომელზეც მდინარე პურანუნუს//ევფრატის მთელს აუზში ანუ მთელს მესოპოტამიაში აღბეჭდილია სამეფო, სახელად, კარდუნია//ქარდუნია ანუ კარდუ//ქართუ ანუ სა-ქართუ-ელო. მოსე ჯანაშვილის ეს საყურადღებო ცნობები მივიწყებულია, უფროდღებოდ არის მიტოვებული და არ არის ჩართული 1934 წელს მისი გარდაცვალების შემდეგ დაბეჭდილ საქართველოს წარსულის ამსახველ სხვა მკვლევართა ნაშრომებში. მოსე ჯანაშვილი თბილისში, მთაწმინდაზე არსებულ, საზოგადო მოღვაწეთა განსასვენებელში//პანთეონში//სასაფლაოზე არის დაკრძალული ვაჟა ფშაველას//ლუკა რაზიკაშვილის უკან, იოსებ ჯუღაშვილის//იოსებ სტალინის დედის, ეკატერინე გელაძე-ჯუღაშვილისას მახლობლად.

ქვემოთ მკითხველებს ვთავაზობ სახელმწიფო მარის მეფის ზიმრილიმის სასახლის ბიბლიოთეკაში პროფესორ ანდრე პარრო-ს მიერ მოძიებული იმ თიხის ფირფიტების ლურსმული დამწერლობით აღბეჭდილი ტექსტების ქართულ თარგმანს, რომლებშიც იხსენიება სიტყვა კულხითი/კოლხითი. ფრანგული ენიდან ჩემი თხოვნით თარგმნა ანა გვალიამ. ციფრებით აღნიშნულია უცხოელი მკვლევარის მიერ თიხის ფირფიტებისათვის მიკუთვნებული ნომერები: 83; 61; 63. კიდევ ორი ფირფიტის წარწერის, სადაც იხსენიება კულხითიმ ვთხოვე შემდგომში ანა გვალიას, მაგრამ არ მიპასუხა და არ თარგმნა. ქვემოთ მოყვანილი ტექსტების შესახებ ცნობები ჩაურთავთ მკვლევარებს ძალიან ცნობილ საინტერნეტო საძიებელ სისტემებში, სადაც მედიცინის ისტორიაზეა მასალა თავმოყრილი. კულხითის ამ თიხის ფირფიტებზე მოხსენიება აღნიშნეს კიდევ სხვა ამჟამინდელმა მკვლევარებმა თავიანთ წიგნებში, რომელთაგან სანიმუშოდ მოვიტანე ყდები და ნაწყვეტების ფოტოები. ახლა კი იხილეთ კოლხეთიდან ოთხი ათასი წელის წინათ გაგზავნილი წერილების ნაწყვეტების ქართულენოვანი თარგმანი:

სამეფო არქივი

83

ჩემს ბატონს

ასრე თქმული:

ამგვარად (უბნობს) კიბრი-დაგან,

მსახური შენი.

კოლხებთან დაკავშირებული მითითებების შესახებ

ჩემი ბატონი (მომწერა მე)

როგორც ის აგრძელებს: “ []

(დაკარგულია რამდენიმე ხაზი)

[
ჩემთვის [
ახლა, მე თვითონ, [
ამ ქალაქს [
და მისი მითითებები [
მან მოიტანა (?) მათი მითითებები;
ისინი არ შეესაბამებიან [
გაგრძელებაში, სინამდვილეში
მათ არ შეუწყვიტავთ
(კუთვნილების გამომხატველი არტიკლი) ...

63

ჩემს ბატონს
ასრე თქმული:
ამგვარად (უბნობს) კიბრი-დაგან,
შენი [მსახური].

კულზითუმ
[]
[]
მე მივიღე მინიშნებები
მისი კარგად ყოფნისთვის;
მინიშნებები ხელსაყრელია.
დაუ, ჩემი ბატონის გულმა
არაფერზე იღელვოს!

61

ჩემს ბატონს
ასრე თქმული:

ამგვარად (უბნობს) კიბრი-დაგან,
მსახური შენი.

დაგან და იკრუბ
კარგად არიან
ქალაქი თერქა
და მთელი მისი რაიონი კარგად არის.

ასევე გამცნობთ სხვა საქმეს: კულტიონიში
ღმერთი ანადგურებს
ხარებსაც და ადამიანებსაც;
დღეში ორი, სამი ადამიანი კვდება.

კვლევის დასკვნები

კვლევით წარმოჩნდა შემდეგი: ჩვენი ქვეყნის ყველაზე
საპატიო სახელწოდება კოლხეთი წერილობით აღბეჭდილი
ყოფილა გაცილებით ადრე, ვიდრე ეს ისწავლება ჩვენი
რესპუბლიკის საშუალო სკოლებში და უმაღლეს სასწავლებ-
ლებში და ისტორიის თემებზე შექმნილ წიგნებში, სტატიებ-
ში, სატელევიზიო და ვიდეო გადაცემებში, სამოყარულო
დოკუმენტურ ფილმებში. საუკუნის წინათ მკვლევარები ამ
წერილების მიმღები მეფე ზიმრილიმისა და მისი თანამედ-
როვე მეგობარი მეფის ჰამუბარის ანუ ჰამურაბის ზეობის
ხანად მიიჩნევდნენ ძველი წელთაღრიცხვით 2000 წელს.
ოცი წლის წინათ ერთ-ერთმა მეცნიერებული მაიქლ რაუფმა
270 წელით უფრო გვიანდელ ხანაში გადმოიტანა ჰამურაბის
ზეობის თარიღი იმ მიზნით, რომ ბიბლიაში მოხსენიებული
მეფე ამრაველის ზეობის დროს დამთხვეოდა. მე ძველი და-
თარილების მომზრედ ვრჩები და მიმაჩნია, რომ ზიმრილიმის
მისი თანამედროვე ჰამუბარ//ჰამურაბის ზეობის წლები და
ზემოხსენებული ლურსმული ნაწერებიც უნდა დათარილდეს
ძვ. წ.-ით 2000-იანი წლებით. იმ დროს დაიწერა ამ სტატი-
აში მოხმობილი ლურსმულით ნაწერი ტექსტები. მკვლევარ-

თა მეორე ჯგუფის თვალსაზრისით, რომლებიც მიიმწრო მაილ რაუფმა, ზიმრილიმი და ჰამურაბი მეფობდნენ ძვ. წ. 1760-იან წლებში. მკითხველებისათვის აუცილებლად მიმაჩნია ფაზისის აკადემიის აკადემიკოსის, ბატონ გია კვაშილავას ნაშრომის წაკითხვა თემაზე: აია, აიაია, კოლხეთი. ის წასაკითხად ხელმისაწვდომია ინტერნეტის საშუალებითაც და გამოქვეყნდა 2015 წელს უურნალში „ქართველოლოგია“, ნომერი ოთხი - ილიას უნივერსიტეტში, თბილისში.

აუცილებელია ამ ცნობების ჩართვა საინფორმაციო საშუალებებში მომუშავე პირთა მიერ შექმნილ ნაწარმოებებში, პირველ რიგში კი - სასკოლო სახელმძღვანელოებში.

დამოწმებანი:

1. Archives Royals De Mari, Volume III, tablets No. 61, 66 and 83. Paris. Edited by Cooper F. G., 1948.
2. Wolfram Herbert Van Soldt. On old Babylonian *lu ittum*. Zeitschrift fur Assyriology und Vortasianische Archaeology, 1992, Vol. 82, No. 1, 60-87.
3. Wolfram Herbert Van Soldt. Information on which tablets in Archives Royals de Mari, Paris, 1948, Volume III the name of the country called Kulhitim/Kulhiti is mentioned. Personal communication. E-mail dated June 3, 2017. From Vienna to Tbilisi.
4. Giorgio Buccellatti. Personal communication concerning Archives Royals de Mari. Volume VI. Text where Kulhiti in cuneiform text is mentioned. E-mail dated July 12, 2017, from Boston to Tbilisi.
5. Neli Zigler and Anne-Babale Langlois. Les toponyms paleo-babylonniennes de la Haute-Mesopotamie. Paris. 1996.

Natela Popkhadze
Phassis National Academy

**SPECIFIC IMPORTANCE OF THE CUNEIFORM
TEXTS MADE IN 2000 BCE MENTIONING THE AREA
CALLED KOLKHETI
RESUME**


Joseph Stalin, People's Commissar for Nationalities by that time, defined the status of the Abkhaz and Ossetian minorities as of "oppressed" people by the Georgian state. In the fifth volume of his works, Stalin mentioned the formation of the new independent national states, the fact that did not, and could not bring about the peaceful co-existence of nationalities. Among these states, Stalin mentions: "Georgia, which oppresses Ossetians, Abkhazians and Armenians."² He

¹ Gamakharia, J. Beradze, T. Gvantseladze, T. (2011). *Assays from the History of Georgia. Abkhazia from ancient times till the present days*. Tbilisi: Institute of History and Ethnology of Iv. Javakhishvili. p. 445.

² Stalin, J. V. (1953). Works. Volume 5. 1921-1923. Moscow: Foreign Languages Publishing House. p. 18.

also argued that Georgia had been enlarging its territory at the expense of its neighbors – Armenia and Turkey.¹

Stalin's attitude tells a lot about the Soviet policy in Georgian breakaway regions. This attitude should not be neglected, rather oppositely, it should be considered as the key objective of the Soviet policy in Abkhazia and Tskhinvali region during the whole Soviet era.

Autonomous "Oblast" (English: District) of South Ossetia, together with Autonomous Socialist Republic of Achara and Abkhazian ASSR, was already mentioned in the constitution of the Soviet Socialist Republic of Georgia adopted in 1922.²

On March 31, 1925 the fifth congress of the Soviet of workers and peasants deputies of the South Ossetian autonomous district heard the report of comrade Kargiyev, the representative of the Central Executive committee of the North Ossetia about the Resolution of the first congress of the North Ossetia on the unification of the South Ossetia and North Ossetia. According to the decision of the deputies of South Ossetian district, they realized this unification within the Soviet Socialist Republic of Georgia.³ However, this union did not take place, according to the Georgian scholar Boris Kvaratskhelia, because of the two basic reasons, firstly: Maybe Kremlin could not accept North Ossetia to be the part of Georgian SSR. Secondly: It was also the problem of communications and roads, since North and South Ossetian residence was divided by the range of North Caucasian

¹ Ibid. 19.

² Diasamidze, T. (2005). Status of Autonomous Regions of Abkhazia and South Ossetia within Georgia (1917-1988). Collection of Political-Legal Acts. Tbilisi: GCI LTD Publishing House. p. 91.

³ Ibid, p. 109.

Mountains.¹ According to the census of 1926 the number of the population of South Ossetian autonomous district was 87 379.² Ethnic Ossetians represented 69.1% of the overall population (60.351 people), whereas Georgians represented 26.9% of the population (23.538 people).³

As opposed to the Abkhazian ASSR, the autonomous district of South Ossetia never enjoyed its own constitution in the Georgian SSR. Thus, all the affairs that took place in 20-40's in the case of Abkhazia, had never taken place in South Ossetian autonomous district. This region was always included into the territory of Georgian SSR on the rights of the autonomous district from the first (1922) to the last (1978)⁴ constitutions of the Georgian Soviet Socialist Republic.

¹ Kvaratskhelia, B. (2015). rusetis gamoutskhadebeli omi sakartvelos sakhelmts'ipos ts'inaaghmdeg (apkhazeti, samkhret oseti) da saertashoriso tanamegobroba. [Russia's undeclared war against the Georgian state (Abkhazia, South Ossetia) and international community]. Tbilisi: Publishing House "Universal." p.92.

²Vsesoyuznaya perepis' naseleniya. 17 Dekabrya 1926 g. Kratkiye svodki. Vypusk III. Naseleniye SSSR. Tsentral'noye Statisticheskoye Upravleniye SSSR otdela perepisi. Izdaniye TSSU soyuza SSR. [All-Union Population Census. December 17, 1926. Brief summaries. Release III. The population of the USSR. Central Statistical Office of the USSR census department. Edition of the Central Statistical Bureau of the USSR]. Moscow. 1927. p. 56.

³ Yugo-osetinskaya AO (1926 g.). Vsesoyuznaya perepis' naseleniya 1926 goda, t. 14, Zakavkazskaya SFSR, g. Moskva, 1929; Poselennyye itogi perepisi 1926 g. po Severo-Kavkazskomu krayu, g. Rostov-na-Donu, 1929. [The South Ossetian Autonomous Region (1926). All-Union Population Census of 1926. v. 14. Transcaucasian SFSR. Moscow. 1929; The resumed results of the 1926 census in the North Caucasus region]. Rostov-on-Don. 1929. Retrieved from <http://www.ethno-kavkaz.narod.ru/rnsossetia.html>

⁴ Konstitutsiya (Osnovnoy Zakon) Gruzinskoy Sovetskoy Sotsialisticheskoy Respubliky. [Constitution (Basic Law) of the Georgian Soviet Socialist Republic]. (24 March 1978). *Zarya Vostoka*. № 70 (16046). pp. 1-3.

However, soviet imperial policy practice was actively working in this region.

In 1930's the reform of the alphabet was conducted on the territory of South Ossetian district. However, it bore much more ridiculous character, since Ossetian people living on the Georgian territory were to acquire Georgian alphabet, instead of the previously used Latin alphabet,¹ whereas Ossetians in the north adopted Cyrillic alphabet.² Thus, ethnically one people acquired two totally different alphabets according to the Soviet inventive policy.

It is really hard to imagine more humiliating approach to the written languages of the particular ethnic group of people by the power, who has an ambition of being "the protector" of the rights of the ethnic minorities. This is quite a vivid illustration how Ossetian "sovereignty" was perceived by Moscow, which has been inexhaustibly nurturing Ossetian separatism throughout the 20th century.

Despite this, prominent Ossetian separatist historian Mark Bliev was actually convinced that Georgians initiated that reform in order to "Georgianize" Ossetian people.³ Probably, for Bliev Tbilisi was the decision making centre of the Soviet empire rather than Moscow.

¹ Latin alphabet was used by Ossetians from 1923 till 1938. See.: Itonishvili, V. (2007). *k'avk'asia da k'avk'asielebi* [Caucasus and the Caucasians]. Tbilisi. p. 80.

²Papaskiri, Z. (2010). *Abkhaziya. Iстория без фальсификаций*. [Abkhazia. History without Falsification]. Tbilisi. p. 266.

³ Bliev, M. (2006). *Yuzhnaya Osetiya v kolliziyakh Rossiysko-Gruzinskikh otnoshenii* [South Ossetia in the collisions of Russian-Georgian relations]. Moscow. p. 179.

Conclusion

The comparative analysis of Kosovo and Georgian breakaway conflicts in the historical period of 1920-40s reveals some main tendencies and characteristics peculiar to the Balkans and Caucasus regions generally. We can divide and summarize these peculiarities in two main directions: common and distinctive aspects between these conflicts.

While talking about the common aspects we can bullet-point the following issues:

1. In Kosovo as well, as in Georgian breakaway conflicts, in 20-40s of the 20th century we have nearly the similar tendency of the ethnical and political confrontations to be sensible. In the former Kosovo Vilayet we already have a picture of Serbs and Albanians opposing each other, as well as in Abkhazian autonomous SSR and South Ossetian autonomous district, we can observe the opposition between Georgian and Abkhazian, Georgian and Ossetian ethnical elements.

2. In both regions we can observe the "Third Parties" to a certain extant instigating or at least being involved in these conflicts. Neither Kosovo, nor Georgian breakaway region conflicts were to be the mere confrontation of only two groups of people. In both regions we had a significant presence of the foreign powers and parties. In Kosovo case, it was initially Yugoslavian Kingdom, which united the most of the Balkans territories by that time and then, lately, the presence Italian Fascist and German Nazi states in the region. After that, communist partisans came to power and created the Yugoslavian Federation. In case of Abkhazia and Tskhinvali region we had the Soviet Union as the only strong power present in both conflicts.

3. The third common aspect, that some readers might find as common between Kosovo and South Ossetian autonomous district by that time is the demand of the Kosovar Albanians to be united with an Albanian state in 1921. At first glance, nearly the same demand was sounded by the Ossetians in 1925, seeking for the union of North and Southern Ossetians in one state within the Georgian SSR. Both of these people – Kosovar Albanians, as well as Ossetians from the South Ossetian autonomy, sought to be "reunited" with their Motherlands, out of the particular regions of their residence. However, this is only superficial "similarity" between Kosovo and South Ossetian autonomous region's cases, as they differ from each other by the several significant factors, which will be discussed below.

The distinctive aspects of Kosovo and Georgian breakaway regions' conflicts in the given historical framework can be bullet-pointed as following:

1. First, and foremost, the geo-political significance of the Balkans should be highlighted and compared to the geo-political importance of the Caucasus region by that time. Generally, the Balkans has been actively involved in the global politics not only by 20-40s, but even by the end of the 19th and the beginning of the 20th century. A lot of significant political events took place on the Balkans that actually paved the way to the first global war. As for the Caucasus region, it was rather on the periphery of the global political events, mostly dominated and subdued by the Tsarist Russian Empire from the mid 19th century.

2. This geo-political difference between the Balkans and the Caucasus appears to be the major distinctive point for nearly all the events taking place in Kosovo and Georgian breakaway regions by that time. According to the historical

analysis given in this article, we can easily distinguish the political nature of the events taking place in these conflict regions. In case of Kosovo, Serbian domination was strengthened here during the rule of the Yugoslavian Kingdom from 1918 to 1939, after that Albanian influence was increased in the region due to the Fascist and Nazi policy directed against the Kingdom of the Southern Slavs. After the end of the Second World War, Serbian domination was reestablished in Kosovo as the Balkans was liberated from the Nazi forces by the communist partisans. In case of Georgian breakaway regions conflicts, we are dealing with totally different picture. Here the Tsarist Russian Imperial domination was changed by the Soviet influence in 1921. After that, not only Abkhazian and Tskhinvali regions' affairs, but generally Georgian affairs were decided in Moscow. Not any other international political actor, could have a say in these regions except of the Soviet Union.

3. According to the above-mentioned two points, we should also highlight the difference between the nature of Serbian and Georgian states. If in case of Serbia, we are dealing with an independent (Since 1878) state, which had its own nationalistic aspirations throughout the Balkans, even from the beginning of the 20th century, in Georgian case we have a colony of Russian Tsarist Empire, which gained a short independence in 1918-1921 and after that, was dominated by the Soviet Empire. Serbia was a dominant state in the Yugoslavian Kingdom and obviously, possessed more leverage towards the Kosovo issues, than Tsarist or Soviet colony of Georgia towards its internal policy (not only towards the issues of the Abkhazian or Ossetian autonomies).

4. The aforesaid, third "common" aspect between Kosovo and Georgian breakaway conflicts about the similar demands

of Albanian and Ossetian people in 1920s will become hollow, as soon as we remember about the main significant difference between the nature of the states of Albania and North Ossetia. Albania has been an internationally recognized independent state since 1912, whereas in case of North Ossetia, even today we are dealing with the federal subject of the modern Russian Federation. This difference ruins all the attempts to somehow depict the demands of Albanian and Ossetian people as similar, or even close to it.

Thus, summarizing our analysis, we should say that the survey of the history of Kosovo and Georgian breakaway regions' conflicts in 1920-40s, reveals the main tendencies and characteristics of the conflict development in these regions. These peculiarities allow us to conclude that in the given historical period we are dealing with essentially different type of conflicts in different regions.

Bibliography

1. **Bgazhba, O. Lakoba, S.** (2015). Iстория Абхазии. С древнейших времен до наших дней. [History of Abkhazia. From ancient times to present]. Sukhum.
2. **Bliev, M.** (2006). Южная Осетия в конфликтах российско-грузинских отношений [South Ossetia in the collisions of Russian-Georgian relations]. Moscow.
3. **Coppieters, B.** (2002). *In Defence of the Homeland: Intellectuals and the Georgian-Abkhazian Conflict. Secession, History and the Social Sciences*. VUB Brussels University Press.
4. **Diasamidze, T.** (2005). Status of Autonomous Regions of Abkhazia and South Ossetia within Georgia (1917-1988).

Collection of Political-Legal Acts. Tbilisi: GCI LTD Publishing House.

5. **Fischer, B. J.** (1999). *Albania at War 1939-1945*, London: Hurst.
6. **Gamakharia, J. Beradze, T. Gvantseladze, T.** (2011). *Assays from the History of Georgia. Abkhazia from ancient times till the present days*. Tbilisi: Institute of History and Ethnology of Iv. Javakhishvili.
7. **Ganin, A. V.** (April 2014). Sovetskaya voyennaya razvedka v Gruzii v 1920-1921 godakh. Missiya Pavla Sitina. [Soviet military intelligence in Georgia in 1920-1921. The mission of Pavel Sitin]. Gosudarstvennoye upravleniye. "Elektronnyy vestnik". Vypusk № 43.
8. **Hoxha, H.** (1982). *Proces nacionalne afirmacje albanske narodnosti u jugoslaviji. Casopisza kritiko zrianosti*. Ljubljana.
9. **Itonishvili, V.** (2007). *k'avk'asia da k'avk'asielebi* [Caucasus and the Caucasians]. Tbilisi.
10. **Jelavich, B.** (2006). *History of the Balkans. Twentieth Century. Vol. II*. New York: Cambridge University press.
11. **Jojua, D.** (2009). apkhazeti 1938-2006 ts'lebshi: regionaluri ist'oriuli p'rotsesis asp'ekt'ebi. [Abkhazia 1938-2006: Aspects of Regional-historic processes]. Tbilisi: Sokhumi State University.
12. **Judah, T.** (2008). *Kosovo. What everyone needs to know*. New York: Oxford University Press.
13. Konstitutsiya (Osnovnoy Zakon) Gruzinskoy Sovetskoy Sotsialisticheskoy Respubliki. [Constitution (Basic Law) of the Georgian Soviet Socialist Republic]. (24 March 1978). *Zarya Vostoka*. № 70 (16046).
14. **Krisman, S.** (1943). *Maps of Yugoslavia at war. Massacre of the innocent Serbian population, committed in Yugoslavia by*

the Axis and its Sattelite from April 1941 to August 1942,
Washington.

15. **Kvaratskhelia, B.** (2015). rusetis gamoutskhadebeli omi sakartvelos sakhelmts'ipos ts'inaaghmdeg (apkhazeti, samkhret oseti) da saertashoriso tanamegobroba. [Russia's undeclared war against the Georgian state (Abkhazia, South Ossetia) and international community]. Tbilisi: Publishing House "Universali."
16. **Mgeladze, A.** (2001). Stalin. Kakim ya yego znal. Stranitsy nedavnego proshlogo. [Stalin, as I know him. The pages of the recent past]. Tbilisi.
17. **Papaskiri, Z.** (2010). Abkhaziya. Istoriya bez fal'sifikatsii. [Abkhazia. History without Falsification]. Tbilisi.
18. **Papaskiri, Z.** (2012). Another look at one of the False Historical Postulates of the Abkhazian Separatist Ideology: On the question of Abkhazia's Political-State Status in 1921-1931. *The Caucasus and Globalization*. Vol. 6. (Issue 2)
19. **Petrovich, A. and Stefanovich, D.** (September 2010). Kosovo, 1944-1981: Rise and the fall of a communist "Nested Homeland." *Europe-Asia Studies* Vol, 62. (No. 7)
20. **Stalin, J. V.** (1953). Works. Volume 5. 1921-1923. Moscow: Foreign Languages Publishing House.
21. **Swire, J.** (1971). *Albania: The Rise of a Kingdom*. New York: Arno Press.
22. **Vickers, M.** (1998). *Between Serb and Albanian. A History of Kosovo*. New York: Columbia University Press.
23. Vsesoyuznaya perepis' naseleniya. 17 Dekabrya 1926 g. Kratkiye svodki. Vypusk III. Naseleniye SSSR. Tsentral'noye Statisticheskoye Upravleniye SSSR ot dela perepisi. Izdaniye TSSU soyuza SSR. [All-Union Population Census. December 17, 1926. Brief summaries. Release III. The population of the USSR. Central Statistical Office of the USSR census

department. Edition of the Central Statistical Bureau of the USSR]. Moscow. 1927.

Websites

24. Constitution of the Federative People's Republic of Yugoslavia. Retrieved from http://www.worldstatesmen.org/Yugoslavia_1946.txt
25. Constitution of the Union of Soviet Socialist Republics. December 5, 1936. Retrieved from <https://constitutii.files.wordpress.com/2013/01/1936-en.pdf>
26. Abkhazskaya ASSR (1939 г.) [Abkhazian ASSR (1939)] Retrieved from <http://www.ethno-kavkaz.narod.ru/rnabkhazia.html>
27. Svod statisticheskikh dannykh o naselenii Zakavkazskogo kraya, izvlechonnykh iz posemeynykh spiskov 1886 goda, г. Tiflis, 1893. [Summary of statistical data on the population of the Transcaucasian region extracted from family lists of 1886. Tiflis. 1893]. Retrieved from <http://www.ethno-kavkaz.narod.ru/rnabkhazia.html>; <http://www.ethno-kavkaz.narod.ru/rnabkhazia.html>
28. Yugo-osetinskaya AO (1926 г.). Vsesoyuznaya perepis' naseleniya 1926 goda, t. 14, Zakavkazskaya SFSR, г. Moskva, 1929; Poselennyye itogi perepisi 1926 г. po Severo-Kavkazskomu krayu, г. Rostov-na-Donu, 1929. [The South Ossetian Autonomous Region (1926). All-Union Population Census of 1926. v. 14. Transcaucasian SFSR. Moscow. 1929; The resumed results of the 1926 census in the North Caucasus region]. Rostov-on-Don. 1929. Retrieved from <http://www.ethno-kavkaz.narod.ru/rnsossetia.html>
29. Goble, P. (2009, July 7). Stalin's Downgrading of Abkhazia from Union Republic Status Decried. Retrieved from

Summary

Kosovo's history has not been broadly studied and researched in Georgian scholarly. Especially little has been done in terms of the comparative studies of Kosovo, Abkhazia and Tskhinvali regions' conflicts. Generally, the interest about this topic throughout the Georgian society has been rising after February 2008, when the independence of Kosovo was declared by the United Nations. This event significantly reflected on the political situation in the Georgian breakaway regions.

The main goal of this work is the comparative analysis of Kosovo, Abkhazia and Tskhinvali region's conflicts. To achieve this goal, the article will focus on the historical period of 1920-40s. During which, the main political, cultural, ethnic and demographic processes took place in Kosovo as well as in Abkhazia and Georgian – Shida Kartli – region: post-war political developments on the Balkans by that time, had their strong influence on the Kosovo affairs. As for the Georgian breakaway regions' conflicts, the Soviet occupation of Georgia in 1921 created the new circumstances for the separatist movements to thrive both, in Abkhazian ASSR as well as in the South Ossetian autonomous district.

These factors, finally defined the nature of the conflicts on the Balkans as well as in the Caucasus, which were to arise in the end of the 20th century.

Using various sources and scholarly literature, this paper attempts to examine the main common and distinctive aspects

and characteristics of these conflicts. It aims to construct a broader scientific picture of the main peculiarities these modern conflict regions might share in the given historical period. It will focus on the political and geo-political factors surrounding these regions and examine to what extent the political circumstances in these regions were actually determined by the changing nature of the global and regional circumstances by that time.

**ეკატერინე მმანაშვილი
საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია
პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი**

**არაბული სახელწოდების ქართველი მოხელეები შუა
საუკუნეებში
ამირა**

შუა საუკუნეების საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო ჯერ არაბთა ლაშქრობები, ხოლო შემდეგ მათი დამკვიდრება-გაბატონება. თბილისის სამოხელეო წყობის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ თბილისის ამირები „თბილისის საამიროს“ ფეოდალი მფლობელები იყვნენ.

ამირა/ამირათ-ამირა - (არაბ. amīr - მეთაური, მმართველი) მთავრის შესატყვისი ტიტული აღმოსავლეთის მუსლიმურ ქვეყნებში. საქართველოს საქალაქო წყობილებაში არაბული სახელწოდების შემოსვლის დროს ამირა ხალიფას სარდალია, და სამხედრო ხელისუფალი. ქართულ საისტორიო ნარატიულ წყაროებში: აბო თბილელის მარტვილობა, კონსტანტინე კახის მარტვილობა, გობრონის მარტვილობა და სხვა, ამირებად ძირითადად არაბი ხელისუფლები არიან მოხსენიებულნი.

XI საუკუნიდან ქართულ წყაროებში ამირა უკვე ქართველ ხელისუფალსაც ეწოდება. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ლიპარიტ ბაღვაშვის ამირობით იხსენიებს. ეს მოვლენა, როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, თბილისის საამიროს ნაწილის საქართველოს სამეფოსთან შემოერთებას უკავ-

შირდება. ჯერ კიდევ XI საუკუნეშია ცნობილი ლიპარიტ ამირა. მაგრამ იგი არ არის თბილისის გამგებელი. მისი გაა-მირება სხვა გარემოებითაა განპირობებული. არის ნიშნები, რომ თავდაპირველად (ე.ი. საგულისხმოა დავით აღმაშენებ-ლის მიერ თბილისის დაბრუნების შემდეგ). დედაქალაქის (თბილისის) გამგებელ ქართველ მოხელესაც ამირა ეწო-დებოდა.¹ ეს კარგად ჩანს მეფე გიორგი III-ის სიგელში. გი-ორგი III უთავისუფლებს შიომღვიმის მონასტერს საქონე-ბელს ყოველივე შესავლისაგან.

„ყოველნი საქონელნი მათნი შეუვალ-გუიქმნიან ყ(ოვ)ლისა შესავლისაგან, თუთ, ჩ(უ)ნისა სასეფოისა და ყ(ოვ)ლისა მათისა მოახლისაგან, ვითა ძელითგან შეუვალნი: საე(რისთ)ვოისა, საციხისთვოისა და საშურტაოისა ყ(ოვ)ლი-საგან. ეგრეთვე ქ(ა)ლ(ა)ქს, რომელ ქულბაგნი აქუან: ხუთნი სპარსობითგანვე და ოთხნი რ(ომე)ლ უკანის მოუყიდიან და შემოუწირვან, თავისუფალნი და უხარაჯონი საამიროისა, საამიდოისა, სარაისოისა, სამუსტასიბოისა და ყოვლისა სა-ნუკვრისაგან.².

ამ სიგელში რა თქმა უნდა თბილისზეა საუბარი. და ყველა აქ ჩამოთვლილი გამოსაღები შესაბამის მოხელესაც გულისხმობს. ასევე ამირას არსებობის ფაქტს ამყარებს, სე-ტის წარწერიანი ვერცხლის სურა, რომელიც ს. მაკალათიას მიერ 1173-1175 წლებითაა დათარიღებული. წარწერას გამომ-ცემელი ასე კითხულობს: „ქ. ღმერთმან უბედნიერეს ღუთისა

¹ დ. მუსხელიშვილი, სამეცნიერო სტატაიგბი, წერილები და პუბ-ლიცისტიკა; თბილისის ამირთამირობის ინსტიტუტისათვის, თბ., 2014, გვ. 317.

² ქისკ - ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984, გვ. 68.

სწორსა მეფეთა მეფესა გიორგის მიწისა ამირავსა ქავთარი-საგან“.¹ ამრიგად უეჭველია, რომ გიორგი III-ის დროს თბი-ლისის გამგებელი ქალაქის ამირაა. ცხადია, თბილისსა და საამიროში შემავალ სხვა ქალაქებში განთავისუფლების შემ-დღაც ძალზე დიდი იყო აღმოსავლურ საქალაქო ინსტიტუ-ტების გავლენა.²

ისლამამდელ პერიოდში და, ასევე, პირველი ოთხი წა-ლიფას მმართველობის დროს ამირები ეწოდებოდა სარდლებს და ლაშქრის საბრძოლო ქვედანაყოფების მეთაურებს, რომ-ლებიც შემდგომ არაბთა მიერ დაპყრობილი ტერიტორიების მმართველები გახდნენ.

ომაიანთა ეპოქაში (661-750) პროვინციის გამგებელ ამირების ხელში თავმოყრილი იყო სრული ადმინისტრაციუ-ლი, საფინანსო და სასულიერო ხელისუფლება. ისინი პასუ-ხისმგებლები იყვნენ ლაშქრის ორგანიზებაზე, ხელმძღვანე-ლობდნენ სამხედრო ექვედიციებს, დებდნენ ხელშეკრულებებს, უძღვებოდნენ ლოკებს, აშენებდნენ მეჩეთებს და თავიანთ საგამგებლო ტერიტორიაზე ზრუნავდნენ ისლამის გავრცელე-ბისათვის. ამირა ზედამხედველობდა ზარაფხანას, სადაც ხა-ლიფას სახელზე იჭრებოდა ფული, იგი პასუხისმგებელი იყო გადასახადების აკრეფასა და სახალიფოს ცენტრში გაგზავნა-ზე. ამირას ხელში იყო სასამართლო სისტემა. იშვიათი გა-მონაკლისის გარდა, ამირა ნიშნავდა ყადის (მუსლიმთა მოსა-მართლეს), იცავდა წესრიგს. მისი მითითებით მოქმედებდა პოლიციის უფროსი. თავის საგამგებლო ოლქში ამირა ნიშ-ნავდა ფოსტის უფროსს, რომლისგანაც იღებდა დაწვრილე-

¹ ს. მაკალათია, სეტის მეთორმეტე საუკუნის ვერცხლის სურა, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, IX, ტფ., 1928, გვ. 90.

² ი. ანთელავა, საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI-XIII სს., თბ., 1983, გვ. 219.

ბით ინფორმაციას ქვეყნის შიდა მოვლენებზე. ამირას ემსახურებოდა ცერემონიებისტერი და დაცვა. აბასიანთა მმართველობის ხანაში (749-1258) ამირებს თანდათან ჩამოსცილდა გადასახადის აკრეფის, ყადის დანიშვნისა და ზოგიერთი სხვა ფუნქცია.

არაბთა სახალიფოს დაშლის შემდეგ (IX-X სს.) ამირას ტიტული შეინარჩუნეს ადგილობრივმა დამოუკიდებელმა მმართველებმა, რომლებიც ერთდროულად საერო და სასულიერო ხელისუფლებას ფლობდნენ. მოგვიანებით ამირას საპატიო ტიტული ისლამის მქადაგებლის, მუჰამედის ჩამომავლებს ენიჭებოდათ.¹

ასეთივე უფლებებით სარგებლობდა თბილისის ამირაც, რომლის მმართველობა აღმოსავლეთ საქართველოში VIII სის 70-იანი წლების დასაწყისში დამყარდა. მას ნიშნავდა ხალიფა ან ამიერკავკასიის ვალი. ამირა იყო ქართლის უზენაესი მმართველი - ქართლში მდგომი არაბული გარნიზონის სარდალი, უზენაესი სამოქალაქო ხელისუფალი და მოსამართლე. ქართული წყაროები ამირას მოიხსენიებდნენ, როგორც „ხელმწიფეს ქვეყანისა“ და „მსაჯულს“. ქართულ ისტორიულ წყაროებში თბილისის ამირას ზოგჯერ ქართლის ამირასაც უწოდებენ. ამირას სასარგებლოდ ქართლის მოსახლეობა იხდიდა „საამირო“ გადასახადის.

გარდა თბილისისა, არაბი ამირები ისხდნენ რუსთავში, ხუნანსა და დმანისში. ისინი თბილისის ამირას ხელქვეითებად ითვლებოდნენ. IX ს-ის დასაწყისიდან, არაბთა სახალიფოს რდვევის კვალდაკვალ, თბილისის საამირო დამოუკი-

¹ ცენტრალური და ადგილობრივი სამოხელეო წყობა შუა საუკუნეების საქართველოში, შემდგენლები: თამარ აბულაძე, ცისანა აბულაძე, ხათუნა ბაინდურაშვილი, ვლადიმერ კეპელია, დარეჯან კლდიაშვილი, მზა სურგულაძე, ელენე ცაგარეიშვილი, თბ., 2017.

დებელ პოლიტიკურ ერთეულად, ხოლო თბილისის ამირა დამოუკიდებელ მმართველად იქცა.

არაბთა ბატონობის დასრულების შემდეგ ტერმინი ამირა ქართულ სამოხელეო ტერმინოლოგიაში დამკვიდრდა. ზოგჯერ იგი საზოგადოდ გამგებელს აღნიშნავს. მაგ., ქლდეკარის ერისთავი ლიპარიტ ბალვაში ქართლის ამირას (აქ: ქართლის ერისთავი) ტიტულსაც ატარებს, მაგრამ ამირა, როგორც სპეციალური ტერმინი, თბილისის საამიროს გაუქმების (1122) შემდეგაც თითქმის სამი საუკუნის განმავლობაში ქალაქის გამგებლის სახელწოდებად დარჩა, თუმცა, იგი ადგილობრივ პოლიტიკურ და სოციალურ სისტემაზე მორგებულ თანამდებობას წარმოადგენდა. თანდათანობით ამირას ჩაენაცვლა ქართული სამოხელეო ტერმინი მოურავი. ქართული მონარქიის ზრდასთან ერთად განსაკუთრებული სამხედრო-სტრატეგიული, პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობა შეიძინეს დიდმა ქალაქებმა, რომელთა მმართველებს გაორმაგებული ტერმინი, „ამირათ-ამირა“ ეწოდებოდა. თამარის დროს ასეთი ტიტულით იხსენიებოდნენ თბილისის გამგებელი (აბულასანი), კარის (ყარსი) მმართველი (ივანე ახალციხელი). ასეთივე სამოხელეო ტიტულს ატარებდნენ საქართველოს სამეფოს ფარგლებში ანისის მმართველები, თუმცა იმავე კარის 1237 წის ციხის კარიბჭის წარწერაში მოხსენიებული კარის ამირა რაღაზა გაორმაგებული სამოხელეო ტიტულის გარეშეც იხსენიება. თბილისის გამგებლის ტიტულად ამირა ტრადიციის ძალით, დიდხანს, XVII ს-ის დასაწისამდე შემორჩა (ზოგჯერ ასე უწოდებდნენ თბილისის მოურავ გიორგი სააკამეს).

XIII ს-დან ამირები ჰყავდათ უფრო მცირე ქალაქებსაც - ქუთაისი, გორი, უინვანი. ქალაქის ამირა დიდი და ანგარიშგასაწევი ხელისუფალი იყო. ამირას უპირველესი მოვა-

ლეობა იყო უშუალოდ ქალაქისა და მისი შემოგარენის დაცვა, საქალაქო წესრიგის, მართლმსაჯულების, ვაჭრობისა და სამეურნეო-ეკონომიკური ცხოვრების მართვა-ზედამხედველობა, ქალაქისათვის აუცილებელი სამშენებლო სამუშაოების (გზების, ხიდების, სასტუმროების, სამურნეო, და სხვ. ნაგებობების) შესრულება, ქალაქის კეთილმოწყობა. ამირას განკარგულებაში იყო სამოხელეო აპარატი, რომლის სტრუქტურაზე საკმაოდ ბუნდოვანი ცნობებია შემონახული. XII-XIII სს-ში ამირას ხელქვეთ მოხელეთა აღმნიშვნელი ტერმინოლოგიაც არაბული იყო. მათ მორის გვხვდება ამიდი, რაისი, მუჰამედი, შურტა. ამირა ანგარიშვალდებული იყო მეჭურჭლეთუხუცესის წინაშე. ქალაქის ამირას სასამსახურო სარგო მრავალი წყაროდან იკრიბებოდა. მისი წილი გადაკვეთილი იყო ყოველი სახეობის საქალაქო შემოსავალში. XVII ს-ის 40-იან წწ-ში ქართულ ისტორიულ საბუთებში ვხვდებით ამირა-ქეთხუდას, რაც სპარსული ენის ტერმინოლოგიურ გავლენას ასახავს და შინაარსობრივად იგივეა, რაც ქეთხუდა, რომელიც ქართულ სინამდვილეში XVI ს-დან დამკვიდრდა.¹

XII-XIII სს. ქართულ სამოხელეო აპარატში, როგორც ცნობილია არსებობს ქართლის და თბილისის ამირთდამირა. გვიანფერდალურ ხანაში გვხვდება ქუთაისის ამირა. და გარკვეული დროიდან მოყოლებული გახვდებიან შემოერთებული ქალაქების ამირანიც.² XII საუკუნის ამირები იყვნენ: ვასაკარწონი, ქურდ არწონი და აბულასანი.

¹ ცენტრალური და ადგილობრივი სამოხელეო წყობა შუა საუკუნეების საქართველოში, შემდგენლები: თამარ აბულაძე, ცისანა აბულაძე, ხათუნა ბაინდურაშვილი, ვლადიმერ კეკელია, დარეჯან კლდიაშვილი, მზა სურგულაძე, ელენე ცაგარეუშვილი, თბ., 2017.

² ო. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, ნ. I, ნაკვ. I, 1928, გვ. 112.

საქართველოს მეფის მოხელე, თბილისის მმართველი, შემორჩენილი წყაროების მიხედვით, დადასტურებულია გიორგი III-ის მეფობის დასაწყისში. ასეთად ჩანს, მხითარ გოშის მიერ „თბილისის სატრაპად“ წოდებული იშხანი ვასაკი, ვაჰარაშ არწრუნის ვაჟი.¹ ვასაკ არწრუნი - თბილისის ამირა XII ს-ის 40-50-იანი წწ.; გიორგი III-ის თანამედროვე, კაინისა და მაჰკანაბერდის ოლქების მფლობელი. ვასაკი და მისი ძმა ქურდ არწრუნი ეკუთვნოდნენ არწრუნი ნახარარების იმ შტოს, რომელიც დავით აღმაშენებელმა ჩრდილო სომხეთში გადმოასახლა და მანკაბერდი და ახპატი უწყალობა. ამ საგვარეულოს ძლიერი კავშირები ჰქონდა იმდროინდელი სომხური ქალაქების ფინანსურ წრეებთან, რის გამოც სამეფო კარი დაინტერესებული ყოფილა ამ საგვარეულოს წარმომადგენელთა დანიშნით თბილისის ამირას თანამდებობაზე. დემეტრე I-ის მეფობის დასასრულს თბილისის ამირად ჩანს ვასაკ არწრუნი. მხითრ გოშის მიხედვით, იგი დავით დემეტრეს ძის მომხრეთა და გიორგი მეფის მიერ შერისხულთა შორის ჩანს. სამეფო კარზე მისი გავლენის შესუსტება, როგორც ირკვევა, ობელის ძლიერი საგვარეულოს „დამსახურება“ იყო. ვასაკი თავის ძმასთან ერთდ თეოდოსიობოლში (კარნუ ქალაქი) გაქცეულა. აქ იგი კარგად მიუღია კარნუ ქალაქის გამგებელ ამირა სალდუხს. რამდენიმე ხანში ვასაკი იქნებოდა გარდაცვლილა. მისი დროშა, საყვირი და გამგებლობა მიუციათ მისივე ძმის ქურდისათვის.²

¹ ლ. დავლიანიძე, მხითარ გოშის „ალბანეთის ქრონიკა“, ქართული წყაროთმცოდნება, ტ. II. თბ., 1968, გვ. 46.

² ცენტრალური და ადგილობრივი სამოხელეო წყობა შუა საუკუნეების საქართველოში, შემდგენლები: თამარ აბულაძე, ცისანა აბულაძე, ხათუნა ბათნაძერაშვილი, ვლადმირ კეპელია, დარეჯან კლდიაშვილი, შზია სურგულაძე, ელენე ცაგარეიშვილი, თბ., 2017.

ორბელთა ამბოზების დროისათვის,¹ თბილისის მმართველად, „ამირთმთავრად“ („ამირაპეტად“) მოხსენიებულია ამ ვასაკის ძმა ქურდი, რომელიც მაჰანაბერდის იშხანი იყო. დემნა უფლისწულის აჯანყების დროს, აჯანყებულებმა აიღეს, სოფელი, რომელსაც პარაპოვი ეწოდებოდა. აქ შესაკრებად მოუწოდეს ყველა თანამზრახველს იმისათვის, რომ მეფე განედევნათ ან ძალით შეპყრობილი მოეყვანათ. მეფე, რადგან ჯერ კიდევ ზელთ ეპყრა თავის საკუთარ სამეფოში ქალაქები და სიმაგრეები და სამეფო კარის განძეულები, სასწრაფოდ გაემართა დიდ სამეფო ქალაქ თბილისისაკენ და მოიწვია სათათბიროდ მისი ერთგულნი. შემდეგ აჯანყებულებისაკენ გაემართა. აჯანყებულებმა რომ დაინახეს, გონება დაკარგულნი გაიქცნენ და სად მოუხერხდათ, იქ გამაგრდნენ. მხედართუფროსმა იგანებ კი შვილებით, ცოლითა და მთელი სახლეულით, თავი შეაფარა მიუდგომელ ლორეს. მისმა ძმამ ლიპარიტმა, თავისი ხალხით წაიყვანა მეფის ძე დემეტრე და მიუვალ კაიანს მიმართა. მეფის ბრძანებით მათ დაედევნა კეთილმსახური თბილისის ამირთმთავარი ქურდი, დაეწია მათ ვიწრო გზაზე თავის საკუთრ მხარეში, რომელსაც მაჰაბერდი ეწოდება. დასცა მათ ბრძოლის ყიჟინა და უკანვე გამოაქცია.² აქედან ჩანს, რომ მანკაბერდელი ქურდი, ორბელთა აჯანყების დროს თბილისის ამირა ყოფილა, მას დიდი დახმარება გაუწევია კიდევაც გიორგი III სათვის. მაგრამ მეფეს მისთვის

¹ რ. მეტრეველი, შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში, თბ., 1973, გვ. 124-125.

² გ. მაისურაძე, ერთი სომხური წყარო დემნა უფლისწულის აჯანყების შესახებ, კრებ. საქართველო რუსთაველის ხანაში, 1966, გვ. 264.

(ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო) მაინც წაურთმევია ეს თანამდებობა და გადაუცია აბულასანისათვის.¹

ქურდ არწრუნი - ვასაკ არწრუნის ძმა, თბილისის ამირა XII ს-ის 70-80-იანი წწ.-ში. იგი მმასთან ერთად გაქცევია გიორგი III-ის რისხვას კარნუ ქალაქში. ქურდის და - საგდუხტი ცოლად ჰყავდა სარგის მხარგრძელს, რომელიც ორბელებთან ძლიერ დაახლოებული პირი იყო. სწორედ ამ ნათესაობას უნდა ეთამაშა გადამწყვეტი როლი ქურდ არწრუნის ორბელებთან შერიცებისა და სამეფო კარზე მისი დაბრუნების საქმეში. გიორგი მეფეს იგი შეუწყალებია და, როგორც ირკვევა, მიუცია თბილისის ამირობა. ამ თანამდებობაზეა იგი ორბელთა ამბოხის დროსაც. დავით ქობაირელის ცნობით, 1177 წ. ორბელთ ამბოხის დროს გიორგი მეფემ მანგაბერდის მხარეში გაქცეულ აჯანყებულებს ამიარ ქურდი დაადევნა. 1187-1188 წწ.-ში ქურდ არწრუნი აღარ უნდა ყოფილიყო თბილისის ამირა, მაგრამ მას უნდა სჭეროდა მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვალის თანამდებობა. სწორედ მას მიიჩნევენ მკვლევარნი მეჭურჭლეთუხუცეს აბულასანის იმ „სჯულით ბარბაროზ“ ნაცვლად, რომელიც თამარმა აჯანყებული გიორგი რუსის შესაჩერებლად კარნუ ქალაქში გაგზავნა. შემდგომში მოვლენები ისე განვითარდა, რომ ქურდ არწრუნი აჯანყებულთა მხარეზე აღმოჩნდა. აჯანყების მარცხის შემდეგ ქურდ არწრუნი მანკაბერდში, საკუთარ მამულში დარჩა, საიდანაც იგი მხითარ გოშს დახმარებია ნორ-გეტიკის მონასტრის მშენებლობაში. ამის შემდეგ წყაროებში მისი კვალი იკარგება. აჯანყებაში მონაწილეობამ, როგორც ჩანს, ქურდის სახლის დამცრობა გამოიწვია. სამაგიეროდ, აღზევდა ქურდის დისტულთა შტო მხარგრძელთა სახით. საუკუნის შემდგომ კი,

¹ Еремян С., Агарцинская надпись 1184 г.: Сборник в честь акад. И. А. Орбели, 1965, 84-85.

მისი შვილთაშვილი სადუნ მანკაბერდელი მონღოლთა თანადგომით საქართველოს მეფეთა კარზე უმაღლეს თანამდებობებს დაიკავებს.¹

გიორგი რუსის საქართველოში შემოყვანის ინიციატორად ასევე გეხვდება თბილისის ამირა: „მეგდრთაგან ტფილისისათა, თავადი და მეფეთ-მეფეთაგან წყალობა-ჭელდასხმული, ამირად ქართლისად და ტფილისისამ, სახელით აბულასამ“².

აბულასანმა თბილისის ამირას თანამდებობა ორბელთა აჯანყების შემდეგ მიიღო და, ამ ადგილზე შეცვალა თბილისის ამირათ-ამირა ქურდი. აბულასანი თამარის პერიოდში აღზევდა. თამარის ისტორიკოსის მიხედვით, აბულასანი იყო „ამირა ქართლისა და ტფილისისა“. დ.მუსხელიშვილი თვლიდა, რომ აბულასანი ჯერ იყო „ამირა თბილისისაკ (თამარის ისტორიკოსის ცნობა), ხოლო შემდეგ „ამირათ-ამირა თბილისისა“ („ლურჯი მონასტრის“ წარწერა). - ბასილი მთავარეპისკოპოსყოფილი წერს, რომ მან ეს ეკლესია აღაშენა „ნაცვალ-საგებლად“ თავისა და „საყუარელისა ძმისა... ერის-თავთ ერისთავისა, ქართლისა ამირთა ამირისა, რუისთვისა და შედთა მთეულეთთა პატრონისა აბულასანისათვის“. და მაშასადამე „მეჭურჭლეულუცესის ნაცვალი“ ასე რომ, მისი აზრით, აბულასანი იყო პირველი, რომელმაც მიიღო „თბილისის ამირთამირას“ წოდება და, მაშასადამე, თანამდებობა

¹ ცენტრალური და ადგილობრივი სამოხელეო წყობა შუა საუკუნეების საქართველოში, შემდგენლები: თამარ აბულაძე, ცისანა აბულაძე, ხათუნა ბაინდურაშვილი, ვლადიმერ კეკელია, დარეჯან კლდიაშვილი, მზა სურგულაძე, ელენე ცაგარეუშვილი, თბ., 2017.

² ისტორიანი და აზმანი შარავანდედონი, ქართლის ცხოვრება, ტ. 2. თბ., 2012, გვ. 37.

„მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვლისა“.¹ შ. მესხიამ უარყო დ. მუსხელიშვილის ეს მოსაზრება და აღნიშნა, რომ დ. მუსხელიშვილისა და მის წინამორბედ მკვლევართა მიერ, სწორად ვერ არის წაკითხული „ლურჯი მონასტრის“ წარწერა.² „ლურჯი მონასტრის“ წარწერას დიდი მნიშვნელობა აქვს აბულასანის თანდათან აღზევების, მისი სამოხელეო კარიერის, ცალკეული საფეხურების გასათვალისწინებლად. ბასილი წარწერის გამკეთებლი აღნიშნავს: ავაგე ეს ტაძარი „ნაცვალსაგებლად ჩემთვს და საყუარელისა მმისა ჩემისა ერის-თავთდერისთავისა ქართლისა ამირათ ამირისა რუდსთავსა და შპდთა მთეულეთთა პატრონისა აბულასანისათვს.³ ბასილს კარგად სცოდნია თვისი ძმის აბულასანის ყველა თანამდებობა და ზუსტად აუსახავს იგი წარწერაში. როგორც ივ. ჯავახიშვილი,⁴ ვარაუდობდა ან რა საფიქრებელია, რომ „ბასილს თავის წარწერაში თავის ძმის აბულასანის მოხელეობის ნუსხა სრული სისწორით ვერ აღენიშნა“. აბულასანის მოხსენება „ამირათ-ამირად რუსთავისა“, „ლურჯი მონასტრის“ წარწერაში არ შეესაბამება დ. მუსხელიშვილის მოსაზრებას „ამირათ-ამირას“ მხოლოდ თბილისის გამგებლის წოდებად მიჩნევის შესახებ.⁵ როგორც ჩანს, აბულასანის თბილისში ამირო-

¹ დ. მუსხელიშვილი, სამეცნიერო სტატიები, წერილები და პუბლიკისტიკა; თბილისის ამირთამირობის ინსტიტუტისათვის, თბ., 2014, გვ. 327.

² შ. მესხია, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, თბ., 1962, გვ. 132-134.

³ გ. ბერიძე, თბილისის „ლურჯი მონასტერი“, ქართული ხელოვნება, №2, 1948, გვ. 96-97.

⁴ ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, ნ. I, ნაკვ. I, 1928, გვ. 214.

⁵ შ. მესხია, საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წეობა XII საუკუნის საქართველოში. თბ., 1979, გვ. 134.

ბა თუ ამირათ-ამირობა, რაკი ასეთი წოდება (ამირათ-ამირობა) სხვა ქალაქის გამგებლებსაც ჰქონდათ (რუსთავი, კარი და სხვა). არ გულისხმობს ამირათ-ამირას „მეჭურჭლეთუხუცესობის ნაცვლობას“.

აბულასანი არ ყოფილა „მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვალი“.¹ გიორგის სამეფო კარზე ქართლისა და თბილისის ამირობით დაიწყო მისი კარიერა. გიორგი რუსის ხელშეწყობითა, და ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლით, აბულასანი ქართლის ერისთავთ-ერისთავიც ხდება, რუსთავის ამირათ-ამირაც და შვიდთა მთეულეთთა“ პატრონიც („ლურჯი მონასტრის“ წარწერა). ამითაც არ დამთავრებულა მისი დაწინაურება სამეფო კარზე - ქართლის ერისთავთ-ერისთავი მალე მეჭურჭლეთუხუცესიც ხდება. (ანდრია მოციქულის ხატის წარწერა). მისი ასეთი აღზევება ისევ სწრაფად იცვლება, კრახის მიზეზი, გიორგი რუსის განდევნა საქართველოდან. აბულასანმა დაკარგა მეჭურჭლეთუხუცესობაც და ქართლის ერისთავთ-ერისთავობაც.² ლურჯი მონასტრის ცნობილ წარწერაში აბულასანი რამდენიმე მაღალი თანამდებობით, მათ შორის ქართლის ერისთავად მოიხსენიება. მკვლევართა ნაწილს აეჭვებს მისი ქართლის ერისთავია, რაც ამ დროს რატი სურამელს უნდა ჰქონდა, მაგრამ წარწერის მონაცემებში ეჭვის შეტანა ძნელია.

აბულასანი - ქართლის ერისთავი 1185-1188 წწ.; თბილისის ამირა რუსთავისა და შვიდთა მთეულთა პატრონი და მეჭურჭლეთუხუცესი 1187-1188 წწ. დასავლეთ საქართვე-

¹ შ. მესხია, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, თბ., 1962, გვ. 140-189.

² შ. მესხია, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, თბ., 1962, გვ. 137-138.

ლოს დიდებული; დაწინაურებული საქართველოს სამეფო კარზე თამარის პირველი ქორწინების წლებში.

აბულასანის აღზევება უნდა მომხდარიყო თამარის პირველი ქორწინების წლებში, გიორგი რუსის მფარველობით, რომლის საქართველოში ჩამოყანის საქმეში აბულასანმა დიდი წვლილი შეიტანა. გიორგი რუსის მფარველობით უნდა მიეღო მას სამეფო კარის მეჭურჭლეთუხუცესობა (1187/1188) და ამ თანამდებობასთან უშუალოდ დაკავშირებული თბილისის ამირათ-ამირობა. ვარაუდობენ, რომ ქართლის ერისთავობა რატი სურამელს უნდა დაეკარგა აბულასანის გამო. ამ უკანასკნელის კარიერის დასასრული გიორგი რუსის საბოლოო განდევნას (1188) უკავშირდება. გიორგი რუსის დამარცხების შემდეგ წყაროებიდან მისი სახელი იშლება.¹

თბილისის უფროსს „ამირთამირა“ ეწოდება. შემთხვევითია თუ არა ეს გარემოება და იღენტურნი არიან თუ არა თავისი შინაარსით „თბილისის ამირაკ და „თბილისის ამირთამირა“? დ. მუსხელიშვილს მიაჩნია, რომ (თავის ნაშრომში განიხილავს რა ამირთამირობის ინსტიტუტის შექმნას²) იგი უნდა გამოიწვია საქალაქო ცხოვრების განვითარება-გართულებას. „თბილისის ამირა“ და „თბილისის ამირთამირა“ ერთმანეთისაგან განსხვავებულია, როგორც დროში ისე ფაქტიურადაც, ხოლო თვით ტერმინის – ამირთამირა – ეტიმოლოგია სავსებით ცხადად გვიჩვენებს, რომ იგი ნიშნავს „ამირების უფროსს“ ან უკეთ, „უხუცესს“. ამგვარი ორნაწილედი

¹ ცენტრალური და ადგილობრივი სამოხელეო წყობა შუა საუკუნეების საქართველოში, შემდგენლები: თამარ აბულაძე, ცისანა აბულაძე, ხათუნა ბაინდურაშვილი, ვლადიმერ კეკელია, დარეჯან კლდიაშვილი, მზაა სურგულაძე, ელენე ცაგარეიშვილი, თბ., 2017.

² მუსხელიშვილი დ., სამეცნიერო სტატიები, წერილები და პუბლიცისტიკა; (თბილისის ამირთამირობის ინსტიტუტისათვის), თბ., 2014. გვ. 319.

სამოხელეო ტერმინები ძველი საქართველოს სინამდვილეში ბევრია: ამირეჯიბი - ეჯიბთა უხუცესი, ამირსპასალარი - სპასალართა უხუცესი და სხვა. მეორე მხრივ, „ამირთამირა“ მსგავსია ისეთი ტერმინებისა, როგორიცაა ერისთავთ-ერისთავი ან მეფეთ-მეფე.

ქართლისა და თბილისის ამირას ხელისუფლება თბილისის არაბი ამირას მაგალითთაა შექმნილი; ისიც ხომ ქართლის გარკვეული ნაწილის ხელისუფალიც იყო თბილისთან ერთად. მას შემდეგ, რაც თბილისი განთავისუფლდა მუსლიმანთა ხელისუფლებისაგან, თბილისის ამირებს საქართველოს მეფეები ნიშნავენ. როდესაც დავით აღმაშენებელმა გაანთავისუფლა თბილისი მუსლიმანთაგან, მან შეზღუდა ქალაქის თვითმმართველობის ხელისუფლება და ქალაქის სათავეში დააყენა თავისი მოხელე, რომელიც ძველებურად „ამირას“ წოდებულებას ატარებდა, ამის შემდეგ თბილისის ამირებად საქართველოს მეფეები დიდებულთა წარმომადგენლებს ნიშნავენ; ძველი ტრადიციით, ეს თბილისის ამირა იმავე დროს არის ქართლის ერისთავი და თბილისთან ერთად ის მის ოლქსაც მართავს. ამგვარად, საქართველოს მეფემ დაპყრობილ თბილისში დანიშნა ამირა, მაგრამ ამიერიდან ამირა საქართველოს მეფის ქართველი მოხელეა.¹ დავით აღმაშენებელი იყო საქართველოს უდიდესი მოლგაწე. ის თავისი ეპოქის ღვიძლი შვილი იყო და მთელი სიცხადით გამოხატავდა (აფართოებდა და ამტკიცებდა) ფეოდალური კლასის ინტერე-

¹ მ. ლორთქიფანიძე, ქალაქის მოხელეთა საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში, (არაბული სახელწოდების მოხელენი); მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30; თბ., 1954, გვ. 145.

სებს, დიდი მსხვერპლის ფასად ატარებდა ღრმა გარდაქმნებს: უკუაგდებდა დრომოჭმულსა და ნერგავდა ახალს.¹

მეფემ გაითვალისწინა თბილისში დიდი ხნის განმავლობაში არსებული ტრადიცია, ქალაქის მოსახლეობის დიდი ნაწილი მუსლიმია, ტერმინი „ამირა“ ნაცნობია (ამ მოხელეს ემორჩილებოდნენ). და მათი უეცარი ცვლილება ზედმეტ გაუგებრობას და წინააღმდეგობას გამოიწვევდა. ამიტომ დავით აღმაშენებელმა თავი შეიკავა სახელწოდების ცვლილებიდან, მაგრამ ფუნქციები შეცვალა და დაამცრო თბილისის აღების შემდეგ ის იქცევა გამორჩეულ, მაგრამ ჩვეულებრივ სამეფო მოხელედ.

ამირას ფუნქციებისა და მოვალეობის გათვალისწინებიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ის შეესაბამება ქალაქის მმართველობის ერთ-ერთ მთავარ მოხელეს, რომლის ფუნქციაშიც შედიოდა ლაშქრის ორგანიზება, ზარაფხანის ზედამხედველობა, გადასახადების აკრეფა და ა.შ. ასე რომ, ამირა საქაოდ საპასუხისმგებლო და მნიშვნელოვანი თანამდებობის პირია. ამირებს აქვთ შეთავსებული ხალიფების ფუნქციები რეგიონალური მასშტაბით. სხვა მოხელეებთან შედარებით თბილისის ამირა განსხვავებულია. თბილისი ხომ ყველაზე დიდი და მდიდარი სატახტო ქალაქია. ასევე რელიგიურ ეთნიკური შემადგენლობიდან გამომდინარე გასათვალისწინებელია ის, რასაც წინდახედული და შორსმჭვრეტელი მეფე ითვალისწინებდა.

დამოწმაბანი:

- ი. ანთელავა, საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XII-XIII სს., თბ., 1983.

¹ რ. მეტრეველი, დავით აღმაშენებელი მეფე თამარი, თბ., 2002, გვ. 364.

2. ვ. ბერიძე, თბილისის „ლურჯი მონასტერი“, ქართული ხელოვნება, №2, 1948.
3. მ. გაბაშვილი, საქართველოს ქალაქები XI-XII საუკუნეებში, თბ., 1981.
4. ლ. დავლინიძე, მხითარ გოშის „ალბანეთის ქრონიკა“, ქართული წყაროთმცოდნეობა, ტ. II. თბ., 1968.
5. ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, ტ. 2. თბ., 2012.
6. მ. ლორთქიფანიძე, ქალაქის მოხელეთა საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში, (არაბული სახელწოდების მოხელენი); მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30; თბ., 1954.
7. გ. მაისურაძე, ერთი სომხური წყარო დემნა უფლისწულის აჯანყების შესახებ, კრებ. საქართველო რუსთაველის ხანაში, 1966.
8. ს. მაკალათია, სეტის მეთორმეტე საუკუნის ვერცხლის სურა, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, IX, ტფ., 1928.
9. შ. მესხია, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, თბ., 1962.
10. შ. მესხია, საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში, თბ., 1979.
11. შ. მესხია, საისტორიო ძიებანი, ტ. I. თბ., 1982.
12. რ. მეტრეველი, შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში, თბ., 1973.
13. რ. მეტრეველი, დავით აღმაშენებელი. მეფე თამარი, თბ., 2002.
14. ქისკ - ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984.

15. ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, ნ. I, ნაკვ. I, 1928.
16. ივ. ჯავახიშვილი, ქართველის ერის ისტორია, თხზულებანი თორმეტ ტომად, თბ., ტ. VI. 1982.
17. ცენტრალური და ადგილობრივი სამოხელეო წყობა შუა საუკუნეების საქართველოში, შემდგენლები: თამარ აბულაძე, ცისანა აბულაძე, ხათუნა ბაინდურაშვილი, ვლადიმერ კეჩელია, დარეჯან კლდიაშვილი, მზა სურგულაძე, ელენე ცაგარეიშვილი, თბ. 2017.
18. დ. მუსხელიშვილი, სამეცნიერო სტატიები, წერილები და პუბლიცისტიკა; თბილისის ამირთამირობის ინსტიტუტისათვის, თბ. 2014.
19. Еремян С., Агарцинская надпись 1184 г.: Сборник в честь акад. И. А. Орбели, 1965.

Ekaterine Dzmanashvili

*Saint Andrew the First-Called Georgian University of the
Patriarchate of Georgia*

**GEORGIAN OFFICIALS OF ARABIC NAME IN THE
MIDDLE AGES – AMIRA
RESUME**

There are different ways of Arabic name officials' entries in Georgia. But the key of them is the entrance of the Arabs in Georgia and their proprietorship. In addition, Georgian economic, cultural and political relations with the eastern Muslim countries had a great impact. These institutions of civil servants in the Georgian reality come through the Tbilisi Emirate. So, it is obvious that the existence of official

institutions with Arabic name and its impact is felt in Georgian cities.

Creation of officials' institutions was necessary for everyday life of Cities. Without them, the arranged functioning of both trade and the main centers of cities were impossible. Obviously, Tbilisi would not be the largest city and a trade center in the Caucasus without these officials. The necessity of officials posts was dictated by the city's lifestyle. Especially in Georgia, where the numerous Muslim population existed. Despite this, these official institutions could not livable; they underwent a transformation and others took their place.

კლადიმერ წვერავა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თეორი (ნიკოლოზის) ხიდი ქუთაისში

მსოფლიოს ქალაქთა უმეტესი ნაწილი მდინარეთა ნაპირებზეა გაშენებული, ხშირად კი ბევრ ქალაქს შუაზე ყოფს მდინარე და სწორედ ხიდების საშუალებით აღიქმება ის ერთ მთლიანობაში. ხიდები არა მარტო კომუნიკაციის საშუალებაა, არამედ ქალაქის იერსახეს ქმნიან. ასევეა ჩვენი საყვარელი ქალაქი ქუთაისი, რომელსაც უხდება ხიდები პოეტური ჟღერადობის სახელებით: „ჯაჭვის ხიდი”, „თეორი ხიდი”, „წითელი ხიდი”, „ოღასკურას ხიდი” და სხვა.

ხიდი ადამიანს ჩამოგავს, გააჩნია დაბადების თარიღი, საკუთარი სახელი და გამოკვეთილი ინდივიდუალობა, ცოცხალ არსებასავით ხანში შედის, მუდმივად შრომობს და ბერდება კიდევაც. ხიდი ადამიანივით კეთილია, ერთგულად ემსახურება ყველას. ვინ მოთვლის რამდენ ადამიანს გაუკლია მის ზურგზე¹.

როგორც აღვნიშნეთ, ხიდები ბერდებიან, განუწყვეტელი დატვირთვის შედეგად მზიდი კონსტრუქციები „იღლება”, რკინის კოჭები კოროზიას განიცდიან (იუანგებიან) და საჭიროა დროულად შეკეთება-აღდგენა, ან სრულად განახლება.

ხიდებს, როგორც კაცობრიობის განვითარების ერთერთ ნიშანს, თავისი ისტორია აქვს.

¹ დ. ჩხატარაიშვილი. „სიყვარული გზად და ხიდად”, გაზ. „იმერეთის მოამბე”, 29 აგვ., 1995, გვ. 3

უმარტივეს ხისა და ქვის ხიდებს ადამიანი აშენებდა უძველესი დროიდან. ყოფილ სსრკ-ს ტერიტორიაზე პირველი ქვის ხიდი საქართველოში, სომხეთსა და შუა აზიაში აშენდა. ძველი წელთაღრიცხვის სხვადასხვა პერიოდში სტრაბონის ცნობით (I საუკუნე), მდინარე რიონზე 120 ხიდი ყოფილა. 18 საუკუნის დამლევიდან ხიდების მშენებლობაში ლითონის გამოყენება იწყება. თუჯის პირველი თაღოვანი ხიდი ააგეს ინგლისში 1779 წელს მდინარე სევერნზე. მე-19 საუკუნის შუა წლებში დაიწყეს ფოლადის კოჭებიანი ხიდების მშენებლობა. პირველები კვლავ ინგლისელები იყვნენ, რომელთაც რეინიგზის ხიდი „ბრიტანეთი“ ააგეს¹.

საინტერესოა ხიდების მშენებლობის ისტორია ქუთაისში. 1851 წელს „კავკასიის კალენდარში“ ქუთაისის ხიდების შესახებ ნათქვამია: „ქუთაისს რიონი ჰყოფს მთიან და დაბლობ ნაწილად, ახალ უბანი ძველს უკავშირდება ქვის ხიდით, რომელიც მეუე ლეონს აუგია 792 წელს და არაერთხელ დანგრეულა, როგორც ქალაქი“².

ქუთაისის ხიდის აგების ხანის დასადგენად საინტერესო ცნობებს გვაწვდის მკვლევარი ვლ. ჩაკვეტაძე წიგნში: „ქუთაისის ისტორიიდან“³, იგი წერს ქუთაისში მე-8 საუკუნის უკანაკნელ მეოთხედში აგებულ საყოველთაო-სახალხო მნიშვნელობის ერთერთ უმნიშვნელოვანეს ნაგებობას ძლ. რიონზე აგებული ხიდი ეკუთვნის“. მკვლევარი საგანგებოდ მიუთითებს, რომ ლეონ მეორემ აღნიშნული ხიდი ქვის საფუძველ-

¹ ე. ფირცხალავა, ხიდებსაც აქვთ ისტორია, გაზ. „იმერეთის მოამბე“, 3 ოქტ., 1995, გვ. 4

² გ. იმედაძე, პირველი ხიდი რიონზე, გაზ. „ქუთაისი“, 16 სექტ., 1981, გვ. 3

³ გ. ჩაკვეტაძე, ქუთაისის ისტორიიდან, თბ., 1960, გვ. 161

ზე ააგო. ამით ორკვევა, რომ ქვის საფუძველზე პირველი ხიდი მე-8 საუკუნის 90-იან წლებში აუგიათ.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, აღნიშნული ხიდი თითქმის იქ მდებარეობდა, სადაც ამჟამად, ეგრეთწოდებული ჯაჭვის ხიდია. ამ შეხედულების ავტორები უნდა ეყრდნობოდნენ ფრანგი მოგზაურის დიუბუა დე მონპერეს იმ ცნობას, რომელშიც ნათქვამია ახალი ხიდი (ლაპარაკია იმ ხიდზე, სადაც ახლანდელი ჯაჭვის ხიდია) ძველ ბოძებზეა აშენებული¹.

ამასთან დაკავშირებით დიუბუა მეტად საყურადღებო ცნობებს გვაწვდის იმავე მიდამოებში არსებული კიდევ უფრო ძველი ორი ხიდის შესახებ. იგი წერს: „ეს არის მეორე ხიდის ნაწილი, რომელიც მთავრდება სწორედ ციხე-სიმაგრისაკენ მიმავალ გზასთან, მარცხნა ნაპირზე კი მოჩანს ქვისაგან გაკეთებული ხიდის ნაშთი”².

აღნიშნული ცნობის სისწორე დასახელებულ მიდამოებში, სანაპიროს მშენებლობის დროს უძველესი ხიდების აღმოჩენამდეც დადასტურდა, ამგვარად, X-XI საუკუნეების ფეოდალური საქართველოს გაერთიანების ძლიერების ხანის ქუთაისში, მდინარეებზე რიონსა და წყალწითელაზე აშენდა ხიდები, ქუჩებზე დააგეს ქვაფენილები და სხვ.

ბუნებრივია, რომ მე-8 საუკუნეებამდე, ქუთაისში მუდმივი ხიდის აგებამდე მოსახლეობა მდინარეზე გადასასვლელად ნავებითა და ბორნებით სარგებლობდა.

ქუთაისის სამშენებლო-საინჟინრო ნაგებობათა კულტურის ისტორიაში არაერთი შენობა-ნაგებობას უკავია მნიშვნელოვანი ადგილი. მათ შორის, აღსანიშნავია, თავისი კონსტ-

¹ იქვე

² გ. ორაკლიშვილი, პირველი ხიდი რიონზე, გაზ. „ქუთაისი”, 9 თებ., 1974, გვ. 4

რუქებით. გამორჩეული „თეთრი ხიდი”, რომელსაც აგებიდან 165 წელი შეუსრულდა.

უძველესი დროიდან ქალაქ ქუთაისს დიდი სავაჭრო მნიშვნელობა ჰქონდა, თუმცა იმიტომ, რომ მასზე გადადიოდა ტრანზიტი ევროპიდან აზიაში და პირიქით. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში კიდევ უფრო გაიზარდა სამხედრო-იმერეთის გზის როლი, რომელიც თბილისს აკავშირებდა ფოთან ქუთაისს გავლით, ამიტომ მოხდა, რომ ამ პერიოდში გარკვეული სამუშაოები ჩატარდა გზებზე მიმოსვლის გასაუმჯობესებლად. ამასთან, აუცილებელი გახდა ქუთაისში მდ. რიონზე საიმედო ხიდის აგება. მართლაც, 1848 წელს რიონზე არსებული ხის ხიდი უკვე შესაცვლელი იყო. თუმცა ქუთაისელები მასზე განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდნენ¹.

დიუბუა მონპერეს გეგმაზე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1837 წლის დროინდელ ქალაქის გეგმაზე ვხედავთ, რომ წითელი ხიდის სამხრეთით მდებარე რიონზე დატანილია ხიდის კონტურები, რომელსაც აწერია, რომ იგი საპროექტო ხიდია და არა არსებული. ეს ადგილი შეესაბამება დღევანდელი წერეთლის ქუჩის (ქალაქის მარცხენა მხარეზე) და პოსპიტის ქუჩის (ქალაქის მარჯვენა მხარეზე) ერთმანეთთან დაკავშირებულ ტრასას².

ამ ვიღაც მადლიან მოაზროვნეს, მეტად დიდი შორსგან-ჭვრეტით, სწორედ შეურჩევია მომავალი ხიდის მშენებლობის ადგილი, რომ იგი ისე გაკეთებულიყო, ვინ მოთვლის რაოდენ სიკეთეს დასთესდა მისი განმორციელებელი, რამდენ კვარტალს არ დაამახინჯებდა, რა სწორედ და აზრიანად გადაწ-

¹ ა. კარბელაშვილი, თანამეგობრობა: ქუთაისის და თბილისის პირველი რეინის ხიდები, გაზ. „ქუთაისი”, 19 მაისი, 1983, გვ. 3

² შ. ლომთაძე, თეთრი ხიდი, გაზ. „ქუთაისი”, 14 ნოემბ., 1964, გვ. 2

ყვეტდა მომავალი ქალაქის მაგისტრალების განლაგებას და რამდენ ზედმეტ შრომას, ხარჯებსა და ნგრევას ააცდენდა მომავალი ქალაქს მისი კონსტრუქციის დროს. მაგრამ მისთვის განკუთვნილი აღგილებიდან ხიდი ამოუჩოჩებიათ ზემოთ - ჯაჭვის ხიდისაკენ და აიგო იქ, სადაც დღესაც დგას - თეთრი (ცხადია არა ამ სახით). თეთრი ხიდის აგება განაპირობა იმან, რომ XIX საუკუნის შუა წლებში იმ დროისათვის დიდი მასშტაბის შენებლობები წარიმართა როგორც მდინარე რიონის მარცხნა ნაპირას ძველი ქალაქის ფარგლებში, ასევე მდ. რიონის მარჯვენა მხარის დაბლობ აღილებში¹.

მათ შორის მოხერხებული კავშირისათვის ჯაჭვის ხიდი, რომელიც მთის ძირზე იყო მიყრდნობილი ვერ აკმაყოფილებდა ახალ მოთხოვნილებებს, რის გამოც, სწორედ 1850 წელს, იწყება ახალი, საკმაოდ დიდი, სამმალიანი ხიდის მშენებლობა მდინარე რიონზე - ყოფილი სამეფო რეზიდენციის - ოქროს ჩარდახის კომპლექსის - მოსაზღვრელ. ხიდის მშენებლობა, რომელიც წარმოადგენდა მდინარეში ამოყვანილ ხის სამმალიან თაღოვან კონსტრუქციას- ხისავე მოაჯირითა და სავალი ნაწილით - დამთავრებული იქნა და ექსპლოატაციაში გავიდა 1852 წელს (სამხედრო მშენებლის ინჟინერ ვიტტეს პროექტით).

ახალი ხიდი იმდროინდელი ქუთაისისათვის მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა და იმთავითვე რუსეთის მეფის ნიკოლოზ პირველის პატივსაცემად „ნიკალაევსკი მოსტი” უწოდეს, ანუ „ნიკოლოზის ხიდი”. ხიდი თავისი გაბედული კონსტრუქციითა და გაბარიტებით სრულად აკმაყოფილებდა იმდროინდელი სახის ტრანსპორტისა და ხალხის ნორმალურ მოძრაობას.

¹ იქვე.

ამ ახალი ხიდის გახსნაზე ბევრი ლოცვა-კურთხევა თქმულა, დიდი ხნის დღეგრძელობაც უსურვებიათ მისთვის, ზარების რეპვით უუწყებიათ მრევლისათვის, რომ საუკუნის ძეგლი დაიღვა და ხალხის სანუკვარი ოცნება - უშიშრად ევლო ხიდზე - სინამდვილედ აქცია... მაგრამ, სამწუხაროდ, 1859-1860 წლების წყალდიდობამ, მდინარე რიონის არნახული აზვირთება ისე როგორც ქუთაისის სხვა ხიდებისათვის, ნიკოლაევსკის ხიდისათვისაც საბედისწერო აღმოჩნდა და 1860 წლის დასაწყისში, ქედობრილი და წელგაწყვეტილი ჩაყუდებულა მდინარე რიონის მონავარდე ჭალლებში.

იგი ისევე დაიქცა, დაიშხო და ჩამოიწერა ისტორიის არქივიდან, როგორც მოგვიანებით - მისი სახელის მატურებლის მთელი დინასტია, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ პირველი წყალმა დაამხო, მეორე კი - ხალხმა¹.

ავარიის შედეგად უპირველესად ჩამოიწერა მარჯვნა სანაპიროს თაღი, ხოლო დანარჩენი როცა სრულიად დეფორმირებული გახდა, მაგრამ ერთბაშად არ ჩაწყვეტილა. ხიდის კონსტრუქციის დაშლის საზარელმა ხმამ გარკვეული დროს გასტანა და ამ დრომ უშველა ხიდზე მიმავალ ბედილბლიან ზოგიერთ ქუთათურს, რომ ხიდიდან გადაესწროთ და მდინარეს არ წაედო ხიდის ნარჩენებთან ერთად, როგორც ეს ჯაჭვის ხიდზე მიმავალ ქუთათურებს ხედათ წილად, მისი ჩაწყვეტის მომენტში².

აღნიშნულ მოვლენას დიდად შეუშფოთებია ქალაქის ხელმძღვანელობა და დაუწყიათ ზრუნვა მისი აღდგენისათვის, მაგრამ მაშინდელი შესაძლებლობებისათვის ეს იოლი საქმე როდი იყო. ეს ხომ ჯაჭვის ხიდის მსგავსი - ერთმალიანი

¹ შ. ლომთაძე, თეთრი ხიდი, გაზ. „ქუთაისი”, 14 ნოემბ., 1964,
გვ. 2

² იქვე

მოკლე ხიდი არ იყო, რომ ისევ საფრანგეთისაკენ გაეშვირათ ხელი და მიეღოთ ლითონის ფერმები ... თუმცა კვლავ ამ გზას მიმართეს... მხოლოდ საკმაო პერიოდის გავლის შემდეგ.

როგორც საარქივო მასალებიდან ჩანს, მხოლოდ 1870-იანი წლებისათვის მოხერხდა ხიდის აღდგენის პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის შედგენა. მისი ავტორი ვინმე ინჟინერი - ზეზელმანი და თანავტორი პერეპი პროექტზე თანდართულ განმარტებით ბარათში აღნიშნავდნენ, რომ „გათვალისწინებულია, ხიდი გაკეთდეს ლითონის, - კოჭოვანი, საყრდენ-გამბრჯენიანი სისტემის ფერმებით, იმ ანგარიშით, რომ გამოყენებული იქნას ძველი თაღოვანი დანგრეული ხიდის დარჩენილი ქვის საყრდენები. დაპროექტებული ხიდი შედგება სამი მალი-საგან, სიგრძით თითოეული 13,5 საუნი (29 მეტრამდე) ხიდის საერთო სიგრძე 300 ფუტი (91,5 მეტრამდე), ხოლო საგალი ნაწილის სიგანე 3-საუნიანი (6 მეტრზე მეტი)“.

მეტად საინტერესო მასალაა დაცული არქივში იმის შესახებ, თუ რა გზით და რა ხერხებით უნდა გაკეთებულიყო, თუ აღდგენილიყო ხიდი.

1871 წლის 7 მარტით (N1920) დათარიღებული სამოქალაქო ინჟინრის ზეზელმანის მოხსენებითი ბარათი – ქუთაისის სამხედრო გუბერნატორისადმი გვაუწყებს, რომ ამავე წლის 2 მარტის შუამდგომლობით, გაგზავნილი კავკასიაში მეფის ნაცვლის სახლზე ხიდის აგების ნებართვის შესახებ დაბრუნებულა უკანვე შემდეგი მითითებებით:

სასწრაფოდ დადებულიყო ხელშეკრულება სამოქალაქო ინჟინერ ზეზელმანთან, რათა მასვე ეწარმოებინა ხიდის მშენებლობის სამუშაოები;

ხიდის ხარჯების გარკვეული ნაწილის დასაფარავად ესესხებინათ ქ. ფოთის სარეზერვო კაპიტალის ნაწილი. თანხით 10 ათასი მანეთი, რომელიც უნდა გაესტუმრებინა 4

წლის განმავლობაში, წლიური 6 პროცენტი დანამატის გადახდით;

უნდა მიეღწია ქუთაისს, რომ 6200 მანეთი გადაეხურდავებინა ოქროს ფულზე, რათა გაესტუმრებინათ საზღვარგარეთ დაგვეთილი ლითონის ფერმის გასაკეთებელი ლირებულება;

თავის დროზე წარედგინათ დებულება დასამტკიცებლად იმის შესახებ, თუ როგორი ბაჟი დაეწესებინათ ხიდზე გადასვლისათვის ან დაეწესებინათ სახე და რაოდენობა იმ თანხის შეგროვებისა, რაც ქუთაისის ქალაქის საზოგადოებამ იკისრა¹.

არის მოსაზრება იმის შესახებაც, რომ ამ საქმეში აქტიური მონაწილეობა მიიღო ჩვენმა სასიქადულო მამულიშვილმა და საზოგადო მოღვაწემ ნიკო ნიკოლაძემ.

ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმის დირექტორის ლიაბიბილებიშვილის ხელთ არსებული სავარაუდო ინფორმაციით, თეთრი ხიდი ეიფელის პროექტითაა აგებული, რაშიც დიდი წვლილი 6. ნიკოლაძეს მიუძღვის. მისი თქმით: „ნიკო ნიკოლაძეს ძალიან ახლო ურთიერთობა ჰქონდა ფრანგ ბიზნესმენებთან, მთლიანად ფრანგულ საზოგადოებასთან, ის პირვლეად იცნობდა ფრანგ ინჟინერს ეიფელს და თითქოს მან ჩამოიტანა „ეიფელის კოშკის“ კელის კონსტრუქცია მომავალი ხიდის ასაგებად, რომელიც შემდეგ გრ. ობელიანის დახმარებით დამონტაჟეს ქუთაისში, - ამბობს ლიაბიბილებიშვილი².

ერთ-ერთი საარქივო დოკუმენტის თანახმად, ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს ლევაშოვს აცნობეს, რომ მეფისნაც-

¹ შ. ლომთაძე, თეთრი ხიდი, გაზ. „ქუთაისი”, 14 ნოემბ., 1964, გვ. 2

² თ. ზიძიბიძე, ჩვენი „იმედის ხიდი”, გაზ. „აზალი გაზეთი”, 20-26 მარტი, 2006, გვ. 11

ვალმა დაამტკიცა პროექტი და ხარჯთაღრიცხვა თანხით - 24,198 მანეთი და 55 კაპიკი.

როგორც წითელი ხიდის აღდგენისათვის, ასევე „ნიკოლაევსკის“ ხიდის ასაგებად ლითონის ფერმები საზღვარგარეთ დაუმზადებიათ, ხოლო ამ ხიდზე გადასასვლელი ბაჟი ეტყობა საგრძნობლად გაუზრდიათ, რადგან წინააღმდევ შემთხვევაში ეს ფაქტი ასე ხაზგასმით მოხსენიებულიც არ იქნებოდა, რადგან ჩვეულებრივი ბაჟის გადასახდევინებლად ხის კიოსკი ჯერ კიდევ იმ დროიდან არსებობდა, როცა ხიდი პირველად ხის თაღებიან ფერმებზე აშენდა 1850-1851 წწ. (აღნიშნული კიოსკი იდგა ხიდის მარჯვენა ნაპირის სამხრეთ მხარეს, სადაც ამჟამად სასაუზმეა რიონზე გადაშვერილ აივნით).

ლითონის ფერმებზე აღდგენილი ხიდი ექსპლოატაციაში გაშვებულ იქნა 1872 წელს. ხიდს ჰქონდა ასევე ლითონის მოაჯირი. ძირითადად საყრდენზე დაშენებული იქნა მცირე ზომის ოთკუთხა ქვის სვეტები, რომლებზეც დადგმული იქნა ნავთის, ხოლო შემდგომში გაზის ფარნები, ღამით ხიდის გასანათებლად. ხიდის ლითონის ნაწილები, ისე როგორც მოაჯირი ნაცვლად მანამდე გავრცელებული წითელი ფერისა, შეღებილ იქნა თეთრად, რის შედეგადაც ქუთათურებმა ახლად აღდგენილ ხიდს „თეთრი ხიდი“ უწოდეს¹. ხიდის საერთო სიგრძე 300 ფუტი (91,5 მეტრამდე), ხოლო სავალი ნაწილის სიგანე 3 საუნი (6 მეტრზე მეტია).

1948 წელს ქუთაისში ტროლეიბუსების მოძრაობის დაწყებასთან დაკავშირებით დაიწყო ხიდის გამაგრებითი სამუშაოები, მშენებელი ინჟინრის გ. ამაღლობელის პროექტის მიხედვით. პროექტის შედეგად ჩატარდა ხიდის მზიდავი კონ-

¹ იქვე, გვ. 11

სტრუქტირების შეკეთება, მოიმატა ხიდის სიგანემ, გაკეთდა ახლი ტროტუარები.

აღდგენილმა და სრულიად სახეცვლილმა „თეთრმა ხიდმა” უდიდესი ფუნქცია შეასრულა ქალაქისათვის. ამ ადგილს განსაკუთრებულობა თვით ბუნებამაც შესძინა.

ის, რომ „თეთრი ხიდი” ქუთაისთან იმთავითვე სრულ შესაბამისობაში მოვიდა, ყველასთვის ცნობილი და საყვარელი სიმღერებიდანაც გამოჩნდა - „საფიჩნიაზე ღვინოს დავლევ და თეთრი ხიდიდან გადავარდები”... შესაბამისად, გაჩნდა პირველი ნახტომიც... თეთრი ხიდიდან ხტებოდა „პიკასოს ბიჭიც”¹.

თეთრი ხიდი ძალიან მიესადაგა ქუთაისს. ეს მარტო ხიდი არ არის. მთელი ქალაქი აქ ერთობოდა. იყო სახურავიდან, ხიდიდან ხტომა რიონში, თუმცა დღესდღეობით ქალაქში ამით ნაკლებად ერთობიან, უფრო ძეტიც, უდიდესი ტრადიციების ხიდი მთლიანად დაზიანებულია და დიდი საფრთხის წინაშე დგას. მასზე აიკრძალა ტრანსპორტის სიარული. ხიდს არაერთხელ ჩაუტარდა რემონტი. გაიფლანგა თანხები. თუმცა დღეს მასზე ქვეითად მოსიარულები მაინც დადიან. ასეთია ჩვენი „თეთრი (ნიკოლაევსკი) ხიდი”.

დამოწმებანი:

1. რ. მორჩაძე. თეთრი ხიდი 150 წლისაა, გაზ. „იმერეთის მოამბე”, 5 აპრ. 2002 წელი.
2. ე. ფირცხალავა, ხიდებსაც აქვთ ისტორია, გაზ. „იმერეთის მოამბე”, 3 ოქტ., 1995 წელი.
3. ბ. ქუთათელი, გამოცდას აბარებს ... „თეთრი ხიდი”!, გაზ. „ქუთაისი”, 7 აპრ., 1987 წელი.

¹ იქვე

4. ლ. ფანცხავა, წიდები, ჩვენი დედა-წიდები, გაზ. „ქუთა-ისი”, 22 ოქტ., 1991 წელი.
5. ა. კარბელაშვილი, თანამეგობრობა: ქუთაისის და თბილი-სის პირველი რკინის წიდები, გაზ. „ქუთაისი”, 19 მაისი, 1983 წელი.
6. 6. ბალანჩივაძე, მდინარე რიონის მარცხენა სანაპირო ჯაჭ-ვის წიდიდან თეთრ წიდამდე, გაზ. „სტალინელი”, 25 სექტ., 1959 წელი.
7. გ. იმედაძე, პირველი წიდი რიონზე, გაზ. „ქუთაისი”, 16 სექტ., 1981 წელი.
8. გ. ირაკლიშვილი, პირველი წიდი რიონზე, გაზ. „ქუთაი-სი”, 9 თებ., 1974 წელი.
9. შ. ლომთაძე, თეთრი წიდი, გაზ. „ქუთაისი”, 14 ნოემბ., 1964 წელი.
10. თ. ზიბზიპაძე, ჩვენი „იმედის წიდი”, გაზ. „ახალი გაზე-თი”, 20-26 მარტი, 2006 წელი.
11. მ. ქურციკიძე, ოცნების წიდი, ჟურ. „ბაგრატის ტაძარი”, №2, 1994 წელი.
12. ვ. ჩაკვეტაძე, ქუთაისის ისტორიიდან, თბ., 1960.
13. დ. ჩხატარაიშვილი, „სიყვარული გზად და წიდად”, გაზ. „იმერეთის მოამბე”, 29 აგვ., 1995.

Vladimer Tsverava
Akaki Tsereteli State University
WHITE (NICKOLOZ) BRIDGE IN KUTAISI
RESUME

Most parts of the world cities are situated along the rivers. Lots of cities are often divided by the river. Bridges are not only the means of communication, they also make the view of the city, and so is our favourite town Kutaisi, which has bridges with poetic sounds. They are: "Chain Bridge", "White Bridge", "Red Bridge", "Oghaskura Bridge" and so on.

Bridges like a person have their own birth dates, their names and a specific individuality. As a living being, it's constantly working and it becomes old too. Like a person it is kind and it serves everyone devotedly.

Bridges as the one sign of human development have their history. The simplest wooden and stone bridges were built by human since the ancient time. The first stone bridge in the former Soviet Union was built in Georgia, Armenia and Central Asia. According to Straboni's information (I century), there were 120 bridges over the river Rioni. From the end of the 18th century using metal was begun in the construction of bridges. The first arch bridge was built in England in 1779. From the middle of the 19th century the construction of stainless steel bridges were begun. Englishmen were the first, who built the railway bridge "Britain".

The history of bridges construction in Kutaisi is interesting too. In 1851 in the "Caucasus Calendar", it's said about bridges in Kutaisi, that "The Rioni separated Kutaisi by mountainous and lowland parts, the new district is connected to the old one with a stone bridge, that was built by king Leon in 792 and like the town was destroyed not only once.

There is not only one significant building in the history of cultural buildings. The “white bridge” which is distinguished by its construction is among them. It’s 165 years old now.

In Kutaisi during the rule of the king of Russia, The construction of the new, large three-storey bridge was begun over the river Rioni in 1850 and completed in 1852. It was a wooden arched structure with the wooden railings too. the bridge, built by the military engineer Vite, was important for Kutaisi and it was named “Nicholaevsk Mast” in honour of King Nicholas. But because of painting in white it was called the “White Bridge”.

Unfortunately, the bridge was destroyed during the flood in 1859-1860 without victims.

As the archival materials show, Kutaisi leadership began to take care of the construction of the metal constructive bridge in the early seventies. The contract was signed with engineer Zezelman, who negotiated with French firms, and the metal structures of the bridge were arrived from there.

The bridge was opened in 1872. The newly restored bridge was painted in white and was called the “White Bridge”. As we noticed it was also called “Nicholaevsky bridge” in honour of Emperor Nickoloz I. After the establishment of the soviet power, the name of the “White Bridge” stayed and it is called so even today.

**დავით ჯავახიშვილი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**თამარ ბაგრატიონი-ორბელიანისა
(1747-1786)**

ბაგრატიონთა ათასწლოვანი სამეფო დინასტიის კახე-თისა და ქართლის შტოების დემოგრაფიული განვითარების ისტორიის საკითხებზე დაწერილი ნაშრომები გამოქვეყნებული გვაქვს როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნებში. აღნიშნული საკითხი მონოგრაფიულადაც გვაქვს შესწავლილი¹.

წინამდებარე გამოკვლევაში მოთხრობილია ბაგრატიონთა კახეთის შტოს წარმომადგენლის, მეფე ერეკლე II-ის ერთ-ერთი ასულის – თამარ ბაგრატიონის (1747-1786) ცხოვრების შესახებ, ასევე მისი მშობლების, მეუღლისა და შთამომავლობის თაობაზე.

* * *

ერეკლე II-ს (1720-1798) სამი ცოლი ჰყავდა. მისი პირველი მეუღლე იყო ქეთევან ზაალის ასული მხეიძე (იგივე ფხეიძე), მეორე – ანა ზაალის ასული აბაშიძე (1730-1749),

¹ დავით ჯავახიშვილი, ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის კახეთის შტოს დემოგრაფიული განვითარების ისტორიიდან, დისერტაცია ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად (ხელნაწერის უფლებით), 2011.

ხოლო მესამე – დარეჯან კაციას (გიორგი) ასული დადიანი (1734-1807)¹.

მეფე ერეკლე II-მ, რომელიც 24 წლის ასაკში დაქვრივდა, ერთწლიანი გლოვის შემდეგ, 1745 წელს, ქვიშხეთში იქორწინა ანა ზაალის ასულ აბაშიძეზე.

ვფიქრობთ, საყურადღებოა გავიხსენოთ, თუ რა ვითარებაში მოხდა ეს ქორწინება.

ერეკლე II-ის მეორედ დაქორწინებაში მთავარი როლი შეასრულა მისმა დეიდამ – ანა (ანუკა) ბატონიშვილმა, რომელიც ცოლად ჰყავდა ქვიშხეთში მცხოვრებ თავად ვახუშტი აბაშიძეს. აბაშიძეთა ეს შტო ქართლში იმერეთიდან გადასახლდა. ანა ბატონიშვილმა თავისი მაზლის ზაალ აბაშიძის ასული ცოლად შერთო დაქვრივებულ დისტულს, რომელიც იმუამად კახეთის მეფე იყო.

ამ ქორწინების შესახებ ისტორიკოსი პაპუნა ორბელიანი მოგვითხრობს: “მობძანდა კაზი ბატონი ერეკლე სურამს. გაგზავნეს კაცი იმერეთს და აბაშიძის ზაალის ქალი, შვენიერი და შემკული ყოვლითა ბრწყინვალებითა, გარდმოიყვანეს ქვიშხეთს, ანუკა ბატონიშვილი, ვითაც მეფის ერეკლეს დედიდა იყო და ამან მოინდომა და მიათხოვა მეუღლედ. წაბძანდნენ ორი მეფენი, სათნონი ღმრთისანი და საქებელნი კაცთანი, მიბძანდნენ ქვიშხეთს სახლსა ვახუშტი აბაშიძისა, ვითაც ვახუშტის აბაშიძის ძმისტული ქალი იყო და ქორწილი თითონ გარდაიხადა. დაიწერა ჯვარი მეფე ერეკლემა და იქმნა ასული აბაშიძისა დედოფალი ანნა. განისვენეს ორი დღე ლხინ-ნადიმბითა, ვითა ამას დღეს მეფობდა და მობძანდნენ ისევ სურამს, იყო სროლა მუდმისად ყუნბარათა და ზარბაზა-

¹ ბაგრატიონები, სამეცნიერო და კულტურული მემკვიდრეობა, ავტორთა კოლექტივის სამეცნიერო სტატიების კრებული გენეალოგიური ნუსხებითურთ, თბილისი, 2003, ნუსხა №6.

ნთა, რომ ყურთა ხმა აღარ იყვის... კახმა ბატონმა ერეკლემ წამოიყანა დედოფალი ანნა ქვიშხეთით, ჩამოიყვანეს ქალაქსა თბილისისასა, სახლსა მამისა თვისისა, ქართველთა მეფისასა. იყო მეორე ქორწილი და განცხრომა ფრიადი, ვითა იმ დღესა და სიხარულსა გაუწყობოდა”¹.

გერონტი ქიქოძე წერს: “სურამის მახლობლად სოფელ ქვიშხეთში ერეკლეს დეიდა ანუკა ბატონიშვილი ცხოვრობდა, რომელიც აბაშიძეზე იყო გათხოვილი. მან იმერეთიდან გადმოაყვანინა თავის მაზლის ზაალ აბაშიძის ქალიშვილი – ანა და ერეკლეს მიათხოვა. ქორწილი ქვიშხეთში გადაიხადეს”².

კახეთის დედოფალმა ანამ შვა სამი შვილი: უფლისწული გიორგი (1746-1800) – მომავალში – ქართლ-კახეთის მეფე გიორგი XII, ბატონიშვილი თამარი (1747-1786) და კიდევ ერთი შვილი, რომელიც ბავშვობაში გარდაიცვალა³.

1746 წლის ღვინობისთვის მეათე დღეს, ახალგაზრდა მეფე-დედოფალს შეეძინა პირველი შვილი – გიორგი, რასაც ზემინი მოჰყვა თბილისში, თეიმურაზ II-ის სამეფო კარზე.

მემატიანე მოგვითხრობს: “პაპამან მისმან თეიმურაზ, დღე შობისა მისისა, გარდაიხადა დღესასწაულობითა: აუწყა ეპისტოლებითა იმერეთის მეფესა და მთავართა; კახეთისა და ქართლისა თავადთა, კათოლიკოსთა და მღვდელმთავართა; მიანიჭა საჩუქარნი მრავალნი გლახაკთა, ობოლთა და ქვრივთა; მიეცა მრავალთა პყრობილთა მიტევება ბრალთა; მეუდაბნოეთა წარუგზავნეს ნუგეშინისცემითნი

¹ პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელენე ცაგარეიშვილმა, თბილისი, 1981, გვ. 93-95.

² ქიქოძე გერონტი, ერეკლე II, თბილისი, 1983, გვ. 53.

³ ბაგრატიონები, სამეცნიერო და კულტურული მემკვიდრეობა, ავტორთა კოლექტივის სამეცნიერო სტატიების კრებული გენეალოგიური ნუსხებითურთ, თბილისი, 2003, ნუსხა №6.

საძმოდ ბოძებანი; მეგობარი თვისი და მახლობელი საბა ნინოწმინდელი მოუწოდა თფილისად, რათა ექმნას მიმრქმელად წმინდისა ემბაზიდამ მეფისა ყრმასა გიორგის... ესრე-თნივე ეპისტოლენი და ძღვენი წარუკლინეს ოთხთა მართლ-მადიდებელთა პატრიარქთა, სინასა და ათონისა მთათა წინამ-ძღვართა. ენა ხალხისა განმხიარულებულისა შეიქმნა საწერე-ლი მწიგნობრისა ხელოვნისა. დროთა ჩვეულობისა გამო მო-ლექსნი უძღვნიდენ ლექსთა ქებითთა; მეცნიერნი სიტყვათა წყობითთა კატელორიისათამებთა ზედა აღშენებულთა სხოლა-სტიკოსთა წესითა; მქადაგებენი ქადაგებათა; მეუღაბნონი ლო-ცვათა; მემხოლოენი კურთხევითა ქარტათა”¹.

1747 წელს, მეფე ერეკლე II-ს და ანა დედოფლალს შე-ეძინათ მეორე შვილი — თამარ ბატონიშვილი (1747-1786), რომელიც სოფელ მარტყოფში დაიბადა.

პაპუნა ორბელიანი გვამცნობს: “კახეთისა დედოფლალი ანა მარტყოფს წაიყვანეს, იქ დაწვა, შვა ასული — შვენიე-რი თამარ”².

1748 წელს ნადირ შაპის ძმისწული ადილ-შაპი სპარ-სეთის სამეფო ტახტიდან ჩამოაგდეს. მისი ადგილი დაიკავა მისივე ძმამ იბრეიმმა, რომელიც ქართლისა და კახეთის მე-ფებთან, მამა-შვილთან — თემურაზ II-სთან და ერეკლე II-სთან კარგი ურთიერთობის დამყარებას შეეცადა. მან ძვირფა-სი საჩუქრები გამოუგზავნა ქართლ-კახეთის მეფებს და სა-მეფოს წამყვან სახელმწიფო და სასულიერო მოღვაწეებს,

¹ პლატონ იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, აკაკი გაწე-რელიას შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით, ტფილისი, 1936, გვ. 3-4.

² პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შე-სავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელენე ცაგარეიშვილმა, თბილისი, 1981, გვ. 136.

ასევე დედოფლებს – ანა-ხანუმ ბარათაშვილს (თეიმურაზ II-ის მეუღლეს) და ანა აბაშიძეს (ერეკლე II-ს მეუღლეს).

მემატიანე მოგვითხრობს: “ქართლის დედოფალსა ანა-ხანუმს და კახეთის დედოფალს ანას ორ-ორი წელი ზალათი და ასი თუმნის ჯამაგირის რაყამი მოუვიდათ”¹.

1749 წლის ქრისტეშობისთვის მეშვიდე დღეს, თბილი-სში გარდაიცვალა ანა დედოფალი, რომელიც იმხანად სრულიად ახალგაზრდა, სულ 19 წლისა იყო.

პაპუნა ორბელიანის ცნობით, “დედოფალი კახეთისა ანა დამარცხდა ქალაქს, დეკემბერს ზ., ქორონიკონს ულზ, მიიღეს მცხეთას, იქნა გლოვა, მწუხარება ფრიადი”².

კახეთის დედოფალი სათანადო პატივით დაკრძალეს მცხეთაში, სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში, სადაც განისვენებს ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის ქართლისა და კახეთის შტოების არაერთი წარმომადგენელი და ზოგიერთი მათგანის მეუღლეც.

უდროოდ გარდაცვლილი დედოფლის საფლავზე ამოტვიფრული იყო შემდეგი წარწერა: “ანნა, აბაშიძის ასული, ხოლო სძალი ქართველთა მეფისა, ცხებულის თეიმურაზისა და სატროო ფერცხალი ირაკლი კახთა მეფისა”³.

¹ პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელენე ცაგარეიშვილმა, თბილისი, 1981, გვ. 153.

² პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელენე ცაგარეიშვილმა, თბილისი, 1981, გვ. 164.

³ ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიის ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თედო ჟორდანიას მიერ, წიგნი III, გამოსაცემად მომზადეს გივი ჟორდანიაშ და შოთა ზანთაძეშ, თბილისი, 1967, გვ. 208.

მეორედ დაქვრივებული ერეკლე II-ის მესამე და უკანასკნელი თანამეცხედრე გახდა სამეგრელოს მთავრის ნათესავი – დარეჯან დადიანი (1734-1807), რომელზეც მეფემ 1750 წელს იქორწინა.

ნიკო დადიანი შენიშნავს, რომ მეფე ერეკლემ “მოიყვანა მეუღლედ დადიანისა კაციას ბიძაშვილი დარეჯან”¹. ამ საისტორიო წყაროში იგულისხმება დარეჯანის მამის, კაცია (იგივე გიორგი) ბეჟნის ძე დადიანის, მმისწული – კაცია ოტიას ძე დადიანი, იგივე კაცია II, რომელიც სამეგრელოში 1757-1788 წლებში მთავრობდა².

გ. ქიქოძის აზრით, “ერეკლე ბედნიერი არ იყო პირადად და ოჯახურ ცხოვრებაში. თავისი მეორე ცოლის ანა აბაშიძის სიკვდილის შემდეგ, მან შეირთო მესამე ცოლი – დადიანის ასული დარეჯანი, გონებაშეზღუდული და პატივმოყვარე ქალი, რომელიც სახელმწიფო საქმეებში არ ერეოდა სანამ ახალგაზრდა იყო, მაგრამ სასახლეში ინტრიგები გააბასიბერებში, როცა მისი, აგრეთვე პატივმოყვარე და ურჩი ვაჟები წამოიზარდნენ”³.

1762 წელს, ბატონიშვილი თამარ ერეკლეს ასული 15 წლის ასაკში გაათხოვეს 23 წლის დავით ორბელიანზე

¹ დადიანი ნიკო, ქართველთ ცხოვრება, ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, კომენტარები, საბიუბლები და ლექსიკონი დაურთო შოთა ბურჯანაძემ, თბილისი, 1962, გვ. 138.

² С. Думин, П. Гребельский, Дворянские роды Российской империи, т. IV, Князья Царства Грузинского, под редакцией С. Думина и Ю. Чиковани, Москва, 1998, стр. 52-54.

³ ქიქოძე გერონტი, ერეკლე II, თბილისი, 1983, გვ. 76.

(1739-1796), იგივე ყაფლანიშვილზე, რომელიც იყო ვაჟი ქართლის წარჩინებული თავადისა რევაზ ორბელიანისა¹.

აქვე დავსძენთ, რომ ერეკლე II-ის მძახალი – რევაზ ორბელიანი იყო სახლთუხუცესი და საბარათიანოს სარდალი. 1742 წლის მარტში, როდესაც ქართლის სამეფო ტახტის პრეტენდენტი, გამაპმადიანებული ბაგრატიონი – აბდულა-ბეგ (იგივე არჩილ) იქსეს ძე (საისტორიო წყაროებში ჩანს 1716-1762 წლებში) დიდი ლაშქრით გაემართა ჭარ-ბელაქნის და-სარბევად, მას თან ახლდა რევაზ ორბელიანი თავისი რაზ-მით. 1748 წელს, როდესაც აბდულა-ბეგმა ხელთ იგდო სო-მხით-საბარათიანო და საკუთარი თავი ქართლის მეფედ გა-მოაცხადა, რევაზ ორბელიანმა მხარი დაუჭირა ქრისტიან გვირგვინოსნებს, მამა-შვილს – თეიმურაზ II-ს და ერეკლე II-ს, რომელებმაც პრეტენდენტი დაამარცხეს².

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შემთხვევითი არ არის, რომ ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-მ თავისი ერთ-ერთი ასულის მეუღლედ შეარჩია ერთგულობით გამორჩეული თავა-დის ვაჟი.

თანამედროვეთა შეფასებით, თავად ორბელიანთა რძალი – თამარ ბატონიშვილი იყო: “ზრდილი, ქველი, ბრძენი და მოოჭვილი ყოვლითა სათნოებითა”³.

¹ მაქსიმე ბერძნიშვილი, მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევ-რის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, ტ. I, თბილისი, 1980, გვ. 132.

² საქართველოს ისტორიის ქრონიკები XVII-XIX სს., ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები და განმარტებები და-ურთო ავთანდილ ოსელიანმა, თბილისი, 1980, გვ. 76-89.

³ საქართველოს ისტორიის ქრონიკები XVII-XIX სს., ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები და განმარტებები და-ურთო ავთანდილ ოსელიანმა, თბილისი, 1980, გვ. 157.

დავით ორბელიანმა და თამარ ბატონიშვილმა შესანიშნავი ოჯახი შექმნეს. მათ შეეძინათ რვა შვილი, ორი ვაჟი და ექვსი ასული:

- 1) **იოანე** (მომავალში – სარდალი);
- 2) **მარიამი** (მომავალში – მეუღლე თავად როსტომ დავითის ძე ერისთავისა);
- 3) **ანა** (მომავალში – მეუღლე თავად აბელ თამაზის ძე ანდრონიკაშვილისა);
- 4) **ბარბარე** (მომავალში – მეუღლე თავად ივანე რამაზის ძე ანდრონიკაშვილისა);
- 5) **თინათინ** (მომავალში – მეუღლე თავად სოლომონ ზაალის ძე თარხან-მოურავისა);
- 6) **ეკატერინე** (მომავალში – მეუღლე თავად გიორგი ქათოსროს ძე ამილახვრისა);
- 7) **ქეთევანი** (მომავალში – მეუღლე თავად თეიმურაზ გიორგის ძე ციციშვილისა);
- 8) **ყაფლანი** (დაუოჯახებელი გარდაიცვალა 1796 წელს)¹.

1769 წელს გარდაიცვალა საბარათიანოს სარდალი რევაზ ორბელიანი – მძახალი მეფე ერეკლე II-ისა და მამამთილი ბატონიშვილ თამარ ერეკლეს ასულისა.

1784 წლის 22 სექტემბერს, მეფე ერეკლე II-მ საბარათიანოს სარდლობა უბობა თავის სიძეს – დავით ორბელიანს², რომელიც იმზანდ 45 წლისა იყო. მას თავისმა გვირგ-

¹ მაქსიმე ბერძნიშვილი, მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, ტ. II, თბილისი, 1983, გვ. 30.

² საქართველოს ისტორიის ქრონიკები XVII-XIX სს., ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები და განმარტებები დაურთო ავთანდილ იოსელიანმა, თბილისი, 1980, გვ. 157.

ვინოსანმა სიმამრმა ასევე უბოძა უბოძა სახლთუხუცესობა, რაც ფრიად საპატიო თანამდებობა გახლდათ. დავითი ლიტერატურულ მოღვაწეობასაც ეწეოდა. მან სპარსულიდან თარგმნა “ყარამანიანი”¹.

1786 წელს ქართლ-კახეთის სამეფოში მომხდარ მოვლენას ფრიად სავალალო შედეგი მოჰყვა. დედოფალ დარეჯან დადიანის ჩაგონებით, ერეკლე II-მ, სახლთუხუცესობა ჩამოართვა თავის სიძეს – დავით რევაზის ორბელიანს და ეს თანამდებობა უბოძა დარეჯანთან შეძენილი ასულის ქეთევან ბატონიშვილის მეუღლეს – იოანე კონსტანტინეს ძე მუხრანბატონს (1757-1800) – ბაგრატიონთა ქართლის (მუხრანის) შტოს წარმომადგენელს.

ზემოთ აღნიშნული ფაქტი იქცა სარდალ დავით ორბელიანის მეუღლის – თამარ ბატონიშვილის ნაადრევი გარდაცვალების მიზეზად.

მემატიანე გვამცნობს: “შთაგონებითა დედოფლისა და ძეთა მისთა, მეფეცა ირაკლი მიიყვანეს მას მდგომარეობასა, რომელ სიძესა მისსა სარდალსა და სახლთუხუცესსა დავით ყაფლანიშვილსა, თამარის მეუღლეს, მოუღლო მეფემან სახლთუხუცესობა და მიუბოძა ესე სიძესა თვისსა მუხრანის-ბატონს იოანეს. ესრეთმან მეფის მოქცევამან მოსწყლო გული მეფის ასულის თამარისა, რომელიცა მწუხარებისა ელდითა გარდაიცვალა”².

¹ დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია, გამოსცა თამარ ლომოურმა, თბილისი, 1941, გვ. 176.

² პლატონ იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, აკაკი გაწერელიას შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით, ტფილისი, 1936, გვ. 14.

1786 წლის მარიამობისთვის მეოთხე დღეს 8 შვილის დედა – თამარ ბატონიშვილი 39 წლის ასაკში გარდაიცვალა. იგი სიონის საკათედრო ტაძარში დაკრძალეს¹.

ასე ტრაგიკულად დასრულდა სიცოცხლე ახალგაზრდა თამარ ბატონიშვილისა. აქვე დავსძენთ, რომ არანაკლებ ტრაგიკულად დაამთავრა სიცოცხლე ხსენებული ბატონიშვილის ნაადრევი გარდაცვალების მიზეზად ქცეულმა იოანე მუხრან-ბატონმაც.

სახლთუხუცესად აღზევებულ იოანე მუხრანბატონს დიდი ნდობით ეკიდებოდა თავისი გვირგვინონსანი სიმამრი ერეკლე II. მეფის ნდობით აღჭურვილმა მისმა სიძემ იოანე მუხრანბატონმა, გარსევან ჭავჭავაძესთან ერთად, 1783 წლის 24 ივლისს, გეორგიევსკში ხელი მოაწერა ტრაქტატს, რომლის ძალითაც ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის მფარველობაში შევიდა².

XVIII საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს, როდე-საც თბილისში ჩამოსულმა იმერეთის თავადაზნაურობის წარმომადგენლებმა მოითხოვეს ამ სამეფოს შეერთება ქართლ-კახეთან, ამ საკითხზე ერეკლე II-მ სამეფო კარზე საგანგებო თათბირი გამართა.

თათბირზე, რომლის მიმდინარეობის შესახებაც მოთხოვდილია პლატონ იოსელიანის თხზულებაში, იოანე მუხრანბატონს დაუკავებდა თავისი სიდედრის, დარეჯან დედოფლის, სასარგებლო პოზიცია (რომელიც შეერთების წინააღმდეგი

¹ მაქსიმე ბერძნიშვილი, მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიბის ისტორიისათვის, ტ. II, თბილისი, 1983, გვ. 30.

² გეორგიევსკის ტრაქტატი, 1783 წლის ხელშეკრულება რუსეთის მფარგელობაში აღმოსავლეთ საქართველოს შესვლის შესახებ, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და შენიშვნები დაურთო გიორგი ჭავჭავაძემ, თბილისი, 1983, გვ. 41.

იყო) და უთქვამს: “დაკავშირება იმერეთისა დიახ, ძნელია. ჩვენ, ქართველთა ვერ მოგვივლია ჩვენთვის, ვითარ მოვუაროთ იმერეთსა?”. ამასთან დაკავშირებით, გარდაცვლილი თამარ ბატონიშვილის დაქვრივებულ მეუღლეს, სარდალ დავით ორბეგლიანს, რომელსაც თავის ქვისლთან – იოანე მუხრანბატონთან პირადი შეუღლიც გააჩნდა, ასე განუცხადებია: “მართლად აღიარებს მუხრანბატონი, რომ ვერ მოუვლის იგი დღეს ქვეყანას თავისის ხმლითა და ბაირალითა. მოვა დრო და მოგვცემს ღმერთი სხვასა მუხრანისბატონსა, რომლის ხრმალი უფრო მჭრელი იქმნება”¹.

ერეკლე II-ის გარდაცვალებისა და ქართლ-კახეთის სამეფო ტახტზე გიორგი XII-ის ასვლის (1798 წ.) შემდეგ, მის სიძეს იოანე მუხრანბატონს ეშინოდა, რომ ახალი მეფე მას დასჯიდა, სახლთუხუცესობას ჩამოართმევდა და კვლავ ორბელიანთა გვარის წარმომადგენელს უბოძებდა. ამიტომ, იოანე ყველანაირად ერიდებოლა ქართლ-კახეთის მეფესთან პირისპირ შეხვედრას. აქვე უნდა ითქვას, რომ თუმც გიორგი XII არ ამჟღავნებდა კეთილგანწყობას იოანე მუხრანბატონის მიმართ, მას აღნიშნული თანამდებობა მაინც არ ჩამოართვა.

1800 წლის 1 ოქტომბერს, მცხეთობა-სვეტიცხოვლიბის დღესასწაულზე, როდესაც დაღესტნელთა მარბიელი ლაშქრის განდევნის შემდეგ, იოანე მუხრანბატონი სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში მივიდა, მან შეიტყო, რომ იქ სალოცავად იმყოფებოლა ქართლ-კახეთის მეფე – გიორგი XII. ეკლესიის ეზოში შესვლამდე, იოანე, სრულიად მოუღლოდნელად, ცხენიდან გადმოვარდა და სისხლის ჩაქცევით გარდაიცვალა.

¹ პლატონ იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, აკაკი გაწერელიას შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით, ტფილისი, 1936, გვ. 16.

ზოგი თვლიდა, რომ იოანეს სიკვდილი გამოიწვია დაღესტნელ მოთარეშეთა დევნით გადაღლამ, ხოლო ზოგი მიიჩნევდა, რომ მუხრანბატონმა ძალიან განიცადა მეფესთან პირისპირ შეხვედრის შესაძლებლობა, რაც მისი ტაძარში შესვლის შემთხვევაში გარდაუგალი გახდებოდა¹.

ასე, რომ ერეკლე II-ის მიერ თავისი ერთი სიძისათვის სახლთუხუცესობის თანამდებობის ჩამორთმევა და მეორე სიძისათვის ბოძება გახდა მიზეზი ჯერ მეფის ასულ თამარის, ხოლო შემდეგ მისი ნახევარდის – ქეთევანის მეუღლის მოულოდნელი გარდაცვალებისა.

მთებედაც იმისა, რომ თამარ ბატონიშვილის მეუღლე – დავით ორბელიანი 47 წლის ასაკში დაქვრივდა, ის მეორედ აღარ დაოჯახებულა. 1796 წელს იგი 57 წლის ასაკში გარდაიცვალა².

დავით ორბელიანი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. მემატიანის ცნობით: “ნეტარებით მოიხსენებდნენ... სარდალსა დავითს, მხნესა და გულოვანსა, ნამდვილ დიდკაცსა და მეფე-თათანა შელადებულსა”³.

თამარ ბატონიშვილისა და დავით ორბელიანის უფროსი ვაჟი – იოანე დავითის ძე ორბელიანი, – მამამისივით სარდალი იყო, თუმცა, არა მასავით ღირსეული პიროვნება. ამის გამო, მას ეჭვის თვალით უმშერლენენ მისი უახლოესი ნათესავები,

¹ მაქსიმე ბერძნიშვილი, მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, ტ. II, თბილისი, 1983, გვ. 113-114.

² მაქსიმე ბერძნიშვილი, მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, ტ. I, თბილისი, 1980, გვ. 132.

³ პლატონ იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, აკაკი გაწერელიას შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით, ტფილისი, 1936, გვ. 171.

ბიძამისი – ქართლ-კახეთის მეფე გიორგი XII და სამეფო ტახტის მემკვიდრე უფლისწული დავითი (1767-1819), რაც სარდალმა იოანეზ კარგად იცოდა.

1800 წლის 26 დეკემბერს, გიორგი XII-ის გარდაცვალებამდე ორი დღით ადრე, იოანემ სახლში მიიწვია 40-მდე თავადი და აზნაური და მათთან გამართულ თაობირზე განაცხადა: “ბატონებო! მნელსა მდგომარეობაში არის დღეს ქვეყნა ჩვენი. ბატონი მეფე უკურნებელითა სენითა მწოლარე, დღეს ანუ ხვალ მიგვეცვალების. მემკვიდრე მისი დავით გვექადის მეცა და მუხრანისბატონსა შეურაცხებით განდევნასა ჩვენისა ღირსებისაგან. “მე მყვანან ნამდვილნი სარდალნი”, – არაერთხელ ბრძანა დავითმან საეროდ და გასაგონად... მგონია, დამშვიდებისათვის ქვენისა და ჩვენის საკუთარის პატივისა დასაცველად, ვისურვოთ, – დაშთეს რუსეთისა მეფობა: ნურ-ლა გვინდა მეფედ დავითი”¹.

საგულისხმოა, რომ ცოტა წნის შემდეგ, სხვათაგან წაქეზებული იოანე ორბელიანი ეახლა უფლისწულ დავით გიორგის ძეს და განუცხადა: “ნუ ჰკარგავ მეფობას, მიბრძანე და გამოვუცხადებ რუსისა ჯარსა წარვიდეს რუსეთად და თუ არა იქმს რუსისა ღენერალი, ადვილია მისი აქედამ განდევნა. დავიცვათ მეფობა და განვამტკიცოთ მეფობითი სახელი ჩვენი. როგორც გვიმეფნია, ისევე ვიძევოთ”².

უფლისწულმა დავითმა, რომელიც, როგორც ჩანს, დააეჭვა თავისი მამიდაშვილის – სარდალ იოანე ორბელიანის

¹ პლატონ იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, აკაკი გაწერელიას შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით, ტფილისი, 1936, გვ. 210.

² პლატონ იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, აკაკი გაწერელიას შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით, ტფილისი, 1936, გვ. 223-224.

გულწრფელობამ, ამ უკანასკნელის წინადადების შესახებ აცნობა ქართლ-კახეთის სამეფო კარზე მოვლინებულ რუსეთის იმპერატორის წარმომადგენელს პეტრე კოვალენსკის (მომავალში – საქართველოს მმართველს) და რუსთა ჯარის სარდალს გენერალ ივან ლაზარევს. მათ იოანე ორბელიანი ახსნა-განმარტებისათვის დაიბარეს.

სარდალ იოანეს უთქვმს: “მე მოვახსენე დავითს ჩემი რჩევა დასაცველად მეფობისა, ნიშნად ერთგულობისა, ვითარცა ფიცითა შეკრული მეფეთათვის ქართველთა. რადგანაც არა სურს მას დავითს მეფობა, როდესაც მივცემ ფიცსა რუსეთისა იმპერატორსა, ვექმნები ერთგული და მოვკვდები მის-თვის ერთგულებაში”¹.

რუსეთის იმპერიის მოხელეებს მოეწონათ იოანე ორბელიანის ასეთი პასუხი და იგი დაუსჯელად გაუშვეს².

როგორც მემატიანე მოგვითხრობს, ზემოთქმული ინციდენტის შემდეგ, იოანე ორბელიანი “უკუ-უდგა მემკვიდრესა დავითს. არღა გაერია არა რასამე საქმეში, არცა შევიდა შეთქმულობაში”³.

საქართველოში დამყარებული რუსული ხელისუფლების მიმართ იოანე ორბელიანი ერთგულებას იჩენდა. ამის საჩვენებლად, მან, რუსეთის მომხრე თავადებთან ერთად გაიპარსა წვერი და ნაპარსით სავსე ტომრები მტკგრძი გადააყრევინა. იოა-

¹ პლატონ იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, აკაკი გაწერელიას შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით, ტფილისი, 1936, გვ. 224.

² მიხეილ გონიკიშვილი, ბაგრატიონთა დასახლება და მოღვაწეობა რუსეთში, თბილისი, 1986, გვ. 206-207.

³ პლატონ იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, აკაკი გაწერელიას შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით, ტფილისი, 1936, გვ. 224.

ნებე დიდ ზეგავლენას ახდენდა მისი სიძე – მეითარი სოლომონ თარხან-მოურავი, იგივე თარხნიშვილი¹.

1804-1813 წლების რუსეთ-სპარსეთის ომში იოანე ორბელიანიც მონაწილეობდა. 1805 წელს, ერევანთან, იოანე, თავის სამ ბიძაშვილთან ერთად, ტყველ ჩაუგარდა სპარსელებს, რომლებმაც ისინი თავიანთ მბრძანებელს, ყაჯართა დინასტიის წარმომადგენელს – ფათალი-შაჰს (იგივე ბაბა-ხანს) მიჰკვარეს. შაჰის ბრძანებით, ტყველები თავრიზსა და თეირანში გაგზავნეს. მოგვიანებით, სპარსთა ტყველიდან გამოხსნილი იოანე ორბელიანი საშობლოში დაბრუნდა. 1812 წელს, საქართველოს მთავარმართებელმა მარკიზმა ფილიპ პაულუჩიმ იოანე ორბელიანი სიღნაღის სამსაჯულოს თავმჯდომარედ დანიშნა².

აქვე მოკლედ მოგითხრობთ თამარ ბატონიშვილის სიძეების შესახებაც, რომელებიც იყვნენ ქართლ-კახეთის წარჩინებული თავადები, ხოლო ზოგიერთი მათგანი – ცნობილი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწეები.

თამარ ბატონიშვილის ქალიშვილის – თინათინ დავითის ასულ ორბელიანის მეუღლე – სოლომონ თარხან-მოურავი იყო ვაჟი ყორ-იასაულბაშ ზაალ თარხან-მოურავისა და ქმა მინბაშ დავით თარხან-მოურავისა. სოლომონი გახლდათ მეითარი და მოურავი შამშადილოსი, იგივე შამშადლუსი, რომელიც ამჟამად აზერბაიჯანში მდებარეობს. იგი ითვლებოდა ქართლ-კახეთის გამგებელ დავით ბატონიშვილთან დაახლოებულ პირად.

¹ მაქსიმე ბერძნიშვილი, მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, ტ. II, თბილისი, 1983, გვ. 151.

² ბავრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, გამოსცა თამარ ლომურმა, თბილისი, 1941, გვ. 90-197.

საქართველოს მთავარმართებელმა, გენერალმა პავლე ციციანოვმა (1754-1806) სოლომონ თარხან-მოურავს მექრთა-მეობა დასწამა და შამშადილოს მოურავობიდან გადააყენა. ციციანოვის გამგებლობის პერიოდში (1802-1806 წწ.), სო-ლომონმა, სხვა ქართველ თავადებთან ერთად, ხელი მოაწერა პეტიციას არსებული მმართველობის შეცვლის მოთხოვნით.

სოლომონ თარხან-მოურავი ლიტერატურულ-მთარგმნე-ლობით მოღვაწეობასაც ეწეოდა. მან და თავადმა სვიმონ ალექსანდრეს ძე მაყაშვილმა სპარსულიდან თარგმნეს “მოთხ-რობა საბყრან ამარამზასა და ბაბა ამარისა”¹, რომლის ხელ-ნაწერიც დაცულია კორნელი კეკელიძის სახელობის საქართ-ველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში².

თამარ ბატონიშვილის ქალიშვილის – ანა დავითის ას-ულ ორბელიანის (დაბ. 1773 წელს) მეუღლე – მინბაში (ათასისთავი) აბელ ანდრონიკაშვილი (1764-1835) იყო ძე ქიზიყის მოურავისა, ეშიკალასბაშ თამაზ ანდრონიკაშვილისა.

თავდაპირველად, აბელ ანდრონიკაშვილი რუსეთის იმ-პერიის ერთგულებას იჩენდა. იგი ლუარსაბ ორბელიანთან ერთად, თავისი ნებით წავიდა მძევლად ხუნძეთის (ავარიის) მმართველ აჭმედ-ზანთან, რითაც რუსთა ჯარს სისხლისღვრა ააცილა. ამის გამო, მადლიერმა მთავარმმართებელმა, გენე-რალ-ფელიდმარშალმა ივან გუდოვიჩმა (1741-1820), რომელიც ამ თანამდებობაზე 1806-1809 წლებში მოღვაწეობდა, აბელს კაპიტონია მიაღებინა. მონაწილეობდა 1812 წლის სახალხო აჯანყებაში, რის გამოც, რუსეთის საიმპერიო ხელისუფლებამ

¹ მაქსიმე ბერძნიშვილი, მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევ-რის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, ტ. I, თბილისი, 1980, გვ. 34-35.

² კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ხელნაწერი S-950.

იგი დააპატიმრა და ტობოლსკში გადაასახლა. მას ბრალად დასდეს სპარსეთში გადახვეწილ ალექსანდრე ბატონიშვილთან შეხვედრა. გადასახლებიდან სამშობლოში დაბრუნებულს ბრალად დასდეს, რომ მონაწილეობდა 1832 წელს გამუღაგნებულ შეთქმულებაში თუმცა ეს ბრალეულობა მას არ დაუმტკიცდა¹.

აბელ ანდრონიკაშვილს და ანა ორბელიანს შეეძინათ ექვსი შვილი – თამარ, თამაზ, გიორგი, ნინა, ზაქარია და ქეთევან ანდრონიკაშვილები².

თამარ ბატონიშვილის ქალიშვილის – ბარბარე დავითის ასულ ორბელიანის მეუღლე – ივანე (ნინა) ანდრონიკაშვილი იყო ვაჟი მდივანბეგ რამაზ ანდრონიკაშვილისა, რომელიც საისტორიო წყაროებში 1760-1773 წლებში იხსენიება³.

თამარ ბატონიშვილის ქალიშვილის – ეკატერინე დავითის ასულ ორბელიანის (1782-1813) მეუღლე – გიორგი ქათოსროს ძე ამილახვარი (1775-1815) იყო პოდპოლკოვნიკი და გორის მაზრის თავადაზნაურობის წინამდღოლი. მათ შეეძინათ ხუთი შვილი – იესე, მარიამ, თინათინ, ელისაბედ და სოფიო ამილახვრები⁴.

¹ მაქსიმე ბერძნიშვილი, მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, ტ. I, თბილისი, 1980, გვ. 135-136.

² С. Думин, П. Гребельский, Дворянские роды Российской империи, т. IV, Князья Царства Грузинского, под редакцией С. Думина и Ю. Чиковани, Москва, 1998, стр. 119.

³ С. Думин, П. Гребельский, Дворянские роды Российской империи, т. IV, Князья Царства Грузинского, под редакцией С. Думина и Ю. Чиковани, Москва, 1998, стр. 125.

⁴ С. Думин, П. Гребельский, Дворянские роды Российской империи, т. IV, Князья Царства Грузинского, под редакцией С. Думина и Ю. Чиковани, Москва, 1998, стр. 108.

თამარ ბატონიშვილის ქალიშვილის – მარიამ დავითის ასულ ორბელიანის (1782-1813) მეუღლე – როსტომ დავითის ძე ქსნის ერისთავი (1762-1808) იყო ვაჟი სახლთუხუცეს დავით იესეს ძე ქსნის ერისთავისა (გარდაიცვალა 1774 წელს) და შვილიშვილი შულარალას იესე დავითის (დათუნას) ძე ქსნის ერისთავისა (გარდაიცვალა 1745 წელს).

როსტომ ქსნის ერისთავს და მარიამ ორბელიანს შეეძინათ ოთხი შვილი – დავით, შალვა, იესე და თინათინ ქსნის ერისთავები¹.

თამარ ბატონიშვილის ქალიშვილის – ქეთევან დავითის ასულ ორბელიანის მეუღლე – თეიმურაზ გიორგის ძე ციციშვილი იყო ვაჟი სარდალ გიორგი ვახტანგის ძე ციციშვილისა (გარდაიცვალა 1806 წელს), რომელსაც მეტსახელად – “ზათა გოგიას” ეძახდნენ. თეიმურაზის და – მარიამი ცოლად ჰყავდა მეუე გიორგი XII-ს (მეორე ქორწინებით).

თეიმურაზ ციციშვილს და ქეთევან ორბელიანს შეეძინათ სამი შვილი – ნიკოლოზი, დიმიტრი და ანასტასია ციციშვილები².

ამრიგად, ერეკლე II-ის ასული – ბატონიშვილი თამარ ბაგრატიონი (1747-1786) იყო მეფის მეორე ქორწინებიდან (ანა აბაშიძესთან) შეძენილი შვილი, და – მომავალი მეფის გიორგი XII-ისა. თამარი 15 წლის ასაკში გაათხოვეს 23 წლის დავით ორბელიანზე (1739-1796), რომელიც იყო ვაჟი წარჩინებული თავადისა, საბარათიანოს სარდალ რევაზ ორბე-

¹ С. Думин, П. Гребельский, Дворянские роды Российской империи, т. IV, Князья Царства Грузинского, под редакцией С. Думина и Ю. Чиковани, Москва, 1998, стр. 269.

² მაქსიმე ბერძნიშვილი, მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, ტ. II, თბილისი, 1983, გვ. 231.

ლიანისა. მათ შეეძინათ 8 შვილი, ორი ვაჟი და ექვსი ასული, რომელთაგანაც უფროსი ძე – იოანე ორბელიანი ასევე სარდალი იყო. თამარის ასულები ცოლად გაჰყვნენ წარჩინებულ თავადებს, რომელთა ნაწილიც ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე იყო.

დამოწმებანი:

1. დავით ჯავახიშვილი, ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის კახეთის შტოს დემოგრაფიული განვითარების ისტორიიდან, დისერტაცია ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად (ხელნაწერის უფლებით), 2011.
2. ბაგრატიონები, სამეცნიერო და კულტურული მემკვიდრეობა, ავტორთა კოლექტივის სამეცნიერო სტატიების კრებული გენეალოგიური ნუსხებითურთ, თბილისი, 2003.
3. პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, ტექსტი დააღინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელექტრონულად (ერთობლივი შეკვეთის მიზანით), 1981.
4. ქიქოძე გერონტი, ერეკლე II, თბილისი, 1983.
5. პლატონ იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, აკაკი გარერელიას შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით, ტფილისი, 1936.
6. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიის ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თედო უორდანიას მიერ, წიგნი III, გამოსაცემად მოამზადეს გივი უორდანიამ და შოთა ხანთაძემ, თბილისი, 1967.
7. დადიანი ნიკო, ქართველთ ცხოვრება, ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, კომენტარები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო შოთა ბურჯანაძემ, თბილისი, 1962.

8. С. Думин, П. Гребельский, Дворянские роды Российской империи, т. IV, Князья Царства Грузинского, под редакцией С. Думина и Ю. Чиковани, Москва, 1998.
9. მაქსიმე ბერძნიშვილი, მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, ტ. I, თბილისი, 1980.
10. საქართველოს ისტორიის ქრონიკები XVII-XIX სს., ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები და განმარტებები დაურთო ავთანდილ იოსელიანმა, თბილისი, 1980.
11. მაქსიმე ბერძნიშვილი, მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, ტ. II, თბილისი, 1983.
12. დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია, გამოსცა თამარ ლომოურმა, თბილისი, 1941.
13. გეორგიევსკის ტრაქტატი, 1783 წლის ხელშეკრულება რუსეთის მფარველობაში აღმოსავლეთ საქართველოს შესვლის შესახებ, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და შენიშვნები დაურთო გიორგი პაიჭაძემ, თბილისი, 1983.
14. მიხეილ გონიკიშვილი, ბაგრატიონთა დასახლება და მოღვაწეობა რუსეთში, თბილისი, 1986.
15. ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, გამოსცა თამარ ლომოურმა, თბილისი, 1941.
16. კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ხელნაწერი S-950.

David Javakhishvili

Iakob Gogebashvili Telavi State University

THE PRINCESS TAMAR BAGRATIONI-ORBELIANI

(1747-1786)

RESUME

The presented essay is about the representative of the Kakhetian branch of Bagrationi's royal dynasty – the princess Tamar Bagrationi (1747-1786), her parents, husband and descendants.

Princess Tamar Bagrationi was the daughter of the king Erekle II (1720-1798; in 1744-1762 – king of Kakheti, in 1762-1798 – king of united Kartalino-Kakheti) from his second marriage with the princess Ana Abashidze (1730-1749), the daughter of prince Zaal Abashidze.

Princess Tamar Bagrationi was the wife of prince David Orbeliani (1739-1796). They had 8 children.

**ნიკო ჯავახიშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

იმერთა და კახთა მეფე არჩილის რიგითობის დადგენისათვის

ბაგრატიონთა ათასწლოვანი სამეფო დინასტიის წარმომადგენელ სახელოვან მონარქთა შორის ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უკავია მეფე არჩილ ვახტანგის ძე ბაგრატიონს (1647-1713), რომელსაც გასულ წელს დაბადებიდან 370 წელი შეუსრულდა.

წინამდებარე გამოკვლევაში, ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად არის დასმული საკითხი მეფე-პოეტ არჩილის რიგითი ნომრის დასადგენად. აქვე მოკლედ არის მოთხოვობილი მისი მშობლების, და-მმის შესახებ და ასევე წარმოდგენილია ჩვენი ვარაუდი იმის თაობაზეც, თუ რატომ მეფობდა ბაგრატიონთა ქართლის შტოს წარმომადგენელი უფლისწული და სამეფო ტახტის ლეგიტიმური მემკვიდრე არა ქართლში, არამედ დანარჩენ ქართულ სამეფოებში – იმერეთსა და კახეთში. ნაშრომი სამი ქვეთავისაგან შედგება.

I. მეფე არჩილის მშობლები და და-მმა

ქართველ მწიგნობარ ხელმწიფეთა ბრწყინვალე კოპორტის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი – არჩილი იყო უფროსი ვაჟი და მემკვიდრე ქართლის გვირგვინოსან ვახტანგ V-ისა, იგივე შაჰნავაზ I-ისა, რომელიც 1658-1676

წლებში მეფობდა და დედოფალ როდამისა, რომელიც გახლ-დათ ასული თავად ყაფლან ბარათაშვილისა.

მომავალი მეფე-პოეტი დაიბადა 1647 წელს. 11 წლამდე იგი იზრდებოდა მუხრანში, თავის მამაპაპისეულ მამულში, ხოლო მამამისის ქართლში გამეფების (1658 წ.) შემდეგ – თბილისში, სამეფო კარზე.

უფლისწულ ვახუშტი ვახტანგის ძე ბაგრატიონის (1696-1756) თხზულებაში “აღწერა სამეფოსა საქართველო-სა” აღნიშნულია, რომ არჩილი იყო “ახოვნებითა, შუენიერე-ბითა, სიმხნითა და ყოვლისა სამხედრო-სანადიმო ზნითა სრული... შემმართებელი, ძლიერი, ლალი და ამაყი, მონადირე და მოასპარეზე წარჩინებული და საღმრთოთი აღმატებული”¹.

არჩილი მრავალშვილიან ოჯახში აღიზარდა. მას ათი და-ძმა ჰყავდა. არჩილის უმცროსი ძმები იყვნენ უფლისწუ-ლები: გიორგი, მომავალში მეფე გიორგი XI, რომელიც ქარ-თლში ორჯერ (1676-1688 და 1703-1709 წლებში) მეფობდა, ლუკანი (გარდაიცვალა 1709 წელს), ალექსანდრე (საისტო-რიო წყაროებში ჩანს 1666-1697 წლებში), ლუკარსაბი (გარ-დაიცვალა 1698 წელს) და ხოლომონი (გარდაიცვალა 1703 წელს)².

უფლისწულ არჩილის მომდევნო ძმის – მეფე გიორგი XI-ის ავლანეთში დაღუპვის (1709 წ.) შემდეგ, ქართლის მე-ფე გახდა მისი მომდევნო ძმის, იმავე წელს გარდაცვლილი ლევანის უფროსი ვაჟი – ქაიხოსრო I, რომელიც 1711 წელს

¹ ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგნ.: “ქართლის ცხოვრება”, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწე-რის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბილისი, 1973, გვ. 602.

² ბაგრატიონები, სამეცნიერო და კულტურული მემკვიდრეობა, სა-მეცნიერო სტატიების კრებული, გენეალოგიური ნუსხებითურთ, როინ მე-ტრეველის რედაქციით, თბილისი, 2003, ნუსხა №4.

ასევე ავღანეთში, ყანდაართან მომხდარ ბრძოლაში დაიღუპა. მეფების გიორგი XI-ისა და ქაიხოსრო I-ის სპარსეთში ყოფნის გამო, 1703 წლიდან ქართლს ჯანიშინის რანგში განაგებდა არჩილის ძმისწული – უფლისწული ვახტანგ ლევანის ძე (1675-1737), იგივე მეფე ვახტანგ VI.

არჩილს ჰყავდა დები: ანუკა (საისტორიო წყაროებში ჩანს 1660-1668 წლებში), თამარი, იგივე გაიანუ (გარდაიცვალა 1694 წელს) და კიდევ ორი და¹, რომელიც როგორც ჩანს, მცირეწლოვანნი გარდაიცვალნენ და ამიტომ მათი სახელები უცნობია.

საგულისხმოა, რომ არჩილის უფროსი და – ანუკა ბატონიშვილი 1660 წელს ცოლად გააყოლეს სპარსეთის შაჰინშაჰს² – აბას II-ს (აბას I-ის შვილთაშვილს), სეფიანთა დინასტიის წარმომადგენელს, რომელიც 1642-1666 წლებში მეფობდა³.

ანუკა ბატონიშვილის გათხოვების შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი გვამცნობს: “მოითხოვა ყენებან ასული ვახტანგ მეფისა ანუკა ცოლად, მოვიდნენ საჭურისნი ყენისანი და წარიყვანეს დიდითა დიდებითა”⁴.

აბას II-ის სიკვდილის შემდეგ, მისმა ვაჟმა – შაჰინშაჰმა სულეიმან I-მა, იგივე სეფი II-მ (მეფობდა 1666-1694 წლებში), თავისი გარდაცვლილი მამის ქვრივი – ანუკა, მი-

¹ С. Думин, П. Гребельский, Дворянские роды Российской империи, т. III, под редакцией С. Думина, Москва, 1998, стр. 43.

² С. Думин, П. Гребельский, Дворянские роды Российской империи, т. III, под редакцией С. Думина, Москва, 1998, стр. 42.

³ Н. Сычев, Книга династий, Москва, 2006, стр. 598.

⁴ ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წერ.: “ქართლის ცხოვრება”, ტექსტი დაღვენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხხიშვილის მიერ, ტ. IV, თბილისი, 1973, გვ. 449.

სივე მამასთან, ვახტანგ V-სთან შეთანხმებით, 1668 წელს ცოლად გააყოლა თავის ერთგულ ქვეშევრდომს – შაპვერდი-ხანს.

დაქვრივებული ანუკას მეორედ გათხოვების შესახებ მე-მატიანე მოგვითხრობს: “შაპსულეიმან ინება გათხოვება შაპა-ბაზის ცოლ-ყოფილის ანუკასი ასულისა მეფისა, და მოინება შიხალიხან იგი ცოლად და ლორისტანის ხანმან. ჰკითხა ესე ყერბან შანაოზ მეფესა, რომლისა უნებს მიცემად. ხოლო მე-ფემან არა ინება შიხალიხან, არამედ ლორისხანი, და მისცეს მას. ამისთვის აღუდგა მტრად შიხალიხან და მტერობდა მე-ფეს”¹.

არჩილის უმცროსი და – თამარ ბატონიშვილი გაათხოვეს გორის მოურავზე, თავად ვივი ამილახვარზე (1636-1700). აქვე დავსძენთ, რომ სწორედ მათი შვილთაშვილი იყო ალექსანდრე დიმიტრის ძე ამილახვარი (1750-1802)² – ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე, ქართლ-კახეთის მეფე ერე-კლე II-ის მოწინააღმდეგე.

II. რატომ მეფობდა არჩილი არა ქართლში, არამედ – იმერეთსა და კახეთში

ქართლის მეფის ვახტანგ V-ის მიერ გაცემულ სიგალე-ბში დასახელებულ მის ვაჟებს შორის უფროსი ძე – არჩი-ლი იხსენიება პირველ ადგილზე, როგორც პირმშო და სამე-

¹ ვახტანგი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგნ.: “ქართლის ცხოვრება”, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწე-რის მიხედვით სიმონ ფაუხიშვილის მიერ, ტ. IV, თბილისი, 1973, გვ. 454.

² С. Думин, П. Гребельский, Дворянские роды Российской импе-рии, т. IV, Князья Царства Грузинского, под редакцией С. Думина и Ю. Чиковани, Москва, 1998, стр. 106-107.

ფო ტახტის მემკვიდრე უფლისწული, ხოლო შემდეგ ჩამოთვლილი არიან მისი მომდევნო ძმები.

მაგალითად, ვახტანგ V-ის (შაპნავაზის) მიერ 1662 წელს გაცემული დოკუმენტის “შეწირულების წიგნი შაპნავაზისა სვეტიცხოველისადმი” დასაწყისში გვითხულობთ: “ქ. ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა ჩუენ, მეფეთ-მეფემან პატ-რონმან შაპნავაზ, თანამეცხედრემან ჩუენმან დედოფალთ-დე-დოფალმა..., პირშომა და სასურველმა ძემა ჩუენმა პატრონმან არჩილ, პატრონმან გიორგიმ და პატრონმან ლევან, სუეტის ცხოვლის ბატონის კათალიკოზის საქმე ამ რიგად გავარიგეთ...”¹.

უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ ქართლის სამეფო ტახტის ლეგიტიმური მემკვიდრე უფლისწული – არჩილ ვახტანგის ძე, მთელ რიგ მიზეზთა გამო, მეფობდა არა ქართლში, არამედ დანარჩენ ქართულ სამეფოებში – იმერეთსა და კახეთში. კერძოდ, კახეთში იგი მეფობდა 1664-1675 წლებში, ხოლო იმერეთში – 1661-1663; 1678-1679; 1690-1691; 1695-1696 და 1698 წლებში, თანაც – დროგამოშვებით.

ვფიქრობთ, რომ ამ ფრიად საყურადღებო ფაქტს შემდეგი ახსნა შეიძლება მოეძებნოს: ვახტანგ V-მ, თავისი შტოდან – მუხრანელ ბაგრატიონთაგან პირველმა მიიღო ქართლის სამეფო ტახტი თავისი შორეული ნათესავისა და მამობილის – მეფე როსტომისაგან, რომელიც 1658 წელს გარდაიცვალა. ამიტომ, ვახტანგ V-ს სურდა, რომ სიცოცხლის ბოლომდე ემეფა, რათა მის გენეტიკურ შთამომავლობას ქართლის სამეფო ტახტი მშვიდობიანად და ლეგიტიმურად გადასცემოდა. იმავდროულად, მას უნდოდა, რომ უფროსი ვა-

¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, საერო საკანონმდებლო ძეგლები (XI -XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ისიდორე დოლიძემ, თბილისი, 1965, გვ. 224.

յու და მემკვიდრე – არჩილი გაუმეფებინა თავის სიცოცხლე-შივე, რათა თვითონ დახმარებოდა მართვა-გამგეობაში. არჩილის გამეფებით იმერეთსა და კახეთში, მის გვირგვინოსან მა-მას სურდა, რომ მოემზადებინა ნიადაგი საქართველოს გაერ-თიანებისათვის. აქედან გამომდინარე, ვახტანგ V-ის ამოძრა-ვებდა სრულიად პრაგმატული ჩანაფიქრი, რაც, საერთო ჯამ-ში, საქართველოსთვისაც სასარგებლო იყო¹.

III. მეფე-პოეტ არჩილის რიგითობის დადგენისათვის

არჩილ ვახტანგის ძე, რომელიც XVII საუკუნის 60-90-იან წლებში დროგამოშვებით მეფობდა იმერეთსა და კა-ხეთში, თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში იხსენიება არჩილ II-ის სახელით², რაც ჩვენ სადაცოდ მიგვაჩნია.

ჩვენი შეხედულებით, ზემოხსენებული მეფე უნდა მოვი-ხსენიოთ, როგორც – არჩილ I. ქვემოთ შევეცდებით დაგვასა-ბუთოთ ჩვენი მოსაზრება.

თუ საქართველოს ისტორიაში არჩილ I-ად ჩვენ მივიჩ-ნევთ ქართლის (იბერიის) მონარქს – არჩილს, რომელიც V საუკუნეში მეფობდა, მაშინ, არჩილ II გამოდის ვაჟი ქართ-ლის ერისმთავარ სტეფანზისა და ძმა მირისა – არჩილი, რომელიც VIII საუკუნეში ერისმთავრობდა.

¹ ნიკო ჯავახიშვილი, ცხოვრება და ღვაწლი მეფე არჩილისა, ის-ტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი „ისტორიანი”, თბილისი, 2017, №7 (79), გვ. 12-13.

² საქართველოს მეფეები, ავტორთა კოლექტივის ნაშრომთა კრე-ბული აკადემიკოსების მარიამ ლორთქიფანიძისა და რონ მეტრეველის რედაქციით, თბილისი, 2000, გვ. 222-223.

მკვლევართა ნაწილის ვარაუდით, ზემოხსენებული პირ-ველი არჩილი მეფობდა დაახლოებით 433-467 წლებში და მისი შვილიშვილი იყო ვახტანგ გორგასალი¹.

ახლა, რაც შეეხება მეორე არჩილს. მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, VIII საუკუნის ათასი წლების შუა ხანებში, ანაკოფიაში, არაბებთან მომხდარ ბრძოლაში დაჭრილი ერისმთავრის — მირის დაღუპვის შემდეგ, ერისმთავრობა მარტომ განაგრძო მისმა ძმამ — არჩილმა². მისი ხელისუფლება ვრცელდებოდა ჯერ ეგრისში — 718-719 წლებში³, ხოლო შემდეგ, კერძოდ — 745 წლამდე, აღმოსავლეთ საქართველოში, ძირითადად კახეთ-ჰერეთში⁴.

მკვლევართა მეორე ნაწილი კი მიიჩნევს, რომ “ქართლისა და ეგრისის პატრიკიოსთა უფალის” — სტეფანოზ III-ის (მეფობდა 717-738 წლებში) ერთი ვაჟი — მირი იყო ეგრისის პატრიკიოსი, რომელიც ამ მხარეს განაგებდა ჯერ მამასთან ერთად (717-738), ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ — დამოუკიდებლად (738-740). სტეფანოზ III-ის მეორე ვაჟი — არჩილი იყო ქართლის პატრიკიოსი, რომელიც სამეფოს მართავდა ჯერ მამასთან ერთად (718-738), ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ — დამოუკიდებლად (738-762). ძმისწულის — ევსტათეს მირის ძის მოწამებრივი სიკვდილის (738) შემდეგ, არჩილმა ეგრისის პატრიკიოსად თავისი უფ-

¹ მანანა სანაძე, ქართველთა ცხოვრება, წიგნი III, ქართლის მეფე-ებისა და პატრიკიოსების ქრონოლოგია (ფარნაგაზიდან — აშოტ კურაპალატამდე), თბილისი, 2016, გვ. 464.

² საქართველოს მეფები, ავტორთა კოლექტივის ნაშრომთა კრებული აკადემიკოსების მარიამ ლორთქიფანიძისა და რონ მეტრეველის რედაქციით, თბილისი, 2000, გვ. 51-53.

³ გურამ აბრამიშვილი, სტეფანოზ მამფლის ფრესკული წარწერა ატენის სიონში, თბილისი, 1977.

⁴ დავით მუსხელიშვილი, უჯარშა, თბილისი, 1966.

როსი ვაჟი – იოანე დატოვა, თვითონ კი უმცროს შვილთან – ჯუანშერთან ერთად აღმოსავლეთ საქართველოში დაბრუნდა. ვინაიდან იმხანად თბილისი, ისევე როგორც ქართლი, იავარქმნილი იყო, არჩილმა კახეთში გადაინაცვლა. 762 წელს შემოჭრილმა არაბმა დამპყრობლებმა წამებით მოკლეს ქართლის პატრიკიოსი არჩილი, რომელმაც მაპმადიანობის მიღებაზე უარი განაცხადა¹. ქართულმა ეკლესიამ არჩილი წმინდანად შერაცხა.

ჯუანშერის თხზულებაში “ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა” ქრისტიანობისათვის თავდადებული და წმინდანად შერაცხული მეფე არჩილი იხსენიება როგორც “შეფე არჩილ, ძე სტეფანზ მეფისა და ძმა მეფისა მირისა, ხოსროიანი”², ხოლო ლეონტი მროველის თხზულებას ეწოდება: “წამება წმიდისა და დიდებულისა მოწამისა არჩილისი, რომელი იყო მეფე ქართლისა”³. ასე, რომ ორივე ზემოხსენებულ თხზულებაში არჩილი მეფედ იხსენიება.

აქვე უნდა ითქვას, რომ ზემოთ დასახელებული არჩილ მირდატის ძე “ქართლის ცხოვრების” I ტომის საძიებლებში მოხსენიებულია როგორც – არჩილ I, ხოლო არჩილ სტეფანოზის ძე იმავე საძიებლებში იხსენიება როგორც არჩილ II⁴.

¹ მანანა სანაძე, ქართველთა ცხოვრება, წიგნი III, ქართლის მეფეებისა და პატრიკიოსების ქრონოლოგია (ფარნავაზიდან – აშოტ კურაპალატამდე), თბილისი, 2016, გვ. 458-466.

² ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა, წიგნში: “ქართლის ცხოვრება”, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბილისი, 1955, გვ. 241.

³ ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა, წიგნში: “ქართლის ცხოვრება”, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბილისი, 1955, გვ. 245.

⁴ ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა, წიგნში: “ქართლის ცხოვრება”, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი

აკადემიკოს სიმონ ყაუხჩიშვილის რედაქციით გამოცემულ “ქართლის ცხოვრებაში” გარკვეულ და სავსებით სწორად გადაწყვეტილ აღნიშნულ საკითხს, როგორც ჩანს, ბოლო დრომდე სათანადო ყურადღება არ ექცეოდა და მეფე არჩილ სტეფანოზის ძე – რიგითი ნომრის გარეშე მოიხსენიებოდა¹.

უკანასკნელ პერიოდში გამოცემულ ნაშრომებში, აღნიშნული ვითარება შეიცვალა და ორივე მეფე არჩილი სათანადო რიგითი ნომრით მოიხსენიება².

ამდენად, ფაქტი ფაქტად რჩება: უდავოა არსებობა ორი არჩილისა, რომელებიც ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ ეპოქაში, დაახლოებით სამი საუკუნის დაშორებით მეფობდნენ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მეფე-პოეტი არჩილი, რომელიც დროგამოშვებით მეფობდა იმერეთსა და კახეთში – ჩვენი შეხედულებით, ვერანაირად ვერ ჩაითვლება არჩილ II-დ.

ისმის კითხვა: მაშ რომელი რიგითი ნომერი უნდა მიენიჭოს მეფე-პოეტ არჩილს?

აქ უნდა გავიხსენოთ ის უდავო ფაქტი, რომ ქართლის მონარქთა და ტაო-კლარჯეთის ბაგრატოვან ხელმწიფეთა ნუმერაცია გააგრძელეს: 1) გაერთიანებული საქართველოს ხელმწიფებმა, ამ სამეფოს დაშლის (1466 წელი) შემდეგ, 2)

ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბილისი, 1955, გვ. 392.

¹ საქართველოს მეფები, ავტორთა კოლექტივის ნაშრომთა კრებული აკადემიკოსების მარიამ ლორთქიფანიძისა და როინ მეტრეველის რედაქციით, თბილისი, 2000, გვ. 51-53.

² მანანა სანაძე, ქართველთა ცხოვრება, წიგნი III, ქართლის მეფეებისა და პატრიკოსების ქრონოლოგია (ფარნავაზიდან – აშოტ კურაპალატამდე), თბილისი, 2016, გვ. 482.

ქართლის მეფებმა, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს გაერთიანების (1762) შემდეგ – 3) ქართლ-კახეთის მეფებმა, რომელთა რეზიდენციაც მდებარეობდა საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს დედაქალაქში – თბილისში.

მაგალითად, ქართლის მეფე არჩილ I-ის სახელოვანი შვილიშვილი – ვახტანგ გორგასალი ქართულ ისტორიოგრაფიაში ცნობილია როგორც მეფე ვახტანგ I, ხოლო ვახტანგ II-ის სახელით იხსენიება დავით VI ნარინის ვაჟი, რომელიც 1289-1292 წლებში აღმოსავლეთ საქართველოში მეფობდა. შესაბამისად, ვახტანგ III-ის სახელით იხსენიება დემეტრე II თავდადებულის ვაჟი, რომელიც ერთიან საქართველოში 1298 და 1302-1308 წლებში მეფობდა. ამ სახელის მქონე მომდევნო ხელმწიფე – ვახტანგ IV – ერთიან საქართველოში 1442-1446 წლებში მეფობდა. იმავე სახელის მქონე მომდევნო ხელმწიფე – ვახტანგ V (იგივე – შაჰ ნავაზი) ქართლში 1658-1675 წლებში მეფობდა. იმავე სახელის მქონე მომდევნო ხელმწიფე იყო მისი შვილიშვილი, ქართლის სჯულმდებელი მეფე – ვახტანგ VI (1675-1737).

ქართულ ისტორიოგრაფიაში ასევე დადგენილია, რომ ტაო-კლარჯეთის ბაგრატოვანი ხელმწიფის, “ქართველთა მეფის” ტიტულის მფლობელი დავით III კურაპალატის გარდაცვალებიდან (1001 წელი) 88 წლის შემდეგ გამეობული ამავე სახელის მქონე მომდევნო მონარქი იყო – დავით IV (1073-1125), რომელიც ერთიან საქართველოში მეფობდა და ცნობილია სახელით – “დავით აღმაშენებელი”.

ახლა, რაც შეეხება საქართველოს ტერიტორიაზე არსებული დანარჩენი ქართული სამეფოების – კახეთისა და იმერეთის ბაგრატოვან ხელმწიფეებს.

როგორც ქართულ ისტორიოგრაფიაშია დამკვიდრებული, საქართველოს ერთიანი სამეფოს დაშლის შემდეგ ტახტ-

დაკარგული და 1466 წლიდან კახეთში გადახვეწილი მეფედ-ყოფილი გიორგი VIII უკვე იხსენიება კახთა მეფე გიორგი I-ის სახელით. იგი კახეთში 1466-1476 წლებში მეფობდა. მისი გარდაცვალების შემდეგ კახეთში გამეფებული მისივე ვაჟი იხსენიება როგორც – **ალექსანდრე I** (მეფობდა 1476-1511 წლებში), ხოლო ამ უკანასკნელის ძე, როგორც – **გიორგი II** (მეფობდა 1511-1513 წლებში) და ა.შ. რაც შეეხება აღნიშნული გიორგი II-ის მოსახლე მის პირდაპირ შთამომავალ მონარქს – მომდევნო გიორგის, რომელიც 1798-1800 წლებში მეფობდა, იგი ცნობილია არა როგორც – გიორგი III, არამედ როგორც – **გიორგი XII**, ვინაიდან იგი მეფობდა არა კახეთში, არამედ ქართლ-კახეთის გაერთიანებულ სამეფოში, რომლის სატახტო ქალაქს წარმოადგენდა თბილისი – ერთიანი საქართველოს სამეფოს ყოფილი დედაქალაქი.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ასევე დამკვიდრებულია, რომ იმერეთის მეფებმა გააგრძელეს არა ერთიანი საქართველოს ხელმწიფეთა ნუმერაცია, არამედ – დასავლეთ საქართველოს, იგივე ლიხთ-იმერეთის მონარქებისა. ამ სამეფოს საფუძველი ჩაეყარა მონღოლთა ბაზონობის პერიოდში, როდესაც დამპყრობელთაგან განდგომის (1259) შემდეგ, თბილისი-დან გაქცეულმა საქართველოს მეფემ დავით VI ნარინმა თავი შეაფარა ლიხთ-იმერეთს და იქ განავრძო მეფობა. ასე გამოეთიშა ეს მხარე ერთიან საქართველოს. დავითის გარდაცვალების (1293) შემდეგ, მისი შთამომავლები ლიხთ-იმერეთში მანამდე მეფობდნენ, სანამ გიორგი V ბრწყინვალებ ხელახლა არ გააერთიანა საქართველო.

1462 წელს სამოქალაქოს (ქუთაისის ოლქის) ერისთავი ბაგრატი განუდგა თავისივე ნათესავს – საქართველოს მეფე გიორგი VIII-ს და მომდევნო წელს ქუთაისში მეფედ ეკურთხა. 1466 წელს ბაგრატმა ქართლიც დაიმორჩილა,

თავი საქართველოს მეფედ გამოცხადა და ქართლ-იმერეთში გარდაცვალებამდე (1478) მეფობდა. ამის შემდეგ ქართლში გამეფდა კონსტანტინე II, რომლის პირდაპირი შთამომავლობაც ამ სამეფოს ორ საუკუნე-ნახევარზე მეტხანს განაგებდა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუმცა ზემოხსენებული ბაგრატი იყო ერთიანი საქართველოდან 1462 წელს გამოყოფილი იმერეთის პირველი მეფე (1466 წლამდე), იგი ქართულ ისტორიოგრაფიაში იხსენიება როგორც ბაგრატ II, ვინაიდნა ბაგრატ I-ად მიჩნეულია შორაპნის ერისთავი, რომელიც ამ მხარეს 1329-1372 წლებში განაგებდა. ისიც საგულისხმოა, რომ ქართლის შეერთების შემდეგ, იგივე ბაგრატი იხსენიება როგორც – ბაგრატ VI, ვინაიდნა ამ შემთხვევაში მან გააგრძელა ნუმერაცია ერთიანი საქართველოს მეფებისა, კერძოდ, მოგვევლინა მექვიდრედ და მოსახელედ ბაგრატ V-ისა, რომელიც 1360-1393 წლებში მეფობდა. რაც შეეხება ამ სახელის მქონე მომდევნო მეფეს იმერეთში, იგი იყო შვილი-შვილი ზემოხსენებული ბაგრატ II-ისა და შესაბამისად ცნობილია როგორც – ბაგრატ III, რომელიც მეფობდა 1510-1565 წლებში¹. ანუ მან, როგორც მხოლოდ იმერეთის ხელმწიფებ, გააგრძელა ნუმერაცია ამ სამეფოს მონარქებისა და არა ერთიანი საქართველოს, ანდა ქართლ-იმერეთის მეფეებისა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სრულიად კანონზომიერად გვესახება მეფე-პოეტ არჩილის მოხსენიება სახელწოდებით – არჩილ I, ვინაიდნა იგი მეფობდა იმერეთსა და კახეთში. იმ შემთხვევაში, კი თუ ხსენებული პიროვნება იმეფებდა ქართლში, მაშინ ის სახელდებული იქნებოდა, როგორც –

¹ ვურამ აბრამიშვილი, სტეფანოზ მამულის ფრესკული წარწერა ატენის სიონში, თბილისი, 1977, გვ. 232-236.

არჩილ III, ვინაიდან ასეთივე სახელის მქონე მონარქი ამავე სამეფოში წარსულში უკვე ორჯერ მეფობდა.

დამოწმებანი:

1. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგნ.: “ქართლის ცხოვრება”, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბილისი, 1973.
2. ბაგრატიონები, სამეცნიერო და კულტურული მემკვიდრეობა, სამეცნიერო სტატიების კრებული, გენეალოგიური ნუსხებითურთ, როინ მეტრეველის რედაქციით, თბილისი, 2003.
3. С. Думин, П. Гребельский, Дворянские роды Российской империи, т. III, под редакцией С. Думина, Москва, 1998.
4. Н. Сычев, Книга династий, Москва, 2006.
5. С. Думин, П. Гребельский, Дворянские роды Российской империи, т. IV, Князья Царства Грузинского, под редакцией С. Думина и Ю. Чиковани, Москва, 1998.
6. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, საერო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX ს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთი ისიდორე დოლიძემ, თბილისი, 1965.
7. ნიკო ჯავახიშვილი, ცხოვრება და ღვაწლი მეფე არჩილისა, ისტორიულ-შემეცნებითი უურნალი „ისტორიანი“, თბილისი, 2017, №7 (79).
8. საქართველოს მეფეები, ავტორთა კოლექტივის ნაშრომთა კრებული აკადემიკოსების მარიამ ლორთქიფანიძისა და როინ მეტრეველის რედაქციით, თბილისი, 2000.
9. მანანა სანაძე, ქართველთა ცხოვრება, წიგნი III, ქართლის მეფეებისა და პატრიკოსების ქრონილოგია (ფარნავაზიძიან – აშოტ კურაპალატამდე), თბილისი, 2016.
10. გურამ აბრამიშვილი, სტეფანე მამულის ფრესკული წარწერა ატენის სიონში, თბილისი, 1977.

11. დავით მუსხელიშვილი, უჯარმა, თბილისი, 1966.
12. ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა, წიგნში: “ქართლის ცხოვრება”, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბილისი, 1955.

Niko Javakhishvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**FOR FIXING OF THE RANK NUMBER FOR THE KING
OF IMERETI AND KAKHETI – ARCHIL
RESUME**

The King Archil (1647-1713), the son of the King of Kartli (Kartalinia) – Vakhtang V, holds one of the distinguished place among the prominent monarchs of the Bagration's millennial royal dynasty. The ongoing year is the 370th anniversary of the King Archil's birth.

The presented research is the first in Georgian historiography where the issue to fix the rank number for the King-poet Archil is stated. The research contains the short stories about the prince's parents, siblings and presents our assumption about the reason of why the King Archil, who was the representative of the Bagration's Kartli branch reigned not in Kartli kingdom, but in Imereti and Kakheti kingdoms. The research contains three subchapters.

ოთარ ჯანელიძე

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

რუსეთის დამფუძნებელი კრება და ქართული პოლიტიკური სპექტრი

რუსეთის დროებითი მთავრობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შორის თავისი პოპულარობითა და მასების მხარდაჭერის მასშტაბით ყველაზე გამორჩეული იყო დადგენილება დამფუძნებელი კრების მოწვევის შესახებ. რუსი და რუსეთის იმპერიაში შემავალი ხალხების პოლიტიკური მომავლის საკითხი ახალმა ხელისუფლებამ სწორედ ამ არჩევით ორგანოს მიანდო. იდეა მოიწონა ქვეყნის პარალელურმა (მეორე) რევოლუციურმა ხელისუფლებამ – მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომაც, რომელმაც მხარი დაუჭირა მომავალი საკანონმდებლო საკრებულოს დემოკრატიული პრინციპით შექმნას.

დამფუძნებელი კრების იდეა თეორიულად ადამიანის ბუნებრივი უფლებისა და საზოგადოებრივი ხელშეკრულებების კონცეფციებს ემყარება და ჯერ კიდევ XVII-XVIII საუკუნეებში წარმოიშვა. ფართოდ გავრცელდა იგი საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიდან, როდესაც ვერსალში შეკრებილმა ეროვნულმა დამფუძნებელმა კრებამ „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია“ შეიმუშავა. რუსეთში აზრი დამფუძნებელი კრების მოწვევის შესახებ პირველად დეკაბრისტებს გაუჩნდათ. ხსენებული იდეას იმავე საუკუნის

70-იან წლებში აქტიურ პროპაგანდას უწევდნენ ნაროდო-ვოლცები,¹ თუმცა წარუმატებლად.²

დემოკრატიული საფუძველზე არჩეული ფართო სახალ-ხო წარმომადგენლობის მოთხოვნას რუსეთის პირველი რე-ვოლუციის წლებში ფართო მხარდამჭერები გამოუჩნდნენ მე-მარცხნე და რევოლუციური პარტიების, ასევე, ლიბერალუ-რი წრეებისა და ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილის სახით. რაც შეეხება მშრომელთა სოციალურ ფენებს, - მუ-შებსა და გლეხობას, დამფუძნებელი კრების როლი და მნიშ-ვნელობა მათ ამ დროისათვის აღეკვატურად არ ჰქონიათ გაცნობიერებული.

დამფუძნებელი კრების იდეა ხელახლა გამოცოცხლდა 1917 წლის თებერვალ-მარტში. თვითმპრობელობის დამხო-ბის შემდგომ დღეებში წარმომობილი პოლიტიკური ლოზუნ-გები: „შევინარჩუნოთ რევოლუციის მონაბოვარი!“ და „მივიყ-ვანოთ რევოლუცია ბოლომდე!“ სწორედ დამფუძნებელ კრე-ბას უკავშირდებოდა, რომელსაც უმნიშვნელოვანესი გადაწყ-ვეტილებები უნდა მიეღო. ამავეს ცხადყოფს იმ პერიოდში მიღებული სხვადასხვა დონის უამრავი თავყრილობის რეზო-ლუცია მოწოდებებით: „გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას!“ და „მთელი ძალაუფლება დამფუძნებელ კრებას!“

დამფუძნებელი კრების დაუყოვნებლივ მოწევებას თავდა-პირველად მხარი ბოლშევკებმაც დაუჭირეს, როგორც თავია-ნთი „პროგრამა-მინიმუმის“ ნაწილს, მაგრამ მას შემდეგ, რაც 1917 წლის აპრილის დასაწყისში, ემიგრაციიდან პეტრო-

¹ პოლიტიკური ორგანიზაცია „Народная волья“-ს წევრები და მიმღევრები.

² Попова О., Идея учредительного собрания Российской истории и его роль в попытке создания правового государства 1917 – начало 1918 г. С. 149). <http://elar.urfu.ru/bitstream/10995/2744/1/pristr-02-10.pdf>

გრადში დაბრუნდა ვ. ლენინი, პარტიაში ვითარება შეიცვალა. ბოლშევიკების ლიდერმა, ვ. სუხანოვის მოწმობით, დამფუძნებელ კრებას „ლიბერალური ფანდი“ უწოდა.¹ განაცხადა, რომ „ცხოვრებამ და ოევოლუციამ დამფუძნებელი კრება უკანა პლაზე გადასწია“ და, საერთოდაც, პარლამენტარიზმი სახელმწიფოებრიობის ბურჟუაზიული ფორმაა, ამიტომ უპირატესობა უნდა მიენიჭოს საბჭოებს.² ამასთან, ბოლშევიკები, მიუხედავად იმისა, რომ სკეპტიკურად განეწყვენ დამფუძნებელი კრებისადმი, ტაქტიკური მოსაზრებით, მზად იყვნენ არ გამიჯვნოდნენ მას და მონაწილეობაც მიეღოთ არჩევნებში.

რსდმპ-ს მეორე ფრთამ - მენშევიკებმა, რომლებიც არ უფრთხოდნენ პარლამენტარიზმს, დამფუძნებელი კრება თავიანთ სტრატეგიულ მიზნად დაისახეს, ანიჭებდნენ რა მას ერთგარი სტარტის როლს სოციალისტურ ნავთსაყუდლამდე რუსეთის ხანგრძლივი ცურვის გზაზე.³ მენშევიკთა თვალსაზრისით, დამფუძნებელ კრებას კონსტიტუციის შემუშავებისა და სახელმწიფოებრივი მმართველობის ფორმის დაწესების გარდა, უნდა გადაეწყვიტა მუშათა, მიწის და ეროვნული საკითხები, შეექმნა ახალი მთავრობა და საბოლოოდ გადაეჭრა ომისა და ზავის პრობლემა.

ქართველი სოციალ-დემოკრატი მენშევიკები დამფუძნებელ კრებას რევოლუციის ბოლომდე მიყვანასა და რუსეთში დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარებას უკავშირებდნენ. გაზეთი „ერთობა“ მიუთითებდა: „ამიერიდან რევოლუციის მთელი ტვირთი მან (დამფუძნებელმა კრებამ, - ო. ჯ.) უნდა ზიდოს, მხოლოდ ამ გზით შეიძლება რევოლუციის განვითა-

¹ <http://www.pravoslavie.ru/109960.html>

² Ленин В., Полн. Собр. Соч. Т. 31, с. 110; т. 35, с. 140.

³ Протасов Л., Всероссийское Учредительное собрание: история зарождения и гибели, М., 1998, с. 38.

რების ხელის შეწყობა და მისი გამარჯვებით დაგვირგვინება“.¹ უშუალოდ დამფუძნებელი კრების ფუნქციებში მენშევიკები მოიაზრებდნენ: დემოკრატიულ საწყისებზე დაფუძნებული კონსტიტუციის შემუშავებას, კანონების მიღებას მიწისა და სოციალური საკითხების მოსაწესრიგებლად და რუსეთის შემადგენლობაში შემავალი ხალხების უფლებამოსილების კანონმდებლობით განსაზღვრას.

ესერთა წარმოდგენით, დამფუძნებელი კრება დემოკრატიის დიადი პრინციპის – ხალხის ნამდვილი ხელისუფლების – „მშრომელთა ბატონობის“ განსახიერება იქნებოდა, რომელსაც გლეხობისა და პროლეტარიატის მძლავრი შხარდაჭერა გამძლეობასა და სიმტკიცეს შემატებდა. ესერები დარწმუნებულნი იყვნენ რომ არჩევნებში გაიმარჯვებდნენ, ხორცს შეასხამდნენ თავიათი აგრარული პროგრამის მთავარ მოთხოვნას და გაანალიზებდნენ რუსეთის მრავამილიონიანი გლეხობისათვის დიდი ხნის წინ მიცემულ დაპირებას მიწის სოციალიზაციის შესახებ.²

კადეტთა პარტიას თებერვლის რევოლუციის შემდგომ რუსეთში კონსტიტუციური მონარქიის დაწესება სურდა, მაგრამ უშედეგო ცდებმა არჩევანი დემოკრატიული რესპუბლიკის სასარგებლოდ შეაცვლევინა. 1917 წლის მარტის ბოლოს კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის VII ყრილობამ ამაზალ იდეას მხარი ერთხმად დაუჭირა,³ თუმცა იყო ბევრი

¹ გაზ. „ერთობა“, 1917 წ., 14 მაისი.

² მიწის სოციალიზაციაში იგულისხმებოდა მიწაზე კერძო საპუთრების მოსპობა, მისი საზოგადო საკუთრებად გამოცხადება და გლეხური თემებისათვის გადაცემა.

³ Попова О., Идея Учредительного собрания в Российской истории и его роль в попытке создания правового государства в 1917-

დელეგატი, რომელიც მოითხოვდა გადაედოთ დამფუძნებელი კრება მსოფლიო ომის დასრულებამდე. მათი აზრით, არჩევნების ჩატარება უფრო გამართლებული იქნებოდა მშვიდ ატმოსფეროში, ვიდრე რევოლუციურ ეიფორიასა და საბრძოლო მოქმედების ვითარებაში.

დამფუძნებელი კრება მიუღებლად მიაჩნდა რუსეთის არმიის უმაღლეს სარდლობას, თვალსაჩინო გენერალთა ნაწილს და სხვა, მაგრამ უმცროსი ოფიცრობა და, განსაკუთრებით, ჯარისკაცები და მეზღვაურები მის მოწვევას ენერგიულად უჭერდნენ მხარს თავიანთი მრავალრიცხოვანი საბჭოების, კომიტეტებისა თუ სხვა არჩევითი ორგანოების მეშვეობით.¹

საინტერესო იყო რუსეთის ეკლესიის დამოკიდებულება სახალხო წარმომადგენლობის ინსტიტუტისადმი. 1917 წლის 4 ოქტომბერს საეკლესიო კრებამ მოიწონა დამფუძნებელი კრების იდეა და მოწოდებით მიმართა სრულიად რუსეთის მრევლს, დეპუტატებად აერჩიათ „ეკლესიისა და სამშობლოს“ ერთგული ადამიანები მათი პარტიული კუთვნილების მიუხედავად.²

ისტორიკოსთა ნაწილის აზრით, ჯარისკაცებისა (ძირითად, გუშინდელი გლეხობის) და სოფლის მცხოვრებთა აბსოლუტურ უმრავლესობას, ისე როგორც მუშაობა კლასს, ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა კონსტიტუციური სახელმწიფოს ძალაუფლების ბუნების ან ხელისუფლების ღეგიტიმა-

начале 1918 г. с. 155. <http://elar.urfu.ru/bitstream/10995/2744/1/pristr-02-10.pdf>

¹ სამხედრო მინისტრის ა. გუჩკოვის განცხადებამ, მიმდინარე ომის დამთავრებამდე გადაედოთ დამფუძნებული კრების მოწვევა, არმიაში მღლვარება და საპროტესტო მოძრაობა გამოიწვია.

² <http://www.pravoslavie.ru/109960.html>

ციის შესახებ და მათი თავგამოდება დამფუძნებელი კრების მხარდასაჭერად უპირატესად პოლიტიკური პარტიების აგიტაციის შედეგი იყო.¹

ამ თვალსაზრისის უნდა დავეთანხმო, მით უფრო რომ ქართული მაგალითიც იმავეს მოწმობს: ასეულობით მიტინგს, კრებასა და ყრილობას სოფლად, ქალაქად თუ ფრონტზე, დამფუძნებელი კრების მხარდამჭერი რეზოლუციები სწორედ სოციალისტური პარტიების აქტიური სააგიტაციო-პროპაგანდისტული ძალისხმევის შედეგად გამოპექონდათ. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ ყოველი სოციალური ფენა დამფუძნებელ კრებას პირველ რიგში საკუთარი სამრეკლოდან უცქერდა და და მისგან თავისთვის სასიცოცხლო კონკრეტული პრობლემის (თუ პრობლემათა რიგის) გადაწყვეტას მოელოდა.

რუსეთის დროებითმა მთავრობამ არჩევნების დღედ თავდაპირველად 1917 წლის 17, ხოლო კრების გახსნის თარიღად 30 სექტემბერი განისაზღვრა.² 9 აგვისტოს გამოაქვეყნდა მთავრობის ახალი დადგენილება, რომლითაც დანიშნული დრო ორი თვით გახანგრძლივდა: არჩევნები უნდა გამართულიყო 1917 წლის 12 ნოემბერს, ხოლო კრება მუშაობას 30 ნოემბერს შეუდგებოდა.³

დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილეობის ულება, პირველად ამ ქავენის ისტორიაში, რუსეთის ყველა მოზრდილ ადამიანს, მათ შორის ქალებსაც ეძლეოდათ.⁴ რო-

¹ Неизвестная Россия. Век XX, кн. II, М., 1992, с. 179.

² Всероссийское Учредительное собрание, М.;Л., 1930. с. 139.

³ Собрание узаконений и распоряжений правительства, № 202, 23 августа, 1917 г.

⁴ ასაკობრივ ზღვრად დაწესდა: ჯარისკაცთვის - 18, ხოლო მოქალაქეთათვის - 20 წელი. იხ. Положение о выборах в Учредительное собрание.

გორც მაშინ უწოდებდნენ, „ოთხფორმულიანი არჩევნები“ (პირდაპირი, საყოველთაო, ფარული და თანასწორი) პროპირციული სისტემით უნდა ჩატარებულიყო. არჩევნების ორგანიზება ადგილებზე ახლად არჩეულ საქალაქო სათათიო-როებს და ერობებს (თვითმმართველობებს) უვალებოდათ.

განსხვავებით პარლამენტისაგან, დამფუძნებელი კრება მოკლე ვადით მოწვეული ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლების საგანგებო ორგანოა განსაზღვრული უფლებამოსილებით. რუსეთის დამფუძნებელი კრების იურიდიული სტატუსი კონსტიტუციის შემუშავებასა და მიღებას, სახელმწიფო ეროვნული ცხოვრების კარდინალური საკითხის - მმართველობის ფორმის განსაზღვრას ითვალისწინებდა, თუმცა გზადაგზა კრების პრეროგატივად სოციალურ-ეკონომიკური და სხვა პოლიტიკური საკითხებიც გამოცხადდა, მათ შორის: ომისა და ზავის, აგრარული, მუშათა კანონმდებლობის და სხვ. საგულისხმო იყო ისიც, რომ დამფუძნებელი კრების კომპეტენციაში მოიაზრებოდა ეროვნული საკითხება და ადგილობრივი ავტონომიების პრობლემის გადაწყვეტაც. დროებითმა მთავრობამ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სტატუსის გარკვევაც კი დამფუძნებელი კრების პრეროგატივად გამოაცხადა.¹

https://ru.wikisource.org/wiki/Положение_о_выборах_в_Учредительное_собрание ხმის მიცემის უფლებით სამხედრო მოსამსახურებიც სარგებლობდნენ, მაგრამ საარჩევნო კომისიამ დაახლოებით 3 მილიონ ჯარისკაცს, ვინც უნდაართვოდ მატოვა ფრონტის ხაზი და დეზერტირად იქცა, ეს უფლება ჩამოართვა. Попова О., Идея Учредительного собрания в Российской истории и его роль в попытке создания правового государства в 1917-начале 1918 г. с. 161.

<http://elar.urfu.ru/bitstream/10995/2744/1/pristr-02-10.pdf> არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ ჰქონდათ აგრეთვე საზღვარგარეთ მყოფ რუსეთის მოქალაქეებს. იხ. გაზ. „ერთობა“, 1918 წ., 10 ანგარი.

¹ <http://www.pravoslavie.ru/109960.html>

დამფუძნებელი კრების დებულების შესამუშავებლად დოკუმენტით მთავრობამ შექმნა განსაკუთრებული თათბირი, რომელსაც კადეტთა პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, პროფესორი, ფ. კოკოშკინი თავმჯდომარეობდა.¹ 1 აგვისტოს დაკომპლექტდა ცენტრალური საარჩევნო კომისია, ასევე, კადეტთა პარტიის წარმომადგენლის ნ. ავინოვის ხელმძღვანელობით. დადგინდა, რომ პოლიტიკურ სუბიექტებს საარჩევნო სიები უნდა წარედგინათ 13 აგვისტომდე, ამომრჩეველთა სიები კი მზად უნდა ყოფილიყო 17 აგვისტოსათვის.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ამიერკავკასია, სა-დაც ამომრჩეველთა რიცხვი 3 მილიონ ნახევარს აღწევდა,² ერთ საარჩევნო ოლქად გამოჰყო. პროცესის ორგანიზებულად წარმართვის მიზნით, შეიქმნა ამიერკავკასიის ცენტრალური საარჩევნო კომისია, რომლის თავმჯდომარე სოციალ-დემოკრატი ალექსანდრე ლომთათიძე, ხოლო მდივანი, ასევე მისი თანაპარტიელი ოსებ ხახანაშვილი იყო.³ ჩამოყალიბდა ბაქეს, ელისავეტოპოლის, ქუთაისის, თბილისისა და ერევნის საგუბერნიო, ბათუმისა და სოხუმის საოლქო, ყარსისა და ზაქათალის საოკრუგო და მათში შემავალი მაზრების სამაზრო საარჩევნო კომისიები.

¹http://www.freytakandsons.com/ru/nashe_mnenie/galereja_juridiche_skoj_slavy/kokoshin_fedor_fedorovich.html ცნობილი რუსი სამართლის სპეციალისტი ფ. კოკოშკინი იყო რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი, 1917 წ. მეორე კოლიციურ მთავრობაში ეკავა სახელმწიფო კონტროლიორის პოსტი. დამფუძნებელი კრების გარეკვისას, 1918 წ. 6 იანვარს დამით ბოლშევკებმა სიცოცხლეს გამოასალმეს.

² გაზ. „ერთობა“, 1917 წ., 18 ოქტომბერი.

³ გაზ. „სახალხო საქმე“, 1917 წ., 17 ოქტომბერი. კომისია განთავსებული იყო გოლოვინის პროსპექტზე №11 სახლში.

ამიერკავკასიას რუსეთის დამფუძნებელ კრებაში 36 სა-დეპუტატო მანდატი დაეთმო.¹ ეს რიცხვი გაცილებით მეტი იყო, ვიდრე მეფისდროინდელ რუსეთის სახელმწიფო სათათ-ბიროებში მხარისათვის გამოყოფილი მანდატების რაოდენობა, მაგრამ კრების მთლიანი შემადგენლობის (700-ზე მეტი წევ-რი) მხოლოდ 5 %-ს უტოლდებოდა. მიუხედავად ამისა, დროებითი მთავრობის დემოკრატიული ხასიათი, მასთან რე-ვოლუციური დემოკრატიის ხელმძღვანელი ძალის - სრული-ად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ВЦИК) თანამშ-რომლობა, რომლის თავმჯდომარეც ქართველი სოციალ-დე-მოკრატი (მენშევიკი) კარლო ჩხეიძე იყო, საქართველოს სა-ზოგადოებრივ-პოლიტიკურ სპექტრს დამფუძნებელი კრებისა-დმი ნდობით განაწყობდა.

ისიც საგულისხმოა, რომ იმპერიისაგან სწრაფი ჩამო-შორების მოთხოვნას, თუ არ ჩავთვლით პოლონეთსა და ფი-ნეთს, იმპერიის არც სხვა განაპირა ხალხთა რადიკალური პარტიები აყენებდნენ.² ისინიც იმედით შესცემოდნენ რუსე-თის დამფუძნებელ კრებას, რადგან მათი ბედ-იღბლის საკით-ხიც, დროებითი მთავრობის აზრით, დემოკრატიული პრინცი-პით შექმნილ მომავალ საკანონმდებლო საკრებულოს უნდა გადაეწყვიტა.

¹ 200 ათას ამომრჩეველზე მოდიოდა ერთი დეპუტატი. იხ. გაზ. „სახალხო საქმე“, 1917 წ., 26 ივლისი; გაზ. „ერთობა“, 1917 წ., 5 აგ-ვნებო.

² Andrew Ezergailis, The Latvian Liberals and the Federative Tradition during the 1917 Revolution (Lituanus Lithuanian Quarterly Jurnal of Arts and Sciences, Volume 17, #3 - Fall 1971).

http://www.lituanus.org/1971/71_3_02.htm ასევე, Рзаева Г., Революция в Закавказье (1917-1918 годы), Віче №6, 2010
<http://www.viche.info/journal/1914/>

რუსეთის დამფუძნებელი კრებისადმი საქართველოს პოლიტიკური სპექტრის დამოკიდებულებას სპეციფიკურს ხდიდა ის გარემოება, რომ აქ მოქმედი ოთხი მეტ-ნაკლებად ავტორიტეტული პოლიტიკური ძალიდან ორს, კერძოდ ქართველ სოციალ-დემოკრატებსა და ესერებს დამოუკიდებელი პარტიები ჯერ კიდევ არ გააჩნდათ და გაერთიანებულნი იყვნენ რსდმპ-სა და რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა ორგანიზაციებში. ორივე ეს პარტია იმთავითვე ცენტრალისტურ პოზიციას იცავდა და გამოცალკევების იდეას არც მათი ქართული ფილიალები ემსხრობოდნენ.

კიდევ ერთი ძეველი და შედარებით მრავალრიცხოვანი სოციალისტ-ფედერალისტური პარტია იმედოვნებდა, რომ დამფუძნებელი კრება ხორცს შეასხამდა მის პროგრამულ მოთხოვნას, რომელიც განაპირო ხალხებისათვის ავტონომიების მინიჭებას და ამ საფუძველზე რუსეთის ფედერაციულ გარდაქმნას ითვალისწინებდა.

რაც შეეხება მეოთხეს და ერთადერთ არასოციალისტურ ძალას საქართველოს მასშტაბით - ეროვნულ-დემოკრატიული პარტიას, იგი მხოლოდ 1917 წლის ივნისში ჩამოყალიბდა. მართალია, ეს პარტია პოლიტიკურ ასპარეზზე სწრაფად დამკვიდრდა, მაგრამ საზოგადოებრივ აზრსა და განწყობებზე ჯერ დიდ გავლენას ვერ ახდენდა.¹

„თავისუფალი საქართველო თავისუფალ რუსეთში“ - ასეთი იყო 1917 წლის მარტიდან ქართველ ეროვნულ-დემოკრატთა პოლიტიკური ლოზუნგი, რომელსაც უფრო დიდხანს ფუდერალისტებიც იზიარებდნენ, რადგან სჯეროდათ, რომ ეროვნული საკითხი თეორიის სფეროდან პრაქტიკულ საქმედ

¹ საქართველოში არსებობდა სომხური პოლიტიკური პარტია დაშნაკცუთიუნიც, რომელიც ასევე დამოუკიდებლად ჩაერთო რუსეთის დამფუძნებელი კრების საარჩევნო პროცესში.

იქცა და რომ „ერები გამოდიან ხელიხელ ჩაკიდებული, სა-ერთო იმედითა და გეგმით გაერთიანებულნი“.¹

დემოკრატიული რუსეთის ერთგულებით უფრო ქართველი სოციალ-დემოკრატი მენშევიკები გამოირჩეოდნენ, რასაც მკაფიოდ წარმოაჩენს მათი თგალსაჩინო ლიდერის აკაკი ჩხენკელის რუსებისადმი მიმართული ერთი იმდროინდელი განცხადება: „ჩვენ, ბედნიერნი ვართ, რომ გვაქვს ერთი სამშობლო“.²

რუსეთის დემოკრატიაზე დიდ იმედებს ამყარებდნენ საქართველოს გლეხობის, მუშათა კლასისა და ჯარისკაცთა წარმომადგენლები. ასე მაგალითად, 1917 წლის ივნისში გამართულმა ამიერკავკასიის გლეხთა ყრილობამ საგანგებოდ იმსჯელა რუსეთის დამფუძნებელი კრებისადმი დამოკიდებულების შესახებ და მიიღო რეზოლუცია, რომელშიც აღნიშნულია: „1. უნდა დამყარდეს რუსეთში დემოკრატიული რესპუბლიკა; 2. ყველა იმ საკითხის ლიკვიდაცია, რომელიც ომთან არის დაკავშირებული; 3. მიწის საკითხი; 4. მუშათა საკითხი; 5. ეროვნული საკითხი; 6. ადგილობრივი მმართველობის ორგანიზაცია; 7. სავალდებულო სწავლის შემოღება და 8. სკოლების ნაციონალიზაცია. ...ყრილობა იმედოვნებს, რომ ყველა ეს საკითხები კრებაზე დემოკრატიის სასარგებლოდ იქნებინ გადაჭრილი“³.

მოვლენები სწრაფად ვითარდებოდა. არაერთი პრობლემა დაუყოვნებლივ გადაწყვეტას მოითხოვდა, მაგრამ ხელისუფლება ფეხს ითრევდა. დროებითი მთავრობის პოლიტიკა ბევრ, მათ შორის, ეროვნულ საკითხში არათანმიმდევრული, წინააღმდეგობრივი და გაუბედავი იყო. ხელისუფლების ამ ორგა-

¹ გაზ. „სახალხო საქმე“, 1917 წ., 8 სექტემბერი.

² გაზ. „საქართველო“, 1917 წ., 19 აგვისტო.

³ გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1917 წ., 29 ივნისი.

ნომ ვერ შეძლო არარუსი ხალხების იმედების გამართლება. მეტიც, დროებით მთავრობას მოწინააღმდეგენი თვით მეტროპოლიის მკიდრ მოსახლეობაშიც მოუმრავლდა. ცნობილია, რომ 1917 წლის ივნისის დასაწყისში ბოლშევიკებმა ფართო გამოსვლა მოაწყვეს და მთავრობის ჩამოგდება დააპირეს. ერთი თვის შემდეგ გენერალმა ლ. კორნილოვმა რუსეთში სამხედრო დიქტატურის დამყარება სცადა, მაგრამ უშედეგოდ. ამ მოვლენებმა ქვეყანაში ისედაც არამყარი სიტუაცია უკიდურესად გაამძაფრეს და ხანგრძლივი პოლიტიკური კრიზისი გამოიწვიეს.

ასეთ ვითარებაში დროებითმა მთავრობამ მოსკოვში სახელმწიფო თათბირი მოიწვია (1917 წ. 12-15 აგვისტო), სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა კი თავის მხრივ მდგომარეობის განმუხტვის საშუალება ქვეყნის დემოკრატიული ძალების კონსოლიდაციაში დაინახა და მათი წარმომადგენლები პეტროგრადში შეკრიბა.¹

გავლენიანი ქართველი სოციალ-დემოკრატების ერთი ნაწილი (ნოე ჟორდანია, ნოე რამიშვილი, აკაკი ჩხერიმელი) მხარს უჭერდა კოალიციური მთავრობის გაუქმებას, მოითხოვდა დამფუძნებელ კრების მოწვევის დაჩქარებას, ასევე, აყენებდა კერძო მესაკუთრეთა მიწების კონფისკაციის, მიწის სახელმწიფო ფონდის დაარსების და დამფუძნებელი კრების მოწვევამდე მთელი მიწების სამიწათმოქმედო კომიტეტების ხელში გადაცემის წინადადებას.² რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში უფრო ფართოდ ჩართულ კარლო ჩხეიძესა და ირაკლი წერეთელს ჯერ კიდევ მიაჩნდათ, რომ ძლიერი კოა-

¹ პეტროგრადის დემოკრატიული თათბირი 1917 წ. 14-22 სექტემბერს გაიმართა.

² გაზ. „საქართველო“, 1917 წ., 21 სექტემბერი.

ლიციური ხელისუფლება შეძლებდა რევოლუციის ბოლომდე მიყვანას.¹

მოსკოვის სახელმწიფო თათბირზე ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარგზავნილმა იოსებ მაჭავარიანმა საქართველოს პოლიტიკური უფლებების დაუყოვნებლივ აღდგენა მოითხოვა.²

დახლოებით იმავე ხანებში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის გაზეთის „საქართველოს“ რედაქტორი გრიგოლ ვეშაპელი წერდა: „ვერც რუსეთის დროებითი მთავრობა, ვერც დამფუძნებელი კრება და ვერც საერთაშორისო კონგრესი საქართველოს საკითხს ვერ გადასწყვეტს სათანადოდ. ...ქართველი ერის ნებისყოფის კანონიერი ორგანო არის მხოლოდ საქართველოს ეროვნული კრება, რომლის მოწვევა უნდა იქცეს ინტერპარტიული საბჭოს უმთავრეს მიზნად.“³

მსგავსი თვალისაზრისი გაძლიერდა პეტროგრადის თათბირიდან დაბრუნებულ ქართველ ფედერალისტთა შორისაც. თუ მანამდე პარტიის ლიდერები ზოგადი ფრაზებით იყარებლებოდნენ და აცხადებდნენ: სხვის იმედზე დარჩენა აღარ შეიძლება. უპირველესი საზრუნავია საკუთარი თავის მოვლა, საჭიროა თითოეულმა ერმა ენერგია და უნარი გამოიჩინოს და საკუთარი ცხოვრება ისე მოაწყოს, რომ მოსალოდნელ

¹ „ჩვენ ასეთ პოზიციას ვადებით: ჯერ უნდა განმტკიცებულ იქნას ის თავისუფლება, რომელიც რევოლუციაშ მოგვიარვა, და შემდეგ განხორციელდეს ეს დიდებული მიზანი. უკრაინელებს ჩვენ ვეუბნებოდით: დაიცადეთ ჯერ, სანამ თავისუფლება და რევოლუცია განმტკიცდება, სანამ მომზადდება ნიადაგი დამოუკიდებლობის განსახორციელებლად. ასვე ვეუბნებოდით ფინელ ამხანაგებს“, - წერდა კარლო ჩხეიძე. იხ. გაზ. „ერთობა“, 1918 წ., 4 აპრილი.

² გაზ. „საქართველო“, 1917 წ., 23 აგვისტო.

³ გაზ. „საქართველო“, 1917 წ., 13 სექტემბერი.

კატასტროფის მსხვერპლი არ გახდეს,¹ ახლა მათი პოზიცია უფრო დაკონკრეტდა და ამგვარად ჩამოყალიბდა: „დადგა დრო, როდესაც უნდა გავიმეოროთ მოხევის დიდებული აზრი: ჩვენი თავი ჩვენვე გვეყუდნოს. ეროვნული უფლების აღდგენა საჭიროა დაუყოვნებლივ“²

„გვეყო რაც დრო დავკარგეთ. საჭიროა საკუთარი დამფუძნებელი კრების მოწვევის თადარიგს შევუდგეთ, თორებ რუსეთის შემაცექრალნი ვგვიანდებით და ვაითუ სამუდამოდ“³ - ირწმუნებოდნენ ეროვნულ-დემოკრატები, რომლებ-საც რუსეთის დამფუძნებელი კრება პანაცეად არც მანამდე მიაჩნდათ.

უნდა ითქვას, რომ ეროვნულ-დემოკრატებს უფრო თანმიმდევრული პოზიცია გააჩნდათ. ისინი რეალისტურად უყურებდნენ მოვლენებს, განუმარტავდნენ ქართველ ხალხს, რომ გადაჭარბებული წარმოდგენა რუსეთის დამფუძნებელ კრებაზე მხოლოდ თავის მოტყუება იქნებოდა. ამასთან, იმასაც მიუთითებდნენ, რომ გარკვეული სარგებლობა ამ კრებასაც შეეძლო მოეტანა. სწორედ ამგვარი აზრია გატარებული გაზეთ „საქართველოს“ რედაქტორის გერონტი ქიქოძის ერთ-ერთ მეთაურ წერილში, რომლის სათაურია: „დამფუძნებელი კრება და საქართველო“. „მოგვცემს თუ არა დამფუძნებელი კრება იმას, რაც გერმოგვა დროებითმა მთავრობამ? – სვამდა კითხვას გ. ქიქოძე და განაგრძობდა: – ქართველი ხალხი დიდი ხნის განმავლობაში იმ იმედით სცხოვრობდა, რომ ერთხელ, როცა იქნება რუსის დემოკრატია მოვა და განკურნავს ჩვენს ძველ ჭრილობებს. აი, რუსის დემოკრატიაც მოვიდა. იმ ადამიანებმა, რომელნიც დღეს დროებით მთავრობაში სხედან,

¹ გაზ. „სახალხოსაქმე“, 1917 წ., 25აგვისტო.

² გაზ. „სახალხო საქმე“, 1917 წ., 6, 7 ოქტომბერი.

³ გაზ. „საქართველო“, 1917 წ., 6 ოქტომბერი.

ჯერ-ჯერობით ვერ შესძლეს ჩვენი მისწრაფების განხორციელება... შეიძლება უფრო გულუწვნი აღმოჩნდნენ ის ადამიანები, რომელნიც მომავალ დამფუძნებელს კრებაში ისხდებიან. ლმერთმა ინებოს. ამ შემთხვევაში ჩვენ მივიღებთ ეროვნულ თავისუფლებას, რომელიც ასე გვენატრება დიდი ხანია“¹

გ. ქიქოძის აზრით, საქართველო რომც ვერ განთავისუფლდეს, დამფუძნებელი კრება მაინც დიდად საჭიროა ჩვენთვის. „ის ჩვენი პოლიტიკური სკოლა მაინც იქნება, თუ ჩვენი თავისუფლების ლაბორატორია არ იქმნა. იქ თვალებით დავინახავთ და ხელით შევეხებით რუსის დემოკრატიას, რომელსაც აქამდე ოცნებაში ვატარებდით და გავთავისუფლდებით ზოგიერთი ბავშვური იღუზისაგან, რომელიც ყოველთვის დიდად მავნებელია პოლიტიკაში. რას მოგვცემს დამფუძნებელი კრება? ეროვნულს თავისუფლებას ან პოლიტიკურ სიუზნებლეს. ორივე შემთხვევაში მოგებული ვიქნებით“,² – დასძენდა პუბლიცისტი, რომელიც სხვა სტატიაში რუსეთის დამფუძნებელ კრებას „მომხიბლავ პოლიტიკურ ოცნებას“ უწოდებდა.³

გაზეთ „საქართველოს“ თანახმად, „რუსეთის დამფუძნებელი კრება ფეტიშად გარდაიქცა და ამიტომ რეტროგრადად და მოღალატედ სთვლიან ყველას, ვინც ეჭვს გამოსთქვამს მოძავალ კრუბულის შემძლებლობაზე რუსეთში მოსახლე ერების ზრახვათა დასაკმაყოფილებლად.“ ეროვნულ-დემოკრატები აკრიტიკებდნენ საქართველოს იმ პოლიტიკურ ძალებს,

¹ გაზ. „საქართველო“, 1917 წ., 28 მაისი; ჯანელიძე ო., ნარკვევები ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან. თბ., 2002, გვ. 319.

² გაზ. „საქართველო“, 1917 წ., 28 მაისი.

³ გაზ. „საქართველო“, 1918 წ., 23 იანვარი.

რომლებიც „სასწაულს მოელიან რუსეთს დამფუძნებელი კრებისაგან.“¹

თანდათან ფედერალისტებიც გააქტიურდნენ. „საქართველო ეხლა აღელვებულ ზღვის ტალღებშია ჩაცურებული და თუ ნაპირს ვერ მიაგნო - დაიღუპება“, - აცხადებდა სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ცნობილი პუბლიცისტი თედო ლლონტი.² სამსონ ფირცხალავა კი პირდაპირ მოითხოვდა: ერთ-ერთ პირველ ნაბიჯად უნდა იყოს საქართველოს დამფუძნებელი კრების (ეროვნული კრების, თათბირის) მოწვევა, რომელიც იკისრებს „საქართველოს საქმეთა სამმართველო ორგანოს“ როლს. სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ეს ერთ-ერთი ხელმძღვანელი არგუმენტად იშველიებდა იმ გარემოებას, რომ „რევოლუციის ხანაში ფაქტები ჰქმნიან უფლებას და თუ ჩვენ გვინდა საქართველოს პოლიტიკურ უფლებათა აღდგენა, გადაჭრით და პირდაპირ უნდა შევუდგეთ ეროვნული მოძრაობის გამოტანას სარევოლუციო ბრძოლის ასპარეზზე“³.

იგივე სამსონ ფირცხალავა საუბრობდა საზოგადოებაში არსებული დამფუძნებელი კრების გაზვიადებული მოლოდინის შესახებ და მიუთითებდა: „ჩვენში თუ რუსეთში საზოგადოდ მეტად ახირებული შეხედულება აქვთ ზოგიერთებს დამფუძნებელი კრების შესახებ. ჰკონიათ, რომ ეს დამფუძნებელი კრება არათუ ახალს პოლიტიკურს და ეკონომიკურს ფორმებს შეიმუშავებს რუსეთისათვის, არამედ ადამიანთა აზრებსაც კი გარდაქმნის, კლასების ფინანსოლოგიას შესცვლის და სხვანაირ კლასობრივ განწყობილებას დაამყარებს; ერებსაც რაღაც სასწაულმოქმედად მოევლინება და ერთბაშად, ერთი

¹ გაზ. „საქართველო“, 1917 წ., 10 ნოემბერი.

² გაზ. „სახალხო საქმე“, 1917 წ., 5 ოქტომბერი.

³ გაზ. „სახალხო საქმე“, 1917 წ., 17 ოქტომბერი.

ხელის გაქნევით ეროვნულ თავისუფლებასაც მიანიჭებს ყველას და სრულ თანხმობას და ძმობას გაამეფებს ერებს შორის.“¹ ს. ფირცხალავას ასეთი მდგომარეობა გონებრივი სიზანტის და პოლიტიკური მოუმზადებლობის ნაყოფად მიაჩნდა და ყურადღებას მათი დაძლევის აუცილებლობაზეც ამახვილებდა.

აღსანიშნავია, რომ პოლიტიკურ კლასის წარმომადგენლებს არ ჩამორჩებოდნენ და ზოგჯერ მათზე მწვავედაც კი აყენებდნენ საკითხებს საზოგადოების, მეტადრე ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლები. სანიმუშოდ რამდენიმე მათგანის შეხედულებას დავიმოწმებ.

მწერალი ლევან მეტრეველი წერდა: „თუ დღევანდელი მთავრობა გვევლინება კეთილისმსურველად და მეგობრად, მაშინ უნდა იწამოს ძახილი ჩვენი სულისა და უფლება ჩვენი“.² ამ უფლებაში ავტორი საქართველოს ტერიტორიულ ავტონომიას გულისხმობდა.

კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვით, „თუ დროებითმა მთავრობამ დამფუძნებელი კრების მოწვევა გააჭიანურა და არარუს ერებისადმი მიმართულმა პოლიტიკამ გეზი არ იცვალა, ნურავინ გაიოცებს, თუ უფლება აყრილმა ერებმა „ცინხის გალავანნ“ გარეშე მდგომთა მოკავშირეობაც არ ითაკილონ თავიანთ ეროვნულ არსებობის უზრუნველსაყოფად“.³

¹ გაზ. „სახალხო საქმე“, 1917 წ., 1 ოქტომბერი.

² გაზ. „სახალხო საქმე“, 1917 წ., 29 სექტემბერი.

³ გაზ. „სახალხო საქმე“, 1917 წ., 13 აგვისტო. უფრო ადრე, ჯერ კიდევ 1916 წლის ივლისში კ. გამსახურდია მიუთითებდა: „მისათვის რომ ქართველი ერის პოლიტიკური სატკიფარი ჯეროვნად მოვლილი იქმნეს, საჭიროა არა მარტო რუსის დამფუძნებელი კრების დასტური, არა-მედ ერთგვარი ინტერნაციონალური გარანტია, რომელსაც ასე თავგამოდებით მოითხოვს ფინლანდია და სანამდის ევროპა კაცობრიობის ავან-

სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ცნობილი მებრძოლი, ევროპაში ჩამოყალიბებული საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრი ლეო კერესელიძე 1917 წელს, შვეიცარიაში, ფრანგულ ენაზე გამოცემულ წიგნაკში ეჭვს გამოთქვამდა: „შეძლებს თუ არა დამფუძნებელი კრება, რომელიც მალე გამოჩნდება პოლიტიკურ სარბიელზე, ახალგაზრდა რუსეთის რესპუბლიკური და სამართლიანი რეჟიმის ქვეშ გააერთიანოს ყველა ის ერი, რომელიც ცარისტულ რუსეთს უარყოფდა?“¹

იმედი თანდათან შორეული ხდებოდა, მაგრამ მომლოდინე საქართველო პოლიტიკურ ორიენტაციას არ იცვლიდა და ისევ რუსეთის ორბიტაზე რჩებოდა. ეს კიდევ ერთხელ და-დასტურდა აკაკი ჩხენკელის სიტყვაში, რომელიც 1917 წლის სექტემბერში პეტროგრადში მოწვეულ დემოკრატიულ თათბირზე წარმოითქვა. ჩხენკელმა განაცხადა, რომ ქართველი ერის მისწრაფებაა „ეროვნულ-ტერიტორიული თვითმმართველობა“, მაგრამ ქართველები და საერთოდ სამხრეთ კავკასიელი ერები არ აპირებენ სეპარატიულ გამოსვლას და რომ ისინი ელოდებიან რუსეთის დამფუძნებელ კრებას.²

ამიერკავკასიის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საკანდიდატო სიების წარდგენის ვადა 12-დან 20 ოქტომბრამ-

გრძეში სდგას, მუდმი და მარად უნდა ვაფასებდეთ ევროპის საზოგადოებრივ აზრს“. გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1916 წ., 4 ივლისი.

¹ Keresselidzé L., La Géorgie et la domination russe, imprimerie Vogt-Schild, Soleure, 1917, p. 37.

² ჯანელიძე ო. სრულიად რუსეთის 1917 წლის დემოკრატიული თათბირი და ქართული პოლიტიკური სპექტრი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ისტორიისა და არქეოლოგიის კვლევითი ცენტრი. შრომათა კრებული, №15, 2018, გვ. 452-453.

დე გადასწია.¹ საქართველოს პოლიტიკური პარტიები მონდო-
მებით ჩაებნენ საარჩევნო სამზადისში.²

ყოველ პოლიტიკურ სუბიექტს, რომელმაც ცენტრალურ
საარჩევნო კომისიაში საკანდიდატო სია წარადგინა, უფლება
ჰქონდა წარმომადგენელი პოლოდა ყველა დონის საარჩევნო
კომისიაში.³

ვიდრე რუსეთი დამფუძნებელი კრების არჩევნებისათვის
ემზადებოდა, 1917 წლის 25 ოქტომბერს (ახალი სტილით -
7 ნოემბერს) ქვეყანაში სახელმწიფო გადატრიალება განხორ-
ციელდა და ხელისუფლებას ბოლშევიკური პარტია დაეპატ-
რონა. ბოლშევიკებს ახლა დამფუძნებელი კრება აღარაფერში⁴
ჭირდებოდათ, მაგრამ მისი არჩევნების ჩაშლა ვერ გაბედეს
და საარჩევნო პროცესში თვითონაც ჩაერთვნენ. ეს გარემოება
იმით იყო განპირობებული რომ, როგორც გაზეთი „ერთობა“
შენიშნავდა: „ვინც უნდა იყოს ძალაუფლების მატარებელი,
დამფუძნებელი კრების გადადება არავის შეუძლია, ზალხი,
მასა, გლეხი და მუშა, მოქალაქე და წვრილი მესაკუთრე,

¹ გაზ. „სახალხო საქმე“, 1917 წ., 5 ოქტომბერი.

² რუსეთის დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილეობისათვის
ამიერკავკასიაში 16 პოლიტიკური ორგანიზაცია დარეგისტრირდა. მხარის
ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მათ ასეთი რიგითი ნომრები მიაკუთ-
ვნა: 1. სოციალ-დემოკრატიული პარტია (მენშევიკები); 2. კადეტები; 3.
სოციალისტ-რევოლუციონრთა პარტია; 4. დაშნაკცუთიუნი; 5. ბოლშევი-
კური პარტია; 6. საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია; 7.
სომეხი კადეტები; 8. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია;
9. სახალხო სოციალისტები; 10. მაკმადიანი ფედერალისტები (მუსავა-
ტი); 11. მაკმადიანი სოციალ-დემოკრატები (გუმეტი); 12. მაკმადიანი სო-
ციალისტების ბლოკი; 13. დასავლეთ ამიერკავკასიის მაკმადიანები; 14.
რუსი მაკმადიანები; 15. ებრაელები (სიონისტები); 16. საქართველოს რა-
დიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტია. გაზ. „სახალხო საქმე“, 1917
წ., 31 ოქტომბერი.

³ გაზ. „ერთობა“, 1917 წ., 3 ოქტომბერი.

ყველა გაფაციცებით ადევნებს თვალყურს დამფუძნებელი კრების მოახლოვებას, ყველას სანატრელად აქვს გადაქცეული მისი მოწვევის დღე. ...ვერც ერთი მთავრობა ვერ გაბედავს დღეს დამფუძნებელი კრების წინააღმდეგ წავიდეს“.¹

საარჩევნო კამპანიის დაწყებისთანავე, პარტიები ცდილობდნენ დამფუძნებელი კრება მუდმივად ყოფილიყო ამომრჩეველთა ყურადღების ცენტრში. თავიანთი წევრებსა თუ მომხრეებს მოუწოდებდნენ, მისულიყვნენ საარჩევნო უბნებში და მხარი დაეჭირათ შეთავაზებული საკანდიდატო სიებისათვის. მაგალითად, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მოუწოდებდა: „არ უნდა დაიკარგოს არც ერთი ხმა. ყოველი ხმა დაუდევრობით და შეუგნებლობით დაკარგული აძლიერებს ჩვენს პოლიტიკურ მტრებს და ყოველი ხმა ძალას და მხნეობას უმატებს ჩვენ პარტიას, რომ დაიცვას ქართველი ხალხის ინტერესები“.²

გაზეთი „საქართველო“ მკითხველს განუმარტავდა: „ჩვენ ქართველებს დრო და გარემოება გვავალებს, რომ სათანადო გულისყურით და ბეჯითობით მოვეკიდოთ არჩევნების საკითხს, რომ არ დავრჩეთ კავკასიაში დაჩაგრული და ჯეროვნად იქნეს წარმოდგენილი ქართველი ერი“.³

ფედერალისტთა პარტიის ერთ საარჩევნო ლოზუნგში გვითხულობთ: „ამხანაგებო და მოქალაქენო! ...ყოველი ხმა ხელს შეუწყობს იმ პარტიას, რომელსაც მშრომელი ხალხის კეთილდღეობა და საქართველოს ავტონომია აქვს მიზნად. ამხანაგებო და მოქალაქენო! ყოველი დაკარგული ხმა – დანაშაულობაა სამშობლოს წინაშე. მოიხადეთ მოქალაქეობრივი

¹ გაზ. „ერთობა“, 1917 წ., 28 ოქტომბერი.

² გაზ. „საქართველო“, 1917 წ., ნოემბერი.

³ გაზ. „საქართველო“, 1917 წ., 10 ნოემბერი.

ვალი“.¹ ფედერალისტები დანარჩენ პოლიტიკურ ძალებს საქართველოს ეროვნულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად ასეთ ლოზუნგს სთავაზობდნენ: „შეთანხმება მინიმუმზე, - ბრძოლა მაქსიმუმისათვის“.²

სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების პირველი ყრილობის (1917 წ. ივნისი) დადგენილების შესაბამისად, ესერებიცა და სოციალ-დემოკრატი მენშევიკებიც აძლიერებენ მუშაობას ამომრჩეველთა მხრიდან ამსეწევიზმის აღმოსავაზვრელად, გლეხთა და მუშათა წრეებში ფართოდ ეწევიან დამფუძნებელი კრების პოპულარიზაციას.

სხვა პარტიებიც ცდილობდნენ განემარტათ მოსახლეობისათვის დამფუძნებელი კრების არსი, დანიშნულება და მნიშვნელობა. გაზეთი „სახალხო საქმე“ წრდა: „დამფუძნებელი კრება არის სახე და შინაარსი რევოლიუციისა, იქ გამოიხატება პოლიტიკური სიმწიფე სახელმწიფოსი, ის არის საფუძველი, წესი, ფორმა - ახალი წეს-წყობილებისა. მთელი ქვეყნა ისე მოეწყობა, როგორც გადაწყვეტს დამფუძნებელი კრება.“³

სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ დამფუძნებელი კრების საარჩევნო სიაში (№1) 36 კანდიდატი წარადგინა. სიის სათავეში იყვნენ: ნოე ჟორდანია, ირაკლი წერეთელი, ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე, ევგენი გეგეშვილი და არშაკ ზურაბიანი.⁴

¹ გაზ. „სახალხო საქმე“, 1917 წ., 18 აგვისტო.

² გაზ. „სახალხო საქმე“, 1917 წ., 22 აგვისტო.

³ გაზ. „სახალხო საქმე“, 1917 წ., 22 აგვისტო.

⁴ ამვე პარტიამ 13-კაციანი სხვა საარჩევნო სია კავკასიის ფრონტის საარჩევნო ოლქშიც წარადგინა.

პარტია თავის წინა საარჩევნო პლატფორმაში დაპირებას იძლეოდა, რომ დამფუძნებელი კრებისაგან მოითხოვდა სახალხო მმართველობის შემოღებას მთელს რუსეთში და ერთპალატიანი დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარებას; რომ იბრძოლებდა ერთა თვითგამორკვევისათვის, მხარს დაუჭერდა დაჩაგრულ ერთა ყველა სამართლიან მოთხოვნას, დაიცავდა მუშათა კლასის ონტერესებს და იზრუნებდა მისი საბოლოო განთავისუფლებისათვის.

პარტია თავის ამომრჩეველს სხვა მნიშვნელოვან დაპირებებსაც აღუთქამდა, კერძოდ: დააყენებდა საკითხს დამფუძნებელი კრების წინაშე, წინადადებით მიემართათ მეომარი სახელმწიფოებისათვის, სამშვიდობო მოლაპარაკების დაუყოვნებლივ დასაწყებად და ზავის ჩამოსაგდებად; ხაზინისაგან მოითხოვდნენ, რომ უზრუნველეყოთ ყველა ინვალიდი, ომში დახოცილთა და დასახიჩრებულთა ოჯახები და აგრეთვე, დახმარება აღმოეჩინათ ომისგან დაზარალებულ მშრომელი ხალხისათვის, ეცდებოდნენ, „დემობილიზაციის დროს სამუშაო მისცემოდა ფრონტიდან დაბრუნებულ ამხანაგებს“.

სოციალ-დემოკრატები აცხადებდნენ, რომ დამფუძნებელ კრებაში მოითხოვდნენ, რათა მთელი მიწა უფასოდ ჩამოერთვას მემამულებს და მშრომელ ხალხს გადაეცეს. „ყველა სახაზინო და საუფლისწულო, სამონასტრო და საეკლესიო და აგრეთვე საკაბინეტო მიწები მშრომელი ხალხის ხელში უნდა გადავიდეს, ხოლო წვრილ მესაკუთრეთ მათი მიწა ხელუხლებელი უნდა დარჩეს“.¹

სოციალ-დემოკრატ მენშევიკთა უმთავრესი საარჩევნო ლოზუნგები იყო: „ხმა მიეცით ზავის, მიწის და თავისუფლების სასარგებლოთ!“

¹ გაზ. „ერთობა“, 1917 წ., 4 ნოემბერი.

„ამხანაგებო! თუ თქვენ გინდათ, რომ მიწა მშრომელს გადაეცეს, თუ თქვენ გსურთ, რომ მიწის საკითხი გლეხების და რევოლიუციის სასარგებლოთ გადაწყდეს, ხმა მიეცით სოციალ-დემოკრატიულ სიას №1“.

„სოციალ-დემოკრატია ერთადერთი პარტია, რომელიც აერთებს ყველა ეროვნებათა მშრომელთ და მათ ინტერესებს ბოლომდის იცავს. სოციალ-დემოკრატია ზღუდეა კავკასიის ეროვნებათა სოლიდარობის. ხმა მიეცით შოვინისტთა წინააღმდეგ სოლიდარობის მქადაგებელ პარტიას. ხმა მიეცით სიას №1“.

„ვისაც სურს რევოლიუციის საბოლოო გამარჯვება, ხმა უნდა მისცეს სოციალ-დემოკრატიის სიას №1“.

სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიამ რუსეთის დამფუძნებელი კრების კანდიდატთა შერჩევა ფედერალური საბჭოს კრებას მიანდო, რომელიც ქუთაისში გაიმართა. ამავე კრებამ იმშველა არჩევნებში შესაძლო მოკავშირეების შესახებ და მივიდა გადაწყვეტილებამდე, რომ ბლოკი სოციალ-დემოკრატიასთან შეუძლებელია, როგორც ცენტრალისტებთან; ნაციონალ-დემოკრატებთან - როგორც ბურჟუაზიულ პარტიასთან და ფედერალიზმის მოწინააღმდეგე ძალასთან. შეკავშირება შესაძლებელია მხოლოდ ესერებთან თუ ისინი აშკარად დაიცავენ ფედერაციულ რესპუბლიკას და საქართველოს აგზონობიას.¹ როგორც ჩანს, ესერებთან შეთანხმება ვერ მოხერხდა, რის გამოც ფედერალისტებმა არჩევნებში მონაწილეობა დამოუკიდებლად მიიღეს. მათ საარჩევნო სიაში (№6) 12 კაცი იყო დასახელებული. სიის პირველი ხუთეული ასე გამოიყურებოდა: გიორგი ლასხიშვილი, ვარლამ (შალვა) ნუცუ-

¹ გაზ. „სახალხო საქმე“, 1917 წ., 8 ოქტომბერი.

ბიძე, გრიგოლ რცხილაძე, შალვა ალექსი-მესხიშვილი და
სიმონ მდივანი.¹

ფედერალისტებმა შეიქმნეს მთავარი საარჩევნო ბიურო. განსაზღვრეს აგიტაციის ფორმები საარჩევნო კამპანიის პერიოდისათვის და აქცენტი უურნალ-გაზეთებში სტატიების პუბლიკაციებზე, დახურულ კრებებზე, სოფლად თუ ქალაქებდ მიტინგებზე, კანდიდატების მიერ ლექციებისა და მოხსენებების კითხვაზე აიღეს. პარტიის თვალსაჩინო წევრთა გამოქვეყნებულ პუბლიკაციებს შორის აღსანიშნავია „დამფუძნებელი კრება და ჩვენი ტაქტიკა“,² „თვითორგანიზაციის უფლება“,³ „რუსის დემოკრატია და რუსეთის ერები“⁴ და სხვ.

1917 წლის ოქტომბრის ბოლოს ფედერალისტთა პარტიამ თავისი საარჩევნო პლატფორმაც გამოაქვეყნა. პლატფორმის ძირითადი არის ასე იყო ჩამოყალიბებული: დამფუძნებელი კრების უპირველესი ისტორიული დანიშნულებაა ახალი საზოგადოებრივ წყობილების შექმნა და დამყარება; რევოლუციის შემდეგ რუსეთი მონარქიულ სახელმწიფოდ ვერ დარჩება. ის აუცილებლად ფედერაციულ-დემოკრატიულ რესპუბლიკას უნდა წარმოადგენდეს. მართვა-გამგეობისა და კანონმდებლობის ყველა ორგანო ხალხისაგან უნდა წარმოსდგებოდეს და მუდმივად ხალხის კონტროლს ექვემდებარებოდეს; ხალხმა უშუალო მონაწილეობა უნდა მიიღოს კანონმდებლობაში, მას უნდა მიენიჭოს საკანონმდებლო ინიციატივის, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევებში პირდაპირი კენჭისყრის (რეფერენდუმის) უფლება.

¹ გაზ. „სახალხო საქმე“, 1917 წ., 17 ოქტომბერი.

² გაზ. „სახალხო საქმე“, 1917 წ., 13 ოქტომბერი.

³ გაზ. „სახალხო საქმე“, 1917 წ., 6 აგვისტო.

⁴ გაზ. „სახალხო საქმე“, 1917 წ., 10 აგვისტო.

პლატფორმაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მსოფლიო ომის დასრულებისა და საერთაშორისო ზავის დადგების მოთხოვნას, ყურადღება გამახვილებული იყო პიროვნებისა და ეროვნულ უმცირესობათა პრობლემებზე და სხვ.

ფედერალისტთა პარტია აყენებდა რუსეთის ტერიტორიული გამიჯვნისა და ფედერაციულ მოწყობის საკითხს. აგრარული პრობლემა პარტიის პროგრამის შესაბამისად უნდა გადაწყვეტილიყო. კერძოდ, მსხვილ მემამულებს მიწა უნდა ჩამორთმეოდა და სოციალიზაციის გზით ხალხს გადასცემოდა. უნდა შემოეღოთ ისეთი წესი, რომ „გლეხობა არავის გაეყვლიფა.“

საქართველოს შინაურ ცხოვრებაში ფედერალისტების საარჩევნო პლატფორმა დეცენტრალიზაციას - აფხაზეთისა და საქართველოს ოსეთისათვის¹ ფართო საოლქო თვითმმართველობის შემოღებას ითვალისწინებდა.²

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ ამიერკავკასიის ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში 13 კაციანი საკანდიდატო სია წარადგინა (№8), რომლის პირველ ხუთეულში შედიოდნენ: გიორგი გვაზავა, სპირიდონ კედია, შალვა ქარუმიძე, იოსებ მაჭავარიანი, სულეიმან ბეჟანიძე.³

1917 წლის 10 ნოემბერს გამოქვეყნდა ეროვნულ-დემოკრატთა წინასაარჩევნო პლატფორმა. პარტია აცხადებდა, რომ „საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მიზანია საქართველოს აღდგენა როგორც თავისუფალი სახელ-

¹ ასე უწოდებდნენ მაშინ შიდა ქართლში ოსებით კომპაქტურად დასახლებულ ტერიტორიას.

² გაზ. „სახალხო საქმე“, 1917 წ., 31 ოქტომბერი.

³ გაზ. „საქართველო“, 1917 წ., 7, 8, 10 ნოემბერი. დაშნაკცუტიუნის საკანდიდატო სიის (№4) პირველ ხუთეულში დასახლებულია იყვნენ: ს. ზორიანი, მ. ოვანესიანი, ა. ოგაჯანიანი, ზავრიევი, ა. შახატუნიანი. იხ. გაზ. „სახალხო საქმე“, 1917 წ., 13 ოქტომბერი.

მწიფოსი. ...პარტია მოითხოვს ყველა კლასთა შეთანხმებას და თანამშრომლობას, რათა ქართველმა ერმა გაერთიანებული ძალებით დაიცვას თავი და მიაღწიოს თავისუფლებას. პარტია მოითხოვს თანასწორობას ქართული რესპუბლიკის ყოველი მოქალაქისა, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა“.

ეროვნულ-დემოკრატები პირდებოდნენ მოსახლეობას, რომ დაიცავდნენ კერძო მესაკუთრის უფლებას, როგორც სოფლად, ისე ქალაქად. პარტია საჭიროდ მიიჩნევდა დიდი მამულების იძულებით გამოსყიდვას საქართველოს მთავრობის მიერ და უმამულო მიწის მუშაკთათვის მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემას.¹

აღსანიშნავია, რომ ეროვნულ-დემოკრატები, განსხვავებით სოციალისტური პარტიებისაგან, ამომრჩეველს არა რუსეთის დემოკრატიული გარდაქმნის დაპირებას აძლევდნენ, არამედ მომავალი თავისუფალი (ავტონომიური) საქართველოს მოდელზე ესაუბრებოდნენ.²

რუსეთის დამფუძნებელი კრების არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის სურვილი გამოხატა ეროვნულ-დემო-

¹ გაზ. „საქართველო“, 1917 წ., 9, 10, 11 ნოემბერი.

² გაზ. „საქართველო“, 1917 წ., 11 ნოემბერი. მოგვიანებით გრიგოლ ვეშაპელი დაწერს: რუსეთის დამფუძნებელი კრების არჩევნებისას „საქართველოში მოქმედი პარტიები უმთავრესად ეროვნული საკითხის გარშემო ებრძოდნენ ერთი მეორეს: მაშინ სოციალ-დემოკრატი თავდაპირებელად ის იყო, ვინც მოლაპან, დემოკრატიულ რუსეთში საქართველოსათვის მოითხოვდა მარტო თვითმმართველობას (ბერძნულად „ავტონომიის“ თქმასაც ვერ ახერხებდნენ); ფედერალისტი მაშინ ის იყო, ვინც დემოკრატიულ რუსეთის ფედერაციას მოითხოვდა და ამ ფედერაციას უკავშირებდა საქართველოს; და ნაციონალ-დემოკრატი მაშინ უმთავრესად ის იყო, ვინც საქართველოს სახელმწიფოს აღდგენას მოითხოვდა მის ისტორიულ საზღვრებში“. იხ გაზ. „კლდე“, 1918 წ., 24 ნოემბერი.

კრატიული პარტიისაგან გამოყოფილმა ჯგუფმა, რომელიც ამ დროისათვის საქართველოს რადიკალ-დემოკრატიულ გლეხთა პარტიად ჩამოყალიბდა.

გლეხთა პარტიამ თავის მთავარ კანდიდატად ცნობილი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე მიხაკო წერეთელი დაა-სახელა. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ რადიკალ-დემოკ-რატთა სია რეგისტრაციაში გაატარა და მას მეთექვსმეტე ნომერი მიაკუთვნა. პარტიამ თავისი საარჩევნო პლატფორმაც გამოაქვეყნა და მოსახლეობას მოუწოდა: „საქართველოს გან-თავისუფლება და მიხაკო წერეთელი განუყრელია. მიეცით ხმა მიხაკო წერეთელს, რომელსაც თქვენის დახმარებით შე-უძინებებთ საქართველოს გასათავისუფლებლად ნაკისრ მე-ტად მძიმე მოვალეობას...“

საქართველო მთლიანი და განუყოფელი, საქართველო დამოუკიდებელი და თავისუფალი... ეს არის ამ უდიდესი მა-მულიშვილის მარადიული ზრახვა და ფიქრი. საქართველო დაცემული და გავერანებული, საქართველო მოტყუებული და ლეჩაქახდილი... ეს არის მარადიული ტანჯვა და გოდება მი-ხეილ წერეთლისა. მიეცით ხმა №16-ს და ამით დაამტკი-ცებთ, რომ თქვენში არ ჩამქრალა სურვილი სამშობლოს სრული განთავისუფლებისა!... მიეცით ხმა №16-ს, თუ გწადი-ათ იხილოთ სამშობლო ისევ ამაყი და თავისუფალი!“¹

დებულებით, კანდიდატად დასახელებულ პირს, არჩევ-ნებში მონაწილეობაზე თავისი თანხმობა წერილობით უნდა დაედასტურებინა. საარჩევნო კომისიას რადიკალ-დემოკრატებ-მაც წარუდგინეს ამგვარი დოკუმენტი. თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ გაზეომა „სა-ქართველომ“ გამოაქვეყნა მ. წერეთლის მოკლე განცხადება, რომელიც ეჭვქვეშ აყენებდა მისი თანხმობის ავთენტიკურო-

¹ გაზ. „ჩვენი რესპუბლიკა“, 1917 წ., 29 ოქტომბერი.

ბას. „გავიგე, რომ ზოგიერთი პარტიები პფიქრობენ რუსეთის მომავალ დაფუძნებელ კრებისათვის ჩემი კანდიდატურის წამოყენებას. მე სრულიად წინააღმდეგი ვარ ამისა და ვსთხოვ ყველას, ჩემი კანდიდატურა არ წამოაყენონ, არც ნაციონალ-დემოკრატიულმა, არც სხვა რომელიმე პარტიაშ. პატივი-სცემით, მიხეილ წერეთელი. სტოკოლმი“¹, – ნათქვამი იყო განცხადებაში.

რადიკალ-დემოკრატიული პარტიის მესვეურებმა უკან არ დაიხიეს და გაზეთ „საქართველოს“ იქით შეედავნენ: სტოკოლმში მყოფი მიხაკო წერეთელის წერილი შვეციიდან ორ დღეში როგორ მიიღეთო.

ეროვნულ-დემოკრატთა თხოვნით, ამიერკავკასიის ცენტ-რალურმა საარჩევნო კომისიამ ექსპერტად ნოე ჟორდანია მიიწვია, რომელმაც სადავო საკითხზე ასეთი განმარტება მისცა: „ჩემდამი წარმოდგენილს ბარათს ცენტრალურ საარჩევნო კომისიისადმი მიხეილ გიორგის ძე წერეთლის მიერ ხელმო-წერილს, რუსულ ენაზედ (რადიკალ-დემოკრატებისა), წერეთლის ხელად ვერა ვცნობ, ხოლო ქართულ წერილს, მის მიერვე ხელმოწერილს (ეროვნულ-დემოკრატებისა), რომელ-შიაც უარს აცხადებს ვისიმე სიით თავის კანდიდატურის წა-მოყენებაზედ, ვსცნობ მის ხელად.“²

ამ დოკუმენტის საფუძველზე, საარჩევნო კომისიამ რა-დიკალ-დემოკრატთა სია (№16) მოხსნა არჩევნებიდან. რუსე-თის დამფუძნებელი კრების არჩევნებში საქართველოს რადი-

¹ გაზ. „საქართველო“, 1917 წ., 31 ოქტომბერი.

² გაზ. „საქართველო“, 1917 წ., 12 ნოემბერი; ასევე, ჯანელიძე ი., ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან, თბ., 2002, გვ. 372-374.

კალ-დემოკრატიული გლეხთა პარტიის სიისათვის მიცემული ხმები მხედველობაში აღარ მიუღიათ.¹

არჩევნებისათვის მოსახლეობაც თავისებურად ემზადებოდა. პერიოდული პრესის ინფორმაციით, განსაკუთრებული საზეიმო სამზადისი მიმდინარეობდა გურიაში: „გადაწყვეტილია არჩევნების დღეს შეწყვიტონ ყოველგვარი მუშაობა, დიასახლისებმა სადილი წინა დღით მოამზადონ. დილიდანვე დაირეკება ყველა ზარი. ხალხო მოიყრის თავს სიმღერით და დროშებით გაემართებიან საარჩევნო ადგილას. თუ ავდარი დარჩა, ქალებისათვის ურმებს შეაბამენ. პარტიულ ქალებს გადაწყვეტილი აქვთ პირველს ან მეორე საარჩევნო დღეს უქალოთ დარჩენილ ოჯახს (უპარტიოს) თვით მიხედონ. გურულ ამხანაგებს სრული იმედი აქვთ 12 500 ხმა პირველ ნომერს მისცენ“, - წერდა გაზეთი „ერთობა“.²

როგორც აღინიშნა, დამფუძნებელი კრების არჩევნებში ხმის მიცემის უფლება მდედრობითი სქესის ამომრჩეველსაც მიეცა. ეს დიდი სიახლე და რეგიონში ამგვარი პირველ შემთხვევა იყო, რის გამოც ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ განსაკუთრებული თადარიგი დაიჭირა. მაგალითად, თბილისის ორ საარჩევნო უბანში - მაიდანში და საბურთალოს

¹ როგორც ჩანს, გლეხთა პარტიის მთავარ კომიტეტს მ. წერეთლის თანხმობა გაუყალბებია, რაკი ეს უკანასკნელი სტოკოლმში ეგულებოდა. სინამდვილეში, სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლი მოღვაწე, უცხოეთში მოქმედი საქართველოს ეროვნული კომიტეტის დაგალებით, სწორედ იმხანად ფარულად თბილისში იყო ჩამოსული და ეროვნულ-დემოკრატ დავით ვაჩნაძის ბინაზე ცხოვრობდა. გაზ. „სალი კლდე“, 1919 წ., 7 ივლისი; ასევე, ვაჩნაძე დ. სამშობლოს სამსახურში (მოგონებები), ჟურნ. „ივერია“, პარიზი-თბილისი, 1992, №1, გვ. 127; 141-144.

² გაზ. „ერთობა“, 1918 წ., 10 იანვარი.

თეატრის შენობაში მუსლიმი ქალებისათვის ცალკე საარჩევნო ყუთები დაუდგამთ.¹

ამიერკავკასიის პროვინციებში ხმის მიცემა ერთი კვირის განმავლობაში უნდა გაგრძელებულიყო, ქალაქებში - 3 დღე. არჩევნები რეგიონში 1917 წლის 12-18 ნოემბერს ჩატარდა.² შედეგები ასეთი იყო: №1. – 569 362 ხმა; №2. – 24 551; №3. – 105 265; №4. – 410 778; №5. – 26 933; №6. – 19 039; №7. – 12 509; №8. – 22 496; №9. – 514; №10. – 394 062; №11. 22 717; №12. – 130 088; №13. 70; №14.- 66 094; №15. 6 973.³

¹ გაზ. „ერთობა“, 1918 წ., 9 იანვარი.

² ქენჭისყრა რუსეთის საარჩევნო ოლქების უმეტესობაში დანიშნულ დროს გაიმართა. ასეთი მასშტაბური არჩევნები მანამდე არასდროს და არსად ჩატარებულა. მარტო დაბეჭდილი ბიულეტენების ოდენობა ერთ მილიარდამდე აღწევდა. 81 საარჩევნო ოლქიდან არჩევნები სრულად ჩატარდა 77-ში. ზოგიერთ ადგილას არჩევნები დეკემბრის ბოლოსა და 1918 წ. იანვრის დასაწყისშიც მიმდინარეობდა. ქენჭისყრაში მონაწილეობა 44-დან 45 მილიონამდე ადამიანმა მიიღო, რაც ელექტორატის დაახლოებით 60-%ს შეადგენდა. <https://www.kp.ru/daily/26784.7/3818076/> არსებობს რამდენადმე განსხვავებული სტატისტიკაც. ლ. სპირინის გამოანგარიშებით, არჩევნებში მონაწილეობა რიცხვი 46 მილიონს შეადგენს, ლ. პროტასოვის თანახმად კი - 48 მილიონს უტოლდება (ელექტორატის 63-64%). Попова О., Идея учредительного собрания Российской истории и его роль в попытке создания правового государства 1917 – начало 1918 г. с. 166.

<http://elar.urfu.ru/bitstream/10995/2744/1/pristr-02-10.pdf> საინტერესო ზოგიერთი სხვა სტატისტიკური მონაცემიც: ამიერკავკასიაში დაიბეჭდა 20 მილიონი ბიულეტენი. გაზ. „სახალხო საქმე“, 1917 წ., 26 ოქტომბერი. ამომრჩეველთა რიცხვი თბილისში 123 588-ს, ქუთაისში - 34 682-ს, ხოლო ქუთაისის მაზრაში - 65 ათასს შეადგენდა. მარტო თბილისის გუბერნიაში რუსეთის დამფუძნებელი კრების არჩევნებისათვის დაიხარვა 233 ათასი მანეთი. გაზ. „სახალხო საქმე“, 1917 წ., 12 ოქტომბერი.

³ გაზ. „საქართველო“, 1918 წ., 10 იანვარი.

მიღებული ხმების მიხედვით (27%) სოციალ-დემოკრატმა მენშევიკებმა გაიმარჯვეს. მარტო ქუთაისის გუბერნიაში 380 ათასიდან მათ 340 ათასი ხმა მოაგროვეს. თბილისში, სადაც ამომრჩეველთა რიცხვი 123 588-ს შეადგენდა,¹ №1-მა სიამ მიღო 32 182 ხმა (დაახლ. 36 %). ქართველ მენშევიკთაგან დამფუძნებელი კრების დეპუტატები გახდნენ: ნოე ქორდანია, ისიდორე და ნოე რამიშვილები, ირაკლი წერეთელი, კარლო ჩხეიძე, აკაკი ჩხერიძე, ევგენი გეგეჭკორი, გრიგოლ გიორგაძე, ვლადიმერ ჯიბლაძე, არშაკ ზურაბოვი.²

ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ მხოლოდ 23 ათასი ხმა მოაგროვა. ამდენივე ხმა მიიღეს სოციალისტ-ფედერალისტებმაც, რაც საკამარისი არ აღმოჩნდა დეპუტატის თუნდაც ერთი მანდატის მოსაპოვებლად.

რუსეთის დამფუძნებელ კრებაში არჩეული იყო მეტად საინტერესო სპექტრი, მათ შორის: ვ. ლენინი, ი. სტალინი, ლ. ტროცკი, ნ. ბუხარინი, ფ. მერჟინსკი, ასევე: ა. კერენსკი, კაზაკთა ატამანები ა. დუტოვი და ა. კალედინი და სხვები.

სულ არჩეულ იქნა 715-დან 766 დეპუტატამდე. როდე-საც დეპუტატთა რიცხვმა 400-ს მიაღწია, გადაწყვიტეს გა-ეხსნათ დამფუძნებელი კრება.³

მას შემდეგ, რაც ქვეყნის მართვის სადაცებს დაუუფლენ, ბოლშევიკები დამფუძნებელ კრებას არსებით მნიშვნელობას აღარ ანიჭებდნენ, მაგრამ ცდილობდნენ კრებასთან დაკავშირებული ყოველი საკითხი თვითონ გაეკონტროლებინათ. დამახასიათებელია ასეთი მაგალითი: პეტროგრადში, თავრი-

¹ გაზ. „ერთობა“, 1917 წ., 4 ნოემბერი.

² ამათ გარდა ესერთა პარტიის სიით, დეპუტატი გახდა ივანე ლორთქიფანიძე, რომელიც რუმინეთის ფრონტის საარჩევნო ოლქში აირჩიეს.

³ <https://www.kp.ru/daily/26784.7/3818076/>

დის სასახლის დარბაზში, სადაც დაგეგმილი იყო დამფუძნებელი კრების გახსნა და მუშაობა, უკვე დეკემბრის შუა რიცხვებში დაიწყეს სათანადო სამზადისი. სავარძლებზე მიამაგრეს ქალალდები დეპუტატთა გვარების აღნიშვნით, მათ შორის, ქართველი დეპუტატების: გეგეჭკორი, წერეთელი, უორდანია და სხვ. გაზეთების ცნობით, „წარწერები ბოლშევკებმა აავლიჯეს, ვინაიდნა ეს დეპუტატები ჩვენს კომისარ ურიცკისთან არ არიან ჩაწერილი.“¹

რუსეთის დამფუძნებელი კრების პირველი (და უკანასკნელიც) სხდომა 1918 წლის 5 (18) იანვარს შედგა. ესწრებოდა 410 დეპუტატი. ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარეულ აირჩიეს ვ. ჩერნოვი, ხოლო მდივნად მ. ვიშნიავი - ესერთა პარტიის თვალსაჩინო წევრები.

ბოლშევკური პარტიის სახელით, დეპუტატმა ი. სვერდლოვმა კრებას დასამტკიცებლად წარუდგინა საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთი პირველი დეკრეტი - „მშრომელი და ექსპლუატირებული ხალხის უფლებათა დეკლარაცია“, რომელშიც ჩამოყალიბებული იყო სოციალისტური სახელმწიფოს ძირითადი პრინციპები და ამოცანები. კრებამ ამ დოკუმენტის არათუ დამტკიცებაზე, - განხილვაზეც კი უარი თქვა.

დამფუძნებელმა კრებამ რუსეთი დემოკრატიულ უკლარაციულ რესპუბლიკად გამოაცხადა, მაგრამ ეს აქტი უკვე დაგვიანებული იყო.²

1918 წლის 6-7 იანვრის ღამით, სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა, ვ. ლენინის

¹ გაზ. „ერთობა“, 1918 წ., 3 იანვარი.

² Попова О., Идея учредительного собрания Российской истории и его роль в попытке создания правового государства 1917 – начало 1918 г. с. 259. <http://elar.urfu.ru/bitstream/10995/2744/1/pristr-02-10.pdf>

წინადადებით, მიიღო დეკრეტი დამფუძნებელი კრების დათხოვნის შესახებ,¹ რაც სწრაფადვე იქნა მოყვანილი სისრულეში.

დამფუძნებელი კრების გარეკვამ, როგორც რუსეთის, ისე სამხრეთ კავკასიისა და საქართველოს მშრომელი ფენების აღშფოთება გამოიწვია. მუშათა ორგანიზაციები გზავნიდნენ საპროტესტო წერილებს და აცხადებდნენ: „მზად ვართ დავიცვათ დამფუძნებელი კრება!“²

თბილისში დამფუძნებელი კრების დამცველი რაზმიც კი შედგა, რომლებშიც მრავლად ეწერებოდნენ მოხალისეები. პერიოდული პრესის ცნობით, „რაზმი მაღლე პეტროგრადს გაემგზავრება, ჯერ-ჯერობით ინსტრუქციებს მოელის დამფუძნებელ კრების დამცველ მთავარი კომიტეტისაგან“.³

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ასე გამოეხმაურა დამფუძნებელი კრების გარეკვას: „რა უნდა ქნას ქართველმა ხალხმა, როდესაც რუსეთი ანარქიის ცეცხლშია გახვეული, როდესაც ჩაქრა უკანასკნელი ლამპარი სინათლისა და ყველაფერი სიბნელემ მოიცვა? ... ქართველი ხალხი დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეს თავის ბედის გამოყოფას იმ ცეცხლწაკიდებულ ბედისგან, რომელსაც დღეს „რუსეთის ბედისწერა“ ეწოდება. ...ჩვენ არ შეგვიძიან თუნდ ერთი წუთი მაინც მეტი გავატაროთ იმ მიცვალებულის საფლავზე, რომელსაც ჩვენ მუდამ ვუვლიდით, ვიდრე ის მოკვდებოდა და რომელზედაც გულწრფელად ვღვარეთ ცრემლები, როცა მოკვდა. ...საქართველოს დამფუძნებელი კრება, აი

¹ ეს გადაწყვეტილება მოიწონა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების III ყრილობამ. იხ. Собрание узаконений и распоряжений рабочего и крестьянского правительства 1918 г. №15 ст. 216.

² გაზ. „ერთობა“, 1918 წ., 14 იანვარი.

³ გაზ. „საქართველო“, 1918 წ., 12 იანვარი.

ერთადერთი ლოზუნგი, რომელიც უნდა აღმოცენდეს იმ ფერ-ფლზე და ნამწვავზე, რომელსაც ეწოდებოდა „რუსეთის დამ-ფუძნებელი კრება“.¹

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდე-რის, ალექსანდრე ასათიანის სიტყვით: „საქართველოს დამ-ფუძნებელი კრების მოწვევა ამჟამად პრინციპისა და პროგრა-მის საკითხი კი არ არის, არამედ პოლიტიკური აუცილებ-ლობა“.² ამავე პარტიის გაზეთი „საქართველო“ 1917 წლის 29 ნოემბრის მოწინავეში წერდა: „ვალდებული ვართ საქარ-თველოს დამფუძნებელი კრების მოწვევა მორიგ საქმედ დავი-სახოთ“.

ასეთივე იყო ფედერალისტების რეაქციაც. ქუთაისში გამართულმა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის კრებამ დაადგინა: დაუყოვნებლივ გადაიდგას პრაქტიკული ნაბიჯები საქართველოს ეროვნული ყრილობის მოსაწვევად, რომლის მთავარ დანიშნულებად უნდა იყოს „საქართველოს სახელმწი-ფოებრივ ფუნქციათა აღმასრულებელი ორგანოს დაწესება“.³

ქართველი სოციალ-დემოკრატი მენშევიკები ჯერ კიდევ ინარჩუნებდნენ იმედს, რომ ვითარება შეიცვლებოდა და რუს-ეთში ძალაუფლებას დემოკრატია დაიბრუნებდა. ისინი კვლა-ვაც რუსეთის დამფუძნებელი კრების ავტორიტეტზე ზრუ-ნავდნენ, რისი დასტურიცაა ამიერკავკასიის სოციალ-დემოკ-რატიული ორგანიზაციების საოლქო კომიტეტის სახელით რსდმპ ცენტრალური კომიტეტისადმი 1918 წლის გაზაფხ-ულზე მიწერილი წერილი. მისი ავტორები ნოე ქორდანია და ირაკლი წერეთელი იყვნენ. წერილში აღნიშნულია: ბრესტ-ლიტოვსკში მიმდინარე მოლაპარაკებაზე ამიერკავკასიის წარ-

¹ გაზ. „საქართველო“, 1918 წ., 9 იანვარი.

² გაზ. „საქართველო“, 1918 წ., 2, 8 ოქტომბერი.

³ გაზ. „სახალხო საქმე“, 1917 წ., 8 ოქტომბერი.

მომადგენელი იმიტომ არ გაგზავნეთ, რომ ამით დამფუძნებელი კრების პრეროგატივა შეიკვეცებოდა, ჩვენ კი ვიცავდით ბოლშევიკების მიერ გათელილ დამფუძნებელი კრების უფლებებსო.¹ ეს, ცხადია, ფუჭი ილუზია იყო. ბოლშევიკებმა წერტილი დაუსვეს რუსეთის დემოკრატიულ განვითარებას. ცნობილია, რომ ვ. ლენინმა 1918 წლის 5 იანვარს „დაკარგული დღე“, ხოლო დამფუძნებელ კრების დეპუტატებს „ხალხი იმ სამყაროდა“ უწოდა.²

ამერიკელი ისტორიკოსი ო. რედკი (Radkey) კითხვას სვამდა: რა იყო დამფუძნებელი კრება? გაურკვეველი სიტუაციების მსხვერპლი თუ რუსეთისათვის უცხო ყვავილი?³ კითხვა დიდწილად რიტორიკული იყო, თუმცა მას პასუხი შეიძლება ასე გაეცეს: 1917 წლის დასაწყისში რუსეთში გამოანათა თავისუფლების მზემ, რამაც წინაპირობა შექმნა ჩაერგოთ დემოკრატის ნერგები, მათ შორის დამფუძნებელი კრების სახითაც, მაგრამ მზის სხივებს არ ეყოთ ძალა, დაემწიფებინათ ნაყოფი და მიეღოთ მოსავალი. რუსეთის პოლიტიკური კლასი და საზოგადოება 1918 წლის დასაწყისში ვერ აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე, ვერ შეძლო იმგვარი კონსოლიდაცია, რომ დაეცვა თებერვლის რევოლუციის თვალსაჩინო მონაპოვარი და დემოკრატიული განვითარების მნიშვნელოვანი საფუძველი - დამფუძნებელი კრება.

¹ გაზ. „სოციალ-დემოკრატი“, 1918 წ., 18 ივლისი.

² Протасов Л., Всероссийское Учредительное собрание. История рождения и гибели. М., 1997, с. 9; ასევე, Раскольников Ф. На боевых постах, Воениздат, М., 1964, с. 252-255.

³ Radkey O., Russia goes to the Polls. The Elections to the All-Russian Constituent Assembly, 1917. Ithaca-London, 1989.

Otar Janelidze

Gori State Teaching University

RUSSIAN CONSTITUENT ASSEMBLY AND GEORGIAN POLITICAL SPECTRUM RESUME

After the 1917 February Revolution, main expectations of the societies both in Russia and Georgia were related to the Constituent Assembly which, apart from the future form of the state, was to solve the truce, land and national issues. The socio-political spectrum of Georgia had a great trust in the Constituent Assembly.

Four major political forces acting in Georgia (Social-Democrats-Mensheviks, Socialist-Federalists, Socialist-Revolutionaries and National-Democratic Parties) actively engaged in the electoral process. Parties explained the essence, purpose and importance of the Constituent Assembly to the population. By means of their published political platforms, they informed the electorate about their promises and called for their support.

Unlike the socialist parties, National-Democrats talked about the model of future free Georgia instead of promises about democratic transformation of Russia.

Elections were held in the South Caucasus on November 12-18, 1917. 15 political organizations in the region took part in it. According to the received votes (27%) Social-Democrat Mensheviks won. The members of the Russian Constituent Assembly were: Noe Jordania, Isidore and Noe Ramishvili, Irakli Tsereteli, Karlo Chkheidze, Akaki Chkhenkeli, Evgeni Gegechkori, Grigol Giorgadze, Vladimer Jibladze and Arshak Zurabov. Ivane Lortkipanidze received the mandate of the SR

party, - Federalists and National-Democrats remained without mandates.

After the Bolsheviks dissolved the Constituent Assembly and the hope of democratic development of Russia came to a stop, the political spectrum of Georgia switched to preparation of the local Constituent Assembly.

მამუკა ჯოლბორდი გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

დავით დადიანის მოღვაწეობის ისტორიდან

სანგრძლივი პრძოლა იმერეთის სამეფოსა და სამეგრელოს სამთავროს შორის XIX საუკუნის დასაწყისში იმით დასრულდა, რომ მთავარმა გრიგოლ დადიანმა (1788-1804) „მტკიცე ზურგის“ უზრუნველსაყოფად რუსეთის ხელისუფლებას თხოვნით მიმართა, სამეგრელოს სამთავრო მის მფარველობაში მიეღო. იმერეთის მეფის, სოლომონ II (1789-1810) ყველა მცდელობა, შემთერიგებინა მეტოქე, უშედეგო აღმოჩნდა - 1803 წლის ივლისში გრიგოლ დადიანმა რუსეთის ერთგულებაზე დაიფიცა, ხოლო 1803 წლის 2 დეკემბერს ხელი მოეწერა სამფარველო ხელშექრულებას.¹

მომდევნო წელს გრიგოლ დადიანი გარდაიცვალა* და მთავრის ტახტი მისმა მცირეწლოვანმა ვაჟმა – ლევანმა დაიკავა (1805-1840). თანამედროვეთა შეფასებით, იგი რბილი ბუნებისა და კეთილშობილი თვისებების მატარებელი პიროვნება იყო, მაგრამ სამთავროს მართვა-გამგეობა მთლიანად გადააბარა ნიკოლოზ ბატონიშვილს („დიდ ნიკოს“), თვითონ კი დროს ნადირობასა და გართობაში ატარებდა. სწორედ ამი-

¹ დუმბაძე მ., დასაგლეთ საქართველო XIX საუკუნის I ნახევარში, თბ., 1959, გვ. 154.

* ქ. ბორობდინის ცნობის თანახმად, იმერეთის მეფე სოლომონ მეორემ, გულმოსულმა ლეჩუმი როგორ წამართვაო, მოაწამელინა გრიგოლ დადიანი, იხ., ქ. ბორობდინი, სამეგრელო და სვანეთი, 1854-1861, მოგონებანი, თარგმნილი თ. სახოკიას ძიერ, 1934, გვ. 4.

ტომაც, სიკვდილის შემდეგ 15000 მანეთი (1500 თუმანი) ვალი დარჩა ქუთაისელი ებრაელებისა და მოგვიანებით ეს თანხა მისი მემკვიდრის, დავით დადიანის გადასახდელი შეიქნა.¹

გარდაცვალებამდე ლევან V დადიანმა თავისი უფროსი ვაჟი, დავითი, აღსაზრდელად მიაბარა ჯერ თავად ვასილ ბებუთოვს, ხოლო შემდეგ ბარონ გრიგოლ როზენს, 1804 წელს კი, მისი თხოვნის თანახმად, რუსეთის იმპერატორმა დავით დადიანი სამეგრელოს მმართველად დანიშნა². 1846 წელს, ლევან V დადიანის გარდაცვალების შემდეგ, ნიკოლოზ პირველის განკარგულებით დავით დადიანი სამეგრელოს მთავარი გახდა (1840-1853).

როგორც მისი მმართველობით დაინტერესებული მკვლევრები აღნიშნავენ, იგი იყო ევროპულად აღზრდილი და განათლებული მთავარი, რომელიც კარგად იცნობდა მაშინდელი რუსეთის სახელმწიფო წყობილებას და პოლიტიკურ ცხოვრებას³. სწორედ დავით დადიანის მმართველობის პერიოდი არის გამორჩეული სამეგრელოს სამთავროს სამეურნეო ცხოვრების აღმავლობის თვალსაზრისით. მარი ბროსე, რომელიც 1848 წელს ეწვია სამეგრელოს, წერდა: „ვინც იცნობს დავით დადიანს, ყველამ იცის, რომ სრულიად არა სჭირია მას კაცმა აქოს. ეს თავადი შესანიშნავია თავისი ჭკუით, შესანიშნავი თავისი აღზრდით, რომელიც მან სპეციალურგში მიიღო, უცხოვრია ევროპაში და იქ ცხოვრების დროს გაცნობია ახ-

¹ ბოროზდინი კ., სამეგრელო და სვანეთი, 1854-1861, მოგონებანი, თარგმნილი თ. სახოკიას მიერ, 1934, გვ. 5.

² Акты, собранные Кавказской археографической комиссией, т. X, 1885, стр. 180.

³ მაკალათია ს., სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 154.

ალ აზრებს და იცის რა აკლია მის ხალხს, მის ქვეყანას“¹.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დავითს ხელისუფლებაში მოსვლისას სამთავროში არასახარბიელო მდგომარეობა დახვდა, რის შესახებაც თვითონაც შეშფოთებული სწერდა თავის ძმას – გრიგოლს ჯერ კიდევ 1835 წელს: „გცდილობ საქმე-ების წარმართვას შორის რეგვენთა და ბრიყვთა გონებათა. ნუ დამგმობ აქამომდე თუ ვერა შემოვიყვანე დაადი ცვლილება, ხელი და ფეხი შეკრული მაქვნ“².

დავით დადიანმა საქმიანობა მართვა-გამგეობის მოწეს-რიგებით დაიწყო – სამთავრო დაყო ოლქებად და თითოეულს სათავეში მდივანბეგი ჩაუყენა, რომელიც განაგებდა სასამართლო და საპოლიციო საქმეებს, დააარსა სამდივნო (კანცელარია), შექმნა მოხელეთა შტატი, რომელიც სახელმწიფო ჯამაგირზე გადაიყვანა. დანიშნა 12 დამოუკიდებელი იურისტი, რომლებიც მართლმსაჯულების საბოლოო არბიტრებს წარმოადგენდნენ. მათ საშუალება მიეცათ, სასამართლო სისტემა დიდგვაროვანთა კონტროლიდან გამოიყვანათ. მთავარმა ასევე აკრძალა ადამიანებით ვაჭრობა, გააუქმა მზითევის ტრადიცია, თანამდებობების მემკვიდრეობით გადაცემა და მოხელეების არჩევა-დანიშვნა მისი სურვილის მიხედვით ხდებოდა³. იგი სამეგრელოდან გაქცეულ ყმებს ქართლ-კახეთიდან აბრუნებდა, მაგრამ ამავე დროს ამ დაბრუნებულებს თავისი მამულების კარი გაუღო და ყველა მათგანი მთავრის მამულებზე დასახ-

¹ მეუნარგია ი., სამეგრელო დავით დადიანის დროს, მასალები და დოკუმენტები სოლომონ ცაიშვილის რედაქციით, თბ., 1939, გვ. 30.

² მეუნარგია ი., სამეგრელო დავით დადიანის დროს, მასალები და დოკუმენტები სოლომონ ცაიშვილის რედაქციით, თბ., 1939, გვ. 8.

³ მაკალათია ს., სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 155.

ლებას ცდილობდა¹. მანვე 1842 წელს სამღვდელოება გაან-თავისუფლა ბაზონყმური დამოკიდებულებისგან.

რა თქმა უნდა, ამ გარდაქმნებს და სამთავროს სასახ-ლის მდიდრულ ცხოვრებას დიდი ხარჯები სჭირდებოდა, ამი-ტომ დავით დადიანი იძულებული გახდა არაპოპულარული ნაბიჯებიც გადაედგა – მან რამდენიმე ახალი გადასახადი და-აწესა, თუმცა ამ დროს სამეგრელოში შემოჭრილი იყო რუ-სეთისა და უცხოეთის კაპიტალი^{*} და ეს გარემოება უკარნა-ხებდა მთავარს ხელი შეეწყო წარმოებისა და ვაჭრობის გან-ვითარებისათვის.

საერთოდ, დასავლეთ საქართველოს მთავრები, განსაკუ-თრებით კი „სამეგრელოს მთავარი დადიანი (დავითი, მ. ჯ.) ცდილობდნენ მიებაძათ ვორონცოვისათვის და თავიანთი სამ-თავრო სახლების ინტერესებისათვის გამოეყენებინათ მისი მხარდაჭერა; თავიანთ ფეოდალურ მეურნეობათა მოწყობის

¹ ბოროზდინი კ., სამეგრელო და სვანეთი, 1854-1861, მოგონებანი, თარგმნილი თ. სახოკიას მიერ, 1934, გვ. 267.

* საინტერესოა, რომ ჯერ კიდევ 1832 წელს, როგორც ტურისტი, სამეგრელოს ეწვია მდიდარი ოსტზეელი მემამულე, გრაფი შტაკელბერ-გი. მას ძალას მოეწონა აქაური ბუნება და მდინარე ცხენისწყლის პი-რას, სოფელ ხუნწან აირჩია ადგილი ახალშენისათვის, სადაც გერმანე-ლებსა და ლატვიელებს დაასახლებდა. გრაფმა ხელსეპრულება დადო ლევან დადიანთან, რომელიც დაამოწმა საქართველო-იმერეთის სამოქალა-ქო პალატამ. იგი საკუთარი ხარჯით კისრულობდა 500 კოლონისტის გადმოყვანას, სულს სამუდამო საკუთრებაში ეძლეოდა 10 დესეტინა მწა (მთავარი თითო დესეტინაზე 5 შაურს ითხოვდა). ხელშეკრულების დადე-ბის შემდეგ, გრაფი წავიდა სამშობლოში და რატომდაც აღარ დაბრუნდა. 1859 წელს მისმა შვილიშვილმა ბაბუის ქადალდებში ნახა ეს ხელშეკ-რულება და კავკასიის რუსული ხელისუფლებისათვის მიუმართავს კოთხ-ვით, პაპიჩემის ხელშეკრულებით თუ შემიძლია ვისარგებლოო, უპასუხი-ათ – დაიგვიანეთო (ის. კ. ბოროზდინი, სამეგრელო და სვანეთი, 1854-1861, მოგონებანი, თარგმნილი თ. სახოკიას მიერ, 1934, გვ. 104).

მხრივაც მთავრები (განსაკუთრებით სამეგრელოს მთავარი) უხვად სარგებლობდნენ რუსეთის მთავრობის დახმარებით. ვორონცოვის დროს კვლავ დაისვა სამეგრელოში რუსული კოლონიის შექმნის საკითხი. დადიანი კისრულობდა, რომ რუს კოლონისტებს დიდი რაოდენობით მიწებს გამოუყოფდა და მეურნეობის გაჩაღებაშიც დახმარებას აღმოუჩენდა... ცოტა ხნის შემდეგ იქ, სადაც მდინარე ცხენისწყალი რიონს ერთვის, სკოპცების სამხედრო მოსახლეობა შეიქმნა¹. ორპირში დასახლებული სკოპცები იხდიდნენ შრომით ბეგარას და მოწეული მოსავლის მეოცედს. მათი დასახლება (1854 წელს მათი გადმოსახლება შეწყდა) ყულევ-თბილის შორის სამდინარო და სახმელეთო გზაზე მნიშვნელოვან სასაწყობო და სავაჭრო პუნქტს წარმოადგენდა².

როგორც იმ დროს სამეგრელოში მყოფი რუსი მოხელე კ. ბოროზდინი აღნიშნავს, დავითი „დილითგან საღამომდე საქმეებში იყო გართული, შეჩვეული იყო თვითონ პირადად ეგეთებინა ყველაფერი, არ უყვარდა თავის საქმეებში სხვა ვინმე ჩაერიცნა“³.

დავით დადიანმა სამეგრელოში დაიწყო კომბოსტოს და კარტოფილის (ზოგი ცნობით, მარწყვის) თესვა, კუბიდან ჩამოიყვანა დარგის სპეციალისტები და სენაკის მიდამოებში დააწყებინა ენდროს მოშენება, ასევე ააღორძინა თუთის ხეების დარგვის ძველი ტრადიცია, გააშენებინა ზეთისხილის ბაღები, ასევე ეკატერინე ჭავჭავაძის მიერ გაშენებულ სასახლის

¹ დუმბაძე მ., დასავლეთ საქართველო XIX საუკუნის I ნახევარში, თბ., 1959, გვ. 276-277.

² გუგუშვილი პ., საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს., ტ. I, თბ., 1949, გვ. 632-633.

³ ბოროზდინი კ., სამეგრელო და სვანთი, 1854-1861, მოგონებანი, თარგმნილი თ. სახოკიას მიერ, 1934, გვ. 63.

ბალში, უცხოელი სპეციალისტების დახმარებით და უცხოეთი-დან გამოწერილი ნერგებითა და თესლებით, ათ წელიწადში წალკოტი გაჩნდა. როგორც კ. ბოროზდინი იხსენებს: „ბალთან იყო საუცხოვო სათბური და საგრუნტე ფარლულები, სადაც 500-ზე მეტი ხე იყო ფორთოხლისა, ლიმონისა, პაპლომონისა, ბანანებისა და სხვა იშვიათი ხეხილისა“¹. მთავარმა „კავკასი-ის სამეურნეო საზოგადოებიდან გამოიწერა 3 ამერიკული გუთანი, ასევე ხელი მიჰყო საუკეთესო ჯიშის პირუტყვის მოშენებას სამთავროში².

შედეგმაც არ დააყოვნა: უკვე 1846 წელს სამეგრელოდან დიდი რაოდენობით სიმინდი იქნა გატანილი ირლანდიაში. იმ-დორინდელ პრესაში (გაზეთი „გუთნისდედა“ ავტ. სერებრია-კოვი და სხვ.) მრავლადაა ცნობები ამის შესახებ. უკვე 1862 წელს კი გურიიდან და სამეგრელოდან ევროპაში (უფრო მეტად ინგლისში) გატანილი იქნა მილიონი მანეთის სიმინდი, რომელიც ასევე დიდი რაოდენობით იყიდებოდა თურქეთშიც³.

ამავე პერიოდში რუსეთის ხელისუფლებამ საქართველოში თამბაქოს კულტურის გავრცელების მიზნით, გამოიწერა სხვადასხვა ჯიშის თამბაქოს ამერიკული და ევროპული ნიმუშები. ეს თესლები დაურიგდათ მთელ რიგ ქართველ მემა-მულებს და მათ შორის დავით დადიანს. ამის შესახებ წერს

¹ ბოროზდინი კ., სამეგრელო და სვანეთი, 1854-1861, მოგონებანი, თარგმნილი ო. სახოკას მიერ, 1934, გვ. 63.

² მეუნარგია ი., სამეგრელო დავით დადიანის დროს, მასალები და დოკუმენტები სოლომონ ცაიშვილის რედაქციით, თბ., 1939, გვ. 95.

³ გოგოლაძე დ., კაპიტალისტური საწარმოები სოფლის მეურნეობა-სა და მრეწველობაში რეფორმამდელ საქართველოში, თბ., 1959, გვ. 22; ჯოლბორდი მ., ლიპარტელიანი ნ., ქართველი და უცხოელი მეწარმეების სამეურნეო-საქველმოქმედო საქმიანობა საქართველოში, თბ., 2016, გვ. 277.

კ. ბოროზდინიც: „აქურს მიწას არავითარი გაპატივება არ სჭიროა^{*}, ისე ხორბალი ერთ-ორმოცად მოდის; სიმინდი და ღომი პირდაპირ საარაკო მოსავალს იძლევიან; კარგად მოდის ბამბა, უმაღლეს ხარისხის თუთუნი, რომელიც ბაზრობაზე ოსმალურ თუთუნის სახელით საღდება; თუთის ზე და ვაზი ყოველ ეზოშია...“¹.

მოკლე ხანში სამეგრელოში მოყვანილი ამერიკული თამბაქო მიეწოდებოდა თბილისის თამბაქოს ფაბრიკებს, ასევე გადიოდა რუსეთსა და ევროპაში.

1840 წელს სამეგრელოში ჩამოვიდა ფრანგი ვაჭარი, გრაფი ალფრედ როზმორდიუკი, რომელმაც ზუგდიდში 1847 წელს (ზოგი ცნობით, 1848 ან 1850 წელს) გამართა აბრე-შუმსახვევი საწარმო. მან საფრანგეთიდან ჩამოიტანა მანქანა-ინსტრუმენტები, ჩამოიყვანა ამ საქმეში გამოცდილი ფრანგი ქალები (ზოგიერთი მათგანი შემდგომში ადგილობრივ მცხოვ-რუბლებს მისთხოვდა), აქვე დაასაქმა 15 ადგილობრივი ქა-ლიც. საწარმო წელიწადში ამზადებდა 50 ფუთზე მეტ აბრე-შუმს, ფუთის ღირებულება მერყეობდა 270-დან 295 მანეთამ-დე, რაც დიდ მოგებას იძლეოდა. მარტო 1851 წელს აქ და-ამუშავეს 13 ფუთი ძაფი, რომელიც ლიონში ფუთი 250 მანე-

* ამასთან დაკავშირებით, კ. ბოროზდინი ერთ ძალზე საინტერესო ამბავს გვიყვება – ერთხელ ორაბირში იგი ორ ფრანგ მებაღეს შეხვედრია, რომელთაგან ერთს, აღტაცებულს სამეგრელოს ნიადაგით, აუღია ერთი მუჭა მიწა და მიუმართავს მისთვის ფრანგულად: „იცით, რომ ერთი მუჭა ასეთი მიწისა, პარიზში 20 ფრანკი ღისრ, მიწა კი არა – შოკოლადია...“ (ბოროზდინი კ., სამეგრელო და სვანეთი, 1854-1861, მოგონებანი, თარგმ-ნილი თ. სახოკიას მიერ, 1934, გვ. 235).

¹ ბოროზდინი კ., სამეგრელო და სვანეთი, 1854-1861, მოგონებანი, თარგმნილი თ. სახოკიას მიერ, 1934, გვ. 99.

თად გაიყიდა¹.

ყირიმის ომის დროს (1853-1856) აბრეშუმსახვევი საწარმო დაიწვა, თუმცა მეპატრონებ 1858 წელს მეფისნაცვლი-საგან მიიღო 4 000 მანეთი საწარმოს აღსაღენად. როზ-მორდიუკი ამასაც არ დასჯერდა, ჩავიდა სტამბოლში და უჩივლა ომერ-ფაშას საფრანგეთის ელჩთან ტუვენელთან, რომლის დიდი მცდელობით, ოსმალეთის მთავრობამ ზარალის სანაცვლოდ გრაფს 15 000 მანეთი გადაუხადა². XIX საუკუნის 60-იან წლებში კავკასიაში აბრეშუმის ჭიის ავადმყოფობის გაჩენამ სანედლეულო კრიზისი წარმოშვა და 1866 წელს საწარმო საბოლოოდ დაიწურა.

დავით დადიანი შეეცადა, როზმორდიუკი თამბაქოს წარმოებითაც დაუინტერესებინა. მისი 1852 წლის „უსტარის“ თანახმად, „გაისყიდების წელიწადში ვიდრე თხუთმეტის ათასიდან ოცს ათას ფუთამდე (იგულისხმება თამბაქო, მ. ჯ.); ეხლა წესდება სიგარის ფაბრიკა ზუგდიდსა შინა ზედამხედველობასა ქვეშე გრაფის როზმორდუქისა...“ ყირიმის ომმა ეს იდეაც ჩაშალა.

დავითმა ასევე მოაწყო არყის გამოსახდელი ქარხნები ზუგდიდსა და სალხინოში³.

ბოროზდინის ცნობით, ამავე პერიოდში სოფელ ორპირში იტალიელ მეწარმე დეზიდორს ძაფის სართავი ქარხნა ჰქონია, სადაც ორთქლზე მომუშავე ორმოცდაათი დაზგა

¹ მეუნარგია ი., სამეგრელო დავით დადიანის დროს, მასალები და დოკუმენტები სოლომონ ცაიშვილის რედაქციით, თბ., 1939, გვ. 152; მაკალათია ს., სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 158.

² ბოროზდინი კ., სამეგრელო და სვანეთი, 1854-1861, მოგონებანი, თარგმნილი თ. სახოკიას მიერ, 1934, გვ. 48.

³ მაკალათია ს., სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 158.

იდგა¹.

დავით დადიანმა ადგილობრივი ვაჭრობის განსავითარებლად ზუგდიდში ბაზარი გახსნა, რამაც ჯერ ადგილობრივ მცხოვრებთა გაოცება, შემდეგ კი დიდი კმაყოფილება გამოიწვია. ბაზარში მისულ მყიდველებს მრავლად დახვდათ ფართლეულის, აბრეშუმის ქსოვილების, შუშის ჭურჭლეულის, რკინეულობის, ხამი აბრეშუმის, თუთუნის და სხვა ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოსაყენებელი საქონლის დუქნები².

ასევე ბაზრობები იმართებოდა რელიგიურ დღესასწაულებზე, სადაც საქონელი საკმაოდ იაფი ღირდა. კ. ბოროზდინის ცნობით: „ერთი ფუთი აბრეშუმი აქ ოთხი თუმანი ღირდა, რასაც შემდეგ ებრაელი ვაჭრები ხუთმაგ ფასში ჰყიდვნენ სტამბოლში, ქილა სიმინდი ორ აბაზად იყიდებოდა, ქათამი --- ორ შაურად, ბატკანი კი --- ოთხ აბაზად. რაც შეეხება ღვინოს, აქაური ღვინოები მაღალ საგემოვნო თვისებებით არ გამოიჩეოდა, თუმცა... ერთი ჯიშის თეთრი ღვინო --- პოპულა, საკმაოდ სასიამოვნო სასელი იყო“³.

დადიანის მმართველობის პერიოდში მის და მისი ძმების მამულებში შხეფიდან სალხინომდე გაშენდა საუკეთესო ვენახები... აქ მოწეული მოსავლიდან აყენებდნენ მაღალი ხარისხის ღვინოებს, რომელთა შორის პირველობდა მთავრის ვენახებში მოყვანილი ძვირფასი ოჯალები. 1852 წლის „უსტარში“ დავით დადიანი შენიშნავდა, რომ სამეგრელოს „კარგი ხარისხის“ ღვინო შავი ზღვის პირის სიძაგრეებსა და

¹ ბოროზდინი კ., სამეგრელო და სვანეთი, 1854-1861, მოგონებანი, თარგმნილი თ. სახოკიას მიერ, 1934, გვ. 307.

² მეუნარგია ი., სამეგრელო დავით დადიანის დროს, მასალები და დოკუმენტები სოლომონ ცაიშვილის რედაქციით, თბ., 1939, გვ. 31.

³ ბოროზდინი კ., სამეგრელო და სვანეთი, 1854-1861, მოგონებანი, თარგმნილი თ. სახოკიას მიერ, 1934, გვ. 236.

იმერეთში იყიდებოდა, თუმცა 50-იანი წლებიდან ვაზის სოკო-ვანმა დაავადებამ საუკეთესო ვაზის ჯიშები გაანადგურა და მეღვინეობის განვითარებაც შეფერხდა*¹.

სამეგრელოს ადგილობრივი წარმოება სხვადასხვა დარგებით იყო წარმოდგენილი – მხეიძენი, ქოჩაკიძენი, მიქაძენი ხე-ტყის წარმოებას, საეკლესიო აზნაურები და გლეხები ხვნა-თესვას, მევენახეობას, ჩალვადრობას, მეაბრეშუმეობას და მენავეობას მისდევდნენ.

დაბა სუჯუნაში დიდი ვაჭრობა იყო გაჩადებული – ვაჭრები აქაური ებრაელები იყვნენ, რომლებიც წმ. გიორგის ეკლესიას ეკუთვნოდნენ². დავით დადიანის მმართველობის პერიოდში ცნობილი ვაჭრები იყვნენ – ცხაკუნია და აბრამა მიხაელაშვილები, დათაია და ერისთო ჭედიები, გიგო ჯანუაშვილი, ოსმან შერ-ოღლი, ხუშუტ-საინ ოღლი. დათაია ჭედია იყო პირველი ვაჭარი, რომელსაც განსაკუთრებული უნარები-სათვის დავით დადიანმა აზნაურობა უბოძა, 1852 წელს კი სათანადო ნდობით აღჭურვილი სამეგრელოს სავაჭრო წარმომადგენლად დანიშნა სტამბოლში. განვითარდა მევახშეობაც, დავით დადიანი ვაჭრობის წამომწყებთ 10%-იანი სესხის საფუძველზე საბრუნავ თანხას აძლევდა³.

როგორც აღვნიშნეთ, დავით დადიანი ყველანაირად ცდილობდა სამეგრელოს სამთავროში სამეურნეო საქმიანობა მო-

* მოგვიანებით დასავლეთ საქართველოს მეღვინეობაში წამყვანი ადგილი დაიკავა ყირიმიდან შემოტანილმა ვაზის ახალმა ჯიშმა „იზაბელამ“ („ადესა“).

¹ ღუმბაძე მ., დასავლეთ საქართველო XIX საუკუნის I ნახევარში, თბ., 1959, გვ. 333-334.

² ბოროზდინი კ., სამეგრელო და სვანეთი, 1854-1861, მოგონებანი, თარგმნილი თ. სახოკიას მიერ, 1934, გვ. 234.

³ ღუმბაძე მ., დასავლეთ საქართველო XIX საუკუნის I ნახევარში, თბ., 1959, გვ. 363.

წინავე პოზიციაზე გაეყვანა, თუმცა მისი მოღვაწეობის შეფასება ამ კუთხით ცალკეულ მკვლევართა მიერ მთლად პოზიტიურად არ იქნა შეფასებული. ჯერ კიდევ მისი თანამედროვე კირილ ბოროზდინი თავის მოგონებაში აღნიშნავდა: „დავითმა იცოდა, რა როგორ უნდა გაეკეთებინა, ყველაფერში ცოდნა ეტყობოდა, თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, რომ ხშირად პირადის სარგებლობისათვის მოქმედებდა... მთელი მისი ზრუნვა და მეცადინეობა იმისკენ იყო მიმართული, რომ თავისი ქონებრივი ინტერესები ისე მოეწყო, მისი ოჯახი რაც შეიძლება კარგათ ყოფილიყო უზრუნველყოფილი მომავალში¹.

ი. მეუნარგიას ნაშრომის წინასიტყვაობაში – „სამეგრელო დავით დადიანის დროს“ – გამომცემელი სოლომონ ცაიშვილი არ ეთანხმება ავტორს, რომ „დავითი კარგი მმართველი იყო და ხალხისათვის „კეთილმოამაგე“, რადგან მთავრის ზოგიერთი რეფორმა ნაადრევი გამოდგა, მისი მოვლა და გაფურჩქვნა მეტ საშუალებას ითხოვდა, ვიდრე მის განკარგულებაში არსებობდა, ამავე დროს არასწორი იყო მთავრის მოქმედება გადასახადების გაზრდასთან დაკავშირებით².

გარკვეულწილად კრიტიკულია მ. ღუბბაძის შეფასებაც, რომელიც წერდა: „საკმაოდ ფართო და ბაზართან დაკავშირებული მეურნეობა ჰქონდა დავით დადიანს. მთელი მისი სამეურნეო მოღვაწეობა მისივე გაზრდილი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ემსახურებოდა... მიუხედავად ენერგიული ცდებისა, დადიანმა მაინც ვერ შესძლო თავის ვრცელ მამუ-

¹ ბოროზდინი კ., სამეგრელო და სვანეთი, 1854-1861, მოგონებანი, თარგმნილი თ. სახოკიას მიერ, 1934, გვ. 9, 65.

² მეუნარგია ი., სამეგრელო დავით დადიანის დროს, მასალები და დოკუმენტები სოლომონ ცაიშვილის რედაქციით, თბ., 1939, გვ. VI-VII.

ლებზე ფართო სასაქონლო მეურნეობის მოწყობა¹.

წარმოდგენილ მკვლევართა შეფასებები დავით დადიანის, როგორც მმართველისა და სანიმუშო მეურნის შესახებ, წინა-აღმდევობრივი და სუბიექტურია. ჩვენი აზრით, ეს შეხედუ-ლებანი იდეოლოგიური კონიუნქტურითაა ნაკარნახევი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დავით დადიანს მემკვიდრეო-ბით ცარიელი ხაზინა და გადაუხდელი ვალები დარჩა და ახალი წამოწყებებისათვის, ბუნებრივია, სახსრები სჭირდებო-და. ამიტომ პატარა ფეოდალური სამთავროს ახალგაზრდა და ენერგიული მმართველი იძულებული გახდა, გარკვეული გადა-სახადები დაეწესებინა. ვფიქრობთ, არც ისაა გასაკვირი, რომ ამ თანხების ნაწილი მთავრის ოჯახის მოთხოვნილებებსაც ხმარდებოდა. როგორც ცნობილია, რუსულ ხელისუფლებას ხელშეწყობაზე კარგად ხელისშეწლა ეხერხებოდა, ამიტომ, რა თქმა უნდა, შეზღუდული ავტონომიის პირობებში დავით და-დიანს მასთან გამკლავება გაუჭირდებოდა. უფრო მეტიც, რო-გორც ცნობილია, მთავარმა სპეციალური სტიპენდია დააწესა, რომლითაც ყოველწლიურად სამეგრელოდან 10 ახალგაზრდა იგზავნებოდა თბილისში პროფესიული განათლების მისაღებად, იყო შემთხვევები, როდესაც რეფორმებს დავით დადიანი პირა-დი ქონების გაყიდვითაც კი აფინანსებდა.

ამდენად, ვფიქრობთ, დავით დადიანი იყო ევროპული ტიპის სახელმწიფო მოღვაწე და, რომ არა ნაადრევი გარდა-ცვალება^{*} და განსაკუთრებით კოლონიური რეჟიმის პირობებ-

¹ დუმბაძე მ., დასაცლეთ საქართველო XIX საუკუნის I ნახევარში, თბ., 1959, გვ. 341.

* იგი 1853 წლის აგვისტოში, 42 წლის ასაკში, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა კუჭის ქრონიკული კატარით, თუმ-ცა იმასაც ამბობდნენ, რომ მოწინააღმდეგე დასმა მოაწამლინა (ბოროტდი-

ში ცხოვრება, მისი საქმიანობა ბევრად უფრო წარმატებული და მასშტაბური იქნებოდა.

დამოწმებანი:

1. Акты, собранные Кавказской археографической комиссией, т. X, 1885.
2. ბოროზდინი კ., სამეგრელო და სვანეთი, 1854-1861, მოგონებანი, თარგმნილი თ. სახოკიას მიერ, 1934.
3. გოგოლაძე დ., კაპიტალისტური საწარმოები სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში რეფორმამდელ საქართველოში, თბ., 1959.
4. გუგუშვილი პ., საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს., ტ. I, თბ., 1949.
5. დუმბაძე მ., დასავლეთ საქართველო XIX საუკუნის I ნახევარში, თბ., 1959.
6. მაკალათია ს., სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941.
7. მეუნარგია ი., სამეგრელო დავით დადიანის დროს, მასალები და დოკუმენტები სოლომონ ცაიშვილის რედაქციით, თბ., 1939.
8. ჯოლბორდი მ., ლიპარტელიანი ნ., ქართველი და უცხოელი მეწარმეების სამეცნიერო-საქველმოქმედო საქმიანობა საქართველოში, თბ., 2016.

ნი კ., სამეგრელო და სვანეთი, 1854-1861, მოგონებანი, თარგმნილი თ. სახოკიას მიერ, 1934, გვ. 7).

Mamuka Jolbordi
Gori State Teaching University

**FROM THE HISTORY OF THE WORK OF
DAVIT DADIANI
RESUME**

The work of Samegrelo Governor, Davit Dadiani (1840–1853) is studied and evaluated in the paper. It has been argued that Davit Dadiani was a statesman of a European type, and if it was not for his early death, especially living in the colonial regime conditions, his work would have been much more successful.

თამარ ანთაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ვარლამ ჩერქეზიშვილი ნაპოლეონ მესამის შესახებ

ცნობილი ქართველი პოლიტიკოსი, ქართული ანარქიზმის მამამთავარი, ვარლამ ჩერქეზიშვილი ფართო დიაპაზონის მოღვაწე იყო. მისი საქმიანობა არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ პოლიტიკური ასპარეზით. ის თავისი დროის ცნობილი პუბლიცისტი, უურნალისტი იყო. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იძყრობს მისი ეპისტოლარული მემკვიდრეობა, სადაც ის ამჟღავნებს საქმაო ჩახედულობას დასავლეთ ევროპის ახალ ისტორიაში, ისტორიოგრაფიაში, კულტურაში, მუსიკაში, სახვით ხელოვნებაში, სიტყვაკაზმულ მწერლობაში. ვარლამ ჩერქეზიშვილის სახით საქმე გვაქვს თავისი ეპოქის ერთ-ერთ ფრიად განათლებულ და ერუდირებულ პიროვნებასთან, რომელიც კარგად იცნობდა არა მარტო თავისი სამშობლოს საქართველოს ისტორიას, არამედ საქმაოდ კარგად ერკვეოდა დასავლეთ ევროპის ახალ ისტორიაში.

ამ კუთხით ქართული საზოგადოება მის მოღვაწეობას შედარებით ნაკლებად იცნობდა, ამიტომ ამ ასპექტში საკითხის გაშუქება საინტერესო იქნებოდა და საშუალებას მოგვცემს წარმოვაჩინოთ მისი მოღვაწეობის ერთი პატარა, მაგრამ საინტერესო და ახალი წახნაგი. ვარლამ ჩერქეზიშვილის წვლილი დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის პოპულარიზაციის საქმეში. იმ პერიოდის ქართული რეალობის ფონზე, როდესაც დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის საკითხებზე

მშობლიურ ენაზე მეტად მწირი ინფორმაცია გაგვაჩნდა, ეს სიახლეს წარმოადგენდა და წინგადადგმული ნაბიჯი იყო. ვარლამ ჩერქეზიშვილმა თავისი წვლილი შეიტანა და შეძლებისდაგვარად შეეცადა წინ წაეწია საქართველოში დასავლეთ ეკროპის ახალი ისტორიის პოპულარიზაცია. ამ სფეროში მისი მთავარი დამსახურება, ვფიქრობთ, სწორედ ამაში უნდა მდგომარეობდეს.

ამ თვალსაზრისით ყურადღებას იყენობს 2011 წელს პროფესორ დიმიტრი შველიძის თაოსნობით გამოცემული ვარლამ ჩერქეზიშვილის თხზულებების პირველი ტომი, სა-დაც თავმოყრილია მისი ეპისტოლარული მემკვიდრეობა, რო-მელიც აღნიშნული საკითხის გაშუქების დროს ჩვენს მთავარ წყაროდ მოგვევლინება.¹

ამჯერად საუბარი გვექნება ვარლამ ჩერქეზიშვილის დამოკიდებულებაზე საფრანგეთის იმპერატორ ნაპოლეონ III (1852-1870). საკითხი არის საინტერესო და აქტუალური. ამ კუთხით ეს თემა ისტორიულ-სამეცნიერო ლიტერატურაში გაშუქებული არ ყოფილა.

ვარლამ ჩერქეზიშვილს სპეციალური ნაშრომი, ნარკევი ან სტატია ნაპოლეონ III-ზე არ დაუწერია. აღნიშნულ სა-

¹ ჩერქეზიშვილი ვ. თხზულებები, ტ. 1. შემდგენელი და რედაქტორი პროფ. დიმიტრი შველიძე, თბ., 2011. ამ საკითხზე იხილეთ კალანდა-ძე მ., ემიგრანტის ნააზრევი, ვარლამ ჩერქეზიშვილის თხზულებების პირ-ველი ტომი - „საქართველოს რესპუბლიკა“, 2 მაისი, 2012. ამ საკითხის ისტორიოგრაფიულ მხარეზე ის. კალანდაძე მ., ვარლამ ჩერქეზიშვილი აღმოჩენის დე ტოკვილზე - „ჩვენი მწერლობა“, №24, თბ., 2014, კალან-დაძე მ., ვარლამ ჩერქეზიშვილი და დასავლეთ ეკროპის ახალი ისტორიის ისტორიოგრაფია – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახე-ლმწიფო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. მეც-სრე საფაკულტეტო კონფერენცია მიძღვნილი აკადემიკოს გიორგი ჩიტაი-ას დაბადებიდან 125 წლისთავისადმი, თბ., 2015.

კითხზე შეიძლება ვიმსჯელოთ მისი ცალკეული გამონათქვა-
მების მიხედვით, რომელსაც გადავაწყდით მის ეპისტოლა-
რულ მემკვიდრეობაში და რომელიც პირველად შემოგვაქვს
სამეცნიერო მიმოქცევაში. რა თქმა უნდა, ეს მწირი ინფორმა-
ცია ძალიან ცოტაა, მაგრამ მისი შეუფასებლობა სწორი არ
იქნებოდა. შევეცდებით გამოვარკვიოთ თუ როგორი შეიძლება
ყოფილიყო ვარლამ ჩერქეზიშვილის დამოკიდებულება საფ-
რანგეთის იმპერატორის ნაპოლეონ ბესამისადმი. მასალის
სიმწირიდან გამომდინარე კატეგორიულად არაფერს ვამტკი-
ცებთ და ვარაუდის სფეროთი შემოვიფარგლებით.

* * *

ნაპოლეონ მესამეს ისტორიამ მეტად მნელი ბედი არ-
გუნა. ის თავისი დიდი ბიძის ნაპოლეონის ჩრდილში აღმოჩნ-
და. ამიტომ მისი მოღვაწეობისადმი ზოგჯერ სკეპტიკურ და-
მოკიდებულებას იჩენდნენ. ეს განწყობილება გამოხატა ცნო-
ბილმა ფრანგმა მწერალმა ვიქტორ ჰიუგომ. მან ნაპოლეონ
III „პატარა ნაპოლეონი“¹ უწოდა. სრულიად საპირისპიროდ
აფასებდნენ ნაპოლეონ III მოღვაწეობას ბონაპარტისტულ
ლიტერატურაში. ისინი ხოტბას ასხამდნენ ნაპოლეონ III მო-
ღვაწეობას, რაც მისი დიდი ბიძის, ნაპოლეონის, კულტის
გამოძახილი იყო. მის ერთ-ერთ მთავარ ტონის მიმცემად
ცნობილი ფრანგი ისტორიკოსი შარლ სენიობოსი გვევლინე-
ბა.² ორივე ეს უკიდურესობა მიუღებელია. ჭეშმარიტება, რო-
გორც წესი, სადღაც შეაში ძევს. ისტორიკოსები ნაპოლეონ
III პოლიტიკას ორ პერიოდად ყოფენ: 50-იანი წლები, რო-
მელსაც უფრო ოპტიმალურ ხანად მოიაზრებენ. განსაკუთრე-

¹ Гюго В, Наполеон малыш, собр. соч. т. 5. М. 1954.

² Сеньобось Ш. Политическая история современной Европы, Москва – Петроград, 1923.

ბით აღსანიშნავია ყირიმის ომში მოპოვებული წარმატება.¹ 60-იანი წლები, როდესაც თავი იჩინა მეორე იმპერიის კრიზისის პირველმა სიმპტომებმა. 1870 წლის კატასტროფა ამის ლოგიკური დაგვირგვინება იყო.²

შარლ ლუი ნაპოლეონი დაიბადა 1808 წლის 20 აპრილს პარიზში. მისი მამა იყო ნაპოლეონ ბონაპარტის ძმა, პოლანდის მეფე ლუი ბონაპარტი (1778-1846), დედა იყო ნაპოლეონის გერი გენერალ ალექსანდრე ბოპარნეს და უზეფინას ქალიშვილი, პორტუგალიერი ბოპარნე (1783-1837). ის იყო ნაპოლეონ ბონაპარტის ძმისშვილი.

1848 წლის 10 დეკემბერს არჩეული იქნა საფრანგეთის მეორე რესპუბლიკის პრეზიდენტად, ხოლო 1852 წლის 2 დეკემბერს, ზუსტად 47 წლის შემდეგ, როდესაც მისი ბიძა ნაპოლეონ ბონაპარტი პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში იმპერატორად ეკურთხა, ის გახდა საფრანგეთის იმპერატორი და სამირკველი ჩაუყარა საფრანგეთის ისტორიაში მეორე იმპერიას (1852-1870). (პირველი იმპერია იყო ნაპოლეონის დროს – 1804-1815). საფრანგეთ-პრუსიის ომი 1870-1871 წლებში მისთვის კატასტროფით დასრულდა. 1870 წლის 4 სექტემბერს სედანთან ბრძოლაში ნაპოლეონი დამარცხდა და ტყვედ ჩავარდა. ფრანგი ისტორიკოსები ამას „სედანის კატასტროფას“ უწოდებენ. 1870 წლის 4 სექტემბრის რევოლუციის შედეგად ნაპოლეონ III ტახტი დაკარგა. 1871 წლის 19 მარტს გათავისუფლებული იქნა პრუსიელთა ტყვეობიდან. ნაპოლეონ III ცხოვრების ბოლო წლები ინგლისში გაატარა.

¹ Тарле Е. Кримская война, часть 1-2. соб. соч. 12 томах, т. 8-9. М., 1959.

² Желубовская Э. Крушение второй империи и возникновение третьей республики во Франции, М., 1956. История Франции, т. 2, М., 1973.

1873 წლის 9 იანვარს გამთენისას ნაპოლეონ III თირკმლების უქმარისობით გარდაიცვალა.¹

ნაპოლეონ III პიროვნებით ვარლამ ჩერქეზიშვილის დაინტერესება, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ ყოფილა და მთელ რიგ კონკრეტულ საკითხებთანაა დაკავშირებული. ასეთი მრავალფეროვნება მისასალმებელია, მის ინფორმირებულობაზე უნდა მეტყველებდეს და ამ თემაზე მისი მსჯელობის მთავარ ღირსებად მიგვაჩნია, რაც ემპირიული, ფაქტოლოგიური მასალის ცოდნის ლოგიკური შედეგია.

ნაპოლეონ III ვარლამ ჩერქეზიშვილის დამოკიდებულება თავისებურ ხასიათს ატარებს, ისიც იმით გამოიხატება, რომ ის მიზნად არ ისახავს საფრანგეთის იმპერატორის ცხოვრების და მოღვაწეობის გაშუქებას, მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხილვას. ის ნაპოლეონ III სახელს მხოლოდ გაკვრით, სხვა საკითხებთან კავშირში მოიხსენიებდა. ეს, ცხადია, ართულებს საქმეს და ხელისშემძლელ გარემოებას წარმოადგენს აღნიშნული საკითხის გამოსარკვევად, მაგრამ თუ კარგად ჩაუკვირდებით, აუცილებლად აღმოვაჩენთ რაღაც ხელის ჩასჭიდებელს, რაც საშუალებას მოგვცემს ვცადოთ გამოვარკვით, თუ როგორი შეიძლება ყოფილიყო ვარლამ ჩერქეზიშვილის დამოკიდებულება ნაპოლეონ III. ეს, ცხადია, ძალიან კარგია.

ვარლამ ჩერქეზიშვილის ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით რამდენჯერმე მოიხსენიება საფრანგეთის იმპერატორის ნაპოლეონ III (1808-1873) სახელი. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ის ამას

¹ Эрбе. М. Наполеон III (1848/52-1870) – Французские короли и императоры, р/д 1997. საინტერესოა მაქს დიუნგის წიგნი „ნაპოლეონ III ბონაპარტი ისტორიის სამსჯავროს წინაშე“. М. Дунг, Наполеон III Бонапарт перед судом истории, М., 1871.

აკეთებს სხვადასხვა ასპექტში, განსხვავებულ თემებზე (მურნეობა, განათლების სისტემა, პოლიტიკა). აღბათ, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ სტრიქონებს შორის კარგად ჩანს, თუ როგორი შეიძლება ყოფილიყო ნაპოლეონ III მისი დამოკიდებულება. აი ეს არის მთავარი.

აღბათ, ვარლამ ჩერქეზიშვილი ნაპოლეონ III მოღვაწეობას გაცილებით უფრო კარგად იცნობდა, ვიდრე ეს მისი ნაწერებიდან ჩანს. ის გაცილებით უფრო ინფორმირებული იქნებოდა. ამ თემაზე მსჯელობის დროს ეს აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იქნას. წინააღმდეგ შემთხვევაში ის ნიუანსებში, წვრილმანებში, ასე ჩახედული ვერ იქნებოდა.

ვარლამ ჩერქეზიშვილის ნაწერებში საფრანგეთის იმპერატორის სახელი პირველად მოიხსენიება მეორმოცე გვერდზე მის სტატიაში „ხვანა-თესვის და მეურნეობის საქმე ინგლისში“, რომელიც დაიბეჭდა „ივერიაში“ 1893 წლის 23 ივნისს №131, 24 ივნისს №132 და 30 ივლისს №161. ჩვენთვის საინტერესო თემას ის ეხება პირველ ნაწილში, რომელიც ორ მონაკვეთადაა გაყოფილი. აღნიშნულ საკითხზე, სწორედ, მეორე მონაკვეთშია საუბარი. აი რას წერდა ვარლამ ჩერქეზიშვილი: „30 წლის წინად, ამ ვაზის ყურძენი, რომელიც მწიფდებოდა იანვარში, იყიდებოდა გირვანქა 25 ფრანკად, ხოლო ნაპოლეონ III-ის 50 ფრანკად, ჰყიდულობდა ერთ გირვანქას ჩრდილო ინგლისში მოკრეფილ ყურძენს“.¹ ვარლამ ჩერქეზიშვილი ამჟღავნებს ისტორიული ფაქტების კარგ ცოდნას, რაც ამ თემაზე მისი მსჯელობის პლუსია, მაგრამ ის გაკვრით შეეხება ნაპოლეონ III პირვენებას და, ცხადია, მისი მოღვაწეობის შეფასებას არ ისახავდა. ამ მსჯელობას შემეცნებითი დატვირთვა აქვს და პირველ რიგში

¹ ჩერქეზიშვილი ვ. თხზულებები, ტ. 1. თბ., 2011, გვ. 40.

ქართულ საზოგადოებას ამ კონკრეტულ საკითხზე გარკვეულ წარმოდგენას შეუქმნის. მთავარი სწორედ ეს იყო.

ვარლამ ჩერქეზიშვილის ნაწერებში ნაპოლეონ III სახელი მეორედ მოიხსენიება ასოციამეშვილე გვერდზე. ყურადღებას იპყრობს გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე 1900 წლის 4 აპრილს (№74) დაბეჭდილი საინტერესო სტატია „წერილები ინგლისიდან“ (სიტყვის და მიტინგის თავისუფლება). ამ სტატიას ნაპოლეონ III მიმართებაში უფრო მეტი გამჭვირვალეობა ახასიათებს. ეს წინგადადგმული ნაბიჯია. აი რას წერდა ვარლამ ჩერქეზიშვილი თავის სტატიაში: „მაგრამ „კერჯერობით“ რაღა? ნუთუ ინგლისის სახელმწიფო კაცს (იგულისხმება ოსტინ ჩემბერლენი – თ.ა.) შეუძლიან შეითვისოს ნაპოლეონ მე-III-ის დროის პოლიციის ხრიკები და ხრიკების შემწეობით განგებ მოახდინოს უწესობანი, რომ შემდეგ თვითვე დამშვიდებასა და დაწყნარებას შეუდგეს“.¹ ვფიქრობთ, მრავლისმეტყველი უნდა იყოს, რომ მთელ ამ მსჯელობას უარყოფითი კონტექსტი გააჩნია და მისი კრიტიკული ისრები, პირველ ყოვლისა ოსტინ ჩემბერლენის მოღვაწეობის წინააღმდეგაა მიმართული. საფრანგეთის იმპერატორის ნაპოლეონ III სახელი, სწორედ, ამ ნეგატიურ კონტექსტში ფიგურირებს. ჩვენი აზრით, ეს საინტერესო უნდა იყოს და ვფიქრობთ, რაღაცას უნდა ნიშნავდეს. ვარლამ ჩერქეზიშვილს ნაპოლეონ III, XIX საუკუნის მეორე ნახევრის პოლიტიკოსის სინონიმად ხომ არ ესახებოდა?

საფრანგეთის იმპერატორის ნაპოლეონ III სახელი მესამედ იხსენიება არა 219-ე გვერდზე, როგორც ეს სახელთა საძიებელშია მითითებული,² არამედ ორასოც გვერდზე. შესა-

¹ ჩერქეზიშვილი ვ. თხზულებები, ტ. 1, თბ., 2011, გვ. 127.

² ჩერქეზიშვილი ვ. თხზულებები, ტ. 1, თბ., 2012, გვ. 494.

ძლოა, ეს კორექტური შეცდომაც იყოს, ეს არის მისი სტატია „XIX საუკუნე. ცვლილებები კაცობრიობის ისტორიაში“, რომელიც დაიბეჭდა „ივერიაში“ 1901 წლის 2 თებერვალს (№31) გაგრძელებით. საფრანგეთის იმპერატორის ნაპოლეონ III სახელი აქ განათლების სისტემაში მიმღინარე სიახლეებთან დაკავშირებით ფიგურირებს. აი რას ვკითხულობთ აქ: „განათლება მე-50 წლებშივე ისე გაძლიერდა, რომ ნაპოლეონ მესამის მინისტრი, რეაქციის მომხრე ტოკვილი, თავის წიგნში - „დემოკრატია ამერიკაში“ ამ გარემოებას მერმისის-თვის საშიშად სთვლიდა.¹ უწინარესად, ყურადღებას იპყრობს ვარლამ ჩერქეზიშვილის შსჯელობის პოლემისტური ტონი, რომელიც ეკამათება ფრანგ პოლიტიკოსს და მეცნიერს გრაფ ალექსის დე ტოკვილს, რომელიც, როგორც ჩანს, ამ ნოვაციების მიმართ სკეპტიკურ დამოკიდებულებას ამჟღავნებდა და რომელსაც ვარლამ ჩერქეზიშვილი დადებითად ეკიდებოდა. ეს იყო სწორი მიღომა, რომელიც ამ თემაზე მისი მსჯელობის პლუსია. გამოჩენილი ფრანგი ისტორიკოსის ალექსის დე ტოკვილის რეაქციის მომხრედ მოხსენიება, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და მკაცრად ჟღერს.² ამ კონკრეტულ შემთხვევაში საფრანგეთის იმპერატორის ნაპოლეონ III სახელი მხოლოდ გაკვრით იხსენიება.

ვარლამ ჩერქეზიშვილის ნაწერებში ნაპოლეონ III სახელი კიდევ ერთხელ იხსენიება მის საინტერესო სტატიაში „წერილები ლონდონიდან, სასკოლო რეფორმა“, რომელიც გამოქვეყნდა „ცნობის ფურცელში“, 1903 წლის 4 ივნისს (№2170). როგორც სათაურიდანაც კარგად ჩანს ის ეხება ფრიად აქტუალურ თემას, ფასიან სწავლებას, სწავლის გა-

¹ იქვე, გვ. 220.

² ამ საკითხზე იხ. კალანდაძე მ., ვარლამ ჩერქეზიშვილი ალექსის დე ტოკვილზე, „ჩვენი მწერლობა“, №24, თბ., 2014

დასახადს. ალბათ, მკითხველი იკითხავს, რა შუაშია აქ საფრანგეთის იმპერატორი ნაპოლეონ III და მართალიც იქნება, მაგრამ არის ერთი გარემოება. როდესაც ვარღამ ჩერქეზი-შვილი საუბრობს სწავლის გადასახადზე უარის თქმაზე ერთ პარალელს ავლებს და მოჰყავს ნაპოლეონ III მაგალითი. საფრანგეთის იმპერატორის სახელი მის წერილში სწორედ ამ კონტექსტში ჩნდება და ამის გვერდის ავლა, წაყრუება, ჩვენს ხელთ არსებული მწირი ინფორმაციის პირობებში, მიზანშეწონილი არ იქნებოდა. ეს პარალელი საინტერესოა და აქ კარგად ჩანს გარღამ ჩერქეზიშვილის განწყობილება. მისი პოლიტიკური სიმპათია, ანტიპათია, აქ ის ნებსით თუ უნდღიერ ერთმანეთს ადარებს ბონაპარტისეულ რეჟიმს და რესპუბლიკურ მმართველობას. მისი სიმპათია საკმაოდ გამჭვირვალეა და რესპუბლიკისკენ უფრო იხრება. ამგვარი მიდგომა, რა თქმა უნდა, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და მისი გასაღები ვარღამ ჩერქეზიშვილის მსოფლმხედველობაში, მემარცხენე შეხედულებებში, უნდა ვეძიოთ. როცა ნაპოლეონ მე-III იძულებული იყო, 1852 წლის დეკემბერს სახელმწიფო ცვლილებების დროს განდევნილი რესპუბლიკელებისათვის ამინისტია მიეცა, ერთმა დაბრუნებულმა რესპუბლიკელმა გამბონმა გამოაცხადა: ამ მთავრობას, რომლისთვისაც უიცი არ მიმიცია, გადასახადს არ მივცემო. მაშინ ყველანი მიჰევდნენ, რომ ფიცის გამტებ მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლა მალე დაიწყებაო. მართალია, ძლიერ კი ცდილობდნენ, გამბონი სასაცილოდ აეგდოთ, ნაპოლეონ მე-III მსახურნი ამბობდნენ, „გამბონმა იცის, რომ გლეხები იყიდიან იმის ძროხას, იმის მაგიერ გადასახადს გადაიხდიან და ისევ უკან მიჰევრიან ძროხასო“. მართლაც ასე მოხდებოდა ხოლმე, გამბონ გადასახადს არ გაისტუმრებდა, ძროხას წაართმევდნენ, საჯაროდ გაუყიდიდდნენ, გლეხები იყიდდნენ იმის ძროხას და დი-

დის ამბით, სიმღერით ისევ პატრონს მიჰყვრიდნენ წოლმე... ისტორიული მნიშვნელობა მოიპოვეს და რაც დრო მოვიდა, იმავე გლეხებმა „მამა გამბონი“ დეპუტატად აირჩიეს, რადგან კარგად იცოდნენ, რომ გამბონი იმათი კაცი და ნამდვილი მოსარჩლე იყო. გამბონი ნამდვილადაც ასეთი იყო.¹ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საერთოდ ბონაპარტიზმისადმი და კონკრეტულად ნაპოლეონ III-ისადმი მთლად კეთილგანწყობილი არ უნდა ჩანდეს. თუ აქ ამან ირიბი ფორმით იჩინა თავი შემდგომ წერილზე ამას ვერ ვიტყვით. აქ ნაპოლეონ III ვარლამ ჩერქეზიშვილის დამოკიდებულება საქმაოდ გამჭვირვალე და მისადმი ვარლამ ჩერქეზიშვილის მიღების თავისებურ რეზიუმედ მიგვაჩნია.

ამჯერად ის ნაპოლეონ III მოღვაწეობას უშუალოდ შეეხება და პირდაპირ გამოთქამს თავის დამოკიდებულებას. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იყყრობს გაზეთ „ცნობის ფურცელში“ 1903 წლის 1 ივნისს (№2196) გამოქვეყნებული საინტერესო სტატია „წერილები ლონდონიდან“, სადაც ის ეხება მთელ რიგ აქტუალურ საკითხებს: ეკოლოგიური პრობლემები – წყალდიდობა და სიცივე, მოძრაობა თავისუფალი ვაჭრობის წინააღმდეგ, ინგლისის კოლონიები, საზოგადოება ორად გაიყო. ამ თემებზე მსჯელობის დროს ამოტივტივება საფრანგეთის იმპერატორის ნაპოლეონ III კოლონიული ფიგურა. ვარლამ ჩერქეზიშვილი წერდა „განათლებული და კაცომოვეარე მეგობრები წმინდა საშუალებასა, პატიოსნებას და უმაღლეს იდეალებზე ლაპარაკობენ. ჩემბერლენი, ბისმარკი და ლუი ნაპოლეონი კი მოქმედებენ და არანაირ ინტრიგას, გაიძვერობას, ძალადობას და სისხლისღვრას არ ერიდებიან“.² აქ საფრანგეთის იმპერატორის ნაპოლეონ III ვარლამ

¹ ჩერქეზიშვილი ვ., თხზულებები, ტ. 1., თბ., 2011. გვ. 114.

² ჩერქეზიშვილი ვ., თხზულებები, ტ. 1., თბ., 2012. გვ. 437.

ჩერქეზიშვილის დამოკიდებულება, ვფიქრობთ, სრულიად გამჭვირვალეა და არავითარ ეჭვს არ იწვევს. ფრიად სიმპტომატურად მიგვაჩნია, რომ ის ნაპოლეონ III სახელს მოიხსენიებს იმ პოლიტიკურ მოღვაწეებს შორის, რომლებსაც ის, რბილად რომ ვთქვათ, მაინცდამაინც არ თანაუგრძნობდა.

საფიქრებელია, რომ ვარლამ ჩერქეზიშვილს, როგორც ანარქისტს, კარგად უნდა ჰქონდა გაცნობიერებული ნაპოლეონ III რეჟიმის ავტორიტარული ხასიათი. ეს, ცხადია, ძალიან კარგია, მაგრამ ნაპოლეონ III მმართველობის დესპოტიზმზე აპელირება, რაც ფრიად ნიშანდობლივი იყო მემარცხენე წრეებისათვის, მათ შორის, შესაძლოა, ვარლამ ჩერქეზიშვილისათვისაც, გადაჭარბებული შეიძლება იყოს, ამუქებს საქმის რეალურ ვითარებას და, ცხადია, არ ღირს, ზედმეტია. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. ვარლამ ჩერქეზიშვილი, როგორც ანარქისტი ნაპოლეონ III მოღვაწეობას მემარცხენე პოზიციებიდან აფასებდა.

საფრანგეთის იმპერატორის ნაპოლეონ III (1852-1870) ვარლამ ჩერქეზიშვილის დამოკიდებულება, უეჭველად, შეიცავს ჭეშმარიტების რაციონალურ მარცვალს, რაც ამ თემაზე მისი მსჯელობის ძლიერ მხარედ გვევლინება. მას, ვფიქრობთ, კარგად უნდა ჰქონდა გაცნობიერებული ნაპოლეონ III რეჟიმის სუსტი მხარეები, XIX საუკუნის 60-იან წლებში მისი პოლიტიკური წარუმატებლობები. საფრანგეთ-პრუსის ომში განცდილი ფიასკო. ეს იყო მედლის ერთი მხარე. მედალს გააჩნია მეორე მხარე. ესაა ნაპოლეონ III პოლიტიკური წარმატებები XIX საუკუნის 50-იან წლებში. გამარჯვებას ყირიმის ომში (1854-1856) და, საერთოდაც XIX საუკუნის 50-იან წლებს ისტორიკოსები ნაპოლეონ III მმართველობის ოპტიმალურ ხანად მოიაზრებენ. რამდენად ჰქონდა გაცნობიერებული ვარლამ ჩერქეზიშვილს ნაპოლეონ III მოღ

ვაწეობის ეს ასპექტი? გამოვთქვამთ მეტად ფრთხილ ვარაუდს, რომ ნაპოლეონ III პოლიტიკის დადებითი მხარე ვარლამ ჩერქეზიშვილს გაცნობიერებული შეიძლება ჰქონოდა შედარებით უფრო სუსტად, მკრთალად. ეტყობა, მის თვალში ნაპოლეონ III პოლიტიკის ნეგატიური ასპექტები დომინირებდა დადებით მხარეზე. ჩრდილი უფრო მეტია შუქზე. მრავლისმეტყველი უნდა იყოს, რომ ნაპოლეონ III მოღვაწეობის დადებით ასპექტებზე აპელირებას ვარლამ ჩერქეზიშვილის ეპისტოლარულ ნაწერებში ჯერჯერობით ვერსად ვერ გადავაწყდთ. არსებობს დიდი ალბათობა, რომ ნაპოლეონ III ვარლამ ჩერქეზიშვილის დამოკიდებულება ასეთი შეიძლება ყოფილიყო.

* * *

ამრიგად, ვფიქრობთ, არსებობს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ დიდი ალბათობით ნაპოლეონ III მოღვაწეობისადმი ვარლამ ჩერქეზიშვილის დამოკიდებულება უარყოფითი შეიძლება ყოფილიყო. ამგვარ მიდგომას გააჩნია თავისი რეზონი, აზრი, მაგრამ საკმათო შეიძლება იყოს. რამდენად სრულყოფილ, ამომწურავ წარმოდგენას გვიქმნის ის ნაპოლეონ III მოღვაწეობაზე? ხომ არ ამუქებდა ვარლამ ჩერქეზიშვილი საქმის რეალურ ვითარებას? საკითხისადმი ამგვარი დამოკიდებულება, ვფიქრობთ, შემთხვევითი არ იყო და მისი მიზეზი მის მსოფლმხედველობაში უნდა ვეძიოთ. ვარლამ ჩერქეზიშვილი-სათვის, როგორც ანარქისტისათვის ნაპოლეონ III რეჟიმი, მისი მკაცრი ცენტრალიზაციით, მიუღებელი ჩანდა. ნაპოლეონ III რეჟიმის კონტრრევოლუციურ ხასიათზე აპელირება, რაც ფრიად ნიშანდობლივი იყო მემარცხენე ძალებისათვისაც, მათ შორის, შესაძლოა, ვარლამ ჩერქეზიშვილისათვისაც, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და მთლად დამაჯე-

რებლად არ გვეჩვენება. ნაპოლეონ III სახით საქმე გვაქვს „პროგრესული ცეზარიზმის“ ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმო-მადგენელთან და ამის გვერდის ავლა, წაყრუება, მართებული არ იქნებოდა. „ბონაპარტიზმი, პირველ ყოვლისა ორიენტირებული იყო საზოგადოებრივი წესრიგის იდეაზე, ზომიერ სო-ციალურ რეფორმებზე, რომელიც გამსჭვალულია ლიბერალური სულისკვეთებით, სამხედრო დიდებაზე, ევროპის ხალხების გაერთიანებაზე“¹.

ვარლამ ჩერქეზიშვილმა შეძლო თავიდან აეცილებინა ნაპოლეონ III აპოლიტიკური შეფასება: ეს, ცხადია, ძალიან კარგია, მაგრამ ის, როგორც ანარქისტი, შესაძლოა, სულ სხვა უკიდურესობაში აღმოჩნდა და ნაპოლეონ III უარყოფით დამოკიდებულებას ამჟღავნებდა. ამგვარი მიდგომა კარგად გა-მოხატავდა მემარცხენე წრეების განწყობილებას და გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. ამიტომ მისი აპოლოგეტური შეფასება ან განქიქება, მიწასთან გასწორება, მართებული არ იქნებოდა.

დამოწმებანი:

1. ჩერქეზიშვილი ვ., თხზულებები, ტ. 1. შემდგენელი და რედაქტორი დიმიტრი შველიძე, თბ., 2011.
2. კალანდაძე მ., ემიგრანტის ნაზრევი, ვარლამ ჩერქეზიშვილის თხზულებების პირველი ტომი, „საქართველოს რესპუბლიკა“, 2 მაისი, 2012.
3. კალანდაძე მ., ვარლამ ჩერქეზიშვილი აღექსის დე ტოკვილზე, „ჩვენი მწერლობა“, №24, 2014.
4. კალანდაძე მ., ვარლამ ჩერქეზიშვილი და დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის ისტორიოგრაფია – ივანე ჯავახიშვი-

¹ ანთაძე კ., კალანდაძე მ., საფრანგეთის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია, თბ., 2005. გვ. 133.

- ლის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. პუმანიტარული მეცნიერებათა ფაკულტეტი. მეცხრე საფა-
კულტეტო კონფერენცია, მიმღვილი აკადემიკოს გიორგი
ჩიტაიას დაბადებიდან 125 წლისთავისადმი, თბ., 2015.
5. Гюго В. Наполеон малыш – собр. соч. т. 5. М., 1954.
 6. Сеньобось Ш. Политическая история современной Европы. Москва – Петроград, 1923.
 7. Тарле, Кrimская воина, часть 1-2. собр. соч.т. 8-9. М., 1959.
 8. Желубовская Э. Крушение второй империи и возникновение третьей республики, М., 1956.
 9. История Франции, т. 2, М., 1973.
 10. Эрбе. М. Наполеон III (1848/52-1870) – წიგნში «Французские короли и императоры, р/д 1997.
 11. Дунг М., Наполеон III Бонапарт перед судом истории, 1871.
 12. აბთაძე ქ., გალანდაძე მ., საფრანგეთის ისტორია, გულ-ტურა, გეოგრაფია, თბ., 2005.

Tamar Antadze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**VARLAM CHERKEZISHVILI ABOUT NAPOLEON III
RESUME**

A famous Georgian politician, the leader of Georgian anarchism Varlam Cherkezishvili also worked in the field of political journalism. In this regard, mention should be made of his epistolary heritage in which he reveals exceptional knowledge of the new history of Western Europe. Varlam Cherkezishvili's activities in the above-mentioned field have

not been studied so far. Therefore, we consider that this kind of research is of great significance. Varlam Cherkezishvili tried to promote the new history of Western Europe in Georgia. We argue that this is his major contribution to the given field.

The paper is an attempt to find out Varlam Cherkezishvili's attitude to the French Emperor Napoleon III (1852-1870). The issue is of great interest, as, based on the scanty information which is currently available, we can conclude that Varlam Cherkezishvili's attitude to Napoleon III must have been negative. The reason for this is Varlam Cherkezishvili's world vision. The Bonapartist regime of Napoleon III was unacceptable for Varlam Cherkezishvili who was an anarchist. The above-mentioned opinion has its grounds, as well as its strengths and weaknesses.

გურამ კუტალია
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ლუთერი ქართულ ისტორიოგრაფიაში

რეფორმაცია გერმანიაში გაიგივებულია მარტინ ლუთერის (1483-1546 წწ) სახელთან და ეს მართალიცაა, რამეთუ, ფაქტიურად, მისმა „95 თეზისმა”, რომელიც გამოაკრა ვიტენბერგის ეკლესიის კარტბზე 1517 წლის 31 ოქტომბერს, დასაბამი დაუდო რეფორმაციას, რომელიც იყო პირველი ბურჟუაზიული რევოლუცია და რომელსაც ბიძგი მისცა როგორც კათოლიკური დოგმებისა და ეკლესიის წინააღმდეგ მიმართული თავისი გამოსვლებითა და მოწოდებებით, ისე ბიბლიის თარგმნითაც. ამ თარგმანით ლუთერმა საფუძველი დაუდო არა მარტო გერმანულ სალიტერატურო ენას, არამედ დაშლის გზაზე შემდგარ ფეოდალურ საზოგადოებას ისეთი საზოგადოების სურათი უჩვენა, რომელმაც არაფერი იცოდა მრავალფენიან ხელოვნურად აგებულ ფეოდალურ იერარქიაზე, მან ხელი შეუწყო ფართო მასების რადიკალიზაციას.

გადამდები იყო ლუთერის მოქალაქეობრივი გამბედაობაც, რომელიც გამოავლინა ვორმსის რაიხსტაგზე (1521 წ.). აქ იმპერატორისა და რომის კურიის წარმომადგენელთა წინაშე მან დაიცვა თავისი მოძღვრება. „მე არ შემიძლია დავუმორჩილო ჩემი რწმენა არც პაპს და არც საეკლესიო კრებას... ქრისტიანს არ შეშვენის გამოვიდეს სინდისის წინააღმდეგ, მე ამაზე ვდგავარ. სხვაგვარად არ ძალმის. დაუ, ღმერთი შემეწიოს, ამინ!“ — ჭექდა მისი ხმა. ეს გამოსვლა იყო არა მარტო თამამი გამოწვევა რომისა, არამედ სინდისის,

აზრის თავისუფლების პრინციპის საქეყნოდ გამოცხადებაც. ასეთი რამ მანამდე იშვიათად მომხდარა.

ლუთერს სხვა პრინციპული მოთხოვნებიც გააჩნდა. უპირველესად იმას მოითხოვდა, რომ გერმანიას თავი დაეღწია რომის პაპის ბატონობისაგან, რომ მომხდარიყო საერო ცხოვრებისა და საერო მმართველობის რეაბილიტაცია, რომ გაეტარებინათ ახლებური სკოლების შექმნა, უნივერსიტეტების რეფორმა, ახალი კანონებისა და წესების დანერგვა სკოლებსა და ეკლესიებში, რაც მნიშვნელოვნად წინ წასწევდა მაშინდელი გერმანიის განვითარებას, ისინი ზეგავლენას ახდენდნენ ამ ქვეყნის სკოლების განვითარებაზე თვით XIX საუკუნეშიც კი¹. ამასთანავე, „ლუთერის სოციალურ-ეთიკური შეხედულებანი, რომლებიც ხალხთა კავშირის აუცილებლობას ადასტურებენ, დღესაც მაღალ შეფასებას პოულობენ”². ყველაფერ ამას ითვალისწინებს გერმანელი ისტორიკოსი, ლეო შტერნი, როცა ამბობს: „ლუთერი და მისგან მომდინარე „რეფორმაცია გერმანიის სულიერი განვითარების ისტორიაში უდიდესი განძია”³. ამდენად, სავსებით კანონზომიერია, როცა მიმდინარე წლის 31 ოქტომბერს მთელი პროგრესული კაცობრიობა ფართოდ აღნიშნავს რეფორმაციის მე-500 წლის-თავს.

რეფორმაცია, რომელიც ფართოდ გავრცელდა XVI საუკუნის ევროპის ქვეყნებში (უპირველესად კი გერმანიაში), გლობალური და შეუქცევადი ხასიათის მოვლენა იყო. იგი იმთავითვე დაკავშირებული აღმოჩნდა მესამე წოდების როლის თანდათანობით გაძლიერებასთან. ახალადმოცენებული

¹ Mitzenheim P. Der Martin Luther..., Iena, 1983. 147,149-150

² Martin Luther und unsere Zeit . Berlin und Weimar, 1980, 14.

³ Stern L. Martin Luther und Philipp Melanchthon ..., Berlin, 1953,

ბურუჟაზიული ფენები ბრძოლას იწყებენ უფლებათა გაფარ-
თოებისათვის, მემკვიდრეობითი პრივილეგიების გაუქმებისა და
ინდივიდუალისტური, ეგალიტარისტული, დემოკრატიული
პრინციპების განხორციელებისათვის. ამ ბრძოლის პირველი
ეტაპზე წინააღმდეგობის სიმბიმის ცენტრი, პირველი პრო-
ტესტი მოდის წოდებრივი და მკაცრად იერარქიული, ჩაკე-
ტილი საზოგადოების საკრალიზატორსა და ადეპტზე – პაპი-
ზმის ინსტიტუტზე, რომელიც ტრადიციული ფეოდალური
საზოგადოების უმთავრესი პრინციპის – სოციალური სტრა-
ტიფიკაციის რელიგიურ-საკრალური ინტერპრეტაციის იდეო-
ლოგია იყო, რასაც წოდებრივი გათანაბრების მოსურნე მზარ-
დი ბურუჟაზიული ფენები ვერ ურიდგებოდნენ. ეს აისახა
მათ მოთხოვნაში – გაეთანაბრებინათ საერო და სასულიერო
პირები ზიარების თვალსაზრისით. მესამე წოდებას წმინდა
კონფესიური წინააღმდეგობებიც ჰქონდა ორთოდოქსულ კა-
თოლიციზმთან, რომელიც ღმერთთან მორწმუნის ურთიერთო-
ბას დამკიდებულს ხდიდა შუამაგალზე – სასულიერო პირ-
ზე, ხოლო უნივერსალური შუამავლი იყო პაპი – საკრალუ-
რი, ღვთაებრივი მადლით, ქარიზმით აღჭურვილი პიროვნება.
ალტერნატიული რელიგია პაპიზმის მიერ მწვალებლობად
ცხადდებოდა და სულის ხსნის აუცილებელ პირობად მკაც-
რად განსაზღვრული რელიგიური ინსტიტუტის – კათოლი-
კური ეკლესიისადმი მიკუთვნებას ითხოვდა, რაც რწმენის
თავისუფლებისა და ინდივიდუალიზმის პრინციპის იგნორე-
ბას ნიშნავდა. კათოლიკური ეკლესია შეიცავდა რიტუალურ-
საკულტო ცერემონიალებს, რაც მაგიური ელემენტის გად-
მონაშთაა, ხოლო პროტესტანტიზმი, რომელიც ჰუმანისტური,
რაციონალური და ინდივიდუალისტური ფენების წიაღში იშვა, სწორედ
ინდივიდზე ხდის დამოკიდებულს ურთიერთობას ღმერთთან

და რელიგიის ამგვარი პერსონალიზებული და რაციონალიზებული ინტერპრეტაციისა, გამორიცხავს ნებისმიერი შუამავლისა და მაგიური ელემენტის აუცილებლობას, ასევე უარყოფს საყოველთაო მღვდლობის კონცეფციას და ბრძოლას უცხადებს რიტუალურ-საკულტო სიმბოლიკას. ასე, რომ ერთი შეხედვით, თთქოს კონფესიურ წინააღმდეგობებზე აღმოცენებული დაპირისპირების მიუხედავად, თავისი ღრმა შინაარსით რეფორმაცია გახლდათ პირველი ანტიფეოდალური საზოგადეობრივ-პოლიტიკური რევოლუცია, ჩაკეტილი ფეოდალური საზოგადოებიდან ღია საზოგადოებისაკენ გაჭრის პირველი დიდი ცდა, რის შედეგად ევროპა გადაიქცა სუვერულ სახელმწიფოთა კონგრეგაციად და დაადგა დასავლური ღია საზოგადოების უმთავრეს ღირებულებათა ცხოვრებაში გატარების გზას. ამ გაებით, რეფორმაცია იქცა უმთავრეს წყაროდ ადამიანის თავისუფლებისა და ავტონომიის იდეისა და იმ სახით, რა სახითაც ეს იდეა წარმოდგენილია თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოში.

ამგვარად, რეფორმაციას, რომლის შემომქმედია მარტინ ლუთერი, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გერმანიის პროგრესისათვის. ამიტომაც არის, რომ ლუთერისა და მისი ღვაწლის შესახებუამრავი ლიტერატურა არსებობს, მასზე წერდნენ როგორც თანამედროვენი, ისე მომდევნო ხანის ავტორები. საფუძველსმოკლებული როდია ამერიკელი მკვლევარის, უილიამ პაუკის აზრი, რომლის თანხმადაც, „უკანასკნელი 50 წლის მანძილზე ლუთერის შესახებ ბევრად უფრო მეტი წიგნი დაიწერა, ვიდრე იესო ქრისტეზე”¹. ეს აზრი მან 1967 წელს, რეფორმაციის 450 წლისთავზე გამოთქვა. ბუნებრივია, რომ მომდევნო წლებში, განსაკუთრებით ლუთე-

¹ Pauk W. Luther. Mann ohne Maß. - „Der Spiegel”, 45, 1967, 38.

რის დაბადების 500 წლისთავის იუბილეს მზადების პერიოდში, მისდამი მიძღვნილი წიგნების რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა. ეს ტენდენცია, ვფიქრობთ, დღესაც გრძელდება, არ რჩება ქვეყანა, მასზე რომ არ წერდნენ. გამონაკლისი არც საქართველოა. ირკვევა, რომ ლუთერისა და მის მოძღვრებას ჯერ კიდევ XVI საუკუნეში, რეფორმატორის მოღვაწეობის პერიოდში, გაეცნენ საქართველოში, ამაზე მოგვითხრობს ზაქარია ჭიჭინაძე თავის წიგნში „ლუტერის რჯულის ქართველები საქართველოში”, რომელიც 1904 წელს დაიბეჭდა გაზეთ „სამშობლოში” და შემდეგ, 1918 წელს ცალკე წიგნადაც გამოიცა. ამ საკითხს ჩვენ ცოტა მოგვიანებით მიკუბრუნდებით, აյ მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ ლუთერის სახელი კიდევ უფრო პოპულარული გახდა მეჩვიდმეტე და მეორამეტე საუკუნეების საქართველოში. ახლა მის შესახებ საუბარი იწყეს პოეტმა და მეფემ არჩილმა, დიდმა მეცნიერმა და მწერალმა, სულხან-საბა ორბელიანმა. ასევე ცნობილმა მოღვაწეებმა და მწერლებმა: გიორგი ავალიშვილმა, იოანე რუსთველი-ქობულაშვილმა, არქიდიაკონმა გაიოზ თაყას ძე ბარათაშვილმა და სხვა.

მეფე-პოეტი არჩილი თავის ნაწარმოებში „ლექსნი ასეულნი” არა მარტო ასახელებს ლუთრის სახელს, არამედ მისი მოღვაწეობის შეფასებასაც იძლევა, თუმცა მის გამონათქვამებში ყველაფერს როდი იზიარებს: „ლუტრანი იღწვის, სიმართლეს სადუბრკმას და სად არიოს”¹. ვერც გ. ავალიშვილი იზიარებს ბოლომდე ლუთერისეულ ყველა მოსაზრებას, აკი ამბობს:

„მე არ მრწამს იგი, რასაც ბრძანებს პაპი!
არც იგი მრწამს, რაიცა დაუწერია ლუტერს,

¹ „არჩილიანი”, I, 1936, 85.

ჰუსს და კალვინს, მე მწამს სამება
(მამა, ძე და სული წმინდა)"¹

ის, რომ ლუთერის სახელს სულხან-საბა ორბელიანიც მოიხსენიებს თავის წიგნში, „მოგზაურობა ევროპაში”, თავის-თავად საყურადღებოა.მას ნათქვამი აქვს,,რომ ევროპაში იგი გაეცნო ერთ „ლუთერან ბერს”², მაგრამ რითი დაიმსახურა ამ ბერმა მისი ყურადღება, ამაზე არაფერი აქვს ნათქვამი.

ლუთერსა და მის მოძღვრებას ქართველები ეცნობიან აგრეთვე იმ შეხლა-შემოხლის აღწერაში, რომელსაც რუსეთის სინამდვილეში ჰქონდა ადგილი 1762 წლის 28 ივნისს. საქმე ის არის, რომ დედოფალმა ეკატერინე მეორემ თავის ყოფილ ქმარს (დედით გერმანელს, გერმანიაში აღზრდილს და რწმენით ლუთერანს) ბრალდებად წაუყენა მართლმადიდებლური სარწმუნოების ამობირკვისა და ლუთერის მოძღვრების გავრცელების მცდელობა რუსეთში, გადაიბირა მხედრიონი, მიიმხრო ქვეყნის თავკაცები და იმას მიაღწია, რომ შეთქმულების გზით დაამხო „ლუთერანი მეცე”, პეტრე მესამე ჯერ დილეგში ჩააგდო, შემდეგ - თავი მოჰკვეთა. ამ არეულობისა და გადატრიალების უნგბლიერ შემსწრე ყოფილა იოანე რუსთველი-ქობულაშვილი, რომელმაც დაგვიტოვა ხელნაწერი - „შეთქმულება პეტრე მესამის წინააღმდეგ”, რომელიც ვრცელდებოდა საქართველოში და რომლითაც ქართველები იღებდნენ ინფორმაციას ლუთერისა და მისი მოძღვრების შესახებ³.

¹ გ. ავალიშვილის კრებული, ხელნაწერი ფონდი S, №303.

² სულხან-საბა ორბელიანი, მოგზაურობა ევროპაში, თბ., 1940,

რაც შეეხება არქიდიაკონ გაიოზ თაყას ძე ბარათა-შვილს, მას 1778 წელს უთარგმნია „მიმღებლა ბარონ დე პოლნიცასი” (წიგნის ავტორი თვითონ პოლნიცაა), სადაც მოთხოვობილია ლუთერისა და მისი თანამოაზრების ბრძოლებზე, რომლებსაც აწარმოებდნენ ისინი რეფორმაციის მოწინააღმდეგებთან. სწორედ ამ წიგნის დახმარებით კიდევ ერთხელ გაეცნენ ქართველები მარტინ ლუთერსა და მისე-ულ რეფორმაციას¹.

ლუთერსა და მის მოძღვრებას ქართველები XIX საუკუნეშიც ეცნობოდნენ. იწერებოდა არაერთი ლექსი, სტატია თუ ნარკვევი, სადაც გერმანელი რეფორმატორისადმი დიდ დაინტერესებას იჩენდნენ. ასეთი იყო, მაგალითად, გიორგი ერისთავის დრმატული პოემა „შეშლილი” (დაწერილი 1839 წელს), სადაც ლუთერისა და ვოლტერის მოძღვრების შესაბამისად უარყოფილია საეკლესიო რიტუალების, მღვდელმსახურებისა და საეკლესიო იერარქიის მნიშვნელობა, დაგმობილია იმ მღვდელთა საქმიანობა, რომლებიც არ ინახავდნენ მარხვას და თვითნებურად განმარტავდნენ „რწმენის სომბოლოს” ავტორიტეტს.

ლუთერანობის ამდაგვარი გაზიარება, რომელსაც ვხვდებით გიორგი ერისთავთან, უკვე ნიშნავდა საზოგადოების ანტიფეოდალური სულისკევთების გაღვივებას, საეკლესიო დოგამტიკის და კულტურის გადაფასების მოთხოვნას.

ასევე ანტიფეოდალური და ეროვნული ჟღერადობის მატარებელია ის სტატიებიც, რომლებიც იბეჭდებოდა ქართულ უკრნალ-გაზეთებში ლუთერისა და მისი მოძღვრების ირგვლივ. ასე, მაგალითად, 1879 წელს „ივერიაში” (№7) დაიბეჭდა გიორგი იოსელიანის სტატია, „მარტინ ლუთერი”².

¹ ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი Q, ხელნაწერი №324.

² „ივერია”, 1879, №7

ავტორის შეფასებით, ლუთერი იყო პიროვნება, რომელმაც დასავლეთ ევროპაში უკვე XVI საუკუნეში შეარყია პაპების ტახტის ძლიერება და მოახდინა დიდი საეკლესიო ცვლილება, რეფორმაცია. მან უარყო პაპებისა და მსოფლიო საეკლესიო კრებების შეუცდომლობა, ერთადერთი, რაც მისი აზრით, შეიძლება იყოს ჭეშმარიტების წყარო, საღვთო წერილია და არა პაპის ბულა. მანვე უარყო ზოგიერთი საიდუმლოება, ხოლო სასულიერო პირებს მისცა ოჯახის შექმნის უფლება და თვითონაც ერთ მონაზონზე დაქორწინდა¹, იოსელიანის თქმით, ლუთერის ამ იდეების გახსენება თავისებური საშუალება იყო მისი თანამედროვე საქართველოს წინსვლისათვის.

ქართველები ლუთერის საგანმანათლებლო იდეებითაც ინტერესდებიან. ჩვენში ვრცელდება ლუთერის „პედაგოგიური იდეები. 1884 წელს ისევ გაზუთ „ივერიის“ 5-6 ნომრებში გადაღმელის ფსევდონიმით ანთიმოზ ჯულელმა დაბეჭდა „ლიუტერი - როგორც პედაგოგი“². ეს სტატია იბეჭდება იმ დროს, როცა თერგვდალეულთა წყალობით ეროვნული ცნობიერება სულ უფრო და უფრო მატულობს საქართველოში. სტატიის ავტორსაც იმის სურვილი ამოძრავებს, რომ თავისი წვლილი შეიტანოს საქართველოს სასკოლო განათლების საქმეში, რომ ლუთერის მოშველიებით სწავლების საქმე ჩაყენოს ქართველთა ეროვნული ცნობიერების სამსახურში. ლუთერი ხომ, მისი აზრით, არა მარტო დიდი რეფორმატორი იყო, არამედ, ამასთანავე, გერმანელი ერის დიდი აღმზრდელიც. მისთვის უნდა მიებაბა ქართველ ზალხს, მას გამოუჩნდებოდნენ მიმდევრებიც, - ასე სწამდა ანთიმოზ ჯულელს.

ახლა მივუბრუნდეთ ზაქარია ჭიჭინაძის წიგნს - „ლიუტერის რჯულის ქართველები საქართველოში“, რომელიც

¹ „ივერია“, 1879, №7, 11-33.

² „ივერია“, 1884, 5-6.

როგორც ვთქვით, დაიბეჭდა XX საუკინის დასაწყისში. აქ ის აზრია გატარებული, რომ XVI საუკუნის დასაწყისში, თვით ლუთერის მოღვაწეობის პერიოდში, რეფორმატორის მოძღვრება საქართველოშიც ვრცელდებოდა¹, სხვათაშორის, ამ მოსაზრებას იზიარებდა ჩვენი სასიქადულო პოეტი – გალაქტიონ ტაბიძე. 1922 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფაში - „ზაქარია ჭიჭინაძე”, - პოეტი მკითხველს იმაში არწმუნებდა, რომ ლუთერი იყო პროგრესული იდეების მატარებელი, რომლის სახელს „თვით ლუთერის დროსაც კი იცნობდნენ საქართველოში”².

სამწუხაროდ, ასეთ პოზიტიურ მიდგომას ყოველთვის როდი იჩენდნენ ავტორები; ეს განსაკუთრებით ითქმის საქართველოს გასაბჭოების შემდგომ ზანაში მოღვაწე ისეთ ავტორებზე, როგორებიც იყვნენ მოსე გოგიბერიძე და კოტე ბაქრაძე, რომლებიც მოექცნენ ლუთერის მაგინებელი კათოლიკე ისტორიკოსებისა და ფილოსოფოსების სულიერ ტყვეობაში. მ. გოგიბერიძე შეეცადა ლუთერის „გარეაქციონერებას”, იგი წარმოაჩინა გონების მტრად, რომლის შრომებში ვერ ხედავს რაიმე ორიგინალურ ნააზრევს, კიცხავს იმ ავტორებს, რომლებიც, მისივე თქმით, „ლუთერის განდიდებასა და გაფილოსოფოსებას” ლამობენ. მას აბსურდად მიაჩნია ჯერ კიდევ ჰაინეს მიერ წამოყენებული დებულება, რომ ლუთერი იყო მთელი შემდგომი გერმანული აზროვნების სათავე, რომლის სულში იყვნენ ჩამარხული კანტი და ჰეგელი³, გერმანული კლასიკური ფილოსოფიის დიდი მესვეურები.

¹ ზ. ჭიჭინაძე, ლიუტერის სჯულის ქართველები საქართველოში, თბ., 1918, 13.

² გ. ტაბიძე, ზაქარია ჭიჭინაძე, თხზ., ტ. 12, თბ., 1975, 45.

³ მ. გოგიბერიძე, თხზ., ტ I, თბ., 1870.

ანალოგიურ პოზიციაზე დგას „ახალი ფილოსოფიის ისტორიის” (1969 წ) ავტორი კოტე ბაქრაძეც, მისი აზრით, „ლუთერი არ იყო ფილოსოფოსი და დიდი მოაზროვნე”¹.

ლუთერის იდეური მემკვიდრეობის ათვისების საქმეში ახალი ეტაპი დაიწყო XX საუკუნის 80-იან წლებში. 1982 წელს დაიბეჭდა გურამ კუტალიას წიგნი „მარტინ ლუთერის პედაგოგიური შეხედულებანი”. წიგნის უპირველეს ღირსებად ის ჩაითვლება, რომ ლუთერი აქ დახასიათებულია არა მარტო როგორც რელიგიური რეფორმატორი, არამედ როგორც მოღვაწე, რომელსაც პედაგოგიკისა და სოციოლოგიის სფეროში ჯეროვანი დაშსახურება მიუძღვის. ეს იყო საბჭოთა სინამდვილეში ლუთერზე გამოქვეყნებული პირველი წიგნი, რომელიც ლუთერის დაბადების 500 წლისთავს მიუძღვნა. წიგნის გამოცემა საგანგებოდ აღინიშნა, გამოქვეყნდა პროფესორების, შოთა რევიშვილისა და აკაკი მუშკუდიანის რეცენზიები (1983 წ). ნაშრომი დადებითად შეფასდა. მონოგრაფია ამ ასევე მოწონება დაიმსახურა გერმანიაში, მადლობა ეთქვა თბილისის უნივერსიტეტის მაშინდელ ხელმძღვანელობას (აკად. ვ. ოკუჯავას) მისი გამოცემისათვის, რამეთუ ლუთერზე, როგორც ვთქვით, წიგნის გამოცემა მაშინდელ საბჭოთა სინამდვილეში ადვილი არ იყო.

გარდა აღნიშნული წიგნისა, გ. კუტალიას გამოქვეყნებული აქვს 150-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 9 მონოგრაფია, 5 თარგმანი და 3 სახელმძღვანელო. უმრავლესობა ამ ნაშრომებისა ლუთერისა და რეფორმაციის პრობლემას ეძღვნება. ამ პრობლემას მიეძღვნა მისი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციებიც. აგრეთვე აკაკი გეთიაშვილის, ტატიანა კოპალეიშვილის, მაია შალიკაშვილის, ზურაბ

¹ გ. ტაბიძე, ზაქარია ჭიჭინაძე, - თხზ., ტ. 12, თბ., 1975, 38.

კვეტენაძის და სხვათა დისერტაციები, მათგე საუბრით თავს არ შეგაწყენთ.

დამოწმებანი:

1. Mitzenheim P. Der Martin Luther... , Iena, 1983.
2. Martin Luther und unsere Zeit . Berlin und Weimar, 1980.
3. Stern L. Martin Luther und Philipp Melanchthon ..., Berlin, 1953.
4. Pauk W. Luther. Mann ohne Maß. - „Der Spiegel”, 45, 1967.
5. ჭიჭინაძე, ლიუტერის სჯულის ქართველები საქართველოში, თბ., 1918.
6. „არჩილიანი”, I, 1936.
7. გ. ავალიშვილის კრებული, ხელნაწერი ფონდი S, №303.
8. სულხან-საბა ორბელიანი, მოგზაურობა ევროპაში, თბ., 1940.
9. А. Хаханов. О вступлении на престол императрицы Екатерины второй. М., 1900.
10. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი Q, ხელნაწერი №324.
11. „ივერია”, 1879, №7;
12. „ივერია”, 1884, 5-6.
13. გ. ტაბიძე, ზაქარია ჭიჭინაძე, თხზ., ტ. 12, თბ., 1975.
14. გ. გოგიბერიძე, თხზ., ტ I, თბ., 1870.
15. კ. ბაქრაძე, ახალი ფილოსოფიის ისტორია, თბ., 1969.
16. შ. რევიშვილი, ნარკვევები გერმანულ-ქართულ ლიტერატურულ კავშირებზე, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1987.

Guram Kutalia

Gori State Teaching University

**LUTHER IN GEORGIAN HISTORIOGRAPHY
RESUME**

Reformation in Germany is identified with the name of Martin Luther (1483 – 1546), and it is true. Actually, his “95 theses”, which he nailed to the door of the Wittenberg Castle Church on October 31, 1517, was the beginning of the reformation, which was the first bourgeois revolution and it was also an impact for both catholic dogma, protests against the church and the Bible translation. By translating the Bible Luther laid the foundations for not only German Literary Language.

It is determined that in the XVI century Georgia got familiarized with Luther and his doctrine. It became even more popular in the XVII and XVIII centuries in Georgia.

მერაბ კალანდაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დიმიტრი უზნაძე ფრანგ განმანათლებლებზე

წინამდებარე ნაშრომი ისტორიოგრაფიულ ხასიათს ატარებს და მიზნად ისახავს გაარკვიოს ორი სერიოზული და საინტერესო საკითხი: როგორ არის გაშუქებული დ. უზნაძის და ი. გველესიანის „ახალი ისტორიის“ პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოში ახალი დროის კულტურა და როგორი შეიძლება ყოფილიყო სახელმძღვანელოს ავტორების დ. უზნაძის და ი. გველესიანი დამოკიდებულება ფრანგი განმანათლებლების მოძღვრებისადმი, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს საფრანგეთის დიდი რევოლუციის იდეური მომზადების საქმეში, თემა არის საინტერესო და აქტუალური.

ერთი შეხედვით ვინმეს შეიძლება მოეჩვენოს, რა კავშირია ამ ორ თემას შორის. მათ შორის კავშირი, უეჭველია, არსებობს და პირველი შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც ისტორიული ფონი მეორე პრობლემის განხილვისათვის, ფრანგი განმანათლებლისადმი სახელმძღვანელოს ავტორების დ. უზნაძის და ი. გველესიანი დამოკიდებულება ასოცირდება არა მარტო ისტორიასთან, არამედ კულტურასთან. ფრანგი განმანათლებელებისადმი უაღრესად მტრულად განწყობილი ფრანგი მისტიკოსის ლეონ ბლუას თქმით „ფრანგული სულის შემოღამება XVIII საუკუნეში ფრანგი განმანათლებლობიდან იწყება“¹.

¹ კილურაძე გ., ახალი ისტორია, ნაწილი 1. თბ., 1970. გვ. 65

დავიწყოთ იმით თუ როგორ არის გაშუქებული დ. უზნაძის და ო. გველესიანის „ახალი ისტორიის“ სასკოლო სახელმძღვანელოში კულტურის ისტორიის საკითხები. მათ სახელმძღვანელოში კულტურის ისტორიის საკითხის განხილვას, ბუნებრივია, სათანადო ყურადღება აქვს დათმობილი და სახელმძღვანელოში ერთ-ერთი საინტერესოა, აღნიშნული პრობლემის ფართო სპექტრით წარმოჩენის მცდელობა დ. უზნაძის და ო. გველესიანი „ახალი ისტორიის“ სასკოლო სახელმძღვანელოს მთავარი ღირსებად მიგვაჩნია.

საქართველოს სუვერენულ რესპუბლიკაში 1918-1921 წლებში გამოსული მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები ქართულ ისტორიოგრაფიაში კულტურის ისტორიის საკითხების გაშუქების პირველ სერიიზულ მცდელობად გვევლინება. დ. უზნაძის და ო. გველესიანის „ახალი ისტორიის“ სასკოლო სახელმძღვანელო კულტურის ისტორიის საკითხების გაშუქების ოპტიმალური გზის მოძიების ერთ-ერთ მცდელობად მიგვაჩნია, ამ თემაზე მათი მსჯელობის მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ ამაში უნდა მდგომარეობდეს. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. ვფიქრობთ, არსებობს საფუძველო ვამტკიცოთ, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 1918-1921 წლებში ისტორიის სახელმძღვანელოებში კულტურის ისტორიის საკითხების გაშუქების დროს სწორი ვექტორი უნდა ჰქონოდათ დასახული და მეცნიერული გზით მიღიოდნენ. საკითხისადმი მიდგომა მეცნიერული იყო. ამ წლებში გამოსული მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები, ვფიქრობთ, ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს.

საფიქრებელი იყო, რომ ეს გზა გაგრძელდებოდა, მაგრამ უმთავრესად პოლიტიკური კატაკლიზმების გამო ასე არ

მოხდა. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ კულტურის ისტორიის თემატიკის გაშუქებამ ქართულ ისტორიოგრაფიაში სულ სხვა მიმართულება შეიძინა, რომელიც თავდაპირველი გზის გაგრძელებად, წინგადადგმულ ნაბიჯად, ძნელია მივიჩნიოთ.

საბჭოთა პერიოდის ისტორიის სახელმძღვანელოებში კულტურის ისტორიის საკითხების გაშუქებას შედარებით ნაკლები ყურადღება ეთმობოდა და პერიფერიულ თემას წარმოადგენდა.¹ ასეთი მიდგომის შეუსაბამობაზე სავსებით სამართლიანად ალაპარაკდნენ ისტორიკოსები 90-იანი წლების დასაწყისში.²

აღსანიშვნავია, რომ პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს შეუსაბამობა გასწორებული იქნა და მსოფლიო ისტორიის საკითხების გაშუქებას ჯეროვანი ყურადღება აქვს დათმობილი. ეს აღნიშნული პრობლემის გაშუქების ნორმალურ მეცნიერულ კალაპოტში დაბრუნების გზაზე გადადგმულ პირველ მოკრძალებულ ნაბიჯად გვევლინება. ეს ამ სახელმძღვანელოების პლუსია.³

¹ ქოსმინსკი ე., შუა საუკუნეების ისტორია, VI კლასის სახელმძღვანელო, თბ., 1962. აგიაბალოვა ე., დონსკო გრ., შუა საუკუნეების ისტორია, VI კლასის სახელმძღვანელო, თბ., 1987. ეფიმოვი ვ., ახალი ისტორია, VIII კლასის სახელმძღვანელო, თბ., 1969. ახალი ისტორია, აღ. ნაროჩნიცკების რედაქციით, თბ., 1988.

² Культура и история (ответы д. и. н. проф. А. Я. Гуревича на вопросы редакции журнала) – «Новая и новейшая история» №1, 1991.

³ თვალიაშვილი ქ., ჩიკვაძე ც., ძველი მსოფლიო ისტორია, VI კლასი, მეორე გამოცემა, თბ., 2005. ანთაძე კ., ფირცხალავა ლ., შუა საუკუნეების ისტორია, VII კლასი, მეორე გამოცემა, თბ., 2000. ანთაძე კ., მამუკელაშვილი ნ., ახალი ისტორია, VIII კლასი, მესამე გამოცემა, თბ.,

დ. უზნაძის და ო. გველესიანის „ახალი ისტორიის“ სასკოლო სახელმძღვანელოში, ბუნებრივია, დიდი ადგილი აქვს დათმობილი ახალი დროის კულტურის გაშუქებას. მას ერთი ცალკე, საგანგებო, თავი მიეძღვნა. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და დ. უზნაძის და ო. გველესიანის „ახალი ისტორიის“ სასკოლო სახელმძღვანელოს პლუსია. ეს სახელმძღვანელოს ერთ-ერთი საინტერესო მონაკვეთია.¹ აյ საკმაოდ ვრცლადა გაშუქებული, XVI-XVIII საუკუნეების დასავლეთ ევროპის კულტურა. სახელმძღვანელოში XIX საუკუნის კულტურა გაშუქებულია, ჩვენი აზრით, სუსტად, მკრთალად და გარკვეული უქმარისობის გრძნობას გვიჩნის.² ადვილი შესაძლებელია, რომ სახელმძღვანელოს ავტორები დ. უზნაძე და ო. გველესიანი აპირებდნენ მის დახვეწას, სრულყოფას,, მაგრამ დროის მეტად მცირე მონაკვეთში, ფაქტობრივად ცაიტნოტში, როგორც ჩანს, ვეღარ მოასწრეს ამის გაკეთება. ეს ამ კუთხით საკითხის გაშუქების პირველი მცდელობა იყო და, ბუნებრივია, უნაკლო ვერ იქნებოდა. საფიქრებელი იყო, რომ დროთა განმავლობაში საკითხი დაიხვეწებოდა, მაგრამ, უმთავრესად, პოლიტიკური კატაკლიზმების გამო ამის განხორციელება ვერ მოხერხდა. საქართველოს ისტორიის „პატარა ოქროს ხანა“ მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ კი ამ პრობლემაშ დაგარგა თავისი უწინდელი აქტუალობა.

2005. ბოლოთაშვილი გ., მსოფლიო ცივილიზაციების ისტორია, XI ქლასი, მეორე გამოცემა, თბ., 2005.

¹ უზნაძე დ., გველესიანი ო., ახალი ისტორია (XVI-XVIII სს), თბ., 1920 გვ. 45-67.

² უზნაძე დ., გველესიანი ო., ახალი ისტორია (XIX-XX სს), თბ., 1919.

ამრიგად, ამ კუთხით საკითხის გაშუქება საინტერესოა და აქტუალურად მიგვაჩნია. საგულისხმო დასკვნებამდე მივყავართ, რომელიც საშუალებას გვაძლევს გავაბათილოთ მთელი რიგი მარქსისტული შტამპები და სტერეოტიპები, რომელმაც ტოტალიტალურ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით, ფართოდ მოიკიდა ფეხი ქართული საზოგადოების ცნობიერებაში.

1. ვფიქრობთ, არსებობს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ საქართველოში კულტურის ისტორიის საკითხების გაშუქების პირველ სერიოზულ მეცნიერულ მცდელობას ადგილი პქნნდა არა საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში, როგორც ამას გვიმტკიცებდნენ დღით ხნის განმავლობაში, არა-მედ გაცილებით უფრო ადრე, ჯერ კიდევ საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკაში 1918-1921 წლებში. ამ თვალსაზრისით ყერადღებას იპყრობს საქართველოს სუვერენულ რესპუბლიკაში განხორციელებული პირველი ღონისძიებები. დაიწყო მუშაობა მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოების შექმნაზე, რაც იმდროინდელი ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე სერიოზულ სიახლეს წარმოადგენდა და წინგადადგმული ნაბიჯი იყო. ამის წაყრუება, გვერდის ავლა, რომელმაც ფართოდ მოიკიდა ფეხი საბჭოთა პერიოდში მიზანშეწონილი არ იქნებოდა. ამიტომ ამ მონაკვეთის ელიმინირება, ამოღება, საქართველოში მსოფლიოს ისტორიის სწავლების, შესწავლის, პოპულარიზაციის, ისტორიიდან ყოველგვარ მეცნიერულ საფუძველს მოკლებულია და ძალიან პოლიტიზირებული, იდეოლოგიზირებული იყო. კულტურის საკითხების გაშუქებამ სამეცნიერო-პოპულარული ხასიათი შეიძინა და უმთავრესად ასახვა პპოვა სასკოლო სახელმძღვანელოებში. მეტის გაკეთება ვეღარ მოასწრეს.

2. საქართველოში აღნიშნული პრობლემის გაშუქების დროს სწორი ვექტორი უნდა ჰქონოდათ დასახული, სწორი გზით მიღიოდნენ. ეს იყო საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. ამიტომ მისი აპოლეგეტური შეფასება სწორი არ უნდა იყოს. ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ უნდა აღმოვჩნდეთ. ეს მიუღებელი იქნება. ნიპილისტური დამოკიდებულება განდიდებით არ უნდა ჩავანაცვლოთ.

3. აღნიშნული პრობლემით დაინტერესების საერთო სურათი, რომელიც უმთავრესად, ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით გამრუდებული იქნა, ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა და რეალობასთან შესატყვისობაში მოგვეყვანა. მის მთავარ ამოსავალ წერტილად ამ სფეროში 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წვლილის რეამინაცია გვევლინება. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს აღნიშნული პრობლემის სრულიად განსხვავებულ პერიოდიზაციასთან. აი ასეთი არის რეალობა, რომელ-საც ტოტალიტარულ-ბოლშევიკური სახელმწიფო დიდი ხნის განმავლობაში უმაღლავდა ქართულ საზოგადოებას და ყალბი სულიერი ღირებულებებით ასაზრდოებდა. ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა. ყველა სიკეთე საბჭოთა ხელი-სუფლებასთან როდი ასოცირდება¹.

¹ კალანდაძე მ., ქართული მედიევისტიკის სათავეებთან, თბ., 2009. გვ. 76-77. ანთაძე თ., კალანდაძე მ., თბოლლისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის ისტორია. თბ., 2014. გვ. 116-117. კალანდაძე მ., ამერიკის შეერთებული ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში, თბ., 2015. კალანდაძე მ., დამიტრი უზნაძე საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე და ნაპოლეონზე, თბ., 2016. გვ. 148-150. კალანდაძე მ., საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის ეპოლუცია – მაცნე. ისტორიის სერია №1. გვ. 139-149 №2 გვ. 176-183, 2016. კალანდაძე მ., საქართველოს სუვერენულ რესპუბლიკაში 1918-1921 გამო-

უწინარეს უნდა შევეხოთ ერთ საკითხს. ეს თემა, რა თქმა უნდა, გვაინტერესებს ისტორიულ ჭრილში და, ამჯერად, ყურადღებას გავამახვილებთ ერთ კონკრეტულ საკითხზე. როგორ არის განხილული ფრანგი განმანათლებლების მოძღვრება და უზნაძის და ო. გველესიანის „ახალი ისტორიის“ პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოში. თემა არის საინტერესო და აქტუალური. ამ საკითხის გაშუქებას აქვს მნიშვნელობა და კიდევ უფრო ამომწურავ, სრულყოფილ წარმოდგენას შეგვიქმნის ახალი ისტორიის სწავლების, შესწავლის, პოპულარიზაციის, საქმეში დიმიტრი უზანაძის წვლილზე.

პირველ ყოვლისა მიზანშეწონილი იქნებოდა გამოვარგიოთ თუ რა კრიტერიუმით შეიძლება ვიხელმძღვანელოთ ამ თემაზე და. უზნაძის შეხედულებების შეფასების დროს, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს და ძალიან დაგვეხმარება აღნიშნულ საკითხზე ადეკვატური წარმოდგენის შექმნაში, აქ მყაცრი მეცნიერული კრიტერიული საზომად არ გამოდგება. მათ წინაშე გაცილებით უფრო მოკრძალებული ამოცანა იდგა და ამ პრობლემის პოპულარიზაციას ითვალისწინებდა, ამ კულტურულტრეგერულ მისიას შეიძლება ითქვას, რომ ურიგოდ როდი გაართვეს თავი, რაც მათ წარმატებად იყო. მთავარი, სწორედ, ეს იყო. სახელმძღვანელოში ამ თემაზე მსჯელობის განსჯა დღევნდელი გადასახედიდან ადვილი გზით სიარული იქნებოდა და პიპერკრიტიკულად მიგვაჩნია. ეს მიამიტური, მარტივი, მსჯელობა ქართულ საზოგადოებას, პირველ რიგში კი მოსწავლეებს კარგად დააკვალიანებდა და

ცემული მსოფლიო ისტორიის პირველი ქართული ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები – „ანალები“ №13. 2017.

ფრანგ განმანთავისუფლებელთა მოძღვრებაზე ზოგად წარმო-დგენას ჩამოუყალიბებდა. აი ეს იყო მთავარი. ამიტომ ის ამა-რთლებს თავის თავს.

ამრიგად, დ. უზნაძემ და ო. გველესიანმა თავისი წვლი-ლი შეიტანეს და შეძლებისდაგვარად შეეცადნენ წინ წაეწიათ საქართველოში ფრანგი განმანათლებლის მოძღვრების სწავ-ლება და შესწავლა, პოპულარიზაცია. ეს იმდროინდელი ქარ-თული ისტორიოგრაფიის ფონზე სიახლე იყო და გარკვეულ წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს ქართულ რეალობაში აღნიშნული პრობლემის მეცნიე-რული გაშუქების პირველი თუ არა ერთ-ერთი პირველი მცდელობასთან. მისი მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ ამა-ში უნდა მდგომარეობდეს. არავითარ წყვეტას ქართულ რეა-ლობაში ამ პრობლემით დაინტერესების დროს ადგილი არ ჰქონია, როგორც ამას ხაზს უსვამდნენ საბჭოთა პერიოდში, ეს იყო ლოგიკური გაგრძელება იმ დაინტერესებისა, რომელ-მაც თავი იჩინა XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე¹.

უწინარეს ყოვლისა, მიზანშეწონილი იქნებოდა ვცადოთ გამოვარკვიოთ თუ როგორ შეიძლებოდა, რომ ყოფილიყო მა-თი კონცეფცია, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. საკითხი არის საინტერესო და აქტუალურად მიგვაჩნია. ალბათ, არ შევცდე-ბით თუ ვიტყვით, რომ ფრანგი განმანთავისუფლებლების მო-ძღვრების შეფასების დროს სახელმძღვანელოს ავტორები დ. უზნაძე და ო. გველესიანი პროგრესულ-ლიბერალურ პოზი-ციაზე იდგნენ. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა სავსებით შეე-სატყვისებოდა იმ პერიოდის ისტორიული მეცნიერების მკაცრ მოთხოვნებს და ევროპული, პირველ რიგში კი რუსული ის-ტორიოგრაფიის გავლენის ლოგიკური შედეგია, მნიშვნელო-

¹ თვალავაძე ვ., ახალი ისტორია, ნაკვეთი, მეორე 1640-1815, თბ., 1999, გვ. 135-141.

ვანწილად, სწორედ, ამით აიხსნება, რომ ისინი განმანათლებელთა მოძღვებას დადებითად შეფასებას აძლევდნენ და ეს მაშინ, როდესაც XX საუკუნის ბევრი დიდი მოაზროვნე ადამიანის სულიერი გადაგვარებაში თავისუფლად მოაზროვნე ფილოსოფოსებს, მათ შორის, ცხადია, ფრანგ განმანათლებლებსაც ადანაშაულებდა. უნდა ითქვას, რომ ასეთი მეტისმეტი პესიმიზმი სახელმძღვანელოს ავტორების დ. უზნაძის და ო. გველესიანისათვის სრულიად უცხო იყო, რაც ამ თემაზე მათი მსჯელობის კიდევ ერთ ღირსებად გვევლინება. მათ, ვფიქრობთ, კარგად უნდა ჰქონოდათ გაცნობიერებული განმანათლებელთა მოძღვრების ისტორიული მნიშვნელობა. მათი წვლილი კაცობრიობის განვითარების საქმეში. სახელმძღვანელოს ავტორები დ. უზნაძე და ო. გველესიანი ხაზს უსვამენ ფრანგი განმანათლებლის დამსახურებას საფრანგეთის დიდი რევოლუციის იდეური მომზადების საქმეში. ეს ამ თემაზე მათი მსჯელობის პლუსია.

დ. უზნაძის და ო. გველესიანის „ახალი ისტორიის“ სასკოლო სახელმძღვანელოში ფრანგი განმანათლებლის მოძღვრების განხილვა, უმთავრესად, ორი მიმართულებით წარიმართა. მთავარი საკითხი ესაა მონტესკიეს, ვოლტერის, დიდროს და რუსოს შეხედულებების გარჩევა და თემები, რომელიც მთავარი საკითხის ლოგიკურ გაგრძელებად გვევლინება ფიზიოკრატები, სენსუალიზმი და მატერიალიზმი.

ფაქტობრივად, საქმე გვაქვს საკითხის განხილვის გეგმასთან. რა შეიძლება ითქვას მასზე? ეს გეგმა პრინციპში მისაღები ჩანს, თუმცა მცირე კორექტივების შეტანა გამორიცხული არ უნდა იყოს. აქ, ცხადია, ვგულისხმობთ საკითხის დალაგებას. ყურადღებას გავაძახვილებთ ორ გარემოებაზე. ჯერ ერთი მონტესკიეს მოძღვრებისადმი გულგრილი დამოკიდებულება არაფრით არ უნდა ჩანდეს გამართლებული. სასუ-

რველი იყო, რომ ფრანგ განმანათლებლებზე საუბარი დაგვეწყო, სწორედ, მონტესკიერს შემოქმედებით, როგორც განმანათლებელთა პირველი თაობის თვალსაჩინო წარმომადგენლის¹ და მეორეც სახელმძღვანელოში ფიზიოკრატების მოძღვრების განხილვისათვის მიჩენილი ადგილი საკამათოდ გვწვენება. მასზე საუბარია ვოლტერსა და მონტესკიეს შორის². ალბათ უფრო უპრიანი იქნებოდა ამ თემაზე გვესაუბრა მონტესკიეს, ვოლტერის, დიდროს და რუსოს შეხედულებების გარჩევის შემდეგ.

ორი აზრი არ შეიძლება იყოს იმის თაობაზე, რომ სახელმძღვანელოს ავტორები. საკმაოდ ჩახედული ჩანან განმანათლებელთა მოძღვრებაში, რაც ემპირიული, ფაქტოლოგიური, მასალის ცოდნას ემყარება, ეს მათი მსჯელობის დადებითი მხარეა, მაგრამ ამ თემაზე მათი მსჯელობა ცოტა ზოგადია და, ჩვენი აზრით, სასურველი იყო მეტი კონკრეტულობა.

ფრანგი განმანათლებების ცხოვრების და მოღვაწეობის წლების იგნორირება, უგულებელყოფა, ამ თემაზე მათი მსჯელობის მთავარ მინუსად შეიძლება მივიჩნიოთ. ამ ფონზე ერთგვარი ბედნიერ გამონაკლისად გვევლინება უან-ჟაკ რუსოს მოღვაწეობა. ამ შემთხვევაში თარიღი მითითებულია. უან-ჟაკ რუსო (1712-1778)³. ეს იყო სწორი მიღვომა.

მივყვეთ თანამიმდევრობით. დავიწყოთ მონტესკიეს შეხედულებების განხილვით, რომელიც ფრანგი განმანათლებლის პირველი თაობის თვალსაჩინო წარმომადგენლია. მონ-

¹ უზნაძე დ., გველესიანი ი., ახალი ისტორია (XVI-XVIII სს.), თბ., 1920. გვ. 59-60.

² უზნაძე დ., გველესიანი ი., ახალი ისტორია (XVI-XVIII სს.), თბ., 1920. გვ. 58-59.

³ იქვე, გვ., 61.

ტესკიეს (1689-1755) შეხედულებების გადმოცემამ გარკვეული უკმარობის გრძნობა დაგვიტოვა და მისი მოღვაწეობის შესახებ ამომტურავ, სრულყოფილ, წარმოდგენას როდი გვიქმნის. აქ, პირველ ყოვლისა, ცხადია, ვგულისხმობთ იმას, რომ სახელმძღვანელოს ავტორები დ. უზნაძე და ი. გველესიანი კრინტს არ ძრავენ მონტესკიეს ორ თხზულებაზე „სპარსული წერილები“ და „რომაელთა აღზევების და დაცემის მიზეზი“. მონტესკიეს შემოქმედებაზე საუბარი, სწორედ, „სპარსული წერილებით“ უნდა დაგვეწყო¹.

სახელმძღვანელოში დიდი ყურადღება ეთმობა მონტესკიეს მესამე თხზულების „კანონთა სული“ გარჩევას. ეს საკსებით სწორი იყო და ამ თემაზე მათი მსჯელობის დადებით მხარედ გვევლინება. მათ სწორედ გადმოგცეს ამ საკითხზე მონტესკიეს შეხედულებები, რაც მათი მსჯელობის კიდევ ერთი პლუსია. სახელმძღვანელოს ავტორებს დ. უზნაძეს და ი. გველესიანს კარგად უნდა ჰქონოდათ გაცნობიერებული მონტესკიეს მოძღვრების ისტორიულად პროგრესული მნიშვნელობა. მონტესკიე მხარეს უჭერდა ხელისუფლების დანაწილების იდეას: აღმასრულებელი საკანონმდებლო, სასამართლო. „მონტესკიეს აზრით, ინგლისში არსებობს, და უმთავრეს მის თვისებას ძალაუფლების განაწილება შეადგენს. ხალხს კანონმდებლობით უფლება ეკუთვნის, მეფეს აღმასრულებელი, ხოლო დამოუკიდებელ მსაჯულთა წოდებას (ე. ი. პარლამენტს – მ.კ.) სამართლის უფლება აქვს დათმობილი. ძალაუფლების ასეთი განაწილების უპირატესობას მონტესკიე იმაში ხედავს, რომ იგი საშუალებას უკარგავს ყვე-

¹ უზნაძე დ., გველესიანი ი., ახალი ისტორია (XVI-XVIII სს.), თბ., 1920. გვ. 58-59.

ლას, ვინც ძალაუფლებით არის მოსილი, ხელში იმდენი ძალა მოიკრიბოს, რომ მოქალაქებისათვის საშიში შეიქმნას“¹.

სახელმძღვანელოს ავტორები დ. უზნაძე და ი. გველე-სიანი მონტესკიეს თხზულებას „უწოდებენ „სული კანონებისა“². ამ ტერმინმა შემდგომი პერიოდის ისტორიოგრაფიაში ფეხი ვერ მოიკიდა, უფრო დამკვიდრდა სახელწოდება „კანონთა გონი“³.

სახელმძღვანელოს ავტორები დ. უზნაძე და ი. გველე-სიანი დუმილით უვლიან გვერდს მონტესკიეს ერთ-ერთ მთავარ დამსახურებას, რომ ის იყო გეოგრაფიული სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი და თვალსაჩინო წარმომადგენელი. საკითხისადმი ასეთი მიდგომა, ვფიქრობთ, შემთხვევითი არ იყო და მნიშვნელოვანწილად იმით აიხსნება, რომ სახელმძღვანელოს ავტორები დ. უზნაძე და ი. გველესიანი დუმილით უვლიან გვერდს მონტესკიეს ორ თხზულებას „სპარსული წერილები“ და „რომალთა აღზევების და დაცემის მიზეზები“.

რა თქმა უნდა, სასურველი იქნებოდა აღნიშნული ყოფილიყო რომ მონტესკიე „სპარსულ წერილებში“ ეხება საქართველოს ისტორიას. ამას შემცნებითი მნიშვნელობა გააჩნდა და მინაარსობრივად უფრო გაამდიდრებდა სახელმძღვანელოს.

ამრიგად, დ. უზნაძის და ი. გველესიანის „ახალი ისტორიის“ სასკოლო სახელმძღვანელოში მონტესკიეს მოღვაწეობის განზიღვა, ჩვენი აზრით, შეიძლება მოიკოჭლებს, გა-

¹ უზნაძე დ., გველესიანი ი. ახალი ისტორია (XVI-XVIII სს.), თბ., 1920. გვ. 59.

² იქვე, გვ. 58.

³ მონტესკიე შ. ლ., „კანონთა გონი“, ფრანგულიდან თარგმნა დ. ლაბუჩიქებ, თბ., 1994.

შუქებულია შედარებით სუსტად, მკრთალად, და ფრანგ გან-
მანათლებლობაზე მათი მსჯელობ ის აქილევსის ქუსლად
გვევლინება.

გადავიდეთ ვოლტერზე (1694-1778) ცნობილი ფრანგი
მწერლის ვიქტორ ჰიუგოს თქმით: „ის გაცილებით უფრო
მეტი იყო, ვიდრე ადამიანი. ის იყო საუკუნე“¹. პირველ ყოვ-
ლისა, უნდა ითქვას, რომ სახელმძღვანელოს ავტორები დ.
უზნაძე და ო. გველესიანი საკმაოდ ჩახედული უნდა ჩანდნენ
ვოლტერის შემოქმედებაში, რაც ემპირიული, ფაქტოლოგი-
ური, მასალის ცოდნის ლოგიკურ შედეგად გვევლინება. მათ
სწორად გადმოგვცეს ვოლტერის შეხედულებები და ხაზი
გაუსვეს მის წვლილს ფრანგული განმანათლებლობის ის-
ტორიაში.

დავიწყოთ მთავრით, კონცეფციით. ვოლტერისადმი სა-
ხელმძღვანელოს ავტორების დ. უზნაძის და ო. გველესიანი
დამოკიდებულება წინააღმდეგობრივად მიგვაჩნია, სახელმძღვა-
ნელოს ავტორები სავსებით სამართლიანად აღნიშნავენ ვოლ-
ტერის შეხედულებების ფორმირების საქმეში ინგლისელი
მოაზროვნის ჯონ ლოკის გავლენას. ეს სწორი მიდგომა იყო,
მაგრამ ლოკის გავლენის მნიშვნელობის გაზვიადება, ცხადია,
არ ღირს და არანაირ ჩრდილს არ აყნებს ვოლტერს რო-
გორც თავისი ეპოქის დიდ მოაზროვნეს, ფრანგული განმანა-
თლებლობის პატრიარქს. „განმანათლებლის ხანის მოძრობის
თვალსაჩინო წარმომადგენლად ყოველ მხრივ ვოლტერი უნდა
ჩაითვალოს. ის არ ყოფილა არც ორიგინალური მოაზროვნე
და არც დიდი სწავლული, თავისი მთავარი შეხედულებები
მან ლოკისაგან, ნიუტონისაგან და სხვა ინგლისელი მწერლე-
ბისაგან ისესხა, მაგრამ პრაქტიკული ბრძოლის დროს ის სა-
უცხოოდ სარგებლობდა ფილოსოფოსისა და მეცნიერების შე-

1 Сиволап И. Социальная идеи Вольтера, М., 1978. გვ. 3

დეგებით და, ამის გარდა, ის დაჯილოდოვებული იყო მახვილ სიტყვით და დაუღალავი ენერგიით, რაგინდ ძლიერიც არ უნდა ყოფილიყო მისი მოწინააღმდეგე, ვოლტერი მაინც ისეთნაირად ახერხებდა მის დაცინვას, რომ ბრძოლაში ყოველთვის გამარჯვებული რჩებოდა¹. ძალას ხომ არ ვაკნინებთ ვოლტერს, როგორც მოაზროვნეს? ვოლტერისადმი ასეთი სკეპტიკური მიდგომა დღეს უკვე მოძველებულია, ყავლი გაუვიდა და ისტორიოგრაფიული რეტროს სურნელი დაკრავს. აღსანიშნავია, რომ ვოლტერისადმი ასეთი მკაცრი დამოკიდებულება იგრძნობოდა გასული საუკუნის 20-იანი წლების ფილოსოფიურ ლიტერატურაში. აი რას წერდა ცნობილი ფილოსოფოსი პროფ. მოსე გოგიძერიძე თავის წიგნში „მატერიალიზმი და დიალეტიკის პრობლემების განვითარება მარქსიზმამდე“: „როგორც მოაზროვნე და მწერალი ვოლტერი ყოველივე მნიშვნელობას მოკლებულია. არც ერთი ორიგინალური აზრი მას არ გააჩნია. თავის დანიშნულებით ის არის აგიტატორი და მასწავლებელი, მაგრამ აპოსტოლის ან ბელადის უნარი მას არ აქვს“².

სახელმძღვანელოს ავტორები დ. უზნაძე და ი. გველე-სიანი სავსებით სამართლიანად აღნიშნავენ ვოლტერის ბრძოლას ტირანის, დესპოტიზმის, უსამართლობის, რელიგიური ფანატიზმის წინააღმდეგ. ამის საილუსტრაციოდ მათ მოყვავთ კალასის ინცინდენტი. „კალასი და მისი ოჯახი შეიძყრეს და პასუხისმგებლობაში მისცეს. საქმე იმით გათავდა, რომ 68 წლის მოზუცი, დანაშაულის დაუმტკიცებლობის მიუხედავად, სიკვდილით დასაჯეს: ურმის თვალზე დააკრეს და ისე აწა-

¹ უზნაძე დ., გველესიანი ი., ახალი ისტორია (XVI-XVIII სს.), თბ., 1920. გვ. 53-54.

² გოგიძერიძე მ., მატერიალიზმი და დიალეტიკის პრობლემების განვითარება მარქსიზმამდე, თბ., 1928. გვ. 161.

მეს. ვოლტერი ძალზედ გააბრაზა ამ აღმაშფოთებელმა საქ-
მემ, დიდი მეცადინეობის შემდეგ მან ხელმეორედ გადაა-
სინჯვინა განაჩენი, მისი უკანონობაც ნათელყო. ვოლტერი
არაერთხელ ჩარეულა ამგვარ საქმეებშიო შევიწროებულთა
დასაცავად¹. ჰ. მანის თქმით „ვოლტერი ქუხდა ყველგან, სა-
დაც სამართლიანობა აღსდგება სიცრუის წინააღმდეგ. გონება
— ძალაუფლების წინააღმდეგ“².

ისინი ხაზს უსვამენ, რომ ვოლტერი არასოდეს არ ყო-
ფილა ათეისტი და აღნიშნავენ რომ ის დეისტი იყო. ეს სწორი მიდგომაა. „კათოლიკური ეკლესიის ფანატიზმა, იე-
ზუიტების ინტრიგებმა და უმეცარი ხალხის ეკლესიის მიერ
ექსპლოატაციამ ვოლტერი ქრისტიანობას ჩამოაშორა. მას არ
ესმოდა ქრისტიანობის ჭეშმარიტი საფუძველი და რელიგიე-
ბის ისტორია, წარმოდგენილი ჰქონდა, როგორც თვითმოტყუ-
ებისა და რეგვენობის უწყვეტი ჯაჭვი, მაგრამ ამავე დროს
ვოლტერი არც ათეისტი ყოფილა. მას, სწამდა დვოის არსე-
ბობა, ის დეისტი იყო. საერთოდ, სარწმუნოებას სავალდებუ-
ლოდ არ სთვლიდა, და ფიქრობდა, რომ მისი ადგილის და-
ჭერა გონიერ ზნეობასაც თამამად შეეძლო“³. ალბათ, უპრია-
ნი იქნებოდა, აქ მოეყვანათ ვოლტერის სიტყვები: „მარათა-
ლია მე არ ვიზარებ თქვენ აზრს, მაგრამ თუნდაც სიცოცხ-
ლეს გავწირავდი იმისთვის, რომ თქვენი აზრის თავისუფლად
გამოთქმის საშუალება მოგეცეთ“. ეს მომგებიან ქულებს შეს-
ძენდა სახელმძღვანელოს და შინაარსობრივად კიდევ უფრო
გაამდიდრებდა.

¹ უზნაძე დ., გველესიანი ი., ახალი ისტორია (XVI-XVIII სს.),
თბ., 1920. გვ. 55.

² Сиволап И., Социальний идеи Вольтера, М., 1978. გვ. 52.

³ უზნაძე დ., გველესიანი ი., ახალი ისტორია (XVI-XVIII სს.),
თბ., 1920. გვ. 54-55.

მონტესკიეს და ვოლტერის სახით საქმე გვაქვს განათლებული აბსოლუტიზმის, კონსტიტუციური მონარქიის იდეის მომხრეებთან. ისინი მხარს უჭერდნენ ზომიერ, გონივრულ, გარდაქმნებს, რეფორმებს. რევოლუციას ზემოდან. ხოლო რევოლუციას ქვემოდან, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდა ხალხი არ თანაუგრძნობდნენ. სახელმძღვანელოს ავტორების დ. უზნაძის და ი. გველესიანს ყველაფერი ეს კარგად უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული „არსებული წესწყობილების გარდაქმნისაკენ მას (ე.ი. ხალხს – მ.კ.) კი არ, მთავრობას მოუწოდებდა, რომელსაც, განსაკუთრებით განათლებულ მონარქებს, არსებულ უკუღმართობის აღსაკვეთად, ყველაზე მეტი საშუალება ჰქონდათ... ვოლტერის ამ იდეებზე ევროპის სახელმწიფოთა პოლიტიკაში მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში მთელი ახალი მიმართულება აშენდა, რომელიც განათლებული აბსოლუტიზმის სახელით არის ცნობილი. პრუსიაში ფრიდრიხ II ამ მიმართულების ტიპიურ წარმომადგენლებად არიან ცნობილი¹.

ვოლტერის პოლიტიკური შეხედულებები სავსებით შეესატყვისებოდა სახელმძღვანელოს ავტორების დ. უზნაძის და ი. გველესიანის პოლიტიკურ იდეალს. ისინი კონსტიტუციური მონარქიის მომხრედ გვევლინებიან, მხარს უჭერდნენ განათლებული აბსოლუტიზმის იდეას. მიესალმებიან ზომიერ, გონივრულ გარდაქმნებს, რეფორმებს, რევოლუციას ზემოდან. რევოლუციას ქვემოდან. ვოლტერის მსგავსად, მხარს არ უჭერდნენ. მათი სახით საქმე გვაქვს საზოგადოების ევოლუციური გზით გარდაქმნის მომხრესთან, გერმანელი სწავლულის დ. შტრაუსის თქმით: სუბიექტურად ვოლტერი მომხრე იყო ლოზუნგის „სკობს შენობა შევაკეთოთ, ვიდრე დავანგ-

¹ უზნაძე დ., გველესიანი ი., ახალი ისტორია (XVI-XVIII სს.), თბ., 1920. გვ. 56.

რიოთ¹. ისინი სავსებით იზიარებდნენ ვოლტერის ამ ლოზუნგს. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. მათთვის ფრანგი განმანათლებლებიდან ყველაზე უფრო მისაღები, სწორედ ვოლტერი იყო.

შეიძლება გვეჩვენება, მაგრამ გვგონია, რომ სახელმძღვანელოს ავტორები დ. უზნაძე და ო. გველესიანი ვოლტერის შემოქმედებას ზოგადად მიმოიხილავენ და ამ თემაზე მათ მსჯელობას კონკრეტულობა აკლია, საინტერესოა აღინიშნოს, რომ ისინი ვოლტერის არც ერთ თხზულებას არ ასახელებენ და არა განიხილავენ.

მაშ ასე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სახელმძღვანელოს ავტორების დ. უზნაძის და ო. გველესიანის დამოკიდებულება ვოლტერისადმი ძალზე თავისებურია, რაც პირველ ყოვლისა იმით გამოიხატება, რომ ისინი ვოლტერზე, როგორც მოაზროვნებე, ფრანგული განმანათლებლობის პატრიარქზე, დაბალი აზრის არიან, მაგრამ ამავე დროს უნდა ითქვას, რომ ვოლტერის პოლიტიკური შეხედულებები ყველაზე ახლოა მათ პოლიტიკურ იდეალთან, მათთვის ფრანგი განმანათლებლობიდან ყველაზე უფრო მისაღები, სწორედ, ვოლტერი უნდა ჩანდეს.

შემდგომი თემაა დიდრო (1713-1783) და ენციკლოპედისტები, როგორ იყო ეს საკითხი განხილული დ. უზნაძის და ო. გველესიანის „ახალი ისტორიის“ პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოში? უნდა ითქვას, რომ ეს საკითხი სახელმძღვანელოში განხილულია მოკლედ, ლაკონურად, მაგრამ შინაარსიანად. აქცენტების დასმა სწორი და სავსებით მისაღები ჩანს. ისინი ხაზს უსვამენ, რომ დიდროს მთავარი დამსახურება ენციკლოპედიის გამოცემა იყო და კარგად აქვთ გაცნობიერებული მისი მნიშვნელობა საფრანგეთის საზოგა-

¹ Штраус Д., Вольтер, М., 1900. გვ. 142.

დოების მენტალიტეტის ჩამოყალიბებაში.¹ თანამედროვეებს „ენციკლოპედიის“ პოლიტიკური მნიშვნელობა შეუმჩნეველი არ დარჩენიათ. „ენციკლოპედია არის უზარმაზარი არსენალი, სადაც ძველი საფრანგეთის დამამსხვრეველი იარაღი იჭედებოდა“² ამ მონაკვთან დაკავშირებით უნდა გამოვთქვათ ორი მოსაზრება, რომელიც არანაირ ჩრდილს არ აყენებს მის მნიშვნელობას, ფაქტობრივად, სურვილებს წარმოადგენს და სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთს მხოლოდ მომგებიან ქულებს შეძენდა, შინაარსობრივად უფრო გაამდიდრებდა. პირველი. ვფიქრობთ, სასურველი იქნებოდა კიდევ უფრო ხაზგასმით, მკაფიოდ ყოფილიყო აღნიშნული „ენციკლოპედიის“ პოლიტიკური მნიშვნელობა. მისმა კულტურტრეგერულმა, ფუნქციამ ხომ არ დაჩრდილა პოლიტიკური მხარე? მეორე, საინტერესო იყო აღნიშნული ყოფილიყო, რომ დიდროს ენციკლოპედიაში მოიპოვება ცნობები საქართველოს შესახებ. მისი ავტორია ლუი დე უოკური.³ ამას შემცნებითი დატვირთვა გააჩნდა.

უან-უაკ რუსო ფრანგი განმანათლებლებლების უმცროსი თაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი და აღიარებული თავკაცი იყო. რუსოს მოღვაწეობის გაშუქება დ. უზნაძის და ო. გველესიანის „ახალი ისტორიის“ სასკოლო სახელმძღვანელოში განმანათლებელთა მოძღვრების გაშუქების დასკვნით აკორდად გვევლინება. რუსო იყო უაღრესად რთული პიროვნება და მისი მოღვაწეობის შეფასება იმთავითვე აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა და დღესაც იწვევს. გამოთქ-

¹ უზნაძე დ., გველესიანი ო., ახალი ისტორია (XVI-XVIII სს.), თბ., 1920. გვ. 57-58.

² ანთაძე კ., კალანდაძე მ., საფრანგეთის ისტორია კულტურა გეოგრაფია, თბ., 2005. გვ. 93.

³ იქვე.,

მულია დიამეტრალურად საპირისპირო მოსაზრებები. რუსოს სიძულვილით დაბრმავებულმა ინგლისელმა ფილოსოფოსმა ბერტრან რასელმა ისე შორს შეტოპა, რომ რუსო ფაშიზმის წინამორბედად გამოაცხადა. ეს აზრი არის გატარებული მის წიგნში „დასავლეთის ფილოსოფიის ისტორია“. ცნობილი რევოლუციონერი ვერა ზასულიჩი თავის წიგნში „რუსოს სოციალური მოძღვრება“, პირიქით, სრულიად საპირისპიროს ამტკიცებდა და რუსოს სოცილიზმის წინამორბედად მოიხსენიებდა. ცნობილი გერმანელი მწერალი ლიონ ფოიხტვანგერი თავის წიგნში „ახირებულის სიბრძნე ანუ სიკვდილი და გარდაქმნა რუსოსი“, რბილად რომ ვთქვათ რუსოს სახელს დადებითად როდე იხსენიებდა. რუსოს მოძულეთ მთავარ ტონის მიმცემად ცნობილი ფრანგი ისტორიკოსი აკად. ი. ტენი გველინება. იგი მის ფილოსოფიას თვლიდა საწამლავად, რომელმაც გარყვნა ფრანგი ერი. სოლიდურად გამოიყურება რუსოს მოტრფიალეთა ბანაკი. მისი ერთ-ერთი თავკაცია დიდი გერმანელი მწერალი ფრიდრიხ შილერი. მან 1782 წელს რუსოს სპეციალურად მიუძღვნა ლექსი, რომელიც რუსეთისადმი სითბოთია აღსავსე. როგორც შვეიცარიელი ისტორიკოსი ჰეილე აღნიშნავს ერთ დროს რუსოს დიდი მოტრფიალე ყოფილა ახალგაზრდა ნაპოლეონი. მეტად ძნელი იქნებოდა უფრო უკეთესი არგუმენტი მოვიყვანოთ, ვიდრე მისი ძმის ჟოზეფის სიტყვებია, „ნაპოლეონი უან-უაკის უდიდესი თაყვანისმცემელი იყო“¹.

ალბათ, ინტერესს მოკლებული არ იქნება ვცადოთ გამოვარკიოთ, როგორი შეიძლება ყოფილიყო სახელმძღვანელოს აკტორების დ. უზნაძის და ი. გველესიანის დამოკიდე-

¹ Healey F. G., Roussey et Napoleon. Geneva-Paris, 1957. Манфред А., Наполеон Бонопарт, М., 1973. გვ. 10-36. უან-უაკ რუსოზე დაწერილებით იხ. ობოლაძე უ. უან-უაკ რუსო, თბ., 1976.

ბულება რუსოსადმი. რომელ ბანაკს შეიძლება მივაკუთნოთ ისინი, რუსოს მოტრფიალეების თუ მოწინააღმდეგების? საკი-თხი არის საინტერესო და აქტუალური. მასალის სიმწირის გამო, ჩვენ ხელთ მხოლოდ ერთი სკოლის სახელმძღვანელო არსებობს, კატეგორიულად რამის მტკიცება ძალზე ძნელი იქნებოდა. მაგრამ არსებობს დიდი აღბათობა, რომ ისინი უარყოფითად შეიძლება ყოფილიყო განწყობილი რუსოს პი-როვნების მიმართ. მრავლისმეტყველად მიგვაჩნია ის უარყო-ფითი ეპიტეტები, რომელსაც ისინი რუსოს მიმართ არ იშურებენ. „ავადმყოფური თავმოყვარეობის პატრონი, ეჭვიანი და შურიანი“¹.

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს რომ სახელმძღვანე-ლოს ავტორები დ. უზნაძე და ი. გველესიანი საკმაოდ კარ-გად იცნობენ რუსოს შეხედულებებს, რაც ემპირიული, ფაქ-ტოლოგიური მასალის ცოდნას ემყარება. მათ სწორედ გად-მოგვცეს რუსოს ნააზრევი. ეს ამ თემაზე მათი მსჯელობის დადებითი მხარეა. რუსოს მთავარ დამსახურებად მათ სავ-სებით სამართლიანად ესახებოდათ ძველი რეჟიმის კრიტიკა.

„თავისი პირველი თხზულება, რომელმაც რუსოს სახე-ლი შესძინა, მან იმის დამტკიცებას უძღვნა, რომ მეცნიერე-ბამ და ხელოვნებამ, მთელმა ცივილიზაციამ ხალხი გარყვნა და რომ კაცობრიობის გარდასაქმნელად უბრალო, პირველყო-ფილი ზნეჩვეულებებისადმი დაბრუნებაა საჭირო“². განაგრ-ძნობს რა დაწყებულ მსჯელობას, სახელმძღვანელოს ავტო-რები დასძენდნენ. „მეორე თხზულებაში რუსომ განათლებუ-ლი საზოგადოების საზოგადოებრივი წყობილება გაარჩია, რომელშიც ქონებრივი უთანასწორობაა გაბატონებული, სა-

¹ უზნაძე დ., გველესიანი ი., ახალი ისტორია (XVI-XVIII სს.), თბ., 1920. გვ. 61.

² იქვე.

დაც წოდებრივი დანაწილება და სახელმწიფო ბრივი ცნობიერების ხელოვნური ფორმები არსებობს და მთელი ეს წეს-წყობილება დაგმო¹. პირველ შემთხვევაში მათ მხედველობაში აქვთ რუსოს თხზულება „მსჯელობები მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარების შესახებ“, ხოლო მეორე შემთხვევაში - „მსჯელობა ადამიანთა შორის უთანასწორობის წარმოშობისა და მისი საფუძვლების შესახებ“.

სახელმძღვანელოს ავტორები დ. უზნაძე და ი. გველე-სიანი ხომ არ ფიქრობენ, რომ რუსო კერძო საკუთრების მოწინააღმდეგე იყო? ბევრი ისტორიკოსი ფიქრობდა ასე. რუსო ხაზს უსვამს, რომ ადამიანთა შორის უთანასწორობა არაა გა-მართლებული ბუნების კანონებით. სოციალური უთანასწორობის მიზეზად რუსო ასახელებს კერძო საკუთრების წარმოშობას. აი რას წერდა რუსო: „რამდენ ბოროტმოქმედების, ომების, უბედურების და ვაებისაგან გადაარჩენდა კაცობრიობას ის ადამიანი, რომელიც დაუნგრევდა ღობეს და მიმართავდა ხალხს: „არ დაუკაროთ ამ მატყუარას, თქვენ დაღუპვა მოგელით, ნუ დაივიწყებთ, რომ ნაყოფი ყველას ეკუთვნის, ხოლო მიწა – არავის“. თუმცა ამას რუსო არ მიყავს კერძო საკუთრების დაგმობამდე. იგი იდეალურ საზოგადოებაში კერძო საკუთრების არსებობას დასაშვებად მიიჩნევდა. ამ თვალსაზრისით საგულისხმო უნდა იყოს რუსოს თხზულება „პოლიტეკონომია“, რომელიც დაიბეჭდა ენციკლოპედიაში, 1754 წელს, ამიტომ რუსოს წარმოჩენა სოციალიზმის წინა-მორბედად, როგორც ამას ე. ზასულიჩი ჩადის, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და სწორი არ იქნება.

რუსომ თავისი სიტყვა თქვა პედაგოგიკაში. „ემილში“ მან თავისი პედაგოგიკური თეორია გამოაქვეყნა. ამ თხზულების დედაზრი ის არის, რომ მოწაფემ ყოველგვარი აუცილე-

¹ იქვე.

ბელი ცოდნა და ზნეობრივი ჩვეულებები თვითმოქმედებითა და დამოუკიდებელი მუშაობით უნდა შეიძინოს, აღმზრდელის როლი ამისდა მიხედვით მარტო იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ მან თავისი შეგირდის თვითმოქმედების განვითარებას ხელი შეუწყოს, ჩააყენოს იგი ისეთ მდგომარეობაში, რომ მან თვითონვე გადაწყვიტოს, თუ რა უნდა ისწავლოს, რა ცოდნა შეიძინოს და ან როგორ მოიქცეს“¹.

ეხებიან რუსოს დამოკიდებულებას რელიგიისადმი: „მე მწამს ღმერთი და ღმერთი უსამართლო იქნებოდა, რომ მას ჩემი სული უკვდავ არ ეყო. ჩემი წარმოდგენით ეს არის არსებითი“².

დ. უზნაძე და ი. გველესიანი თავის „ახალი ისტორიის“ სასკოლო სახელმძღვანელოში, ბუნებრივია, დიდ ყურადღებას უთმობენ რუსოს ერთ-ერთ ძირითად ნაწარმოებს „საზოგადოებრივ ხელშეკრულებას“. მასში ხედავენ მისი პოლიტიკური მრწამისის განსახიერებას.

ისინი ხახს უსვამენ რომ რუსოს ერთ-ერთი საუკეთესო თხზულება „საზოგადოებრივი ხელშეკრულება“ იყო. „რუსომ პოლიტიკური მრწამისი მთელი სისავსით მისს „საზოგადოებრივ ხელშეკრულებაშია“ გატარებული“³. რუსომ თავის თხზულებაში წამოაყენა ორი მნიშვნელოვანი დებულება სახალხო სუვერენიტეტის იდეა და ხალხის უფლება აჯანყებაზე. სავსებით სამართლიანად მიუთითებდნენ რუსოს შეხედულებაზე ინგლისელი მოაზროვნის ჯონ ლოკის გავლენას, მაგრამ აღნიშნავენ რომ რუსომ სულ სხვა გზა არჩია: „ხალხის

¹ უზნაძე დ., გველესიანი ი., ახალი ისტორია (XVI-XVIII სს.), თბ., 1920. გვ. 62.

² იქვე.

³ უზნაძე დ., გველესიანი ი., ახალი ისტორია (XVI-XVIII სს.), თბ., 1920. გვ. 62.

უაღრეს უფლებიანობას რუსო ისეთ უცილობელ ჭეშმარიტებად სთვლის, რომ გაგონებაც არ სურს წარმომადგენლობითი სისტემისა და ძალაუფლების დანაწილების შესახებ. ყოველგვარი განკარგულება სახელმწიფოში სახალხო კრებისაგან უნდა გამოიღოდეს, რომელშიც ყველა მოქალაქე იღებს მონაწილეობას. მეორე მხრივ, პიროვნება სრულებით უარს ამბობს თავის ნებაზე საერთო ნების სასარგებლოდ. ხალხის უფლებამოსილების წინაშე პირად თავისუფლებაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება, თვითონ ხალხი ჰქმის მოქალაქეთათვის კანონებს. ზნე-ჩვეულებებს, სარწმუნოებრივ შეხედულებებს¹.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ სახელმძღვანელოს ავტორები დ. უზნაძე და ი. გველესიანი, როგორც ლიბერალები რუსოს მოძღვრების ამ პუნქტს ცოტა სკეპტიკურად შეიძლება ეკიდებოდენ, რაც მნიშვნელოვანწილად რუსოს პოლიტიკური მოძღვრების რადიკალიზმით აიხსნება, რომელიც საკმაოდ შორს იყო, მათ როგორც ლიბერალების, პოლიტიკური იდეალებისაგან.

შეიძლება გვეჩვენება, მაგრამ გვგონია რომ სახელმძღვანელოს ავტორები დ. უზნაძე და ი. გველესიანი, როგორც ლიბერალები თავშეკავებულად ეკიდებოდნენ რუსოს მოძღვრებას, რომელიც შორს იყო მათ პოლიტიკურ იდეალებისაგან. მათვის გაცილებით უფრო მისაღები უნდა ჩანდეს ვოლტერის იდეალები, ვიდრე რუსოს. „სჯობს შენობა შევაკეთოთ, ვიდრე დავანგრიოთ“. ისინი მხარს უჭერდნენ რევოლუციას ზემოდან, როდესაც ხორციელდებოდა ზომიერი, გონივრული რეფორმები. სიმპატიებით ეკიდებიან „განათლებული აბსოლუტიზმის“ იდეას. თანაუგრძნობენ კონსტიტუციური მონარქიას. რუსოს რესპუბლიკანიზმი, ქვემოდან რევოლუციის

¹ იქნე, გვ. 63

მოწოდება საფიქრალია, რომ მათთვის მიუღებელი იქნებოდა და მათი პოლიტიკური იდეალებისაგან ძალზე შორს იყო. ეს განსახვავება პრინციპულია, კონცეპტუალურ ხასიათს ატარებს და ძალზე შორსაა მათი პოლიტიკური იდეალებისაგან. ამიტომ ფრანგი განმანათლებლებიდან მათთვის შედარებით უფრო მიუღებელი უან-უანკ რუსო შეიძლება ჩანდეს.

სახელმძღვანელოს ავტორები დ. უზნაძე და ი. გველე-სიანი, როგორც ლიბერალები ხომ არ აჭარბებდნენ რუსოს მოძღვრების რედიკალიზმს, დემოკრატიზმს და ის სოციალიზმის წინამორბედად ხომ არ ესახებოდათ? აი რას წერდნენ ისინი: „რუსოს პოლიტიკური მოძღვრება ერთნაირად იყო მიმართული როგორც ყოველგვარი სახელმწიფოებრივი ფორმის, ისე თვით სახელმწიფოს ცნების წინააღმდეგაც, ვინაიდან სახელმწიფოს ისტორიისა და ცივილიზაციის ნაყოფს შეადგენს. მისი მთავარი ინტერესი ადამიანთა თანასწორობის იდეის განხორციელებაში მდგომარეობს და ამისათვის იგი არაფერს არ იშურებს“¹. ხომ არ არის ეს მინიშნება იმაზე, რომ რუსოს სახით საქმე გვაქვს სოციალიზმის იდეის წინამორბედთან?

სახელმძღვანელოს ავტორებს დ. უზნაძეს და ი. გველე-სიანს ფრანგ განმანათლებლებზე მსჯელობა აქ რომ დაესრულებინათ. რა თქმა უნდა, არც არავინ დაძრახავდა. მაგრამ ისინი ასე არ მოიქცნენ და განაგრძნობენ მსჯელობას, ეს ცხადია, ძალიან კარგია და ამ თემაზე მათი მსჯელობის კიდევ ერთი პლუსია.

ამ თემაზე მსჯელობას ისინი ფიზიოკრატების მოძღრების განხილვით განაგრძნობენ. მათი ყუარდღების ცენტრში ეკონომიკური პრობლემატიკა დგას. „განათლების ხანის მოძ-

¹ უზნაძე დ., გველესიანი ი., ახალი ისტორია (XVI-XVIII სს.), თბ., 1920. გვ. 63.

რაობის ადრინდელი წარმომადგენლები ფილოსოფიური და სარწმუნოებრივი საკითხებით უფრო იყვნენ დაინტერესებულნი, ხოლო პოლიტიკურსა და საზოგადოებრივ საკითხებს შედარებით ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ, მაგრამ უკანასკნელის მნიშვნელობა თანდათან აშკარა ხდებოდა. ძლიერ მალე, სრულიად დამოუკიდებლად ახალი მიმართულება წარმოიშვა, რომელმაც მიზნად სახალხო მეურნეობის შესწავლა დაისახა¹. ისინი სავსებით სამართლიანად აღნიშნავდნენ, რომ ახალი მიმდინრეობა ეკონომიკურ ფაქტორზე, აკეთებდა აქცენტს, მაგრამ ვერ ვიტყვით, თითქოს ფრანგი განმანათლებლები „პოლიტიკურსა და საზოგადოებრივ საკითხებს შედარებით ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ“.

ისინი ხაზს უსვამდნენ, რომ ფიზიოკრატები მერკანტულისტურ-ეკონომიკურ პოლიტიკას ახორციელებდნენ და პროტექციონისტურ კურსს ატარებდნენ.

სახელმძღვანელოს ავტორები დ. უზნაძე და ი. გველე-სიანი საქმაოდ კარგად იცნობდნენ ფიზიოკრატების მოძღვრებას, ამ თემაზე მათი მსჯელობა ემპირიული ფაქტობრივი, მასალის ცოდნას ემყარება. ისინი სწორედ გადმოგვცემდნენ ფიზიოკრატების შეხედულებებს. ყველაფერი ეს ამ თემაზე მათი მსჯელობის პლუსია. მათი ლოგიკა ღიმილის მომგვრელია, მაგრამ მთავარი ეს არ უნდა იყოს, ეს მსჯელობა ქართულ საზოგადოებას, პირველ რიგში კი მოსწავლეებს ფიზიოკრატების შეხედულებებზე ზოგად წარმოდგენას ჩამოუყალიბებს. აქცენტების დასმა სწორია. „ფიზიოკრატები გამოყოფილები წარმოების ერთ დარგს - მიწათმოქმედებას. მათი ღრმა რწმენით, მიწა ყოველგვარი სიმდიდრის ერთადერთი წყაროა. მხოლოდ მიწაზე შრომასთან ასოცირდება შემოსა-

¹ უზნაძე დ., გველესიანი ი., ახალი ისტორია (XVI-XVIII სს.), თბ., 1920. გვ. 58

ვალი, მოგება. არც ვაჭრობა და არც მრეწველობა არ ასო-
ცირდება ზედმეტ ღირებულებასთან. ასეთ ეკონომიკურ მოძღ-
ვრების მიმდევართ ფიზიკურატების სახელით მოიხსენებდ-
ნენ“¹.

ალბათ, უფრო უპრიანი იქნებოდა ამ მონაკვეთისათვის
გვეწოდებინა არა „პოლიტიკური ეკონომია“, არამედ ფიზიკ-
რატები. ეს უფრო ზუსტი იქნებოდა.

ვფიქრობთ, სასურველი იქნებოდა სახელმძღვანელოს
ავტორებს დ. უზნაძეს და ი. გველესიანს კონკრეტულად და-
ესახელებინათ ამ მიმართულების თვალსაჩინო წარმომადგენ-
ლები: ტიურგო, კენე, მირაბო (მამა). ამას შემცნებითი დატ-
ვირთვა გააჩნია და შინაარსობრივად უფრო გაამდიდრებდა
სახელმძღვანელოს.

სახელმძღვანელოში ამ თემის გაშუქების ბოლო სიუჟე-
ტია სენსუალიზმი და მატერიალიზმი. იგი ორ მონაკვეთადაა
დაყოფილი. კონდილიაკი და პოლბახი. პირველს თვალსაჩინო
წარმომადგენლად კონდილიაკი ესახებოდათ, მეორეს კი პოლ-
ბახი². ეს სკოლის სახელმძღვანელო, რომ არ იყოს ამ საკი-
თხს არც წარმოვჭრიდით, მაგრამ ვინაიდან ეს სკოლის სა-
ხელმძღვანელოა საკითხისადმი ამგვარმა მიდგომამ, ბუნებრი-
ვია გარკვეული კითხვები წამოჭრა. რამდენად აუცილებელი
იყო ამ საკითხის შეტანა სკოლის სახელმძღვანელოში? ხომ
არ გადაიტვირთა ამით ეს მონაკვეთი? ხომ არ ურთულებთ
მოსწავლეებს ამ საკითხის აღქმას? ძალზე შორის ხომ არ
მივდივართ? ჩვენი აზრით, ეს ტვირთავს სასკოლო სახელმ-
ძღვანელოს ამ მონაკვეთს და ზედმეტია. სასკოლო სახელმძ-
ღვანელოში ამ საკითხის განხილვის აუცილებლობა არ არსე-

¹ უზნაძე დ., გველესიანი ი., ახალი ისტორია (XVI-XVIII სს.),
თბ., 1920. გვ. 58-59.

² იქვე, გვ. 56-57.

ბობს. ალბათ, ყველაზე უფრო უპრიანი იქნებოდა ფრანგ განმანათლებლებზე საუბარი სახელმძღვანელოში დაგვესრულებინა ფიზიკურატების მოძღვრების განხილვით. ეს იქნებოდა სწორი მიდგომა.

დასასრულს შევეხებით საკითხის მეთოდურ მხარეს. სახელმძღვანელოს არ გააჩნია მეთოდური აპარატი, შეკითხვები. ამას შემცირებითი დატვირთვა გააჩნია და მასწავლებელს საშუალება მისცემს გაარკვიოს როგორ დაისწავლეს მოსწავლეებმა გაკვეთილი და აითვისეს ახალი მასალა. ამის ერთ-ერთ მიზეზზე საქართველოში ისტორიის სწავლების მეთოდიკის გარიურაჟზე არსებულ ვითარებაში ვხედავთ.

მაშ ასე, დ. უზნაძემ და ი. გველესიანმა თავისი წვლილი შეიტანეს და შეძლებისდაგვარად შეეცადნენ წინ წაეწიათ საქართველოში ფრანგი განმანათლებლების მოძღვრების სწავლება და შესწავლა, პოპულარიზაცია. საკითხისადმი მიდგომა იყო მეცნიერული და, უპირატესად, აქცენტი კეთდებოდა პროგრესულ-ლიბერალურ ღირებულებებზე, რომელსაც ბუნებრივია, გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. ამგვარი მიდგომა სავსებით შეესატყვისებოდა იმ პერიოდის ისტორიული მეცნიერების მკაცრ მოთხოვნებს და იმუმინდელი ქართული სინამდვილის ფონზე სიახლეს წარმოადგნდა, წინგადადგმული ნაბიჯი იყო. ამის გვერდის ავლა, წაყრუება, რომელმაც ფართოდ მოიკიდა ფეხი საბჭოთა წლებში, მართებული არ იქნებოდა.

ამრიგად, ასეთი საინტერესო სურათი იკვეთება. პირველყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ დავაზუსტეთ საქართველოში აღნიშნული საკითხის შესწავლის საერთო სურათი და პერიოდიზაცია, რომელიც, უმთავრესად, საბჭოთა ხელისუფლების ძალისხმევით გამრუდებული იქნა, რაც იმით გამოიხა-

ტებოდა, რომ ფაქტობრივად, ელიმინირებული, ამოღებული აღმოჩნდა ამ საკითხის შესწავლის საქმეში საქართველოს სუვენერულ რესპუბლიკაში 1918-1921 წლებში გამოსული ახალი ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელობი. ეს შეუსაბამობა გასწორებული იქნა.

საქართველოში აღნიშნული პრობლემის შესწავლას მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩეული გააჩნია და, პირობით, ოთხ პერიოდად შეიძლება დაიყოს:

1. საქართველოში აღნიშნული პრობლემით დაინტერესება XVIII-XIX საუკუნის მიჯნიდან 1918 წლამდე. ფაქტობრივად, საძირკველი ჩაეყარა ფრანგი განმანათლებლების მოძღვრების პოპულარიზაციას, ის, უმთავრესად, ლიტერატურულ ხასიათს ატარებს.

2. ფრანგი განმანათლებლების მოღვაწეობის შესწავლა საქართველოს სუვერენულ რესპუბლიკაში 1918-1921 წლებში. აღნიშნული პრობლემით დაინტერესება სამეცნიერო-პოპულარულ ხასიათს იძნეს. საკითხისადმი მიდგომა იყო მეცნიერული და უპირტესად პროგრესულ-ლიბერალურ ღირებულებებზეა ორიენტირებული, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. იმუამინდელი ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე ეს სიახლე იყო და წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა. ამის წაყრუება, გვერდის ავლა, როგორც ეს ხდებოდა საბჭოთა პერიოდში, უმართებულო იქნებოდა.

3. აღნიშნული საკითხის შესწავლა საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში (1921-1991). საკითხისადმი შესწავლამ მეცნიერული ელფერი შეიძინა, მაგრამ ცალმხრივი ხასიათი მიიღო და ერთი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ჩარჩოებში აღმოჩნდა მოქცეული საბჭოთა კავშირში ერთი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის დიქტატი, მონო-

პოლია, მყარდება. ემპირიის, ფაქტოლოგიის, დონეზე პროგრესი აშკარაა და ამის უგულებელყოფა სწორი არ იქნებოდა. ისტორიას არ ხელეწიფება ერთი ჭეშმარიტება. ამ გზას ჩიხში მივყევართ. საბჭოთა ისტორიოგრაფიის კრიზისის მიზეზი, სწორედ, აქ უნდა ვეძიოთ.

4. აღნიშნული პრობლემის შესწავლა თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში (1991 - დღემდე). პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს თავი დააღწიოს მარქსიტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლიას. ეს შრომები აღნიშნული პრობლემის ნორმალურ მეცნიერულ კალაპოტში დაბრუნების გზაზე გადადგმულ პირველ მოკრძალებულ ნაბიჯად შეიძლება მივიჩნიოთ. ამრიგად, არავითარ წყვეტას ამ პრობლემის შესწავლის დროს ქართულ რეალობაში ადგილი არ ჰქონია. ეს კიდევ ერთი საბჭოთა მითი იყო.

ვფიქრობთ, არსებობს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ საქართველოში ამ თემატიკით მეცნიერული დაინტერესების გზაზე პირველი მოკრძალებული ნაბიჯი გადაიდგა, არა საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში, როგორც ამას დიდი ხნის გამნავლობაში გვიმტკიცებდნენ, არამედ გაცილებით უფრო ადრე ჯერ კიდევ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 1918-1921 წლებში. იმ ხანებში გამოსული ახალი ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელები, ვფიქრობთ, ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ქართულ ისტორიოგრაფიას ამ პრობლემის დამუშავების დროს სწორი ვექტორი უნდა ჰქონოდა დასახული და მეცნიერული გზით მიღიოდა. უპირატესად, პროგრესულ-ლიბერალურ შეხედულებებზე კეთდებოდა აქცენტი, რომელსაც ბუნებრივია, გააჩნდა თავისი ღირსებები და ნაკლი, საფიქრალი იყო, რომ ეს გზა გაგრძელდებოდა, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ მოხდა. საქართ-

ველოს გასაბჭოების შემდეგ ამ პრობლემით დაინტერესებამ სულ სხვა ხასიათი შეიძინა, რაც თავდაპირველი გზის გაგრძელებად, წინგადადგმულ ნაბიჯად, ძნელია მივიჩნიოთ.

და ბოლოს დავტენთ, რომ საქართველოში აღნიშნული პრობლემის დამუშავება, ვფიქრობთ, სულაც არ ატარებდა ისეთ სწორხაზოვან, ერთგვაროვან ხასიათს, როგორც ეს დიდი ხნის განმავლობაში ეგონათ. მან საინტერესო ფერისცვალება, ევოლუცია, განიცადა მარტივიდან როულისაკენ. თავისუფალი აზროვნებიდან, პროგრესულ-ლიბერალური ფასეულობებიდან, მარქსიზმს-ლენინზმის იდეოლოგიის დიქტატისაკენ და ბოლოს, ისევ ისტორიული მოვლებების მრავალგარიანტული მიდგომისაკენ, პლურალიზმისკენ, თავისუფალი აზროვნებისაკენ. ამიტომ ეს ევოლუცია წარმოგვიდგენია სპირალისებურად და არა სწორხაზოვნად. ვფიქრობთ, ეს უფრო სწორი იქნებოდა.

დამოწმებანი:

1. კილურაძე გ., ახალი ისტორია, ნაწილი 1, თბ., 1970.
2. კოსმინსკი ე., შუა საუკუნეების ისტორია, VI კლასის სახელმძღვანელო, თბ., 1962.
3. აგიბალოვა ე., დონსკო გრ., შუა საუკუნეების ისტორია, VI კლასის სახელმძღვანელო, თბ., 1987.
4. ეფიმოვი ვ., ახალი ისტორია, VIII კლასის სახელმძღვანელო, თბ., 1969.
5. ახალი ისტორია, ალ. ნარობნიცკის რდაქციით, თბ., 1988.
6. Культура и история (Ответы д. и. н. проф. А. Я. Гуревича на вопросы редакции журнала) – «Новая и новейшая история», №1. 1991.
7. თვალიაშვილი ქ., ჩიკვაძე ც., ძველი მსოფლიო ისტორია, VI კლასი, მეორე გამოცემა, თბ., 2005.

8. ანთაძე კ., ფირცხალავა ლ., შუა საუკუნეების ისტორია, VII კლასი, მეორე გამოცემა, თბ., 2005.
9. ანთაძე კ., მამუკელაშვილი ნ., ახალი ისტორია, VIII კლასის სახელმძღვანელო, მესამე გამოცემა, თბ., 2005.
10. ბოლოთაშვილი გ., მსოფლიო ცივილიზაციის ისტორია, XI კლასი, მეორე გამოცემა, თბ., 2005.
11. უზნაძე დ., გველესიანი ი., ახალი ისტორია (XVI-XVIII სს.), თბ., 1920.
12. უზნაძე დ., გველესიანი ი., ახალი ისტორია (XIX-XX სს.), თბ., 1919.
13. კალანდაძე მ., ქართული მედიევისტიკის სათავეებთან, თბ., 2009.
14. ანთაძე თ., კალანდაძე მ., თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის ისტორია, თბ., 2014.
15. კალანდაძე მ., ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში, თბ., 2015.
16. კალანდაძე მ., დიმიტრი უზნაძე საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე და ნაპოლეონზე, თბ., 2016.
17. კალანდაძე მ., საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის ევოლუცია – „მაცნე“, ისტორიის სერია... №1-2 2016.
18. კალანდაძე მ., საქართველოს სუვერენული რესპუბლიკაში 1918-1921 წლებში გამოსული მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები – „ანალები“, №13. თბ., 2017.
19. თვალავაძე ვ., ახალი ისტორია, ნაკვეთი მეორე, თბ., 1999.
20. მონტესკიე შ. ლ., კანონთა გონი, ფრანგულიდან თარგმნა დ. ლაბუჩიძემ, თბ., 1994.

21. Сиволап И. Социальние Идеи Вольтера. М., 1978.
22. Штраус Д, Вольтер, М., 1900.
23. გოგიბერიძე მ., მატერიალიზმი და დიალექტიკის პრობლემების განვითარება მარქსამდე, თბ., 1926.
24. ანთაძე კ., კალანდაძე მ., საფანგეთის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია, თბ., 2005.
25. Healey F. G. Rousseau et Napoleon, Geneva-Paris, 1957.
26. Манфред А, Наполеон Бонапарте, М., 1973.
27. ობოლაძე უ., უან-უაკ რუსო, თბ., 1976.

Merab Kalandadze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**DIMITRI UZNADZE ON FRENCH ENLIGHTENERS
RESUME**

The present work has a historical nature and aims to coverage the contribution of Dimitri Uznadze in historical sciences. At present we discuss one specific issue on the attitude of D. Uznadze toward the doctrines of French enlighteners. This issue hasn't been studied in this regard and therefore we think it is advisable to fill this gap and to say some words on this issue. This would be one more step forward on to the way of coverage of D. Zunadze contribution.

It is natural that D. Uznadze and I. Gvelesiani in the first national school textbook of "Contemporary History" paid relevant attention to the discussion of doctrines of the French enlighteners.

D. Uznadze and I. Gvelesiani have made their contribution and tried as much as possible to begin teaching, study and popularization of the mentioned process.

From today view to evaluate their discussion on this issue will be a walk on the easy way and we consider it as hypercritical. Here strict scientific criteria can't be useful as a measuring unit. They were facing much more modest task, aiming popularization of the mentioned problem; may be said that they have overcome this cultural mission quite well. The main thing was that. This simple, naïve information would inform the Georgian society and especially students about the mentioned issue. The main thing was this.

Their attitude toward the mentioned problems had scientific nature and mostly was oriented on progressive-liberal values, which had its strong and weak sides. This was novelty and step forward for that time historiography background. Study of French enlighteners in Georgia acquires scientific-popular nature and to bypass it and not to pay attention as it was widely introduced in Soviet period couldn't be justified.

Study of the mentioned problem gives us opportunity to abolish a number of Marxist stereotypes and stamps, which had been snuggled very well in the consciousness of Georgian society:

1. In Georgia there didn't not take place any interruption in the issue of interest in the doctrines. We tried to determine the common image and periodization of interest of the mentioned problem in Georgia, which was mainly contorted by effort of Total-Bolshevik regime.

2. We think there is ground to ascertain that in Georgia the first serious step had been made in regard of scientific study of this issue in the Georgian historiography not in Soviet period as they proved it for a long time but it had happened event in Democracy Republic of Georgia in 1918-1921 years. We think that the first national school textbooks published in this period is the clear illustration of the mentioned.

3. While studying the mentioned problem the Georgian historiography should choose the correct vector, it was going through the scientific way and mainly was oriented on progressive-liberal views. It was anticipated that this road would continue, but mainly due to the political cataclysms, this didn't happen so. After sovietization of Georgia study of the mentioned problem took absolutely different direction, which can't be taken as continuation of the initial way, step forward.

4. We think that the interest in the enlighteners doctrines in Georgia didn't have such linear homogeneous character as they tried to show us in the Soviet period. It has experienced an interesting evolution, metamorphosis from simple to hard and it is depicted in more spiral form than in linear form.

ეთერ ბოკელაგაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ბრძოლა
ავტოკეფალიისა და საპატრიარქო ღირსების საერთაშორისო
აღიარებისათვის და კონსტანტინეპოლის
საპატრიარქოს პოზიცია
(XX საუკუნის 60-80-იანი წწ.)

საქართველოს და კონსტანტინეპოლის მართლმადიდებელ ეკლესიათა ურთიერთობებს მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. იგი სათავეს ჯერ კიდევ IV საუკუნიდან იღებს და თანამედროვე ეტაპზეც აქტიურად გრძელდება.

ორ უძველეს საპატრიარქოს შორის თანამშრომლობა, რომელიც საუკუნების მანძილზე, ბიზანტიის იმპერიასა და ქართულ სახელმწიფოს შორის პოლიტიკურ-დიპლომატიურ კავშირებსა და მდიდარი საეკლესიო-კულტურული ტრადიციების ურთიერთგაცვლას ეყრდნობოდა, ჯერ გვიან შუასაუკუნეებში, საქართველოს შიდა პოლიტიკური არეულობისა და ქვეყნის ცალკეულ ტერიტორიულ ერთეულებად დაშლის გამო, მოგვიანებით კი XIX საუკუნეში, რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ანექსიისა და ქართული სამოციქულო ეკლესიის რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის დაქვემდებარებაში გადასვლის გამო შეწყდა. საუკუნეზე მეტი წელის განმავლობაში (1811-1917 წწ.) რუსეთის ეკლესიის იურისდიქციაში ყოფნამ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ფაქტობრივად სრულ საეკლესიო იზოლაციაში მოაქცია: შეწყდა კონტაქტები უძველეს მართლმადიდებლურ საპატრიარ-

ქოებთან, შესუსტდა საქართველოს ეკლესიის, როგორც უძველესი სამოციქულო საყდრის, როლი საერთაშორისო საეკლესიო ასპარეზზე. აღნიშნულმა, შემდგომში, 1917 წელს რუსეთის ეკლესიისაგან გამოყოფისა და დამოუკიდებლობის აღდგნის შემდეგ, საქართველოს ეკლესიის წინაშე რიგი პრობლემები წამოჭრა. მათ შორის, კონსტანტინეპოლის საპატრიარქოსთან ურთიერთობებშიც. რაც უმთავრესად ქართული სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიისა და საპატრიარქო ლირსების საკითხზე იყო ორიენტირებული.

1917 წ-ს ავტოკეფალიის აღდგენიდან, საეკლესიო—დიპლომატიური კონტაქტები საქართველოსა და კონსტანტინეპოლის ეკლესიებს შორის ძირითადად ეპისტოლარულ ხასიათს ატარებდა. იშვიათი კონტაქტები ჰქონდა საქართველოს საპატრიარქოს სხვა მართლმადიდებლურ ეკლესიებთანაც. 1918—1921 წწ.—ში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სეკულარული ხასიათის ღონისძიებებმა, ხოლო შემდგომ, საბჭოთა სისტემის ანტირელიგიურმა ხასიათმა და ოფიციალური ხელისუფლების ხანგრძლივმა ანტისაეკლესიო პოლიტიკურმა კურსმა, ქართული სამოციქულო ეკლესიის საგარეო კავშირ—ურთიერთობების აღდგენა დიდი ხნით შეაფერხა.

XX საუკუნის 50—60-იან წლებში, საბჭოთა კავშირის მასშტაბით გატარებულმა ღონისძიებებმა მართლმადიდებელი ეკლესიის საგარეო დიპლომატიური ურთიერთობების დარგში (მხედველობაში გვაქვს ეკუმენური მოძრაობა და მასში სსრკ-ის ეკლესიების ჩართვა) დადებითი როლი შეასრულა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საერთაშორისო ასპარეზზე გასვლის საქმეში. 1962 წლიდან საქართველოს ეკლესია ხდება ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს წევრი და იწყება ახალი ეტაპი საქართველოს სამოციქულო ეკლესიის

საგარეო საეკლესიო—დიპლომატიური ურთიერთობების ისტორიაში.

ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში ხანგრძლივმა მოღვაწეობამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქართული ეკლესის უძველეს მართლმადიდებლურ საპატრიარქოებთან ურთიერთობის აღდგენა—დაახლოებას; დამყარდა ახალი კონტაქტები მთელ რიგ ავტონომიურ და ავტოკეფალურ მართლმადიდებლურ ეკლესიებთან და არამართლმადიდებლურ კონფესიებთან; აღდგა კავშირი ვატიკანთან. განსაკუთრებული მნიშვნელობა კი საქართველოს ეკლესისათვის კონსტანტინეპოლის მსოფლიო საპატრიარქოსთან ურთიერთობას ენიჭებოდა.

აღნიშნულ პერიოდში, კონსტანტინეპოლის საპატრიარქო, მიუხედავად მძიმე საშინაო მდგომარეობისა, ერთ-ერთ წამყვან როლს ასრულებდა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს საქმიანობაში. გარდა ამისა, იგი, როგორც მართლმადიდებლური ეკლესიების მსოფლიო ცენტრი (არა იერარქიული პრინციპით) ქრისტიანულ სამყაროში კვლავ ინარჩუნებდა ეკლესიათაშორის მედიატორულ ფუნქციებს. აქედან გამომდინარე, კონსტანტინეპოლის საპატრიარქოსთან დაახლოებასა და მისი მხარდაჭერის მოპოვებას, ადგილობრივი ეკლესიები სასიცოცხლო მნიშვნელობას ანიჭებდნენ.

კონსტანტინეპოლისა და საქართველოს მართლმადიდებელ საპატრიარქოთა ურთიერთობები XX საუკუნის II ნახევარში სირთულეებით ხასიათდებოდა. კერძოდ, მთავარი პრობლემა, რომელიც სერიოზულ დაბრკოლებებს ქმნიდა ისტორიული, მჭიდრო თანამშრომლობის აღდგენის გზაზე, საქართველოს სამოციქულო ეკლესის ავტოკეფალიისა და მისი მწყეშმთავრის საპატრიარქო ტიტულის აღიარების საკითხი იყო.

ისტორიულად ცნობილია, რომ საქართველოს მართლ-მადიდებელი ეკლესია ავტოკეფალიას V საუკუნიდან ფლობს, მისი საჭეთმპყრობელი კი პატრიარქის რანგში XI საუკუნი-დან იწოდება*. აღნიშნული მრავალგზის არის დადასტურებუ-ლი როგორც ქართულ, ასევე უცხოურ წერილობით წყარო-ებში, მათ შორის, მართლმადიდებლურ საპატრიარქოებში და-ცულ ისტორიულ დოკუმენტებშიც, რომლებიც სიღრმისეუ-ლად არის შესწავლილი საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერი-ოდის ქართულ სამეცნიერო წრეებში (საყურადღებოა ბ. ლო-მინაძის, ნ. ლომოურის, მ.ლოროთქიფანიძის, მიტროპოლოტ ანანია ჯაფარიძისა და სხვათა შრომები).

ქართული ეკლესის ავტოკეფალიასა და, მით უფრო, მისი საჭეთმპყრობლის საპატრიარქო ტიტულის გადასინჯვის საკითხი არასდროს დამდგარა დღის წესრიგში მართლმადი-დებლურ ეკლესიათა შორის ურთიერთობებში (თუმცა, შუა საუკუნეებში გარკვეულ ბერძნულ საეკლესიო წრეებს ჰქონ-დათ ამის მცდელობა). XX საუკუნის 60–80-იან წლებში მიმდინარე მოვლენებმა კი ცხადყვეს, რომ ამ საკითხისადმი კონსტანტინეპოლს ჯერ კიდევ ორაზროვანი დამოკიდებულება ჰქონდა და იგი მსოფლიო პატრიარქის დონეზე გადაჭრას საჭიროებდა.

პირველმა პრობლემებმა ამ კუთხით, 1963 წელს იჩი-ნეს თავი, როდესაც კუნძულ როდოსზე, ეკლესიათა მსოფ-ლიო საბჭოს ეგიდით გამართულ საერთაშორისო მართლმა-დიდებლურ ფორუმზე (სადაც საქართველოს ეკლესის მხრი-დან ბათუმელ-შემოქმედელი ეპისკოპოსი ილია (შიოლაშვი-ლი) იღებდა მონაწილეობას), საქართველოს ეკლესია ახალ-გაზრდა, ავტონომიურ ეკლესიად იქნა წარდგენილი. ამ ფაქტს ქართული დელეგაციის საჯარო პროტესტი მოჰყვა,

თუმცა მალე გაირკვა, რომ აღნიშნული უნებლიერ შეცდომის შედეგი არ ყოფილა.

კონსტანტინეპოლიდან საქართველოში გამოგზავნილ ოფიციალურ ეპისტოლებსა თუ ბერძნულებროვან საეკლესიო კალენდრებში, სადაც ადგილობრივ მართლმადიდებელ ეპლესიათა ადმინისტრაციული სტრუქტურის გარდა, მათი მოღვაწეობის ისტორიაც შექმნებოდა, საქართველოს ეკლესია მუდმივად ავტონომიურ ეკლესიად ფიქსირდებოდა. მისი მწყებსმთავარი კი მთავარეპისკოპოსად იხსენიებოდა. მიუხედავად ქართული საპატრიარქოს მხრიდან მისი სტატუსის ფალსი-ფიცირებაზე მრავალგზის მითითებისა, ბერძნული მხარის პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით, დიდხანს არ შეცვლილა. აღნიშნული მსოფლიო საპატრიარქოსა და მისი გავლენის ქვეშ მყოფ ეკლესიებში (მაგ; ელადის ეკლესია) იძერის უგველესი სამოციქულო ეკლესიის სტატუსის შესახებ არსებული მცდარი კონცეფციებით იყო გამოწვეული, რასაც, ჩვენი ვარაუდით, 1917 წელს რუსეთის ეკლესიისაგან დამოუკიდებლობის მოპოვების ისტორიული ფაქტის მცდარი ინტერპრეტაცია ედო საფუძვლად.

1917 წელს რუსეთის რევოლუციის შედეგად, სახელმწიფო მმართველობითი სტრუქტურისა და ტერიტორიული საზღვრების ცვლილებასთან ერთად, იკვლება რუსეთის ეკლესიის იურისდიქციაც. ყოფილი ცარისტული იმპერიის მიწებზე ყალიბდება დამოუკიდებელი სახელმწიფოები, სადაც პარალელურად საფუძველი ეყრდნა ადგილობრივ, კანონიკურად თვითმოწესე ეკლესიებს. ესტონეთის, ფინეთისა და პოლონეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა საზღვრებში, იქმნება ასევე დამოუკიდებელი, ავტონომიური მართლმადიდებელი ეკლესიები, რომელთა ფაქტობრივ უფლებებს 20-იან წლებში ცნობს თვით რუსეთის საპატრიარქოც.

ზემოხსენებულ ეკლესიათა მსგავსად, XX საუკუნის 10-იან წლებში რუსეთის სახელმწიფოში შექმნილი შიდა პოლიტიკური კრიზისის ფონზე, ავტოკეფალისტური მოძრაობა ძლიერდება საქართველოშიც (თუმცა ბრძოლა ქართული ეკლესის დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის, საქართველოში გაცილებით უფრო ადრე დაიწყო), მაგრამ იმ განსხვავებით, რომ აქ საეკლესიო თვითმყოფადობის აღდგენა წინ უსწრებდა დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს ფორმირებას.

1917 წლის მარტში, საქართველოს საეკლესიო კრებამ ოფიციალურად გამოაცხადა ისტორიული ავტოკეფალიის აღდგენა, რაც ავტომატურად ცარიზმის მიერ ხელოვნურად შეწყვეტილი ქართული საპატრიარქო ინსტიტუტის ტრადიციულ, კანონიკურ უფლებებში აღდგენას გულისხმობდა. ავტოკეფალიის აღდგენის აქტი ადასტურებდა, რომ ამიერიდან გრძელდებოდა ავტოკეფალია, რომელიც „ეკლესიასა ქართველთასა აქუნდა, თანახმად მსოფლიო კრებათა კანონებისა... რომლისა მოსპობათ ანუ გაუქმებათ არავის ძალ—ედვა, თვინიერ მსოფლიო კრებისა“¹.

ამგვარად, 1917 წლისათვის საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა საყოველთაო მართლმადიდებლური საეკლესიო წესების სრული დაცვით განხორციელდა. აღნიშნული კარგად იყო ცნობილი რუსულ საეკლესიო წრეებშიც, თუმცა მიუხდავად ამისა, რუსეთის საპატრიარქო 1943 წლამდე ქართულ ეკლესიას რუსეთის საპატრიარქოსგან დროებით მოწყვეტილ ეპარქიად მიიჩნევდა და ქართველ სამღვდელოებასაც რუსეთის „დედა—ეკლესიისაგან“ თვითნებურ განდგომილებაში ადანაშაულებდა. რუსეთის საპატრიარქოს მცდელობას, დაკარგული სამწყსოების შემოერთე-

¹ საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის აქტი. თბილისი, 2005. გვ. 4.

ბის კუთხით, XX საუკუნის 20-იანი წლებიდან დაუპირის-პირდა კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს ინტერესები. რუ-სეთის ეკლესიისაგან „განდგომილი სამღვდელოება“ მფარვე-ლობას კონსტანტინეპოლის სთხოვს და ამ გზით ცდილობს დამოუკიდებლობის საერთაშორისო გარანტიების შექმნას. ასე მაგალითად, 1923 წელს მას მფარველობაში მიღების თხოვ-ნით მიმართავს ესტონეთის, ფინეთისა და პოლონეთის სამღვ-დელოება. კონტანტინეპოლი აკმაყოფილებს მათ თხოვნას და ამ ტერიტორიებზე ავრცელებს საკუთარ იურისდიქციას.

როგორც ჩანს, კონსტანტინეპოლის საპატრიარქო მათ რიგში მოიაზრებდა საქართველოს ეკლესიასაც, თუმცა ქართ-ველ სამღვდელოებას, მიუხედავად დიდი საფრთხისა, კოსტა-ნტინეპოლის ეკლესიისათვის მფარველობაში მიღების თხოვ-ნით არ მიუმართავს. აღნიშნული ბუნებრივიც იყო, რადგან საქართველოს ეკლესია არა ავტონომიური, არამედ ავტოკე-ფალური ეკლესიის სტატუსს ატარებდა და სხვა მართლმა-დიდებლური, თუნდაც „მსოფლიო საპატრიარქოს“ მფარვე-ლობაში შესვლა (რაც ავტომატურად მისი გავლენის ქვეშ მოქცევას გულისხმობდა) მისი, როგორც სამოციქულო ეკლე-სის ინტერესებსა და, ზოგადად, საერთო ქრისტიანულ კანო-ნებს ეწინააღმდეგებოდა. შესაბამისად, კონსტანტინეპოლის იურისდიქცია მასზე არ გავრცელებულა.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ჭეშმარიტი ისტორიული სტატუსის აღიარების საკითხი მოსკოვის საპა-ტრიარქოში 40-იან წლებამდე გადაუჭრელი იყო. მხოლოდ, 1943 წელს იოსებ სტალინის ძალისხმევით, რუსეთის პატ-რიარქმა სერგიმ ოფიციალურად ცნო საქართველოს ეკლესი-ის ავტოკეფალია და იგი მოსკოვის საპატრიარქოს საგანგებო აქტითაც დაადასტურა. ამ ფაქტით რუსეთის ეკლესია ამიე-რიდან უარს ამბობდა ქართული ეკლესის მიმართ საკუთარ

პრეტენზიებზე და მას ევქარისტულ კავშირში მყოფ, და—ეკლესიად აღიარებდა.* მიუხედავად აღნიშნულისა, კონსტანტინეპოლის საპატრიარქოში საქართველოს ეკლესის სტატუსის საკითხი თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე ღიად დარჩა.

ქართული ეკლესის მწყემსმთავრებს ღრმად ჰქონდათ გააზრებული ის საფრთხე, რაც საქართველოს ეკლესისათვის კონსტანტინეპოლის აღნიშნულ პოზიციას შეეძლო შეექმნა, თუმცა საბჭოთა პერიოდში მართლმადიდებელ ეკლესიაზე მძლავრი იდეოლოგიური და ფიზიკური წნების პირობებში (რაც თავისთავად ქმნიდა დაბრკოლებებს საერთაშორისო საეკლესიო დიალოგებში საქართველოს ეკლესის აქტიური ჩართვისთვის, მით უფრო მისი დამოუკიდებელი ავტოკეფალური სტატუსის ირგვლივ), საკითხის განხილვა და მისი საქართველოს ეკლესის სასარგებლოდ გადაჭრა შეუძლებელი გახდა.

მხოლოდ XX საუკუნის 60-იანი წლებიდან, მას შემდეგ, რაც საბჭოთა ხელისუფლება იცვლის საგარეო საეკლესიო-დიპლომატიურ ორიენტირებს და ხელს უწყობს სსრკის მართლმადიდებელი ეკლესიების საერთაშორისო რელიგიურ პროცესებში ჩართვას, საქართველოს საპატრიარქოს ეძლევა საშუალება, კონსტანტინეპოლის ეკლესის წინაშე აქტიურად დააყენოს საქართველოს ეკლესის ავტოკეფალის აღიარების საკითხი.

1963 წელს კუნძულ როდოსზე გამართულ ფორუმზე შექმნილი გარემოების გათვალისწინებით, საქართველოს პატრიარქი ეფრემ II ქართული ეკლესის ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ მღვდელმთავარს, ბათუმელ-შემოქმედელ ეპისკოპოს ილიას (შიოლაშვილი) ავალებს საქართველოს ეკლესის ისტორიული ავტოკეფალის საერთაშორისო აღიარების საკით-

ხზე მუშაობას. ეპისკოპოსი ილია, რომელიც 60–70–იანი წლების მანძილზე ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს დეპარტამენტში „ეკლესია და ცხოვრება“ მოღვაწეობდა, მთელი ძალისხმევით ცდილობდა ქართული ეკლესიის როლის წარმოჩენას მსოფლიო რელიგიურ პროცესებში და ამ გზით, კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს მხარდაჭერის მოპოვებას¹.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საერთაშორისო აღიარების საკითხზე მუშაობა განსაკუთრებით ინტენსიურად წარიმართა ეპისკოპოს ილიას საქართველოს საპატრიარქო ტახტზე აღსაყდრებისა და შემდგომ მისი ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტად არჩევის შემდეგ. ქართული ეკლესიის მწყემსმთავარი აქტიურად იყენებდა ემს–ს ტრიბუნასა და მართვის სადავებს საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიული წარსულისა და მისი ტრადიციული კანონიკური უფლებების მსოფლიო მასშტაბით პოპულარიზაციისთვის, რითაც ზელს უწყობდა მისი როლისა და ფუნქციების ზრდას ეკლესიათაშორის დიპლომატიურ ურთიერთობებში.

მისი ინტრონიზაციიდან მცირე ხანში, 1978 წლის ივნისში, როდესაც საქართველოს კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს დელეგაცია (ქალკედონის, ფილადელფიის, შევდეთისა და სკანდინავიის ქავერების მიტროპოლიტები) ეწვია, პატრიარქმა ილიამ მსოფლიო საპატრიარქოს წარმომადგენელთა წინაშე ოფიციალურად დააყენა საქართველოს ეკლესიის სტატუსის მსოფლიო საპატრიარქოში აღიარების საკითხი.

დიალოგი 1979 წელსაც გაგრძელდა, როდესაც საქართველოს პატრიარქი კონსტანტინეპოლის პატრიარქ დიმიტრიოს I-ის მიწვევით სტამბულში იმყოფებოდა. მისასალმებელ

¹ თორაძე ვ, თორაძე ნ, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია, გამომც. “ელფი”, თბ, 2004.

სიტყვაში მისი უწმინდესობა აღნიშნავდა: „წარსული საუკუნების შამთა სიავეგ დაშორა ორი ძველი სამოციქულო ეპლესის ახლო მეგობრობა და შეასუსტა ურთიერთთანამშრომლობის ტრადიციები. მაგრამ მრავალი საუკუნის შემდეგ, ჩვენ ისევ ერთად ვართ... ჩვენი მიზანია ვიყოთ ერთად, ძალა ერთობაშია და ერთობა ძლიერების საწინდარია“¹ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კონსტანტინეპოლის ეკლესის წარმომადგენლობას შეახსენა ქართული მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესის ისტორია და დასძინა: „საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას კარგი დამოკიდებულება ჰქონდა კონსტანტინეპოლის ეკლესიასთან, ჩვენ გვინდა აღვადგინოთ ეს მტკიცე კავშირი“² მისი უწმინდესობა, მიუთითებდა რა კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს ქრისტიანულ ეკლესიათა შორის მედიატორულ როლზე, ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ მისი პოზიცია საქართველოს ეკლესის ავტოკეფალიისა და საპატრიარქო ტიტულის საკითხში, საქართველოს უძველესი საპატრიარქოსვის მიუღებელი იყო, ვინაიდან იგი ქართული ეკლესიის ისტორიის ხელოვნურ ფალ-სიფიცირებას იწვევდა. აღნიშნული კი გავლენას ახდენდა მის საერთო მდგომარეობასა და ავტორიტეტზე მთელს მსოფლიოში. ამიტომ მის წინაშე გადაჭრით აყენებდა პრობლემის ობიექტური გადაწყვეტის საკითხს³.

მსოფლიო საპატრიარქოს წარმომადგენლობამ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს აღუთქვა, რომ კონსტანტინეპოლის ეკლესიის სინოდი ამ საკითხს დადებითად გადაწყვეტდა საქართველოს ეკლესიის შესახებ არსებული დასაბუთებული ისტორიული მასალების მიღებისა და მათი განხილ-

¹ ურნ. „ჯვარი ვაზისა“, 2, 1979, გვ. 8.

² ურნ. „ჯვარი ვაზისა“, 2, 1979, გვ. 10.

³ ჯვარი ვაზისა, №2, 1979.

ვის საფუძველზე. საქართველოს ეკლესიასთან არსებული საკითხების კურირება კი შამბეზში (შვეიცარია) კონსტანტინებოლის საპატრიარქოს მართლმადიდებლური ცენტრის ხელმძღვანელს – მიტროპოლიტ დამასკინოსს დაევალა¹.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ კონსტანტინებოლის საპატრიარქო განსაკუთრებულ აქცენტს ბერძნულ წყაროებსა და მსოფლიო პატრიარქის მიერ გაცემულ ტომოსებზე აკეთებდა. ეს უკანასკნელი ცნობილია, რომ XX საუკუნეში საქართველოს ეკლესიაზე არ გაცემულა, შეუასუკუნებში კი კონსტანტინებოლი შექმნილი იბერიის ეკლესიის ავტოკეფალიის დამადასტურებელი დოკუმენტი ქართულ ისტორიოგრაფიაში მიუკვლეველი იყო.

ამ მიზნით საქართველოს პატრიარქის ინიციატივით თბილისში შეიქმნა ქართველ მეცნიერთაგან (მ. ლორთქიფანიძე, ბ. ლომინაძე, ზ. ალექსიძე, ნ. ლომოური, რ. სირაძე) დაკომპლექტებული საგანგებო სამეცნიერო კომისია, რომელ-საც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ ისტორიული წყაროების მოძიება—შეკრება და შესწავლა დაევალა. კომისიის რამდენიმეწლიანმა აქტიურმა მუშაობამ სასურველი შედეგი გამოიღო. შემოკრებილ იქნა აურაცხელი ისტორიული მასალა (ქრონიკები, ქართული სიგელ-გუჯრები, ქრისტიანულ ეკლესიათა მეთაურების ეპისტოლები და ა.შ), რომელიც ქართული ეკლესიის ავტოკეფალიასა და საპატრიარქო სტატუსს ადასტურებდა. 1982 წლის 3 ივლისს კი აღნიშნული დოკუმენტები პატრიარქის ეპისტოლესთან ერთად კონსტანტინებოლი გაიგზავნა.

ქართველ მეცნიერთა მიერ მოძიებული დოკუმენტაცია ნათელს ჰქონდა კონსტანტინებოლის საპატრიარქოს პოზიციის უსაფუძვლობას. მათ შორის იყო ის ბერძნული წყაროები

¹ ჯვარი ვაზისა, 3, 1979.

(მაგ., XII საუკუნის ანტიოქიელი მღვდელმთავრის თეოდორე ბალსამონის ცნობა იბერიის უძველესი ეკლესიის შესახებ), რომლებიც V საუკუნის II ნახევარში ანტიოქიის ეკლესიის ადგილობრივი კრების მიერ ქართლის ეკლესიისათვის ავტოკეფალის მინიჭების ფაქტს ადასტურებდნენ. გარდა ამისა, საყურადღებოა პატრიარქის ეპისტოლებც, რომელიც იტყობინებოდა, რომ თუ ამის შემდეგაც „კონსტანტინეპოლის მსოფლიო საპატრიარქო სადაცოდ მიიჩნევდა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ადგილს დიპტიხში, ამ შემთხვევაში საქართველოს საპატრიარქოს გაუჭირდებოდა მონაწილეობის მიღება მსოფლიო საპატრიარქოს მიერ მოწყობილ ღონისძიებებში”¹.

როგორც ზემოთ ითქვა, აღნიშნულ პერიოდში საქართველოს ეკლესიის საჭეთმცყობელი იმავდროულად ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტი იყო. ეს გარემოება კი, თავის მხრივ, ართულებდა მსოფლიო საპატრიარქოს ინიციატივითა და ემს-ს ეგიდით რაიმე მასშტაბური ღონისძიების წარმართვას ქართული ეკლესიის გვერდის ავლით. მით უფრო, რომ მსოფლიო ქრისტიანული საეკლესიო წრეების დამოკიდებულება უძველესი კულტურისა და ტრადიციების მქონე საქართველოს ეკლესიისა და განსაკუთრებით, მისი მეთაურისადმი, უაღრესად დადგებით ხასიათს ატარებდა. ქართული ეკლესიის აქტიური როლი საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში, იყო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რამაც განაპირობა მისი ავტორიტეტის სწრაფი ზრდა. აღნიშნულს, ვიჟიქობთ, კარგად აცნობიერებდა კონსტანტინეპოლის საპატრიარქოც. საერთო ეკუმენური მოძრაობის ფონზე, ნებისმიერ

¹ ვარდოსანიძე ს., სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ილია II, გამომც. “ნათლისმცემელი”, თბ, 2008, გვ. 176.

რი სახის წინააღმდევობას მართლმადიდებლურ ეკლესიათა შორის, შესაძლოა სერიოზული დაბრკოლებები წარმოეშვა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში. ამ მიზეზით, პატრიარქის ეპისტოლეს თითქოს უნდა დაეჩქარებინა საქართველოს ეკლესის სტატუსის პრობლემის გადაჭრა, თუმცა, მიუხედავად ამისა, საკითხის განხილვა მსოფლიო საპატრიარქოში კიდევ რამდენიმე წელიწადს გაგრძელდა.

ქართულ-ბერძნულ საპატრიარქოთა შორის დაალოგების მონაწილე სამღვდელოთა დამოწმებით, კონსტანტინეპოლის მხრიდან საკუთარი პოზიციის ოფიციალური განმარტება მდგომარეობდა შემდეგში: ქართული ეკლესიისათვის თვით-მწყსობის უფლების მინიჭება მოხდა ანტიოქიის საპატრიარქოსგან, რაც მხოლოდ კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს პრეორგატივა იყო. აქედან გამომდინარე, მსოფლიო საპატრიარქო ვერ ცნობდა ქართული ეკლესის დამოუკიდებლობას¹.

აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა ითქვას ის, რომ ქართული ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მინიჭება V საუკუნის II ნახევარში იმხანად არსებული საეკლესიო წესებისა და ტრადიციების გათვალისწინებით მოხდა. კერძოდ, იბერიის ეკლესიას, რომლის ეპისკოპოსთა კურთხევაც V ს-მდე ანტიოქიის ეკლესიის მეთაურის მიერ ხორციელდებოდა და რომელიც ფაქტობრივად ანტიოქიის ეკლესის დაქვემდებარებაში იმყოფებოდა, პატრიარქ პეტრე ფულონის (471-488წ) დროს, ანტიოქიის ადგილობრივი საეკლესიო კრება ანიჭებს თვითმოწესების უფლებას და უკვე დამოუკიდებელი ეპისკოპოსის სტატუსით, აკურთხებს ქართველი მეფის (ვახტანგ გორგასალი) მიერ შერჩეულ კანდიდატს - პეტრეს. ყოველივე აღნიშნული კი ბიზანტიის იმპერატორისა და კონსტანტინეპოლის, როგორც იმპერიის დედაქალაქის ეპისკოპოსის მეთ-

¹ ჯვარი ვაზისა, 3, 1990.

ვალყურეობითა და სრული მხარდაჭერით ხორციელდება (ჯუანშერი „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“). მას შემდეგ ქართლის ეკლესია ავტოკეფალიის სტატუსით სარგებლობს. რაც შეეხება მისი მწყემსმთავრის ტიტულს, V-XI სს-ში იგი „კათოლიკოსად“ (რაც ანტიოქიიდან მომდინარე აღმოსავლური წესის მართლმადიდებელ ეკლესიათა მეთაურის სახა-სიათო წოდებას წარმოადგენდა), XI ს-დან კი ქართული და უცხოური ისტორიული დოკუმენტების მიხედვით, „კათოლი-კოს-პატრიარქად“ იწოდება.

ზემოხსენებულ ისტორიულ რეალიებს ვფიქრობთ, კარ-გად იცნობდა კონსტანტინეპოლის საპატრიარქო. აღნიშნუ-ლის საფუძველს გვაძლევს 70–80-იან წლებში კონსტანტი-ნეპოლის ეკლესიის წარმომადგენლებთან გამართული ოფიცი-ალური დიალოგების (რაც ამ პერიოდის ქართულ პრესაში დოკუმენტურად არის გამოქვეყნებული) ანალიზი, სადაც მკა-ფიოდ იგრძნობა ბერძენი სამდვდელოების განსწავლულობა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიაში (მა-გალითისათვის შეგვიძლია დავასახელოთ ქალკედონის მიტ-როპოლიტი მელიტონი, რომელიც 70-იანი წლების მიწუ-რულში საქართველოში კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს დალეგაციას ხელმძღვანელობდა). შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ მისი პოზიციის საფუძვლები სხვა გარემოებებში, კერ-ძოდ კი კვლავ კონსტანტინეპოლისა და რუსეთის საპატრია-რქოთა შორის ურთიერთობებშია საძიებელი.

გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან სადაცო ტერი-ტორიების საკითხმა კონსტანტინეპოლისა და მოსკოვს შორის ხელახლა იჩინა თავი. კვლავ გააქტიურდნენ ესტონეთისა და უკრაინის საეკლესიო წრეები, რომლებიც საბჭოთა პერიოდში მათზე ხელახლა განვირცობილი რუსეთის საპატრიარქოს იუ-რისდიქციისა და მისი გავლენისგან სრული გათავისუფლები-

საკენ ისწრაფვიან. მათ ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის, აქტიურად უჭერდა მხარს კონსტანტინეპოლი, რომელიც, თავის მხრივ, ამ ეკლესიებზე საკუთარი გავლენის გავრცელებას ცდილობს. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დასაშვებად მიგვჩნია პარალელის გავლება კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს საქართველოს სამოციქულო ეკლესის სტატუსისადმი დამოკიდებულების მიზეზებსა და საფუძვლებთან. როგორც ჩანს, კონსტანტინეპოლში საქართველოს ეკლესია მსგავსად XX ს-ის I ნახევრისა, ამჯერადაც სტატუსითა და მნიშვნელობით რუსეთის საპატრიარქოსგან გამოყოფილ წენებულ ეკლესიებთან იქნა გათანაბრებული, რომელზეც კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს გავლენა უნდა გავრცელებულიყო. თუმცა ქართული ეკლესის თვითმყოფადმა ხასიათმა, რაშიც ბუნებრივია, მის სამოციქულო და ავტოკეფალურ ტრადიციებსაც მოვიაზრებთ, სერიოზული დაბრკოლება შეუქმნა კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს მიზნების განხორციელებას. მსოფლიო საპატრიარქოში იმთავითვე მცდარად იქნა გააზრებული საქართველოს სამოციქულო ეკლესის მდგომარეობა და მისი შემდგომი არსებობის პერსპექტივები. მისი გათანაბრება ესტონეთის, უკრაინის ან თუნდაც სხვა მართლმადიდებელ ეკლესიებთან, იყო უდიდესი შეცდომა, რომელმაც ზიანი მიაყნა როგორც საქართველოს ეკლესის საგარეო მდგომარეობას, ისე ქართულ-ბერძნულ საპატრიარქოთა შორის ურთიერთობებს. ქართული ეკლესი-სა და მისი საჭეთმცყრობლის შეურიგებელმა ბრძოლამ, მისი თვითმოწესეობრივი ტრადიციების უგულებელყოფისა და ფალსიფიცირების წინააღმდეგ, ბერძნული საპატრიარქოს სამღვდელოება მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ კონსტანტინეპოლის მიზნების რეალიზება საქართველოს ეკლესიაზე უპერსპექტივო იყო. აღნიშნულს ადასტურებდა აგრეთვე მსოფლიო

საეკლესიო წრების ცალსახა, მხარდაჭერი პოზიცია საქართველოს ეკლესიისადმი მისი ისტორიული უფლებების აღიარების საკითხში.

80-იან წლებში გამოქვეყნებული ეპისტოლებით საქართველოს ეკლესიას მხარდაჭერას უცხადებდენ მოსკოვის, აღექსანდრიის, იერუსალიმის, ბულგარეთის საპატრიარქოები. აგრეთვე, კვიპროსის, ჩეხეთისა და პოლონეთის მართლმადიდებელი ეკლესიები. მათი უძრავლესობა კონსტანტინეპოლის პატრიარქს ურჩევდა, საქართველოს ეკლესის საკითხი უახლოეს ვადებში გადაეჭრა, ვინაიდან იგი საფრთხეს უქმნიდა ეკუმენურ ურთიერთობებს, რაშიც უდიდესი პასუხისმგებლობა კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს ეკისრებოდა¹. მსოფლიოს მართლმადიდებელი ეკლესიების მხარდაჭერამ საქართველოს ეკლესიისადმი, უდიდესი წვლილი შეიტანა საკითხის გადაწყვეტაში. 80-იანი წლების მიწურულისათვის, კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს მხრიდან კომპრომისები შეინიშნებოდა, თუმცა, 1988 წელს განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყვეს, რომ იგი მთლიანად არ ამბობდა უარს საქართველოს ეკლესიის მიმართ საკუთარ ინტერესებზე.

1988 წელს საქართველოს ეწვია კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს დელეგაცია, რომელმაც საქართველოს ეკლესიის საჭეომპყრობელსა და წმინდა სინოდის წარმომადგენლებს საქართველოს ეკლესიის სტატუსისა და საპატრიარქო ღირსების შესახებ კონსტანტინეპოლში შედგენილი სიგელები გადასცა, რომლებიც ამა თუ იმ ეკლესიისათვის მსოფლიო საპატრიარქოს მიერ ავტოკეფალიის მინიჭების ან საპატრიარქო ტიტულის ბოძების ტიპიურ ტომოსებს წარმოადგენდნენ. სიგელთა ტექსტის მიხედვით, საქართველოს ეკლესია ამიერიდან კონსტანტინეპოლისგან იღებდა ავტოკეფალიას,

¹ ჯვარი ვაზისა, 3, 1990.

აღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენ მიერ ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებას, საქართველოს ეკლესიის მიმართ კონსტანტინეპოლის მიზნების შესახებ. გარდა ამისა, საყურადღებო იყო აგრეთვე სიგელის ერთი მუხლი, რომელიც მირონის საკითხს შეეხებოდა. კერძოდ, მსოფლიო საპატრიარქოს სინოდალური განჩინების საფუძველზე, საქართველოს ეკლესიას წმინდა მირონი კონსტანტინეპოლიდან უნდა მიეღო. აღნიშნული, კიდევ უფრო დიდ წინააღმდეგობაში მოდიოდა როგორც საეკლესიო კანონებთან, ისე საქართველოს ეკლესიაში ჯერ კიდევ მუა საუკუნეებში დანერგილ საეკლესიო ტრადიციებთან. კერძოდ, ისტორიულად დადასტურებულია, რომ საქართველოს სამოციქულო ეკლესია, მირონს, მცხეთაში, ჯერ კიდევ VIII საუკუნიდან ამზადებდა. აქედან გამომდინარე, კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს ხსენებულ სიგელთა მიღება საქართველოს ეკლესიის მიერ საკუთარი, მრავალსაუკუნოვანი კანონიკური უფლების უარყოფას და მსოფლიო საპატრიარქოსადმი ეკონომიკურ დაქვემდებარებაში გადასვლას ნიშნავდა. 1988 წელს დიალოგი ქართულ-ბერძნულ საპატრიარქოთა შორის ფაქტობრივად ჩაიშალა.

საქართველოს პატრიარქის, ილია II-ის დაჟინებული მოთხოვნით, სიგელთა ტექსტში მნიშვნელოვანი ცვლილებები იქნა შეტანილი. კერძოდ, დოკუმენტებში დაფიქსირდა ისტორიული წყაროები, რომლებიც ქართული ეკლესიის მრავალ-საუკუნოვან ავტოკეფალიას ადასტურებდნენ. აგრეთვე, ამოღებულ იქნა მუხლი, რომელიც საქართველოს ეკლესიას წმინდა მირონის კონსტანტინეპოლისგან მიღებას აკისრებდა და სხვ.¹

საბოლოოდ, 1990 წლის 23 იანვარს, კონსტანტინეპოლის ეკლესიის წმინდა სინოდმა მიიღო გადაწყვეტილება, ეც-

¹ ჯვარი ვაზისა, 3, 1990.

ნო საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალია და მისი მწყემსმთავრის ტიტული. იმავე წლის 25 იანვარს შედგენილი “საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობისა და მტკიცების სიგელით” კონსტანტინეპოლის საპატრიარქო აცხადებდა: „მივიჩნევთ, რომ იგი [საქართველოს ეკლესია] ჩართულია და არის ძმურ მართლმადიდებლურ ეკლესიათა პლეადაში და ვადასტურებთ ამასთანავე იმას, რომ იგი სახელდებულია როგორც წმიდა ავტოკეფალური ეკლესია სრულიად საქართველოისა, ვცნობთ მას, როგორც ჩვენს სულიერ დას, რომელიც უფლებამოსილია მართოს და აწარმოოს საქმეზი დამოუკიდებლად და ავტოკეფალურად“¹. “საქართველოს უწმიდესი ეკლესიის მეთაურისთვის საპატრიარქო ტიტულის ცნობის და ბოძების საპატრიარქო სინოდურ განჩინებაში” კი ეწერა: „საქართველოს უწმიდეს მართლმადიდებელ ეკლესიას მიეცეს ძმური თანხმობა და აღიარება მასზედ, რომ საქართველოს უწმიდესი ეკლესია პატივდებულ იქნეს საპატრიარქო ღირსებითა და ადგილით, როგორც ადრიდანვე იხსენიებოდა უძველეს ქრონიკებსა და სხვა საეკლესიო წყაროებში. მისი ტიტული – „მთავარეპიკოპოსი მცხეთა–თბილისისა და კათოლიკოსი სრულიად საქართველოისა“ ასევე იხსენიებოდეს ამიერიდან მართლმადიდებლურ საღმრთო და წმიდა განგებებში“²

ამრიგად, საქართველოს მართლმადიდებელმა სამოციქულო ეკლესიამ, მისი საჭეოთმცყრობლის მტკიცე ეროვნული პოზიციებისა და ბრძნული დიპლომატიის წყალობით, გასული საუკუნის 80–იანი წლების ბოლოსთვის შეძლო სუვერენული სტატუსისა და უფლებების საერთაშორისო აღიარების მოპოვება. კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს მიერ საქართ-

¹ ჟურნ. “ჯვარი ვაზისა”, 3, 1990, გვ. 7-8.

² ჟურნ. “ჯვარი ვაზისა”, 3, 1990, გვ. 13.

ველოს ეკლესიის საკითხის დადებითად გადაჭრას ღრმა ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა: წარმატებით დასრულდა ქართველი საზოგადოების (როგორც სამღვდელოების, ისე ინტელიგენციის) ბრძოლა ეროვნული ეკლესიის სუვერენული უფლებების საერთაშორისო აღიარებისთვის; შედგა ოფიციალური დოკუმენტი, რომელმაც კიდევ უფრო გაამყარა ქართული ეკლესიის სტატუსი და პოზიციები საერთაშორისო ასაპარეზზე; გაიზარდა საქართველოს საპატრიარქოს ავტორიტეტი. მოწესრიგდა საქართველოსა და კონსტანტინეპოლის ეკლესიათა ურთიერთობებიც, რითაც შესაძლებელი გახდა მრავალსაუკუნოვანი მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობის ტრადიციების აღდგენა.

დამოწმებანი:

1. ვარდოსანიძე ს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნტარესი ილია II, გამომც. “ნათლისმცემელი”, თბ., 2008.
2. თორაძე ვ, თორაძე ნ, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია, გამომც. “ელფი”, თბ., 2004.
3. მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ ტიხონის წერილი ქართველ ეპისკოპოსებს 1917 წ. 29 დეკემბერი; <http://religion.ge>
4. საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის აქტი, თბილისი, 2005.
5. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, ნაწილი I (1932-1985), გამომც. “პალიტრა L”, თბილისი, 2016 (კრებული შედგენილია საქართველოს საპატრიარქოს არქივის მასალების მიხედვით).
6. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, ნაწილი II (1986-1995), გამომც. “პალიტრა L”, თბილისი,

2016 (კრებული შედგენილია საქართველოს საპატრიარქოს აღქივის მასალების მიხედვით).

7. უკრ. “ჯვარი ვაზისა”, 2, 1979.
8. უკრ. “ჯვარი ვაზისა”, 3, 1979.
9. უკრ. “ჯვარი ვაზისა”, 3, 1990.

Eter Bokelavadze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**THE STRUGGLE OF THE GEORGIAN ORTHODOX
CHURCH FOR INTERNATIONAL RECOGNITION
OF THE AUTOCEPHALY AND THE PATRIARCHAL
TITLE AND POSITION OF CONSTANTINOPLE
Patriarchate
(60-80S OF THE 20TH CENTURY)
RESUME**

The issue of international recognition of historical autocephaly and patriarchal title of Orthodox Apostolic Church of Georgia was one of the most pressing and painful problems of the last century of the life of Georgian Church. Even in the 19th century, after the Russian Empire's annexation of Georgia and the transition of the Georgian Orthodox Church into the Russian Orthodox Church, the contacts with the ancient Orthodox Patriarchate have been suspended, weakened the role of the Georgian Church as the role of the ancient Apostolic Church on the international ecclesiastical scene. Later, in 1917, after the separation from the Russian Church and the restoration of independence, there was a number of problems facing the Georgian Church, including the relations with the Constantinople Patriarchate,

which was primarily focused on the autocephaly of the Georgian Apostolic Church and the Patriarchal title.

Historically it is known that the Georgian Orthodox Church had autocephaly from 5th century, its commander was known as the patriarch from 11th century. Many of these have been confirmed in both Georgian and foreign written sources, including historical documents kept in Orthodox Patriarchate, which have been studied in Georgian sciences in the Soviet and post-Soviet periods (The works of B. Lominadze, N. Lomouri, M. Lortkipanidze, Metropolitan Anania Japaridze and others). However, the events that occurred in the 60s and 80s of the last century show that Constantinople had an ambiguous approach to this issue and needed to solve it on the world Patriarchal level.

We have discussed the position of Ecumenical Patriarchate of Constantinople in recognition of the autocephaly of the Orthodox Church and the honor of the Patriarchate of the Georgian Orthodox Church, its causes and influence on international ecclesiastical circles; Tainted struggle of the Georgian Church's commanders for international recognition of canonical rights and historical importance of achieved results.

თამილა კოშორიძე

სერგი მაკალათიას სახელობის
გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი;
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ზედაჯვრის საკითხისთვის სოფ. დირბა და სოფ. ახალციხეში

შიდა ქართლის ხალხურ დღეობათა კალენდარზე მუშაობისას, ჩვენი განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მოექცა მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილი - ფრონის ხეობა. მუშაობის პროცესში გამოიკვეთა შემდეგი სურათი: ეთნოგრაფიული კუთხით ნაკლებად არის შესწავლილი საქართველოს გულის, შიდა ქართლის ეს უმნიშვნელოვანესი მხარე. პრობლემის გამოსწორებას XX საუკუნის 40-იან წლებში შეეცა-და სერგი მაკალათია. მის მიერ ფრონის და სხვა ხეობებში მოწყობილი ექსპედიციების შედეგად მოპოვებული მასალა უდიდესი მონაპოვარია ქართული ეთნოგრაფიული (და არა მარტო) მეცნიერებისთვის.

წიგნის “ფრონის ხეობა” შესავალში დიდი მეცნიერი წერს: ”სურამის ქედის კალთებიდან ორივე მხარეზე (იმე-რეთ-ამერეთი) გამომდინარე წყლებს აქვთ საერთო სახელწოდება - ფრონე. აქვეა ქართლ-იმერეთის საზღვარიც, სადაც სამივე მდინარეს ხეობიდან გზები გადადის შეა ქართლიდან იმერეთს. ამასთანავე, ამ გზებმა წარსულში მნიშვნელოვანი როლი შესარულეს ჩვენი ქვეყნის ორივე ნაწილის კულტურულ-ეკონომიური და სახელმწიფოებრივი ერთიანობის განმტკიცებისათვის. ამ მხრივ ფრონის ხეობა, სამწუხაროდ, არ

იყო შესწავლილი და მისი მნიშვნელობა-შეფასებული. ამის გამო ფრონის ხეობის ისტორიულ წარსულსაც ნაკლებად ვიცნობთ”.¹ თავისთავად ცხადია, წიგნად გამოცემული ექსპე-ლიციის მასალები მნიშვნელოვან მონაპოვარს წარმოადგენს ფრონის ხეობის ისტორიის, ეთნოგრაფიის, არქეოლოგიის და სხვ. შესასწავლად. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მასში დი-დი მეცნიერის და მისი კოლეგების მიერ 1944 წლის ეთნოგ-რაფიული ექსპედიციის დროს შეგროვილი მასალის შხოლოდ მცირედი ნაწილია შესული. ექსპედიციის მასალები სრული სახით დაცულია გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუ-მის ხელნაწერთა ფონდში. წილად შხვდა პატივი - სერგი მა-კალათიას ეს საარქივო მასალა, რამდენიმე წლის წინ, პირ-ველად შემომეტანა სამეცნიერო მიმოქცევაში.

ექსპედიციის დღიურების გაცნობისას ჩემი განსაკუთრე-ბული ყურადღება მიიპყრო დირბის სასოფლო დღეობაშ “ზე-დაჯვრობა”. თავისთავად ცხადია, სოფ. დირბთან დაკავშირე-ბული საკითხები განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია გამომ-დინარე ამ სოფლის ისტორიული და სარწმუნოებრივი რო-ლიდან ბოლო რამდენიმე საუკუნის საქართველოს ისტორია-ში. ამავე სახელის ეკლესია იქნა დადასტურებული კასპის რ-ნის სოფ ახალციხეში.

ვიდრე უშუალოდ ზედაჯვრობაზე ვისაუ-რებთ, ვფიქრობთ, აუცილებელია მოკლედ შევეხოთ სოფელ დირბის ისტორიას, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებუ-ლი აქ მდებარე ლვოსმშობლის სახელობის ტაძართან.

სოფელ დირბში მდებარე ლვთისმშობლის ეკლესია წარ-მოადგენს იერუსალიმის მეტოქე ეკლესიას საქართველოში. ის ჩვენთვის ცნობილი ყველაზე ადრინდელი შეწირულებაა საქართველოში იერუსალიმისადმი, რომელიც დოკუმენტურად

¹ ს. მაკალათია, ფრონის ხეობა, თბ. 1963, გვ. 4.

დასტურდება. დირბი იერუსალიმისათვის შეუწირავს სვიმონ I-ს (1556-1600). ამას ვგებულობთ სვიმონის მეუღლის, ნესტან-დარეჯანის მიერ გაცემული 1588 წლით დათარიღებული საბუთიდან, სადაც ის სვიმონზე, როგორც დირბის პირველ შემწირევლზე, საუბრობს.¹

ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით: ”არს დირბს მონასტერი, სადა ზის არქიმანდრიტი იერუსალიმის ჯვრის მონასტრისა, არამედ მეფენი ქართლისანი დასმენ ქართველთა. და ყოველსა საქართველოსა შინა არს მამული მისი და პფლობს ესე და მოსავალს გზავნის ვერცხლად იერუსალემს”² ამ ცნობაზე დაყრდნობით, ელდარ მამისთვალიშვილი ასკვნის, რომ: “ჯვრის მონასტრის არქიმანდრიტობა XV საუკუნეზე უადრესი არ უნდა იყოს (ქართლის მეფე ნიშნავდაო), ე.ი. დაწესებული იქნა ერთიანი სახელმწიფოს დაშლის შემდეგ...”³.

ცხადია, მნიშვნელოვანია არქიმანდრიტის რეზიდენცია - ეს არის დირბის ღვთისმშობლის ეკლესია, რომელიც X საუკუნეში უნდა იყოს აგებული, და რომელიც საფუძვლიანად გადაუკეთებიათ გვიანფეოდალურ ხანაში. სწორედ ზემოთ აღნიშნულ ფაქტებს, მოვლენებს და ეკლესიას უკავშირებს ხალხური გადმოცემა სოფლის სახელის წარმოშობას. მათი მონათხოვით, სოფლის სახელი დაგავშირებულია აქ მოლგაწე “დიდ ბერებთან”, ანუ ჯვრის მონასტრის არქიმანდრიტთან, რომელსაც ხალხი “დიდ ბერს” უწოდებდა (ნიადაგიშვილი

¹ ნ. ხუციშვილი, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მიწათმფლობელობა საქართველოში, თბ. 2006, გვ. 27-28.

² ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოისა, “ქართლის ცხოვრება,” IV, თბ. 1973, გვ. 374.

³ ე. მამისთვალიშვილი, იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი. თბ. 2016, გვ 163.

ბონდო, 77 წ. სოფ. დირბი). სოფლის ხალხურ ეტიმოლოგიას იმოწმებს სერგი მაკალათიაც, თუმცა შეუძლებელია ამ აზრს დაეთანხმო, რადგან იერუსალიმელ არქიმანდრიტებს სოფელში რეზიდენცია XVI საუკუნის II ნახევრამდე არ უნდა ჰქონოდათ¹. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ აქ მდებარე ღვთისმშობლის და ზედაჯვრის ეკლესიები X საუკუნეში უნდა იყოს აგებული, რომელია დაეთანხმო სოფლის და მისი სახელის გვიანდელ წარმოშობას. თუმცა, შესაძლებელია XVI საუკუნემდე აქ არსებულ დასახლებულ პუნქტს სხვა სახელიც რქმეოდა, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ დირბი უფრო ადრეულ ქართულ ისტორიულ ცნობებში არ მოიხსენიება. ხომ არ ერქვა სოფელს წინათ “ზედაჯვარი”? აი კითხვა, რომელიც გაჩნდა დირბის და ახალციხის ზედაჯვარზე საუბრისას და თუ რატომ, ამას შემდგომ კვლევებში მოგახსენებთ. მით უფრო, რომ სოფ. დირბის სამხრეთ-დასავლეთით, 400 მეტრის დაშორებით მდებარეობს ზენაჯვრის გორა-არქეოლოგიური ძეგლი, რომელიც თარიღდება გვიანდრინჯაო-ადრე რკინის ხანით². ანუ, დირბის სამხრეთ-აღმოსავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით გვაქვს ძეგლები, რომელთა სახელწოდება დაკავშირებულია რომელიდაცა დასახლებული პუნქტიდან ზემოთ აღმართულ ჯვართან.

ამგვარად, ჩვენი კალეგის არეალში მოექცა საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სოფელი და სასოფლო დღეობა.

სერგი მაკალათიას გადმოცემით, “დირბში დაცულია ორი საყურადღებო ეკლესია. ერთს უწოდებენ ზედაჯვრის ეკლესიას, რომელიც წარმოადგენს უგუმბათო პატარა ეკლე-

¹ 6. ხუციშვილი, იქვე, გვ. 28.

² საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, V, თბ. 1990, გვ. 368.

სიას (ბაზილიკა). ეკლესია ქვითკირისაა და კარგად ნაგები. ეკლესია შიგ მოხატული ყოფილა, კედლებზე აქა-იქ მოსჩანს გადასული ფრესკების ნაწილები.

საკურთხევლი ცაზე შერჩენილია ტახტზე მჯდომარე მაცხოვრის გამოსახულება. მას ხელში სახარება უჭირავს ასეთი ასომთავრული წარწერით: “მე ვარ ნათელი სოფლისა ყოველი შემომიღეს მე არა ვიდრემდეს ბნელისა”.

ტაძარი ქვითა და კრამიტით არის გადახურული. ნაგებობა ძველია. დაახლოებით არა უგვიანეს 12-13 საუკუნეები. ეკლესია წმ. გიორგის სახელობაზეა. დღეობა იცოდნენ აღდგომის მესამე ორშაბათს¹. სერგი მაკალათიაშვილი ეს ძეგლი დაადასტურა 1944 წ. მას შემდეგ ის ძალზე დაზიანებულა და საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის V ტომში ვკითხულობთ: ”ძეგლი დგას სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით. სტილისტური ნიშნებით თარიღდება X ს-ით. ეკლესია დაზიანებულია, მთლიანად დანგრეულია დასავლეთ კედელი, ნაწილობრივ სამხრეთ კედელი.

ეკლესია დარბაზულია (9,6X6, 4მ), ნაგებია უხეშად დატეხილი, პირგათლილი მოზრდილი ლოდებით, დარბაზის პილიასტრები და სატრიუმფო თაღი თლილი ქვისაა. შესასვლელი სამხრეთიდანაა (სავარაუდოა, რომ დასავლეთიდანაც იყო). აქვს ბრტყელი გადახურვა². დღეისათვის ტაძარი აღდგენილია. სამხრეთის კარის თავზე და აღმოსავლეთ კედლის ცენტრში ჩაშენებულია ლოდები, რომლებზეც გამოკვეთილია ჯვრის რელიეფური გამოსახულება და რომლებიც ადრეულ პერიოდს უნდა განეკუთვნებოდეს.

¹ გიემ 4628, გვ. 12. მაკალათია, ექსპედიცია ფრონტს ხეობაში

² საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა V, გვ. 369.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტაძარი წმინდა გიორგის სახელს ატარებს, მაგრამ მნიშვნელოვანია გავარკვიოთ, რატომ ზედაჯვარი და ვის სახელზე იყო ტაძარი აგებული თავდაპირველად. თუ გავითვალისწინებთ კედელში ჩატანებულ ჯვრის გამოსახულებას ლოდებს და სახელწოდებას, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეკლესია თავდაპირველად ჯვრის სახელზე იყო აგებული (აյ ჩვენ ფაქტობრივად მივდივართ ადრექრისტიანულ პერიოდთან და ჯვრის აღმართვისა და მის სახელზე ეკლესიების შემენბლობის ტრადიციასთან). ხოლო წმინდა გიორგის სახელი მას უფრო მოგვიანებით უნდა მიელო (ასეთი სურათი ჩვენ გვაქვს ხიდისთავის ახალ-ჯვრის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის შემთხვევაშიც). მით უმეტეს, რომ ცნობილია-წმინდა გიორგი შედარებით გვიანდელი წმინდანია და მისი სახელობის ეკლესიებიც უფრო მოგვიანებით იგება. ასევე მნიშვნელოვანია - რატომ ზედაჯვარი? სახელის ეტიმოლოგიას მისი შინაარსი განმარტავს - ჯვარი, რომელიც ზემოთ აღიმართა, ან აიგო. აյ შემოდის კიდევ ერთი კითხვა - საიდან ზემოთ? ამ კითხვაზე პასუხის გაცემას ჩვენ სოფელ დირბში მცირე საექსპედიციო გასვლებისას შევეცადეთ.

ადგილობრივთა გადმოცემით, ძველად სოფელი მდებარეობდა დღევანდელი დირბის გაღმა მხარეს - დვანის ფრონეს მარცხენა ნაპირას, ბორცვზე. იქ გაჩენილა მორიელი, რომელიც ბავშვებს კენდალ უფრო მეტადო. რა თქმა უნდა დაკბენილ ბავშვებს ვერ არჩენდნენ. შემინდნენ და ამის გამო გადმოსახლდნენ დღევანდელი სოფლის ტერიტორიაზე. ძველ ადგილას ახლა სახნავი მიწები და ვენახები აქვთ. ეს ამბავი XVII–XVIII საუკუნეებდე უნდა მომხდარიყო (ბონდო ნიადაგიშვილი). თუ ამ ვერსიას ვირწმუნებთ, მაშინ იოლია გავარკვიოთ, რატომ “ზედაჯვარი”. ფრონეს გაღმა ბორცვიდან ეკ-

ლესია მართლაც ზემოთ მდებარეობს და გადასცერის ნასოფლარ ადგილს. ამასვე გვიდასტურებს 1944 წ. ჩაწერილი მასალა: სოფელი დირბი ყოფილა დაბლობში, სამხრეთით. მაღლა ეკლესია აუშენებიათ და დაურქმევიათ ზედაჯვარი. დაბლა ეტყობა ჰაერი არ ვარგოდა და ზემოთ ამოსულან¹.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზედაჯვრის წმინდა გიორგის ეკლესია მდებარეობს კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალციხეშიც. აქაც ტაძარი მაღლობზეა, იქ, სადაც ძველად სოფელი მდებარეობდა. ე.ი. ორივე ეკლესიამ ერთი დამოკიდებულებით მიიღო სახელი-ზემოთ აღმართული ჯვარი. მხოლოდ დასაღვენია, როდის აღიმართა ან მიიღო ეს სახელი.

ახალციხის ზედაჯვრის წმინდა გიორგი მოთავსებულია ციხის პირდაპირ მთის ფერდობზე (სამხრეთ-დასავლეთ მხარეზე). ეკლესია დაზიანებულია, ნაგებია ქვიტკირით. დღეობა არა აქვს². საინტერესო სურათი გვაქვს - ზედაჯვრის წმინდა გიორგის სახელობის ორი ეკლესია შიდა ქართლის სხვადასხვა სოფელში. ერთი იხდის სასოფლო დღეობას აღდგომის მესამე კვირის ორშაბათს, მეორეს დღეობა სულ სხვაა....

სერგი მაკალათიას სოფ. ახალციხეში, ზედაჯვრის წმინდა გიორგის შესახებ ჩაუწერია ერთი გადმოცემა: ”ერთ ლეპს ერთაწმინდის ესტატეს ეკლესიიდან ხატი გაუტაცია და დაღესტანში მიჰქონდა თურმე, მაგრამ გზაში იგი დაბრმავებულა იქ, სადაც ეხლა ზედაჯვრის საყდარია. მაშინ ლეკი შევეღრებია ღმერთს, ოღონდ მომარჩინე და ამ ადგილას ეკლესის ავაშენებო. სინათლე მოსვლია, ხატი აქ დაუსვენებია და საყდარიც აუგია“.³ ცხადია, ჩვენ ვერ დავეყრდნობით

¹ ვანო ბერიძე, 60 წ. დირბი, ჩაიწერა მ. ხუციშვილმა 25.07.1944. გიემ 4629 გვ. 21.

² მაკალათია, თემბის ზეობა, გიემ პ/№41/4/2

³ მაკალათია, თემბის ზეობა, გიემ პ/№41/4/2

ამ ვერსიას, რომელიც ქრისტიანული სარწმუნოების სასწაულმოქმედი ძალის კიდევ ერთხელ ხაზგასმა უფროა, ვიდრე რამე რეალური ფაქტი.

რეალურად, ზედაჯვრის ეკლესია დგას სოფ. ახალციხიდან დასავლეთით 1,5 კილომეტრის დაშორებით, პატარა ბორცვზე. აგებულია გვიანდელ ფეოდალურ ხანაში. ეკლესია დარბაზულია (19,5X5მ). ნაგებია ქვიშაქვით, გამოყენებულია ტუფიც. გარედან და შიგნიდან ტიმბანიანი არქიტრავული შესასვლელი სამხრეთ კედლის დასავლეთ ნაწილშია. საკურთხევლის წინ იდგა წითელი ტუფით ნაწყობი ორნამენტიანი კანკელი. აფსიდში დგას ქვიშაქვის სატრაპეზო ქვა, რომელზედაც ჯვარია ამოკვეთილი. შეინიშნება მოხატულობის ძლიერ დაზიანებული ფრაგმენტები. მოხატულობა მოწითალო - მოყავისფრო ხაზით ორ რეგისტრადაა დაყოფილი¹. აქაც, ისევე როგორც დირბის ზედაჯვარში “სარკმლის ჩრდილოეთ მხარეს გამოსახულ წმინდანს ხელში წიგნი უჭირავს”(იქვე).

ახალციხეში, ისევე როგორც დირბში, ზედაჯვარი გვხვდება ნასოფლარის სახელადაც: ნასოფლარი ზედაჯვარი, არქიოლოგიური ძეგლი. მდებარეობს სოფლის დასავლეთით 1 კმ-ზე. ნასოფლარზე გამოვლინდა გვიან ფეოდალური ხანის თიხის ჭურჭელი (წითლად გამომწვარი უხეშკეციანი ქვერის, დოქისა და სხვ) ფრაგმენტები. აგრეთვე ნასახლართა რიყის ქვით ნაგები საძირკვლის ნაშთები და ნატეხი ქვით ნაგები დარბაზული წმ. ჯვრის ეკლესიის ნანგრევები. აქაც, ეკლესიის საკურთხეველში სატრაპეზო ქვაზე გამოსახულია ჯვარი, რომლის ზედა და მარჯვენა მკლავს ირიბად გასდევს

¹ საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, V, გვ. 142.

წარწერა: ”ქრისტე, შეიწყალე მიქელა. აღმოსავლეთ სარკ-მელზე შემორჩენილი წარწერა არ იკითხება¹.

ნასოფლარის სახელწოდება გვიჩენს საფუძვლიან კითხ-გას-სოფელ ახალციხეს ძველად ხომ არ ერქვა ზადაჯვარი? მით უფრო, რომ ვახუშტი ბატონიშვილი თემის სოფლების ჩამონათვალში საერთოდ არ ახსენებს ახალციხეს, თუმცა, იქ არც ზედაჯვარია ნახსენები. ასეა, თუ ისე, ვახუშტის დროს თემის ხეობაში არ არსებობს სოფ. ახალციხე და ზედაჯვა-რი, მაგრამ დღეს გვაქვს სოფელიც და ნასოფლარიც ამავე სახელით...

ამრიგად, დირბის სასოფლო დღეობით დაინტერესებამ საკმაოდ საინტერესო საკითხებზე გაგვიყვანა, რასაც შემდეგ კვლევებში ჩვენ აუცილებლად გავაღრმავებთ. ამჯერად ვისა-უბროთ სასოფლო დღეობაზე – ზედაჯვრობა.

საერთოდ, შიდა ქართლის სოფლებისგან განუყოფელი იყო რელიგიური დღესასწაულები.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დირბის მოსახლეობა სასოფ-ლო დღეობას აღნიშნავს აღდგომის მესამე კვირის ორშაბათს. დირბში მცხოვრები დავით იმერლიშვილის (65) გადმოცემით, დღეობის თარიღი არ იცვლებოდა - მისი ათვლა ხდებოდა აღდგომის მიხედვით და მესამე კვირის ორშაბათ დღეს აღი-ნიშნებოდა აუცილებლად. მისივე თქმით, სოფელი დღეობას “იხდიდა” საბჭოთა პერიოდშიც. თუმცა ხელისუფლება უკრ-ძალავდა, მაგრამ “სოფელი ვაჟაპური იყო და არ ეპუბლიდა. 1951-53 წწ. თავმჯდომარე გამოყოფდა 3-4 კაცს, რომლებიც იდგნენ სოფლის თავში და უცხო ხალხს არ უშვებდნენ სო-ფელში. მაგრამ ხალხი ჩუმად, ბაღებით მაინც ამოდიოდა. ამის შესახებ ხალხმა შეკითხვა დაუსვა თავმჯდომარეს - რა-

¹ საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, V, გვ. 143.

ტომ გვყარაულობთო და მან უპასუხა: იმიტომ რომ გაჭირვებულები ხართ და არ გვინდა ხარჯი გაიღოთ, შეწუხდეთო. ხარჯს ვინ დაგიდევდათ, სოფელი ღონიერია და რამდენიმე დღეს იღწენდა” (ბონდო ნიადაგიშვილი, 77 წ.). აკრძალვას-თან დაკავშირებით, გამოკითხულთა აზრი ორად გაიყო: ნაწილი ადასტურებდა აკრძალვას, ნაწილი კი უარყოფდა.

დირბის დღეობის მსვლელობაზე ცნობები მოგვეპოვება მაკალათიას საექსპედიციო ჩანაწერებშიც: დირბში ოთხი სალოცავი იყო: ღვთიშობელი, ზედაჯვარი, ელია და თევდორე. ყველაზე ღილი დღეობა იცოდა ზედაჯვარზე და ღვთიშობლობას.

ზედაჯვრობა მოდიოდა აღდგომის მეოთხე ოთხშაბათს (მთხობელის შეცდომა) დღეობა გრძელდებოდა 5 დღეს. ბაზრობაც იყო, ჭიდაობა იმართებოდა, ქადაგებიც მოდიოდნენ¹.

უნდა აღინიშნოს, რომ “თითოეული სასოფლო–რელი-გიური ტრადიციების გენეტიკური ფესვები საკმაოდ სიღრმეში, შორს მიდის. საუკუნეების განმავლობაში ეს დღესასწაულები იმდენად მოერგო ქართლის სოფლებს, რომ ერთგვარად გახალხურდა კიდევაც. ისინი შეისისხლხორცა სოფლის მკვიდრმა ხალხმა და იქცა საოჯახო შინაგანაწესის ერთ-ერთ მთავარ რგოლად.² სწორედ დღეობის ერთგვარი ხალხური სახის დაკარგვაზე სწუხს დღეს დირბის ხანშიშესული მოსახლეობის დიდი ნაწილი. მათი თქმით, დღეობა იყო ძველად (თუნდაც საბჭოთა პერიოდის გარკვეულ წლებში). იმართე-

¹ ტატო გულიაშვილი, სოფ. დირბი, 51 წ. ჩაიწერა მ. ხუცი-შვილმა ფრონეს ხეობაში ექსპედიციის დროს. გიემ 4629, გვ. 35.

² 6. შოშიტაშვილი. შიდა ქართლის თანამდროვე სოფლის კულტურული ყოფა საზოგადოებრივი ცხოვრება, კრებული „შიდა ქართლი“, თბ. 1987. გვ. 126.

ბოდა ლხინი ზედაჯვრის მოედანზე, სადაც ხალხის ტევა არ იყო. ყველა - სტუმარიც და მასპინძელიც - იქ იყო გამოსული. 9-10 დასტა მომღერლები იყვნენ. ყოველ კუთხეში მუსიკა ისმოდა, იმართებოდა ბაზრობა-ებრაელებს ტკბილეული ამოჰქონდათ (შოთა იორამაშვილი, 90 წ.). ასევე დღეობის მთავარი ნაწილი იყო ჭიდაობა და სხვა სპორტული თამაშობები, სადაც ადგილობრივი ახალგაზრდები და სტუმრები საკუთარი შესაძლებლობების გამოჩენას ლამობდნენ. როგორც ჩანს, აქ იმართებოდა საჯილდაო ქვის აწევა-გადს-როლაში პაექრობაც. ზედაჯვრის ეკლესის ეზოში ჩვენს მიერ საზედაშეო ქეყვრებთან ერთად დადასტურებული იქნა რამდენიმე საჯილდაო ქვაც.

ბატონი შოთას თქმით, ეხლანდელი დღეობა დღეობა არ არის - შეიკეტებიან სახლში და ვინ რას იგებს დღეობისას. დირბის დღეობის მსკლელობაში დადასტურდა ერთი უმნიშვნელოვანესი რამ. კერძოდ, დღეობის სწორზე მთელი სოფელი თავისი პურ - მარილით ჩადიოდა ზედაჯვარზე, რომლის მიმდებარედ სასაფლაოა. ამ დღისთვისაც ისევე ემზადებოდნენ, როგორც თვითონ დღეობისთვის. ჩადიოდნენ სალხინოდ - ჩვენ ხომ ვიღხინეთ, ეხლა თქვენ გილოცავთ ზედაჯვრობასო (ბ. ნიადაგიშვილი, შ. იორამაშვილი). მოსახლეობამ გულისტაგნით გამოსთქა წუხილი, რომ დღეს ამ რიტუალს ვერ ასრულებენ-ადგილობრივი სასულიერო პირი უკრძალავს...

დირბის მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი იყო ღვთისმშობლობა. დღესასწაულის წინა დღეს სოფელში მოდიოდა დიდაბლი მლოცველი ფრონეს ხეობიდან, ზემო იმერეთიდან და შიდა ქართლის სხვა სოფლებიდან.

ამრიგად, სოფელ დირბსა და ახალციხეში ჩვენი მცირე ექსპედიციების დროს გაირკვა, რომ შიდა ქართლის ამ ორ სოფელში გვაქვს წმინდა გიორგის სახელობის “ზედაჯვრის”

ეკლესია, რომელიც საკმაოდ ადრეულ პერიოდშია აგებული, გვაქვს ნასოფლარი “ზედაჯვარი” და ის საინტერესო ფაქტი, რომ დირბის სასოფლო დღეობაა “ზედაჯვრობა” ხოლო ახალციხის ზედაჯვარს დღეობა არ გააჩნია.

დამოწმებანი:

1. გიერ (გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი) 4629, ფრონეს ხეობის ექსპედიციის მასალები, ჩაიწერა პ. ხუციშვილმა;
2. გიერ პ/№41/4/2, / ს. მაკალათია, ფრონის ხეობა;
3. გიერ 4628, ს. მაკალათია, ექსპედიცია ფრონის ხეობაში;
4. ს. მაკალათია, ფრონის ხეობა, თბ., 1963;
5. ე. მამისთვალიშვილი, იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი. თბ., 2016;
6. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოისა, “ქართლის ცხოვრება,” IV, თბ., 1973;
7. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობაV, თბ., 1990;
8. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მიწათმფლობელობა საქართველოში, თბ., 2006;
9. 6. შოშიტაშვილი. შიდა ქართლის თანამედროვე სოფლის კულტურული ყოფა და საზოგადოებრივი ცხოვრება, კრებული “შიდა ქართლი”, თბ., 1987.

მთხრობლები:

ნიადაგიშვილი ბონდო, 77 წ., სოფ. დირბი; დავით იმერლიშვილის 65 წ., სოფ. დირბი; შოთა იორამაშვილი, 90 წ., სოფ. დირბი.

Tamila Koshoridze

Sergi Makalatia Gori Historical and Ethnographical Museum;
Gori State Teaching University

**ZEDAJVRI'S ISSUES IN VILLAGES DIRBI AND
AKHALTSIKHE
RESUME**

While working on the calendar of folk festivals in Shida Kartli, Frone valley - that is one of the most important parts of the region of Shida Kartli – drew (attracted) our special attention. During the process of studying revealed that we do not have any ethnographic researches carried out about this district located in the center of Shida Kartli. Especially, rural folk festival “Zedajvroba” of the village Dirbi - aroused our great interest. It’s obvious, that issues and topics related to the village Dirbi are significantly important, due to the historical and religious roles (functions) of this village played in Georgian history for the last several centuries. The similar name has been established for the church that locates in the village Akhaltsikhe, Kaspi district.

Inhabitants of the village Dirbi celebrate rural name day on the third Monday after Easter. The folk rural festival is celebrated on the third Monday after Easter by inhabitants of the village Dirbi. After going on small research expeditions to Dirbi and Akhaltsikhe, it has been ascertained (found out) that there are two churches of “Zedajvari” named after Saint Georg in both villages, were built quite early in the past. Nowadays this territory is abandoned village (deserted place). It’s a very interesting fact that there is a rural celebration of the village Dirbi called “zedajvroba” but there is not a rural festival for the church “Zedajvari” that locates in Akhaltsikhe.

თამაზ ლაცაბიძე
ხაშურის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანება

ნიკოლოზ ჩხეიძე - ქართლის მთავარეპისკოპოსი

ჩხეიძეთა ფეოდალურმა სახლმა XVI-XVII საუკუნეებში მნიშვნელოვან ძლიერებას მიაღწია იმერეთის სამეფოში. ისინი განსაკუთრებულ როლს თამაშობენ სამეფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. მათ დიდი ხნის განმავლობაში სამეფო კარზე პირველხარისხოვანი სახელოები ეჭირათ. აღსანიშნავია მათი მოღვაწეობა საეკლესიო სფეროშიც.

XVI საუკუნის ბოლოდან ჩხეიძეთა ერთი შტო ქართლის სამეფოში გადმოდის.

იმერეთის ჩხეიძეთა ამ სახლს, რომლის მეთაურადაც ქექაოზ ჩხეიძე გვევლინება, ახლო ნათესაური კავშირი ჰქონდა ქართლის სამეფო კართან. ქექაოზ ჩხეიძის მეუღლე იყო ლუარსაბ I-ის ასული, სიმონ I-ის და როგორც ცნობილია, სიმონმა 1588-1592 წლებში რამდენჯერმე სცადა დასავლეთ საქართველოს შემოერთება. ქექაოზ ჩხეიძე სიმონ I-ის მხარდამსარ იბრძვის. 1592 წელს, მარცხის შემდეგ, იმერეთის სამეფო კარის მხრიდან ქექაოზ ჩხეიძესთან ურთიერთობის შემდგომი მოსალოდნელი გართულების თავიდან აცილების საბაბით, სიმონმა „თან გამოიტანა სიძე... ჩხეიძე ქექაოზ.“ სესხნია ჩხეიძის მიხედვით, „ეს (ქექაოზ ჩხეიძე - თ.ლ.) იყო იმერეთის თავი და სალოთხუცესი, შორაპნისა და საჩხეიძოს მქონე ვითაცა მეფის სვიმონის და ედგა, იქ აღარ ამყოფა.

მისცა სასაფლაოდ ნიტრია (იტრია - თ.ლ.), სარჩო მრავალი.^{“1”}

საბუთების თანახმად, ჩხეიძეები თავდაპირველად ქართლის სიღრმეში ჩანან. მხოლოდ XVII საუკუნის 30-იანი წლების ბოლოდან ჩნდებიან იტრიაში, სურამის მახლობლად, ისინი სურამ-ხაშურის რეგიონში აყალიბებენ მცირე სათავადოს, რომელიც საჩხეიძოს სახელწოდებით არის ცნობილი.

ჩხეიძეთა ქართლის სამეფო კართან სიახლოვემ განაპირობა ამ გვარის დაწინაურება. მათი წარმომადგენლები განსაკუთრებული ერთგულებით გამოირჩეოდნენ და აქტიურად იყვნენ ჩართულები სამეფო კარის საქმიანობაში, ეკავათ სხვადასხვა სახელოები.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, სასულიერო სფეროში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩხეიძეთა იმერეთის სახლის წარმომადგენელთა მოღვაწეობა. ამ სახლის არაერთ მათგანს დასავლეთ საქართველოში ვხედავთ სასულიერო იერარქიის მაღალ საფეხურზე. 1557-1578 წლებში აფხაზეთის კათალიკოსია ევლემონ ჩხეტიძე (ჩხეიძე), რომელმაც საკათალიკოსო ტახტი ბიჭვინთიდან გადმოიტანა გელათში.

1660-1666 წლებში კათალიკოსის ტახტზეა სიმონ I ჩხეიძე. ჩხეიძეები იყვნენ ხონელი ეპისკოპოსები მანოელი და ზაქარია, ბელიელი მიტროპოლიტი გერმანე, ჯუმათელი ეპისკოპოსი სიმონი, მოქველი მთავარეპისკოპოსი ფილიპე და სხვ.

სასულიერო სფეროში ქართლის ჩხეიძეებს ნაკლებად ვხედავთ. გამონაკლისს წარმოადგენს ნიკოლოზ ჩხეიძე - ჩხეიძეთა სახლის ერთ-ერთი წარმომადგენელი, ქართლისა და

¹ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, H-2304.

თბილისის მთავარეპისკოპოსი.¹ იგი ქართლის ჩხეიძეთა სახლის ფუძემდებლის - ქექაზ ჩხეიძის ვაჟის, გორგასალ ჩხეიძის შვილია. გორგასალს ნიკოლოზის გარდა კიდევ ჰყავდა სამი ვაჟი: ბეჟანი, ქათოსრო და დავითი².

ნიკოლოზ ჩხეიძე წყაროებში 1634 წლიდან ჩანს, როცა, ქართლის დედოფალმა მარიამმა ბეჟან ჩხეიძეს და მის ძმებს უწყალობა ზურაბიშვილები თავიანთი მამულით³. უნდა ვივარაუდოთ, რომ XVII-ის 40-იანი წლებისათვის ნიკოლოზი უკვე სასულიერო სფეროში მოღვაწეობს.

ნიკოლოზ ჩხეიძე, მანამ ქართლის მთავარეპისკოპოსი გახდებოდა, იტრიის ღვთისმშობლის მიძინების მონასტრის წინამდღვარია. მან აქ მოღვაწეობის პერიოდში დიდი სამუშაოები განახორციელა მონასტრის განახლების თვალსაზრისით.

აღნიშნული მონასტერი XVI საუკუნის 40-70-იან წლებში ააგო დოროთეოზ კათალიკოსმა. ნიკოლოზ ჩხეიძის შეწირულობის წიგნიდან ჩანს, რომ, როცა ჩხეიძეები დამკვიდრდნენ იტრიაში, მონასტერი მძიმე მდგომარეობაში დახვედრიათ.

ნიკოლოზ ჩხეიძე, თავის ძმასთან ბეჟან ჩხეიძესთან ერთად აახლებს იტრიის მონასტერს. ამ დროს აუშენებიათ სიჩლო, აღუდგენიათ სამრეკლო, გალავანი, სენაკები და სხვა. ამის შესახებ ცნობები დაცულია მის მიერვე გაცემულ სიგელში: „.... ქართლისა და დედაქალაქის მთავარეპისკოპოზმან ჩხეიძემან პატრონმან ნიკოლოზ, ესე უკუნისამდი ჟამთა და

¹ გ. ჯანდიერი, XVII საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული ქრონიკოგიის საკითხები (ეპისკოპოსთა ქრონიკოგიური რიგი), მრავალთავი, ფილოლოგიურ - ისტორიული ძიებანი, ტ. I, ობ., 1973, გვ. 333-334.

² სცსსა, ფ. 1450, დავთარი №35, საბუთი №92.

³ იქვე.

ხანთა გასათავებელი წიგნი და გუჯარი გკადრეთ და მოგახ-
სენეთ თქუენ საშინელოდ ყოველთა ქრისტიანეთა შესავედრე-
ბელო და მხსნელად მათად გამოჩენილო, ყოვლად უბიწოვო,
დედაო ღვთისაო იტრიისა სიონთა ღვთისმშობელო თუით
მინდობილმან შენმან მთავარეპისკოპოზმან ჩხეიძემან პატრონ-
მან ნიკოლოზ, ძმამან ჩემან პატრონმა ბეჟან და ძმისწულმა
ჩემან ქაიხოსრო და მომავალთა სახლისა და ჩუენისამ, ან
ასრე და და ამა პირსა ზედან, რომე ვითაცა დიდთა მეფეთა
ტაძარი წმიდა ესე თქუენი და შესავალი თქუენი ალაგები
მოგიიცეს და მოგუიბომეს, უამთა ვითარებისაგან და მევა-
რის(?) კაცისაგან საბანისი ალაგი თქუენი დიალ დანგრეულ-
დაქცეულიყო. შეწევნითა ღვთისათა და ძლიერებითა შენთა,
რაცა ოდენ ძალგუედვა აღვაშენეთ სიჩდო და მონარდუევი
თქუენი სამრეკლო-სენაკები და გალავანი და სხუა, რომელიც
აკლდა, ავაშენეთ და შევამკევით პწყინვალესა სახელსა
შენსა ზედან...”¹

ეს სიგელი უთარიღოა. მასში ნიკოლოზ ჩხეიძე მთავარ-
ეპისკოპოსად მოიხსენიება, რაც საშუალებას გვაძლევს, სიგე-
ლი მისი მთავარეპისკოპოსობის პერიოდით დავათარიღოთ.
ე.ი. XVII საუკუნის 60-იანი წლებით.

ნიკოლოზ ჩხეიძის ამ სიგელს ეხმაურება იტრიის მო-
ნასტრის სამრეკლოს დასავლეთის „კარებზედ, დიდ ქაზე“
„მხედრული ასოებით“ შესრულებული წარწერა, რომელიც
დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილს გადმოუწერია 1848 წელს.
ეს წარწერა დღეს აღარ არსებობს. დიმიტრი მელვინეთხუცე-
სიშვილის მიხედვით, წარწერა ასე იკითხებოდა:

„ქ. ნებითა და შეწევნითა მღთისათა და ძალითა ამის
მონასტერისათა ხელ ვყავ და აღვაშენეთ ესე სამრეკლო და
სენაკები და გალავანი ჩუენ ჩხეიძემ ბეჟან და წინამძღვარმან

¹ იქვე, ფ. 1449, საბუთი №1535.

ნიკოლოზ დღეთა ჩუქნთა წარსამართებლად და სულისა ჩუქნის საოხად მეფობასა როსტომისასა დედოფლობასა დადიანის ასულის მარიამისასა მრავალნიცა არიან წელნი ცხოვრებისა მათისანი ქვს ტმდ“ (1656)¹.

უნდა შეგნიშნოთ, რომ 1979 წელს იტრიის სამრეკლოს დასავლეთის კარებთან ახლოს ნაპოვნი იქნა ქვის პატარა ფრაგმენტი, რომლის ზედაპირზე მხედრულად შესრულებული „დედ“ იკითხება. დღეს ქვის ეს პატარა ფრაგმენტი ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება.² ვფიქრობთ, იგი უნდა იყოს ზემოთ მოტანილი წარწერიდან სიტყვის, - „დედოფლობასა“ - ფრაგმენტი (დედ-ოფლობასა).

ეს წარწერა XIX ს-ის 60-იან წლებში, ეპლესიაზე სარესტავრაციო სამუშაოების დროს, უნდა განადგურებულიყო, ამ დროს ეკლესიის ბევრი საყურადღებო დეტალი დაიკარგა (განადგურდა), რაზეც მოგვიანებით ე. თაყაიშვილიც მიუთითებს.³

დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილის ცნობით, ასეთივე შინაარსის წარწერაა „....აღმოსავლეთის მხარეს, ამავე სამრეკლოს ფანჯრის თავზედ“. დღეს ამ წარწერის მხოლოდ ქვედა ნაწილია შემორჩენილი, რომელშიც როსტომ მეფე და დედოფალი მარიამი და ქორონიკონი იკითხება. წარწერის ზედა ნაწილი ძლიერ დაზიანებულია და აღარ იკითხება.

სამრეკლოს წარწერაში, რომელიც 1656 წლით თარიღდება, ნიკოლოზი იტრიის ეკლესიის წინამდღვარია, ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ, 1661 წლიდან თბილისის მთავარე-

¹ იოსებ (სოსო) ალიმბარაშვილი, დიმიტრი მელვინეთხუცურიშვილი (ცხოვრება და მოღვაწეობა), თბ., 2016, გვ. 74.

² ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, საინ. №7787/ა-281.

³ ე. თაყაიშვილი, სამი ისტორიული ქრონიკა, ტფ. 1890, გვ. 21.

პისკოპოსია. აქ მან თითქმის ათი წელიწადი დაჰყო და არა-ერთ საბუთშია მოხსენიებული.

1661 წელს მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზ ჩხეიძე მოწმეა პაპუნა სააკაძის მიერ პაპუნა თუხარელისათვის მიცემული ნასყიდობის წიგნისა.¹ სხვებთან ერთად ემოწმება ბეჭნ ჩხეიძეც, მისი ძმა.

1662 წელს მის მიერ გაცემულია სიგელი. ამავე წელს მოწმეა ანჩავ ტუღურუნაშვილის მიერ დომენტი კათალიკოსისათვის მიცემული ყმის ნასყიდობის წიგნისა.²

1663 წელს ქაიხოსრო ჯავახიშვილის მიერ იორამ თარხან-მოურავიშვილისათვის მიცემულ ფიცს ემოწმობა „მთავარეპისკოპოზი ჩხეიძე ბატონი ნიკოლოზ“.³

1664 წელს მისი ბრძანებით ფარემუზ და იესე ბედისმწერლისშვილებმა გადაწერეს „კურთხევანი“. გადამწერის ანდერძმი აღნიშნულია: „...ვიწყეთ წმიდად ესე და უნაკლულო წიგნი კურთხევანი ბრძანებითა და გულსმოღვინებითა ქართლისა მთავარებისკოპოზისა ჩხეიძის პატრონის ნიკოლოზისითა, მრავალმცა არიან წელნი ცხორებისა მისისანი და საუკუნომცა არს სახსენებელი და კურთხევა მისი. აღესრულა წი-ი ესე წიგნი თუესა აპრილსა ა, დღესა პარასკევსა, ქორონიკონს ტნა, ამისსა მწერადლსად ფარემუზს და იესეს შეუნდოს ღ-ნ და მამა მშობელთა ჩ-თა შნს-ს ღ-ნ, და მამანო და მმანო, ვინცა ბრძანოთ, თ-ქნცა შეგინდენს ღ-ნ, ა-ნ, ა-ნ.“⁴

¹ ხევ, Sd-50.

² თვდო ჟორდანია, ქრონიკები, ტ. II, ტფ. 1894, გვ. 48. ს. კატაბაძე, ისტორიული საბუთები ტ. IV, თბ., 1914, გვ. 37. სცსსა, ფ. 1449, საბ. №1189.

³ ხევ, Hd-14435.

⁴ იქვე, H-1742, გვ. 314-316.

ნიკოლოზ ჩხეიძე „კურთხევანში“ გვხვდება სხვა მინა-
წერშიც: „ო-ო, ღ-ღ, შ-ე მთავარებისკოპოზ, ნიკოლოზ, ა-ნ“¹

1670 წელს, „მთავარებისკოპოსი ჩხეიძე ბატონი ნიკო-
ლოზი“ შახნავაზ (ვახტანგ V) მეფის ბრძანებით, დომენტი
კათალიკოსთან, გივი ამილახვართან, ბატონიშვილ აშოთან-
თან, სახლოთხუცეს ზაზასთან, ტბილელ იოსებთან და ბოენელ
იოსებთან ერთად გაარიგა გიორგი, ყაფლან ბარათაშვილებსა
და პაპუნა ვირშელიშვილს შორის სამამულო დავა.²

1671 წელს ნიკოლოზი მოწმეა ციციშვილების სადაო
მიწის გამო დომენტი კათალიკოსის მიერ მიცემული სამართ-
ლის წიგნისა: „ჩვენ, მთავარებისკოპოზი ნიკოლოზ ჩხეიძე ამ
საყდრის საძირკვლის კურთხევაში დავხვდი და ამ სამარ-
თალში და მოწმე და გარდამწყუეტელნი ვართ.“³

1671 წელს მთავარებისკოპოსი ნიკოლოზ ჩხეიძე, თავის
ძმასთან ბეჭანთან და ძმისშვილებთან ერთად „სახლის
ალაგს“ აძლევს ნასყიდა ბაქრაძეს. „სახლის ალაგი“ იტრია-
ში უნდა იყოს, ან მის სიახლოვეს. ამას გვაფიქრებინებს სი-
გელში დაფიქსირებული ზოგიერთი გვარი (ჟამისაძე, ბლიაძე
და სხვ.), სოფლები ბეჭამი და ლუბრუმა. „სახლის ალაგის“
წიგნში ნათქვამია:

„...ჩვენ ჩხეიძემ ბატონმან მთავარეფისკოპოზმა ნიკოლა-
ოზ, ძმამა ჩემა ბატონმა ბეჭან, ძმისწულმა ჩემა ბატონმა ქათ-
ხოსრომ, თეიმურაზ, სეხნიამ, სახლისა მომავალთა ჩვენთა
ყოველთავე, შენ, ჩვენს ერდგულსა და თავდადებით ნაშია-
ნურს ბაქრაძე ნასყიდა გაატაზს, შვილსა შენსა თამაზას,
სეხნიას, სახლისას შენისა ჩამომავალთა ყოველთავე, ასრე
რომე სახლისა და მამულის წყალობას გვეაჯენით. ვისმინეთ

¹ იქვე, გვ. 224.

² ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, 1970, გვ. 569.

³ ხეც, Ad-1337.

აჯა და მოხსენება თქვენი და გავსინჯეთ და საყდარს ვერ გაგაშორეთ, გიბოძეთ სახლის ალაგი ჩვენს დოლაბს გაღმა მლაშეს იქეთ, რომ გზა შეექცევა იქამდი, ჭიჭინაძემ რომ ტყე გაპკაფა, ისიც გიბოძეთ, შუას ტყეზედ რომ გზა გარდ-მოივლის იქამდი, უამისაძის მიწის სახნაგამდი. შენ რომ ესა-ხლები, ვენახით რომ თეთრი მიწის გზა ჩამოვა იქამდი. ავ-თანდილი რომ მიწას ხნევდა, ისიც გიბოძეთ როსაფ მაჭავა-რიანის წისქვილამდი. დიდ ხევამდი ჩვენის კონდაკით ამოგე-ბულის თეთრით გიყიდეთ შოშია ბლიაძისაგან ბეკაშს მამუ-ლი. დაგდევთ საღაპო, შეგიწირეთ ზეშთა სახიერსა სიონთა ღვთის მშობელსა სულისა ჩვენისა საოხად. ლუბრმას გიბო-ძეთ ერთი საკომლოს ნახევარი მიწა სახნავი გაატაზობით საყდარს ამსახურებდი ულუსში სამს დღეს მკა, სამს დღეს ბარვა. ამის მეტი სათხოვარი ჩვენგან შენ არა გეთხოებოდეს-რა არა ჩვენგან და არა სხვათა მეპატრონეთაგან”.¹

1671 წლის შემდეგ ნიკოლოზ ჩხეიძე წყაროებში აღარ მოიხსენიება.

იტრიის ეკლესიაში, სამკვეთლოს სიახლოვეს მდგარ ბურჯთან მონაცრისფერო გრანიტის ქვის ერთი მოზრდილი ფილაა იატაკზე დაგებული. ჩანს, რომ იგი საფლავის ქვის ნაწილია. სამხრეთის ნავში, ბურჯებს შორის, იატაკზე დაგე-ბული მცირე ზომის ფილაც ამავე ქვის ნაწილი უნდა იყოს. ეს, ალბათ, XIX საუკუნის 60-იანი წლების დროინდელი არის, როცა ეკლესიაში სარესტავრაციო სამუშაოები ჩაატა-რეს. აქვე სამხრეთის კედელთან საფლავის ფილაა, რომელ-ზეც წარწერა გადაფხექილია და შეუძლებელია რამის ამო-კითხვა.

სამკვეთლოს სიახლოვეს დაგებულ ფილაზე შეიმჩნევა წარწერის კვალი. კარგად იკითხება „ტნო“, რაც ალბათ ქო-

¹ სცსსა, ფ. 1450, დავთარი №35, საბუთი №89.

რონიკონის აღმნიშვნელი უნდა იყოს. იკითხება აგრეთვე სიტყვების ფრაგმენტები: „ასა“, „ამა“. ასეთივე წარწერის ფრაგმენტი შეიმჩნევა სამხრეთის ნავში მსგავს ფილაზე – „კარ“.

„ტნთ“ – ს რიცხვითი მნიშვნელობა 359 – ია, რაც უდრის ქორონიკონის 1671 წელს ($1312+359=1671$). რას უნდა გვეუბნებოდეს საფლავის ქვაზე გაკეთებული ეს მინიშნება? მხოლოდ ვარაუდის გამოთქმა თუ შეიძლება. იტრიაში ხომ არ უნდა იყოს დაკრძალული ნიკოლოზ ჩხეიძე – ქართლისა და თბილისის მთავარეპისკოპოსი? ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ იგი 1671 წელს გარდაიცვალა და მის მიერვე აღდგენილ და გამშვენიერებულ ეკლესიაში დაიკრძალა? იგი ხომ ამ მონასტრის წინამძღვარიც იყო XVII საუკუნის 40–50–იან წლებში. და კიდევ ერთი: იტრიის ეკლესია ხომ ჩხეიძეთა სამგალედ ითვლებოდა.

ამაზე უნდა მიგვანიშნებდეს იტრიის ეკლესიის ხატის წარწერაც:

„მე, სასოებით მონდობილმან საფარავთა შენთამან, გურგასლიანის შვილმან ბეჭან, და ძეთა ჩუენთა ქაიხოსრო - მოვაჭედინეთ და სულისა ჩვენისა საოხად. თვითსაყდრის მეტი შენობა არ დაგვხვდომია რა, ყველა ჩვენის მოღვაწეობით მოვროვევით, რაც ოდენ ძალ გვადვა, და ექვსი კვამლი ჩუმათელიძეები ჩვენ ჩხეიძემ შევწირეთ. ქორონიკონ ტნი“ (1672).¹

თუ მანამდე ბეჭან ჩხეიძე და ნიკოლოზ ჩხეიძე ერთად სწირავენ მონასტერს შესაწირავს, ამ შემთხვევაში, როგორც ვხედავთ, მარტო ბეჭან ჩხეიძე და მისი შვილი ქაიხოსრო ფიგურირებს. ნიკოლოზი რომ ცოცხალი ყოფილიყო, ისიც,

¹ ე. თაყაშვილი, სამი ისტორიული ქრონიკა, ტფ., 1890, გვ. 25.

ალბათ, აუცილებლად იქნებოდა მოხსენიებული ხატის „მომ-ჭედველთა და შემკაზმავთა“ შორის.

ჩვენს ვარაუდს განამტკიცებს დიმიტრი მელვინეთხუცე-სიშვილის 1848 წლის ჩანაწერი: „ეპკლესიაში მარცხნივ არის დიდი საფლავის ქვა, ზედა სწერია მხედრულის დიდის ასოებით: ჩვენ მთავარეპისკოპოზი ჩხეიძე. სხვა აღარ ჩანს“.¹

ნიკოლოზ ჩხეიძემ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა თავის თანადროული ქართლის საეკლესიო ცხოვრებაში.

ნიკოლოზ ჩხეიძის შემდეგ საეკლესიო იერარქიის მა-ლალ საფეხურზე ჩანს ქართლის ჩხეიძეთა კიდევ ერთი წარ-მომადგენელი. ეს არის ურბნელი მთვარეპისკოპოსი სვიმონ ჩხეიძე. ერთ-ერთ საბუთში, რომელიც გიორგი აბაშიძის მიერ ქაიხოსრო ჩხეიძისადმი მიცემულ „საფიცარ წიგნს“ წარმოა-დგენს, ნათქვამა: „...უცილობელი ფიცი და პირი და საფი-ცარი მოგაროვი მე, აბაშიძემ პატრონმან გიორგიმ, შვილმან ჩვენმან პატრონმან (გამოტოვებულია აღვილი სახელისა-თვის - თ.ლ.), თქვენ, ჩხეიძეს პატრონს ქაიხოსროს, შვილთა თქვენთა სახთუცეს ბატონს თეიმურაზს, ურბნელ მთავარს ებისკოპოზს ბატონს სვიმონს, ბატონს სეხნიას და პატას, შვილთა და მამავალთა სახლისა თქვენისათა....“²

ქაიხოსრო ნიკოლოზ ჩხეიძის მმაა, რაც შეეხება თეიმუ-რაზს, სეხნიას და პატას, ესენი ქაიხოსროს შვილებია. მას კიდევ ჰყავს ვაჟები ფარემუზ, გიორგი და დავითი. ურბნელი მთავარეპისკოპოსიც მისი შვილი უნდა იყოს.

დამოწმებანი:

1. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, H-1742; 2304.

¹ იოსებ (სოსო) ალიმბარაშვილი, დიმიტრი მელვინეთხუცისშვილი (ცხოვრება და მოღვაწეობა), თბ., 2016, გვ. 74.

² სცსსა, ფ. 1448, საბუთი №1494.

2. ხეც, Sd-50; 534.
3. ხეც, Hd-14435
4. გ. ჯანდიერი, XVII საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული ქრონოლოგიის საკითხები (ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი), მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, ჭომი I, თბ., 1973.
5. სცსსა, ფ. 1450, დავთ. №35, საბ. №89; 92.
6. სცსსა, ფ. 1449, საბუთი N1189; 1535.
7. ოსებ (სოსო) აღმიბარაშვილი, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი (ცხოვრება და მოღვაწეობა), თბ., 2016
8. ხმ, საინ. №7787/ა281.
9. ე. თაყაიშვილი, სამი ისტორიული ქრონიკა, 1890.
10. თედო ჟორდანია, ქრონიკები, ჭომი II, ტფ., 1894.
11. ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, ჭომი IV, თბ., 1914.
12. ქართული სამართლის ძეგლები, ჭომი III, თბ., 1970.

Tamaz Latsabidze

Khashuri Museum of Local Lore

**NIKOLOZ CHKHEIDZE – THE ARCHBISHOP OF
KARTLI
RESUME**

The Feudal house of Chkheidze played an important role in the political and church life of Imeretian kingdom during the centuries. From 90s of XVI c. one branch from Chkheidze's house came to the Kartlian kingdom and made a small noble, what is famous as "Sachkheidzeo".

If Chkheidzes from Imereti actively took part in the church life of western Georgia, only one from Kartlian

Chkheidzes, Nikoloz Chkheidze is famous in this field. In 40-50s of the 17th century he was the head of the Itria Monastery, but In 1661-1671 he was the archbishop of Kartli and Tbilisi and played the important role in the contemporary church life of Kartli.

**ნიკოლოზ ულენტი
კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი**

**დმანისის სიონის სამხრეთ მინაშენის წარწერა
(უცნობი ტექსტი, შინაარსი და თარიღი)**

ვრცელი ასომთავრული წარწერა ამოკვეთილია დმანის სიონის სამხრეთი ნავის ფასადზე, კარიბჭის მარჯვენა მხარეს, მიწიდან დაახლ. 2,5-3 მ სიმაღლეზე, ორ დიდ წითელი ტუფის ქვაზე. შეიმჩნევა კიდურწერტილოვნება. წარწერა შედგება 12 სტრიქონისგან, ბოლო 3 სტრ. ჩასმულია VII, VIII და IX სტრ. შეს ნაწილში ამოჭრილ ოთხკუთხედში. ქარაგმის ნიშნად გამოყენებულია კიდურწერტილოვანი სწორი და კლაკნილი მცირე ხაზი. წარწერის ფართობი: 165X67. გრაფეტების სიმაღლე: 2-4,5. განკვეთილობის ნიშნები: ორწერტილი თითქმის ყველა სიტყვას შორის. სტრიქონებს შორის მთელს სიგრძეზე ცალკეა გამოყოფილი სივრცე ქარაგმის ნიშნებისათვის. IX სტრიქონის ბოლოს ტექსტის დასრულების ნიშნად გამოყენებულია სიმბოლო >¹.

¹ წარწერის მსგავსი სტილით დაბოლოვება გვხვდება დმანისის სიონის კიდევ სამ წარწერაში: 1. 1210-1223 წწ.-ის დას. კარიბჭის სააღმშენებლო წარწერაში; 2. 1223 წ.-ის შემდეგ (ახლო ხანები), დმანელი მამადმთავრის დაწერილში, რომელიც ასევე კარიბჭეზე შესრულებული; 3. XIII-XIV სს-ის ბესარიონის მოსახსენებელ ნაკაწრ წარწერაში, რომელიც დას. კარიბჭეში, ეკლესიაში შესასვლელი კარის მარჯვენა (სამხრეთ) მხარეს, შელესილობაზე შესრულებული (ქვემო ქართლის ეპიგრაფიული კორპუსი, I, დმანისის რაიონი. თბ. 2017, წარწ. № 83, 85, 171).

წარწერა ძალზე დაზიანებულია. გარდა ბუნებრივი გამოქარვისა და გადარეცხვისა, წარწერას ეტყობა აშკარად ზელოვნური, ძალისმიერი დაზიანებები. შეიძჩნევა მრავლობითი ვერტიკალურად ჩამოთლილი ზოლები და სხვა ამოტებილი აღვილები. დაზიანების გამო ვრცელი წარწერიდან განირჩევა მხოლოდ ცალკეული გრაფემები და სიტყვები. ერთიანი ტექსტის და ზუსტი შინაარსის აღდგენა ვერ ხერხდება. უცნობია წარწერის დაზიანების დრო.

კვლევის ისტორია:

წარწერაზე პირველად ყურადღება ლევან მუსხელიშვილმა გაამახვილა. მან ვერ შეძლო ტექსტის ამოკითხვა და შინაარსის დადგენა. მან მხოლოდ ქორონიკონის ათეულების აღმნიშვნელი გრაფემა ვ (60) და ერთეულების აღმნიშვნელი გრაფემა ბ (2) ამოიკითხა. როგორც ჩანს, მან არ მიიჩნია, რომ წარწერის ქორონიკონს პქონდა ასევე მესამე – ასეულების აღმნიშვნელი დაზიანებული გრაფემა, რის გამოც, წარწერა შეცდომით 1374 წ-ით დაათარიღა (1312+62=1374), თუმცა, იქვე აღნიშნა, რომ დარწმუნებული არ იყო ამ დათარიღებაში.¹

მეორედ წარწერას ყურადღება მიაქცია ვახტანგ ჯაფარიძემ, თუმცა, მან მხოლოდ ცალკეული გრაფემების ამოკითხვა შესძლო.²

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებული პროექტის „ქვემო ქართლის ეპიგრაფიკული

¹ ლ. მუსხელიშვილი. დმანისი (ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა). შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურის ძეგლები. თბ., 1938, გვ. 380-381.

² ვ. ჯაფარიძე, ნაქალაქარ დმანისის ქართული წარწერები, კრებ.: ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, IV, თბ., 1982. გვ. 50.

კორპუსი, ტ. I (დმანისის რაიონი)“ (FR/466/1-10/14) ფარგლებში, 2015-2017 წლებში წარწერაზე დეტალურად ვიმუშავს. გაპეთდა შემორჩენილი ფრაგმენტების ზღვმინტევნით ზუსტი პალეორაციული პირი და დადგინდა ტექსტი¹.

ქვემოთ მოცემულია წარწერის ტექსტი დედნისეული დამწერლობით და მხედრული ტრანსკრიფცია. (პალეოგრაფიული პირი და წარწერის ფოტო იხ. ბოლოს, დანართი №1 და დანართი №2 სახით).

¹ ქვემო ქართლის ეპიგრაფიკული კორპუსი, I, დმანისის რაიონი, თბ., 2017, წარწ. №71.

[C](?) [ԾC] (?) ԺԴԱՇ [Պ/Լ] [Q]
 [Բ/Վ/Լ/Բ] Ծ

7. 7. [Ե/Ե]
 ԾԾՊԳ [Ղ] ՍԿՈՒԴՆԵՐԸ ԾԾԾԻՎԱՆՄՆԵԾ, ԴՐԵԾ:
 . . Ծ: ԽՄՆԾԾ: Ծ[C]: ԴՂ[Բ] ԺԾԾԱԾԵ

8. 8. ԾՔԶԾԴԴՆԵՐԻ ԵՎ
 : [Ե] Ը Ծ(?) ԴԴ: [Ե] ԵՎ ԾԾՆՄՆԾԾ ԾՄՎԾԾԾ
 . . : ՈՆ [Ժ] ՑՎԴԵՆԾԾԾԾԵ

9. . . Ծ[Ժ] Ժ(?) . . ԾԾԳԲԳ[Ե] . . ԻԾ :

10. 0. ԾՆԾԾԴԻ

11. ԾՄԿ[Բ] ԴՂՎՕ

12. Ք: Ծ: Վ:

მო[შ]თვბდმქო(?) [ლნ] მ[ე/ვ/ი] [ოღ(ე)რს] წ(ე)ლსა
 გ(ა)თ(ა)ვდა . . . || . . . [ა] - [ა](?) [და] ამირს
 მეო[ხება]დ[?][7] - - [ლ/ზ] . . . და[ა] ებ[ი]სკოვზი[ც]ა
 დავსკ ს(ა)მლ(ო)ცუვა(ე)ლ(ო)დ || . . . დ ჩ(ე)მისა დ[ა] ვი[ნ]
 (?) მ'(ოვი)დ(ე)ს მ(ა)ს |⁸ . . . დ(ა) მომ(ა)ვ(ა)ლ'ი ჩ(ებ)ი
 იყ[ოს] [ლ](ი)ხ[ი]რვე(?) [ს](რუ)ლ(ო)ბით
 ჰპმსეა წ(უ)რ'(ე)ბ[დით] . . . || . . .
 ღ(მრთი)ს[გ]შ(ო)რ'(ე)ლსა დ[ა] ამ(ა)ს. . . |⁹ . . .
 რ'(ე)[გ](ეტ)რ[ე] (?) . . . და შ(ე)წყ(ა)ლე] . . . || . . . ჩთ
 > |¹⁰ ოდ(ე)ს გ(ა)თ(ა)ვ|¹¹დ(ა) ქ(ო)რ(ონი)კ(ო)ნი იყო |¹²
 ტ' ბ ბ (362).

წარწერის შინაარსი და თარიღი

როგორც ვხედავთ, წარწერის უმეტესი ნაწილი დაკარგულია, თუმცა შემორჩენილი ნაწილის მიხედვით მაინც შესაძლებელი ხდება ზოგადი შინაარსისა და თარიღის დადგენა.

წარწერის შინაარსის დასადგენად პირველ რიგში ყურადღება უნდა გამახვილდეს V სტრ-ში არსებულ სიტყვაზე, რომელიც აღვადგინე როგორც სიტყვა „გამებარჯუა“. როგორც ვხედავთ წარწერის ქტიტორი პირველ პირში იხსენიებს საკუთარ გამარჯვებას, რაც უნდა მიუთითებდეს, რომ ქტიტორი საერო პირია (მეფე, ერისთავი, დმანისის ამირა...) და მას რაღაც ბრძოლაში ან საქმეში გამარჯვება, ან წარმატება მოუპოვებია.

იგივე სტრიქონში ამ სიტყვას შემდეგ მოჰყვება ბოლონაკლული ფრაზა „და მასვე წელსა...“. VI სტრ-ში მეორდება მსგავსი ფრაზა „...ოდეს წელსა გათავდა...“. ეს ფრაზაც ბოლონაკლულია, თუმცა, უნდა ვივარაუდოთ, რომ საუბარია კონკრეტულ მშენებლობაზე, რომელიც წარწერის ქტიტორის

გამარჯვების წელს დაიწყო და დასრულდა საამშენებლო წარწერის შესრულებით. X-XI სტრ-ში კიდევ ერთხელ მეორდება მსგავსი ფრაზა: „ოდეს გათავდა ქორონიკონი იყო...“ რაც ასევე მშენებლობის დასრულებას უნდა გულისხმობდეს.

რა მშენებლობა იგულისხმება წარწერაში?

როგორც აღინიშნა, წარწერა ჩასმულია სიონის სამხრ. მინაშენის სამხრ. ფასადში. ამ მინაშენს ეტყობა გადაკეთების კვალი, ფენებში გამოყენებულია წითელი აგურიც. წარწერას ჩამოტეხილი კიდეები შემოლესილი აქვს. როგორც ჩანს, წარწერა თავის დროზე დაზიანებულა, ხოლო შემდეგ, სამხრეთ მინაშენის ერთ-ერთი რესტავრაციისას, ამ ადგილას ჩაუსვამთ და გაუმაგრებიათ შელესილობით. სავარაუდოდ, ეს წარწერა მანამდეც სამხრეთ მინაშენში იყო ჩასმული.

რთულია დაბეჭითებით ითქვას წარწერაში ამ მინაშენის მშენებლობის ან რესტავრაციის დასრულებაა მოხსნიებული თუ არა, თუმცა, სავარაუდოდ ასეც იყო.

VII-VIII სტრ-ში ვხვდებით მეტად საინტერესო ტექსტს: „და ებისკოვზიცა დავსკ სამლოცველოდ... ვინ ძოვიდეს მას... და მომავალი ჩემი იყოს... ხრულობით პმსახურებდით ღმრთისმშობელსა...“. ეს ნაწილი პირდაპირ უნდა მიუთითებდეს წარწერის ქტიტორის სტატუსზე. როგორც ვხედავთ, წარწერის ავტორს, დმანისის სიონზე განხორციელებულ მშენებლობასთან ერთად დმანელი ეპისკოპოსიც დაუდგენია (სამწუხაროდ, არ იკითხება მისი სახელი) და მის შემდგომ მომავალ სამართალმექვიდრეებს დმანისის ღმრთისმშობლის მსახურება უანდერძა. ეპისკოპოსის დასმის პრეროგატივა კი მხოლოდ მეფესა და კათალიკოსს ექვებოდათ. ზემოთ უკვე აღვნიშნე, რომ V სტრ-ში პირველ პირში მოხსენიებული სიტყვა „გამემარჯუა“ უნდა მიუთითებდეს, რომ წარწერის

ქტიოტორი საერო პირია. ამგვარად, საქმე უნდა გვქონდეს მეფესთან.

რომელი „გამარჯვებული“ მეფე უნდა ვიგულისხმოთ დმანისის სიონში გარკვეული საამშენებლო საქმიანობის ქტიოტორად, უპისკოპოსის დამსტელად და წარწერის დამკვეთად?

მისი ვინაობის დადგენა და წარწერის დათარიღება (ქორონიკონის მართებული აღდგენა) ურთიერთდამოკიდებული საკითხებია.

წარწერას გააჩნია უნიკალური ფორმით – წარწერის ძირითადი ტექსტის შიდა სივრცეში სპეციალურად ამოჭრილ ჩარჩოში ჩასმული ქორონიკონი. ქორონიკონი შედგებოდა სამი გრაფემისგან, რომლებიც ერთმანეთისგან ორწერტილებითაა გამიჯნული. ორწერტილია ასევე ამოჭრილი თითო გრაფემის თავზე. კარგად იკითხება ქორონიკონის რიცხვითი მნიშვნელობის მქონე II – ათეულების აღმნიშვნელი გრაფემა ვ (60) და III – ერთეულების აღმნიშვნელი გრაფემა ბ (2). სამწუხაროდ, დაზიანებულია ასეულების აღმნიშვნელი, ქორონიკონის პირველი ასო, რომელიც შესაძლებელია იყოს მხოლოდ ორი – ტ (300) და უ (400) გრაფემებიდან ერთერთი. ამის მიზეზი შემდეგი გარემოებებია:

• წარწერა არის საამშენებლო და ასევე საუბარია წარწერის ქტიოტორის მიერ ეპისკოპოსის დასმაზე, რაც ვერ მოხდებოდა 1123 წ-მდე, დმანისში ქართული სამეფო იურის-დიქციის აღდგენამდე¹;

• წარწერა ვერ იქნება XIII ს-ზე გვიანი, რადგან ქორონიკონს შემორჩენილი ათეულების და ერთეულების აღმნიშვნელი გრაფემების ჯამის (62) გარდა, ასევე ახლავს ასეულების აღმნიშვნელი დაზიანებული გრაფემა – ტ ან უ.

¹ ქართლის ცხოვრება, I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1955, გვ. 345.

მართებული ქორონიკონის აღდგენის ორივე შემთხვევაში, იქნება ეს 362 თუ 462, წლების ათვლის წერტილად უნდა ავიღოთ მე-13 ქორონიკონი – 780 წ., რის შედეგადაც მივიღებთ ან 1142 წ-ს (780+362), ან 1242 წ-ს (780+462). არავითარ შემთხვევაში ქორონიკონის ათვლის წერტილად არ უნდა ვიგულისხმოთ მე-14 ქორონიკონი – 1312 წ., რადგან ამ შემთხვევაში წარწერა შესრულებული უნდა იყოს ან 1674 წ., ან 1774 წ-ს, რაც გამორიცხულია წარწერის პალეოგრაფიული და ტექსტოლოგიური მონაცემებით.

ამგვარად, წარწერა უნდა იყოს შესრულებული ან 1142 წ-ს, ან 1242 წ-ს.

ასეულების აღმნიშვნელი გრაფემა იმ სახითაა დაზიანებული, რომ ორივე გრაფემის აღდგენა თითქმის თანაბარი წარმატებითაა შესაძლებელი. იმისათვის, რომ დავადგინოთ მართებული თარიღი, საჭიროა წარწერის შემორჩენილი ტექსტის ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზი.

ამისათვის საჭიროა კიდევ ერთხელ გავიმეოროთ ზემოთ განხილული ძირითადი თეზისები წარწერის შესახებ:

• წარწერა საამშენებლო ხასიათისაა, მის ტექსტში ორჯერად აღნიშნული მშენებლობის დასრულების დრო (VI სტრ. „...ოდეს წელსა გათავდა...“; XI-XII სტრ. – „ოდეს გათავდა ქორონიკონი იყო...“).

• მისი ქტიტორი უნდა იყოს საერო პირი, რადგან იგი მოპოვებულ გამარჯვებაზე წერს (V სტრ. „გამემარჯუა“). ეს პირი უნდა იყოს მეფე, რადგან მას დმანისში ეპისკოპოსიც დაუდგენია (VII სტრ. „...და ებისკოვზიცა დავსც...“).

როგორც აღინიშნა, წარწერა ჩასმულია სიონის სამხრ. მინაშენის სამხრ. ფასადში. ამ მინაშენს ეტყობა გადაკეთების პერიოდი, ფენებში გამოყენებულია წითელი აგურიც. რთულია დაბეჯითებით ითქვას წარწერაში ამ მინაშენის მშენებლობის

დასრულებაა მოხსნიებული თუ არა, თუმცა, სავარაუდოდ, ასეც იყო. ბუნებრივია, ამგვარი დიდი, მნიშვნელოვანი და ლამაზი წარწერა მიეძღვნებოდა დიდი მასშტაბის მშენებლობას, რომელიც დროის მცირე მონაკვეთში ვერ განხორციელდებოდა. ამავე დროს, ნათელია, რომ მშენებლობის დაწყება, დასრულება, ეპისკოპოსის დასმა და წარწერის ამოკვეთა ხდება დმანისში ქართველი მეფის ხელისუფლების დროს. ეს კი ნაკლებად შესაძლებელია 1242 წ-სთვის ხდებოდეს. 1235 წ-ს დმანისი ააოხრეს მონღოლებმა¹, საქართველოს მეფე რუსულდან კი მხოლოდ 1242-1243 წწ-ში უზავდება მონღოლებს და ბრუნდება აღმოსავლეთ საქართველოში. ხოლო მისი მექვიდრე დავით VI ნარინი ურდოშია გაგზავნილი მეფობის დასამტკიცებლად².

ამგვარად, ამ ისტორიული რეალობის გათვალისწინებით, დმანისის წარწერაში მოხსნიებული მეფის გამარჯვებას და მისივე ქტიტორობით დმანისის სიონში რამე მშენებლობის დაწყებას, დასრულებას და ეპისკოპოსის დასმას არ უნდა ჰქონოდა ადგილი 1242 წ-მდე, როდესაც დმანის და მთელს აღმოსავლეთ საქართველოს მონღოლები განაგებდნენ, ხოლო ქართველი მეფე დასავლეთ საქართველოს აფარებდა თავს.

ახლა კი განვიხილოთ, თუ როგორ შეესაბამება 1142 წ-ისთვის არსებული ისტორიული რეალობა ჩვენთვის საინტერესო წარწერას.

¹ Киракос Гандзакеци, История Армении, Перевод с древнеармянского, предисловие и комментарий Л.А. Ханларян, Москва: издат. "Наука". 1976, стр. 163.

² რ. კიქნაძე, საქართველოს დაპყრობა მონღოლთა მიერ, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979. გვ. 546-548; ბ. ლომინაძე, მონღოლებთან დაზავება, საქართველოს დაპყრობა მონღოლთა მიერ, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979. გვ. 549-551.

ამ დროს საქართველოს მეფე დემეტრე I-ია (1125-1155 წწ.). მეფობის პერიოდში მან რამდენიმე მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა. დმანისს მისი ზეობისას, სამეფოს სამხრეთ ნაწილში და მის მოსაზღვრედ მდებარე სხვა ქალაქებთან ერთად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ამას მოწმობს ისიც, რომ დემეტრეს დმანისის აღება გამეფებისთანავე, 1125 წ-ს მოუწია (როგორც ჩანს, 1123 წ-ს დავითის მიერ აღებული დმანისი კვლავ მტრებს მიუტაციათ).¹

იმავე 1125 წ-ს, ერაყის სელჩუკთა სულთანი მაჰმუდი თავს დასხმია საქართველოს, თუმცა, როგორც ჩანს, დემეტრემ (?) შემოსეული მტერი უკუაქცია.²

1125 წ-ის ბრძოლები ამით არ დასრულებულა. ამავე წელს საქართველოში დიარ-ბაქრისა და ვანის ტბის რეგიონის თურქული საამიროების კოალიციური ლაშქარი შემოიჭრა. მტრებს სათავეში ედგნენ ხლათის გამგებელი, იბრაჰიმ ბეგ სულეიმანი (იგივე იბრაჰიმ ბეგ სუქმანი), ხანძითის ამირა დაუდ ბეგ სუქმანი და სხვა ამირები. დემეტრეს არა მარტო სასტიკად დაუმარცხებია შემოსეული სელჩუკები, არამედ „ხუთი დღე“ სტილით მორწყა მთა-ბარი.³

¹ ლორთქიფანიძე მ., საქართველოს საგარეო და შინაპოლიტიკური ვთარება XII ს. მეორე მეოთხედიდან 80-იანი წლების დასაწყისამდე, საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ. 1979. გვ. 264.

² ჯაფარიძე გ., საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში, თბ. 1995. გვ. 85-86. არაა გამორიცხული, სწორედ ამ ლაშქრობის დროს დაეპყროთ სელჩუკებს დმანისი, რომელიც იმავე 1125 წ-ს დემეტრემ პირველად აიღო.

³ იქე, გვ. 86.

ამის შემდეგ, იმავე 1125 წ-ს (ან 1126 წ-ის დასაწყისში), დემეტრე I-ს აუდია სომხეთის ერთ-ერთი უძნიშვნელოვანესი ქალაქი დვინი.¹

1127 ან 1128 წ-ს ერაყის სელჩუკთა სულთანმა სანჯარმა ტულრილისა და მასუდის ათაბაგი ყარა-სონფური არრანში (რანში) გაგზავნა. 1128 წ-ს მან ქართველებს წაართვა ტავუშის და ტერუნაკანის ციხეები. მას ასევე უნდა დაეჭირა დმანისიც. ყარა-სონფურს ნორბერდის აღებაც განუზრახავს, თუმცა, დემეტრე I-ს იგი სასტიკად დაუმარცხებია. როგორც ჩანს, ამავე წელს დაუბრუნებიათ ქ. დმანისი დემეტრეს სარდლებს – აბულეთს და მის ძეს ძეს ივანეს.²

¹ იქვე, გვ. 87.

² იქვე, გვ. 90. სომები მემატიანე მხითარ აირევანცი საკუთარ ნაშრომში „ქრონიგრაფიული ისტორია“, რომელიც XIII ს-ის ბოლოს უნდა იყოს შექმნილი, დემეტრეს მიერ ყარა-სონფურის (წყაროში „ღარასენთურ“) დაძარცხებას ნორბერდში ათავსებს 1131-1141 წლებს შორის (იხ. მხითარ აირიგანცი, ქრონიგრაფიული ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლიანა დავლიანიძე-ტატიშვილმა. თბ., 1990, გვ. 80). წყაროს გამომცემელი ლიანა დაგლიანიძე-ტატიშვილი აღნიშნავს, რომ ღარასენთური ათაბაგად 1139 წ-ს ჩანს (იხ. იქვე, გვ. 107). კიდევ ერთი XIII ს-ის მემატიანე – სტეფანოს ორბელიანი ყარა-სონფურს საერთოდ არ ახსენებს. იგი ხუნანის აღებას 1128 წ-ით ათარიღებს, შემდეგ ახსენებს დმანისის აღებას, თარიღის მითითების გარეშე, რასაც პირდაპირ მოსდევს დემეტრე I-ის გარდაცვალების ამბავი (იხ. სტეფანოს ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთა“)-ს ძევლი ქართული თარგმანი, ქართულ-სომხური ტექსტის გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეშვილმა, თბ. 1978, გვ. 40). როგორც ეს გ. ჯაფარიძემ შენიშნა, დემეტრე მეფისა და არრანის სელჩუქების ამ კონკრეტული ბრძოლების ქრონოლოგიის ამგვარი პერიოდიზაცია (1128 წ-ის ნაცვლად 1131-1141 წწ., უფრო ზუსტად კი 1139 წ.) არ უნდა იყოს სწორი (იხ გ. ჯაფარიძე, საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში, თბ., 1995. გვ. 61, 90). აირევანცთან ანაქრონიზმი სხვაგანაც

ამას მოჰყვა ქართველების თავდასხმა არრანზე. ამ თავდასხმას მოგვიანებით კონტრშეტევით უპასუხა მომავალმა სულთანმა ტულრილმა და ათაბაგმა ყარა-სონცურმა. თუმცა დემეტრეს ამ ბრძოლაშიც მოუპოვებია გამარჯვება 1130 წ.-ს.¹

1130 წ-ს დემეტრემ კიდევ ერთი, ამჯერად სხვა მიმართულებიდან მოსული მტერიც მოიგერია. ამ წელს მან დაამარცხა საქართველოში შემოჭრილი სამხრეთ სომხეთის მმართველი შაჰ არმენ სუქბან II.²

1139 წ-ის 30 სექტემბერს რანში ძლიერი მიწისძვრა მომხდარა და ქ. განჯა დაუნგრევია. ამ დროს ყარა-სონცური ფარსში ყოფილა სალაშქროდ წასული.³ დემეტრემ ისარგებლა ამ მდგომარეობით და ქ. განჯა დალაშქრა. ამ მოვლენის

გვხვდება. მაგალითად, 1139 წ-ს მომხდარ მიწისძვრას, რომელმაც ქ. განჯა თოთქმის მთლიანად დაანგრია, სომხი მემატიანე 1141 წ-ით ათარი-დებს (იხ. მნითარ აირივანცი, ქრონიკრაფიული ისტორია, ძველი სომხურიდან თარიღმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლანა დაგლიანიძე-ტატიშვილმა. თბ. 1990, გვ. 80). ამგვარად, აირევანცთან ნახსენები, ნორბერდთან მომხდარ ბრძოლაში დარასენთურის, იგივე ყარა-სონცურის განცდილ მარცხს და აბულეთის მიერ დმანისისა და ხუნანის აღებას ადგილი უნდა ჰქონდა 1128 წ-ს და არა 1131-1141 წწ-ში.

¹ გ. ჯაფარიძე, საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში, თბ., 1995. გვ. 91.

² ქართლის ცხოვრება, I, ტექსტი დადგენილი ყველა მირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1955, გვ. 366., გვ. 366; გ. ჯაფარიძე, საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში, თბ., 1995. გვ. 91.

³ პ. თოფურია, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები XI-XII საუკუნეებში, თბ., 1975, გვ. 227-228; გ. ჯაფარიძე, საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში, თბ., 1995. გვ. 92.

სამახსოვროდ კი ქალაქის კარიბჭე გელათს შესწირა და მასზე ამ გამარჯვების აღსანიშნავი წარწერაც შესრულა.¹

ამგვარად, დემეტრე I-ის მეფობა, მისი გამარჯვებები და დმანისის ფლობა უკეთ შეესაბამება წარწერის მონაცემებს და წარწერის ქტიტორად სწორედ ეს მეფე უნდა ვიგულისხმოთ, ხოლო თვითონ წარწერის ქორონიკონის I – ასეულების აღმნიშვნელი გრაფემა უნდა აღდგეს როგორც ტ (300) და აღნიშნული ეპიგრაფიკული ძეგლი 1142 წ-ით უნდა დათარიღდეს.

დასკვნა:

ჩატარებული სამუშაოს შედეგად პირველად მოხერხდა დმანისის სიონის სამხრეთ მინაშენის სამხრეთ ფასადში ჩასმული ძალზედ დაზიანებული წარწერის პალეოგრაფიული პირის გადმოღება, შემორჩენილი ტექსტის ამოკითხვა და შინაარსის აღდგენა. წარწერის კვლევის შედეგად ვვარაუდობ, რომ წარწერა საამშენებლო-მემორიალური ხასიათისაა და ეხება დმანისის სიონის სამხრეთ მინაშენის მშენებლობას (ან რეკონსტრუქციას), რომელიც მიმდინარეობდა დაახლ. 1139-1142 წწ.-ში. მშენებლობის ქტიტორი უნდა ყოფილიყო მეფე დემეტრე I, რომელიც სავარაუდოდ განჯაზე ან ყარა-სონფურზე გამარჯვების აღსანიშნავად, გამარჯვების წელსვე (1139) იწყებს მშენებლობას და ასრულებს 1142 წ-ს. საამშენებლო საქმიანობის გარდა მეფეს დაუდგენია უცნობი დმანელი ეპისკოპოსი. ეს არ უნდა იყოს შემთხვევითი, რადგან, როგორც ზემოთაც ვნახეთ, დმანისის აღება დემეტრეს დროს ორჯერ გახდა საჭირო. როგორც ჩანს, ეს პოლიტიკა – პირადად მე-

¹ ლორთქიფანიძე მ., საქართველოს საგარეო და შინაპოლიტიკური ვითარება XII ს. მეორე მეოთხედიდან 80-აანი წლების დასაწყისამდე, საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979. გვ. 274.

ფის მიერ დმანისის ეპისკოპოსის დადგენა, დმანისში სამეფო ძალაუფლების განმტკიცებას ემსახურებოდა.

დამოწმებანი:

მხითარ არივანეცი, ქრონოგრაფიული ისტორია, ძეგლი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლიანა დავლინიძე-ტატიშვილმა. თბ., 1990.

პ. თოფურია, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები XI-XII საუკუნეებში, თბ., 1975.

რ. კიკნაძე, საქართველოს დაპყრობა მონღოლთა მიერ, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979. გვ. 527-547.

ქვემო ქართლის ეპიგრაფიკული კორპუსი, I, დმანისის რაიონი. თბ., 2017.

ბ. ლომინაძე, მონღოლებთან დაზაგება, საქართველოს დაპყრობა მონღოლთა მიერ, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979. გვ. 549-551

გ. ლორთქიფანიძე, საქართველოს საგარეო და შინაპოლიტიკური ვითარება XII ს. მეორე მეოთხედიდან 80-იანი წლების დასაწყისამდე, საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979. გვ. 263-280.

ღ. მუსხელიშვილი. დმანისი (ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა). შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურის ძეგლები. თბ., 1938.

ქართლის ცხოვრება, I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1955.

გ. ჯაფარიძე, ნაქალაქარ დმანისის ქართული წარწერები, კრებ.: ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური მეცნიერები, IV, თბ., 1982. გვ. 44-65.

გ. ჯაფარიძე, საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში, თბ., 1995.

სტეფანოს ორბელიანის “ცხოვრება ორბელიანთა”-ს ძველი ქართული თარგმანები, ქართულ-სომხური ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1978.

Киракос Гандзакеци, История Армении, Перевод с древнеармянского, предисловие и комментарий Л.А. Ханларян, Москва: издат. “Наука”. 1976.

Nikoloz Zhgenti

Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts
**THE INSCRIPTION OF THE SOUTH SIDE CHAPEL OF
DMANISI CATHEDRAL
RESUME**

The inscription is placed in the south facade of the south side chapel of Dmanisi Cathedral (“Sioni”). It is written in old Georgian alphabet “Mtavruli” and is composed of 12 lines. Most part of the text is missing. It seems to be damaged deliberately, the exact time and the reason of which is unknown.


The inscription was mentioned several times in Georgian historiography and scientific literature, but mainly as a brief description of its physical condition. There were several

attempts to read out the damaged and fragmented text and to understand its content, but without any result.


After working on the inscription the exact graphical-paleographical copy of the text has been made. The text mentions some victory, building process and an appointment of unknown bishop. According to the survived text, the inscription seems to be made by King of Georgia Demetre I (1125-1155) in 1142. He defeated his enemies several times, took the city of Ganja in 1139 and, supposedly at the same time started to build or reconstruct the south side chapel of the Dmanisi cathedral. He also appointed a local bishop and made the inscription in 1142, when the constructing process ended.

As a result: 1. The building or reconstructing period of south side chapel of Dmanisi cathedral has been supposedly dated with 1139-1142 years; 2. It turned out, that King Demetre I appointed a local bishop during this period. This fact seems to be serving his royal and victorious authority in Dmanisi – in one of the most important and problematic cities in south-east of Georgia.

დანართი №1.
წარწერის პალეოგრაფიული პირი



დანართი №2
წარწერის ფოტო



მარა შაორშაძე
კორნელი კეკელიძის სახელობის
საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

მიტროპოლიტი ნიკოლოზ ჩოლოფაშვილის მოღვაწეობა
სამებელის, რუსთველის და ამბა-ალავერდელის
საეპისკოპოსო კათედრებზე
(1675-1720-იანი წლები)

მიტროპოლიტი ნიკოლოზ ჩოლოფაშვილი XVII საუკუნის ბოლოს და XVIII საუკუნის 20-იან წლებამდე საქართველოს ეკლესიის საეპისკოპოსო კათედრებიდან სამ კათედრაზე მოღვაწეობდა: დაახლოებით, 1675-1688 წლებში ის ჯერ არქიდიაკონია,¹ შემდეგ, 1690-93 წლებში ჩანს სამებელების კოპოსად,² რუსთველია 1694 წელს,³ ხოლო 1695-1720-იან წლებში ამბა-ალავერდელი⁴.

¹ საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1448, საქმე №555.

² ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, V (საბუთები XVIII საუკუნისა), ტფ., 1913. გვ. 76-77; კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი H, №2110, Ad-349.

³ საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1448, საქმე №57.

⁴ კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი Ad:74, 574, Hd: 1638, 5187; საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1448, საქმე №1469, 1449:1835, 2686; ქართული სამართლის ძეგლები, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX ს.), ტ. III, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძირბლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1970, გვ. 622, 632, 635, 666, 696, 699, 700, 717, 737.

ნიკოლოზ არქიდიაკონი დამწერია ერეკლე მეფის მიერ პეტრე მგალობლიშვილისათვის მიცემული მდივნობის წყალობის წიგნისა [1675-1688 წწ.]¹.

1761 წლის საბა ნინოწმინდელის ერთი საბუთის მიხედვით ვიგებთ, ოომ შაჰ-აბასის შემოსევების შეძლვომ დავითგარეჯის მონასტრები სრულად მოოხრდა, გახშირდა ლეკთა თავდასხმებიც. თეიმურაზ I იმერეთში გადავიდა. ოოცა იგი კვლავ დაბრუნდა კახეთში, განადგურებული მონასტრების ხელახლა აღშენებას შეუდგა, “ზოგიერთი კი უშენი დარჩა”. ამის შეძლევ გავიდა დრო და ნათლისმცემლის მონასტერში პირველი მოღვაწენი გამოჩნდნენ – ბესარიონ ორბელიშვილი, მისი ძმა სვიმონ და ონოფრე ჩივაძე. რადგან „ათორმეტ უდაბნოთა მაკურთხეველი“ ნინოწმინდელი იყო, მატერიალური დახმარებისათვის მათ ნინოწმინდელს მიმართეს. იმ დროის ნინოწმინდელ ეპისკოპოს იოსებს (არავის ერისთავის შვილს) მათოვის ვერავითარი შეწევნა ვერ მიუცია, ამის გამო მოახალშენენი სამებელ ნიკოლოზ ჩოლოფაშვილთან მისულან და „თავიანთი თავი იმ მონასტერში მოსახსენებლად იმისთვის მიეცათ“. აქედან მოყოლებული ნათლისმცემელი სამებლის საგამგეო გახდა, ვიდრე XVIII საუკუნის II ნახევარში მამა სერაპიონი ნინოწმინდელ საბა ტუსიშვილთან არ მივიდა და ძველი წესის აღდგენა არ ითხოვა. ერეკლე II-მ 1761 წელს გაცემული საბუთით, საბა ნინოწმინდელს ნათლისმცემლის მონასტერი გადასცა და ამით ძველად დარღვეული კანონი აღადგინა².

ამდენად, ეს გამოყოფა სწორედ ერეკლე I-ის მეფობის (1688-1703 წწ.) დროს მოხდა. ოოცორც ჩანს, მეფეს წინა-

¹ საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1448, საქმე №555.

² ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, V (საბუთები XVIII საუკუნისა), ტფ., 1913. გვ. 76-77.

აღმდეგობა არ გაუწევია ნინოწმინდელის სურვილისათვის, თუმცა კი მისი საქციელი გაჰკვირვებია. ამას ადასტურებს 1710 და 1714 წლების მეფე დავით იმამყული-ხანის სიგელებიც, სადაც ნათქვამია, რომ ერეკლეს „თანაშემწეობა“ გაუწევია პირველი მოახალშენებისათვის და ნათლისმცემლისათვის სოფლები და აგარაკები შეუწირავს¹.

ნათლისმცემლის გადაცემა სამებელისათვის, რომელიც იოსების ნინოწმინდელობისა და ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის სამებლობის პერიოდს უკავშირდება, უნდა მოდიოდეს დაახლოებით 1692-1693 წლებზე, რადგან იგი ერეკლე I-ის მეფობის (1688-1703 წწ.). წლებშიც თავსდება და ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის სხვა კათედრებზე მოღვაწეობის თარიღებშიც არ ექცევა. რაც შეეხება იოსებ არაგვის ერისთავის ძეს, ნინოწმინდელად იგი დაახლოებით 1692-1697 წლებში მოღვაწეობდა. ამასთან, ბ. ლომინაძეს გამოკვლეული აქვს, რომ ლეკთა დიდი თავდასხმა დავით-გარეჯში 1690-1691 წლებში უნდა მომხდარიყო². განადგურებულ ნათლისმცემლის მონასტერში პირველ მოღვაწეთა მისვლაც აღმშენებლობითი საქმიანობისათვის, რომელსაც ერეკლე I-იც ხელს უმართავს, შესაბამისად, საფიქრებელია, სწორედ 1692-1693 წლებში ყოფილიყო.

ისტორიული საბუთების მიხედვით, XVII საუკუნის 80-90-იან წლებსა და XVIII საუკუნის დასაწყისში ჩანს სამი ნიკოლოზ ეპისკოპოსი, რომლებიც ერთდროულად მოღვაწეობენ აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა საეპისკოპოსო

¹ თ. უორდანა, ქართლ-კახეთის მონასტრებისა და ეკლესიის ისტორიული საბუთები, ფოთი, 1903, გვ. 37; პ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი H; №2110.

² ბ. ლომინაძე, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან (სენიორიები), წ. II, თბ., 1966, გვ. 26.

კათედრებზე. ისინი დროდადრო იცვლიან ამ კათედრებს. 1690 წელს ონოფრე მაჭუტაძის დავით-გარეჯის წინამძღვრად დასმაში მონაწილეობები: ალავერდელი ნიკოლოზ, რუსთველი ნიკოლოზ და სამებელი ნიკოლოზ¹. აქედან ერთი ენდრონიკაშვილია, მეორე ძღვივანმწიგნობართუხუცესის ძე და მესამე ჩოლოყაშვილი (სახლთუხუცეს დურმიშნანის ძმა). ეს უკანასკნელი კი სამებელის კათედრაზე 1690-1693 წლებში უნდა ყოფილიყო.

ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი რუსთველი ეპისკოპოსია 1694 წელს. ის, ქართლ-კახეთის დიდმოხელეებთან ერთად, მონაწილეობას იღებს ნაზარალიხანის მიერ მოწვეულ ბჭობაში გივი და ფარემუზ გურამიშვილების ყმა-მამულიდან გურამ გურამიშვილისათვის წილის მიცემის თაობაზე².

ნიკოლოზი ამბა-ალავერდელი ეპისკოპოსია 1695-1720-იან წლებში. იხსენიება ნიკოლოზ სამებელის მიერ გარეჯის იოანე ნათლისმცემლისათვის მიცემულ შეწირულების წიგნში: ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი, იმუამინდელ სამებელ ნიკოლოზზე ადრე, ყოფილა სამებელი ეპისკოპოსი და დახმარებია გარეჯის უდაბნოს დაკარგული მამულებისა და შეწირულობების აღდგენაში [1695-1700 წწ.³]. მან ქუცნა სულხანიშვილს, რომელიც კახეთში ლეკების თავდასხმის გამო ქსნის ერის-თავთან გახიზულა, უწყალობა ხუცესი გამხუტაშვილი მისი განაყოფი მამულებით (1695-1700 წწ.⁴); კათალიკოს იოანე დიასამიძეს მისცა ერთგულების პირობა რჯულის საქმეში

¹ პ. კეპელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი Ad-349.

² საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1448, საქმე №57.

³ საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1449, საქმე №1835.

⁴ პ. კეპელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი Hd-1638.

თანადგომის შესახებ (1695-1700 წწ.)¹; იყო შუამდგომელი ერეკლე მეფის მიერ სვეტიცხოვლისათვის შეწირულებათა განახლების საქმეში (1695 წ.)²; მონაწილეობა მიიღო: ფირან და ოთარ [ჩოლოფაშვილების] და [ჩოლაყაშვილ]-როშაქაშვილების სამამულე დავის გარჩევაში (1695-1700 წწ.)³; სხვა ეპისკოპოსებთან ერთად ხანის წინაშე დაადასტურა, რომ დავითგარეჯის ყმები გათავისუფლებულნი იყვნენ საურისა და სხვა ბეგარისაგან და ევალებოდათ მხოლოდ წმინდა დავითის საფლავის სამსახური (1696 წ.)⁴; ქიზიყის მოურავ რევაზ [ენდრონიკაშვილთან], ყორჩიბაშ ზაალ ენდრონიკაშვილთან, პაატა ენდრონიკაშვილთან და სახლთუხუცესისშვილ ედიშერ [ჩოლოფაშვილთან] ერთად, გაარიგა კაკაბელთა და შიბლიანელთა სამამულე დავა (1700 წ.)⁵; 1701 წელს ალავერდელი ნიკოლოზ ჩოლოფაშვილი პირობის წიგნს აძლევს პართენ ხარჭაშნელს⁶; 1702 წელს იგი მონაწილეა საეკლესიო კრებისა, რომელმაც სამონასტრო წესისა და რიგის თაობაზე გან-

¹ ქართული სამართლის ძეგლები, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.), ტ. III, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1970, გვ. 621-622; კ. კეპელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი Ad-74.

² ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, IV (საბუთები XVII საუკუნისა), ტფ., 1913. გვ. 70-71, საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1449, საქმე №2686.

³ კ. კეპელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი Hd-5187.

⁴ საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1448, საქმე №1465.

⁵ კ. კეპელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი Ad-574.

⁶ ქართული სამართლის ძეგლები, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.), ტ. III, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1970, გვ. 632

ჩინება მიიღო¹; 1709 წლის იოსებ ნინოწმინდელის დოდოს მონასტრისადმი შეწირულობის სიგელს, სხვა მღვდელმთავრებთან ერთად ხელს აწერს ალავერდელი ნიკოლოზიც²; 1711 წელს ბოდბელი მთავარეპისკოპოსი ენდრონიკაშვილი ზაქარია და რუსთველი მთავარეპისკოპოსი ჩერქეზიშვილი ნიკოლოზი, ერთგულების წიგნს აძლევენ წმ. გიორგის მონასტერს და მის საჭეთმპყრობელს, ამბა ალავერდელ ნიკოლოზ ჩოლოფაშვილს³; 1720 წელს ალავერდელი ნიკოლოზ, რუსთველი ნიკოლოზ, ხარჭაშნელი ფილიპე, ჭერემელი გრიგოლი და სხვები პირობის წიგნს აძლევენ ვახტანგ VI-ს⁴ და ა.შ.

1733 და 1734 წლის საბუთებში ნიკოლოზ ჩოლოფაშვილი უკვე გარდაცვლილად იხსენიება და მის შესახებ წარსულ დროშია საუბარი⁵.

ამდენად, საისტორიო დოკუმენტების ანალიზი აჩვენებს, რომ მიტროპოლიტი ნიკოლოზ ჩოლოფაშვილი 1690-93 წლებში იყო სამებელი ეპისკოპოსი, რუსთველი ხდება 1694 წელს, ხოლო 1695-1720-იან წლებში ის ამბა-ალავერდელი მიტროპოლიტის კათედრას განაგებს. როგორც ჩანს, ეს მაღალი სასულიერო იერარქი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა და საქართველოს იმდროინდელ საეკლესიო ცხოვრებაში.

¹ ქართული სამართლის ძეგლები, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.), ტ. III, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საბი-გბლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1970, გვ. 634-535.

² იქვე, გვ. 663.

³ იქვე, გვ. 666-667.

⁴ იქვე, გვ. 699-700.

⁵ ქართული სამართლის ძეგლები, საეკლესიო საკანონმდებლო ძე-გლები (XI-XIX სს.), ტ. III, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საბი-ლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1970, გვ. 717-718; 737.

დამოწმებანი:

1. ს. კაგაბაძე, ისტორიული საბუთები, IV (საბუთები XVII საუკუნისა), ტფ., 1913.
2. ს. კაგაბაძე, ისტორიული საბუთები, V (საბუთები XVIII საუკუნისა), ტფ., 1913.
3. პ. კეპელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონ-დი H-2110.
4. პ. კეპელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონ-დი Ad-74.
5. პ. კეპელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონ-დი Ad-349.
6. პ. კეპელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონ-დი Ad-574.
7. პ. კეპელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონ-დი Hd-1638.
8. პ. კეპელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონ-დი Hd-5187.
9. ბ. ლომინაძე, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან (სენიორიები), წ. II, თბ; 1966.
10. ო. უორდანია, ქართლ-კახეთის მონასტრებისა და ეპლე-სიის ისტორიული საბუთები, ფოთი, 1903.
11. საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1448, საქმე №57.
12. საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1448, საქმე №555.
13. საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1448, საქმე №1465.
14. საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1448, საქმე №1469.

15. საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1449, საქმე №1835.
16. საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1449, საქმე №2686.
17. ქართული სამართლის ძეგლები, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.), ტ. III, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1970.

Maia Shaorshadze

Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts

**ACTIVITY OF THE BISHOP NIKOLOZ
CHOLOKASHVILI ON THE ARCHBISHOP'S SEATS
OF SAMEBA, RUSTAVI AND AMBA OF ALAVERDI
(IN 1675-1720)**
RESUME

According to historical documents of the 80-90s of 17th century and the beginning of 18th century, at the same time there were mentioned three Archbishops named by Nikoloz on the different seats of the East Georgia. Those are: Nikoloz of Alaverdi, Nikoloz of Rustavi and Nikoloz of Sameba. First one was from Andronikashvili family, second was the son of Mdivanmtsignobartukhutsesi and third from Cholokashvili family. They changed their parishes from time to time.

Analyze of historical documents showed, that bishop Nikoloz Cholokashvili was an Archbishop of Sameba in 1690-93, in 1694 he was occupying seat of Rustavi and in 1695-1720 was managing the Seat of Amba of Alaverdi.

**ქეთევან გიგაშვილი, გიორგი გოცირიძე
იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**ძალაუფლებისა და საზოგადოების ურთიერთმიმართების
კონტექსტი გრიგოლ ორბელიანის წერილების მიხედვით**

ნაჩვენებია სოციალურ სფეროზე მეფის რუ-
სეთის ძალაუფლების გავლენის ხასიათი მე-19 საუკუნის
სამხრეთ (საქართველოს მაგალითი) და ჩრდილოეთ კავკასია-
ში ქართველი პოეტისა და რუსეთის არმიის გენერლის, გრი-
გოლ ორბელიანის, წერილების¹ მიხედვით. იგი ცხოვრობდა
და მოღვაწეობდა საქართველოს ისტორიის თვისობრივად
სრულიად განსხვავებულ დროში - მე-19 საუკუნეში, რომ-
ლის გარიურაჟეც რუსეთის იმპერატორის მანიფესტის ძა-
ლით, საქართველოს სახელმწიფო ბრიობა მოიშალა, მონარ-
ქიული წყობა გაუქმდა, ქვეყანამ დაკარგა ეროვნული დამო-
უკიდებლობა. ძალაუფლების გავლენა მისწვდა ეკლესიასაც:
1811 წელს რუსეთის იმპერიამ გააუქმა საქართველოს ეკლე-
სიის ავტოკეფალია და ის თავისი ქვეყნის სინოდს დაუმორ-
ჩილა.

მე-16 საუკუნის II ნახევრიდან მონღოლთა ხანგრძლივი
ბატონობისაგან განთავისუფლებულ რუსეთს აზიური ტიპის
სოციალურ-ეკონომიკურმა სისტემამ საშუალება მისცა, ჰყო-

¹ კერძოდ, განალიზებულია 1832-1864 წლების წერილები, რომე-
ლთა რაოდენობა 623-ს შეადგენს.

ლოდა ძლიერი არმია და დაეწყო აგრესიული პოლიტიკა საზღვრის მთელ პერიოდზე.¹

ამ პროცესმა მოიცვა უზარმაზარი სივრცე: ვოლგის რეგიონი, ციმბირი, შორეული აღმოსავლეთი წყნარი ოკეანის აუზით, ალასკა, უკრაინა, ბელორუსია, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, ფინეთი, შია აზია, კავკასია - ეს იმ ტერიტორიებისა და ქვეყნების არასრული სია, რომლებიც რომანვების იმპერიის ნაწილი გახდნენ ოთხი საუკუნის განმავლობაში.

მეფის რუსეთი ამ ტერიტორიებს მიიჩნევდა თავის ორგანულ, განუყოფელ ნაწილებად, რომელთა დამორჩილება მის გეოპოლიტიკურ ინტერესებში შედიოდა: მას სურდა მათი არა მხოლოდ ეკონომიკური ასიმილაცია, არამედ ადგილობრივი მოსახლეობის რუსიფიკაციაც. სწორედ ეს თვისება განასხვავებდა რუსულ კოლონიალიზმს სხვა ევროპული ქვეყნების ანალოგიური მოვლენისაგან და მას მეტად საშიშს ხდიდა დაპყრობილი ხალხისათვის.

სპარსეთისა და თურქეთის წინააღმდეგ გამართული ომების წარმატებით დასრულების შემდეგ, მე-19 საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს, ცარისტულ რუსეთს შედარებით ხელსაყრელი შემთხვევა მიეცა, განეხორციელებინა კავკასიის და, კერძოდ, საქართველოს სრული დაპყრობა. მისი მიზანი იყო, ეს რეგიონები თავის რიგით პროვინციებად გადაექცია.

რუსეთის იმპერიის მიერ კავკასიის დაპყრობას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მე-19 საუკუნის მსოფლიო ისტორიაში. კავკასიის ოშს, რომელიც 1817-1864 წლების განმავლობაში მიმდინარეობდა, უდიდესი გავლენა ჰქონდა ძალების განლაგებაზე მსოფლიოში. მან დასაბამი მისცა რუსეთის იმ-

¹ Кульчицкий, С. П., 2006.Империя и мы:

<http://www.day.kiev.ua/156240/>, ст. 86.

პერიის წინსვლას სამხრეთის მიმართულებით, რომლის უარყოფით შედეგებს დღესაც ვიმკით. ეს ომი მძიმე იყო რეგიონის მოსახლეობისათვის. ბევრი ეთნოსი ფიზიკური განადგურების საფრთხის წინაშე დადგა, ზოგიერთი მათგანი, მაგ., უბისხები, გაქრნენ ისტორიიდან, ხოლო ნახევარ მილიონზე მეტი ადამიანი ოსმალეთის იმპერიაში გადაასახლეს. პრაქტიკულად, სრულიად შეიცვალა ამ რეგიონის დემოგრაფიული სურათი.

წინა საუკუნეში მსოფლიო კოლონიური სისტემა დავიწყებას მიეცა, საბჭოთა კავშირი დაიმაღლა, მაგრამ მისი კანონიერი მემკვიდრე, რუსეთი, ინარჩუნებს ამბიციას, ცდილობს აღადგინოს იმპერია და პრაქტიკულ ნაბიჯებს დგამს, რათა დაიმორჩილოს ყოფილი კოლონიური ქვეყნები თავისი გავლენის ქვეშ.¹

გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლური მემკვიდრეობა უხვი ინფორმაციას შეიცავს კავკასიის ომის, რუსეთის კოლონიური პროცესის, კავკასიის რევიონში ძალაუფლებისა და საზოგადოების ურთიერთმიმართების, მოსახლეობის განწყობის, ადამიანთა შორის ურთიერთობების შესახებ.

საკვლევი პრობლემის ირგვლივ არსებული მასალა სისტემატიზებული და გაერთიანებული გვაქვს ორი ძირითადი საკითხის ქვეშ:

1. როგორია დამპყრობლის ძალაუფლების გავლენა სოციალურ სფეროზე ანექსირებულ ქვეყნაში?

¹ Gotsiridze, G. and Gigashvili, K., 2017. The Essential Characteristics of the Colonization Policy of the Russian Empire in Caucasus in accordance with GrigolOrbeliani's Epistolary Legacy, 4th International Multidisciplinary Scientific Conference on Social Sciences and Arts SGEM2017, Book 2, Vol 2,Bulgaria, Albena, 22-31 August, pp. 339-346.

2. როგორია დამპყრობლის ძალაუფლების გავლენა სოციალურ სფეროზე ქვეყანაში, რომლის ანექსირების პროცესი ავტორის სამოღვაწეო პერიოდში მიმდინარეობს?

ეს საკითხები მოიცავს შემდეგ თემებს:

1. როგორ იქცევანან ადამიანები - სოციუმის წევრები - აბსოლუტურად განსხვავებულ პოლიტიკურ და სოციალურ პირობებში?

2. როგორ იქცევა დამპყრობელი (ჩვენ შემთხვევაში, რუსეთი), როგორ კოლონიურ პოლიტიკას აწარმოებს და როგორი მეთოდებით, სხვაგვარად რომ ვთქვათ, როგორ მუშაობს ძალაუფლება?

ცნობილი ფაქტია, რომ ქვეყნის სოციალურ, პოლიტიკურ, კულტურულ თუ ეკონომიკურ სფეროებზე კოლონიალიზმი ახდენს როგორც დადებით, ისე უარყოფით გავლენას. სოციალურ სარგებლად მიიჩნევა ინვესტიციების ჩადება ჯანმრთელობასა და საგანმანათლებლო სექტორში, განათლებისა და კულტურული დონის გაზრდა დაპყრობილ ხალხში და შედეგად მათი დაწინაურება სოციალურ სისტემაში, მაგ., აფრიკისა და სხვა ქვეყნების შემთხვევები, თუმცა ამ სეგმენტს ხშირად ახლავს ნეგატიური ეფექტებიც, რომელთა შორის, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს რელიგიური და კულტურული ღირებულებების მოშლა, ადგილობრივი ენების სოციალური სტატუსის დასუსტება და ზოგიერთ შემთხვევაში მათი გადართვა დამპყრობლის ენაზე.

კოლონიალიზმის სოციალური გავლენის აღნიშნული კონტექსტი შეიძლება მცირედაც მოგვეჩენოს იმ ცვლილებებთან შედარებით, რომელიც შეეხო ჩვენი ქვეყნის სოციალურ სფეროს: მეფე, რომელიც ხელისუფლების და, შესაბამისად, სოციალური სტრუქტურის სათავეში იმყოფებოდა, შეცვალა რუსეთის ხელისუფლებამ, რომელიც წარმოდგენილი იყო

კავკასიის მეფისნაცვლის ინსტიტუტით და სხვადასხვა პოლიტიკური სტრუქტურით. შედეგად, მოიშალა სოციალური იერარქიული სისტემა და სუბორდინაციული წესები.

ეს იყო სახელმწიფოებრივი მოწყობის რადიკალურად განსხვავებული მოდელი, უცხო ქართული რეალობისათვის. ქართველი თავადაზნაურობა, რომელიც ამ სოციალური სტრუქტურის კიბეზე ერთი საფეხურით დაბლა იდგა მეფიზე და, კანონმდებლობის თანახმად, მას ემორჩილებოდა საუკუნეების განმავლობაში, ამიერიდან უნდა დაქვემდებარებოდა რუსეთის ხელისუფლებას.

მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა არა მხოლოდ სოციალურ სტრუქტურაში, არამედ ქვეყნის მთელ სოციალურ სისტემაშიც: ყალიბდებოდა ბურჟუაზიული კლასი, დაწინაურდა ვაჭართა ფენა. ეს კიდევ ერთი ეკონომიკური საფრთხე იყო ქართველი თავადაზნაურებისთვის, რომლებიც ფინანსური პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ. კომერციული ურთიერთობები მათვის უცხო იყო. თავად გრიგოლ ორბელიანი - უმაღლესი არისტოკრატიული ფენის წარმომადგენელი - მიუხედავად თავისი სამხედრო წოდებებისა და წარმატებული კარიერისა, ვალებში ჩავარდა, აგირავებდა თავის ქონებას, სესხულობდა ფულს ვაჭრებისგან და შეძეგვ გაჭირებით იხდიდა წლების განმავლობაში. მისი წერილები სავსეა ჩივილით ეკონომიკურ სიდუხჭირეზე.

ამ პრობლემების დაძლევის ერთ-ერთი გზა გადიოდა რუსეთის სამსახურზე, რომელიც ყველაზე პრესტიულ და ელიტურ სფეროდ იქცა მე-19 საუკუნის საქართველოში. ბრძოლები, რომელიც ამ პერიოდში მიმდინარეობდა კავკასიასა და თურქეთში, ამ წოდებას თავის გამოჩენის ფართო ასპარეზს უხსნიდა.

ძალაუფლების გავლენით, საქართველოში ორი განსხვავდული კულტურა, ღირებულებათა სისტემა, მსოფლიო აღქმა, ცხოვრების სტილი შეეჯახა ერთმანეთს. ასეთ დროს დაპყრობილი ხალხი განიცდის კულტურულ შოკს. სამეცნიერო ლიტერატურაში ეს მოვლენა დიდი ხანია, შესწავლილი და შეფასებულია.¹

ქართველი საზოგადოება აღნიშნულ პერიოდში იმყოფებოდა სწორედ ასეთ სიტუაციაში, რომელიც ხასიათდება დანეულობით, გაორებით, მენტალური, სულიერი და ემოციური დისბალანსით. ეს ორმაგი ბუნება ჩანს გრიგოლ ორბელიანის პიროვნებაშიც, ისევე როგორც ბევრ სხვა ქართველში. სამეცნიერო ლიტერატურაში პოეტის პიროვნება დღემდე ამგვარად ფასდება.

ქართველი თავადაზნაურები, ერთი მხრივ, ინარჩუნებდნენ კარგ და მოწიწებულ დამოკიდებულებას სამეფო ოჯახის წარმომადგენლების მიმართ, რომელთაც ქვეყნის მართვაზე არანაირი უფლებები აღარ ჰქონდათ, ამზადებდნენ შეთქმულებას რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ და, მეორე მხრივ, ცდილობდნენ კარგი ურთიერთობა დაემყარებინათ რუსულ მმართველობასთან. ქართველი წარჩინებული ქალები ცოლად მიჰყვებოდნენ რუს ჩინოვნიკებს, რის შედეგად იქმნებოდა შე-

¹ Winkelman, M., 1994. Cultural Shock and Adaptation. Journal of Counseling & Development. 73 (2): pp. 121–126; Pedersen, P., 1995. The Five Stages of Culture Shock: Critical Incidents Around the World. Contributions in psychology, no. 25. Westport, Conn: Greenwood Press; Barna, L. M., 2009. How Culture Shock Affects Communication, Communication 5.1 (n. d.): pp. 1-18; Mavrides, G., 2009. Culture Shock and Clinical Depression. Foreign Teachers Guide to Living and Working in China. Middle Kingdom Life, 29 Sept.; Macionis, J. and Linda, G., 2010. Chapter 3 – Culture, Sociology. 7th edition ed. Toronto, on: Pearson Canada Inc., 54, და სხვ.

რეული ოჯახები. 1860 წელს გრიგოლი ერთ-ერთ წერილში აკრიტიკებს ასეთ ჩვევას: „გუშინ ქაიხოსროს მუხრანსკის ქალი დაქორწილდა კაპიტან კავაკოზედ; ერთი ვიღაც პაფარნია; მაგრამ ოღონდები რუსი იყოს, და სხუა რაღა უნდათ, ბედნიერება უაჭველია.“¹

გრიგოლ ორბელიანის მაგალითზე შეიძლება სრული წარმოდგენა შევიქმნათ იმაზე, თუ როგორი ურთიერთობები არსებობდა ქართველ და რუს სამხედრო თანამდებობის პირებს შორის. რუსი სამხედროები ენდობოდნენ გრიგოლს და ხშირად აჯილდოებდნენ მედლებითა და სიგელებით. გრიგოლი, რომელიც მათი ერთგული მსახური იყო, ყოველთვის ცდილობდა, მათი ნდობა გაემართლებინა. თითოეულ ჯილდოს და დაწინაურებას ის დიდი მოწიწებითიღებდა და მადლობის წერილებს უგზავნიდა რუს ოფიციალურ პირებს და უებნებოდა, რომ ეს იყო მათი გულმოწყალების შედეგი და არა მისი დამსახურებებისა, რომ მისი სიცოცხლე ეკუთვნოდა იმპერატორს.²

აღსანიშნავია, რომ ჯილდოს ფასს ქართველ სამხედროებს ჯამაგირიდან უქვითავდნენ. გრიგოლი მმისადმი გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში წუხს ამაზე: „ჩინისა და ჯვრისათვის ბევრს გამორიცხვენ ჯამაგირიდამ, ესა მკლამს.“³

¹ XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, ტომი VII, გრიგოლ ორბელიანი, ნაწილი VI, რედ.: გიგაშვილი ქ., ნინიძე მ., გამომცემლობა „ჯვეოპრინტი“, თბ., 2017, გვ. 53.

² XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, ტომი IV, გრიგოლ ორბელიანი, ნაწილი III, რედ.: გიგაშვილი ქ., ნინიძე მ., გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2013, გვ. 32.

³ XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, ტომი II, გრიგოლ ორბელიანი, ნაწილი I, რედ.: გიგაშვილი ქ., ნინიძე მ., გამომცემლობა „საარი“, თბ., 2012, გვ. 197.

წერილები გვიჩვენებს, როგორ ხვდებოდა მოსახლეობა მაღალი რანგის რუს ჩინოვნიკებს. 1861 წელს საქართველოში ჩამოვიდა რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე II. გრიგოლი მას შვიდი იყლიმის მფლობელს უწოდებდა. 28 აგვისტოს ის წერილს სწერს თავის ბიძაშვილს, ყაფლან ორბელიანს და სთხოვს დალოცვას: „ხვალ მივდივარ ჭამანს მისაგებებლად კელმწიფის იმპერატორისა, შვიდის იყლიმის მცყრბელისა; დამლოცე ყაფლან, რომ კეთილად დაბოლოვდეს კელმწიფის ხილვა!“¹

იმპერატორთან ვიზიტის შემდეგ გრიგოლი ემოციურ წერილს უგზავნის ალექსანდრე ბარიატინსკის, კავკასიის მეფისნაცვალს, და ამცნობს ვიზიტის დეტალებს. სადილზე მეფეს წარმოუთქვამს: „Здесь мне отдыих и утешеніе.“² ხოლო, როდესაც მას ქართველი თავადაზნაურობის სადღეგრძელო შეუსვამს, გრიგოლი აღმოჩენილა „ადამიანურ ბეჭნიერებაზე მაღლა“.

წერილებიდან ვიგებთ, როგორი სისხლსავსე ყოფილა მე-19 საუკუნის თბილისური ცხოვრება, როგორ ერთობოდა საზოგადოება. ლეონტი ნიკოლას გრიგოლი სწერს: „Обеды, вечера, концерты, балы. Какое изящество, какой блеск и притом какое радушное веселіе на вечерах уК: Александра Ивановича! Никогда Тифлис не был так шумно-весел!“³

¹ XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, ტომი VII, გრიგოლ ორბელიანი, ნაწილი VI, რედ.: გიგაშვილი ქ., ნინიძე მ., გამომცემლობა „ჯვაპრინტი“, თბ., 2017, გვ. 96-97.

² იქვე, გვ. 100.

³ XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, ტომი VI, გრიგოლ ორბელიანი, ნაწილი V, რედ.: გიგაშვილი ქ., ნინიძე მ., გამომცემლობა „საარი“, თბ., 2015, გვ. 54.

თუმცა, ცხადია, უკმაყოფილო დამოკიდებულებებიც არ-სებობდა დამპყრობლის მიმართ ამავე ფენის გარკვეულ ნაწილში და, ზოგადად, საზოგადოებაში. ამისი ერთ-ერთი გამოხატულება იყო 1832 წლის შეთქმულება, რომელიც, სამწუხაროდ, გაიცა. ანტირუსული განწყობები ჩნდებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში: მთიულეთში, გურიაში, იმერეთში, კახეთში.

ეროვნული სულის გამოვლინება აღმინისტრაციულ ორგანოებში ზოგჯერ სისხლიანი დაპირისპირებითაც მთავრდებოდა. ასე მოხდა სვანეთის უკანასკნელი მმართველის, კონსტანტინე დადეშქელიანის, შემთხვევაში, რომელსაც ქვეყნიდან განსახლება ელოდა. მან წინააღმდეგობა გაუწია ადგილობრივ ხელისუფალს, გენერალ ალექსანდრე გაგარინს და მოკლა ის, რის გამოც დახვრიტეს.

გრიგოლი ამ მოვლენის შესახებთავის აზრებს უწიარებს მეგობარს - დიმიტრი ჯორჯაძეს: „აი, ჩემო დემეტრე, სულ ამას ვამბობდი და ვამბობდი, რომ აგრე ერთბაშად, სხარტულად ახალის რჯულის შეტანა და ძველისა დარღვევა, აი რას მოასწავებს? მიდენი დღეგრძელობა მე მქონდეს, რადენი ამგვარი საქმე მოხდეს მენგრელიაშიაცა!“¹

ეს არის ერთი იმ შემთხვევათაგანი, როდესაც გრიგოლი აკრიტიკებს რუსულ კოლონიურ პოლიტიკას საქართველოში. ასეთ შემთხვევად, განხილული წერილების მიხედვით, შეიძლება დასახელდეს აგრეთვე მისი ეჭვი, რომელსაც გამოთქვაშს ანასტასია ბატონიშვილთან: „თქვენ ვინ! მე ვინ და ჩუენი ყოფნა სად?“²

¹ იქვე, გვ. 117.

² XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, ტომი II, ვრიგოლ ორბელიანი, ნაწილი I, რედ.: გიგაშვილი ქ., ნინიძე მ., გამოცემლობა „საარი“, თბ., 2012, გვ. 16.

ამ ემოციურ სიტყვებში ჩანს მთელი ეპოქა - სავსე ეჭ-
ვებით, უამრავი კითხვითა და შიშით. ეს სიტყვები ნებისმიერ
ქართველს შეიძლებოდა ეთქვა იმ დროს.

წერილებში დაცულია ინფორმაცია აღმინისტრაციულ
დაწესებულებებში დამკვიდრებული მაგნე ჩვევების - მექრთა-
მეობისა და ინტრიგის - შესახებ. ასეთი არაჯანსაღი ატმოს-
ფეროს გამო ოლქის უფროსი დაბალი რეპუტაციით სარგებ-
ლობდა. 1851 წელს გენერალ სვიმონ შალიკაშვილს ყარაბა-
ღის ხელმძღვანელობა შესთავაზეს. გრიგოლი მას ასე არი-
გებს: „კინაღამ ყარაბაღში დაგნიშნეს უეზდის ნაჩალიკად
ჩილაევის თხოვნითა. არ ვიცი შენ როგორა ჰეიქრობ ამ საქ-
მეზედ, და მეკი დიდი უარი მოვახსენე მთავარმართებელსა
შენის იქ დანიშვნისათვის და ბოლოს შენზე ხელი აიღეს.
ახლა სწორედ მითხარ, მადრიელი ხარ თუ არა? - ჩემის
ფიქრით შენ უნდა მაღლე პოლკის კამანდერი შეიქმნე და ია-
რო იმ გზაზედ, რომელიცა აღმოგირჩევია სიყრმითგან. - იქ
ქრთამს აიღებ, რეპუტაცია დაგეპარგება სამარადისოდ; არ
აიღებ, გამოგაგდებენ, ვითარცა უსარგებლოსა და უნაყოფო-
სა.“¹

როგორც ჩანს, რუსი თანამდებობის პირები მიჩვეულები
იყვნენ მექართამეობას და სხვებსაც რთავდნენ ამ საქმიანო-
ბაში. ვინც მათ მხარს არ უბამდა, სამსახურიდან ათავისუფ-
ლებდნენ. რუსი ჩინოვნიკების მიერ ასეთი ჩვევების დამკვიდ-
რება რუსული ძალაუფლების ერთ-ერთი სოციალურ გავლე-
ნად უნდა ჩაითვალოს.

ზემოთ ჩვენ შევეხეთ კულტურულ შოკს, რომელიც გა-
მოწვეული იყო ორი ღირებულებათა სისტემის შეჯახებით,

¹ XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემ-
კვიდრება, ტომი IV, გრიგოლ ორბელიანი, ნაწილი III, რედ.: ვიგაშვი-
ლი ქ., ნინიძე მ., გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2013, გვ. 15.

რაც, თავის მხრივ, იწევევდა სოციალურ არეულობებს ანექ-სირებულ ქვეყანაში. იგივე ხდებოდა მხარეში, რომლის ანექ-საციის პროცესიც მიმდინარეობდა გრიგოლ ორბელიანის სი-ცოცხლეში, მისი უშუალო მონაწილეობით.

1847 წელს გრიგოლ ორბელიანი სწერს თავის ძმას ილიას იმ დაბნეულობის შესახებ, რომელიც არსებობდა მთის მოსახლეობაში - „როდემდის უნდა იყოს ეს მხარე ამისთანა მდგომარეობაში, რომ არც ჯარს აქუს მოსვენება და არც ხალხსა, რომელმანცა არ იცის ვინ არის ამათი ბატონი, ჩევნ თუ შამილა.“¹ საინტერესო პასაჟია, რომელიც ნათელ წარ-მოდგენას გვიქმნის ხალხის განწყობის შესახებ. რუსთი ცდილობდა მიემხრო შამილის ერთგული მეგობრები და ის მათ გარეშე დაეტოვებინა, რასაც მიაღწია კიდეც. 1859 წელს გრიგოლი დამარცხებულ შამილს შეხვდა სანკტ-პე-ტერბურგში. ის მას მოუყვა დიდი იმედგაცრუების შესახებ: „მიღალატეს ყოველთა მათ, ვინცა იყუნენ დაახლოებულნი ჩემთან და ვინცა ჩემს მფარველობას ქვეშე და ჩემის მოწყა-ლებით ჰსცეოვრებდენო! იმათვე ამიკლეს სრულებით, ასე რომ ეს თეთრი ჩოხა ბარიატინსკიდ მიწყალობაო.“²

საომარი ოპერაციების დროს ბრძოლის ამორალური მე-თოდები ყოველთვის გამოიყენება, მაგრამ რუსეთის იმპერიის მიერ ეს განსაკუთრებული სისასტიკით ვლინდებოდა. რუსი ბიუროკრატები არ ერიდებოდნენ მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივ გაულეტას და მათ გადასახლებებს, სოფლების აო-

¹ XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკ-ვიდრეობა, ტომი III, გრიგოლ ორბელიანი, ნაწილი II, რედ.: გიგაშვილი ქ., ნინიძე მ., გამომცემლობა „საარი“, თბ., 2012, გვ. 54.

² XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვ-იდრეობა, ტომი VII, გრიგოლ ორბელიანი, ნაწილი VI, რედ.: გიგაშვილი ქ., ნინიძე მ., გამომცემლობა „ჯეოპრინტი“, თბ., 2017, გვ.: 37-38.

ხრებასა და მათ გადაწვას და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კვლევითი პრობლემის კონტექსტში, პროვოკაციების მოწყობას, სიძულვილის, უნდობლობის გაღვივებას ადამიანებს შორის. წერილებში ჩვენ ვხედავთ, როგორი ვერაგული პოლიტიკა ტარდებოდა რუსეთის ხელისუფლების მხრიდან, ანუ, როგორ მუშაობდა ძალაუფლება. ეს ფაქტები სამეცნიერო საზოგადოებისათვის ცნობილი იყო სხვა ისტორიული დოკუმენტებითაც, მაგრამ თვითმხილველის მონათხრობს სულ სხვა დატვირთვა აქვს.

რუსეთის ხელისუფლების მიზანი იყო კავკასიის რუსიფიკაცია, რომლის ერთ-ერთი გამოხატულება იყო ყაზახების გადასახლება რუსეთის ტერიტორიიდან ჩრდილოეთ კავკასიაში. ყაზახები ამას აპროტესტებდნენ და სურდათ დეპუტაციის გაგზავნა პეტერბურგში რუსეთის იმპერატორთან, რათა ეთხოვათ ამ სასჯელისაგან გათავისუფლება. გრიგოლი გენერალ ნიკოლოზ ევდოკიმოვს არიგებს, ყაზახებს პირადად ეახლოს და აუხსნას, რომ მას ესმის მათი გასაჭირი და ყველანაირად ეცდება, ეს პროცესი მომავალ წლამდე გადაავადებინოს, კავკასიის მეფისნაცვლის მოსალოდნელი განრისხების მიუხედავად. ამავე დროს, ევდოკიმოვს ყველაფერი უნდა გაეკეთებინა, რათა თავიდან აეცილებინა დეპუტაციის გამგზავრება მეფესთან დაუნდა ერთია მათვის, ჩასულიყვნენ თბილისში გრიგოლ ორბელიანთან, რომელიც კავკასიის მეფისნაცვლის მოვალეობას ასრულებდა, თუმცა, ყველანაირად უნდა ცდილიყო, რომ მათი მგზავრობა არ შემდგარიყო.¹

1851 წელს გრიგოლ ორბელიანი ზაქათალიდან მიხეილ ვორონცოვს უპატაკებს ჭარის მოსახლეობის ტანაჩიდან გადასახლებისა და სოფლის გადაწვის თაობაზე: „В конце этого месяца совершается мирное переселение Джарцев

¹ იქვე, გვ. 73-74.

из Таначей на прежнее их жительство; Таначи же предадутся огню.¹ რუსული აგრესიული დემოგრაფიული პოლიტიკის შედეგები გამოჩნდა კავკასიის ომის ბოლოს: 1873 წელს ჩრდილო კავკასიის მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდნენ რუსები.²

მიხეილ ვორონცოვისადმი მიწერილ წერილში კი ვკითხულობთ: „Общая польза и слава нашего оружия должны быть впереди всех других расчётов, и в этом отношении, по моему мнению, нет ни Дагестана, ни Чечни; есть только враг и войско Великой Империи, силою которого должен решиться великий, кровавой вопрос о судьбе Кавказа.“³ რუსეთმა ადგილობრივი მოსახლეობის ბეჭი ყველა ანექსირებულ ტერიტორიაზე იარაღის დახმარებით გადაწყვიტა. მაგალითისთვის შეგვიძლია გავიხსენოთ რუსული ქმედებები ჩრდილოეთ და შუა აზიაში. ყაზახების ჯარებმა და იარაღით შეიარაღებულმა სამხედროებმა სასტიკად გაანადგურეს ადგილობრივი მოსახლეობა.⁴

რუსული ძალაუფლება ეყრდნობოდა ადგილობრივ მოსახლეობას და მათი დახმარებით ცდილობდა მთიელთა წინააღმდეგობის დაძლევას. 1851 წელს გრიგოლი მიხეილ ვორონცოვს ზაქათალიდან აცნობებს, რომ თალელ მოხალისებს შეუსრულებიათ უდიდესი საქმე და მოუკლავთ ცნობილი პიროვნება თავის ორ მეგობართან ერთად. მისი მკვლელობა

¹ XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ებისტოლური მემკვდერება, ტომი IV, გრიგოლ ორბელიანი, ნაწილი III, რედ.: გიგამვილიქ, ნინიძე მ., გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2013, გვ. 8.

² Исмаил-Заде, Д.И., 1982. Русское крестьянство в Закавказье (30-ые годы XIX –нач.XX в.), М.

³ იქვე, გვ. 169.

⁴ Кульчицкий, С. П., 2006.Империя и мы:
<http://www.day.kiev.ua/156240/>.

მნიშვნელოვანი იყო იმდენად, რომ ასეთ დაძაბულ დროს თავად ადგილობრივებს გაუკეთებიათ ეს მურთუზალ ნუროვის ლიდერობით: „конечное истребление Качагов, число которых слишком велико здесь, возможно только с помощью самых жителей; в этом случае баталоны принесут не много пользы. Но чтоб восстановить, вооружить жителей против Качагов, необходимо оказать поощрение тем из них, которые силею своего характера, своею храбростью увлекают своих единосельцев против общаговрага – Качагов.“¹

გრიგოლს სწამდა, რომ კავკასიის მთანეთის დამორჩილება რუსეთის მხრიდან სასარგებლო იყო თავად მთიელებისთვის და მოსახლეობის ნაწილს, რომელიც წინააღმდევობას უწევდა რუსეთის არმიას, არ ესმოდა განვითარებისა და რუსეთის მფარველობაში შესვლის სიკეთე. ის ადამიანები კი, რომლებიც თავიანთ თანასოფლელებს აპეზლებდნენ, კლავდნენ, სჯილნენ, მის მიერ მიიჩნეოდნენ მამაცებად და პროგრესულებად.

ამდენად, გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლური მემკვიდრეობა ადასტურებს, რომ დამპყრობლის ძალაუფლების სოციალური გავლენა ორივე შემთხვევაში - საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიისა - გარკვეულწილად ერთნაირი იყო და ის გამოიხატებოდა ცვლილებათა მთელ სპექტრში, რომელიც მოიცავდა მთელ სოციალურ სფეროს.

რუსიფიკატორულ პოლიტიკას, რომელიც მიზანმიმართულად და გეგმაზომიერად ხორციელდებოდა, მოჰყვა ღირებულებების გადაფასების პროცესი: ეროვნული ღირებულებები შეიცვალა იმპერიულით, სოციალური ნორმები, ტრადიციები

¹ XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერლთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, ტომი IV, გრიგოლ ორბელიანი, ნაწილი III, რედ.: გიგაშვილი ქ., ნინიძე მ., გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2013, გვ. 9.

და ინდივიდუალური ქცევები დაექვემდებარა ახალ წესებს, რომელიც შეთავაზებული იყო ძალაუფლების მიერ. მისი გავლენით შეიცვალა პრიორიტეტები: სამხედრო სამსახური რუსეთის იმპერიის დროშის ქვეშ გახდა უკიდურესად მიმზიდველი, სამხედრო ჯილდოვები - სასურველი. ქართველი თავადაზნაურობის დიდი ნაწილი, რომელსაც გამოეცალა პოლიტიკური საყრდენი - სახელმწიფოებრივი მოწყობის მონარქიული რეჟიმი, შეეგუა ახალ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას და ცხოვრების პირობებს სამხედრო კარიერის გზით - მან არჩია, მონაწილეობა მიეღო ომებში, ვიდრე საგაჭრო ურთიერთობებში.

რუსეთის იმპერიის მესვეურები ხალხის დასამორჩილებლად იყენებდნენ საერთო სტრატეგიას საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიაში: ისინი ცდილობდნენ მოქებნათ დასაყრდენი ადგილობრივ მოსახლეობაში და მათი დახმარებით ემოქმედათ ხალხზე: უმრავლეს შემთხვევაში, საქართველოში ამ მიზნით იყენებდნენ თავადაზნაურობას, ხოლო ჩრდილოეთ კავკასიაში - მუსლიმთა თეოლოგიურ ლიდერებს, აგრეთვე უბრალო ხალხს. ამდენად, თანდათანობით, ისინი ნერგავდნენ ხალხში ისეთ მავნე ჩვევებს, როგორიც იყო ლალატი, ერთმანეთის გაცემა, დაბეზღვება და ა.შ. ისინი ახორციელებდნენ წამახალისებელ პოლიტიკას, რაც გულისხმობდა დაწინაურებას, დაჯილდოებას, ფინანსურ დახმარებას.

რუსული ძალაუფლების სოციალურ გავლენად შეიძლება ჩაითვალოს ისეთი ჩვევების დამკვიდრება სახელმწიფო სტრუქტურებში, როგორიც არის მექართამეობა და ინტრიგა.

დამოწმებანი:

1. XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, ტომი II, გრიგოლ ორბელიანი, ნაწილი I,

- რედ.: გიგაშვილი ქ., ნინიძე მ., გამომცემლობა „საარი“, თბ., 2012.
2. XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, ტომი III, გრიგოლ ორბელიანი, ნაწილი II, რედ.: გიგაშვილი ქ., ნინიძე მ., გამომცემლობა „საარი“, თბ., 2012.
3. XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, ტომი IV, გრიგოლ ორბელიანი, ნაწილი III, რედ.: გიგაშვილი ქ., ნინიძე მ., გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2013.
4. XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, ტომი VI, გრიგოლ ორბელიანი, ნაწილი V, რედ.: გიგაშვილი ქ., ნინიძე მ., გამომცემლობა „საარი“, თბ., 2015.
5. XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, ტომი VII, გრიგოლ ორბელიანი, ნაწილი VI, რედ.: გიგაშვილი ქ., ნინიძე მ., გამომცემლობა „ჯეოპრინცი“, თბ., 2017.
6. Barna, L. M., 2009. *How Culture Shock Affects Communication*, *Communication* 5.1 (n. d.): pp. 1-18.
7. Correspondence, 2014. pp. 31-56:
<http://www.thewanderlanders.com/the-four-stages-of-adjusting-to-a-new-culture/>
8. Gotsiridze, G. and Gigashvili, K., 2017. *The Essential Characteristics of the Colonization Policy of the Russian Empire in Caucasus in accordance with Grigol Orbeliani's Epistolary Legacy*, 4th International Multidisciplinary Scientific Conference on Social Sciences and Arts SGEM2017, Book 2, Vol 2, Bulgaria, Albena, 22-31 August, pp. 339-346.
9. Исаил-Заде, Д.И., 1982. *Русское крестьянство в Закавказье (30-ые годы XIX – нач.XX в.)*, М.

10. Кульчицкий, С. П., 2006. *Империя и мы:* <http://www.day.kiev.ua/156240/>.
11. Macionis, J. and Linda, G., 2010. *Chapter 3 – Culture, Sociology. 7th edition ed.* Toronto, on: Pearson Canada Inc., 54.
12. Mavrides, G., 2009. *Culture Shock and Clinical Depression. Foreign Teachers Guide to Living and Working in China.* Middle Kingdom Life, 29 Sept.
13. Pedersen, P., 1995. *The Five Stages of Culture Shock: Critical Incidents Around the World. Contributions in psychology*, no. 25. Westport, Conn: Greenwood Press.
14. Tamošiūnaitė, A., 2014. *Letter Writing as a Social Practice: Self-reference to Writing in Lithuanian Correspondence, Lithuanian quarterly journal of arts and sciences, volume 60, No.3.* pp. 31-56.
15. Winkelman, M., 1994. *Cultural Shock and Adaptation. Journal of Counseling & Development.* 73 (2):pp. 121–126.

Ketevan Gigashvili, George Gotsiridze

Iakob Gogebashvili Telavi State University

**CONTEXT OF INTERRELATION OF POWER AND
SOCIETY ACCORDING TO GRIGOL ORBELIANI'S
LETTERS
RESUME**

The main goal of the presented work is revealing the nature of Russian power's impact on the social sphere, taking place in the 19th century Caucasus according to the letters of the Georgian poet and public figure, general of the Russian army – Grigol Orbeliani. He lived and worked in a

qualitatively quite different time of Georgian history – in the 19th century, at the dawn of which, by the manifest of Russian Emperor, the Georgian statehood was abolished, the country lost national independence, and Tsarist Russia subverted the Royal family's supremacy.

Grigol Orbeliani's epistolary legacy, consisting of more than 800 letters, provides additional evidence about how the forms of arrangement of social institutions, an organization of the society (the system of the social relationships between persons), common customs, traditions and individual behavior change by the impact of invader's power.

Besides, the personal letters contain the invaluable information about what happens in an already annexed country (the case of Georgia) and in the land, the annexation process of which is being carried out just in the author's time (the case of the North Caucasus). The picture of these two cases gives a lot of information about which kind of imperial methods were used by Tsarist Russia and how they effected on social life.

გიორგი გოცირიძე
იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**XIX–XX საუკუნეების ქართველ მეცნიერ-ისტორიკოსთა
პირადი წერილების მეცნიერული შესწავლის
მნიშვნელობისათვის**

ისტორიკოსთა ეპისტოლური მემკვიდრეობის შესწავლას გარკვეული ტრადიციები აქვს როგორც ევროპაში, ასევე საქართველოში. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა პირადი წერილების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით,¹ მემკვიდრეებთან შეთანხმებით გამოქვეყნებულია არაერთი ისტორიკოსის როგორც საქმიანი, ასევე ფამილარული ხასიათის ბარათებიც². რუსეთში დაბეჭდილია ვ. ნ. ტატიშვილის, ნ. მ. კარამზინისა და სხვათა პირადი წერილები.

საბჭოთა ისტორიოგრაფია დიდ ყურადღებას უთმობდა ქართველ ისტორიკოს მეცნიერ-მკვლევართა ეპისტოლური მემკვიდრეობის გამოვლენასა და შესწავლას. შეიძლება დაგვასა-

¹ Henry Bartholomew Cox, *Private Letters and the Public Domain*, Oxon Hill, Maryland, 1965.

² The Life and Letters of John Collingwood Bruce of Newcastle-upon-Tyne', by Gainsford Bruce, John Collingwood Bruce, 1905; 'John Mitchell Kemble and Jakob Grimm : a correspondence 1832-1852. / Unpublished letters of Kemble and translated answers of Grimm', Collected, ed. and translated [from the German] by Raymond A. Wiley, 1971).

ხელოთ ელ. მეტრეველის, ნ. ჯავახიშვილის, ლ. ნანიტაშვილისა და სხვათა პუბლიკაცები¹.

ინტერესი ქართველ ისტორიკოსთა ეპისტოლური მემკვიდრეობის გამოვლენისა და გაანალიზებისადმი დღემდე არ განელებულა. თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში არაერთი საინტერესო ნაშრომი გამოქვეყნდა პირად წერილებზე დაყრდნობით, დღის სინათლე იხილეს პირადი ხასიათის ისეთმა წერილებმა, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების დროს უბრალოდ ვერ გამოქვეყნდებოდა მათი ობიექტურობისა და ეროვნული სულისკეთების გამო. გამოცემულია: „ნიკო მარისა და ივანე ჯავახიშვილის მიმოწერა“ (თბ., 1991), ე. ხოშტარია-ბროსეს „წარსულის ფურცლები: პირადი მიმოწერა“ (თბ., 1996), ე. ჩაგელიშვილის „დავით ბატონიშვილის ბიოგრაფიისა და იმდროინდელი პოლიტიკური სიტუაციის ზოგიერთი მომენტი დავითის ეპისტოლარული მემკვიდრეობის მიხედვით, (მრავალთავი, 1999, №18, გვ. 487-497), ა. სონღულაშვილის „ექვთიმე თაყაიშვილისა და იროდიონ ევდოშვილის ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან, ისტორია და თანამედროვეობა“ (თბ., 2016, გვ. 33-40), გ. საითიძის „პლატონ იოსელიანი - რედაქტორი, პუბლიცისტი (დაბადების 200 წლის გამო)“ (ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები / ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბ., 2010, 1512-3154 №1 (7), გვ. 13-34);

¹ ელ. მეტრეველი, ნიკო მარისა და ექვთიმე თაყაიშვილის მიმოწერიდან (1888-1931 წლები), საქ. მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი, გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთეს რ. კავილაძემ და მ. მამაცაშვილმა, თბ., მეცნიერება, 1991; ნ. ჯავახიშვილი, ივანე ჯავახიშვილის ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან, თბ., 1975; ლ. ნანიტაშვილი, მოსე ჯანაშვილის ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან, თბ., 1982; ნ. თარხნიშვილი, რამდენიმე წერილი მიხეილ თამარაშვილის ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან, თბ., 1979.

2002 წელს გამოიცა ე. ხოშტარია-ბროსეს შესანიშნავი ნაშრომი „მარი ბროსე და ქართველი საზოგადოებრიობა: ეპისტოლარული მემკვიდრეობის მიხედვით“, რომელიც თვალნათლივ ადასტურებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ისტორიკოსის პირადი წერილები ეპოქის, საზოგადოებაში მიმღინარე სოციალური და პოლიტიკური პროცესების მრავალმხრივი გააზრებისა და შეფასებისათვის.

როგორც ლიტერატურის მიმოხილვიდან ჩანს, ქართველი ისტორიკოსთა პირადი წერილები მცირე მოცულობით არის გამოცემული, რომელთა დიდი ნაწილი გაფანტულია სხვადასხვა გამოცემაში და ძნელად ხელმისწვდომია დაინტერესებულ პირთათვის. მათ უმეტესობას არა აქვს დართული სათანადო სამეცნიერო აპარატი, რაც ართულებს ტექსტის, როგორც საისტორიო წყაროს, გამოყენებას და აუცილებელს ხდის მათ თავმოყრას ერთ აკადემიურ გამოცემაში მრავალტომეულის სახით.

როგორც წესი, პირადი წერილები ინახებოდა პირად საოჯახო არქივებში, რის გამოც ისინი ხშირად ნადგურდებოდა, იყარებოდა, ან ხდებოდა მათი სხვა პირებისათვის გადაცემა. უაღრესად მნიშვნელოვანია გადარჩენილი წერილების მოძიება, თავმოყრა და შესწავლა.

ქართველი ისტორიკოსთა ეპისტოლური მემკვიდრეობის ერთ გამოცემაში თავმოყრას წმინდა წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან საკითხისადმი კომპლექსური მიღეობა უფრო მეტად იძლევა ქართული ისტორიული აზროვნების განვითარების პროცესის სრულყოფილად გააზრების საშუალებას, ვიდრე ცალკეულ ისტორიკოსთა პირადი წერილების, ან მიმოწერის გამოქვეყნება. ეპისტოლური ტრადიციის განვითარებასთან ერთად, შესაძლებლობა გვეძლევა, თვალი მივადევნოთ ქართულ სამეც-

ნიერო წრეებში არსებულ პირად ურთიერთობებს და შევაფასოთ მათი როლი ქართული კულტურის განვითარებაში. მით უფრო, რომ თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების პირობებში ეპისტოლური უანრი თანდათანობით გაქრა.

ქართული ისტორიოგრაფიის, კულტურის ისტორიის განვითარების პროცესების გააზრებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პლატონ იოსელიანის (1809-1875), დიმიტრი ბაქრაძის (1826-1890), ზაქარია ჭიჭინაძის (1853-1931), თედო ჟორდანიას (1854-1916), მოსე ჯანაშვილის (1855-1934), მიხეილ თამარაშვილის (1858-1911), ექვთიმე თაყაიშვილის (1863-1953), თედო სახოკიას (1868-1956), ივანე ჯავახიშვილის (1876-1940), სარგის კაკაბაძისა (1886-1967) და სხვა-თა ეპისტოლური მემკვიდრეობის გამომზეურება და გამოქვეყნება. მათ პირად მიმოწერებში ასახულია არა მარტო საქართველოში მიმდინარე ისტორიულ-კულტურული მოვლენები, არამედ მეზობელი ქვეყნების საზოგადოებრივი ცხოვრება, ამ ქვეყნებში ქართველთა საქმიანობა და ა.შ. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ივანე ჯავახიშვილის მიმოწერა არჩილ ჯორჯაძესთან, კიზა აბაშიძესთან, ნიკო მართან და სხვა გამოჩენილ მეცნიერებთან და მოღვაწეებთან.

საკვლევი წერილების მნიშვნელოვანი ნაწილი დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრსა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ არქივში, შედარებით მცირე ნაწილი - პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, ქართული ლიტერატურის მუზეუმში, ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმსა და პირად არქივებში.

XIX-XX საუკუნეების ქართველ მეცნიერ-ისტორიკოსთა პირადი წერილების მეცნიერული შესწავლისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია წერილების დაბეჭდვა როგორც ავტოგრაფების, ასევე სხვადასხვა პირის მიერ შესრულებული ხელნაწერი.

რების, ან ნაბეჭდი ტექსტების მიხედვით. ავტორის წერის სტილის, იდეური მრწამსის, შეხედულებების გამოწვლილვითი ანალიზი მეცნიერს საშუალებას აძლევს, გაარკვიოს ზელმოუწერელი და ბოლონაკლული წერილების ავტორთა ვინაობა. ადრესატთა ვინაობის გარკვევის დროს გაცილებით მარტივადაა საქმე მაშინ, როდესაც წერილები იწყება ადრესატისადმი მიმართვით, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც წერილს აკლია, ან არა აქვს არავითარი მიმართვა, ან იგი ზოგადი ხასიათისაა. ასეთ შემთხვევაში ვხელმძღვანელობთ არა მარტო წერილის შინაარსით, არამედ ავტორის დროინდელი საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების, მისი ბიოგრაფიული და შემოქმედებითი დეტალების ცოდნით. ამასთან, ვსწავლობთ სავარაუდო ადრესატისადმი გაგზავნილ არა მხოლოდ სხვა წერილებს, არამედ წერილებს სხვა პირისადმი. ადრესატის ზუსტი ვინაობის გარკვევას ისტორიული პერიპეტიების გათვალისწინებით, აგრეთვე სხვა წერილებში დასახელებული ფაქტების ერთმანეთთან შეჯერებით ვახდენთ.

ეპისტოლური მასალის შეგროვების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ხელმოუწერელ და ბოლონაკლულ წერილებს. მათი ავტორის ვინაობის დადგენა სპეციალურ კვლევით მუშაობას მოითხოვს, კერძოდ, ხელმოუწერელი და ბოლონაკლული წერილების შესწავლა ხდება სტილისტურად და ორთოგრაფიულად. იმ შემთხვევაში, როცა წერილის ავტორის ვინაობა წერილის შინაარსის მიხედვით უნდა დადგინდეს, საჭიროა ავტორის პირადი ცხოვრების, მისი ადრესატთან დამოკიდებულების, წერილში მოცემული ფაქტებისა და მოვლენების სხვა წერილებთან და ავტორის მთელ შემოქმედებასთან მიმართებაში შესწავლა. წერილების სტილისტური და ორთოგრაფიული ხასიათის კვლევა ტარ-

დება როგორც ბოლონაკლული და ხელმოუწერელი წერილების შესასწავლად, ისე კრიტიკული ტექსტის დასადგენად.

ავტორის ახლობელთა თუ ნაცნობთა წრის უკეთ გაცნობა გვაჩვენებს, თუ რითი საზრდოობდა ის, ვისთან გრძნობდა უკეთ თავს, ვისთან საუბრობდა გულწრფელად პირადულ თუ საზოგადოებრივი ყოფის აქტუალურ საკითხებზე. ქართველ მეცნიერ-ისტორიკოსთა წერილებში, პრაქტიკულად, წარმოდგენილია XIX-XX საუკუნეების ქართველ ინტელექტუალთა ელიტა, საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, კულტურულ და საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული რუსეთის იმპერიის არაერთი მაღალი თუ დაბალი ჩინის მოხელე, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე.

წერილების დათარიღება წინაპირობაა ეპისტოლური მემკვიდრეობის ქრონილოგიური დალაგებისათვის. მეცნიერის მხრიდან სპეციალურ კვლევას მოითხოვს როგორც უთარილო, ან ნაკლულთარიღიანი წერილები, ისე ავტორის მიერ სრულად დათარიღებული წერილიც კი. იმისათვის, რომ კვლევა შედეგიანი იყოს, საკმარისია არა მხოლოდ წერილში წარმოდგენილი ყველა ფაქტის საფუძვლიანი გამოკვლევა, არამედ ავტორის მთელი შემოქმედების, მისი არქივის, მის ირგვლივ არსებული მოგონებების, იმდროინდელი პერიოდული გამოცემებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ-კულტურული ვითარების შესწავლა.

წერილებზე მუშაობისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია კომენტარებისა და სამიებლების მომზადება. კომენტარებში, ძირითადად, ტექსტური მასალის (ფრაზების, საინტერესო ინფორმაციის) ახსნა-განმარტება შედის, ხოლო სამიებლებში - ტექსტში დასახელებული პიროვნებებისა და გეოგრაფიულ სახელთა ანოტაციები და სხვ. დასახული ამოცანის შესრულებაში გვეხმარება როგორც ავტორის არქივის, მის

შესახებ არსებული მოგონებების, იმდროინდელი პერიოდული გამოცემებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ-კულტურული ვითარების შესწავლა, ასევე ახალი ინტერნეტ-მასალების მოძიება.

ელექტრონული ბაზები ძალიან მდიდარია XIX საუკუნის ისტორიული მასალებით. თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები გვეხმარება საჭირო მასალის მოძიებაში როგორც ქართველ წერალთა, ისე ისტორიკოსთა წერილების დამუშავების დროს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ელექტრონულ სისტემაში ახალი ტექსტური კორპუსებისა და ცნობარების ატვირთვით უწყვეტად მდიდრდება საინფორმაციო ბაზები.

XIX–XX საუკუნეების ქართველ მეცნიერ-ისტორიკოსთა პირადი წერილების მეცნიერული შესწავლისათვის აუცილებელი პირობაა პასპორტების მომზადება. თითოეულ ტექსტს ერთვის სამეცნიერო პასპორტი, სადაც მითითებულია, თუ სად და რა ნომრით ინახება ტექსტი, არის თუ არა ავტოგრაფი, არის თუ არა ხელმოწერილი, აქვს თუ არა თარიღი, როგორია აღრესატისადმი მიმართვის ფორმა. აქვე ერთვის ავტოგრაფისა თუ ხელნაწერის აღწერილობა და ინფორმაცია პირველი პუბლიკაციის შესახებ.

მნიშვნელოვანია წერილების განლაგება. ეპისტოლურ მექანიდრობაში, ისევე როგორც მხატვრულ შემოქმედებაში, აისახება ავტორის იდეური ზრდა, ამიტომ მართებულია ეპისტოლური მასალის განლაგება ქრონოლოგიურად. თუმცა აქვე შევნიშნავთ, რომ არსებოს ეპისტოლური მასალის გამოქვეყნების თემატური წესიც.

შესაძლებელია, პირად წერილებში რომელიმე ისტორიული ფაქტი დამახიჯებულად იყოს გაშუქებული. ამ შემთხვევაში ტექსტი რჩება უცვლელი, ხოლო კომენტარში სათა-

ნადო არგუმენტების მიზედვით მიეთითება აღნიშნული ფაქტის მცდარობაზე.

ამდენად, სამეცნიერო აპარატი წარმოდგენილია პასპორტებით, შენიშვნებით, კომენტარებით, პირთა და გეოგრაფიულ სახელთა ანოტირებული საძიებლებით, ლექსიკონითა და ლინგვისტური მიმოხილვით. სამეცნიერო აპარატი მოიცავს რამდენიმე რუბრიკას. ესენია: 1. „ავტოგრაფი“: აქ ვიგებთ, რა სახითაა წერილი ჩვენამდე მოღწეული - ავტოგრაფით, მისი ასლით, თუ ნაბეჭდი ვერსიით; სად და რა ნომრით ინახება; 2. „თარიღი და ადგილი“: აქ მოცემულია ავტორის მიერ მითითებული თარიღი და წერილის გამოგზავნის ადგილი. ავტორის მიერ წერილის დაუთარიღებლობის შემთხვევაში, სამეცნიერო აპარატს არ ახლავს მოცემული რუბრიკა; 3. „ხელმოწერა“: რუბრიკა შეიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, წერილი ხელმოწერილია თუ არა. თუ წერილი ხელმოუწერელია, რუბრიკა „ხელმოწერა“ პასპორტს არ ერთვის; „ადრესატისადმი მიმართვის ფორმა“: აქ მკითხველი ეცნობა ავტორის ადრესატისადმი დამოკიდებულებას, როგორ მიმართავს მას, რას უწოდებს და ა. შ. „ადრესატის მისამართი“: აქ მოცემულია ადრესატის ადგილსამყოფელი. რუბრიკა წერილის პასპორტში იმ შემთხვევაშია წარმოდგენილი, თუ მისამართი ავტორის მიერ არის დასახელებული, ხოლო, თუ მისამართს კვლევის შედეგად ვადგენთ, მაშინ რუბრიკა პასპორტის გარეთ გაგვაქვს; „ავტოგრაფის აღწერილობა“: რუბრიკა გვაწვდის ცნობას იმის შესახებ, თუ რა სახის, ზომისა და ფერის ქაღალდზეა ბარათი დაწერილი, დაზიანებულია თუ არა ხელნაწერი, არის თუ არა გადახაზული ადგილები და ა. შ., ანუ, როგორია ტექსტის დღევანდელი მდგომარეობა; რუბრიკაში „შენიშვნები“ კალმისმიერი შეცდომები და ტექსტის ენობრივი ლაფსუსებია აღნუსხული; რუბრიკიდან „პირველი

პუბლიკაცია“ - ვიგებთ, პირველად რომელ გამომცემლობაში და როდის დაბეჭდა წერილი, გამოცემის რომელ გვერდებზეა იგი განთავსებული და ა.შ. რუბრიკაში „დათარიღება“, ფაქტების ანალიზის საფუძველზე, მოცემულია წერილის და-წერის სავარაუდო თარიღი და დასაბუთებულია მისი საფუძველი.

ასეთი სახით შედგენილი ქართველ მეცნიერ-ისტორიკოსთა ეპისტოლური მემკვიდრეობა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქართული ისტორიოგრაფიის შემდგომ განვითარებას. ის საშუალებას იძლევა, უფრო ღრმად ჩავწევდეთ როგორც ეპოქის თავისებურებებს, ასევე იმ გამოწვევებს, რომლის წინაშეც იდგა თითოეული მეცნიერ-ისტორიკოსი და ქვეყნა. ამასთან, საშუალება გვეძლევა, თვალი მივაღებით ისტორიული აზროვნების განვითარების რთულ პროცესს, ცალკეული ისტორიკოსის სამეცნიერო საქმიანობასა თუ პირად ცხოვრებას. ამ მხრივ ჩვენ მიერ დასახელებული ყველა ისტორიკოსის წერილები მნიშვნელოვანია, მაგრამ მაგალითოსთვის რამდენიმე მათგანს დავიმოწმებთ, რომლებიც აქტუალობას არც დღეს კარგავს.

ივანე ჯავახიშვილის პირადმა წერილებმა, სხვა მრავალ მნიშვნელოვან მოვლენასთან ერთად, შემოგვინახა ტოტალიტარული სისტემის ამსახველი არაერთი ფაქტი. სიმონ ჯანაშიასა და ვარლამ თოფურიასადმი მიწერილ წერილებში კარგად ჩანს, თუ რა რთულ სამეცნიერო მოღვაწეობას ეწეოდა ივანე ჯავახიშვილი და რამდენად მძიმედ მოქმედებდა მასზე დატრიალებული ამბები. მისი პირადი წერილები ნათელ წარმოდგენას გვიქმნის, როგორც ზოგადად ქვეყანაში არსებულ ტოტალიტარულ რეჟიმზე, ისე მისდამი ტოტალიტარული რეჟიმის დამოკიდებულებაზე, რაც „სისტემისა და მეცნიერის“ ურთიერთობას ასახავს.

ტოტალიტარიზმის მარწუხებში მოქცეული ივანე ჯავა-
ხიშვილის მძიმე სულიერ და ფიზიკურ მდგომარეობას საუკე-
თესოდ გადმოგვცემს ვარლამ თოფურიასადმი მიწერილი წე-
რილი, რომელიც 1936 წლის 7 მაისით არის დათარიღებუ-
ლი: „ავად ვიყავი და ორიოდე დღეა, რაც ავდექი. ეხლაც ძა-
ლიან სუსტად ვგრძნობ თავს და მუშაობა, წერაც მიძნელდე-
ბა. როგორც მოსალოდნელი იყო, ამ დაუსრულებელი მღელ-
ვარებისაგან (წლეულს სწორედ ათი წელიწადი შესრულდა,
რაც რექტორობას თავი დავანებე და ეს დაუნდობელი ბრძო-
ლა სწარმოებს) გულის ავადმყოფობის უძლიერესი შემოტევა
მქონდა საშინელი თავბრუსხვევით და სისუსტით. ამჟამად კი
გადავურჩი სიკვდილს, მაგრამ თუ კიდევ გამიმეორდა, საეჭ-
ვოა, რომ მისი ატანა შევძლო.“

არანაკლებ მნიშვნელოვანია 1937 წლის 23 იანვრით
დათარიღებული წერილი, რომელშიც ივანე ჯავახიშვილი თა-
ვის ემოციებს უზიარებს ვარლამ თოფურიას: „ვერ წარმო-
ვიდგენდი, თუ რომ ადამიანის უანგარო მოღვაწეობის ასე
ურცხვად წაბილწვა შესაძლებელი იყო. ადვილად წარმოიდ-
გენთ, თუ რა გუნებაზე უნდა იყოს ადამიანი, რომელსაც 39
წლის განმავლობაში სამეცნიერო მოღვაწეობის შემდგომ თა-
ვის ნამუშევრის ასეთს დახასიათებას წაიკითხავს, ამასთანავე
იმ დაწესებულების სათავეში მოქცეულ პირისაგან, რომლის
შექმნას მოელი თავისი ძალლონე და ჯანმრთელობა შეალია!..
მაშინვე განცხადება შევიტანე, რომ უნივერსიტეტში ლექციე-
ბის კითხვას მომავალ სემესტრში (თავს) ვანებებ მენელებო-
და ამაზე მოწერა, მაგრამ სულ არაფრის თქმაც არ შემეძ-
ლო. ეხლაც ჩემს თავს ძლივს დაგატანე ძალა, რომ ამაზე
სიტყვა ჩამომევდო. მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენთვის გასა-
გები გახდეს ჩემი დუმილი, ამან მომაწერინა, თორემ აქაც
ამაზე არავისთან საუბარი არა მაქვს და ჩუმად ჩემს გულში

ვიკლავ ჩემი მოღვაწეობის ამ საზიზლარი გაწილების მცდელობას.“¹

ქრონოლოგიურად, ამავე პერიოდს მიეკუთვნება მოვლენები, რომელიც გადმოცემულია ქართული საქმის დიდი მოამაგის, ზაქარია ჭიჭინაძის 1928 წლის 31 იანვრით დათარიღებულ ბარათში დომინიკა ერისთავისადმი, სადაც გულგატენილი ავტორი თავის დროს აკრიტიკებს და მას „გათახსირებულს“ უწოდებს.²

პლატონ იოსელიანის მიერ მარი ბროსესადმი 1847 წლის 14 მარტს მიწერილ წერილში ჩანს რუსეთის საიმპერატორო აკადემიის სახე, რომელიც გადაწყვეტილებებს იღებდა უსამართლოდ, მიკერძოებითა და არაობიექტურად. აკადემიას პრემია არ მიუცია მარი ბროსესათვის, რაზეც უკმაყოფილებას გამოთქვამს პლატონ იოსელიანი და ცდილობს დაამშვიდოს ადრესატი: „აკადემიისაგან უკეთესი არა გამოვიდოდა რა. ჩუენში თქმულა: კარგი რამ სთქუას, გიკვირდეს, ავი რა საკვირველია!“³ როგორც წერილებიდან ჩანს, ასეთი ვითარება ნაცნობი ყოფილა მისთვისაც - ადამიანისთვის, რომელიც არც ფულს ზოგავდა, არც შრომას და ჯანმრთელობას სიძველეთა მოძიებისა და მათზე ზრუნვისათვის⁴, რადგან

¹ ხოშტარია-ბროსე, წარსულის ფურცლები:პირადი მიმოწერა, თბ., 1996: 42-43.

² გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმი №26741-10

³ პლატონ იოსელიანის წერილები აკად. მარი ბროსესადმი, ბათუმის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, N1, ბათუმი, 1941, გვ. 149-201, წერილი №38.

⁴ პლატონ იოსელიანის წერილები აკად. მარი ბროსესადმი, ბათუმის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, N1, ბათუმი, 1941, გვ. 149-201, წერილი №10.

კარგად იცოდა, რომ „უგუჯრებოდ ისტორიისა ქმნა და კრიტიკისა პოვნა სრულიად შეუძლებელია.“¹

ამდენად, XIX–XX საუკუნეების ქართველ მეცნიერ-ისტორიკოსთა პირადი წერილების მეცნიერულ შესწავლასა და აკადემიურ გამოცემას ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს. პირადი წერილები წარმოადგენს ღირებულ ისტორიულ წყაროს, რომელთა მრავალმხრივი ანალიზი გვაწვდის საინტერესო ცნობებს როგორც პირადად ავტორების, ასევე ეპოქის, საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ასპექტის შესახებ. ისინი არამარტო მნიშვნელოვანი კულტურული საგანძურია, არამედ საქართველოს ისტორიის კვლევისთვის ფასდაუდებელი დოკუმენტები.

დამოწმებანი:

1. გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმი, N26741-10.
2. 6. თარხნიშვილი, რამდენიმე წერილი მიხეილ თამარაშვილის ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან, თბ., 1979.
3. ელ. მეტრეველი, ნიკო მარისა და ექვთიმე თაყაიშვილის მიმოწერიდან (1888-1931 წლები), საქ. მეცნ. აკადემიის ზელნაწერთა ინსტიტუტი, გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთეს რ. კავილაძემ და მ. მამაცაშვილმა. თბ., მეცნიერება, 1991.
4. ლ. ნანიტაშვილი, მოსე ჯანაშვილის ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან, თბ., 1982.
5. პლატონ იოსელიანის წერილები აკად. მარი ბროსესადმი, ბათუმის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, N1, ბათუმი, 1941, გვ. 149-201, წერილი №12.

¹ პლატონ იოსელიანის წერილები აკად. მარი ბროსესადმი, ბათუმის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, N1, ბათუმი, 1941, გვ. 149-201, წერილი №12.

ნიერო შრომების კრებული, N1, ბათუმი, 1941, გვ. 149-201, წერილები, N N10, 12, 38.

6. გ. საითიძე, პლატონ იოსელიანი - რედაქტორი, პუბლიცისტი: დაბადების 200 წლის გამო, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები / ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბ., 2010, 1512-3154 №1 (7), გვ. 13-34.

7. ა. სონღულაშვილი, ექვთიმე თავაიშვილისა და იროდიონ ევდოშვილის ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან, ისტორია და თანამედროვეობა, თბ., 2016, გვ. 33-40.

8. ე. ჩაგლიშვილი, დავით ბატონიშვილის ბიოგრაფიისა და იმდროინდელი პოლიტიკური სიტუაციის ზოგიერთი მომენტი დავითის ეპისტოლური მემკვიდრეობის მიხედვით, მრავალთავი, 1999, №18, გვ. 487-497;

9. ე. ხოშტარია-ბროსე, წარსულის ფურცლები: პირადი მიმწერა, თბ., 1996.

10. ე. ხოშტარია-ბროსე, მარი ბროსე და ქართველი საზოგადოებრიობა: ეპისტოლარული მემკვიდრეობის მიხედვით, თბ., 2002.

11. 6. ჯავახიშვილი, ივანე ჯავახიშვილის ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან, თბ., 1975.

12. Henry Bartholomew Cox, Private Letters and the Public Domain, Oxon Hill, Maryland, 1965.

13. The Life and Letters of John Collingwood Bruce of Newcastle-upon-Tyne', by Gainsford Bruce, John Collingwood Bruce, 1905.

14. John Mitchell Kemble and Jakob Grimm : a correspondence 1832-1852. / Unpublished letters of Kemble and translated answers of Grimm', Collected, ed. and translated [from the German] by Raymond A. Wiley, 1971.

George Gotsiridze

Iakob Gogebashvili Telavi State University

**ON IMPORTANCE OF THE SCIENTIFIC STUDY OF
THE 19TH-20TH CC.**

**GEORGIAN SCIENTIST-HISTORIAN'S EPISTOLARY
LEGACY
RESUME**

The article highlights the importance of the scientific study and scholarly edition of the 19th-20th cc. Georgian scientist-historians' epistolary legacy, emphasizes that the private letters present the worth historic source providing us interesting evidence about the authors themselves and the different aspects of the development of the epoch and society. They are considered to be not only the important cultural treasure but the invaluable documents for studying the history of Georgia. The importance of investigation of the letters is conditioned by that they make us aware of the Georgian intellectual elite, many of Russian high or ordinal officials, scientists or public figures connected with the social-political, cultural and educational life of Georgia. The article introduces the principles of scholarly edition which will facilitate the readers the use of the volumes.

მარიამ მარჯანიშვილი
ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი

**უნივერსიტეტის იუბილე ჟურნალ „კავკასიონის“
ფურცლებზე**

გასული საუკუნის დასაწყისი ქართველი ერის ცხოვრებაში მშფოთვარე გახდა მას შემდეგ, როცა წიწამურთან, მხეცურად მოკლეს ახალი საქართველოს კულტურისა და პოლიტიკის ფუძემდებელი ილია ჭავჭავაძე.

ამ სამარცხვინო ფაქტით ქართველი კაცის ასწლოვანი ოცნება – რუსეთის სივრციდან სამშობლოს გამოხსნის შესახებ – თითქოს წამიერად დასამარდა. გავიდა სულ რაღაც ათიოდე წელი და ილიას მკვლელობის განცდა მაღლე განახლების ძლიერ იმპულსად გადაიქცა, რომელმაც შეცვალა და გამოაფხიზლა იმდროინდელი საზოგადოება. ერთ ბირთვად შეკრულ მის რჩეულ ნაწილს სწორი გეზი და ორიენტაცია გამოუკვეთა.

ერის მამის „გახეთქილი შებლი“ ახალი თაობის მეხსიერებაში, როგორც ხატი და ემბლემა ისე ჩაიბეჭდა, რომელიც ასპარეზს მეცნიერებაში ექცევდა, რამეთუ, როგორც ილია ბრძანებდა: „განათლება თავისუფლებაა და თავისუფლება კი განათლება“.

და, აი, 1918 წლის 8 თებერვალს დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, გაიხსნა პირველი ქართული უნივერსიტეტი, რომელზეც ოცნებობდნენ „თერგდალეულები“. აქედან დაიწყო ახალი რენესანსის გზა, რასაც თავისთავად მოჰყვა ქვეყნის დამოუკიდებლობა და თავისუფლება.

სულ მალე აღმაფრენა საქართველოში ბოლშევიკების შემოსვლით დეპრესიამ შეცვალა. დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ და ერის ინტელექტუალურმა ნაწილმა, საერთაშორისო სამართლის გზით, სამშობლოს დამოუკიდებლობის კვლავ აღსაღენად, თავი უცხოეთს შეაფარა.

ამ პოლიტიკურ ორომტრიალში ათეული წლები მიიღია, მაგრამ დიდი ეპოქალური მოვლენები ქართული პოლიტიკურ ემიგრანტთათვის „ტრამპული ცნობიერებაში“ გადაიზარდა. შემდეგ ემიგრანტთა სააზროვნო არეალში ჩართული ინდივიდუალური მექსიერება, წარსული, მოგონებების ნაკადად იქცა, რომლის მაგალითია თბილისში ქართული უნივერსიტეტის დაარსება.

ქართველ პოლიტიკურ ემიგრანტთა მოგონებები „აღმამატერზე“ იმთავითვე გვხიბლავს თავისი ემოციით, სიწრფელით, სადაც თითოეულმა მთხოვნელმა მთელი სისავსით წარმოაჩინა მისი სულიერი სამყარო.

ამასთან, უნდა ითქვას ისიც, რომ თითქმის ყველა მოგონებაში გადმოცემულია შედარებით ისეთი უცნობი ფაქტებიც, რომლებშიც სიზუსტითაა აღწერილი უნივერსიტეტის გახსნისა და შემდეგ იქ მიმდინარე პროცესები.

ამ მოვლენის დასტურია პარიზში გამომავალი ჟურნალ „კავკასიონის“ XIII ნომრის ფურცლებზე გაშუქებული მასალები:

1968 წლის 14 იანვარს, კვირას, 15ს, 30, პარიზში „მიუზე სოსიალ“-ის დიდ დარბაზში გაიხსნა თბილისის უნივერსიტეტის დაარსების 50 წლის აღსანიშნავი საზეიმო ყრილობა, სადაც არჩეულ იქნა ლტოლვილობაში მყოფი ქართველ მეცნიერთა და მწერალთა საპატიო კომიტეტი; „ნოე ცინცაძე, განათლების ყოფილი მინისტრი, დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული მთავრობისა. თამარ გოგოლაშვილი-

პაპავა — მწერალი, უურნალისტი (ბუენოს-აირესი), პროფესორი შალვა ბერიძე — ლიტ. დოქტორი, „ვეფხისტყაოსნის“ იტალიურ ენაზე მთარგმნელი (რომი), კირილე ვეგუა — ფილოსოფიის დოქტორი, ქიმიის მეცნიერი (ბერლინი), პროფესორი კირილე თუმანიშვილი — ფილოსოფიის დოქტორი, ისტორიის პროფესორი, ჯორჯ თაუნის უნივერსიტეტი (ვაშინგტონი), ალექსანდრე მანველიშვილი ისტორიკოსი, ფრანგულ ენაზე საქართველოს ისტორიის ავტორი (სან-ფრანსისკო), პროფესორი გიორგი ნაკაშიძე — სამართლის მეცნიერების დოქტორი, ფილოსოფიის დოქტორი, (ნიუ-იორკი), ვიკტორ ნოზაძე — ფილოსოფიის დოქტორი, რუსთველოლოგი და მწერალი; ლეონიძე ჭეიშვილი — დოქტორ-ინჟინერი, დეპარტამენტის დირექტორი არგენტინის მინერალოგიის ინსტიტუტში (ბუენოს-აირესი)“.

ქართული უნივერსიტეტის დაარსების 50 წლის იუბილე გახსნა ცნობილმა პოლიტიკურმა ემიგრანტმა ლევან ზურაბიშვილმა: „მსოფლიო კულტურის ცენტრში, პარიზში, დღეს აღვნიშნავთ თბილისის უნივერსიტეტის დაარსებიდან 50 წლის თავს; — ამას აქვს თავისი, განსაკუთრებული, სიმბოლური და თანაც მეტად რეალური მნიშვნელობა. ისტორიის სვლა და სახეობა ხომ თვითონ ცვალებადია, მაგრამ უფრო ცვალებადია ის, თუ როგორ იწერება ეს ისტორია. ამიტომ, ამ შემთხვევაში აუცილებელია სისწორით ითქვას, აღინიშნოს და კიდევ და კიდევ განმეორებული იყვეს ამ დიადი საქმის ნამდვილი ამბავი“¹.

აქვე, დავიმოწმებთ უურნალ „კავკასიონის“ ფურცლებზე გაშუქებულ ამონარიდებს მოგონებებიდან, რომელთაგან უპირველესად ყურადღებას იპყრობს მედეა ღამბაშიძე-ნიკოლაძის

¹ უურ. „კავკასიონი“, XIII, პარიზი, 1968, გვ. 9.

დღიურებში გაცოცხლებული ქართული უნივერსიტეტის გახსნის ზემინ:

„პირველ საათზე, დიდი ზეიმითგაიხსნა ქართული უნივერსიტეტი. აუარებელ საზოგადოებას ველარ იტევდა ქართული უნივერსიტეტის შენობის კედლები.

პარაკლისის შემდეგ უნივერსიტეტი გახსნა აკაკი ჩხერების: „ეს დღე დაუვიწყარ დღედ დარჩება ქართველი ერისათვის... ამ უნივერსიტეტის უნდა აღანთოს ქართველ ერში გონიერივი განახლებისა და აღორძინების ლამპარი. მან უნდა გაღმონერგოს ჩვენში ევროპის გონიების საგანძურო. არასოდეს არ ყოფილა ასე საჭირო და ძვირფასი ჩვენთვის სამეცნიერო ტაძარი, როგორც დღეს – ამ ძველის დანგრევისა და ახალის წარმოშობის უამს – როდესაც ქართველმა ერმა უნდა მოიპოვოს არამოლოდ პოლიტიკური თავისუფლება, არამედ უნდა განახლდეს მისი სულიც და ფართოდ გამალოს ფრთები მისი შემოქმედების გენიამ...“

მედეა ღამბაშიძე გახლდათ ის პირველი სტუდენტი, რომელმაც განცხადება შეიტანა უნივერსიტეტში შესვლის შესახებ და თან 100 მანეთი სწავლის ფულიც გადაიხადა. იგი ერთი წელი სწავლობდა უნივერსიტეტში, შემდეგ კი ინგლისში გაემგზავრა: „ჩავეწერე სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტზე; მახსოვეს მინდოდა ყველა ლექციის მოსმენა; აკაკი შანიძის ლექციით დავიწყეთ, მისივე რჩევით დავიწყე სომხური ენის სწავლა; მაგრამ სამი გაკვეთილის შემდეგ დავტოვე, გადავედი არაბულზე. გ. ახვლედიანთან ვისმენდი და დავიწყე სანსკრიტის სწავლა; მალიან მომწონდა ლურს-მული წერა. მახსოვს, კიდევ შალვა ნუცუბიძის სიცოცხლით სავსე ლექციები ფილოსოფიაზე და დიტო უზნაძის ნაზი, საინტერესო ლექციები ფსიქოლოგიაზე. ვისმენდი აგრეთვე ივანე ჯავახიშვილის ლექციებს „საქართველოს ისტორიის“

შესახებ. ყოველდღე საღამოს 5-დან 9 საათამდე დავიარებოდი უნივერსიტეტში“¹.

ამ დროს უნივერსიტეტის მსმენელთა რიცხვში ირიცხებოდა ყველა: ახალგაზრდა, მოხუცებული, მღვდელი, ოფიცერი, ჩინოვნიკი. მათი რიცხვი 400-მდე აღწევდა.

საინტერესოა მედეა ღამბაშიძე-ნოკოლაძის მამის, ექიმ ვახტანგ ღამბაშიძის მოგონება უნივერსიტეტის პირველ რექტორზე, პროფესორ პეტრე მელიქიშვილზე, რომელიც მან 1968 წელს უურნალ „კავკასიონში“ გამოსაქვეყნებლად ვიკტორ ნოზაძეს გადასცა, თბილისის უნივერსიტეტის დაარსების 50 წლისთავისადმი მიძღვნილ ნომრისათვის: „უნივერსიტეტის გახსნის დროს, დანიშნულ საათზე, ამაღლებულ ადგილზე გამოვიდა ჩვენი ძვირფასი მეცნიერი პეტრე მელიქიშვილი. ხალხი სმენად გადაიქცა და ამ ნორჩმა სამეცნიერო ტაძარმა პირველად მოისმინა თავისი გამოჩენილი მეცნიერის მოლოცვა და მისალმება; სახე მისი იყო ისე გაბრტყინებული, ისეთი სიცოცხლით აღსაგსე, რომ გეგონებოდათ ხანსა და მოხუცებულობას მისთვის ვერაფერი ვერ დაუკლიაო. ვინც დავესწარით იმ ბედნიერ დღეს და ვინც განვიცადეთ ეს უზენაესი სიამოვნების წუთები, ვერასოდეს ვერ დავივიწყებთ ამ სიამოვნებას.

საქართველოს ტანჯვის ასპარეზზე ასეთი ეროვნული აღტაცება იშვიათი რამ იყო და ამიტომაც ამ შესანიშნავმა განცდამ წარუხოცელი კვალი დაგვიტოვა სამუდამოდ².

ამ მოგონებაში ავტორი ერთ რამეზეც ამახვილებდა ყურადღებას: „საერთო მშვენიერ სურათს აგვირგვინებდა პროფესორების ჯგუფი, მეტადრე ჩვენი სასიქადულო ისტორიკო-

¹ შარაძე გ., „უცხოეთის ცის ქვეშ“, ტ. III, თბილისი, 1993, გვ. 92-93.

² შარაძე გ., „უცხოეთის ცის ქვეშ“, ტ. III, 1993, გვ. 103.

სი იგანე ჯავახიშვილი, რომლის სახეც კმაყოფილების და აღტაცების შარავანდედით იყო მოცული. სხვა დიდსა და დაუფასებელ ამაგთაგან ერთად, მან ის ამაგიც დასდო ქართულ უნივერსიტეტს, რომ პირველი რექტორობა პროფესორ პ. მელიქიშვილს არგუნა და ამ რაინდული საქციელით მაგარი საფუძველი გაუსკვნა ჩვენს პირველ ჭამარს მეცნიერებისა: დამსახურებული, დიდი წნის მუშაკი მეცნიერი დააყენა სათავეში, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული და ნორჩი უნივერსიტეტისათვის“.¹

საჯარო ზეიმზე გამომსვლელთა შორის გახლდათ ასევე უნივერსიტეტის ყოფილი სტუდენტი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პენსილვანიის უნივერსიტეტის პროფესორი ლეონიდე ჭეიშვილი, რომელიც თავის „პატარა მოგონებაში“ აღნიშნავდა: „მართალია ორი წელი დავყავი ჩვენს უნივერსიტეტში, მაგრამ მაშინ ხომ ბავშვი ვიყავი და პირველი ჩემი კონტაქტი ჩვენს პროფესორებთან არ იქნებოდა დღევანდელი დღისათვის საინტერესო. მაგრამ მაინც მსურს მოვიგონო ჩემთვის დაუვიწყარი, ჩვენი სამაყო მათემატიკოსის, ანდრია რაზმაძის არაჩვეულებრივი პედაგოგიური ნიჭით გადმოცემული მათემატიკის რთული ლექციები. ასევე, მუდამ დიდი პატივისცემით ვიხსენებ პროფესორ ბერაშვილს. მისი გეოდეზიის ლექციების დროს დარბაზი ყოველთვის გაჭედილი იყო ახალგაზრდა მსმენელებით.

განსაკუთრებით უყვარდა ლექციების დროს ორ-მნიშვნელოვანი სიტყვებით გადაკვრით შეხებოდა კომუნისტურ ძალაუფლებას... მახსოვს, ერთხელ კარტოგრაფიაზე, რომ კითხულობდა, შემდეგი აღნიშნა: – „ბატონებო! უწინდელ დრო-

¹ ღამბაშიძე ვ., „პეტრე მელიქიშვილის ხსოვნას“, ქურ. „კავკასიონი“, XIII, პარიზი, 1968, გვ. 29.

ში უმნიშვნელო სოფლებს რუქაზე, თავიანთ მდებარეობას საყდარის მდებარეობით აღნიშნავდნენ, დღეს კი აღმასკომის შენობითო. პროფესორ ბენაშვილის გაბედულ და მოხდენილ შენიშვნას, ისეთ აღტაცებაში მოუყვანია სტუდენტები, რომ მათი ოვაციების გამო ლექცია ვეღარ გაუგრძელებია, ხოლო „მის სახეს დიდი კმაყოფილების იერი და სიჩუმე ამშვენებდა“¹.

ნიშანდობლივია, ის რომ უნივერსიტეტის გახსნის მონაწილენი თავიანთ „მოგონებებში“ ინდივიდუალური ხედვით გადმოსცემდნენ იმ დიდ ისტორიულ მოვლენას, როგორიც ქართული უნივერსიტეტის დაარსება გახლდათ. დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის განათლების ყოფილი მინისტრი ნოე ცინცაძე მოგონებაში აღნიშნავდა: „სიმბოლურად უნდა ჩაითვალოს, ვფიქრობ, ის გარემოება, რომ უნივერსიტეტის გახსნა წინ უსწრებდა საქართველოს სახელმწიფოებრივობის აღდგენას, მის დამოუკიდებლობის გამოცხადებას. ეს ხომ იმას უნდა მოწმობდეს, რომ ქართული კულტურის ხერხემალი ისტორიულმა უკუღმართობამ ვერ გასტეხა, რაც თავმდები უნდა ყოფილიყო საქართველოს სახელმწიფოს აღდგენისა და დამკვიდრებისა...“

საზეიმო აქტის დარბაზი გაჭედილი, დერეფნები ხალხს ვერ იტევდა და მრავლად მოსულნი ეზოში ჰპოულობდნენ ადგილს. ეს იყო მართლაც სპონტანური მანიფესტაცია ხალხის ყველა წარმომადგენელთა“².

„დიდი წარსულის მემკვიდრეობა“, – ასეთი სათაურით დაიბეჭდა უკანალ „კავკასიონში“ სან-ფრანსისკოში მცხოვ-

¹ ჭეოშვილი ლ., „პატარა მოგონება“, უკრ. „კავკასიონი“, XIII, პარიზი, 1968 გვ. 21.

² ჭეიშვილი ლ., „პატარა მოგონება“, უკრ. „კავკასიონი“, XIII, პარიზი, 1968 გვ. 21.

რებ ქართველი პოლიტიკური ემიგრანტის ალექსანდრე მანველიშვილის მოგონება: „იდეა ქართული უნივერსიტეტის დაარსებისა მუდამ ცოცხლობდა ქართულ საზოგადოებაში. ის არა ერთხელ შეეცადა მის განხორციელებას, მაგრამ რუსის მთავრობა მას ამის ნებას არ აძლევდა. ქართველი ერის მრავალ თხოვნაზე რუსის მთავრობამ საბოლოოდ უარი უთხრა ქართველებს თვით რუსული უნივერსიტეტის დაარსებაზე საქართველოში. ქართველი ერი მუდამ ემზადებოდა ამ ბრწყინვალე დღისათვის, რომ ერთ დღეს ის მას განახორციელებდა.

თვით ის შენობა, სადაც მოთავსებული იყო ჩვენი ქართული გიმნაზია, განზრახ იყო აშენებული მომავალი უნივერსიტეტისათვის“¹.

თავის მოგონებაში ალექსანდრე მანველიშვილი შეეხო ასევე საბჭოთა ყოფის ამსახველ უცნობი ფაქტების დასურათხატებასაც: „თავისუფლების სულ რამდენიმე წელი ხვდა ქართულ უნივერსიტეტს და მერმე ისევ რუსული ხიშტის ქვეშ მოჰყვა; კომუნიზმის ნიღაბით ბევრი რამ შერყვნეს, ყოვლად დაუმსახურებელი და გადაგვარებული ქართველი ჯუღაშვილის სახელითაც კი მონათლეს... ახალ თაობას აშკარად ატყუებენ, თითქოს ქართული უნივერსიტეტი საბჭოთა ხელი-სუფლებამ შექმნა.

ასე საბაგლად რყენიან ჩეენს გუშინდელ ისტორიასაც, რომლის მომსწრენი დღესაც კი ბევრია ცოცხალი, ანდა როგორ უნდა ელაპარაკონ ქართველ ერს უნივერსიტეტის 50

¹ მანველიშვილის აღ„„დიდი წარსულის მემკვიდრეობა“, ქურ. „კავკასიონი“, XIII, პარიზი, 1968, გვ. 14.

წლისათვის, როდესაც საბჭოთა ხელისუფლებას ჩვენში სულ 47 წელი უსრულდება!“¹

თბილისის უნივერსიტეტის დაარსების სასიხარულო მოვლენებთან ერთად ემიგრანტთა მოგონებებში გადმოცემულია „ტრავმული ცნობიერებას“ ნაკადი, რომელზეც სევერიან ჭირაქაძე მოგვითხრობს: „თბილისში და მთელს საქართველოში მშობლიური უნივერსიტეტის დაარსებამ დიდი გამოძახილი ჰქოვა. არავის დაუშურებია მორალური გამხნევება, უხვი ფულადი დახმარება, ინვენტარის უფასო დათმობა, ბიბლიოთეკების შეწირვა და სხვა. ყველა გრძნობდა, უნივერსიტეტი მაღლე გახდებოდა ჩვენი მეცნიერების ტაძარი და საქართველოს ეროვნული თავისუფლების მკვიდრი დასაყრდენი...“

ბოლშევიკებმა მაღლე მოშალეს უნივერსიტეტის ემბლემა – „აღმა-მატერი“ – დამპყრობელის ჩაქეჩ-ნამგალით შეცვალეს და მას სტალინის სახელი მიაკერეს... რატომ? რისთვის? სტალინს რა ამაგი, რა დვაწლი მიუძღვდა მის დაარსებაში, – ეს არავინ უწყოდა! ამ უკანასკნელად ხრუშჩევის მიერ სტალინის შეჩვენებისა და გაბიაბრუების შემდეგ, ეს უჯერო სახელწოდება უნივერსიტეტს უხმაუროდ მოხსნეს, მაგრამ ძველებურად დარჩა მისი სულთამხუთავი ატმოსფერო, როგორც ყველაფერში“. ²

უნივერსიტეტის გახსენებასთან დაკავშირებით საბჭოთა ყოფის ამსახველ მეხსიერებით არსენალთან გვაქვს საქმე ასევე პროფესორ გიორგი ნაკაშიძის მოგონებაში: „1921 წლის სექტემბერში უნივერსიტეტში დაიწყო სტუდენტთა დაუფარავი გამოსვლები საქართველოში უცხო ძალის მიერ დამყარე-

¹ მანველიშვილი ალ., „დიდი წარსულის მემკვიდრეობა“, შურ. „კავკასიონი“, XIII, პარიზი, 1968, გვ. 14.

² ჭირაქაძე ს., „თბილისის უნივერსიტეტის დაარსების 50 წლის-თავი“, შურ. „კავკასიონი“, XIII, პარიზი, 1968 გვ. 17.

ბული რეჟიმისადმი. მათ ჯერ დააპატიმრეს სტუდენტთა გამგეობის სამი აქტიური წევრი: სევერიან ჭირაქაძე, ფილიპე შარაძე და კოწია ტყავაძე... ამასთან გადააყენეს სტუდენტების მიერ არჩეული გამგეობა და მის ნაცვლად დაგვინიშნეს ეწ. „რევოლუციური სამუშალი“.

ეს – სტუდენტობისათვის აშკარა ომის გამოცხადება იყო. სტუდენტებმა მიიღო ეს გამოწვევა¹.

მოგონებიდან ირკვევა, რომ სტუდენტებმა ვიდრე მასიურ გამოსვლებში ჩაებმებოდნენ რჩევისათვის ჯერ ივანე ჯავახიშვილს მიმართეს. მან დიდი ყურადღებით მოუსმინა თურმე ახალგაზრდებს და ბოლოს განუცხადა: „დიდი მადლობელი ვარ, რომ სტუდენტობამ ასეთი ნდობა გამოიჩინეთ ჩემდამი და მეტადრე, რომ ასე სათუთად ექცევით უნივერსიტეტის ბედს. მაგრამ უნივერსიტეტი ხომ მხოლოდ ცარიელი კედლები და სახურავი არ არის? უნივერსიტეტი ხართ თქვენ, სტუდენტობა – მოძრავი, მოქმედი ძალა, უსულო შენობას რომ სიცოცხლეს ანიჭებს.

სტუდენტობა ყოველგან და ყოველთვის იყო თავისი ქვეყნის მებრძოლთა რიგებში. ამიტომ როგორ შემიძლია მე, ქართველს და თქვენს მასწავლებელს, ხელი შეგიშალოთ თქვენი მამულიშვილური მოგალეობის შესრულებაში. იმოქმედთ, ისე, როგორც თქვენი შეგნება და სამშობლოს სიყვარული გიკარნახებთ...²

პარიზში გამართულ ქართული უნივერსიტეტის საიუბილეო ყრილობაზე მოგონებები წარმოადგინეს ასევე ლ. ზურა-

¹ ნაკაშიძე გ., „გახსენებისათვის“, ჟურ. „კავკასიონი“, XIII, პარიზი, 1968, გვ. 22.

² ნაკაშიძე გ., „გახსენებისათვის“, ჟურ. „კავკასიონი“, XIII, პარიზი, 1968, გვ. 23-24.

ბიშვილმა, შ. კალანდაძემ, ლ. ტიტვინიძემ და სხვა ემიგრანტებმა.

საერთოდ, უნდა ითქვას რომ მოგონებათა უანრი საქართველოზე მეტად ემიგრაციაში იყო განვითარებული. შემოქმედების ეს სფერო ყველაზე კარგად სწორედ ემიგრანტთა კულტურულ მეხსიერებას წარმოაჩენდა. უნივერსიტეტის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებული მოგონებების ნაკადი ამ შემთხვევაში ორი პარალელური ხაზით ვითარდება. ესაა მოგონებები, რომელშიც ცოდნის ტაძრის გახსნის სასიხარულო მომენტია აღწერილი, ხოლო, მეორე მხრივ, აქვეა წარმოჩენილი საბჭოთა ყოფის ამსახველი მეხსიერებითი არსენალი, რომელსაც თან ახლავს „ტრავმული ცნობიერება“.

ერთიც და მეორეც რეალობაა, რომელიც თავიდან სამშობლოში დაიწყო და ეს მოგონებები გრძელდება ემიგრაციაში, რითაც ყველა ემიგრანტი მეყსეულად უბრუნდება სამშობლოს.

დამოწმებანი:

1. კარტოზია ა, ჩიტაური ნ, შამანაძე შ, პოპიაშვილი ნ, მოდებაძე ი, გაგოშაშვილი ნ. (2016). „ქართული მწერლობის ინტერკულტურული მოდელი და ნაციონალური იდენტობის პრობლემა“, თბილისი.
2. მარჯანიშვილი მ. (2013). ლეო ჭეიშვილი – არგენტინაში მოღვაწე ქართველი მწერალი და მეცნიერი, თბილისი.
3. ჟურნალი „კავკასიონი“ (1968). - XIII, პარიზი.
4. სიგუა ს. (2002). „ქართული მოდერნიზმი“, თბილისი.
5. შარაძე გ. (1993). „უცხოეთის ცის ქვეშ“, ტ. III. თბილისი.

Mariam Marjanishvili
Kutaisi State Historical Museum
UNIVERSITY JUBILEE ON “KAVKASIONI” PAGES
RESUME

On February 8, 1918, on the day dedicated to David Agmashenebeli, the first Georgian University was opened, thus fulfilling the dream of the “Tergdaleulis”. This gave start to a new Renaissance road which was followed by independence and liberation of the country.

After the Bolsheviks’ occupation of Georgia, the Georgian government and part of intellectual elite found shelter in foreign countries to find international support in restoring lost freedom.

This took several decades, but great epochal events turned into “traumatic consciousness” for Georgian political emigrants. Later, all their individual memories and their past turned into a stream of memories. One of the examples is the memory about the establishment of Georgian University in Tbilisi.

The XIII issue of journal “Kavkasioni”, which was published in Paris, depicted emigrants’ memories about the establishment of Georgian University and all the processes going there.

The memories dedicated to the 50th anniversary of the university depict happy event connected with the establishment of Alma Mater as well as the events linked with Soviet life followed by “traumatic consciousness”.

Both are realities, which started in Georgia and continued in emigration, and these memories returned the emigrants to their homeland.

ნესტან სულავა
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

წმ. არსენ იყალთოველის ეპიტაფია („ვის ნაჭარმაგვეს
მეფენი“...) და ილია ჭავჭავაძის „დავით აღმაშენებელი“

ილია ჭავჭავაძე დავით აღმაშენებლის მოსახსენიებელი დღისადმი მიძღვნილ სტატიაში „დავით აღმაშენებელი“, რომელშიც მოკლედ, მაგრამ არსებითად შეაფასა დავით აღმაშენებლის ღვაწლი საქართველოს სახელმწიფოსა და ქართველი ერის წინაშე, წერდა: „რა არის ისტორია? იგია მთხრობელი მისი, თუ რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შესაძლოა ვიყვნეთ კვლავადაც. ისტორია თავის გულის ფიცარზედ იბეჭდავს მარტო სულისა და გულის მოძრაობას ერისას და ამ დაბეჭდვითა, როგორც სარკე, გვაჩვენებს იმ ღონეს და საგზალს, რომელიც მომადლებული აქვს ამა თუ იმ ერსა დღეგრძელობისთვის და გაძლიერებისთვის“. იმგვარ პიროვნებად და მეუედ, რომელმაც საქართველოს ისტორიას არსებითი გზა და გეზი მისცა, ილიამ დავით აღმაშენებელი მიიჩნია: „დავით აღმაშენებელი სადიდებელია ჩვენგან არა მარტო სახელოვან მეფობითა, არამედ თავის დიდ-ბუნებოვნმ კაცობითაც. იგი, თავგადადებული მოყვარე თავის ეროვნებისა და მართლმადიდებელის სარწმუნოებისა, დიდი პატივისმცემელი იყო სხვის ეროვნებისაც და სარწმუნოებისა. ამისთანა შემწყნარებელი სხვისა მაშინ, როდესაც იგი ყოვლად-შემძლებელ მბრძანებლად შეიქმნა სხვადასხვა თესლის და სხვადასხვა

სარწმუნოების ერისა, ამისთანა სხვა ერის ღირსების თაყვანისმცემელი იმ დროში, როცა კაცი კაცს შესაჭმელადაც არა ჰიოგავდა, ამისთანა კაცთმოყვარული პატივისცემა სხვის ეროვნებისა, სხვის სარწმუნოებისა, ნუთუ საკვირველი და საოცარი მაგალითი არ არის მეთორმეტე საუკუნის კაცისა-გან!“¹ – დავით აღმაშენებლის ილიასეულ შეფასებაში იგრძნობა დავითის ეპიტაფიად შექმნილი ტექსტისეული შეფასება.

ჩვენამდე მოღწეული დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი ეპიტაფია შეტანილია S-1512 ხელნაწერში (ხეც, S-1512, გვ. 367), რომელიც „ხელმწიფის კარის გარიგების“ ტექსტს შეიცავს. აგრეთვე, ეპიტაფის ტექსტი გვხვდება მეორე ძველ ხელნაწერშიც, ესაა S-2385. ეპიტაფის ტექსტი და მისი რუსული თარგმანი გამოაქვეყნეს დ. ჩუბინაშვილმა, მ. ბროსემ, ალ. ცაგარელმა, მ. საბინინმა, ა. ხახანაშვილმა, თ. ჟორდანიამ, ე. თაყაიშვილმა, ს. გორგაძემ, კ. კეკელიძემ, ს. ჭუბანევილმა, რ. მეტრეველმა. ზოგიერთ გვიანდელ ხელნაწერსა და გამოცემაში ეს ტექსტი თამარ მეფის ეპიტაფიის სახელწოდებითაა შეტანილი. „ხელმწიფის კარის გარიგების“ ტექსტი 1920 წელს გამოსცა ექვთიმე თაყაიშვილმა, რომელმაც გაარკვია, რომ ეპიტაფია XII საუკუნის I მეოთხედში დავით აღმაშენებლის თანამდეროვის, მისი მოძღვრის არსენ იყალთოელის, იგივე არსენ ბერის მიერ არის დაწერილი.

დაისმის კითხვა, რატომ გამოითქვა სამეცნიერო ლიტერატურაში ერთმანეთისაგან განსხვავებული შეხედულებები? ცხადია, ეს განსხვავებული ვარიანტების არსებობამ განაპირობა. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, დავით აღმაშენებლის

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, თბილისი, 1984. გვ. 604; ილია ჭავჭავაძის „დავით აღმაშენებელი“ პირველად გამოქვეყნდა გაზეთ „ივერიაში“, №17, 1888 წ.

საფლავზე ეს ეპიტაფია არ არის წარწერილი, მასზე წარწერად გაკეთებულია მე-14 მუხლი 131-ე ფსალმუნიდან. რაც შეეხება არსენ იყალთოელის ეპიტაფიას, მის შესახებ ი. მეგრულიძის მიერ გამოთქმულია მოსაზრება, რომ, როგორც ჩანს, საფლავის ქვაზე სიღიღის გამო არ წააწერეს¹. მიუხედავად ამისა, უყურადღებოდ ვერ დავტოვებთ მიხეილ საბინინის მიერ „საქართველოს სამოთხეში“ გაკეთებულ სქოლიოს, რომლის მიხედვით გამომცემელს თვითონ უნახავს საფლავის ქვაზე წარწერილი ეპიტაფია და ძლივს ამოუკითხავს იგი. მ. საბინინის მიერ დაბეჭდილი ტექსტი განსხვავებულია და მას სრულად დავიმოწმებ: „1. ოდესშე ნაჭარმაგევს შედთა მეფეთა მასპინძელ ვექმენ, 2. თურქი, სპარსი და არაბი საზღუართაგან სამეფოსა ჩემისაგან ვიოტე; 3. გადავასხე თევზნი მდინარეთაგან ამერისათა, მდინარეთა იმერისათა (რომელიც ნიშნავს ორთა ზღვისა მფლობელობასა), 4. ყოველი ესე აღუასრულე გულ ხელ ვიკრიფე აღმსრულებელ“². მიუხედავად იმისა, რომ სქოლიოში ნათქვამია, რომ თავად ნახა და ძლივს აღმოიკითხა ეს ეპიტაფია საფლავის ქვიდან, მაინც ძნელი სათქმელია, საიდან აქვს ეს ტექსტი გადაწერილი გამომცემელს, რა არის მისი წყარო. მ. საბინინის ვარიანტი ხელნაწერებში დამოწმებული ტექსტებისაგან განსხვავებულია.

ტექსტის მსოფლმხედველობრივად და სახისმეტყველებითად გასაანალიზებლად დავიმოწმებ უშუალოდ ტექსტს და

¹ Мегрелидзе И. В. Руставели и фольклор, Тбилиси, 1960. გვ. 247-259.

² საქართველოს სამოთხე, სრული აღწერა ღუაწლთა და ვნებათა საქართულელოს წმიდათა, შეკრებილი ხრონოლოგიურად და გამოცემული პეტერბურლის სასულიერო აკადემიის კანდიდატის ივერიელის გობრონ (მიხაილ) პავლის ძის საბინინის მიერ, პეტერბურლი, 1882. გვ. 512.

მის ვარიანტებს ხელნაწერთა და გამოცემათა მონაცემების მიხედვით:

ვის ნაჭარმაგევს მეფენი შვიდნი მე (ვარ.: შვიდნივე) პურად დამესხნეს,

(ვარ.: ვის ნაჭარმაგევს მეფენი თორმეტნი პურად დამესხნეს,)

თურქი, სპარსი და არაბი საზღუართა გარე გამესხნეს, თევზი ამერთა წყალთანი იმერთა წყალთა შთამესხნეს.

აწე ამათსა მოქმედსა ხელნი გულზედან დამესხნეს¹.

გამოცემებში გვხვდება ეპიტაფის პირველი ტაეპის შინაარსობრივად ერთმანეთისაგან განსხვავებული ორი ვარიანტი. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ ეპიტაფიას ზემოხსენებულ მეცნიერთა ნაწილი თამარ მეფის ეპიტაფიად მიიჩნევდა, ნაწილი – დავით აღმაშენებლისა. მეცნიერთა ნაწილი კი იმასაც ფიქრობდა, რომ ეპიტაფის ავტორი დავით აღმაშენებელია, რაც სამეცნიერო ლიტერატურაში გაზიარებული არაა.

მოსე ჯანაშვილს მიაჩნდა, რომ მეფის „გვამი დიდებით მიასვენეს გელათს, დაკრძალეს და საფლავის ქვაზე წაწერეს მისივე სიტყვები“ და გვთავაზობს დამოწმებული ეპიტაფის ტექსტს, რომლის პირველი ტაეპი ასე იკითხება: „ვის ნაჭარმაგევს მეფენი შვიდნი მე პურად დამესხნეს“. მან ამ ტაეპთან დაკავშირებით გააკეთა შემდეგი კომენტარი: „ხსენებულ შვიდ მეფედ იგულისხმებიან მეფეები: შარვანისა (დავითის სიძე, თამარის ქმარი აღსართან), ბერძნის მეფე (სიძევე

¹ ვისარგებლეთ ტექსტის შემდეგი გამოცემებით: ხელმწიფის კარის გარიგება, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ე. თაყაიშვილმა, თბ., 1920; ქართული პოეზია, I, გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო სარგის ცაიშვილმა, თბ., 1979. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, თბილისი, 1946.

ალექსი), ყივჩაყთა მეფე ათრაქა შარალანიძე (დავითის სიმამრი), ოსთა მეფე (მეგობარი), ბულასვარ - ანის მფლობელი (ტყვედ წამოყვანილი), კახეთის მეფე აღსართან (დავითის ტყვე) და არანის მფლობელი¹. მკვლევარმა დაახასიათა ნაჭარმაგვიც: „ეს დიდებული ადგილია, საცა აღმაშენებელის დროს სიცოცხლე დუღდა და გადმოდიოდა, საცა დავით მეფის შვილის-შვილი გიორგი და ამისი ასული თამარ მეფე აგარაკად გამოდიოდენ ზაფხულობით, დღეს მინგრეულ-მონგრეულა და იწოდება კარალეთად. ასრე წარმავალ არს დიდება სოფლისა“².

კოდიკოლოგიური მონაცემები და სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულებები ეპიტაფიის ტექსტის ვარიანტების შესახებ განხილულია იოსებ მეგრელიძის მიერ ნაშრომში „Руставели и фольклор“. მან ამ ორი ვარიანტის შესახებ აღნიშნა, რომ ვარიანტი „ვის ნაჭარმაგვს მეფენი შვიდნივე პურად დამესხნეს“ ხალხური გადმოცემების გავლენის შედეგად უნდა იყოს შექმნილი და აღნიშნა, რომ თავდაპირველ ვარიანტში მეფეთა რიცხვი თორმეტით უნდა განსაზღვრულიყო: „ვის ნაჭარმაგვს მეფენი თორმეტი პურად დამესხნეს“. მანვე ყურადღება გაამახვილა ეპიტაფიის სალექსო ფორმაზეც³. საინტერესოა ის ფაქტი, რომ კ. ქეკელიძემ „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ მეორე ტომში ერთგან ერთი ვარიანტი – „თორმეტი“ – დაბეჭდა, მეორეგან – მეორე, „შვიდნივე“³. „ქართული ლიტერატურის ისტორიის“

¹ მ. ჯანაშვილი, შენიშვნები წიგნში: Вахушти, География Грузии, перевод М. Г. Джанашвили, Тбилиси, 1904. გვ. 86.

² Мегрелидзе И. В. Руставели и фольклор, Тбилиси, 1960. გვ. 247-259.

³ კ. ქეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბილისი, 1958. გვ. 207, 617.

პირველ გამოცემაში პ. კეკელიძემ განსაზღვრა ავტორობის პრობლემაც, კერძოდ, ეპიტაფიის ავტორად მიიჩნია არსენ იყალთოელი და არა თამარ მეფე¹. უაღრესად მნიშვნელოვანია ისტორიკოსის დამოკიდებულება განსახილველი ეპიტაფიის ტექსტისადმი, კერძოდ, ორინ მეტრეველის მონოგრაფიაში „დავით აღმაშენებელი“ დაბეჭდილია შემდეგი ვარიანტი: „ვის ნაჭარმაგვეს მეფენი თორმეტი პურად დამესხნეს“². იქვე დამოწმებულია „ხელმწიფის კარის გარიგება“, რომლის ტექსტში ეპიტაფიის სწორედ ეს ვარიანტია შეტანილი და ჩამოთვლილიცაა თორმეტივე მეფე. დავიმოწმებთ ჩამონათვალს: „ორნი – ოსთა მეფენი და კახთა მეფე და ალვანთა მეფე, წანართა მეფე, სამნი ტაოელთა მეფენი და სომეხთ მეფე და ტრაპიზონელი და შარვან-შაპენი – ესენი ჩაესხნეს ნაჭარმაგვეს და თორმეტნი დასხდეს“³.... 2001 წელს აკაკი ხინთიბიძემ უკრნალ „კრიტერიუმში“ გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც არსენ იყალთოელის ეპიტაფია ევფონიურ-პოეტიკური თვალსაზრისითაა განსხილული. მისი აზრით, ეპიტაფია ყურადღებას იქცევს ლექსმცოდნეობითი თვალსაზრისითაც⁴.

უნდა აღინიშნოს, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება შესაძლოა გადასინჯვას მოითხოვდეს, რადგან ხელნაწერებში არსებული და გამოცემებში დაბეჭდილი განსხვავებული ვარიანტები არსებითად

¹ პ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბილისი, 1924. გვ. 504-505.

² რ. მეტრეველი, დავით აღმაშენებელი, მეორე გამოცემა, თბილისი, 2018. გვ. 292-293.

³ რ. მეტრეველი, დავით აღმაშენებელი, მეორე გამოცემა, თბილისი, 2018. გვ. 292-293.

⁴ ა. ხინთიბიძე, „ეპიტაფია დავით აღმაშენებლისა“, ჟ. კრიტერიუმი, №2, 2001. გვ. 119-122.

ცვლის ეპიტაფიის მიზანდასახულობას. ეს ვარიანტები ზე-მოთ უკვე დავიმოწმეთ, თუმცა, საჭიროდ მიმაჩნია მათი გამე-ორება. ზოგან პირველი ტაეპი ასეთი შინაარსისაა: „ვის ნაჭარმაგევს მეფენი თორმეტნი პურად დამესხნეს“; ზოგან: „ვის ნაჭარმაგევს მეფენი შვილნივე (ვარ.: შვილი მე) პურად დამესხნეს“.

ეპიტაფიაში რამდენიმე უმნიშვნელოვანესი საკითხია აღძრული: პოლიტიკური, იდეოლოგიური, რელიგიურ-მსოფლ-მხედველობრივი, რაც სახისმეტყველებით ასპექტებსაც სწ-დება და წარმოაჩენს. ეპიტაფია მთლიანად სიმბოლურ-ალე-გორიულია და მასში შეფასებულია მეფის ღვაწლი და დამ-სახურება საქართველოსა და ქართველი ერის წინაშე. მასში, უწინარეს ყოვლისა, დავით აღმაშენებლის, როგორც იმდრო-ინდელი მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფო მოღვაწის, სახეა წარმოაჩენილი. კერძოდ, სიმბოლურადაა ასახული მისი ბრძო-ლა საქართველოს დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად და გასაერთიანებლად.

ეპიტაფიის განხილვა რელიგიურ-მსოფლმხედველობრივი და პოლიტიკური შინაარსის შემცველი ტაეპით უნდა დავიწყოთ. ეს ორი, პოლიტიკური და მსოფლმხედველობრივ-რელი-გიური ღირებულების მქონე ვარიანტი ერთმანეთს უნდა შე-ვუდაროთ: „ვის ნაჭარმაგევს მეფენი თორმეტნი პურად დამესხნეს// ვის ნაჭარმაგევს მეფენი შვილნივე პურად დამეს-ხნეს“, მათ შორის განსხვავებას ქმნის ორი სიტყვა, ორი რიცხვითი სახელი: **თორმეტნი და შვილნივე.**

1. ვარიანტი „შვიდი მეფის პურად დასხმის“ მოტივს მიუთითებს. აკაკი ხინთიბიძემ ეპიტაფიის ეს ვარიანტი გაი-ზიარა, რომლის შესახებ მსჯელობა ძირითადად პოლიტიკურ ასპექტს წარმოაჩენს, თუმცა სიმბოლური გააზრება და ბიბ-ლიური აღუზია აქაც გამოკვეთილია. შვიდის სიმბოლიკაში

იკითხება საქართველოს შვიდი სამეფო-სამთავროსაგან შედგენის პრინციპი, საქართველოს მეფის შვიდწევრიანი ტიტულატურა (მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა, შარვანშა და შაჰანშა – თითოეულს თავისი ახსნა აქვს, რაც სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზის აღინიშნა. ისიც უნდა ითქვას, რომ ქართველ მეფეებს სხვადასხვა დროს განსხვავებული ტიტულატურა ჰქონდათ იმის მიხედვით, საქართველოს რომელ სამთავრო-მხარეებს ან სხვა მოსაზღვრე ქვეყნების ტერიტორიებს ფლობდნენ) და შვიდის, როგორც ციფრის, სიმბოლური არსიც დროის მეტაფორის გათვალისწინებით.

ზემოთ დავიმოწმეთ მოსე ჯანაშვილის შეხედულება შვიდი მეფის შესახებ, რომელიც ძირითადად არაქართველ მეფეთა შესახებ გვაწვდის ცნობებს. მას უპირისპირდება აკაკი წინთიბიძის აზრი: „ნაჭარმაგვეს შვიდთა მეფეთა ერთ სუფრაზე დასხმა მეფის მიერ მთავართა შერიგებას და სამთავროებად დაყოფილი ქვეყნის გაერთიანებას ნიშნავს. იგი მეტაფორაა, გადატანითი აზრი იკითხება. შვიდი საკრალური რიცხვია. ამ წინადაღებაში მხოლოდ ნაჭარმაგვია რეალური“¹. მკლევრის თვალთახედვით, ყურადღება გამახვილებულია ქართველ მეფებზე, რომლებიც ცალკეული სამთავრო-სამეფოს წარმომადგენლები იყვნენ და ქვეყნის გაერთიანების შედეგად უნდა აღვიქვათ ეპიტაფის პირველ ტაქტში გამოთქმული მოსაზრება.

უნდა აღინიშნოს, რომ ეპიტაფის პირველ ტაქტში ნათქვამი „მეფენი შვიდნივე პურად დამესხნეს“ მათ ერთად, ერთდროულად დასხმას, მოქმედების ერთდროულობას უნდა გულისხმობდეს, რაც მოსე ჯანაშვილის შეხედულებას ეჭვ-

¹ ა. წინთიბიძე, „ეპიტაფია დავით აღმაშენებლისა“, ჟ. კრიტერიუმი, №2, 2001. გვ. 120.

ქვეშ აყენებს. გარდა ამისა, თუ ამ ვარიანტის მართებულობას გავიზიარებთ, მაშინ კითხვა დაისმის, საქართველოს ცალკეული სამთავროს მეთაური იწოდებოდა თუ არა მეფედ?

ვფიქრობ, გასათვალისწინებელია ქართველ მეფეთა მრავალწევრიანი ტიტულატურა. ტიტული (ბერძნულიდან: საპატიო წოდება) აჩვენებდა სამეფო საგვარეულოს ღირსებას, ღმერთთან მეფის კავშირს, სამეფოს სიდიდესა და სიმდიდრეს რამდენიმე თვალსაზრისით. საქართველოს მეფის ტიტულატურის ჩამოყალიბებას იმ სახით, როგორადაც XII საუკუნის I მეოთხედში ვხვდებით, ე.ი. ვიდრე იგი საბოლოო სახეს მიიღებდა, დიდი დრო, ორ საუკუნეზე მეტი დასჭირდა, მისი საწყისები IX საუკუნიდან ივარაუდება. სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ საქართველოში თითოეულ მეფეს განსხვავებული ტიტულატურა ჰქონდა; განსხვავებული ტიტულატურის ტარება იმაზე იყო დამოკიდებული, თუ რომელი კუთხის მფლობელი იყო ესა თუ ის მეფე. პირველი, რომლისგანაც იწყება სამეფო ტიტულატურის ჩამოყალიბება, იყო აშოტ I ბაგრატიონი. მის დროს ტაო-კლარჯეთის სამეფოს „ქართველთა სამეფო“ ეწოდა, შესაბამისად, იგი იყო „მეფე ქართველთა“. შემდეგი საფეხური იყო X საუკუნეში ტაოს, ქართლისა და აფხაზთა სამეფოების გაერთიანება, ბაგრატიონთა დინასტიის გაერთიანება, რომლის პირველ მეფედ ბაგრატ მესამე მოგვევლინა. XI საუკუნეში სამეფო ტიტულატურა რამდენჯერმე შეიცვალა სახელმწიფოში მიმდინარე პოლიტიკურ ვითარებათა ცვალებადობის გამო. დავით აღმაშენებელმა შემოიერთა რანი, კახეთი, ჰერეთი, ლორე-ტაშირი, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა ხუთწევრიანი ტიტული: „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა“, რომელსაც დავითის მეფობის ბოლო წლებში დაემატა „შარვანშა და შა-

ჰანშა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა“ მპყრობელი.

ამრიგად ჩამოყალიბდა სამი სიმბოლურ-აღეგორიული თვალსაზრისი: 1. მოსე ჯანაშვილის მიერ მოხმობილი, რომელიც კონკრეტულ უცხოელ მეფეთა საქართველოს მეფის სასახლეში პურად დასხმას გულისხმობს; ოღონდ გაურკვეველია, ამ მეფეთა ერთად დასხმას გულისხმობდა თუ არა; საზოგადოდ, ეს შეხედულება მრავალ კითხვას აღძრავს; 2. აკაკი ხინთიბიძის მიერ გამოთქმული, რომლის მიხედვით ტაეგში ქართველ მთავართა შერიგება უნდა იგულისხმებოდეს; 3. დაისმის კითხვა, ხომ არ იგულისხმება ტაეპის შინაარსში ქართველ მეფეთა შვიდწევრიანი ტიტულატურა, რომელიც საქართველოს შვიდი სამეფო-სამთავროსაგან შედგენას შეიძლება ნიშნავდეს. აქ შეიძლება დავიძოწმოთ აკაკი წერეთლის მიერ „ოთორნიკე ერისთავში“ გამოთქმული თვალსაზრისიც: „შვიდ სამთავროს მოგვაგონებს მოელგარე ის შვიდფერი“. თუ რომელი მოსაზრებაა სწორი, ამის განსაზღვრა ისტორიკოსთა პრეროგატივად მიმაჩნია.

2. საგანგებოდ მინდა აღვნიშნო, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ტაეპის ის ვარიანტი, რომელიც თორმეტი მეფის პურად დასხმას გულისხმობს. ნაჭარმაგვეში, მეფეთა რეზიდენციაში თორმეტი მეფის პურად დასხმას თუ რელიგიურ-მსოფლმხედველობრივი თვალთახედვით გავიაზრებთ, მას ორგვარი აღუზია-სიმბოლო წარმართავს: 1. ძველი აღთქმისეული, რომელშიც იაკონისა და მისი თორმეტი ვაჟის ეპიზოდი უნდა ვიგულისხმოთ და სიუჟეტი-ისტორია შეიძლება ვუწოდოთ; 2. ახალი აღთქმისეული, რომელსაც საიდუმლო სერიბის სიმბოლური გააზრება უდევს საფუძვლად, მით უმეტეს, ეპიტაფიაში საუბარია პურად დასხმაზე, რაც პირდაპირ ანალოგს, არქეტიპს, წინასახეს პოულობს საიდუმლო სერიბას-

თან და ამ ორ მოვლენას, საიდუმლო სერობასა და დავითის მიერ თორმეტი მეფის პურად დასხმას, ჰიბოდიგმურ-პარადიგ-მული სტრუქტურით წარმოგვიდგენს.

თუ ტექსტის ამ ვარიანტს პირველადად მივიჩნევთ, რომელსაც ბიბლიურ-ევანგელიური სახისებულება წარმართავს, ისეთი მწერლისა და მთარგმნელისაგან, როგორიც წმ. არსენ იყალთოელია, იქნებ სწორედ ეს ვარიანტი უფრო იყოს მოსალოდნელი. იგი პირდაპირი ალუზიაა საიდუმლო სერობისა. თუმცა, ეს მოსაზრება მაინც ვარაუდია, რადგან ეპიტაფია ძირითადად პოლიტიკური კონტექსტითაა წარმართული და, შესაბამისად, პოლიტიკურ-იდეოლოგიური თვალ-თახედვით აღსაქმელი. მივყვეთ ეპიტაფის ტექსტს.

ეპიტაფის მეორე ტაეპი „თურქი, სპარსი და არაბი საზღვართა გარე გამესხნეს“ პოლიტიკური დატვირთვისაა და მასში გამოხატული მოსაზრება სრულიად ნათლად მიუთითებს დავით აღმაშენებლის ბრძოლას უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ. აქვე შევნიშნავ, რომ „თურქი, სპარსი და არაბი“ ერთგვარ პარალელს პოულობს ამირანის მითთან, რომელშიც მტრის სიმბოლიკით შემოდის „ამბრი, უმბრი და არაბი“. ფაქტობრივად, ეს გამოთქმა აერთიანებს მთელ აღმოსავლეურ სამყაროს, როგორც მტრულ ძალას.

მესამე ტაეპი „თეგზი ამერთა წყალთანი იმერთა წყალთა შთამესხნეს“ კი თვალნათლივ გულისხმობს ქვეყნის გაერთიანებას და მასში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს თევზისა და წყლის მეტაფორები. წყალი, როგორც მაცოცხლებელი და სულიერად განმწმენდელი, ნათლისღების ასოციაციას იწვევს, ხოლო თევზი, როგორც მაცხოვრის სიმბოლო (თევზის ბერძნული სახელწოდება მაცხოვრის მიერ კაცობრიობის ხსნის, მისი გენეალოგის გამოხატულებად იშიფრება), კაცობრიობის, მათ შორის, ქართველთა სულიერი განვითარე-

ბის გზას მიუთითებს. ამერ-იმერის გაერთიანება ერის სული-ერი განვითარების შედეგია.

ეპიტაფის ბოლო ტაქი – „აწე ამათსა მოქმედსა ხელნი გულზედან დამესხნეს“ – ქრისტიანული მრწამსის გამოხატულება და ტრადიციის ასახვაცაა.

წმ. არსენ იყალთოელის ეპიტაფია აჯამებს და აფასებს დავით აღმაშენებლის ღვაწლსა და დამსახურებას საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის, ქართველი ერის წინაშე, მის ბრძოლას ქვეყნის დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად და გასაერთიანებლად იშვიათი ლაკონიურობით, აგრეთვე, პოეტური სახეებით, იმ სალექსო ფორმით, რომელიც საუკუნეებ-გამოვლილია და რომლითაც ქართველი ერის სული გამოიხატა.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია (კ. კეკელიძე, ი. მეგრელიძე, ა. ხინთიბიძე), რომ ეპიტაფია საინტერესოა ლექსმცოდნეობითი თვალსაზრისით, იგი დაბალი შაირის საზომითა დაწერილი. ეს საზომი საღვთისმეტყველო მწერლობის კანონიკური დარგშიც, ჰიმნოგრაფიაშიცაა გამოყენებული, კერძოდ, მას იყენებს თეოფილე ხუცესმონაზონი, ხოლო მაღალი შაირის ნიმუშები დამოწმებულია X საუკუნის ქართველ ჰიმნოგრაფთა, სინას მთაზე მოღვაწე ჰიმნოგრაფების, ფილიპესა და გეორგის საგალოობლებში.

დავით აღმაშენებელმა ანდერძში შიომღვიმისადმი მონასტრის მამათა და, საერთოდ, წმინდა მამათა ამქვეყნიური ცხოვრებისა და ღვაწლის შედეგად მიიჩნია „თკთ მათ მიერ აღწერილი ... ყოვლად შუცნიერად: უცომელი გზად, და წესიერი ცხორებად, და ანგელოზებრი მოქალაქობად, რაღთა ღმრთისათკა ღდენ განკუთვნილნი, მას მხოლოსა, თკნიერ საწუთოსადსა ზრუნვისა ჰზრახვიდენ და წინაშე ღმრთისა მე-

ოხებად კადნიერ იყვნენ“¹. თვით დავით მეფემ სწორედ უც-
თომელად გზის გავლითა და წესიერი ცხორებით მოიპოვა
„ანგელოზებრი მოქალაქობად“.

დასკვნის სახით: მინდა ილია ჭავჭავაძის მოსაზრებით
დავასრულო სტატია. ილიამ დავით აღმაშენებლის, როგორც
საქართველოს გამაერთიანებლისა და ახალი საქართველოს
ჩამომყალიბებლის, როგორც წმინდანის, მოღვაწეობას სახელ-
მწიფოებრივ-პოლიტიკური და საქართველოს მარადიული არ-
სებობის იმედისმომცემი შეფასება მისცა: „ამ დიდებულმა მე-
ფემ ერთად მოუყარა თავი ქართველობას, მტერი გაუფრთხო
და გაუფანტა, და დღეს თუ ჩვენ ჩვენს ბინაზედ ვართ, — ეს
იქნება იმისი ღვაწლი, იმისი სამსახურიც უფრო იყოს... კაცს
ორი სახელი უნდა ჰქონდესო, ამბობს ჩვენი ერი, ერთი აქ
დასარჩენი, მეორე თან წასაყოლიო. ეს ანდერძი ქართველისა
ისე არავის შეუსრულებია, როგორც დავით მეფესა. აქ აღმა-
შენებლის სახელი დარჩა, როგორც მეფეს, და იქ, როგორც
დიდბუნებოვანმა კაცმა — წაიყოლია სახელი წმინდანისა,
დიდების გვირგვინით შემკობილი“².

¹ ვ. სილოვავა, ანდერძი დავით აღმაშენებლისა შიომღვიმისადმი,
თბილისი, 2003. გვ. 120.

² ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, თბილისი, 1984, გვ. 608.

Nestan Sulava

*Samtskhe-Javakheti State University/Ivane Javakhishvili Tbilisi
State University*

**EPITAPH OF SAINT ARSEN IKALTOELI (WHEN
IN VENERABLE AGE...) AND ILIA
TCHAVTCHAVADZE ABOUT DAVIT THE BUILDER
RESUME**

In his article dedicated to the speech about the Davit the Builder Ilia Tchavtchavadze asses him briefly but mentioned his merit in front of the state and Georgian nation. In his speech Davit the Builder was mentioned as the person and the king who gave the main direction to the way and development of the state. It is clear that if you look deeply to the speech you will notice the influence of the epitaph of the Davit the builder. In the speech there are marked several important tasks: political, ideal, religion, world vision, and at the same time the fiction also. The epitaph is full of the symbols, there is given the role of the king, the meaning of the Davit the Builder in the state development, to save the independence and unity of the country. In the article Ilia Tchavtchavadze discuss all versions of the epitaph, and main goal of them. The first rhyme of the epitaph has different two versions: 1. “To whom in the venerable age seven kings were adore around the table” and 2. “to whom in the venerable age twelve kings were adore around the table”. Around the first version in the scientific works there are explanation of three different meaning of the symbols: 1. Mose Janashvili’s version, which means the foreign kings were around the table of the king in the palace, but it is not clear were those kings together or not, and there are several questions around this version. 2. Akaki Khintibidze’s version that means that in the rhyme it is given the reconciliation of the

kings. 3. And finally the last version that it is the consolidation of the kings with seven titles, and this means unity of the seven kingdoms and kings in Georgia: King of Abkhazia, Georgia, Rans, Kakhetians, Armenia, Sharvans, and Shahans. The two last ones are from Davit the Builders invasions.

The second version means having dinner together with twelve kings in venerable age of the King Davit in the Palace of Georgian kings. It has religion and world vision plot and at the same time two symbol meaning: 1. From Old Testament, and it means twelve sons of Jacob and it is like a plot-history. 2. From the New testament and have the meaning of the last supper of the Christ, especially when in the epitaph there is speech about sitting around the bread. This version is only supposition and the epitaph in reality has the political meaning.

The second rhyme of the epitaph “Turkish, Persian and Arabian are run away of the board” really with political meaning and shows the battles Davit the Builder has against those invaders. This rhyme has parallel with myths of the Amirani, and this phrase combines of Eastern world as a world of the enemies. Third rhyme “fishes from east water are in the west water” means the unity of the country. We have to mark the symbol meaning of the fishes and the water. Water are the purification and spiritual clearance. And the fish as the symbol of the Christ (its Greece meaning is the same), means spiritual development way of Georgians. Unification of east and west (Amer and Imeri) is the result of spiritual development of the country. And final rhyme of the epitaph: “me as the one who did such work now lying down with my hands crossed” is the fiction of Christianity and tradition.

Arsen Ikaltoeli's epitaph written in the form of low Shairi asses and summing up the meaning of the life of Davit the Builder in front of the nation and the state. His battle for the

independence of the country with the unique laconic, with poetic faces and form of poetry with it the spiritual life of the Georgian emphasize.